

გაგა შანსქიჩიშვილი-საიანიშვილი



სემუქინალო

წიგნი

ჩრატული

ტომი მეორე

ტექსტი შოაფადა, გაგოვლები, შენობები, საძიებლები და
ლექსიკონი დაურთო

პროფ. მიხეილ შანგელიანი

„შენიერება“

თბილისი


1988

„სამკურნალო წიგნი — კარაბადინის“ წინამდებარე ორტომეული, მისი ავტორის, ზ. ფანასკერტელი-ციციშვილის, დაბადების 550-წლის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი, ის შესაშვ გამოცემა, პირველად, 1950, 1959 წლებში იქნა გამოცემული (ცალკე ტომებად), მეორედ — 1978 წ. (ერთ ტომად). I ტომში მოცემულია მედიცინის ზოგადი საკითხები: ჰიგიენა, დაავადებათა გამოკვლევისა და ღიაგნოსტიკის მეთოდები, სამკურნალო საშუალებათა ძირითადი ფორმები, მათი გამოყენებისა და ტექნოლოგიის პროცესები. II ტომი ექრონაწილია — აქ განხილულია პათოლოგიისა და თერაპიის ძირითადი საკითხები, ცალკეულ ორგანოთა დაავადებები და მათი ნიშნები, ურცლადაა გადმოცემული მკურნალობის მეთოდები, სამკურნალო საშუალებათა სხვადასხვა ფორმები. იგი მოიცავს მედიცინის თითქმის ყველა დარგს და ცალკეული ორგანოს დაავადებათა აღწერასა და მკურნალობას, ცხადია იმ ფარგლებში, როგორც შესაძლებელი იყო მეცნიერების განვითარების იმ ეტაპზე. გარდა შინაარსობრივი ანალიზისა და გამოკვლევების ტექსტს თან ერთვის: სარჩევ-საძიებელი, საგნობრივი, დაავადებათა და პირთა საძიებლები, შენიშვნები და ლექსიკონი.





ვახტანგ VI



ზ. ფანასკერტელი-ციციშვილის „სამკურნალო წიგნი — კარა-
ბადინის“ ხელნაწერი წიგნი.

- სახელითა¹ ღ'თისათა დავიწყეთ ყოველთა 177r.
- სენთანიშანი, რომელნი არიან კაცისა ასოთა ში-
გან, თავით, თმითგან, ვიდრე ფერკისა ფრჩხილ-
თამდი. რაცა სენნი და საღმობანი არიან ყუალა-
სი ნიშანი ცალკე-ცალკე [ს]წერია — მათნი მი- 5
ზეზნი და საქმენი, და წამალნი მათნი ბრძანები-
თა ღთისათა, — და ეინცა ამა წიგნსა იკმარებ-
დეთ, იცოდით, რომე ყოველსა ქველის საქმესა
უზეშთაე არს წინაშე ღ'თისა².
- შექმნა ღმერთმან მოწყალემან კაცი ოთხთა ბუნებათაგან: ქა- 10
რისაგან, ცეცხლისაგან, მიწისაგან და წყლისაგან. ესე ერთმანერთ-
სა არ გარივნა, ცალკე-ცალკე არიან სიმკურვალითა და სიკმელითა,
სიგრილითა და სინოტიითა.
- დაჰბადა ღმერთმან მოწყალემან ცეცხლისაგან კუერცხის
გული, ნავლეი, რომელ არს ზაფრა, და არს იგი მკურვალი და 15
კმელი და ბოროტი; და არს გემო მისი მწარე და ფერი მისი კუერ-
ცხის გულივითა ყუითელი.
- შექმნა მოწყალემან ღმერთმან ქარისაგან სისხლი, და არს იგი
მკურვალი და კმელი; გემო მისი — მწარე, და ფერი — წითელი.
- და შექმნა ღმერთმან მოწყალემან მიწისაგან შავი ნავლეი, 20
რომელ არს სევედა, და არს იგი კმელი და გრილი; და არს გემო
მისი მჟავე და ფერი მისი მწუანე³.
- || და შექმნა ღმერთმან მოწყალემან წყლისაგან თელგმა, რო- v
მელ არს ბაღამი, და არს გრილი და ნოტიო; და არს გემო მისი
მლაშე და ფერი მისი თეთრი.
- და საყოფელი კუერცხის გულისა, ნავლისა, არს სანავლეი, 25
და ჰვიდია ლუიძლსა და კელმწიფობა და საქმე მისი არს სტომაქსა
ზედა. და სახლი სისხლისა არს ლუიძლი, და უფლება მისი არს
ყოველსა კორცსა და ძარღუსა ზედა. და სახლი შავისა ნავ[ლ]ლისა
არს ტლირბი, და უფლება მისი არს თირკუმელთა და წურილთა
ნაწლეეთა ზედან. და სახლი თელგმისა არს ფირტუი; უფლება 30
მისი არს თავსა, მკერდსა და კორცთა ზედა.
- იცოდით, თუ ბუნებანი ესე ოთხნივე ერთმანერთსა შეზავებით

და სწორად არიან, მაშინ კაცი მართლად და კარგად იქნების ბრძანებითა ღთისათა; და თუ დამეტდების, რომელიმე დაიბადების სენი და სნება, ცხრო და ყოველი მიზეზი იმათგან გამოჩნდების. და ამათგან იქნების სიცოცხლე და სიკუდილი, ჭირი და ღზინი, 5 ყულა ამა ოთხთა ბუნებათაგან იქმნების ბრძანებითა ღთისათა. იცოდით, რა კაცი დაიბადების, ვირე სიკუდილამდი ამა ოთხთა ბუნებათაგან იქცევის და ამათგან იზრდების, და ამათგან ცოცხალა კაცი.

- 10 იცოდით ესეცა, რომე ცხრა ნიშანი უნდა იცოდეს მკურნალმან და მით ცნას სნება და სენი, რომელ აშფოთებულ იყოს და დამე- 178r ტებულ იყოს მათ სამზღვართაგან: || პირველად — მაჯასისა შეტყუებითა; მეორედ — ფსლისა ნახვითა ჭიქითა; მესამედ, თუ რათა დღეთა იყოს კაცი იგი, ყრმა იყოს თუ მოწიფული, ანუ შუაკაცი, ანუ ბერი; მეოთხედ — თუეთაგან წელიწდისათა; 15 მეხუთედ — განავალისაგან; მეექვსედ — ბურანისა შეტყუებითა; მესუთედ — პაერთაგან, და თემისა და ქუეყნისა პაერთაგან, თუ ცივია ქუეყანა, ანუ ცხელი; მერვედ — შესახედავისა, პირისა ფერისა და გუამისათა; და მეცხრედ — მოკითხვა სნეულისა.
- 20 და ასრე ბრძანებს ბაგრატი და გალიანიოზ ბრძენი, ვითა: ამის ყოვლისა თანა სიბრძნე და ჭკუა უნდა ჰქონდეს და იკმაროს და, თუ მკურნალი რეგუენი არის, ვერ მიხუდების მკურნალობასა.

ა'. კარი პირველი

პირველად თავი და ტუინი ვაქსანოთჲ, საჰმენი მისნი, 25 სარგონი მისნი და ხასიათი მისი

- დაპბადა მოწყალემან ღმერთმან თავი ცისა შესაფერად და შიგან ტუინი ჩადვა, და იგი არს კელმწიფედ სრულად ტანისა. ცნობა და ჭკუა კაცისა ტუინსა შიგან არს. ტუინშიგან ოთხი ხასიათი და საქმე არს: ერთი—ჭკუა, ერთი—ცნობა, ერთი—გაგონება, ერთი — სინათლე თუალთა. იცოდით, რომე ტუინი შუიდსა ფარდაგ- 30 შიგან არს წახუეული: პირველად — თმაშიგან, მეორედ — ტყავეშიგან, მესამედ — კორცსა შიგან, მეოთხედ — ძუალი, მეხუთე — რომე ძუალსა აფსკა აკრავს, მეექვსე — ლაბა, რომე არის აფსკასა 7 და ტუინისა საბურავსა შუა, მეშუიდე ისი არის, რომე ტუი || ნსა 35 გარეშემო ახუევია და ტუინი შიგან ძეს.

ღმერთმან მოწყალემან ამა შუიდასა ფარდაგსა შიგნით ამის-თუის დადვა ტუინი, რომე არაფერი მავნე არა მიხუდეს რა, არა ქარი შევიდეს, ანუ მტუერი არ შევიდეს, ან არ აყროლდეს და არა

ემიზეზებოდეს რა. და ესეცა იცოდით, თუ ტუინი სრული არს, კაცისა ჭკუა სრული იქნების, და თუ კაცი ტუინ-ნაკლული არს, კაცი ჭკუა-ნაკლული იქნების.

მერმე იცოდით, რომე ტუინიდაღმა თოთხმეტნი ძარლუნი ჩამოვლენ ქუედა ტანშიგან და მათი თავები ტუინსა აბია. ესე ძარლუნი მისცემენ ყოველსა ასოებსა საძრავსა და ამათგან იძრვის ყოველი ასო. ესე ძარლუნი უსისხლონი არიან და კმელნი, და შიგან ღრუნი არიან, და ავსა და კარგსა მიცემასა და აღებასა და დავარდნასა ყუალასა ტუინი იმა ძარლუებიდაღმა შეიტყუებს. მერმე იმა ძარლუებიდაღმა ორნი ძარლუნი თუალთა შიგან შევლენ: ერთი — ერთსა თუალშიგან და მეორე — მეორესა თუალშიგან. და თუალისა სინათლე იქიდაღმა იქნების. და თუალისა გუგათა დაქუხვა და ახილვა იმა ძარლუებისაგან იქნების, და ტუინიდაღმან სიგზრილე შევა და თუალთა აგრილებს.

ბ ა გ რ ა ტ მკურნალნი ბრძანებს, ვითა ასორმოცი სენი თავიდაღმა შეიქნების; მიღსისა ქარი ჰქუიან და მისგან იქნების. ჩუენ მოკლედ მისთვის დაეწერეთ, რომე ერთობ გაგრძელდებოდა.

და იქიდაღმა ორნი ძარლუნი ყურშიგა ჩავლენ და მათი გულიცა ცარიელი არის, და სმენა და გაგონება იქიდაღმა იქნების. და ორნი ძარლუნი ყბაშიგა ჩავლენ და ოცდაათო | რმეტ შტოდ გაიყოფვის, და თუფთოსა კბილისა ძირსა თუითო ძარლუი მივა და კბილებსა ის 179 რ.

ამაგრებს. ერთი ძარლუი ცხუირჩიგან ჩავა და ორად გაიყოფის: ერთი — ერთსა მკარსა, და მეორე — მეორესა მკარსა; მათი გულიცა ცარიელი არის, ტუინი ავსა და კარგსა სულსა იქიდაღმა შეიტყობს. ერთი ძარლუი ენაშიგა ჩამოვა და ერთი — ბაგეჩიგან, და საუბარსა ის ათქუმევიანებს; და მათი გულიცა ცარიელი არის. და ბაგე გემოსა იქიდაღმა შეიტყუებს. და ერთი ძარლუი სტომაქშიგან ჩავა, და საკმელისა და სასმელისა ძალსა ტუინი იქიდაღმან აიღებს და ამოსწოვს; და იმა ძარლუისა გულიცა ცარიელი არის. და ერთი ძარლუი გულშიგან ჩავა და გული ყოველსა საქმესა იქიდაღმა დაისწავლის; და მისი გულიცა ცარიელი არის. და ერთი ძარლუი თირკუმელთა შიგან ჩავა და თირკუმელი თესლსა იქიდაღმა აიღებს.

ერთი ძარლუი კელჩიგა ჩავა და მკრისა შესაყარსა ორად გაიყოფვის: ერთი — მარჯუნანასა მკარსა წავა, და ერთი — მარცხენასა, და მერმე ათად გაიყოფვის და ათსავე თითშიგან გავა და კელის ძრვა მით იქნების; და კელი რბილსა და მაგარსა მით შეიტყობს. ერთი ღუიძლშიგან ჩავა და სტომაქისაგან და ღუიძლისაგან საკმელისა ძალსა იქიდაღმა აიღებს. ერთი ფერკჩიგან ჩავა და თეძოჩიგან გაიყოფვის: ერთი — ერთსა მკარსა წავა და ერთი — ერთსა, და მერმე რასთენიცა თითი არის, ყუალაშიგან გაიყოფვის და სიარული მით იქნების.

ერთი ღუიძლშიგან ჩავა და სტომაქისაგან და ღუიძლისაგან საკმელისა ძალსა იქიდაღმა აიღებს. ერთი ფერკჩიგან ჩავა და თეძოჩიგან გაიყოფვის: ერთი — ერთსა მკარსა წავა და ერთი — ერთსა, და მერმე რასთენიცა თითი არის, ყუალაშიგან გაიყოფვის და სიარული მით იქნების.

v ღმერთმან ტუინი გუამისა კელმწიფედ დაჰბადა და ცნობა ყულა მისგან არის. და ტუინი გრილი || და რბილი არის. და ორნი ძარღუნი გულშიგან ჩავლენ და გულისა სიმჭურვალესა ისი გაიღებს, ტუინშიგან რომე ტუინი სიგრილისაგან არ დაშავდეს.

5 ღმერთმან ტუინი მთუარისა სახედ დაჰბადა, ამად რომე, რა მთუარე გავსით არის, ტუინიცა გავსით არის, და რა მთუარე კლებასა შიგან შევა, ტუინიცა კლებასა შიგან შევა. ყოველი ცნობა და ჰქუა კაცისა ტუინშიგან არის, შეტყუებაცა, თუარა ასრე გასინჯე, რომე კაცსა ბნედა შეექნების, ისი სენი ტუინშიგა შეიქნების და 10 ტუინი დაბნდების, კაცსა რომელიმე ასო მოჰყუეთო, ვერას. შეიტყუებს. ამა ნიშნითა მეცნიერი და ჰქუიანი ტუინი არის.

და ესეცა იცოდით, რაცა ესე ძარღუები დაეწერეთ, მათი გული ყულასი ღრუ არის. და თუ ოთხთა ბუნებათაგან რომელიმე 15 დამეტდეს და იმაძარღუჩიგან ჩავიდეს და დაეჩაროს და შეკრას ისი ღრუ, რომლისაცა ასოსა არის, ისი ასო დაშავდების.

ბ. კარი მეორე

ნიშანი ყოვლისა ფერისა თავის ტივილისა

პირველად მაღასი დაეწერეთ, რომელ არს სურდო და ნაზლა. ასე ბრძანებენ ღიღნი ბრძენნი ბ ა გ რ ა ტ და გ ა ლ ი ა ნ ე, 20 ვითა: ყოვლისა ძარღუსა თავი ტუინისა სახურავი არის, ძარღუებისა თავი ყულასი ტუინსა აბია. და იცოდით, ტუინი გრილი და რბილი არის, და რაჟამს ტუინსა სიგრილე მისჭირდების, იგი ზეით ტყავშიგან გავა და მაღასი ქარად შეიქნების, მისგან — სურდოცა. ესე ერთობ ავი სენი არის, სიმჭურვალისაგანცა იქნების და სიკმე- 25 ლისაგანცა. თუ ნამეტნავად დასჭარბდების, ამავე წესითა შეიქნების, და იცოდით, რომე ყოველი სენი მისგან დაიბადების.

იცოდით, რომე ცხუირთათ წამოედინების — ს უ რ დ ო ჰქუიან, 180r და თუ გულშიგან ჩავა, — ნ ა ზ ლ ა ჰქუიან. || თუ თუალისა ძარღუსა მიხუდების, ჩამოვა თუალშიგან და თუალისა სინათლესა დაუყენებს, და ამას შ ა ვ ი წ ყ ა ლ ი ჰქუიან. თუ ყურშიგან ჩამოვა, ყურსა დაამღიერებს და ყურსა დაუყენებს. თუ კბილებისა ძარღუშიგა ჩამოვიდეს, კბილებსა დააყრევინებს და პირსა აატკივნებს. თუ კორცსა და ტყავშიგან ჩავიდეს, სადაცა მიხუდეს, თმა გააყრევინოს, და ანუ უჟამოდ გაათეთროს. თუ საფეთქელსა მაჯასა 35 მიხუდეს, აუფეთქოს ჩქარად და თავი ატკივნოს და ფირტუი დაუმღიეროს, და მერმე მისგნით ქუელა და ფშუინვა დაემართოს. თუ გულშიგან ჩავიდეს, გული დაუსუსტოს და სლოკინი და ქაშოეთისა დაემართოსა. თუ ტყირბშიგან მიხუდეს და სევდაშიგან

გაერიოს, სისხლი ამოწოვოს და კაცი შფოთად ამყოფოს. თუ
 ლუიძლშიგან მივიდეს და მერმე გარეთ -ტყავშიგან მივიდეს და
 სისხლსა გაერიოს, და მისგან კეთრი წაეკიდოს. თუ ძარლუჩიგან
 გავიდეს და სისხლშიგან გაერიოს, მისგან გონჯი დაემართოს და
 გონჯი მღიერი გამოესხას. თუ სტომაქშიგან ჩავიდეს, დიდსა ზიანსა 5
 უზამს კაცსა; მისი ნიშანი ესე არის; რომე ერთი უარესი ყვანა
 მისგან იქნების. და თუ სიზმარჩიგა თავი ტალახშიგა ნახოს და ანუ
 წყალსა, და წუიმაშიგა ნახოს, — და ენა დაუშძიდეს. თუ კელსა
 და ფერკშიგან ჩავიდეს, კელსა და ფერკსა ტკივილი და მიკრისი
 მისგან წაეკიდოს. ამა სენისა ბატონსა საჭმელი მოუნდებოდეს და 10
 ვერ ჰამდეს, და თუალშიგან თმა გამოუვიდეს და თუალი გაუთეთ-
 რდეს, და ხამი ქარი ტანშიგა გამოუჩნდეს. ბა გ რ ა ტ ბ რ ძ ე ნ ი ას რ ე
 ბ რ ძ ა ნ ე ბ ს, ვ ი თ ა: ა ს ო რ მ ო ც ი ს ე ნ ი || მ ა ლ ა ს ი ს ა გ ა ნ და ბ ა ლ ლ მ ი ს ა გ ა ნ 15
 და ი ბ ა დ ე ბ ი ს ო .

ა წ მ ა ლ ა ს ი ს ა წ ა მ ლ ე ბ ი და ვ წ ე რ ო თ. თუ გინდო- 15
 დეს რომე მალასი და ბალღამი მოაკლდეს, დილასა და დილასა
 ხაჭმელი შეუწყევ და ასეთი წამალი ქენ, რომე მალასი თავიდალმა
 გამოწმდეს. ესე ღარღარები ქნას: მოიღე მდოგუი და ქონდარი და
 პილპილა, სწორ-სწორი დანაყე, გაცარ და თაფლითა გააყენე, და
 ცოტა ძმარცა გაურჩე და იღარღარებდი დილასა და საღამოსა, 20
 რომე თავი მალასისაგან გამოწმიდოს, მაგრა თავი ნამეტნავად თბი-
 ლად შეინახოს. იცოდით, რომე თუ ამისთანა ნიშანი ნახოს თავ-
 შიგა და უამზედა არ გამოწმიდოს, რაცა ამას ზემოთ მალასისა
 სენები დავწერეთ, ისი დაემართების და თუალშიგა მღიერი გამო-
 ესხმის და ყურსა დაუყენებს. 25

ს ხ უ ა ღ ა რ ღ ა რ ა მ ა ლ ა ს ი ს ა თ უ ი ს, კ ა რ გ ი. თავსა
 გამოსწმედს მალასისაგან და კბილისა ტკივილსა უშუელის და საოხ-
 ნეთა ტკივილსა და თავსა მალასისაგან ნამეტნავად გამოსწმედს.
 აიღე დარაფილფილი და აკირკარა, შამი და ზანჯაბილი სინი, ამათ-
 განი წონი ორ-ორისა დრამისა, და მდოგუი — ორისა დრამისა, 20
 პილპილი შავი — წონი სამისა დრამისა, დანაყენ ერთბირად, ანუ
 ცალკე-ცალკე, და დასცრნე. და მერმე შეურჩენე ერთმანერთსა და,
 რა მოგინდეს, აიღო ორისა წონი და ხუთისა დრამისა წონითა
 თაფლითა || შეზილო. და მერმე გაადგინო ოცისა დრამისა წყლითა 181r
 თბილითა. და მერმე იღარღარებდე და ასხმიდე ტაშტსა შიგან. 35
 ესე ღარღარა დიდისა წამლისა აღებისა ოდენსა ბალღამსა გამოი-
 ლებს, ასრე უნდა, რომე რა გაადგინო, მერმე სითბოსა დასდგა
 ერთთემ, რომე წამლისა ძალი კარგად გამოვიდეს წყალსა შიგან,
 კარგია და მარგებელი ნებითა ღ'თისათა.

რა კაცსა მალასი წაეკიდების, გასინჯე, თუ ძილი უფრო სჭირს, 40
 თუ ლუიძილი. თუ უძილობა სჭირდეს, თავზედან მუდამ ქალის

დედისა რძესა დააწუელდი, ანუ წითლისა თხისასა, და ხაშხაშისა
 შარბათსა ასუემდით, მარტივისა, და აგრევე ზუფასი შარბათსა, და
 თავზედა კიქისა კოტოში მოჰკიდოს და შუბლისა ძარლუი გაუხს-
 5 კოტოში მოჰკიდდე და შუბლისა ძარლუსა გახსნა უნდა. მერმე კარ-
 გად გასინჯე და ძარლუი ნახე, ყურსწინათ რომე ძარლუი არის, თუ
 ჩქარად ფეთქდეს, იცოდი, რომე სიცხე აქუს. მაშინ ყოველთა
 დღეთა ქერისა წყალი შეასუი ორმოცი დრამი, და ზედა ათი
 10 დრამი შაქარი მოაყარე, და ორი დრამი ნუშისა ზეთი ზედა დაასხი
 v და შეასუი, და საღამომდი უძემელად შეინახე და მერმე მიეც საჰ-
 მელი: თიკნისა კორცი || ანუ კრავისა ფერკები და აყირო, და თუ
 არა, საჰამდად რასაც მისცემდე — ნუშისა ზეთითა. მერმე რა
 ერთი კუირა გამოვიდეს, ესე მათაფუხი შეასუი სამჯერ კუირასა
 და კუირაშიგან სამსა კუირისა თავსა თუითოსჯერ.

მ ა თ ფ უ ხ ი ს ა ნ უ ს ხ ა. აიღე ყუითელი ალილა და ქუაბული,
 ალილა და შავი ალილა, ამლაჯი და ბალლაჯი, გურკისაგან გამორჩე-
 ული, თუითოსაგან შუიდი დრამი კმელი, იაი—ხუთი დრამი, ქინძი—
 15 სამი დრამი, უნაპი—ოცდათერთმეტი მარცუალი, თაბირინდი—თხუ-
 თმეტი დრამი, თირთვიჩი, თუ კმელი იყოს, ანუ კარისენა — ოთხი
 20 დრამი, თუ ნედლი იყოს—შუიდი დრამი, ყულაერთსა ქოთანშიგა
 ჩაყარე და ზედა ორი ლიტრა წყალი დაასხი. მერმე აიღე აფდომონი
 ოთხი დრამი და თხელსა სამოსელშიგა წაახუიე, და მერმე მაგა
 წამლებშიგა ჩააგდე და აღუღე მანამდი, საღამდი ნახეყარ მიიყა-
 როს. მერმე საცრითა გაწურე. მერმე აიღე ხიარი-შამბრისა გული

25 ათი დრამი და ერთსა წმიდასა ჰურჰელშიგა ჩადევე, და ამა მოღუ-
 ლებულისა წყლისაგან ზედა სამოცი დრამი, და დადგი, რომე დალ-
 ბეს. მერმე დაჟღლიმე კარგად და თხელითა საცრითა გაწურე, და
 182r რაცა საცერშიგა დარჩეს, იმავე ჰურჰელშიგა ჩაყარე და იმა მათ-
 ფუხისაგან ორმოცი დრამი დაასხი, || და კიდევე შექლიმე და კიდევე
 30 გაწურე თხელითა სამოსლითა. მერმე აიღე ლარიკონი და ლაჟუარ-
 დისა ქვა, დანაყილი და გაცრილი, თუითოსაგან თუითო დრამი, და
 ინდოური მარილი — ორი დანგი, მიყარე იმა მათფუხშიგან დანა-
 ყილი და გაცრილი, და ზედან თხუთმეტი დრამი ჯულაბი დაასხი.
 მერმე ყულა ერთპირად გაურიე, რომე გაერთდეს. მერმე ძილისა

35 ეამსა შეასუი და დაიძინოს, ვირემდი საქმობა დაიწყოს. და თუ
 აღარა დაიძინოს, დილასა აიღე თხუთმეტი დრამი ჯულაბი, მერმე
 ჯულაბსა ორმოცი დრამი წყალი გაურიე და საღამოსა, ზემო რომე
 დაგუიწერია, ისი საჰმელი მიეც. და ყოველთა დღეთა ცხუირშიგან
 აყიროსა ზეთი ჩაასხით და ქალის დედისა რძეცა ცხუირშიგა ჩაას-
 40 ხით. და ესე მათფუხი კუირისა თავსა თუითოსჯერ შეასუით.

ვერისნაკი კარსსა ჰქუიან. ამისი წუენი ცხურიჩი-
 გან ჩაუშუით ამა ნიშნითა: აილე კარსი ერთი მტკაველი, თავის
 კერძო ყუაველითურთ. მერმე დანაყე და წყალი გამოწურე მან-
 დილითა და დაღვე, რომე დაწმდეს. მერმე ქოთანშივა ჩაასხი და
 მუნამდი აღღვე, სადამდი თაფლივითა გასქელდეს. მერმე რა მო- 5
 გინდეს, აილე მისგან ნახევარ-დრამი ცივი და ქალის დედისა
 რძითა და იისა ზეთითა ცხურიჩივა ჩაასხი, და თავი თბილითა
 წყლითა დაიბანოს და ეშუელოს. ესე წამალი სამჯერ ქენ, მის მეტად
 ნუ იქ.

ბ. კარი მისამე! 10

ყოვლისა ფერისა თავის ტკივილისა

თავის ტკივილი მრავლისაგან იქნების, ყულა ცალკე-ცალკე
 დაგუიწერია ნიშ || ანი მისი და წამლები გუერდსა უწერია. v

აწ ესე იცოდით, რომე თავის ტკივილი მრავლისაგან იქნების, 15
 და თავი ოთხი არის: სიმკურვალისაგან — ისი ზაფრა იქნების, —
 სისხლისაგან, შავისა ბალღმისაგან — ისი სევდა არის — და ბალღ-
 მისაგან. მეხუთედ — სიცხისაგან, რომე სიცხეშივა სიარული მის-
 კირვებოდეს; მეექუსედ — სიცივისაგან; მეშუიდედ — ცასა ქუეშე
 წოლისაგან; მერვედ — ერთობ ძრიელისა ქარისაგან; მეცხრე, რომე 20
 მრავალჯერ დედაკაცსა თანა წოლილიყოს. ერთი — ნამეტნავისა
 შიმშილისაგან, ერთი — ღუინისა ბუხრისაგან, ერთი — შაკიკისაგან
 და ერთი ის არის, რომე ბრუ ესხმოდეს.

აწ მათი ნიშანი დავწეროთ ბრძანებითა ღ'თი- 25
 სათა. იცოდით, რომე თავის ტკივილი ოთხისაგან იქნების: სისხ-
 ლისაგან და კუერცხის გულისა — ნავლისაგან — და შავისა ნავლ-
 ლისაგან და თელგმისაგან (იგი ბალღამი არს).

თუ თავი სიმკურვალისაგან სტკიოდეს, მისი ნიშანი ესე არის,
 რომე მწოვედ სტკიოდეს, და ჩქარად და წალღა-უკუღმა უზნობდეს,
 და მუღამად კუნესოდეს, და თუალნი ანუ წითლად ესხნენ, ანუ 30
 ყუითლად, და სინათლისა ნახვა ეწყინებოდეს. მას კოტოში და
 ხელისა გაქსნა კარგად მოუტკდების. ღუინოსა ნუ ასუამთ, ზენაარ,
 და ნუცა მკურვალსა რასმე აკმევთ. საქმელი ყულა გრილი შეუწ-
 ყევით და რაცა გრილი ტლები იყოს, || ყულა ისი შემოსდევით 183r
 თავსა. და თავი რომე სიმკურვალისაგან სტკიოდეს, ანუ სისხლი- 35
 საგან, აფიონი ისუნოს ანუ ქაფური და უშუელის ბრძანებითა
 ღ'თისათა.

აწ ამა სიმკურვალისაგან ვისცა თავი სტკი-
 ოდეს, მისი სიფთხილე დავწეროთ. რომე სისხლი-

საგან სტკიოდეს, ისიცა სიმკურვალესა ახლოს ახლავს, ვისცა ესე
სენი და თავის ტკივილი სჭირდეს, ზენაარ, ფრთხილად იყოს. ასრე
ბრძანებს გალობაოზ, ვითა: ნურას ფერსა ტკბილსა საქმელსა
ნუ ჰამს, ნუცა მრღუიესა და ძნელსა ლუინოსა სუამს, თუარა დიდი
5 ზიანი დაემართების, რაცა საქმელი ჰამოს, ყუალა სუბუქი ჰამოს.
თუ მარხვა იყოს, აყირო, ჰაკუნტელი და თალგამისა საქამადი ჰა-
მოს. თუ ქსნილი იყოს, კრავისა, თიქნისა და ბუწისა კორცი ჰამოს,
და მუაქვე საქამადიცა კარგია, რომე შაქრითა მოატკბოს და აგრე
ჰამოს პურითა. და ლუინოსა ნუ სუამს, და თუ მოუნდეს, საღამო-
10 ყამსა შესუს, თეთრი და წმიდა, წყალგარეული ლუინო. მერმე
ლუინოზხედა ხილი ჰამოს: ბეე და ბროწეული. და მერმე დილასა
უზმამან იაროს ბევრი, ანუ ქუეთად ანუ ცხენითა. და ზედა-ზედა
აბანოს შევიდოდეს და აბანო ერთობ ცხელი არ უნდა იყოს, და
ფიცხლა გამოვიდოდეს აბანოთ და თავზედა ნელთბილსა წყალსა
15 ისხემდეს. და წელიწადშიგან ორჯელ კელსა გაიხსნიდეს: ერთ-
ხელ — შემოდგომათა, და ერთხელ — გაზაფხულ; კაცისა ძალსა და-
ხედენით და სისხლი აგრე აღინეთ. ესე რაცა სიფთხილე დავწე-
რეთ, მა || შინ უნდა, რომე თავისა ტკივილი ერთობ არ მორეოდეს,
v და თუ თავის ტკივილი ერთობ მორეოდეს, მაშინ ნუცა კორცსა
აჰმევთ და ნუცა ლუინოსა ასუამთ, ცეცხლისაგან და მზისაგან
20 ერიდებოდეს.

და თუ სიგრილისაგან სტკიოდეს, მისი ნიშანი ესე იყოს, რომე
ამა სიმკურვალისა თავის ტკივილისა ნიშანი რომე დავწერეთ, იგი
არცა ერთი იყოს, და თუალსა და პირშიგა სიწითლე არ იყოს, და
25 პირსა ზედა თეთრად იყოს და მაჯასი სუსტად უცემდეს. და სხუი-
ლად სისხლსა ნუ აღენ და ნუცა იმას უზამთ, რომე ამას ზემოთ
წამალი დავწერეთ. აწ რომე დავწეროთ ისი უყავით.

აიღე საბრი ოთხი დანგი, მასტაქი და შამიანდალი, აფსინთა,
რისა და ოშინდარი, დანაყილი და გაცრილი, თუითოსაგან ნახევა-
30 რი დრამი, საყამუნია, დანაყილი, ორი დანგი. ესე ყუალა ერთმა-
ნერთშიგა გაურეე და წყლისა ჰაკუნტელისა წყლითა შეზილე,
დამარცულე პილპილისა ოდენი და ჩრდილშიგა გააქმე. და მერმე
იმა კაცმან იფარეზოს, რაგუარაცა ფარეზისა წესია, და საღამოსა
ძილისა ყამსა მიეც, რომე შეჰამოს და ზედა ნელთბილი წყალი შეა-
35 სუი, დაიძინოს საღამდი საქმობასა დაიწყებდეს, მერმე გახსნის და
უშუელის.

და ესე წამალი შექვენ და ცხუირშიგა ჩაუშუი. აიღე
მწარე ოსპი და თაქუის ყუერი და ფარფიონი, თუითოსაგან თუითო
40 დრამი, და ზაფრანი — ნახევარ დრამი, და მუშუი — ერთი დანგი.
184r ესე ყუალა დანაყე და მტკიცითა აბრეშუმის საცრითა || გაცარ და
ლუინითა შეზილე, და ოსპისა მარცულისა ოდენი დაქენ და ჩრდი-

ლსა გააკმე, და შეინახე. რა მოგინდეს, აიღე ერთი მისგანი და გალესე წყლითა, და ცხუირსა და ყურშიგა ჩაუშუი, სიგრილისაგან თუ თავი სტკიოდეს, უშუელის ბრძანებითა ღთისათა.

თუ მით არ ეშუელოს, მერმე ესე წამალი ქენ.—აიღე პილ-პილი, მდოგუი, დაჰფიონი—ორი დრამი. ესე ყუელა დანაყე და ღუინითა აურიე, და სამოსლითა საფეთქელზედა დასდევ, და საკმელად სხუილსა ცერცუისა და ზეთისხილისა ზეთითა შეუწყევე, და სასმელად ძნელი ღუიწინო უნდა ასუას, და რა ხუთი დღე გქამოვიდეს, აბანოს წავიციდეს.

და ესეცა იქნების, რომე ამა თავისა ტკივილსთანა თავქედიცა გარდაევიდოს, — თავი რომე სიგრილისაგან სტკიოდეს და მერმე თავქედი გარდაევიდოს. მისი ნიშანი ესე არის, რომე წყნარად სტკიოდეს და მწოდ ძილი მოევიდოს. მისი წამალი ესე არის, რომე ამას ზემოთ სიმჭურვალისა თავის ტკივილისა წამალი სწერია, და

საკმელი ისივე ამას შეუწყევით. მერმე რაგუარაცა ორი დღე გამოვიდეს, ჯუნდი ბედასტარი დაზილოს და ცხუირთა ისუნებდეს და თავზედაცა დაიცხოს. ფეტუი მოაჯალოს და მერმე მარილი გაურიოს, გაათბოს და თავზედა შემოიდვას და დიდსა ხანსა ნუ დაიძინებს. და თუ შეეძლოს, პირსა წაიგდებინებდეს და ნათელსა სახლშიგა დაჯდებოდეს. და მისი შაფი და ოყნა უნდა, რომე მუცელშიგა ნიადაგ რბილად იყოს და გახსნით ჰქონდეს. და მისი || საკმელი ყუალა ზეთისხილისა ზეთითა იყოს, და მუხუდო (დარიჩინითა შექნილი) ჰკამოს, და ხანდახან ქერისა წუენსაცა სუემდეს. ნიახურისა ფურცელი და ბაბუნაჯი და კმელი ზუფა, ესე სამივე ერთად მოხარშონ და, რა საკმელსა ჰკამდეს, ამისითა წუენითა ფერკთა დაიბანდეს და დაიზელდეს, რომე ტკივილი თავშიგან არა დარჩეს.

და ვისცა სიგრილისაგან თავი სტკიოდეს მუშკი და უდი ნაკუერცხალზედა დააკუმოს და ცხუირთა იკრჩოლოს და თავსა კარგად წამოიხუროს, რომე ორთქლი თავსა, ცხუირსა და პირშიგა შეუვიდეს. და რასაცა საკმელსა ჰკამდეს, ცოტა ნიორი და ცოტა ჰონდარი გაურიოს, აგრე ჰკამდეს. და სადაფსა ისუნებდეს ნიადაგ და ცხელი ნაცარი ტლედ შექნას ძმრითა და თავზედა შემოიდვას, კარგად მოუტდების.

ვისცა ესე სატკივარი სპირდეს, ცივსა წყალსა ნუ სუამს და ნუცა დედაკაცსთანა დაწვების, ორივე იფარეზოს და გულშიგა ნავდელსა ნურას ჩაუშუებს. მისი საკმელი: ცხურის კორცი მუხუდოსა წუენითა მოხარშონ და კამა და ზეთისხილისა ზეთი გაურიონ, და რასაცა საკმელსა ჰკამდეს, შიგან გაურიოს ანგიზოდი, ფილფილა, სათარი, ზირა, ქარუია. და კმელსა ლელუსა თაფლითა

ვისცა ესე სატკივარი სპირდეს, ცივსა წყალსა ნუ სუამს და ნუცა დედაკაცსთანა დაწვების, ორივე იფარეზოს და გულშიგა ნავდელსა ნურას ჩაუშუებს. მისი საკმელი: ცხურის კორცი მუხუდოსა წუენითა მოხარშონ და კამა და ზეთისხილისა ზეთი გაურიონ, და რასაცა საკმელსა ჰკამდეს, შიგან გაურიოს ანგიზოდი, ფილფილა, სათარი, ზირა, ქარუია. და კმელსა ლელუსა თაფლითა

5

10

15

20

v

25

30

35

40

კამდეს, მუცელსა დაუღობს. ასრე უნდა, რომე კმელი ლელუი
თაფლ-წყლითა დააღბოს და აგრე კამოს.

5 თუ სიგრილე ერთობ სკირდეს, კავკავისა ხარშო და ტრედის
კუნდისა ხარშო უნდა კამოს და მუხუდო, შექნილი საკამადად
წყლითა, და შიგან. ცერეცო გაურიონ და აკამონ სადაფითა. საქა-
185r მადო შექნან და ქმელი || ტარხუნა და ქარულია გაურიონ და აკა-
მონ. და კორცი მსუქნისა წითელი გამოარჩიონ და ის გამოარჩეული
ზეთისხილისა ზეთითა შეწუან და კამოს. და კაკისა და ბატისა
კორცი კამოს, კარგად მოუქდების.

10 სხუავე სიგრილისა თავის ტკივილისათუის
აიღე მასტაქი ერთი დანგი, და თეთრი თურბუთი, დაფხეკილი ქერ-
ქი ნახევარ დანგი და ზანჯაბილი ერთი დანგი, და ამათი წონი
შაქარი. მერმე დაიჭირე აყირყა და სათრი და ხარდალი და
ქაფრის ძირისა ქერქი, ცოტა-ცოტა ესე ყულა ჭუმლად დანაყე და
15 გაცარ, და სიქანგუბინი, რომე თაფლითა იყოს შექნილი, შიგან
გაურიე და მერმე თბილითა წყლითა გალესე და ილარდაროს.

მერმე გასინჯეთ, თუ ესე სატკივარი ხანდახან სტომაქიდაღმა
გამოვიდეს, დაიჭირე კამის ძირისა და ნიახურის ძირისა ქერქი, და
თესლი ორისავე, და ქაბრის ძირისა ქერქი და ანისონი, და ნანახვა
20 და სალიხა, და უსთუხუდუს ყარიყონი და პიტნა ველური. ეს ყულა
ერთიბრად მოხარშონ და ვარდის წყალი შიგან გაურიონ და ასუას,
და მასტაქისა ზეთითა სტომაქი და მუცელი დაიზილოს. და წყალი
მოადულოს და შიგან მასტაქი ჩაურიოს, და ისიცა შესუას. გულ-
ბაშქარი, ზირა, მასტაქსა კამდეს, ისიცა არგებს. და ძილისა უამსა
25 ფერკსა აზელინებდეს და კმელი ქინძი და სელი მოაკალოს, ცოტასა
იმასცა კამდეს. თუ ესე სენი თავშიგან იყოს, ყულასა გამოიღებს
და, რაცა ამას ზემოთ საკმელი სწერია, ისი შეიწყოს.

v || სხუა თავის ტკივილისა წამალი რომ სიგ-
რილისა განა სტკიოდეს. ესე გასახსნელი წამალი მიეც.
30 აიღე თურბუთი თეთრი ორი დრამი, იარაჯი, ფეყრა — ერთი დრამი,
ყარიყონი — ერთი დრამი. ესე ყულა დანაყე და თაფლითა მაჭუ-
ნად შექენ და აკმევდი.

თუ მან არ უშუელოს, ესე ტლე შექენ: აიღე ია, ვარდი და
ნელოთარი, თუ[ი]თოსაგან სამი დრამი, სანდალი თეთრი და წითე-
35 ლი, — თუ[ი]თო დრამი ხაშხაში — ერთი დრ[ა]მი და ნახევარი, თარა-
სა, თესლი — ერთი დრამი, ხატმი — ერთი დრამი, ზაფრანა — ერთი
დანგი, ყულა დანაყე და ერთმ[ან]ერჩი[ან] გ[ა]ქურიე, და წყლითა
ტლედ შექენ, შემოსდევე თ[ა]ქსა და უშუელოს.

თუ თავის ტკივილი სისხლისაგან იყოს, მისი ნიშანი ესე იყოს,
40 რომე თუალნი და პირი და შუბლი გ[ა]ქუიწითლდეს და წ[ა]მოკვებ-
დეს, კელისა მაჯა ს[ა]ქსედ და ძალიანად უფეთქდეს და საფეთქე-

ლნი ჩქარად სცემდენ. მას კელი გაუხსენ, ანუ საფეთქელნი და ანუ შუბლი, და ერგოს. და თუ ყმაწურილი იყოს, ყურნი უტრენით და ერგოს. თუ შეკრვით იყოს, გრილითა და სუბუქითა შარბათებითა გახსნან; და თუ შეკრვით არ იყოს, პირველად ყიფალი გქაიხსნან და ვარდის წყალი და ვარდის ზეთი კიქაშვიქაქან ჩაქსხან; და თუ ყინული იშობოდეს, ყანულითა გაქციონ, თუ არა ცივითა წყლითა შუბლსა და გულის პირსა შეიცხოს და შიგან სანდალიცა გქაიროს. საქმელი ყუელა გრილი და სუბუქი შეუწყევით¹, აფიონსა და ქაფურს ისუნებდეს, უ || ნაბისა შარბათსა სუე- 186 r. მდეს, რომე სისხლი დააწყნაროს.

სხუა წამლები სხუასა ქარაბადინ შიგა რაცა ეწეროს, 10
სადა თავის ტკივილისა წამალნი დასრულდებიან, იქი მონახე.

თუ თავის ტკივილი ზაფრიხაგან იყოს, მისი ნიშანი ესე იყოს, რომე ნამეტნავად თავი ცხელი ებას და ფერზედა ყუითლად იყოს, და თუალჩივაცა ყუითლად იყოს, და მაქა წურთლად და ჩქარად სცემდეს, და ერთობ სწყურდებოდეს, და პირი მწარედ ებას და უშრებოდეს, და კორცზედა დამკლდეს. რა ესე ნიშანი ნახო, იცოდი, რომე ზაფრისაგან არის. მას საქმელი ყუელა გრილი და ძმრიანი შეუწყევით, და ტყემლისა ლავაში წყლითა დაალბეთ, 15

ზედა მარილი დაყარეთ და შუბლზედა შემოსდევით, ანუ ახალი ქინძი დანაყეთ და მისითა წუნენითა თავზედა შემოსდევით. თუ ამან არ უშუელოს, ესე ტლე შექენით და შემოსდევით. — აილე ქერის ფქული, ზროხის მაწუნი, ერთმანერთშიგა გაურიეთ და ცოტა ძმარი და კუერცხისა ცილიცა შიგა გაურიოს, შუბლზედა შემოსდვას და ერგოს. და თუ სრულად თავი სტკიოდეს, თავი მოჭპარსეთ და აგრე შემოსდევით, და ერგოს. ბრძანებითა ღთისათა: 20

თუ სისხლი და ზაფრა ერთმანერთშიგა გარეოდეს და თავი მისგან ხტკიოდეს, მისი ნიშანი ესე იყოს, რომე ფერზედა წითლად იყოს და სიყუითლეცა ერთოს, ერთობ სიმკურვალისაგან იქნების. მისი წამალი ესე იყოს, რომ ვარდის წყალი და ვარდის ზეთი და ძმარი, სამივე ერთმანერთშიგან || გაურიოს და ნიადაგ ისუნებდეს და, სადაცა სტკიოდეს, ზედაცა დაიცხებდეს. და საქმელი ზემოსათავის ტკივილისა სიმკურვალისა შეუწყევით, და სასუმელი² ანუ ტკივილისა და ანუ მყავისა ბროწეულისა წუნენი ჭულაბშიგა გაურიოს და იმას სუემდეს. v 30

და თუ მუცელშიგა შეკრვით იყოს, ანუ ტყემლისა და ანუ იისა შარბათსა შესუმიდეს და საზამთროსა წუნენშიგა ისრიმი და შაქარი გაურიონ და შეასუან და რა დაიძინებდეს, ბაზრაცუტუნისა წუნენი შაქრითა შესასუან. და რა ორი დღე გამოვიდეს, ქერის წყალი ასუან. და თუ ძილი არ ევიდებოდეს, ხაშხაშისა და ანუ თარას თესლი მოადულონ და ასუან. და თუ ესე სინი მარჯობ ზაფრისა- 35

- გან იყოს, მეავისა კიტრისა თესლი ანუ აყიროსა თესლისა წყალი შეასუან. და მისი საჰმელი აყიროსა საჰამადი იყოს, და ანუ ასპანახითა და ანუ ოსპითა იყოს, და ისრიმისა წუენსა ასმიდენ. თუ ძილი არ ეკიდებოდეს, ანუ თარას ღერისაგან და ანუ თუხმაქნისა
- 5 ფურცლისა საჰამადსა აჰმევედენ, და თუ საჰამადი მოინდომოს, ანუ სუმაყისა და ანუ კოწახურისა საჰამადი აჰამონ. და ლიმონისა წყალიცა კარგია, და მეავისა თურინჯისაცა კარგია. და ინდოური ხურმა ნუშისა გულისა წუენითა აჰამონ. ახლითა ერბოთა და შირბახტისა ზეთითა შიგან გაურთოს, კარგად მოუქდების.
- 10 და რასაცა კაცსა სიმკურვალისა თავის ტკივილი სჰირდეს, რაცა ამას ზემოთ დაგუიწერია, ეს საჰმელი და წამალი შეუწყევით. თუ უკეთ იყოს და საჰმელი მოინდომოს. წურილსა თევზსა,
- 187 π || ძმრითა შექნილსა, აჰმევედით და მასუკანით ან ღურეჯისა ანუ კაქბისა და ანუ კოქბისა და ან ქათმისა კორცსა აჰმევედით. და თუ
- 15 შეკრვით იყოს, შავისა ტყემლისა საჰამადსა აჰმევედით. მერმე წირანი დააღბეთ და მისი წუენი ასუით, და ოსპისა წყალიცა კარგად მოუქდების. და ინდოურისა ხურმისა საჰამადი აჰამონ, და მერმე ნუშისა გული დანაყონ წმიდად და ისრიმისა წუენშიგა გაურთონ და გალესონ, და შეასუან, და ერგოს. და მერმე თუხმაქნისა ფურცელ(ი) დანაყონ და მეავისა ბროწეულისა წუენშიგა
- 20 გაურთოს, ზედა პური მოაფშენას და აჰამოს.
- კაცსა რომე ჰკუა წაუფა და თავჰელი შეექნების, ისიცა სიმკურვალისა ავადყოფსა ჰგავს და სიმკურვალისაგან არის. თუ ჩჰარად უბნობდეს და მალედ, და ფერზედა ყუითლად და ანუ წითლად წამოჰქებებულ იყოს, იცოდი, რომე სიმკურვალისაგან არის და მისი სატკივარი თავსა და ტუინშიგან არის. თუ ნამეტნავად
- 25 გავარდეს და შესცდეს, რაცა ამას ზემოთ სიმკურვალისაგან თავისა ტკივილისა წამალი და საჰმელი სწერია, ისი შეუწყევ. და ასეთი წამალი შეუწყევ, რომე ძილი მოეკიდოს და ტანშიგა სისუელე
- 30 გამოჩნდეს. და ზემო რომე ხაშხაშისა ხასითი სწერია, ისივე ამა სენისათუის ქნას, — ისივე ნუშისა ზეთი და აყიროსა თესლისა წუენი და ისა ზეთი. და რაგუარაცა ზემო სწერია, იმა წესითა შეუწყევით. და რაცა მანახულისა ერგების, ისივე ამა სენსა ერგების. ასრე უნდა, რომე მუტელშიგა ნიდაგ რბილად იყოს და
- 35 შეკრვით არ იყოს. და ერბოთა გამომცხვარსა პურსა ნუ ჰამს.
- v ერთი თავის ტკივილი სხუა არის, რომე შიგნით გარემო || თავი სრულად ეწვოდეს, და რაგუარაცა მცბროვიალესა აგრე ათრთოლებდეს. ესე სატკივარი უფრო ვაჟსა კაცსა წაეკიდების. ესე მისგან იქნების, რომე ტუინისა საბურავი მდაბლად იქნების და
- 40 თუალსა სინათლესა აკლდეს. აწ მისი წამალი მოგახსენოთ. — მოიღე კუერცხისა ცილი და ვარდისა ზეთი, ერთმანერთ-

შიგა გაურიეთ და ყინულითა გააციეთ და თავზედა შემოსდევით. რაგუარაცა თავზედა გათბეს, ჩამოიღებდეს და კიდევე გააციებდეს და კიდევე შემოიღებდეს, და თუხმაქნისა ფურცელი დაწყალი აყიროსა ამა წყლებსაგან, რომელსაცა იშობებდეს, ვარდის ზეთითა ცივ-ცივსა თავსა შემოიღებდეს.

5

თავის ტივილი თუ შავისა ბალღმისაგან იყოს, რომელ არს სედა, მისი ნიშანი ესე¹ იყოს, რომე პირსა ფერი მოშაოდ სცემდეს და ანუ მომწუანოდ, და ძილი არ ეკიდებოდეს, და კეჟაშეცული იყოს, და თულაზედა წუწი უკმებოდეს და ცხურიცა უკმებოდეს. რა ესე ნიშანი ნახოთ, იცოდით, რომე შავისა ბალღმისაგან არის და სიკმისა და სიგრისისა. მას საჰამადი შეუწყევით: შექნილი ჯულაბი და თორხოლო კუერცხი იყოს; და მსუქნისა ქათმისა ხარშოსა ხურეტდეს, და რაცა მსუქანი კორცი იყოს ხარშოდ შექნილი, იგიცა კარგად მოუქდების, და ნუშის ზეთსაცა იკმარებდით საჰამად-შიგან. და მუდამად დედაკაცისა რძეს თავზედა დააწუელდით, და თბილითა წყლითა ფერკთა იბანდეს, და ვარდის წყალსა სუმიდეს, და თუ არ იყოს, არაყი ტრიფისა შესუას, იგიცა კარგია შაქრითა.

10

15

და || იის ძირი: ხატმი, ვარდი და ია საგებელზედა მოიყაროს, და ისუნებდეს რაცა სურნელი არის, და მათფუხი, აფთიმონი ააღებინოს რომე შავი ბალღამი გამოწმიდოს. და ნურასფერსა შეკვესა

188 r

საჰემოსსა ნუ ქამს. და თუ სტომაქშიგა სიღბე იყოს, მისსა საჰემოსსა ხარშოშიგა ვაშლისა წუენი გაურიოს ან გულბებისა, კარგდ მოუქდების. და თუ სტომაქშიგა ცოტად ცხლად იყოს, ასპანახი ან კიტრის თესლი ან აყიროს თესლი ან ქინძის თესლი, რომელიცა იშოვო, და თუ სამივე იშოვო, ხარშოშიგან გაურიონ, კარგად მოუქდების. და პური, რომე მაგრად გამომცხვარი იყოს და კმელი, დანაყონ და ჯულაბშიგან გაურიოს და შესუას, კარგია. და ნუშის გული და ცოტა კმელი ქინძი, ისიცა კარგად მოუქდების. და თორხოლოსა კუერცხსა ხურეტდეს და აყიროს თესლისა ზეთსა და იისა ზეთსა ყურშიგან იწობდეს და ტერფთა და საჯდომთა იმითა დაიზელდეს.

20

25

მერმე მოიღე ქათმისა ქონი, ახალი კარაქი და კბოსა წუივისა ტუინი, ერთმანერთსა შიგან გაურიოს, და თავსა შემოიდვას. და თუ სტომაქშიგან გრილად იყოს, კორცისა წუენსა ხურეტდეს და ზედა ძუელსა ღუინოსა სუემდეს. და დარიჩინსა ჰამდეს და თორხოლოსა კუერცხისა ყუითელსა ჰამდეს. და იისა ზეთი ცერეცოშიგან გაურიოს და თავზედა შემოიდვას და იმითა ტანიცა დაიზილოს. მერმე მოიღე შაქარი და დანაყე, და მოიღე ნუშის ზეთი და ხურმის წყალი, და ცოტა თაფლი ერთმანერთშიგა || გაურიე და თავსა შემოიდვას. და ესეცა იცოდით, თუ დახედნეთ, რომე მისი სტომაქი გრილად იყოს, ისივე ამასწინათი წამალი ქნას. კუერცხისა გული უცილოდ და იისა ზეთი და ცერეცოსა ზეთი ტლედ შექნას და თავ-

30

35

40

275

ზედა დაიდვას. და ხუარბლისა ნახარშსა¹ თაფლი და რძე გაურიე და შესუას, კარგად მოუქდების ბრძანებითა ლ'თისათა.

5 თავის ტკივილი თუ ბაღღმისაგან იყოს, მისი ნიშანი ესე იყოს, რომე თავი სტკიოდეს და პირზედა თეთრად იყოს, ყურსწინათ საფეთქელისა ძარღუეები სუსტად და წყნარად და რბილად უცემდეს და სხუილი იყოს და სქელი, და არა სწყურდებოდეს. მისი წამალი: მარზანგოში ვარდის ზეთითა მოადუღეთ და კიდევა სუას და კიდევა შეიცხოს თავსა, და ცეცხლის პირსა ჯდებოდეს.

10 სხუა თავის ტკივილისა წამლები, იქით მონახე, სადა ამისნი წამალნი დასრულდებიან, ამისსა ბოლოსა.

15 კაცო რომე ანაზღა წაიქცეს, ან ცხენი წამოექცეს, და ან მალლით ჩამოვარდეს და დაეცეს, ანუ ტუინი დაერყიოს და მასზედა ტკივილი დაემართოს თავისა, უწინა ყიფალი გაიხსნას. მერმე მოიღე მურტისა ზეთი და ვარდისა ზეთი, ტლედ ქენ და შუბლზედა შემოსდევ. და აქალისა ძარღუი გაიკსნას და თავზედა კოტუში მოიკიდოს. და ხილი კამოს, რომე მუცელი დაუღბოს.

189 r თუ ცხელება დაერთოს, აინაბუსალაბისა წყლითა ხუთი მუტკალი ხიარი-შამბარი² შესუას. და თუ სიმსიენე დაერთოს, წითელი 20 ესე ყუელა მსივანსა და თავზედა შემოსდვას.

25 თუ ამა სატკივარისაგან ტუინი დარყედეს, ორი მუტკალი უსთუხუდოს დანაყე და გაცარ, და ჯულაბითა შესუას. და მისი საკმელი ან ქათმისა და ან ბატკნისა ტუინი იყოს. და მერმე ბროწყელისა წყალი შესუას, რომე ტომაქსა ძალი მისცეს.

30 ტუინისათუ ის ვე, რომელი გააძლიერებს და გაადნობს ნოტიოსა ტუინსა შინა. — აიღე ზაფრანი და მასტაქი და კაქბისა ნავლელი, თუითო — დრამისა წონი, მუშკი — ორისა დანგისა წონი, ქაფური — ნახევარ-დრამისა წონი, დანაყე და დაცარ, და კამისა ნედლისა წყლითა შეზიღე, მარცულად შექმენ ვითა პილპილი და, ოდეს გიკმდეს, ქალის: დედისა რძითა ცხურთა ჩაასხი.

35 თავი რომელსა სტკიოდეს და ტუინსაცა იტკივნებდეს, ცერეცოსა ძირი წყლითა შეაგბე და იმით ბანდი.

თავსა თუ ბრუ ესხმოდეს, ბავრუკი წითელი მოგალე, ლუინითა გაადგინე, და ორთავე ცხურთა. უწოვე კოვზი ერთი.

40 თუ მოტეხილსა რამე, ან თავის გატეხისა და დანაყილობისა სატკივარი დართვოდეს, მურტისა ფურცელი, — დანაყილი და გაცრილი და გაწმედილი, — და მურტი ორივე სწორად ქნას და მტკივანზედა შემოსდვას.

თუ დანაყილი გასივებოდეს, ვარდის წყლითა დაიზილოს, გაკუეთილსა ერთად მოპყრის; და თუ ერთად ვერ შეყაროს, მერმე ფოლადისა ნემსითა შეუკერეთ. მერმე ესე მალამა შექენ და ზედა შემოსდეგ. — დაიჭირე საბრი, ანძარუთი და საკუმეველი, ამისგანვე ორ-ორი მიტყალი, და მალახუნი და მური წმიდა, ორისაგანვე ხუთ-ხუთი მიტყალი. ესე ყულა ჭუმლად დანაყეთ || და კუერცხის ცილშიგან გაურით და ზედან შემოსდეგით, და ამა გახეთქილსა სანდლისა და ფუფულისა მალამა მოსცხეთ.

5
r

აწ ესე დავწეროთ, რომე კაცსა სიტყუა ვიწყებოდეს და რასაცა შეინახევდეს, იგიცა ვიწყებოდეს. ესე სენი ტუინშიგა შეიქნების ორისაგან იქნების — სიმკურვალისაგან ან სიგრილისაგან, რომე ტუინშიგა სჭირდეს, და ან სინედლისაგან. ესე მისგან იქნების, რომე ტუინსა მისჭირვებოდეს. ამისი წამალი რაცა თავქედისათვის დაგუიწერაბ, ისივე ამას ერგების, და ვაჯი, რომე გაზრდილიყოს, ისიცა კარგად მოუქდების, და საკუმლისა მაჭუნიცა ერგების, და ქარიანსა ალაგსა ჯდომა აწყენს და ერიდებოდეს.

10
15

და თუ ცხრო და თავქედი არა სჭირდეს და წალმა-უკულმა სიტყუასა სტყორცნიდეს, ისი სიმკურვალისაგან და სიკმელისაგან იქნების მისი საქმელი ბატკნისა ფავ-ფერკისა ნახარში იყოს, და შაქრის წყალი შესუას, და ნუშის ზეთისა მალამა თავზედა დაიდვას. და ასეთი საქმელი შეუწყევით, რომე ძილი მოევიდოს. ესე სენი მანახულისა ჰვაეს.

20

თუ ტუინშიგა ცხლად იყოს, მას ბაანის მაჭუნი შეუწყევით. დაიჭირე ბაანი და ვაჩი, ზანჯაბილი და სოთი და დარაფილფილი, თუითოსაგან ოთხ-ოთხი დრამი. ესე ჭუმლად დანაყე და თავლითა მაჭუნად შექენ, და ორმოცსა დღესა კოლოფითა ქერშიგა ჩადვას, მერმე მისგან იკმაროს და ჰამოს ორ-ორი მუტყალი.

25

თავის ტკივილი რომე მზისაგან იყოს და სიცხეშიგან სიარული მისჭირვებოდეს და მისგან სტკიოდეს, მისი წამალი: ნიდაგ ტირიფისა ჩრდილსა ქუეშე დაწვებოდეს და ნედლისა ტირიფისა ფურცლისა წუენი და ძმარი და ვარდის წყალი, ქაფური და თეთრი სანდალი ერთმანერთსა შიგან გაურითს და შუბლსა შესცხოს, და ყიფალიცა გაუხსნას და შუბლიცა გაუხსნას.

30

თავის ტკივილი რომე ცასა ქუეშე წოლისაგან დემართოს. მისი ნიშანი ესე იყოს, რომე თავის ტკივილშიგა სურდოცა შეექნას რა ესე წაევიდოს, ფარეზი უნდა ყოვლისა მჟავისაგან. და თუ თავის ტკივილი ერთობ მოუვიდეს და კმაცა ჩაპკდეს, ცოტად და რაგუარაცა დაიძინოს, ფერად-ფერადი სიზმარი ეზმანოს და ძილიცა ცოტა მოუვიდოდეს. მისი წამალი: ძმარი და ვარდის წყალი გაათბე და თავზედა შესცხოს, და ცოტა ჭუნდი ბადასტარცა გაურითს შიგა. ჭულაბი და თაფლი ერთმანერთსა გაურითს შიგა.

35

40

მერმე პიტნა და ყაისუმი წყლითა მოადღუღე, და ორივე ფერკი იმა წყლითა დაიბანოს და საკმელად ჭულაბშიგა პური ჩაყაროს და ჭამოს.

თუ თავის ტკივილი ქარისაგან იყოს, მისი ნიშანი ესე იყოს, რომე თავი ნიადაგ სუბუქად ჰქონდეს და ყურშიგან ქარი უშუო-
5 191 r დეს, და თავის ტკივილი ერთხელ მწუავედ || მოუვიდეს და ერ-
[თ]ხელ უფრო არა. მისი წამალი ესე არის: ყოველთა დღეთა თუითო ღრამი იარაჯი მიეც, რომე ჭამოს. მერმე მოიღე მარზან-
გოში, ბაბუნაჯი და ყაისუმი, სამივე წყლითა მოადღუღე და თავი
10 მისსა ორთქლსა ზედა დაიჭიროს და ზედა წამოიბუროს, რომე ორთქლი თავშიგა შეუვიდეს. და საკმელი ცოტა ჭამოს და, რაცა ჭამოს, მკურვალნი და რბილი ჭამოს.

თავის ტკივილი თუ მრავალჯერ დედაკაცსა თანა მისულაზედა დამართებოდეს, მისი ნიშანი ესე იყოს, რომე ამასთანა სიკმეცა
15 დამართებოდეს თავსა შიგან. მისი ნიშანი ესე იყოს: თუალმან ბნელება დაუწყოს და პირიცა უგემურად შეექნას. მისი წამალი: წითლისა შაქრისა ფალუდავი შექნას და იისა ზეთი შიგან გაურიოს, და თავზედა ტლედ შემოსდებდით. და შარბათიცა შეასუით. და საკმელად მსუქნის ქათმისა ხარშო შეაქნევინეთ და
20 შიგან ზარაცა გაურიოს და აჭამოს. და იისა ზეთი და ნუშისა ზეთი ერთმანერთშიგა გაურიოს და ყელსა ზემოთსა თავსა შეიცხოს.

თავის ტკივილი თუ შიშშილისაგან იყოს, მისი ნიშანი ესე იყოს. — საფეთქელნი და ყელის ძარღუები უფეთქდეს და თუალნი ჩასცუივნოდენ და ფერიცა შესცლოდეს. ვარდის წყლითა და
25 ძმრითა ცხური დაიბანოს და მოკალული ქერი დაფქვას, თარასა, და შაქარშიგან გაურიოს, შექნას და აჭამოს. სანდალი, ქაფური და ვარდის წყალი ერთმანერ || თშიგან გაურიოს, ტლედ შექნას და მუღამად თავზედან შესცხებდეს. და პურსა ჭულაბშიგან ჩაჰყარიდეს და აჭმევდეს, ან კიტრისა გულსა აჭმევდეს; ან ქაფური და
30 ქაასინი და ძმარი, სამივე, ერთმანერთსა გაურიოს და აჭამოს პურიითა, და მშვიერი ნუ დაჯდების.

თავის ტკივილი, რომე დავარა ჰქუიან. თუ მისგან იყოს, მისი ნიშანი ესე იყოს, რომე, თუ გუერდი იქციოს, თავის ტკივილი მოუმატოს და მერმე უკმელად იყოს, მაშინცა სტკიოდეს. მისი
35 წამალი: აბიყუყა ააღებინოს, თუ ძალი ჰქონდეს და, თუ ძალი არა ჰქონდეს და ერთობ სუსტად იყოს, მაშინ მოიღე თარანგუბინი, თაბირინდი და ხ[ი]არნი-შამბარისა გული, და შარხინშიტი და ია, მოადღუღე და მისითა წუენითა შეასუი, რომე მუცელი გაუხსნას. მერმე ძმარი ვარდის ზეთშიგან გაურიონ და მუღამად თავზედა
40 შესცხებდენ, და პურსა შაქრის ჭულაბითა დააბლობდენ და აგრე აჭმევდენ.

სხუა თავის ტკივილი, რომე ბაიზარა ჰქუიან. მისი ნიშანი ესე იყოს, რომე სრულად თავი ყელამდი სტკიოდეს. ესე ორისა ფერი-საგან არის: ერთი სიგრილისაგან და ერთი სიმკურვალისაგან. მისი ნიშანი ესე იყოს, რომე, თუ სიმკურვალისაგან იყოს, თუალნი გაუწითლდენ და გამოლმა გამოუსხდენ. მისი წამალი || ალილა 192 r. უნდა მისცენ ტყემლისა შარბათითა და ვარდითა. 5

თუ სიგრილისაგან იყოს, მისი ნიშანი ესე იყოს, რომე კელი რომე შემოსდვას თავსა, ცივი იყოს, და არა სწყურდებოდეს, ღამით უფრო მტკიენეულად იყოს და ღღისით უფრო სუბუქად იყოს. მისი წამალი: აბი-შაბარი ააღებინონ და იფარეზოს, და ნარგისი და შასაფარლამი გარეშემო მოუყარეთ, რომე ისუნებ-დეს. და კელის მანდილი დაასოვლე თბილითა წყლითა და თავზედა შემოსდებდი და მუდამად კელ-ფერკსა უზელდი და საკმელი სწო-რი შეუწყვიტეთ. 10

სხუა თავის ტკივილი იქნების, რომე სიმკურვალისაგან სტკიო-დეს ანუ სევდისაგან ანუ ბევრისა მარხვისაგან. მისი ნიშანი ესე-იყოს, რომე პირი ასრე ცხელი ებას, თუ სთქუა, ცეცხლი ედებო-სო, და თუალშიგა წყალი უგუბდებოდეს და შუბლისა ძარღუნი გამოსხდომოდენ, და მუცელშიგან შეკრვით იყოს, და თავი ხან სტკიოდეს და ხან არა. რა ესე ნიშანი ნახო, იცოდდი, რომე სიმკურ-ვალისა და სიკმელისაგან არის და ვისცა ესე სენი სკირდეს, მას 20 კაცსა ასრე მართებს, რომე, რა აღდგომისა სამი ღლე გამოვიდეს, ძალზედან და ზომით და წესითა სისხლი გამოუშუას, მას უკანით აცალე, რომე ათი ღლე გამოვიდეს. წამალი ააღებინე ამა

წესითა: აიღე ყუითელი ალილა და შავი ალილა და ქუაბულუ-რი ალილა, გურკისაგან გამოღებული, თუითოსაგან შუიდ-შუიდი 25 დრამი, ია და ვარდი — თუითოსაგან ოთხ- || ოთხი დრამი, ძირთაფ-ლისა ძირი გაფხეკილი — ხუთი დრამი, ღრინქოლასა თესლი — ერთი დრამი, კარის-ენა — ათი დრამი, ბარამბო — ხუთი დრამი, აფთიმონი — სამი დრამი, კმელი აფსინდი — ორი დრამი, დანაყილი 30 ქინძი — ერთი დრამი, თაბირინდი, გურკისაგან გამოღებული, — ოცი დრამი, წითელი ჩამიჩი — ოცი დრამი, უნაპი — ოცდაათი

მარცხალი, პიტნა — ხუთი ძირი. ესე წამლები ყუალა ერთპირად წმიდასა ჭურჭელშიგა ჩადევ, ორი ლიტრა წყალი დაასხი, ერთსა ღამესა დააღბე, მერმე აღუღე მანამდი, რომე ნახევარზედა მიიყა-როს. მერმე წმიდითა სამოსლითა გაწურე, მერმე ამა გაწურვილსა 35 წუენშიგა გაურიე, მოიღე რევანდი, მასტაქი და ლაყუარდის ქვა, თუითოსაგან ნახევარ-დრამი, დანაყე და გაცარით, და შაქარი — ოცი დრამი. ესე ყუალა იმა წუენშიგა გაურიეთ და, ვისცა ისი სენი სკირდეს, შეასუით და აცალე, რომე გაწმდეს წამალი. მერმე ნელთბილითა წყლითა შაქრისა შარბათი შექენ და შეასუი, და 40

აცალე, რომე, თუ რამე მუცელშიგან იყოს, გაილოს. მერმე ცივითა
 წყლითა შაქრისავე ჟულაბი შექენ და შიგან ბაზრაცატუნი ჩაყარე
 და შეასუი, რაგუარაცა წამ[ა]ლიდალმა გამოვიდეს, მერმე ცოტა
 5 პური ჭამოს და სამი პირი თეთრი ლუინო შესუას. ესე წამალი
 ერთხელ შემოდგომაჩიგა მიეც და ერთხელ გაზაფხულ, და უზმამან
 193 r ათასი ბიჯი იაროს. მერმე მას უქანით მოილოს სიქანჯაბინი — ოცი
 ოთხსა დღესა ზედა ზედა, მერმე ოთხი დღე გამოუშუას შუა და
 კიდევე ამა წესითა იქმოდეს. და ნიადაგ იქმოდი ამა წესითა ზამ-
 10 თრის და ზაფხულის, და ღამით ტკბილსა ბროწეულსა ჩამდეს და
 დილეულად თბილითა წყლითა ფერკთა იბანდეს, და აბანოს შევი-
 დოდეს და თავსა ტუხტითა დაიბანდეს, და ტანი ანაკუეთითა და
 ძმრითა დააზელნოს და, რა თავი ტკივილსა დაუწყებდეს, ცხირ-
 ჩიგან იის ზეთსა ჩაუშებდით და კეთა იის ზეთითა შეუმწნას და
 15 ზოგ-ზოგჯერ ერბოსა და ქალის დედისა რძესა იცხებდეს. და, რა
 ხანი გამოვიდეს, აილოს ოცი დრამი თაბირინდი, ქერის წუენითა
 შესუას, და მერმე სუბუქი საკმელი ჭამოს და ცოტა ლუინო შესუას
 თეთრი.

20 სხუა წამალი ამავე სენისათუის: აილე ქაკუნტ-
 ლის ძირი, დაწურე და ვარდის ზეთი გაურიე და ცხირჩიგან
 ჩაუშუი.

სხუა ამავე თავის ტკივილისათუის: აილე
 გაუხურეტელი გუნდი, დალეწე და გული გამოართუი, წყლითა
 გაქენ და ცხირჩიგა ჩაუშუი, და თავი დაღმა ქნას და, რაცა სენი
 25 იყოს კეფაშიგა, გამოვიდეს და კოტოშიცა მოიკიდოს.

სხუა თავის ტკივილისავე: აილე ყუავის ტუინი,
 გაქენ წყლითა და მარჯუნისა მკარისა — მარჯუნით ჩაუშუი და
 მარცხენისა — მარცხენით ჩაუშუი, და ერგოს. ამავე წესითა მამ-
 30 ლისა და ჩიტისა ტუინი ქენ.

30 ნიშანი თავქედისა, რომე იმისთანა მუტფახი ცხრო გაერიოს
 და არასათუი არ გაეყაროს. მისი ნიშანი ესე არის, რომე თავი
 მძიმედ ჰქონდეს და ენაზედაცა მძიმედ იყოს, და თუალეზი გაუ-
 წითლდეს და თავის ტკივილი ერთობ მოუვი || დოდეს. და ესეცა
 35 იქნების, რომე ხანი გამოვიდეს და უკეთ შეიქნას, ხანდახან რეგუნად
 უბნობდეს და ხანდახან არა. ესე თუ ასრე სჭირდეს, იცოდით, რომე
 ორისა ნიშანი არის — და თავქედი და ცხრო არის. მისი წამალი
 ესე არის, რომე ხალვათსა ადგილსა შეინახეთ, და დიდისა
 კმისა და დიდისა საუბრისაგან ფარეზად შეინახეთ, და მუდამად
 40 დედაკაცისა რძე თავზედა დააწუეღეთ. და თუ ძალიანად იყოს,
 გასაქსნელი წამალი მიეცი. და თუ სუსტად იყოს, ხილითა, წყლი-
 თა და შარბინითა, ქაფურითა და ვარდის წყლითა ქაასინის

წუენი, ხიარი-შამბრისა გული, ესე ყულა გასახსნელი შეუწყევით, თუითოსაგან თუითო მუტყალი გამოწურე და შეასუემლი სანად- 5
 დი ამა სენიდალმა გამოწმდებოდეს. და ასეთსა ნურას აკმევთ, რომე შეკრას. საკმელად ქერის კორკიტშიგან სინჯიტსა, იასა და სეფისტონსა მოადლელებლით და მას აკმევლით, და სასთაულზედა იასა და ტირიფისა ფურცელსა მოუყრილით და, რა მოიჯობინოს, წმიდისა ფქუილისაგან ატრიასა შეიქმოდით და მისსა წუენშიგა 10
 ჯულაბსა გაურევლით და აგრე ახურეტლით. და თუ შემოდგომანი იყუნენ, ასპანახისა საკამადსა აკმევლით, ვირე არა გამრთელდეს. ნუ გაუშუებთ, რომე ან ეუბნოს ვინმე, ან ისაქმოს რამე, ანუ სხუა რამე ქნას, მას ყულა აწყენს.

დ. კარი გომთხე
 უძილოზისა

თუ კაცსა უძილობა სკირდეს, ორჯელ დაემართების, ერთხელ 15
 სიბერისა დროსა და ერთი || ავად ჳოფაშიგან. თუ სიბერეშიგან 190 r წაევიდოს, რომე ძილი არ მოუვიდოდეს, საკმელი შეუწყევით მსუქნისა ქათმისა ხარშო და კავკავისა ხარშო და წურილსა თევზსა ძმრითა შექნილსა აკმევლით, და ბატენისა კორცსა აკმევლით; და 20
 ამა საკმელშიგა ცოტასა დარიჩინსა და თარას ფურცელსა ურევ-ლით, და მლაშე და მკავე საკმელი იფარეზოს.

უძილოზისათუის წამალი. ხაშხაშისა შარბათი ასუით და, თუ უფრო ძილი უნდოდეს, ნახევარ-დანგი აფიონი გაურჩიეთ და შეასუით, და თუ უფრო ძილი უნდოდეს, ერთი 25
 დანგი¹ გაურჩიეთ, და შეასუით.

თუ საძილოსა წამალსა იქმოდე, დაიჭირე ნიახურისა თესლი,— ორისა დრამისა წონი, და ხაშხაშისა თესლი, რომელ არს ყაყა- 30
 ჩოსა,— ერთისა დრამისა წონი, ლემის თესლი— ხუთისა დრამისა წონი. ესე დანაყენ და თაფლითა შეზილენ და, ოდეს გინდეს, ერთისა დრამისა წონი შეასუი წყლითა. და თუ გალუიძება გინ- 30
 დოდეს, ცხარი ძმარი თავსა ასხი და გაილუიძენს.

თუ კაცსა ავად ყოფისაგან უძილობა დაერთოს, ამისგან იქნე- 35
 ბის, რომე ტანშიგა სენი რამე შერჩომოდეს და ან ტუენშიგა ბუხარი რამე დარჩომოდეს. პირველად წამალი ჳამოს, რომე ისი სენი გაიღოს. და მერმე რაცა ამას ჳემოთ სიბერისა საკმელი სწერია, ისი შეუწყონ. და ძილისა დროსა ბარკალნი და მკლავნი შეუყრენ და მერმე ულოცონ და ეუბნონ, რომე არ დაიძინოს; და მოიღალოს, 35
 კარგი ლაპარაკი გაუხშირონ. და რა ხანი გამოვი || დეს და კარგად 40
 მოეწყინოს, ბარკალნი და მკლავნი გაუხსნენ, მერმე მოეცალენ, რომე მოისუენოს და დაიძინოს.

თავსა რომე გრუ ესხმოდეს

194 Ⴀ მისი ნიშანი ესე არის, რომე, რა აღგეს, თავსა ბრუ ესხმოდეს
 5 და ასრე Ⴀ ეგონოს, ვითამ მთადაბარი ყულა ბრუნავსო, წაქცევისა-
 გან ეშინოდეს და თუალნი უბნელდებოდენ, და ხანდახან კიდეცა
 შეზნდებოდეს და ჭკუაყა შეეცულებოდეს, და ბუზივითა თვალთა
 წინა რამე აუჩნდებოდეს და, თუ იჯდეს და თუ იდგეს, ასრე ეგო-
 ნოს, ყოველი მთა და ბარი ბრუნავსო. ესე სამისა ფერისაგან
 10 იქნების: ერთი სისხლისაგან, ერთი ზაფრისაგან და ერთი სევდი-
 საგან.

მისი ნიშანი და ვწერათ.—თუ თუალნი და ფერი წითელი
 იყოს და ყურსწინათ რომე ძარლუი არის, ისი სავსე იყოს და ძა-
 ლიანად ფეთქდეს, იცოდი, რომე სისხლისაგან არის. იმას თავზედა
 კოტოში უნდა მოჰკიდოს და მერმე ყითალი გაუხსნას, ანუ ისი,
 15 რომე ყურსწინათ ძარლუი არის, ისი გაუხსენ. და ფერკისა სათა-
 გულთა ძარლუებიცა გაუხსენ, თავზედა კოტოშიცა მოჰკიდე. და თუ
 ისი ყურისა ძარლუი არ ფეთქდეს და სავსე არ იყოს, ნუ გაუხსნი.
 და მკლავისა ყითალი გაუხსენ და ზედა ჭიქისა კოტოში მოჰკიდოს,
 და ასეთი შარბათები შეუწყვიეთ, რომე სისხლი დააწყნაროს; უნა-
 20 ბისა შარბათი და ისეთი უნაბიცა კარგი არის.

თუ ზაფრისაგან იყოს, მისი ნიშანი ესე იყოს, რომე თავი ნა-
 მეტნავად ცხლად ჰქონდეს და თუალთა გარეშემო უყუთლოოდეს,
 და პირი მწარე ებას. რა ესე ნახო, იცოდი რომე ზაფრისაგან არის.
 მას ესე უნდა რომე უწინა ხილთა წყალი ასუას, რომე
 25 მუცელი დაუღბოს, და მერმე ბროწეულისა წუენშიგა ცოტა საყა-
 მუნია და შარიხიშტი გაურიეთ და შეასუთ, რომე გახსნას, თუ
 30 მასზედა კიდეცა არწყიოს, ისი სჯობს, და მასუკანით რბილი Ⴀ საჭ-
 მელი ჭამოს, რომე მუცელი კიდევ დაუღბოს. მერმე ისრიმისა და
 ლიმოსა შარბათსა სუმიდეს. და ამისი საჭმელი ისრიმითა და კოწა-
 ხურითა, და სუმაყითა და ბროწეულისა წყლითა იყოს, და ისრიმითა
 შექნილსა ჭათემსა ჭამდეს და თიკნის კორცსა და კაკაბსა და დურა-
 35 ჟსა ჭამდეს. მერმე ესე მათ ფუხი შეასუი: აიღე
 ყუითელი ალილა ოცდაერთი ღრამი, თაბირინდი — ოცი ღრამი,
 კმელი ქლიავი — თხუთმეტი მარცუალი, უნაბი — ოცდაათი მარ-
 40 ცუალი, კმელი ია — ხუთი ღრამი, წითელი ვარდი — ოთხი ღრამი,
 ქინძი — სამი ღრამი. ესე ყულა ერთპირად წმიდასა ქოთანშიგა
 ჩაყარე და ზედა ორი ლიტრა წყალი დაასხი, და ერთსა დღესა და
 ერთსა ღამესა დააღბე. მერმე ცეცხლზედა შემოდგი და აადუღე
 მანამდი, ვორე ნახევარ-ლიტრა დარჩეს; მერმე გაწურე, აიღე თაფ-
 40 ლი და შიგან გაურიე. და მერმე აიღე იმა წყლისაგან ასი ღრამი და

ჭურჭელშიგან ჩაასხი, მერმე აიღე თურბუთი დანაყილი და გაცრი-
ლი, შიგან გაურიე, და თხუთმეტი ღრამი შაქარი გაურიე, და სალა-
მოსა, ძილისა ჟამსა, შეასუი, ლუინისა და კორცისაგან ფარეზად
შეინახე. და გამოუშუი შუა-შუა სამი ღლე და იმავე წესითა კიდევ
შეასუი და უშუელოს ღმრთითა. და ამასუკანით ცოტასა აღილასა
გაურიევდით სიქანგუბინშიგან და აქმევდით. 5

თუ სევდისაგან იყოს, მისი ნიშანი ესე იყოს, რომე ფერზედან
მოშაოდ და ტყუივისფერად იყოს და უძილობა სჭირდეს, და თავი
ცხლად არაჲ ჰქონდეს. თუ ესე ნიშანი ნახო, იცოდი, რომე || შავისა 195 r
ბალღმისაგან არის, რომელ არს სევდა. მას ასრე უნდა, რომე
გასინჯეთ, თუ გული უზნდებოდეს და ეშლებოდეს, ცერეცოსა 10
წყალი შეასუით, თბილი, და პირსა კარგად წააგდებინოს, კელი
ჩაიყოს და აგრე ამოიღოს. მერმე სამი ღლე მოსიუნოს ფარეზად
შეინახე ყოვლისა მჟავისა და წუელისაგან. მერმე მიეც ესე გასაქ-
სნელი წამალი აიღე საბრი, სკუნტრი და შამიანდალი, და მას-
ტაქი, აფსინდი და თეთრი საკუმელი, თუითოსაგან ნახევარ-ღრამი, 15
დანაყე და გაცარ, და ცივითა წყლითა შეზილე ერთპირად, და
პილპილისა თდენი აბიბი შექენ და ჩრდილშიგა გააქმე, და სალა-
მოდ მიეც, ვითა სხუისა დაგუიწერია მით წესითა.

იმავე სენისათუის. აიღე მუშვი ერთისა ქერისა წონი,
კალიის თესლი და წახანელიქი — ორისა ქერისა წონი, და ზაფრა- 20
ნი — ერთი დანგი, ჭურჭელშიგან ჩადე და ცოტა გემრიელი ლუინო
დაასხი ზედა, და ცოტად აღდე. მერმე ცოტასა ხანსა ცხურთა
წინა დაიჭიროს, რომელ ძალი ცხურთა და თავშიგან გაუვიდეს, და
მერმე შეასუით და უშუელოს ღმრთითა.

სხუავე წამალი იმა სენისათუის. — აიღე 25
გულბა შაქარი, უდიდა მასტაქი. ესე ყულა ერთმანერთსა შიგან
გაურიოს და შეასუას, და მოდუღებულთა ბაბუნაჯისა წყლითა
ფერტთა დაიზელდეს, და საკუმელად შექნილსა მუხუდოსა სათარითა
და დარიჩინითა ჰამდეს, და ღურაჯისა, კაქბისა და კოკბისა კორცსა
საჭამადად შექნილსა ჰამდეს. 30

3. კარი [მედიკსა]

შაპიკისა და ნახევარ-თავი რომე სტაიოდეს, ხან ერთკე და ხან მორანსა კარძსა

რამე კაცსა შაკივი დაემართ || ოს, იცოდი, რომე ორისა ფე- v
რისაგან არის: სისხლისაგან და ზაფრისაგან. თუ სისხლისაგან არის, 35
მისი წამალი ესე არის რომე სითყევა სტაიოდეს, იმა მკრით
ყიფალი გაუხსენ. და საკუმელად ოსპისა საჭამადი შეუქენ და შეუწ-
ყევით, ძმრითა, ზაფრანითა და ტაბაშირითა შექნილი. და წყლის

მაგიერად ხილთა წყალი შეასუთ, და უნაპისა შარბათსა ასუემდით. და ქათური, ვარდის წყალი, და ძმარი და სანდალი, ესე სამივე (!), წყლითა ვალესეთ და თავზედა, სადაცა სტკიოდეს, შესცხებდით.

5 ამავე წამლითა მჩუარი დაასოვლეთ და თავზედა შემოსდევით. და დილეულად ჯულაშიგან ბაზრაცატუნსა ჩაპყრიდით და შეასუემდით. და ნიდავ ვარდის წყალსა ისუნებდეს. სამსა დღესა ასრე შეინახე და მერმე ესე წამალი შეასუი, რომე ამას ზემოთ ბრუსათუი დაეწერეთ. ალილისა მათფუხი ისი შეასუით, და საქმელად ან ტყემლითა ან თუთუბითა ან კოწახურითჲ მკავითა შეუწყევით; თუ აყიროსა დრო იყოს, ნედლისა აყიროსა წუენითა საქმელშიგან გაუჩრევდით. მერმე ნედლი აყირო დანაყე და ზედა ცივი წყალი დაასხი, და მერმე გამოწურე და შიგან ჯულაბი გაუჩიროს, და ცივიცისა მუდამ ასმიდენ. დაიჭირე ხილთა წყალი, მერმე მოიღე თაბირინდი, ხიარი-შამბრისა გული და თარანგუბინი, თუითოსაგან შუიდ-შუიდი მიტყალი, იმა ხილთა წყალშიგან გაუჩრე და გამოწუროს, და ასუმიდენ.

10 თუ სიგრილისაგან იყოს, მაშინ ესე სიმკურვალისა ნიშანი, რომე დაეწერეთ, მისგან არცა ერთი სჭირდეს და პირის სახ || ეცა თეთრი ებას, და ტკივილი ცოტა-ცოტა იყოს. იმას აბიყუყია ააღებინეთ, და რაცა სიგრილისა თავის ტკივილისათუის დაგუიწერია, ისი უყავით.

15 სხუა ნიშანი: ნახევარ-თავი ზოგჯერ მარჯუენით სტკიოდეს და ზოგჯერ მარცხენით. ესე ორისა ფერისაგან ბქნების: ერთი სისხლისაგან და ერთი ზაფრისაგან. თუ სისხლისაგან იყოს, მისი ნიშანი ესე არის, რომე თავი სტკიოდეს და თავისა და ყელისა ძარღუები ადგომილიყოს, და ძალიანად და ჩქარად სცემდეს, და თუალებიცა გასწითლებოდეს და ფერზედა წითლად იყოს. რა ესე ნიშანი ნახო, იცოდო, რომე სისხლისაგან არის. მისი წამალი: პირველად კელი გაუხსენ, ყიფალი, და მერმე გასახსნელი წამალი ააღებინე ტყემლისა შარბათითა. აიღე თარანგუბინი, შირიხიშტი და თაბირინდი, თუითოსაგან ხუთ-ხუთი დრამი, ასუით იმა ტყემლისა შარბათითა.

25 სხუავე წამალი იმა სენისათუის. აიღე ვარდო, ია და ქინძი, თუითოსაგან თუითო დრამი, და დანაყე ყუალაი და გაცარ. და აიღე ამა წამლებისაგან ერთი დრამი, და ერთი დრამი შაქარი გაუჩრე, და შეასუი მრავალთა დღეთა და უშუელოს დმრათითა.

30 თუ ზაფრისაგან იყოს, მისი ნიშანი ესე არის, რომე ნახევარ-თავი სტკიოდეს, და კელი რომე დასდვა, ცეცხლივითა ცხელი იყოს, და ნამეტნავად სწყურდებოდეს და პირი მწარე ებას. იცოდით, რა ესე ნიშანი ნახო, ზაფრა არის. მისი წამალი

ზაფრისათვის რომე გასახსნელი წამალი სწერია სუბუქები, იმითა მუცელი გაუხსენ და ა ა ტ || რეფული სიქანგუბინშიგან გაურიე და შეასუი. მერმე ყუიოლისა და ქუაბულურისა ალილისა წუენი, იის ზეთი. ნარდის წყალი და ძმარი ერთმანერთშიგან გაურიოს და თავზედა შემოსცხოს, და თუ კაცი მსუქანი იყოს, იარაჯი ფეყარა ოლარლაროს.

ამავე სენისათვის. თუ სიგრილისაგან იყოს, თავსა და პირშიგან სიწითლე არ იყოს. და თუ გრილი რამე ზედა დასდვა, ისი ეწყინებოდეს, ანუ ცივი ქარი ეწყინებოდეს; ისი ყოვლისა მჟავისა, გრილისა და მძიმისა საკმლისაგან ფარეზად შეინახეთ. მერმე ესე წამლები მიეცით: აიღე საბრი დანაყილი და გაცრილი, ათი დრამი, შამინდალი და მასტაქი და უსთუხუდუს დანაყილი და გაცრილი, თუითოსაგან — სამ-სამი დრამი, ნიახურისა წყლითა შეზილე და პილპილისა ოდენი დაამრგუალე და ჩრდილსა გააქმე, და ძილისა ჟამსა შეასუი სამი დრამი თბილითა წყლითა და დაიძინოს. და რა ადგეს დილასა, სადილობისა ჟამსა თბილი წყალი კიდევე შესუას, და საღამოსა ჟამსა საკმელი მიეც. ცერეცოსა წყლითა ცოტა ღუინო ასუი. და მერმე სამი დღე გამოვიდეს, თუ ეშუელოს კარგია, თუ არა კიდევე უყავ იმა წესითა.

სხუა წამალი ნახევარ-თავისა ტკივილისა. აფსინდი მოადლე და მისი წყალი დაახსი თავსა.

სხუა წამალი. აიღე იის ზეთი, კუერცხის ცილი და შაქარი, სწორი. ერთმანერთშიგან გაურიე და სითყეცა სტკიოდეს, იმა შქარსა ცხუირშიგა ჩაუწთეე სამი წუეთი. სხუა წამალი იმავე სენისა: აიღე ზაფრანი და ტაბარზადი შაქარი და დედაკაცისა რძითა იმავე || ცხუირჩიგა ჩაუშუი.

იმავე სენისათვის. წურბელი მოიკიდოს; და ერთი დღე კიდევე შუაშიგან გამოუშუას და კიდევე მოიკიდოს, მერმე ერთი დღე კიდევე გამოუშუას და კიდევე მოიკიდოს. სამჯერ ასრე ქნას, წინა-უქანა, და მერმე კულიავისა ზეთი შესცხე და უშუელოს ღმრითა.

აჟ ამას ჟუემოთ თავის ტკივილისა წამალნი ღავიწყნეთ

თუ სიმჭურვალისაგან თავი სტკიოდეს და მწოვედ უქურევდეს თავი, აიღე ქაფური და თაჭუის ყუერი, ზაფრანა და სონიჯი — ორორისა ქერისა წონი. და შაქარი კუტლელუი — ექუსისა ქერისა წონა, მუშვი ხალისი — ერთისა ქერისა წონა. ეს წამალნი მოგალენ იასამინითა ზეთითა ანუ ბერძულითა ზეთითა, და ყუავილთა ერბოთა შეაზავენ, და ღია დათქუიფენ, და შივშავსა ჩაახსენ, და ოდესაცა გინდოდეს, ცხუირთა უწთობდი.

5 იმავე სიმკურვალისა თავის ტკივილისათვის, ანუ თუალთა სისხლი იყოს, ანუ თუალნი ყუითლად ესხნენ. აიღე მური და არჯასპი და ზაფრანი, ესენი სწორნი წონნი ღუინოთა შეზილენ და კუერად. შექმენ და ჩრდილსა გააკმე, და ღუინოთა გაადგინე და თავსა სცხე თუალთა სიყუითლესაცა უშუელის.

10 თავი თუ ცხლად ებას, აიღე ბალბაქი და კამა, წყლითა შეაგბენ, და ნაგბოლი თავსა დასდევ. და წყალი თავსა დაასხი.

10 თავი ვის უკურვედეს და სტკიოდეს, ქუერცხის გულისა ნავდლისაგან იყოს. აიღე მარტიტელი და ჩუილად დანაყე, და ძმრითა გამოწურე და თავსა ასხი, და ნაწური მისი თავსა დასდევ.

15 თავისა ტკივილისათვის, || რომელსა დიად უკურვედეს და მცირედ სტკიოდეს, ესრე შეიზავების: აიღე საბრი და მასტაქი, მამითაი და აკირკარა, ესენი თუითო მიტყალი მოგაღენ, ძმრითა შეზილენ და საფეთქელსა დაჰკარ.

20 თავის ტკივილისათვის. ყრდელისა თესლი და ჭუნჯრუკი მონაყენ, გამოწურე და თავსა სცხე.

20 თავის ტკივილისათვის. კურდღლისა ნავდელ ღუინოთა ცხურითა უწთვე.

25 თავისათვის და თუალთა ტკივილისათვის. ნუში ტკბილი ნიგუზისა ზეთითა და იასამიგითა წმიდითა და თაფლითა თერთითა ესენი უზმამან ჰამოს.

25 თავის ტკივილისათვის ვე. ქინძისა თესლი და კელთა საღებავი ერთმანერთსა შეაწონე ასრე, რომე ერთიმეორესა არ უფრო იყოს, და ოდესცა ასტკივდეს, მოიპარსოს და დაიდვას, უშველის, თუ ღმერთსა უნდეს.

30 სხუავე თავისა ტკივილისათვის. კელთა საღებავი ძმრითა მოზილოს და ყურთა ზემოთ ყულაგან შემოიდვას და უშუელის, თუ ღმერთსა უნდეს.

35 სხუა თავის ტკივილისათვის. მერცხლისა ბუდე, რომელსა პირი აღმოსავლეთით ჰქონდეს, იგი ფიჩუსა ზედა ჩამოაგდე ქუეყანასა, ნუვის ეტყუი, და მას სახლსა ნუ იტყუი, და იგი მოგაღე და ძმრითა გაადგინე, და შუბლზედა სცხე, და დაესხენ მუნამდის, სადამდის არ შეშრეს, და რომელიცა ადგილი სტებდეს, იგი ადგილი მოუნაყე და თუალნი დაუჭირენ.

35 სხუა თავის ტკივილისათვის. წეროსა ნავდელ კატისა რძითა ცხურითა უწთვე.

40 თავისა ტკივილისათვის. მდოგუი, გუნდა და თაფლი 198 r ლი გაურიე. ერთმანერთსა, თავსა შემო || იდვას და ერგოს.

ვის თავი სიმკურვალისაგან მიიმედ ედგას, პირი გასწითლებო-
დეს და შუბლი ჰქაოდეს, ამას წითელი ქარი ჰქუიან. წამა-
ლი მისი ცხურითა საწობელი: აიღე აყროსა ზეთი და შა-
ქარი კუტლეული დრამისა წონი, და მაპირანი სინი, ჰულდულდი-
მაქი და აფიონი და ზაფრანი — ორ-ორისა დანგისა წონი. ესენი 5
დანაყენ და დაცარ, და ვარდის წყლითა შეზილე და მარცულად
დაქენ, და ოდეს გინდეს, ერთი მარცული მით ზეთითა ცხურითა
უწთევ, და თუ უნდეს, კულა ჩაუწთო, ერგოს.

ნიშანი სოტისა. ერგების, ვის პირი გაუწითლდეს, და ჰქუიან
მას ქარი წითელი, და ვის ჩიოდეს სიმკურვალესა, ტკივილსა და 10
სიმძიმესა თავსა, და ქავილსა თავისა და შუბლისასა. აიღე
ტკბილისა აყროსა თესლი, გაქურცენ და დანაყენ, და ზეთი
გამოჰკადე. და აიღე შაქარი ტაბარზადი და მაპირანი, და ჰოლდულ-
დიმაქი და აფიონი, და ზაფრანი, ამათგანი წონი ორ-ორისა დანგისა,
დანაყენ და დასცრენ, შარითა და ვარდის წყლითა შეზილო, და 15
მარცულად დაჰქენ, და ჩრდილსა გააკმო, და ოდეს გინდეს, აიღო
მარცული ერთი და გაადგინო ქალის დედისა რძითა, და ჩაასხა
ზედა დრამისა წონი იისა ზეთი, და ცხურითა ჩაუწთო, და ერგოს,
თუ ღმერთსა უნდეს.

ნიშანი სო[ო]ტისა. ერგების, ვისდა ტუინი გამკმარ იყოს. 20
აიღე ქუეჯითი, რომლსადა ქერქი არა შეკდილ იყოს, და თხილი,
და ნუში ტკბილი, და ნუში მწარე, და ფუსუკი, ამათგანი სწორი
ნაწილი. დანაყენ, და გამოულო ზეთი და უწთობდე ცხურითა
დღეთა მრავალთა, და ერგოს ვისდა ტუინი გამკმარ იყოს და თავი
ასუბუქებული იყოს. 25

|| თავი რომელსა სიმკურვალისა და სიცხისაგან სტიოდეს. v
აიღო მამითასა გამოწურვილი და კაკია, და ჰულდულდი და
ზაფრანი; ამათგანი სწორი წონი აიღო და დანაყენ, და ყრდელისა
წყლითა შესუარო და საფეთქელთა და შუბლსა სცხო.

ტლე თავის ტკივილისა ფიცხელისა და რომელი ვერ დაი- 30
ძინებდეს ღამით, სარგებელია ნებით ღმრთისათა. აიღო ბოსტ-
ნისა ყრდელი თეთრი, ნედლი, ძმრითა შეაგბო; და მერმე ყრდე-
ლისა თესლი და ლემისა თესლი თეთრი და სანდალი თეთრი, ამათ-
განი წონი ორ-ორისა დრამისა, და ხატკი თეთრი, — წონი დრა-
მისა ხუთისა, და ქერის ფქუილი, — წონი ათისა დრამისა, დანაყენ 35
ესე ყუალანი დანაყენ, დაცრენ, და მერმე იგი ყრდელი შემგბარი
დანაყო კიდე, და ესე დაცრილნი წამალნი თანა ჩაურთენ, და
ათისა დრამისა წონი იისა ზეთი ჩაურთე თანა, ან ვარდისა, და
მერმე ქაღალდსა ზედა გასცხე და თავსა შემოსდეგ, და თხელითა
მჩუართა შეუხუიე თბილად, გამოცდილი და კარგია, და ერგების 40
ნებითა ღმრთისათა.

თავისა სიციხისა და ტკივილისათუის. მოიღე ფაჩი, დარბანდი და ძმრითა ან ქალის დედის რძითა გალესე და შესცხე; თუ ეს არ იყოს, წყლითა გალესე და შესცხე, ერთობ კარგია და გამოცდილი.

- 5 ვის შავისა ნავლისაგან თავი სტკიოდეს და ხიმწოვითა ველთა რბოდეს, წამალი მისი.—აიღე ზეთი ატმისა და ქერმისა—ორ-ორი წუეთი, იასამიგი¹ ზეთი და ბერძული ზეთი—თხუთმეტი წუეთი, და თევზისა ცმელი დამდნარო, და ნჯვითი თეთრი—სამს-სამი წუეთი, და თავუის ყუერი—სამი ქერი, სოთი, და 10 199 r მარმიქი და ლუივისა თესლი—ხუთ-ხუთი ქერი, ხონიჯი, რომელ სამითა თითითა აიღო, თერია—ცერცუისა სხუილისა სწორი, და სამი მარცუალი დაფნისა და ქალის დედისა სძე, რაზომი გიკმდეს, ურთე ესე ყოველი შიგშავსა ჩაასხი და დიად თქუეფე, სამსა დილასა თუითო დრამისა წონი ცხუირთა ჩაუსხი. დაფნისა ფურცელი, სუდი, და მარმიქი და ტენცო—ესე შეაგბენ და მისსა წუენისა თავსა ასხემდი დიად. ღორისა ცმელი და ზოგია ერთგან დანაყენ და თავსა დაადნევე, და ღორისა ფლოდაგი შექმენ თავსა სდებდი, ატფობდი, და მსგეფსამდი სდებდი. და ქართულისა თავლისა თაფლწყალი შექმენ და მას ასუემდი.

- 15 სხუა წამალი ნავლიანთათუის და ველთა მორბედთათუის, გამოცდილი ბრძანებითა ღმრთისათა.

- 20 აიღე ხურისა წყალი და თივათერიისა წყალი, ქამეტრეისი წყალი, და გიისა მარცულისა წყალი, ბერძული ზეთი და იისა ზეთი; ესე ყოველი სწორად ყავ. იისა ზეთი, უფრორე ძუელი, ერთბო მცირედ და მუშვი—ორისა ქერისა წონი შეზილო, და უწინა 25 წრთობისა აფსინდისა და ქამეტრეისისა წყლითა და მელის-კუდისათა, ამათითა წყლითა თავსა ასხი დიად, მერმე უწთვე და ერგოს, კეკელა არს.

- 30 სხუა წამალი ნავლიანთათუის გამოცდილი. აიღე კაპისა ნავლელი და შავისა მამლისა ნავლელი, მელისა ნავლელი და ვაცისა ყვერულისა. ნავლელი, კარანფოლი და სოქი და ზაფრანი, ესენი ნახევარ მიტყალი, მუშვი—ქერისა წონი. ესენი შეაზავენ, შიგშავსა ჩაასხენ და მჩრორსა დაძფალ, თოთხმეტ დღე იყოს, მერმე გამოიღე და ნავლიანსა შუიდისა ქერისა² წონი 35 v || უწთვე სამსა დილასა, და ფურისა ხაეიწი თავსა დასდევ. იისა ზეთი — ერთი მიტყალი ასუი, მელის-კუდი და აფსინდი შეაგბე, თავსა ასხი დიად.

- 40 სხუა წამალი, ნავლიანთათუის გამოცდილი. აიღე სონიჯი ხუთისა დრამისა წონი, საბრი სკუტრი—ერთისა დრამისა წონი, ორბისა შავისა ნავლელი—ერთისა დრამისა წონი, ორი ქერი; ესე ყოველი შეზავე ტევანისა წყლითა და თეთ-

რისა ხახუისა წყლითა, შეზილე ცერცუისა ზომი, და უწინა ტფილი წყალი თავსა ასხი და ტფილითა წყლითა ცხურთა უწთვე.

სახელითა ღმრთისათა, წამალი ნავლიან-თათუის, რომელნი ველთა რბოდთან, [და]ქირვა არა ერგებოდეს, კორცთა იჭამდენ და შიშველნი ეიდოდთან. ესე წამალი არს ფრიად კეკელა უმიზეზოდ გაამრთელებს ნებითა ღმრთისათა: 5

აილე თავუისკმლისა ყუავილი, დანაყე. და წყალი მისი შარითა დაწურე, ანუ მაქათა, და დადგი ერთსა დღესა, და რომელ ზედა წყალი იყოს წმიდა. იგი თანგირათა შიგან მისწურე და კრძალვით ნელთა ცეცხლთა გბოლე, და უწყინოდ ურევედი; ესეზომ გბოლე, რომელ ვითა ძივთი შეიქმნას. უკუდგი, დანელდეს და მცირედ ტფილი ქიქისა ქურქელსა ჩაღე. თუ თანგირათა შიგან გაგრილდეს, ვერ მოჰკდი. და ოდეს გინდეს, აილე მისგანი ბაკილისა ოდენი და ქალის დედისა სძითა, საგრეხლითა ერთითა გაადგინე, და ცხურთა უსხი. ოდეს იქმოდე, მალლად პირუქულმართ დააწ- 15

ვინე, თავი ზე უკუ უეი || დე, პირსა რიკი ჩაუგდე, რომელ წამალი 200 r კორკსა არა ჩაუტდეს, და ტუინით წავიდეს: ვითა ჩაუსხა ყოველი წამალი და სცნა, რომელ ჩასრულ იყოს, სწრაფით წარმოჰმართე, ტფილსა წყალსა თავსა ასხემდი და პირსაცა შეასხემდი, ქელი დაუ- 20

ქირე და არონინე. და კულა ასხი წყალი და არორინე, სამჯერ-ოთხჯერ ქმენ ესრეთ, მერმე ჩრდილსა დააწვინე, გაისუენოს. სამსა დღესა ქმენ ესრეთ და ნახე, ნავლიანნი თუ შეიტყუა, რომელ ნავ- 25

ლედი და-რესუმულ იყოს, სამსა დღესა ნულარა უწთობ. მერმე დაუწყე ტბილთა წამალთა წთობასა ქალის დედისა სძითა, შაქარი და ზაფრანი სწორად შენაყენ სძითა, გაადგინენ და კარგად ფერი იქციოს, და ჩაურთე აბაშისა კაცისა ნავლედი, თუ იგი არა იყოს, იფთარისა ნავლედი, — ქერისა ერთისა წონი. სამსა დღესა ესე უწთვე ზედას-ზედა, და ლახტრთა წყალსა დილა-მწუხრი ასხემდი, რომელ ნიშანსა მიგცემ. აილე წყლისა ქუნიშა და ქუნი, და ქერი და ხესა, რომელსა კატა ჰქუიან, მისი წუერ-წუერი, და მარიაშობი- 30

და ბრძენიკი, რომელ არს მელის-კუდი, ლახტარი და პიტნა ველური, და ცერეცო, ესენი დიდითა ქოთნითა შეგბოლენ. და თავი მოჰყუინე, კარაქი თავსა ზედა დასდევ და, ვითა უშუებდეს, თბილსა წყალსა ასხემდი დილა მწუხრი, სამას სამოცდახუთი ათასი დაასხ. თუ არა იშუნდინოს, ნუ შეშინდები, ეგრევე უწთვე მრავალ- 35

ჯერ, ვითა პირველ გუითქუამს. თუ თხემი ოდენ დამწუარი არა იყოს, უმიზეზოდ გაამრთელდების. თუ დამწუარი იყოს, ნუ ჰქურნებ. საჭამადსა მკავესა აკრძალე და ღუინოსა, ცხურისა ხარშოსა სცემდი || და ვარიისასა, თაფლითა და ფორითა და კარაქითა ხავიწი, ფორისა სახურეტელისა თხელსა უქმოდით და ხურეტდეს. ოდეს 40

წამალსა უწობდეთ, შებლსა თითითა უკუზელდით. ვინ იხარკოს არა ინანოს, გამოცდილი არს, კეკელჲ. სახლსა უკაცურსა შეაგდეთ; თუ ძნელობდეს, შეკარ, უბნობად ნუ გასწყდები.

5 თავსა ანუ კორკსა, რომელსა ნავლელო მარადის სდიოდის. აიღე ბლოკისა თესლი და სპანძელისა თესლი, მოგალენ, და თავლი, — კოვზი ერთი, და ზეთი, — შუიდი კოვზი, ესენი შეზავენ და შეასუი.

10 შავ ნავლელიანთათუის, რომელი დიად ზრახვი დეს და რომელი ანაზ და უზრახვი იქმნებოდეს. ჰარმილისა თესლი და ორი ზარაფანი გრძელი და ზაფრანი, თუითო ნაწილი, ესე დანაყენ. და შესუმა, — ხუთისა ღრამისა წონი, ტფილითა წყლითა ასუი. წამალი ცოფთა ერგების; რომელი აღრითგან იყოს, სუას ყოველთა დღეთა, ვირე ჰნახო, თუ გაგრილებულიყოს, და შეატყუა, თუ სჯობს, მაშა ორსა დღესა შეასუი. და ოდეს კულა მოსჯობდეს, ხუთსა დღესა შუა ერთ სუას და გამრთელდეს.

15 თავსა, რომელსა, შაკიკი იყოს. აიღე ფურისა ნავლელი და საბრი, — სამისა ქერისა წონი, და ზაფრანი, — ხუთისა ქერისა წონი. ესენი იასამიგითა, ორისა ღრამისა წონითა, გააღვინენ და ორჯელ ცხუირთა უწოვე.

20 შაკიკისათუისვე. აიღე ოსპნი გაქურცნილი და შავისა კარისა ნაველსა ჩადევ, თოთხმეტსა დღესა ზე დაჰკიდე, მერმე გამოიღე და ჩრდილსა გააქმე, და იგი მარცხალი მოგალე, 201 r საბრი და ზაფრანი, ესე ორი ქერი, ორისა ღრამისა წონითა, ილისა ზეთითა ცხუირთა უწოვე, დღევ სამჯერ, და ერგოს.

25 შაკიკისათუისვე, რომელი უმჯობესი არს ყოველთა წამალთა. კეფალა გაუხსენ და სამსა დღესა იარაჯ-ფეკარასა ასუემდი, ძალსა დახედენ და ყუავილთა ერბო, ორი ნაწილი, და ზეთი ბერძული, ერთი ნაწილი, შივშავითა დათქუიფე, დღით სამჯერ უწოვე თუითო როგდან.

30 ვის შავისა ნავლელისაგან თავი სტკიოდეს. აიღე კაკაქისა ნავლელი და შავისა მამლისა ნავლელი, ორბისა ნავლელი და კრავისა ნავლელი, მელისა ნავლელი და ვაცისა ყუერულისა ნავლელი, კარანფოლი და სოქი, და ზაფრანი, ესენი — ნახევარ მიტყალი, მუშვი — ქერისა წონი. ესენი შეზავენ, შივშავსა ჩაასხი და მჩოროსა დაჰვალ, თხუთმეტ დღე იყოს. მერმე გამოიღე 35 და ნაველიანსა შუიდისა ქერისა წონი უწოვე სამსა დღელსა, და ფურისა ხაფიწი თავსა დასდევ, და იისა ზეთი, მიტყალი ერთი, ასუი. მელის-კუდი და აფსინდი შეაგბე, თავსა ასხი დიად.

40 თავისათუისვე, რომელსა ქედი შეუჰყარას და თავსა ზე ვერ აიღებდეს, რომელ არა იცოდეს ტკივილითა. აიღე ზროხისა ნავლელი და თიქნისა

დურიტა, და თეთრი ხაშხაში, საბრი, სკოტრი, ქერი, — ერთი, ჰაკუნ-ტლისა წყალი, — დრამისა წონი, ყუავეილთა ერბოთა წმიდითა ცხუ-რითა უწითოს სამჯერ.

თავი რომელსა სტკიოდეს. მთხუნველისა ტუინი ცხუირთა უწთევ.

თავისათუის და ყურთათუის და თუალთათუის. ღარღარა გამოიღებს ნო || ტიფბასა. აიღე მდოგუი, მოგა-
ლე, თაფლითა შეზილე, ძმრითა იღარღარე, ანუ ზანჯაბილი თაფლი-
თა შეზილე, ძმრითა გაადგინე, იღარღარე.

v
5

წამალნი თავის ტკივილისანი, მოსადებელ-
ნი, რომელნი ერგებნიან შეჭირვებასა და კუერ-
ცხის გულისა კუამლსა, ესრე შეიზავების:
მური და აფიონი, ესე თუითოსა დრამისა წონი, ჰიაყელა წითელი
და ქერისა ფქული, ესე ორ-ორისა დრამისა წონი; ესე გაადგინენ
შუბლსა და საფეთქელთა მოსდევ. თავი რომელსა სტკიოდეს შემო-
სადებელი: აიღოს ნემბი და შაშპრამი, და ველური მოლოქი და
მარილი, ერთგან დანაყნეს წურილად, და კუერცხისა გულითა შე-
ზილოს ფიცხლად და შუბლსა დასდვას ბანბითა ერგების.

10
15

თავი რომელსა სიგრილისა და ბალღმისა გან
სტკიოდეს. პილპილი ათი მარცუალი, მდოგუი, და სამი კბილი
ნიორი, ესე მოგალენ და თავსა მოსდევ.

თავი რომელსა უძრწოდეს ანუ ქელი. ყურდ-
გლისა ტუინი შეწუას და ჰამოს სამსა დილასა.

20

თავისა ნახევარი რომელსა სტკიოდის. სე-
ლისა ძირი წყლითა შეაგბე, და ღუინითა გააზავე და შეასუი. და
ესე დაუწერე: დავსწერ თავისათუის და უძღურებისათუის, ამინ,
ამინ. ქრისტემან სახელ. სდვას კაცსა მას.

თავისა ტკივილისათუის. ბავრუქი დაწუი და წური-
ლად მოგალე, და რწყულითა ღუინითა შეზილე. და აბანოსა შინა
თავსა დაიდვას.

25

თავისათუისვე ოსპნისა ფქული და ბროწეულისა ვე-
ლურისა ქერქი || ორივე დანაყე კარგად, თაფლითა შეზილე და
თავსა დასდევ.

202 r
30

თავისათუისვე. ერთი ნაწილი გამკმარი ვარდი, ერთი
ნაწილი ბალასანისა ზეთი, ერთი ნაწილი კატრანი, ესენი შეაზავენ,
თავსა დასდევ.

თავისათუისვე. ქრთილი გაქურდენ და ვარდი კმელი,
ესე დანაყენ და იისა ზეთითა შეაზავენ, თავსა და შუბლსა სცხებდი.

35

წამალნი თავისანივე, ცხუირთა საწთობელ-
ნი. ერგების, ვისდა პირი გაწითლებულ იყოს, და ჰქუიან მას
ქარი წითელი. და ვინ ჰრტინვიდეს სიმძიმესა თავისასა, სიმ-

ქურვალესა და ქავეილსა შუბლისასა, ესე ერგების: აიღე აყიროსა ზეთი და შაქარი კუტლელუი, დრამისა წონი, და მამირანი სინი, და პულდულდი მაქი, და აფიონი, და ზაფრანი — ორ-ორისა დანგისა წონი. ესენი დანაყენ და დაცარ, და ვარდისა წყლითა შეზილე, და მარცულად დაქენ, და ოდეს გინდეს, ერთი მარცულაი მით ზეთითა ცხუირთა ჩაუწოთ, და თუ უნდეს, კულა ჩაუწოთ და ერგოს.

5 ნიშანი საწოთბელი, რომელი ერგების ტკივილსა თავისასა ძუელსა და ტუინისა შეშლილობასა, და ცემასა საღმობისასა და ბრუსა სხმასა, და ყოველსა ტკივილსა თავისასა, რომელი შეექმნების შავისა ნავლისა და თელგმისაგან, ესე ერგების. აიღე 10 სონიჯი და ნიშადური, და წითელი ბავრუკი. ესენი სწორნი წონნი დაჰნაყო წურლიად და დასცრა, და ტკბილითა ნუშისა ზეთითა შეზილო, და ჰიქისა ჰურჰელსა ჩასდვა, და ზედა ნუშისა ზეთი ასხა, რომელ ზედა მოექცეს და ოდეს გინდეს, იქმარე, თითი დააწე და 15 სნეულსა || ცხუირშიგან გამოუსუი, დიად ძნელი არს.

საცხებელი ცხუირთა ერგების ტკივილსა თავისასა და ტკივილთა ძუელთა, რომელი შეექმნების თუალთა შიგან თავისა სინოტიისაგან, და ერგების სიბნელესა, რომელი სიზრქისაგან შეიქმნების. აიღო კარის. ძირი შავი და თეთრი, ოთხ-ოთხისა დრამისა წონი, შხამი და წითელი ბავრუკი, და თაჰუის ყუერი, — ორ-ორისა 20 დრამისა წონი, დაჰგალო და დასცრა, და ჰურჰელსა ჩასდვა, და ოდეს გინდეს, დანგისა წონი ორთავე ცხუირთა უბერე, ცხუირთა ცემითა¹ წამოლეუს თავისა სინოტიესა ძუელსა.

საწოთბელი მისთუისვე. აიღე საბრი სკუტრი, სონიჯი და წითელი ბავრუკი. ესენი სწორნი წონნი დაჰგალო და 25 დასცრა, და ბერძულითა ზეთითა შეზილო, და მითვე ზეთითა გააღვინო, და ოდეს თავსა ატკივნებდეს, ახალსა მთუარესა ანუ მცხრალსა, ცხუირთა უწოთს სამჯერ.

ნიშანი სოოტისა. ერგების ყოველთა ფერთა თავისა ტკივილთა შემთხუეულთა შაკიკისაგან, რომელ არს თავისა 30 ნახევრისა ტკივილი, და ვის ძილი გაჰკრთეს ღამით, და ვინ ჰრტინვიდეს ტკივილსა თხემისასა და სადრეკელსა, რომელ თხემსა და შუბლსა საშუალ არს, რომელ ყრმასა მცირესა უდრკების და ჰქუიან შას სარკინოზულად იაფუხ. აიღო აფიონი და ჰოლდულდი შაქი, მური და ზაფრანი, შაქარი და მანანგოში, ამათგანი სწორი 35 წონი დანაყენ და დასცრნე, და წყლითა შეზილო, და ოსპნისა ზომად მარცულად დაჰქნა, და ჩრდილსა გააკმო, და ოდეს გინდეს, 203 რ აიღო || მისგან ერთი მარცულაი და ქალის დედისა რძითა გააღვინო, და ზედა დრამისა წონი იისა ზეთი დაუერთო, და ცხუირთა ჩაუსხა. ესე მრავალჯერ ჰქნა, კეკელა აქს და გამოცდილი.

თავმტკივანი და შავისა ნავლისა უფალი, რომელი ველთა

გაიქცეოდის. აიღე მუშკი სამი ქერი, და თავუის ყუერი, — ხუთი ქერი, ლუივისა თესლი, — ოთხი ქერი, დანგისა წონითა, წყლითა გამოსწურო, და თხილისა ოდენი ყუავილთა ერბო და მისივე ზომი ბერძული ზეთი ამით ყოვლითა იგი მუშკი და თავუის ყუერი დაგლი- 5
ლი გაადგინოს და სამად გაჰყო, და სამსა დილასა ნელ-ტვილი უწოთ.

|| ნ ი შ ა ნ ი ლ დ ი მ ე ლ დ ი ს ა. ერგების თავისა ტკივილსა რომელი ვერ დაიძინებდეს ღამით. აიღო ბოსტნისა ყრდელი და ძმრითა [...], და მერმე ყრდელისა თესლი და ლემისა თესლი თეთრი, ამათგანი წონი ხუთისა დრამისა, და ქერისა ფქვილი, წონი დრამისა ათისა, დანაყნე და დასცრნე, და მერმე იგი ყრდელი შემგზარი 10
დანაყო კიდე, და ესე წამალნი თანა ჩაურთნე, და ათისა დრამისა წონი იისა ზეთი თანა ჩაურთო, ანუ ვარდისა, და მერმე ქალაღდა ზედა გაჰფინო და თავსა შემოსდვა ყოველგან, და თხელითა მჩური-
თა შეუხუთო ლბილად.

ნ ი შ ა ნ ი ს ა ც ხ ე ბ ლ ი ს ა. ერგების თავისა ტკივილსა ფიც- 15
ხელსა, რომელი არა უშუებდეს; და შაკისა, ტკივილ[ი]თა არა დაე-
ძინებოდეს. აიღო მამითასა გამოწურვილი და კაკია, და ჰულ-
დული და ზაფრანა, ამათგანი სწორი წონი აიღო და დანაყნე, და
ყრდელისა წყლითა შესუარო, და საფეთქელთა და შუბლსა სცხო.

ნ ი შ ა ნ ი მ ა რ ც უ ლ ი ს ა, რომელ არს ჰაბალ მუკლი. ერგე- 20
ბის ყოველთა ნოტიათა, და ახლათ ერგების დედათა, რომელნი
არა უძლებ იქმნებოდნიან ცმლისა სიდიდითა. აიღო საბრი სკუტ-
რი და მუკლი, აზრაკი, და საქფინაჭი, და შამიპანდალი, და ხალი-
ლაგი, კუერცხის გული და სორინიჭნი, რომელ არს ჰულბა, და
ზაფრანი და მახდიქი, და საყამუნია, ამათგანი სწორი წონი, დანა- 25
ყნე და დასცრნე, და პრასისა წყლითა შეზილო, მარცულად დაჰქნა
და ჩრდილსა გააქმო. შესუმა, წონი ორისა დრამისა წყლითა ტფი-
ლითა, სარგო არს, თუ ღმერთსა უნდეს.

ნ ი შ ა ნ ი მ ა რ ც უ ლ ი ს ა, რომელსა ჰქუიან ჰაბდაჰამი. ერ- 204 r
გების ყო || ველსა ტკივილსა სტომაქისა და თავისასა, და გასწმედს 30
ტანსა განწმედითა კეკელათა ყოვლისა ურვილისა და კრებულობი-
საგან. ერგების ჰაბუყთა და ბერთა, და აშუნდების ყოველსა ბუ-
ნებასა. და სარგებელისა არს აღებად ყოველსა ჟამსა, ოდესცავის
უნდეს. ერგების სინათლესა და გაუწმედს თუალთა, და აშუნს კუ-
ერცხის გულისა უფალთა ნავლისა და თელგმისათა. და ვის გუნი
იყოს, ესე მიიცვალებს ყოველს საღმობასა, რომლისაგანცა განწ- 35
მედა უნდეს, ტანსა ამას ყოველსა ქრგების.

აიღე იარაჯ-ფეკარი — წონი ხუთისა დრამისა, და ხალილაგი, 40
კუერცხის გული, და მარილი ნავთისა, და აფთიმონი, და აკრიტი,
და თურბითი თეთრი, და ფუკალადხირი, და აფსინდისა გამოწურ-
ვილი, და ზაფრანი, და ღარიკონი, და საყამუნია, ანტაქი შემწუარი,

და ვარდი წითელი, და მუქლი; ამათგანი თუითო მიტყალი შეკერი-
ბნე. ესე წამალნი დანაყენ და დასტრნე, შარითა და ძალის ყურძ-
ნისა წყლითა შეზილო, მარტულად დაჰქნა და ჩრდილსა გააკმო.
შესუმა მისგანი წონი ორისა ღრამისა ნელ-ტვილითა წყლითა, და

5

სხუა სუბუქი მათფუხი, რომელი უშუელის თავსა,
რომე სიმკურვალისაგან სტკიოდეს, და თუ მუცელი შეკრვით იყოს,
გახსნას. აიღე უნაბი და გავალო, თუითოსაგან კ'კ' (20-20) მარ-
ტული, და წითელი ჩამიჩი გურკისაგან გამოღებული, — კ' (20)
ღრამი, და კმელი ია, — სამი ღრამი, და კმელი ქინძი, — ერთი ღრა-
მი; შეყარე ეგე წამლები და ჩაყარე ქოთანშიგა და ზედა ნიახურისა
წყალი — ლიტრა ნახევარი წყალი — დაასხი და ერთსა დღესა და
ღამესა დააღბე, და მერმე ასრე აღუღე, რომე ნახევარ-ლიტრა დარ-
ჩეს.

10

15

v

აიღე ოცი ღრამი თაბირინდი, ჩადევე კურკელშიგა და ეგე
წამალი, წამალი თბილ-თბილი, ზედა დაასხი და დაზილე, ვირემდის
გაიქნას, და სამოსლითა მაგრად დაწურე და ოცი ღრამი წმიდად
დანაყილი შაქარი დააყარე, და კაცი ფრთხილად შეინახე, და შუა-
ღამესა ნელად გაათბე, და შეასურ, ცოტად გახსნას, და თუ არა,
ბევრი უშუელოს. რა გაწმდეს წამლისაგან, ოსპითა და ძმრითა
საჰამადი შექნე, და შიგან ქინძი და ნუშისა ზეთი გაურე, და სხუ-
ასა მწუანვეილსა ნურას გაურე. და მერმე შექაზმე ესე და შუბლ-
ზედა დასდევ. აიღე ქერის ფქული, ტუხტი და სტაფილოსა
თესლი, ერთმანერთისა ოდენი, წმიდად დანაყე და თეთრითა და

20

25

ძრიელითა ძმრითა აურვიე, და თუ აფიონი იშოვო, ერთი დანგი
გაურვიე, და ესე წამალი შუბლსა და საფეთქელსა დასდევ, და რა
გაკმეს, კიდევე გამოუცულიდი. და თუ კაცი ძალზედ იყოს და
სიმკურვალე მეტობდეს, მარჯუნისა კელისა ყიფალი გაუხსენ. თუ
სისხლი შავი და სქელი იყოს, სისხლი ბევრი გაუშუი. თუ წითელი
და თხელი იყოს, ცოტა გაუშუი. და ტირიფი შეუსუი, ია წყლითა
და კიტრის გულითა შეუსუი.

30

სხუა აბი. ესე არს პირველი ჰაბი ახრებადნა, და უშუელის
შაკიკსა, რომე ნახევარ-თავი სტკიოდეს, ფილენჯსა, და სტომაჰი
რომე სტკიოდეს და თავი ტრიალებდეს. აიღე საბრი სკუტრი, —
ხუთი ღრამი, ბალასანისა ხილი, და ბალასანისა შეშა, და სალიხა,
სუნფული, და ასარიონი, და რა სენი ანდუზია, და ათხარიტაკი,
რომელსა ვალამერუქი ჰქუიან, ზაფრანი, ბაშხტაკი, და მაზდაჰი, და
კმელი ოშინ[დ]არი, და მრგუალი ზარეგანდი, ინდოური მარილი, —
თუითოსაგან თუითო ღრამი, საყამუნია, ხარიკონი, და შამიპანდა-
ლი, — თუითოსაგან სამ-სამი ღრამი, ბასეაიჯი — ოთხი ღრამი, აფთი-
მონი, — ექუსი ღრამი. ესე წამლები დანაყე, გაცარ, და კალნაბისა

35

40

წყლითა გაურივე, და ჰაბიბი შექენ. და რა მოუნდეს, მიეც || ორი ჯამი და ზედა თბილი წყალი შეასუი.

ს ხ უ ა ჰაბი საბრისა, რომე უშუელის თავის ტკივილსა და სტომაქსა. აიღე საბრი სკუტრი სამი ღრამი, მახდაქი და კმელი ვარდი წითელი, თუითო ღრამი, დანაყე, გაცარ და ძაღლის ყურძნისა წყლითა შეზილე, და ჰაბიბი შექენ, და ჩრდილსა გაახმე, და მიეც ორი ღრამი.

ს ხ უ ა ჰაბი საბრისა. აიღე თურბუთი და ყუითელი ალილა, მახდაქი და წითელი ვარდი, — თუითოსაგან თუითო ღრამი, საბრი სკუტრი ამა წამლებისა ოდენი. ყუალა დანაყე და გაცარ, და ჰინდიბეისა წყლითა შეზილე ჰაბიბი შექენ, და ჩრდილსა გააკმე, მიეც ორი ღრამი და მერმე თბილი წყალი შეასუი.

თავის ტკივილისათვის. კლდისა შაღუნდარი და მისი წუენი გამოწურე და ცხუირთა უწთვე. ვენაჯისა მორჩი შტო და ფურცელა დანაყე, და შუბლსა შემოსდევე. მისთუისვე. — ლილა ცივითა წყლითა გალესე, და ცხუირთა უწთვე. ს ხ უ ა. — ცოტა წიწმატი დანაყე და ძმარი, ერბო და თაფლი, ყუალა ერთგან გაურივე, ტლე შექენ და თავსა შემოსდევე. ს ხ უ ა. — ცერეცო მოხარშე ძმრითა, ერთი მჭილი მარლი ჩაყარე და იმითა დაჰბანე.

მისთუისვე. — ბორაკი დანაყე და ძმრითა შუბლსა შემოსდევე, სახელითა ლთისათა დავიწყოთ და ვაკსენოთ განრყუნა თმისა და თავის ტყავისა, ტილისა და მქავანისა, თმის ლეწისა და მღიერისა, რომელსა ჰქუიან საჰფა, რომელი არს სრსუილი, და ყოველი რომელი წაეკიდების თმასა და ტყავსა შიგა თავისასა, და კორფლი, რომელი იქნების პირსა ზედა, შეტყუება მისი და ნიშანი მისი, კურნება და წამალნი მისნი ბრძანებითა ლთისათა.

დავიწყოთ და ვაკსენოთ || ბუნება თმისა და სით გამოიზრდების იგი და სარგო მისი.

თმისა ბუნება არს მკურვალნი და კმელი და გამოიზრდების სქელისა და ბოროტისა ნოტიოსა ორთქლისაგან, რომელი ღმერთსა დაუბადებია ბუნებასა შინა კაცისასა, რომლისაგან გამოვალს თმა და იქნების ესრეთ, რომე კურელნი არიან ტანსა შიგა და გარეთ ქერქსა შიგან. შედგების და შეიყრების ორთქლი იგი და ნოტიო ზედა ზედა, და მერმე მისგან თმა დაიბადების და გამოიზრდების ბრძანებითა ლთისათა.

და ბრძანა ღმერთმან რომელთამე ადგილთა ტანისათა ამოსულა თმისა სარგებელისათვის, და რომელთამე ადგილთა სიმშუენვარისათვის გამოავლინა, აგებულებისათვის კაცისა. და რომელი სარგებელისათვის არს, — წარბი და წამწამი არის, და რომელი სიმშუენვარისათვის დაჰბადა, — თავისა თმა, წუერი და უღვაში არის. და ძირი ყოვლისა თმისა ერთრიგი არის, და ყოველსავე

თმასა ცალკე-ცალკე ერთმანერთისაგან მეტოვნობა აქუს, და არს
 თავის თავისა მზლუარსა ზედა. იცოდით, რომე თავის თმა და წამ-
 წამი დედის მუცლითვე გამოჰყვების სახეობისა და სიმშუენვარო-
 ბისათუის, და წუერი თხუთმეტსა წელიწადსა უკანის გამოვა, და
 5 აგრევე უბეთა, რომელ არს საპარსავი. ამათ მეტოვნობა ამად
 აქუს, რომე მისსა უამსა გამოვალს, ოდეს დადგეს კაცი მამაცო-
 ბასა, და ამოვლენ ესე მისგან, როდეს შეიძრას წყალი ზურგსა
 შიგან. და ამა ნიშნითა იცნობების მეტოვნობა ამის წყლისა, რომე
 წუერთა და უბეთა თმა ამის წყლის მაგიერ ამოვალს. და ამით
 10 იცნობების, რომე რა ვაესა დაჰყუერვენ, ერთიცა თმა აღარ გამო-
 206 ორეა წუერთა და უბეთა. || და რომელსა სხუასა ალაგსა გამოუვა
 თმა, იგი იქნების ნამეტნავისა მოდნობისა კურელთა შიგან ტანისა-
 თა, და არა თმისა გუარი არს; თუ დაჰკლიჯოს, არ ეტკივნების,
 და თუ დაეხსნები და ერთობ გამოეხსნას, აწყენს. მაშინ იცოდი,
 15 რომე მეტი არის. და ესეცა იცოდით, რომელ წუერი სიმშუენვა-
 რისა სახეობისა და ჰაერ-შუენიერობისა კაცისა პირისათუის არს.
 და მერმე წარბნი და წამწამნი არიან ღონენი თუალისანი, არა თუ
 სიმშუენვარისათუი ოდენ არიან დაბადებულნი, არამედ, თუ წარბი
 არ ასხია, ვერ შეხედავს მზისთუალსა, და ვერცა კარგად შორს
 20 დაინახავს. და წამწამი ამისთუის არის დაბადებული, რომე თუალ-
 სა ინახავს და მიწასა, მტუერსა, და ბაყლსა არა ჩაუშუებს. და
 მერმე წარბი და წამწამი ისრე არ იზრდების, რაგუარაცა თავის
 თმა და წუერი, მაგრა ზოგისა კაცისა ალაგ-ალაგ წარბიცა გამოიზ-
 რდების, და კულად ყურისა ღრტილსა შიგანცა გამოვა ცოტა
 25 რამე თმა, და არს იგი მეტისა ნოტიობისაგან. და რომელსა კაცსა
 ყურისა თმა უფრო გრძელი ასხია, უფრო მზეგრძელი იქნების, და
 არს ესრეთ დასტურად, რომელსაცა კაცსა ყურისა თმა ემატების,
 ხანგრძლად დაჩეხების სოფელსა ამას შინა. და ამსგავსებენ მკურ-
 ნალნი თმასა მას ადგილსა, სადა მოვლენ თივანი და ყანანი ქუეყა-
 30 ნასა ზედა. ასრე ბრძანეს ბრძენთა, ვითა ამაზედა იცოდით, რომე
 რაგუარაცა უწყლოობა გააჰმობს ქუეყანასა ზედა ყანასა და თი-
 ვასა, აგრევე მეტი წყალი აწყენს. ამსგავსეს და თქუეს, ვითა თმა
 გაირყუნების და იკლებს ზრდისაგან, როდესცა დაჰკლდეს ნოტიო-
 35 სა || ღარიზისასა, რომელ დაჰბადა ღმერთმან საზრდოდ თმისათუის
 და იზრდების ამითა. და დაჰკლებს თავსა თმა და აღარ გამოუვა,
 და არს იგი სიმტიერე, რომლისა წამალი არ იქნების. და გაირყუ-
 ნების თმა კულა მისგან, რომელი იქნების ნამეტნავთა სქელთა და
 ბოროტთა და უბადლოთა, რომელი მივა ტყავისა კერძ. მაშინ
 40 იქტეს ბუნება მისი და დაჰკლდეს თმა, და მაშინ შეიქნას სნება მე-
 ლისა და სნება გუელისა, და ძირი მათი ერთი არს და გუარიცა,
 და განიცდებიან შეხედვასა შინა. და მათშიგან მეტობაცა არის და

დაკლებულობაცა, და ამისთვის დაარქუეს მას ს ნ ე ბ ა მ ე ლ ი ს ა. ამისთვის რომე დია წაეკიდების ესე მელსა. და სნება გუელისა ამისთვის დაარქუეს, რომე დააგდებს გუელი ორსავე ქერქსა, აგრევე თმა წაქდების ტყავსა თანა. და ესეცა იქნების, რომე თმა და წუერი და წარბი სრულად დასცუივდეს. და უბრძანებია ბრძენთა მკურნალთა, რომელნი გალიანოზს უწინ იყუნეს, იმა სენისათვის წამლები მრავალი. მაშინ გასინჯა და შეკრიბნა გალიანოზ და შემატნა მანცა თუითო-თუითო თავად. და ბრძანა გალიანოზ მიზეზნი მათნი ერთსახედ საკუთრად, ნიშანნი მათნი, და სახელი დაარქუა ნოტიოსა ახოლატნი ოთხნი, რომელნი არიან ოთხნი რეულნი ნივთნი და თუითან ნოტია ბალღამი და სისხლი არის. და მერმე უკანის გამოარჩია ვითა ყოველნი ახლატნი არიან, ნედლნი. რაგუარაცა თავლი რომე კელი მიჰყოს, და ნედლი და ნოტიო არის, აგრევე ისი არის, განა თავლი გუარად არის მკურვალი და კმელი. და ამა ახლატისა ნოტიისაგან იქნების სნება მელისა და სნება გუელისა, და დასცუივის თმა მისგან, რომე წითელსა ბალღამსა მკურვალსა და ბოროტსა სისხლი აერევის და შეიქნების მკურვალი და ნოტიო, || და გაბოროტდების, და მისგან დაჰკდების ომა. და თუ აერიოს შავი ბალღამი სისხლსა თანა, შეიქნას მეტი სიკმე, და ნოტიო, რომელი იყოს სისხლსა თანა, ამისგანცა წაქდების თმა და შეიქნების სნება მელისა და სნება გუელისა. და თუ შეერიოს მლაშე და ბოროტი ბალღამი სისხლსა თანა, და შეიქნას ეგრეთვე სნება მელისა და გუელისა. და სახელ-სდვა გალიანოზ ორთავე ერთი, და თქუა, ვითა ნოტია არს ღარიზი, მაგრა გამოურჩევია და დაუწერია ამა სენისათვის და უსწავლებია ცალკე ნიშანი ბრძანებითა ღთისათა.

ა წ ნ ი შ ა ნ ი დ ა ვ წ ე რ ო თ. ოდეს დაემართოს სნება მელისა და გუელისა კაცსა და თმა დაჰკდეს, ნახე და გაუჩხრიკე ისი ადგილი, სადაცა თმა დასცუივნოდეს, და იყოს ისი ადგილი შავად, იცოდი, რომე ნამეტნავისა შავისა ნავლლისაგან არს, ოდეს შერეოდეს სისხლსა თანა. და ოდეს ნახო ადგილი ყუითლად, იცოდი, რომე ნამეტნავისა ყუითლისა ბალღამისაგან არს, რომელ არს ზაფრა. და თუ ნახო ადგილი იგი თეთრად, იცოდი, რომე ნამეტნავისა ბალღამისაგან არს, სისხლსა თანა შერეულა, და მისგან არის. და თუ ნახო ადგილი იგი წითლად, იცოდი, რომე ტანისა სისხლისა განრყუნუილობისაგან არს, და იქმნას მისგან სნება მელისა ანუ გუელისა. და თუ ღიადმან ნამეტნავმან ტანი და თავი და პირი შეიჰყრას, ანუ იყოს მართ თუითან პირსა და თავსა შიგან ნამეტნავი რამე, ანუ სისხლისა და ბალღამისაგან და ანუ სევდისა და ზაფრისაგან, მისგანცა იქნების თმისა დაცუვნა, მაგრა არ არის სნება მელისა და გუელისა და არცა ნამეტნავთაგან იყოს, რო ||

5
10
15
207 r
20
25
30
35
40
v
297

მელნი მიცნებებან. განა იქნების სიუსურითა თმისათა მისგან, როგელ მივიდეს გამოზრდელი თმისა, რომელი ზრდის კეკლუცად. ესე იქნების გარდარეულად და დამეტებით და დააყრვენიებს თმასა. და ნიშანი ესე იცოდო, რომე ისი ადგილი ფერსა არა იქცევს, სადა

5 თმა დასცუენინა ბრძანებით ღ'თისათა.
და კულა დაჰკდების თმა სიგრილითა სნებისათა, როდეს გაგრძელდეს სნება კაცსა ზედა, მისგან რომე აღარა მიხუდეს საზრდელი თმასა, რომელი ზრდის. და სნებისა სიგრძისაგან დაუსუსურდეს და დაჰკდეს თმა, არცა ესე არის მისგან, რომელსა

10 სნება ჰქუიან მელისა და გუელისა.
თავისა თმისა კურნება, და წამალნი მისნი დავიწყოთ და მერმე დავწეროთ და ვახსენოთ ტკივილინივე, რომელნი დავურჩეს ამა სენისაგან, ბრძანებითა ღ'თისათა.

15 თუ ნახო სნება მელისა ანუ გუელისა კაცისა თავსა შინა, ყოვლისა ნამეტნავისა ნახო ნიშანი შავისა ბაღმისა, ანუ სისხლისა, თანდარეულად, მაშინ გაუხსენ ძარღვი კათოლიკე და მერმე, რა კელი გაუხსნა, მას უკანით ნახე ძირი თმისა დაჯდომილისა. თუ იყოს ნიშანი შავისა ბაღამისა, მას შეასუი მათფუხი აფთიმონისა და ღარიკონისა, რაგუარაცა სწერია ამ წიგნსა შიგან. და მერმე ასუი იარაჯი გალიანოზისი და ლოლადი და თადრიტონი, ანუ იარაჯი ასუი ქალანესი იმა წესითა, რომე დამიწერია მისი შესუმა ამა წიგნსა შიგან.

20 და თუ ნახო ნიშანი ნამეტნავისა წითლისა ნავდლისა და სისხლისაგან თანდარეულად, მაშინ შეასუი: 25 208 r მათფუხი ხიარი-შამბრისა||და იარაჯი ფეყრასა, ანუ შეასუი: ქაშთაჯთავანი ასტამტიკონისა,—წონი ორისა მიტყლისა. ესე კელისა გახსნასა უკანის შეასუი ხუთითა დლითა, ანუ უფროცა, ვირემდი კარგა ძალზედა მოვიდოდეს.

30 და თუ ნახო ნიშანი, რომე მარტივად ბაღმისაგან იყოს, მაშინ არწყევიენ წამლებითა ამით. — აიღე: ორი მიტყალი ქანგრაზდი და ორი მიტყალი ნიშასტაგი, დანაყე და თაფლითა შეზილე და შეასუი თბილითა წყლითა, ანუ შეასუი სხუათა სარწყეველთა წამალთაგან, რომელნი დამიწერიან წიგნსა ამას შიგან. და აფარეზებინე ზროხისა კორცისაგან, ცხურისა კორცისა და მსუქნისა ბატისა კორცისაგან, და თევზსა მლავესა და ახალსა და ყოველსავე მსუქანსა კორცსა აკრძალე, და აჰამე კორცთაგან: ვარია, თიკანი, ანუ კოკობი, და გლონბ, ანუ კაკაბი, და ღურაჯი.

40 და გალიანოზ დია ჰკურნის ამას მელისა სნებასა იარაჯფეყრათა. და შექმნა ძირიანად ესე იარაჯი ამის სნებისაგან და

რომელიცა ნამეტნავი ნახის დამეტებული, შერთნის წამალნი მის ნამეტნავისაგან გამოღებულნი.

და თუ ნახის ნიშანი შავისა ნავლისა, ჩაურთის შიგა შავი კარის-ძირა, — წონი იარაჯისა წამალთა, და ანუ აფთომონი ჩაურთოს იარაჯისა თანა, და მერმე შეასუის მისგან ორი მიტყალი, ანუ სამი, ძალსა ზედა სნეულისასა. ზოგჯერ შექნის მარცულად მუხუდოსა ოდენი და შეასუის მისგან ორი მიტყალი, ანუ უმცრო ვი[თა]ც[ა] [ძა]ლი ნახის სნეულისა.

და თუ ნახო ნიშანი, და იყოს წითლისა ნავლისაგან, მაშინ ჩაურთოს თანა საყამუნია, ანუ ლარიკონი, წონასა ზედა იარაჯისა წამალთასა, თუითოსა წამლისა წონი || და შერიოს იარაჯსა თანა და შეასუას მისგან ორი მიტყალი, ანუ უფრო, — ძალსა ზედა სნეულისასა.

და ნახო თუ ნიშანი ნანეტნავისაგან ბაღმისა იყოს, შერთოს შამი. ჰანდალი იარაჯისა წამალთა, — თუ[ით]ოსა წონი, და შეასუას მისგან ორი მიტყალი ანუ უმცრო.

და ოდეს ნახოს იგი და იყოს ახლათთა რეულობისაგან, შეურიეის ამა წამალთაგან იარაჯსა თანა, რაგუარცა დამიწერია მით წესითა.

და გასინქე, რა ჰქურნებდე, ვითა დამიწერია თუ ჩაურთივდე გალიანოზის იარაჯთა თანა, აწ შენ ასრე ქენ: რა შეპრთნე ესე წამალნი იარაჯსა თანა, თუ გერჩიოს, შექენ მარცულად მუხუდოსა ოდენი, და თუ გერჩიოს. შეზილე თაფლითა ორი მიტყალი და მიეც ძალსა ზედა სნეულისასა.

იკოდით, ვითა იარაჯი, გალიანოზისი და მსგავსი მისნი წამალთაგან დიდროანთა, რომელნი არიან თადარიტონი და იარაჯი ლოლოდია და ასტამტიკონი და ზოგ-ზოგი იარაჯები, რომელი დადვეს ამას ზედან, რომე იარაჯისა ფეყრასი დავეწერე, იმა[თ] უნდა [ა]მა სენისათუის წამლები. მაგრა, ზენაარ, ერიდე და ზედიზედა ნუ მისცემ, ხანდახან მისცემდი, და ხანდახან]მოუშეუბდი...] ქუემოთ წამალნი დაწერენ.

ზ. კარი მეზვიდე

გუბრისა, თავის მღიმრისა, სრსუილი]სა[, თავისა და ტვი]ნისათუის

სახელი]თა[ლსათა დ ვაკსენოთ კეთრი და მღიერო. შეიქნების თავსა და ტანსა და სახელი ჰქუიან მას მღიერსა რიტე, რომელი განრყუნის ტანსა და ქერქს დაკვდის, რა არს ესე ერთი [....]¹.

|| და შეასუი ამის მარცულისაგან. შექმნა მისი: ა.ი.ღე აფთი 209 r

მონი ოთხისა წონი, და შაჰიამანდალი და მარილი ინდოური, და
საკამენია და აფსინდი, თუითოსაგან — ორისა დრამისა წონი,
და ანზარუთი — სამისა წონი, და ღარჯონი — ხუთისა წონი, ნია-
ხურისა თესლი და ანისონი, სუმბული, და მასტაქი, ზაფრანი, და
5 გომიზი არაბი — თითო დრამისა წონი, და საბრი — ოცდათხისა
დრამისა წონი, დანაყოს კიდეს-კიდე, და შერიოს ერთად, და შე-
ზილოს მღუიღროსა წყლითა, ანუ კალნაბისათა. და შექმნას მარ-
ცულად, ვითა პილპილი, და შეასუას მისგან ორი მიტყალი ნელ-
ტფილითა წყლითა.

10 და ოდეს ესე შესუას, ორსა დღესა სხუასა საქამადსა ეკრძა-
ლოს და სპედბაგსა ხურეტდეს, და გამოიღებზ იგი ნამეტნავსა
შერეულსა. და მეტი იგი აშფოთებული ტანისაგან გამოვალს კსნი-
ლობითა და ამით ჰკურნე ადგილსა მას, რომლისაგან დასრულ
იყოს თმა. და იღარღაროს ფიკრასა იარაჯითა, ყოველთა დღეთა,
15 ზომად — ცხურისა კორკლისა ოდენითა, ანუ სამჯერ, რაოდენ
გასწმედს თავსა მისსა და ჩამოსწურავს, რომელი ყოფილიყოს
უბადოსა ნოტიისაგან. და ვითარ იარაჯი ფიკრასა ჩამოსწურავს
ნოტიასა, და გასწმედს თავსა და ტანსა ნოტიისაგან, და აღარღა-
რებინე ზოგთაგან იარაჯთა, რომელ დამიწერია თქმულსა შინა
20 მესამესა.

და იწყე კურნება თავისა ესრეთ: ოდეს იყოს
სნება მელისა მისსა შედეგად, ოდეს კელი გაგეხსნას და გასახს-
ნელი წამალი მიგეცეს, მერმე მოჰყუინე თავი, და მახუილითა
მოყუენასა კირითა სჯობს, და თუ კირითა არა გემარჯუებოდეს,
25 მახუილითვე იყოს. და მოჰპარსევდ მრავალჯერ. და ოდეს გინდეს
v კურნება, მოიღე სელისა მჩუ || არი და დაუსუი მას ზედა კირგად,
რომლისნდა დასრულ იყოს თმა იგი. და ესრე დააქლიშე, რომელ-
სისხლი გამოადგინო და გაწითდეს. მერმე მოიღე ხახუი ერთი ნარ-
გისისა, ანუ ნიორი ერთი, და მით დაუზილე ქლეშით კარგად, ვირე
30 შეძრას ძარღუი და ქცევად იწყოს. და ოდეს ზილო თავი, და ნახო
გაწითლებულად ადრე, მაშინ ცან, ვითა წამალსა ამას შეირგებს.
და თუ დაგუიანდეს სიწითლე მისი; მაშინ ცან, ვითა დააგუიანებზ
კურნებასა მისსა და არა შეიწყნარებზ ადრე.

და იყო, რომელ პირველნი მკურნალნი დასკრიდიან ადგილსა
35 მას, რომელსა დაჰქდის თმა, და მერმე დაუზილიან იგი ნიორითა
და ძირითა და მარლითა, და სცხე მას მერმე ნავდელი პილოსა,
და გაუშუი ერთსა დღესა და ერთსა ღამესა, და ოდეს გათენდეს,
დაჰბანე იასისა შემგებვარისა წყლითა, და სცხე მას ზეთი ბაანისა,
რამეთუ არს ესე კარგი.

შექმნა მარჯამათა, რომელნი ერგებიან სნებასა მას, და წამალნი მარტივნი მათგანნი, რომელ გამოსახეს პირველთა

იკოდი, ვითა ამას ტკივილსა პატივი ედვა პირველთა მკურნალთაგან, და ედვა მათ ამისგან შეწევნა, მაშა დადგეს მისთვის წამლები და ნახეს მას შიგან ზედვა კარგი და თქუეს, ვითარ შეიქნების ესე სნება გარყუნილისა ნოტიისაგან. მაშინ ჰკურნეს წამლებითა მკურვალებითა მიმწევარითა, ლატიფითა, და თუ რადმე იყოს, იყოს ნამეტნავისა წითლისაგან ნავლლისა, ანუ სისქისაგან. და უქმდეს ყოველსა საქმესა || ზედა წამალთაგან ლატიფთა, 210 r 10 რომელი გასწმედს, რაოდენ ძირი მისი ნოტიისა გარყუნილისა მლაშისაგან არის, და იგი მგზავსი არს მლაშისა წყლისა. და თუცა მლაშე არს გუარი მის წყლისა და ეგრევე წყალი მწარე, ვერ შეუძლონ სახელის-დებად თუნიერ მწარისა წყლისავე. და ესე სნება თუცა ნოტიისაგან არს, შერეული შავითა ნავლლითა ანუ შერეული ნავლლითა წითლითა, ანუ ნოტია არს შერეული ბალღმითა, მაშა იგი ნოტიისაგანვე არს. 15

და ჰკურნეს მკურნალთა პირველთა ამის სნებისათუეს წამლებითა ლატიფებითა, მკურვალებითა. და იყუნეს რომელთა ეშინოდა, თუ დასწუთას ტყავი, ოდეს სიმკურვალისაგან იყვის, შერიიან შიგან წამლები, რათა გატეხონ მით სიმკურვალე. და იგი ურევდეს ზეთსა ღარისასა ანუ ზეთსა ბერძულსა ცუილსა თანა, და უყვიან შიგა წამლები მკურვალები, რომელ ერგების ამას მელისა სნებასა. ოდეს სცხიან მას ადგილსა, რომელსა შინა იყვის ტკივილი და უძლიერესი უმკურვალესი ფარბიონი იყვის, დაგალიან და აურიან ზოგთა ამთზეთთა შიგან, რომელნი მიკსენებიან, და მცირედი ძმრისაგან, და უძლიერესი და უმკურვალესი ფარბიონი იყვის, დაგალიან და აურიან ზოგთა ამთა ზეთთა შიგან, რომელნი მიკსენებიან, და მცირედი ძმრისაგან, და მერმე სცხიან მას ადგილსა, რომელსა თმა დასარულ არიან. და უბრძანიან, რათა არა გასწყდეს მას ზედა დიად, და მერმე მოსწმიდიან. და შემდგომად უამისა კუალად სცხიან ესრეთ მრავალჭერ, ვიდრემდის ტყავი არა დაიწუის. და დანაყიან სპანძელი და მდოგუი, და დაგალიან ზეთსა თანა და სცხიან მას ადგილსა, რაოდენ არს მკურვალე და კარგი, განა სიმკურვალითა ფარბიონისაგან კიდევ არს. 30 35

ანუ აიღე პერული ზღვისა, და დაგალე ძმრითა და სცხე ადგილსა მას, რომელ არს წამალი ესე მასრობელი კარგი. ანუ აიღე კარის-ძირი შავი და თეთრი, ანუ ბავრუქი, და დაგალე ძმრითა ანუ ღარისა ზეთითა, და სცხე ზედა უამითი-უამად, ვითარად გამომისახავს შენდა. და ანუ დაუშობებ მას, არამედ ერთ დღე სცხე და მეორესა გაუსუენე ანუ აიღე თესლი სპანძლისა, დაგალე ძმრითა 40

ვითა პირველნი, ანუ აიღე ფურცელი ველურისა ტევანისა, ანუ თესლი მისი, დაგაღე ზეთითა ბერძულითა ანუ ღარის ზეთითა, და სცხე იგი მას ადგილსა. ანუ აიღე ზარაუანდი ანუ ავშნანი მრცხელთა, და დაგაღე ხირვასა ზეთითა, ანუ ბერძულითა, ანუ ღარითა

- 5 ძმარსა თანა, და მერმე სცხე ზედა.
- ანუ აიღე ერთი ხახუი ერთი ნიორი, დაგაღე ძმრითა და ზეთითა ბერძულითა და სცხე ზედა, ვითარ გამომისახავს შენდა. ანუ აიღე წუნწუზა ყუითელი, და დაგაღე ძმრითა და ზეთითა ბერძულითა მზესა, და სცხე მტკივანსა ზედა ანუ დაწუი თხისა
- 10 კლიკი, და დაგაღე ძმრითა და ზეთითა ბერძულითა, და სცხე მას.
- ანუ აიღე ჰანდალისა ფურცელი, დაგაღე ძმრითა და ზეთითა ბერძულითა, და სცხე მას ზედა, ანუ აიღე ფურცელი ლელუისა, დაგაღე ძმრითა, და მითვე ზეთითა სცხე მას. ანუ აიღე ნიშადურთა და მურდასანგი, დაგაღე ძმრითა, და მითვე ზეთითა სცხე. დასცხო
- 15 მას ადგილსა კატანი ანუ ზეთი ბერძული, და ძმარი. ანუ აიღე სკინტლი ტრედისა ანუ თაგუისა, დაგაღე, და მითვე ზეთითა და ძმრითა დასცხე მას ზედა. ანუ აიღე ერთი ნუში მწარე, დაწუი, დაგაღე, და მითვე ზეთითა და ძმრითა დასცხე. ანუ აიღე საკუმელი
- 211 r გუნდრუკი, დაწუი და ძმარსა ჩააგდე, და შუიდ დღე დაეხსენ, ||
- 20 მერმე დაგაღე და ურთე თანა ზეთი. ესე ანუ ძმარი, და სცხე ანუ აიღე კორკლი ცხურისა, რომელ ახლად ეკორკლოს, დაწუი და დაგაღე ძმრითა და კატრანითა, და სცხე.

ანუ აიღე ცმელი დათუისა ანუ ცმელი აფთრისა ანუ ლომისა, დაადნე და სცხე ამათგანი, რომელიცა გინდა. და ამათ ზეთთაგანიცა, რომელიცა გინდეს, ამათ სამთაგან იკმარე და კეკელა არს.

მაშინ უკუეთუ გინდეს, თუ დაალბო ამათ წამალთაგანი, ოდეს ჰკურნო და გეშინოდეს მას ზედა, ნუთუ დაუწყულლოს ადგილი იგი სითხითა ქერქისათა, ანუ სიმწარითა ყმისათა, მაშა

30 დაადნე ცუილი, რათა დაალბოს წამალი იგი და არა ავნოს. და უბრძანე სნეულსა, რათა დაიბანოს თავი კალნაბისა ფურცლისა ნაგბოლითა¹ ანუ ჰაკუნტლისათა, ანუ ჰულბითა, ანუ ჰანდალითა, ანუ ყოვლითა ამით, და გინდა ერთითა ამათგანითა, და ურთოს თანაბავრუკი, რაოდენ გასწმედს თავსა.

35 ანუ აიღე წყალი მლუიდროსა ორი სიქორაგი; და ჰალილაგი ყუითელი, და ფქუილი, — ათისა დრამისა წონი, შერიოს ერთად და დაიბანოს თავი, გააძლიერებს თმასა და ბაყლსა გასწმედს.

თავჯადა, რომ სრსული ივოს

40 წამალი სარგო ბრძანებითა ღთისათა საჭფაისათუის რომელი შეიქმნების თავსა. სცხო ნუშისა

ზეითთა, ანუ მდოგუისა ზეითთა, და საჰუა კულა იქმნების ნოტი-
ისა ბოროტისა განრყუნილობისაგან.

აიღე ნუშისა მწარისა ზეთი და მდოგუისა ზეთი, თუითო-
საგან ნახევარ სიქორაგი, და ერთი სიქორაგი ძმარი. აიღე შიადი
მამითასა და გუნდა ამათგანი, — თუითო სამი მიტყალი, და ფაილა-
ზაჰრაგი, — მიტყალი ერთი, და ძარლუი ყუთიელნი და ბავრუკი—
თუითოსაგან ნახევარ მიტყალი დაგალოს ერთგან და შეპრიოს
ზეითთა, და შექმნას მარჰამად, და სცხოს თავსა. არს კარგი საჰუა-
სათუის, რომელი იყოს თავსა, და მღიერისათუის და ტილისათუის
და ბაყლისათუის, და თუ გინდეს, ურთე ზედა ძმარი, ვირე გათ-
ხელდეს, და არს კარგი მელა სნებისათუისცა.

მისთუისვა

წამალი სარგო ბრძანებითა ღ'თისათა საჰ-
ფასათუის და კობასათუის, რომელ არს სრსუ-
ილი.

აიღე წუნწუბა და კალკატარინი და გომიზი არაბი, თუითო
ორი მიტყალი, და ნუში მწარე — მიტყალი ერთი, დაგალე და
შეზილე ლუინითა, და სცხე იგი. ერგების ესე მღიერსაცა და
ტილსა და ყოველსა მქავანსა, და ყოველსა, რომელი მიკსენებთ.
და ყოველი წამალი რომელი ერგების საჰფასა, ერგების იგი სრსუ-
ილსაც. და ოდეს საჰფა იოს თავსა ყმისასა, მაშინ ნახე და მუღა-
რითა ჰკურნე, არა დაუწყულდეს. და უფრო სარგო რომელ
ჰკურნებს საჰფასა, რათა გაუკუეთო ყმისა ორივე ძარლუი, რომელ-
ნი ყურსა უკანა არიან, და აიღო სისხლი იგი მისი ტფილივე და
სცხო თავსა, და ყმა ადგილს ტფილსა დასუი და შეასუი წამალი
ესე.

აიღე თესლი კამისა—დრამისა წონი, და ხალილაგი შავი —
თუითო სამისა დრამისა წონი, და შაქარი—ამათ ყოველთა წონა და-
ნაყენ და შეპროენ ერთად და უკუნთქას ერთკელ, და ყოველთა დლე-
თა ესრე შეასუემდი. და შეასუი კამისა ნედლისა წყალი შაქრითა,
და შეასუი სიქანგუბინი, და აჰამე კორცი მფრინველისა, და კორცი
თიქნისა, და ახალი თევზი. და აკრძალე მლაშე თევზი და ყოველი ||
მძიმე. და თუ იყოს ყმა ძლიერად და ტანი მისი სავსე იყოს, მაშინ
გაუხსენ მას ძარლუი კათოლიკე და შეასუი მარტყალი ასტამტი-
კონისა, და არ არის უფრო სარგო ყმისათუის, ვითარ სძე, ოდეს
წმიდა იყოს ზრდის ეამსა, და თავი მოჰყუინე კირითა, ვირე წარ-
ვიდეს მისგან დამპლობა იგი და დაუშურეს. და მერმე სცხე ზედა
წამლები. შედეგად კირისა. და უკეთუ ნოტია გადიდდეს თავსა და
გასქელდეს და მოწყლას სიმკურვალესა თანა, მაშინ აიღე.

5

10

15

20

25

30

212 P

35

სპეტი და მურდანანგი — თუითო ოთხისა წონი, და კუერცხისა გული, და ვარდისა ზეთი — სამი ასათირი. და დადნევე ცუილი ზეთითა მით, და დაგაღე წამლები, და შეზავე მით, ვირე შეიქმნას მაპრაამად, და სცხე თავსა დილა-მწუხრ, და გამრთელდეს, თუ ღმერთსა უნდეს.

5

სრსუილისთუისეჲ

წამალი სარგობრძანებით ღ'თისათა საქ-
ფასათუის.

10

აიღე გუნდა მწუანე, უჭურეტელი — ხუთისა დრამისა წონი და სიქორაგი ერთი, ფურთა ფსელი, და სიქორაგი ერთი ლუინისა ძმარი, შეკრიბენ ერთად და ქოთანსა ჩაასხი და შეგბოლენ. და დალბეს გუნდა და მერმე დაგაღე, და სცხე საქფასა, და იგი გააქ-
მობს და წაიღებს ნებითა ღ'თისათა.

15

ანუ აიღე გუნდა მწუანე უჭურეტელი — ათისა დრამისა წონი, და ნუში მწარე ურჩეველი — ხუთისა დრამისა წონი, დაგა-
ღე ძმრითა და დადევ მზესა, ვიდრე აფუეღეს, და [სც]ხე საქფასა.

20

v

ანუ აიღე გუნდა — სამისა დრამისა წონი, და უძოვარი-
სა თესლი — ორისა წონი, და წუმწუბა ყუითელი — ორი მიტ-
ყალი, და ამარტა წითელი და ზურუმბადი, თითოსა თუითო —
ნახევარ დრამისა წონი, ნიშადური და კეცი თორნისა, ძუელი, და
ნუში გამორჩეული და შამიპანდალი, ქონდარი || დამწუარი და
ძირნი ყუითელნი. სპეტი და მურდანანგი კაპრისა ძირისა, ძირი და
ძარღუნი მისნი, და ფურცელი ლელუისა კმელი და ძარღუი ლერ-
წმისა კმელი, ეანგარი და შაბი იამენი, და შიაფი, მამითასა მური,
და საბრი და ლუბანი. თუითო ნახევარ დრამისა წონი, კატრანი
და ფურცელი ზეთისხილისა, ბავრუკი და ზროხისა ნავლეი, ამათ-
განე თუითო მიტყალი, დაგაღენ ერთად წამლები და გაცარ, და
შეზილენ ძმრითა ლუინისათა, რათა შეიქმნას ვითა მაპრაამა, და
დადევ მზესა ანუ ლადრსა ზედა, ვირე შეერიოს იგი ერთგან. და
მერმე სცხე იგი, რამეთუ არს კარგი საქფასათუის, სრსუილისა-
თუის, და კუირტისათუის, და მქჷვნისათუის, და მლიერისათუის,
ქარტლისათუის და თმისათუის ოდეს დაჰკვდებოდის, და მელის
სნებისათუის და კეთრისათუის ოდეს სცხო ზედა, ერგების ესე
ამას ყოველსავე ნებითა ღ'თისათა.

35

და ვაქსენოთ ჭორფლი, რომელი იყოს პირსა, კორფლი პირსა
შეიქმნების სტომაქისა ორთქლისაგან და სისხლისა გარყუნილი-
საგან, უბადოსა საზრდელისა მაგიერ. და რომელი შეერიოს სის-
ხლსა თანა ძაროუთა შინა, რაოდენ ხატი კაცისა არს ადგილი

თხელი შერეული ტანსა თანა, და იგი არს, რომელ რაცა ტანსა შინა გამოჩნდების, ხატსა ზედა უფრო გამოჩნდების, მისგან რომელ ადგილთა რათვე ტანისათა სიმრთელესა შინა იყოს ანუ სნებასა. რამეთუ თავი და ხატი ზედათ არს ყოველსა ტანსა და სულსცემს ორთქლი ტანისა თავით კერძ, და გამოჩნდების ყოველი ფერი გარყუნილობისაგან, ოდეს ვერ მოიღნოს ტანსა შინა გამოჩნდეს უეჭუელად ხატსა შინა. და უფროსად შეხუდების ესე კორფლი დედათა და || ტან-უძლევათ. და იგი სიდიდითა ნამეტნავისათა არს, რომელი შეკრბების გუამსა შინა უძლებათასა გარდაწყუე-ლითა წესისათა, და დარჩეს იგი ნოტია და ნამეტნავი გუამსა შინა.

მა შინ 3 კურნე კორფლი დედათა, თუ სკირდეს (უკუეთუ უძლებობა არ გაბრკოლებდეს და ძნელი უსუსურება), მარცულითა მასტაქისათა და საბრისათა. შეასუი მისგან ორი მიტყალი ნელტფილითა წყლითა და შეასუი იარაჯი ფიკრასა და მარცული თესლთა ჟამ-ჟამ.

შექმნა მარცულისა თესლთაგან. — აიღე საბრი და მასტაქი. ნიახურისა თესლი და ანისონისა, კამისა და ნანახუა, მარილი ინდოური, და ალილაგი შავი — თუითოსა დრამისა წონი, და საბრი — ყოველთა წამალთა წონი, დანაყენ და შეზილენ ნედლისა თურინჯისა ფურცლისა ნაწურავთა წყლითა, და შექმენ მარცულად ვითა პილპილი, და ჩრდილსა გააკმე, და შეასუი მისგან ორი მიტყალი, ანუ ერთი, ნელტფილითა წყლითა. და არს მარცული ესე ყოველსა ჟამსა სასუმელი.

და შეასუი თურმუსისაგანი. შექმნა მისი. — აიღე ხალილაგი შავი და ყუითელი სწორად, ზანჯაბილი კმელი — ნახევარ ნაწილი, და შაქარი თეთრი — წამალთა ყოველთა წონი, დანაყენ და შერიე ერთად, და შეასუი ოთხისა დრამისა წონი ნელტფილითა წყლითა, ანუ უკუ-ირღუნიდეს ყოველსა ჟამსა ცივითა და გრილითა წყლითა. და ოდეს ნახო კორფლი ხატსა შინა განრყუნილობითა ყოველითა ფერისა ტანისათა, მაშინ გაუხსენ მას კათოლიკე, ანუ კეფალა, ანუ კოჭსა ზედათა რომე ძარღუი არს, და გაუშუი მის ზედა || ხუთი დღე, ანუ შუიდი დღე, ვირე გაძლიერდეს. და მერმე შეასუი დიდი ასტამტიკონი, თუ ძლიერად იყოს, თუ არა მცირე ასტამტიკონი შეასუი, ანუ იარაჯ-ფიკრასა შეასუი, და უკუეთუ გიმარჯოს ჟამმან, აფთიმონი შეასუი. ოდეს ტანი გაგეწმიდოს მით, რომელ მიკსენებია, და გაუძლიერე სტომაქი, რათა არა დაიჭიროს ნამეტნავი უკანას, და შეასუი ფანჯანგოში და წამლები რომელი გააძლიერებს სტომაქსა მათგანი, ვითა იტრიფელი და ფანჯანგოში.

20. ფანსკერტელი-ციციშვილი

წამლები საცხებელი პირსა ზედა ქორფ-
ლისათუის.

5 აიღე სპანძლისა თესლი და ჰუბაბი კიმპისა, და მასრდაქი
გარცხილი — თუთოთ ღრამისა წონი, და ზაფრანი — ნახევარ-
ღრამისა წონი, და სკინტლი მწლოკუისა და ჯოჯოკუთრისა, ორთა-
განვე — ნახევარ ღრამისა, და ბაკილასა ფქუილი, და ჰულბა შემგ-
ბვარი და ქრთილისა ფქუილი, თუთოსაგან თუთოთ — ორისა
10 ღრამისა წონი, და ნუშისა ტკბილისა ზეთი — სამი ასათირი, და
ნარიჩი — ერთი ასტარი დანაყენ ესე წამალნი და შეზილენ, და
ამით ზეთითა დასცხე პირსა ქორფლსა ზედა.

ანუ მოიღე ბაკილა დაფქული, და გერმა ფქვილი, ამათ-
განი თუთოთ — ოთხისა წონი, და აიღე ჰულბა და ქაშქი და შემგ-
ბოლე, ვირე შექშირდეს მისი წყალი. მერმე მოიღე ამის წყლისა-
15 გან და შეზილე მითა წამალი, და შექმენ მისგან კუერები და ჩრდი-
ლსა გააქმე. ოდეს გინდეს, დაგაღე მისგან კუერი ერთი, და უროჲ
თანა ზაფრანი, შერიე წყლითა და სცხე ქორფლსა ზედა.

ანუ აიღე ავშნანი — ხუთისა ღრამისა წონი, და კრილი—
ორისა წონი, იისა გული — ოთხისა ღრამისა წონი, და ჯარჯარი —
214 r სამისა || წონი, და ზაფრანი-ღრამისა წონი, დაგაღენ და შეზილენ
20 წყლითა, შექმენ კუერები, და ჩრდილსა გააქმე. ოდეს გინდეს,
დაგაღე და გაადგინე წყლითა, და სცხე ქორფლსა ღამით და დი-
ლასა მოჰბანე.

და ვაქსენო სიგონჯე და კურნება. მისი, რაოდენ სიგონჯე
25 თმასა დაჰქდის და გარყუნის ტანსა და შეიქნებოს სიგონჯე შავისა
ნავლლისა გარყუნილებისაგან, და ოდეს იგი გაირყუნას, ეგრევე
გარყუნის სხუათა ახლათა და თმა დაჰქდების თავისა და ტანისა
და წარბისა, და ყოველთა სნებათა შუათ საჩინო არს, და ხატსა
დაადუხჰირებს და შეასქელებს. და გარყუნის ფერსა, და გააჰყინავს
ისნლსა ადგილთა შინა ტანისათა. და სახელ-სდებენ. — სნება
ლომისა, რაოდენ აქცევს და შეშლის ხატსა და გარყუნის
ფერსა და ამსგავსებს ლომის პირსა: და არს, რომელ გა-ცა-ფიც-
დეს მის ზედა, და თითნიცა მოსცუივენ და კიდურნი ასოთანნი, და
კმასა დაჰქდის და გაუძნელებს ნაფასსა. და არს ტკივილი ძნელი
და გარყუნის მისითა გარყუნელობითა მამაციასა წყალსა. და ესრე
35 შექმნებინ, რომელ შვილიცა მისგან ნამოზი გონჯივე იყოს. და
ამისებრ სხუათა სნებათაგან ზრა შეხუდების, თუმცა დაიმსგავსა
სნებამან შვილი თუნიერ ამის სიგონჯისა.

და არა განერეს შვილი ამათი სიგონჯისაგან, რამეთუ ვერ
აქცევს სხუა სნება წყალსა მამაციობისასა თუნიერ ამისსა, და ძირი

ამის სნებისა საკუთრად მასშიგან იყოს, და უფრო, რომელ არს და შეხუდების ადგილთა გრილთა, რომელთა ჰაერი განრყუნილი იყოს და საჰამადთაგან სქელთა და გარყუნილთა მათგან ერთად დიადისა წუელისა ჰამა და კორცისა და ყველისა და ზროხის კორცისა და სუმა სასუმელთა სქელთა და შე-ცა-იქმნების ესე აბანოს შესულითა გონჯისა თანა და თანაჲდომითა, და მათ თანა ჰამითა და სუმითა. მაშინ ოდეს ნახო გონჯი ძლიერად, გაუხსენ მას ძარღვი კათოლიკე და ორთავე კოქთა, და გაუხსენ ძარღვი შუბლისა, და გამოულე ძარღვი მისსა ზედა. და უბრძანე, რათა აბანოს შევიდოდეს, დიად უზმა და დიდხანს დაჰყოფდეს მას შიგან, ვირე გაუთხელდეს სისხლი მისი. და ჰაერისა სიგრილისაგან წაიყვანე ჰაერად ტფილად, და იცოდე, რომელ ესე სნება უფროსად წაეკიდების სპანისა ქუეყანისა კაცთა, ანუ სხუათა ადგილთა ცივთა. მაშინ სცვალნე იგიანი ადგილთა სხუათა, მერმე სისხლისა გამოღებისა ეამსა შედეგად დღე რაოდენმე შეასუი წამალი გასახსნელი, ერთი ამათგანი — მატფუხი აფთიომონისა და ქაშთაჟი ასტამტიკონისა, და ამისა შედეგად შესაღი იარაჟი ჯალინოსისი ანუ ლოლადია, ანუ თიადარიტონისი; ანუ შესაუენე ესე წამალნი ერთგან შერევით ერთგზის ანუ ორგზის ამათ წამალთაგან, ვითა ძალი ნახო სნეულისა საზომსა მისსა ზედა, ვითაცა შეეძლოს აღება წამლისა. და ოდეს შეასუმიდუ თიადარიტროსსა, შესაუი აფთიომონისა შემგებარისა წყლითა, ანუ ტფილითა წყლითა, ანუ ჩამიჩისა შემგებარისა წყლითა. და ოდეს გაიშორო მისისა სისხლისა გამოღებისაგან და ამათ წამალთა შესუმისაგან, მერმე დასწუი ყურსა ზედათანი. ორნივე ეკრძნი და ეგრევე კისრით და წინათ, შუბლსა ზედათ, ჯუარედად, ერთმანერთსა დამართებით, და დასწუი ჰანჯარასა ძირი და ნებთა გასაყუფელნი, და ორთავე ფერკთა ტერფნო, და საფეთქელნი და ჩულრმუტი კისრისა. და ადგილები სხუაცა არს დასაწველები, რომელსა აჩენს და უთხრობს წიგნი იგი დასაწუეთა, რომელი დადვა პლატონ. და ესე ტკივილი ფიცხელ არს და ბოროტ და ვერ ეგების განრო || მა მისგან.

და თქუა ჯალინოზ კსენებასა მისსა, ოდეს აქსენნა გუელნი. ვითა: ნახა, რომელ განერა ვინმე სიგონჯისაგან ერთითა შესუსუმელითა, ღუინითა რომელსა შინა მომკუდარ იყო ჯარბი გუელი და ჩაეთხია მას შინა სხამი მისი, და დაეყო მას ყუიბრსა შინა, ვიდრემდის დამპალიყო და თქუეს ესრეთ, ვითა: ოდეს შესუა მისგანი, გაუსივდა ტანი გონჯსა მას და ჩამოსჩქულა გარე ქერქი მისი. მაშინ ბრძანა მისთუის ჯალინოზ მის თერიისაგან მიცემად, რომელი კორცთაგან გუელთასა შეიქმნების.

და ესრეთ თქუა ვითა: დიად სარგო არს მათთუის თერია. შედეგად მისსა, ოდეს მოიცალონ წამალთა დიდთაგან, მერმე შეა-

5
10
15
20
25
30
215 r
35
40
307

სუი თერია მუხუდოსა ოდენი. და ერგების მათ ბრძანებითა და
ღთისათა წამლები, მაჯუნები, მსგავსი თერიათა, ვითარად სიგზი-
ნია და შილთა, და ღუბაილი ქიბრითისა, რომელ არს მაჯუნი წუნ-
წუბისა, და ზოგი დიდი მაჯუნები და ესეთნივე დიდნი სხუანი, და
5 უბრძანე, რათა იბანებოდის წუნწუბისა წყლითა¹.

შ. კარი [მარვა]

მანახულიანი, და ნიშანი მისი, და წამალნი მისნი •უშალა ამა კარსა ზიზან სწერიან

თუ ესე სენი დაემართოს კაცსა, რომელსა ჰქუიან მანახულია,
10 იცოდით, რომე ტუინშიგა შეიქნების, ერთობ ავი სენი არის, იცო-
დით, რომე ესე სენი სეველისაგან დაემართების კაცსა. როზოამს
აქიმსა უთქუამს, ვითა ბალღმისაგან დაემართებისო და სისხლისა-
განო, და ჩუენჯა დავემოწმენით, მართლად უბრძანებია. ესე მის-
განცა იქნების, რომე დიდსა ჰამდეს || და ვერა მოიდნობდეს;
V ვერცა დიდსა და ვერცა ცოტასა.
15

ნიშანი მანახულიანი. გუერდები გაუსივდეს და
ქარი გაერიოს, და ზოგ-ზოგჯერ კაცსა ცნობა და ჰქუან შეეცულე-
ბოდეს, და ამას იტყოდეს, ვითა: არა მეშუელების რაო. ასრე ეგო-
ნოს, ან მოწამლული ვარო და ან გრძნეულთაგან ვარ ავადო, და
20 არას საქმესა არ დაუჭერებდეს, არცა არას წამალსა იქმოდეს. ასრე
ეგონოს, ვითა: ანუ დილასა მოგვუდები და ანუ საღამოსა ჟამსაო.
და ამას იტყოდეს: ვერ მოვრჩები, წამალსა რას ვაქნეო. და რა
აბოყინებდეს, ხან მქავე და ხან მყრალი სული გამოვიდოდეს პირი-
დადმა, და ხან სისხლისა გემო იყოს პირშიგა, და ზოგჯერ მამა-
25 ცობა მოედოს. რა ესე სენი ეცეს კაცსა ანუ დედაკაცსა, კარგად
შენახვა უნდა, რომე ამას სენმან არა მოარჩოს. ბევრი იქნების,
რომე თავი მოირჩოს, ამად რომე ასრე თქუას: ამა სიცოცხლესა
სიკუდილი მიჯობსო. ბრძენნი და ჰქუიანნი აქიმნი ამას იტყუიან
ამა სენისასა, ვითა: თირკუმელთა და სტომაქისა შლისაგან იქნები-
30 სო. და რა ესე სენი გამოაჩნდეს კაცსა, ნიშანი ესე იყოს, რომე
ძილი არ მოეკიდებოდეს და ჰკრთებოდეს ძილშიგა, თუ დღე იყოს,
ღამე ეგონოს, და თუ ღამე იყოს, დღე² ეგონოს; და ასრე ეგო-
ნოს, მაღლით ადგილიდადმა ჩამოვეარდებითო, ეშინოდეს და
ფრთხილდებოდეს. და ესეცა ეგონოს, ვითა: წყალშიგა ჩავეარდე-
216 რბიო, ანუ ვიწროსა || ადგილსა საღმე ჩამოვარდნილვარო. როზოამ
35 აქიმსა უთქუამს. — იყო ერთი კაცი ამა სენისა უფალი, რომე სახ-
ლით ვერა გამოიყვანდეს; უთხრიან, ვითა: გამოდიო. მან ასრე
უთხრის: რაგუარა გამოვიდე, ცა დამეცემის თავსაო. ესე სენი

რაცა გუითქუამს, ბალღმისაგან იქნების. და წინასა . ჟამსა ერთი
 კაცი ყოფილა ამა სენისა უფალი და აქიმნი ამას ეტყოდეს: გუით-
 ხარ რა სენი გკირსო. და იგი არას ეტყოდა. მერე რა გაამრთელეს,
 ჰკითხეს აქიმთა: გუებნებოლით, რატომ არას გუეტყოლიო. მან აგრე
 უთხრა: რა მეთქუა. ენა ჰკიქისა მეღვა და მისისა გატეხისაგან მე- 5
 შინოდაო. ერთი კაცი სხუა ვნახეთ ჩემსა ჟამშიგა, ამას იტყოდა:
 თავი არ მაბიაო. მერმე აქიმთა ეგრე თქუეს: ტყუვისო. მოიღეს
 ერთი მუზარადი და თავსა დაჰბურეს, მაშინლა ძლივ შეიტყუა,
 ვითა: თავი მაბიაო. რაცა ესე ნიშნები დავეწერეთ, თუ ესე სკირ-
 დეს, იცოლით, რომე ყულა ბალღმისაგან იქნების. პირველად 10
 ნახე, თუ კაცსა შიგან სიცხე იყოს, ქელი გაუხსენ, და თუ სიცხე
 არ იყოს, ისი მათფუხი მიეც. რომე მალასისათუის სწერია. და საჰ-
 მელი რაცა მისცე, სუბუქი მიეც, თიქნისა და ვარიისა და კრავისა
 კორცი, და თორხოლოსა კუერცხისა გული. და რაცა საჰმელი
 აჰამო, პიტნითა აჰამე, და ნელ-თბილითა წყლითა ნიადაგ თავსა- 15
 დაჰბანდი. და ფრთხილად შეინახე ყოვლისა ფერისა მჟავისა და
 წუელისაგან და აპოხტისაგან.

წ ა მ ა ლ ნ ი მ ი ს ნ ი . ყოვლისაგან უეკეთესი და მარგებელი
 წამალი ესე არის. — აიღე || მური — შუიდი ღრამი; და საბრი 7
 სკუნტრი — შუიდი ღრამი, ასარონი და მასდაჰი, დარიჩინი და 20
 ზაფრანი, და ბალასანისა ხილი, თუიოთსაგან — ერთი ღრამი და
 ნახევარი. ყულა სწორად დანაყე და გაცარ, და ცივითა წყლითა
 გაურიე, და მრგულ-მრგული აბიბი შექენ, ჩრდილშიგა გააჰმე,
 რა მოგინდეს, მიეც ერთი ღრამი და ნახევარი, თბილითა წყლითა
 შეასუი და უშუელის. ზედა ოშინდარისა სასუემელი შეასუი. მერმე 25
 შექენ ესე მაჰუნი, რომელსა დავეწერთ, და მიეც კუირაშიგა თუი-
 თოს ჰერ: აიღე კმელი წითელი ვარდი — ექუსი ღრამი, ყარა-
 მფული, სუმბული, მასტაჰი და ასარონი, თუიოთსაგან — სამი
 ღრამი, ბასბასა — ერთი ღრამი, კარფაე და ზარავანდი, თუიოთსა-
 გან — ორი ღრამი, ჭავზი ბუა — ერთი ღრამი. ესე ყულა დანაყე 30
 და გაცარ, ერთპირად აწონე. ამა წამლებისათვის ათისა ღრამისა-
 თუის ორმოცი ღრამი ამლაჰი აწონე, ისი ამლაჰი ჰოთანშიგა ჩაყა-
 რე, და ორი ლიტრა წყალი დაასხი და ადულე, რომე ნახევარ ლიტ-
 რა დარჩეს. მერმე გარდამოიღე და საცრითა გაწურე. ათისა ამ
 წყლისაგან ოცდაათი ღრამი ნაბადი შაჰარი გაურიე. მერმე დაღვე 35
 ცეცხლზედა მუნამდი, ვირე თაფლივითა გასჰელდეს. აიღე ცეცხ-
 ლით და ეგე დანაყილი წამლები ყულა შიგან გაურიე. მუნამდი
 შეზიღე, რომე გაერთდეს. ჰურჰელშიგა ჩადვე, და რა მოგინდეს,
 მიეც სამი ღრამი და ნახევარი ამა მაჰუნისაგან, ანუ თბილითა
 წყლითა შეასუე და ერგოს. 40

|| ს ხ უ ა წ ა მ ა ლ ი მ ა ნ ა ხ უ ლ ი ა ს ა გ ა ხ ს ნ ი ს ა . 217 r

ა ი ლ ე უნაბი და სეფისტონი ქლიავი, თუითოსაგან ოცი მარ-
ცუალი, კმელი ია — სამი დრამი, ძირტკბილა — ორი დრამი, წი-
თელი ვარდი — ათი დრამი, ბასვიაჯი — რვა დრამი, ყუთიელი ალი-
5 გურკისაგან გამოღებული, თუითოსაგან — სამ-სამი დრამი, უსთუ-
ხუღუზის ყუავილი — ათი დრამი, აფთიმონი — ხუთი დრამი. ესე
ყუალა ქოთანშიგა ჩაყარე და ზედა წყალი დაასხი რვა უკია¹, და
შემოდგი ცეცხლზედა, და მანამდის ადღდე, სადამდის ორი უკია
10 დარჩეს, და გაწურე. მერმე აიღე თურბუთი — ერთი დრამი და
ნახევარი, ღარიკონი — ნახევარ დრამი, ლაჟურდის ქვა — ერთი
დანგი. ესე ყუალა დანაყე და გაცარ, და იმა მათფუხშიგა გაურიე,
და შაქარიცა გაურიე, და შეასუი მით წესითა, რაგუარაცა სხუისა
მათფუხისა დაგუიწერია.

მ ე რ მ ე ე ს ე მ ა ჯ უ ნ ი ქ ე ნ . — აიღე ტაბააშირი — ორი
15 დრამი, წითელი სანდალი — ერთი დრამი და ნახევარი, კალიის
თესლი და კაპრის თესლი, თუითოსაგან ერთი დრამი და ნახევარი,
ზაფრანა — ერთი დანგი, რაენის თესლი — სამი დრამი, მქაუნა —
ოთხი დრამი, თუხმაქანი — ოთხი დრამი, ბაამანი წითელი და თეთ-
რი — ოუთო დრამი, სუმბული — ერთი დანგი. ესე ყუალა
20 დანაყე და გაცარ, და ერთმანერთშიგა გაურიე, და მიერ ყოველთა
დღეთა ორი დრამი ჭულაბითა.

▼ იცოდით, რომე მანახულია სამისაგან იქნების: ერთი || სასისა
სიკმელისაგან, რომე ნამეტნავად სასა გამკმარ იყოს და მისი სიკმე
ყოველსა სტომაქშიგა შესულ იყოს. მისი ნიშანი ესე არის, რომე
25 თუალნი ჩასცივიწოდენ და პირი გაშავებოდეს, და დღე და ღამე
მუდამ იზახდეს ქათამივითა. მისი წამალი ესე არის, რომე
ცხუირჩიგა მუდამ ლელოფრისა ზეთსა ჩაუშუებდენ, და საფეთქელ-
თა და საჯდომსა იმითა იზელდეს, და აფთიმონისა მათფუხი შეასუი.

შ ე ქ ნ ა მ ა თ ფ უ ხ ი ს ა . — აიღე შავი ალილა — ოცი
30 დრამი, კურკა გამოღებული, აფთიმონი — ათი დრამი, ჩამიჩი და
ქიჩმიჩი — ოც-ოცი დრამი, სანიმაქი — შუიდი დრამი, თურბუთი
თეთრი — ოთხი დრამი. ესე ყუალა სამითა ლიტრითა წყლითა
მოადღდე მუნამდე, ვიერ სამოც მუტყლად მოიყაროს. მერმე ერთი
მუტყალი ყარყიონი, ორი დანგი საყამუნია, ნახევარ დანგი შავი
35 ხარბაყი, ესე ყუალა დანაყე, იმა მატფუხშიგა გაურიე და შეასუი.
საკმელი მომსუქნო და მოტკბო აჰამე, ნუშისა ზეთითა მუდმად.
და ამას წინათ ზაფრანი, და უდი, და ელქირუმი¹ ცეცხლზედა
დააყუმიე, თავი ზედა წაიშუიროს, წამოიბუროს და აგრე იყარო-
ლოს, რომე ორთქლი კარგად შეუვიდეს. თევზისაგან, ყველისაგან
40 და ზროხის კორცისაგან იფარეზოს. რასაცა კარგი სული უდიო-
დეს, მუდამად ისუნებდეს, და კელიცა გაახსნევინოს, — ძარღუი,

რომე სელიმი ჰქუიან (ნეკსა და მისსა შედეგსა თითსა შუა არის მარცხენისა ხელისა) და ერთსა თუესა უკანის ბასალიკე გაუხსნას. და მუდამად აბანოს იბანებოდეს, რომე ესე წამალი შიგან მოღუ- 218 რ-
ლებულ იყოს ბაბუნაჯი || სისამბარი, აქლილმალაქი, სფანდი. ყაი- 5
სუმი შიგან მოღულებული იყოს და ამა მოხარულისა წამლები-
საგან თავზედა შემოიდვას.

სიჰინსათუის

მერმე ესე მაჯუნი შეუწყევ სეედი სათუის² —
აიღ ტაბაშირი — ორი დრამი, წითელი სანდალი — ერთი დრამი
და ნახევარი, თუხმაქანი, დარუნაჯი (ზანჯაბილსა ჰგავს), ზარამბა- 10
და, თუითოსაგან — თუითო დრამი, მარგალიტი გაუჭურებელი,
ქარბა და უმი აბრეშუმი, დამწუარი, თუითოსაგან — ერთი დრამი
და ნახევარი. ბაამანი წითელი და თეთრი სადაჯი, ჰინდი (ინდოურ-
სა სადაჯსა ჰქუიან), სუმბული, და ხარამფული — თუითოსაგან
ნახევარ დრამი, დარაფილფილი — ერთი დნაგი, რაზიანის თესლი — 15
ოთხი დანგი, მჟაუნა — ოთხი დრამი. ყულა დანაყე, გაცარ და
თაფლითა გაურიე. რა მოგინდეს, მიეც ერთი დრამი ერთსა კუირა-
სა ყოველთა დღეთა.

სხუა წამალი. — აიღე სეფისტონი და უნაბი და ქლი- 20
აგი — თუითოსაგან ორმოცდაათი მარტული, ია კმელი — ექუსი
დრამი, პასეაიჯი გაწმედილი და დანაყილი — თექუსმეტი დრამი,
ჩაყარე ქოთანშიგა, ნახევარ ლიტრა წყალი დაასხი და აღულე
ცეცხლზედა, ვიდრე ერთი უკია და ნახევარი დარჩეს. მერმე აიღე
ხიარი-შამბრისა გული — ოცდაათი დრამი, წყალი ზედა დაასხი
და გაურიე მანამდი, სადამდი გაერთდეს. მერმე კიდევ გაწურე 25
წმიდად, და ერთი უკია და ნახევარი შაქარი მოაყარე. მერმე
ცეცხლზედა შემოდგი, რომე გასქელდეს, და აგრე კურქელშიგა
ჩადევ, და მისცემდი, რა მოუნდებოდეს, და ეშუელოს ნებითა
ღთისათა.

თუ მანახულია სისხლისაგან იყოს, მისი ნიშანი ესე არის, 30
რომე სისხლი დასქარბებოდეს ტანშიგან, და მორე || ოდეს. მისი
ნიშანი. — ყაცი დამჰლობილ იყოს და ორივე მკარი საფეთქელი
სტიკოდეს და ტანი გამკმარი იყოს გაშაეობოდეს. მისი წამალი.
— შუა ძარღვი გაუხსნას და სისხლი ნახოს, თუ წითელი იყოს --
ასოცდაათი დრამი გამოუშვას, და თუ შავი იყოს, სისხლი ორი 35
ზომა გამოუშვას. მისი საკმელი — ქათმის კორცი და თორხოლო
კურცხი, და მსუქნისა ბატკნის კორცი აჰამეთ და რასაცა აჰმევედ
და ასუმევედ, ყულასა მოტკბოსა აჰმევედი და ასუმედი, და მო-
ფარეხსაცა ასუმედით წყლიანითა ღუინითა, და წყლიანსა ღუინოსა

ასუემდით. თუ კაცი უცოლო იყოს, ცოლი შერთეთ, და თუ ქალი იყოს, ქმარი შერთეთ, და აფთიმონისა მათფუხი შეასუით, ააღებინეთ.

5 სხუა მანახულია არის, რომე მუდმად არა მოუვიდოდეს, სადამდი მთუარე არა გამობრუნდებოდეს, და რა მოუვიდეს, აფთიმონისა მათფუხი შეასუით, რაგუარაცა უწინა დაგუიწერია იმა წესითა.

10 წამალი მისი. — აიღე აფთიმონი, ათი დრამი, ბასვიაცი და ღარიკონი — ათ-ათი დრამი, შავი ხარბაყი და ინდოური მარლი — ორორი დრამი და ნახევარი, უსტუხუდოს — სამი დრამი და ნახევარი, იარაჟი ფეყარა — შუიდი დრამი. ესე ყულა დანაყე და მოფარუნსა მაჭუანშიგა გაურიე, და მერმე ორსა დღესა სამსა მუტყალსა მისცემდი.

15 აიღე მუფარუყარბი, წითელი ვარდი, ბადრანჯაბუს თესლი ყარამფული, მასტაჟი, ზაფრანა, ყურფა, ჭავჭი, ყაყულია, ნარმუში წითელი და თეთრი ბაამანი, ზარამბადი და რუნჯი, ბა-
219 r დარე — თუითოსაგან ნახევარ დარა, || მუშვი ერთი მუტყალი. ესე წამლები დანაყე და ერთად გაურიე, მასუკანით მოიღე ათი მარცული ალილა, ქუბული — თხუთმეტი დრამი, ამლაჟი დანაყე და სამსა ლიტრასა წყალშიგან ასთემიერთი აღულე, რომე ასი დრამი დარჩეს. მერმე ხუთი დრამი თაფლი შიგან გაურიე და მანამდი აღულე, რომე შესქელდეს. ესე წამლები შიგან გაურიე, და ყოველთა დღეთა თუითოსა თხილისა ოდენი აქამოს.

25 სხუავე თავქედისა ნიშანი. — რაჟამს კაცსა ზრზოლა მოუვიდეს და იმაზედა დასუსტდეს და გასივდეს და ცეცხლივითა შეიქნას, და თავი და წელნი სტკიოდენ და ზურგი, და ენაზედ შავი რამე გამოუჩნდეს, რა ესე ნიშანი: ნახო, იცოდი, რომე თავქედი არის. მერმე ნახე ესე სნეული, თუ შეკრვით იყოს, პირველად პატრუკი შეუდევ, მუცელი მითა გაუხსენ; და თუ შეკრვით არ
30 იყოს, ძარღვი გაუხსენ, და ქერის წყალი შეასუი, და შიგან დანაყელი ხაშხაში გაურიე დღე ორჯელ შეასუი და თუ გუნება შეკრვით იყოს, რა ქერის წყალსა შეასუემდე, ათი დრამი ჭულაბი და ორი დრამი ნუშის ზეთი გაურიე, და აგრე შეასუი. და თუ შეკრვით არ იყოს, სიქანგუბინშიგან ნურას გაურევე, და აგრე შეასუი. და

35 რა სამი დღე გამოვიდეს, შუბლი გაუხსენ. მერმე აიღე ნედლი ფურცელი, ტირიფისა და კაკბისა სკუნტელო, ია ნედლი ანუ კმელი, და ტუხტისა ფურცელი, დანაყე და ცოტა ქერისა ფქვილი და ძმარი გაურიე, და თავზედა ტლედ შემოსდევე. ვარდის ზეთი და

v
40 იმა || რი ერთმანერთსა გაურიე და თავსა ამითა დაბანდი, და ნიანიადავ ვარდის წყალსა თავზედა დაასხემდი, და იმა ვარდის წყალსა შეინახევი, და კიდევ დაასხემდი. თუ იმან ვერ უშუელოს, აიღე

ძმარი სამი ლიტრა, და ვარდის ზეთი — ათი ლიტრა, ერთმანერტ-
შიგან გაურჩე, და ყოველთა დღეთა იმითა თავსა დაბანდი, ერთ-
ხელ დილასა და ერთ ხელ საღამოსა. და იმა წყალსა კიდევე შეი-
ნახევდი და კიდევე დაბანდი, დიდჯერ ქენ ესე, ვირემდი გამრ-
თელდეს. და ყოველთა დღეთა ენასა გარდასწმედლი ამა წესითა:
აიღე ბაზრაცუნი და ბიისა გურკა, წმიდასა სამოსელშიგა გამო-
ჰკარ, ვარდის ზეთითა დაასოვლე და იმითა ენასა გარდასწმედლით,
და ეშუელოს ნებითა ღთისათა.

5

თუკაცსა სარსუმი წაეკიდოს (იცივე თავქე-
დი არის), ნიშანი ესე არის, რომე პირველად აწოდინებდეს და
თავი დაუმძიმდეს და ენაზედა თეთრი რამე გამოუნდეს. ნახე
ისი კაცი, თუ მუცელშიგა შეკრვით იყოს, პატრუკი შექენ გასახს-
ნელი და შეუდეგ, მუცელი იმითა გაურბილე, და მერმე ყიფალი
გაუხსენ და ქერის წყალი შეასუი, რაგუარაცა ზემო სწერია, ან
ისრე, რომე ბარსუმისა სწერია. მერმე აიღე ერეცუკი, ქუაბ-
შიგან ჩადევ და ზედა წყალი დაასხი, აღულე მუნამდი, რომე
წყალი გაწითლდეს. მერმე იმითა დღიე ორჯელ-სამჯერ კელნი და
ფერკნი დაჰბანენ, და ენა გარდაუწმიდე, რაგუარაცა სარსუმისა
სწერია ზემო იმა წესითა. მერმე აიღე კარგი ძმარი და შიგან
ვარ || დის ზეთი გაურჩე, ვარდის წყალი და სანდალი და ცოტა
ქაუური. ესე ყუალა ერთმანერთშიგან გაურჩე და ნიადაგ ცხუირ-
თა ისუნებდეს, და ამა სარსუმსა იგი უშუელის ღმრთითა.

10

15

220 r.

20

თ. კარი [მეცხრა]

სარასი და სეზანი, და სეზანი მისნი ყუალა ამა პარსა შიგან სწერია

25

ნიშანი სარასი. — იცოდით, რომე სარა ამას ჰქუიან,
მრთელი კაცი ანაზდუელად დაეცეს და დაბნდეს, და პირსა ლოშ-
ქარი წავარდეს, და ვერა შეიტყუას რა. რა ესე სენი დაემართოს
კაცსა, ყოვლისა ტებილისა. საკმლისაგან ფარეზად უნდა იყოს,
მაწუნი და რძეცა იფარეზოს, და რაცა საკამადი მაწუნისა და
რძისაგან შეიქნებოდეს, ყუალასაგან იფარეზოს. და ბევრისა ჰამო-
საგანცა იფარეზოს. წისქვილი რომე ბრუნვიდეს, და ანუ რაგინდარა
სხუა ბრუნვიდეს, ყუალასა ერიდებოდეს, მაღლიდაღმა გარდმო-
ხედვასაც უნდა ერიდებოდეს (ესე რაცა დაჯუიწერია); თუ არ
ერიდების, ყუალა აწყენს და მოუმატებს სარასა. და ცხელსა აბა-
ნოშიგა ბევრჯელ ბანა აწყენს, და ქარიანსა ალაგსა ერიდებოდეს.
და მრავალჯერ დედაკაცსა თანა წოლისაგანცა ფარეზი ქნას, და
მეტსა სიცივესა ერიდებოდეს და ლუინოსა ნუ სუამს, და საკმელი
რომე მეტად მსუქანი და მსუყე იყოს, ისიცა აწყენს. მაღალი ზა-

30

35

ბილიცა აწყენს, და ანუ ქუხილისა მაგიერი კმა ესმოდეს, ისიცა აწყენს. მზესა რომე დაეკვიროს, ისიცა აწყენს, და მუდამ რომე თოვლსა ჩასკურეტდეს, ისიცა აწყენს. და მწუნანვილთაგან აწყენს: v ქალამი, ნიორი, ბოლოკი და თალგამი. ზროხის კორციცა აწყენს, 5 ხახუი, ოსპი, ბაკილა და რაცა მწუნანვილი არის, ყუალა აწყენს, და უფრო — ნიახური. და რაცა სუელი ხილი იყოს, ფუფული, ესეცა ზიანი არის მისთვის. ნუცა დღისით დაიძინებს. თხის კორ- [ც]სა ნუ კამს. რაცა ამას ზემოთ დაგუიწერია, ვისცა სარა სკირდეს ყუალა აწყენს. ესე სენი სტომაქიდაღმა იქნების. რაცა ოთხსა 10 ნივთსა დამეტდების, ყუალა სტომაქშიგა შეიყრების; — ბალღამი, ზაფრა, ანუ სისხლი, და ანუ სეედა. ამათი ნამეტნავი შეიყრების სტომაქად და აღვალს ორთქლად თავშიგა, მიხუდების ტუინსა და მისგან იქნების დაბნედა. და თუ დიდხან აბანოს ცხელითა წყლითა თავსა დაიბანს, ტუინსა დაასუსტებს, და ერთი დაბნედა მისგანცა 15 იქნების. და სარასა პიტნისა შარბათი კარგად მოუქდების. თუ ეძინოს და თუ ელუიძოს, ნიადაგ სადაფსა ისუნებდეს, და ამას ზემოთ ფუფული და ხრდალი რომე სწერია, იმასცა ისუნებდეს.

იცოდით, რომე თუ კაცსა სარა დაემართოს, სამისაგან იქნების: 20 სისხლისაგან, ზაფრისაგან და ბალღმისაგან, და უფროსი — ბალღ- მისგან იქნების.

თუ სისხლისაგან იყოს, ფერი გაუწითლდეს და ერთობ წამოჭებდეს, და საფეთქელთა ძარღუეები ნამეტნავად საცხე იყოს და ძალიანად ფეთქდეს. რა ესე ნიშანი ნახო, იცოდი, რომე 25 სისხლისაგან არის. შუა ძარღუე გაუხსენ და ორსავე წუივსა კოტოში მოჰკიდე, და თავზედაცა მოჰკიდე კოტოში. და ასეთი შარბათები და საქმელი შეუწყევ, რომე სისხლი დააწყნაროს.

თუ ბალღმისაგან იყოს, და მისი ნიშანი 30 ესე იყოს, რომე პირისა სახე, ენა და ბაგენი გაუთეთრდენ. მისი წამალი. — პირველად აბიუყუია მიეც, რომე ამა სენისაგან თავი 221 r გამოწმიდოს. ამა წესითა, || რომე მუტყალნახევარი ტფილითა 30 წყლითა შეასუი, აბიუყუია და ნახევარმუტყალი ძმრითა იღარღაროს, და ცხურიჩიგა ამა წამალსა ჩაუშუებდით. აიღე აყირყარა — ერთი მუტყალი, და ფანჯანგუში.¹ — ერთი მუტყალი, ორივე დანაყე და გაცარ. მერმე მუყლი წყლითა დაალბე და ესე წამლები შიგან გაურიე, პილპილისა ოდენი დაამრგუალე, და ჩრდილსა 35 გააქმე. და რა მოთუითოსა ტფილითა წყლითა გაადგენდი და ცხურიჩიგა ჩაუშუებდი, და ესე ტლე თავზედა შემოსდევით.

აიღე ხუთი მუტყალი სონიჯი და ხუთი მუტყალი სოთი, და სამი მუტყალი აყირყარა, და სამი მუტყალი სადაფისა ფურცელი. ესე ყუალა დანაყე, და ერთი მუტყალი ზაფრანი დაალბე, და ესე 40 წამლები შიგა გაურიე და შეზილე. მერმე სნეულსა თავი მოჰპარ-

სონ და ზედა შემოსდენ სქლად და სწორად. მერმე ცომისა ლაგა-
წი გაათხელეთ და ზეთი მოსცხეთ, ცეცხლზედა გაათბეთ და თავ-
ზედა შემოსდევით იმა წამალზედა.

თუ ზაფრისაგან იყოს მისი ნიშანი ესე იყოს, რომე თუალნი და პირისა სახე გაუყუროლდეს. მისი წამალი
ესე არის. — გრილითა შარბათებითა გახსენ, რომე ზაფრა
დააკლდეს. წამალი მისი. — მოიღე ყუთიელი ალილა უგურკო—
ათი ღრამი, სინჯიტი — ოცდაათი მარცუალი, თაბირინდი — ათი
ღრამი, ერთი პევშუი ქაასინისა თესლი. ესე ყულა სამითა ლიტ-
რითა წყლითა მოადულე მუნამდის. რომე სამოც ღრამამდე მოიყა-
როს. მერმე გამოწურე, და ამას უკანით აიღე ათი ღრამი თარან-
გუბინი და ათი ღრამი შირიხიშტი, იმა წამლებშიგა დაალბე, გა-
მოწურე და შეასუი, II და ზაფრანაქს], სანაიმაქიქს], და შაშთარაქს]
თუ მოუმატებ იმა წამალშიგა, ერთობ სჯობს, და ფუჩი დარბანდი
ძმრითა გალესე და შუბლზედა შემოსცხე. და საკმელად ვარია,
ანუ ისარიმითა ანუ აყიროთა ანუ ტყემლითა შექნილი, აჰამეთ და
ცივსა წყალშიგა ჩადგეს და თავზედაცა დაისხას ცივი წყალი. და
მწარისა კიტრისა წუენიცა შესუს, და თუხმაქანი წყლითა გალე-
სონ, გამოწურონ, და შაქრითა შეასუან. და ესე ტლე თავზედა
შემოსდევ. — აიღე წითელი ვარდი — ერთი პევშუი, ერთი პევ-
შუი ხატმი, ერთი ბევშუი ყაქბის საკუნეტელა, ერთი პევშუი ია
ფურის მაწუნითა და ქერისა ფქელილითა. ესე წამლები ერთმანერ-
თსა გაურთე, ტირიფის ფურცელი დანაყე, და მისი წუენიცა გაუ-
რთე, ცოტა ძმარიცა გაურთე, და სამისა კუერცხისა ცილა გაურთე
და თავზედა შემოსდევ.

სხუა წამალი ცხუირშიგა ჩასაშუებელი. — აიღე ნიშა-
ღური და ზაფრანი ერთი ღრამი, აფიონი ერთი ღრამი ძმარი —
და გალესეთ და ცოტა-ცოტასა ცხუირშიგა ჩაუშუებდით.

სხუა წამალი რაგურააცა მოუვიდეს. — აიღე იოდა-
სალები, ხუთი ღრამი, სოდი — ორი ღრამი, ზაფრანა — ორი ღრამი
დანაყეთ, და მერმე მოიღეთ წხანელაქი და ისიცა დანაყეთ, და ესე
წამლები შიგან გაურთეთ, ცეცხლზედა დააქუმეთ, ცხუირი ზედა
წაიშუიროს, თავსა დაბურეთ, რომე ორთქლი თავსა და ტუინშიგა
შეუვიდეს.

თუ ზაფრისაგან იყოს, ესე ტლე შემოსდევით: — აიღე ტა-
ბაშირი და სოქი სწორ-სწორი, კმელი ვარდი, ხარბანგი¹. ესე ყულა
დანაყონ და ქინძისა წყლითა ტლედ შექნან და თავზედა შე-
მოსდენ.

ნიშანი ხექდასი. — თუ სნეული ბუშად იყოს და გრძლად 222 r.
იწვეს, ცოტასა რასმე შეიტყუებდეს და ცოტასა უზნობდეს, ცოტა-
სა² დაიძინებდეს და თუალნი დაეკუხნენ, მუდამ ზახილი და საუ-

ბარი არა ესმოდეს, და რა თუაღნი აახუნეს, ფიცხლა დაიკუხნეს. რა ესე ნიშანი ნახო, იცოდი, რომე სექდა არის.

მისი წამალი. — ესე ოყნა ააღებინე: აიღე შამიანდალი არკონითა, ბარაკი. მარამბოტი, თეთრი ხარბაყი, თუითოსაგან —
5 ხუთ-ხუთი ღრამი, ორი ლიტრა წყალი დაასხი და ადულე მანამდის, ვიდრე ნახევარ-ლიტრა დარჩეს. მერმე აიღე სამოცი ღრამი და ოყნა ააღებინე, რაგუარაცა ოყნასა წესია. და რაგუარაცა გახსნის, კიდევ შეუღვას ოყნა. და საკმელად თაფლ-წყალშიგა პური ჩაყარე და იგი აჰამე, სამსა ღღესა ცხარი ძმარი და ვარდის ზეთი
10 თავსა შემოსდევინე.

მერმე ეს წამალი შექენ და ცხუირჩიგა ჩაბერე. — აიღე თეთრი მლოგუი, პილპილი, და ფარბიონი, და სონიჯი — თუითოსაგან ნახევარ ღრამი, თაჭუის ყუერი ერთი ღრამი. ესე ყუალა დანაყე და გატარე ერთმანერთშიგა გაურე და შეინახე, და
15 რა მოგინდეს, აიღე მისგან ნახევარ-ღრამი და ცხუირთა შეუბერე სტუირითა და უშუელის ღმრთითა.

თუ იმა სნეულსა თუალი მუდამ ღია ჰქონდეს და ვერას ჰკუასა ჩავარდეს, და ვერცა რას შეიტყუებდეს, ესე წამალი უყავ, რომე ამას ზემოთ სწერია. || და თავსა ესე წამალი უყავ,
v რომე აწ დავსწერთ. — აიღე ასკილი ასოცდაათი ღრამი, თაჭუის ყუერი და ფარბიონი — ათი ღრამი. ესე ყუალა დანაყე და ერთმანერთშიგა გაურე, და ყოველთა ღღეთა იმითა თავი შეუმწინე.

სხუა ნიშანი, თუ სექდა ეცეს კაცსა და ევრ შეიტყუას, თუ სექდა არის და თუ არაო. ნიშანი. — ესე ქენ: სასთაულზედა თავი დაუღვე და მერმე სასთაული გამოაცალე, და თავი უფრო მდაბლად დაუღვე, ვერა შეიტყუას რა და ასრე ეგონოს კაცსა, ვითა სძინავსო. დასძრა თუ შესძრა. და თუ დაიძახო, ვერა შეიტყუას რა. რა ესე სენი და ნიშანი ნახო იცოდი. რომე სექდა არის. მერმე კარგად გასინჯვა უნდა. თუ ისი
30 სენი სუბუქი არის. ეშუელეების, და თუ მძიმე არის, არ ეშუელეების. მისი გასინჯვა ესე არის; სნეულსა უჩქთიმე, ან ნემსითა უჩხულიტე, თუ შეიტყუას და პირნი ქნეს, იცოდი, რომე სუბუქი სენი არის და ეშუელეების, და თუ ვერა შეიტყუას რა, მძიმე სენი არის და არ ეშუელეების.

სხუა სექდა არას კიდევ, რომე ანაზ და მრთელი კაცი დაეცეს და დაზნდეს. გასინჯე, თუ პირისა სახე წითელი იყოს და ორნივე საფეთქელნი ჩქარად. უცემდენ, იცოდი, რომე სისხლისაგან არის, და ორნივე საფეთქელი გაუხსენ და ორივე ყითალი. და თუ ესე ნიშანი არ იყოს, ნუ გაუხსნისაფეთქელთა. და თუ პირი მწუანედ ებას, და ყელშიგა და მკერდშიგა ხურინვიდეს, ესე ოყნა ქენ, რომე ზემო სწერია. ამა ოყნასა ერთ-

ხელ დილასა და ერთხელ საღამოსა უზემდი ზედა-ზედან, || რომე- 223 r
ბევრი ბალღამი გამოვიდეს. მერმე ესე წამალი შექენ
და ცხუორჩიგა შეუბერე. — აილე ჯარის-ძირი თეთრი, და სონიჯი,
თუითოსაგან — თუითო ღრამი, დანაყე და გაცარ, და, რა მოგინ-
დეს, ნახევარ-დანგი დილასა და ნახევარ-დანგი საღამოსა მუდამ 5
ცხუორჩიგა შეუბერევიდი.

მერმე ესე მაჯუნე შექენ. — აილე ინდოურ-
ალილა, ამლაჯი და ბაილ-ლაჯი, გურკისაგან გამოღებული, თუითო-
საგან — ექუსი ღრამი, სონიჯი — ოთხი ღრამი, თურბუთი — ერთი
ღრამი, ბარამბო — ერთი დანგი, კიპერისი — ერთი ღრამი, პილპი- 10
ლა — ერთი ღრამი, ანისონი, ზანჯაფილი და დარაფილფილი,
თუითოსაგან — ორი ღრამი, ყულა დანაყე და გაცარ წმიდად,
მერმე აილე შაქარი — ათი ღრამი, და სპილენძის ჭურჭელშიგა
ჩადევ და ცეცხლზედა შემოდგი. და მუნამდი ადულე, რომე თაფ-
ლივითა შეიქნას. მერმე უკუმოდგი! ცეცილიდამა და ესე დანი- 15
ყილი წამლები გაურჩე, რომე გასწორდეს, და ქაშანურსა ჭურჭელ-
შიგა ჩადევ. პირსა სერა მოჰკარ, და ქერშიგა ჩადევ ექუსსა თუესა.
მერმე ამოილე და იკმარე იმა სენისათუის თუითო მუტყალი,
უფროცა და უმცროცა, რაგუარაცა სნეულსა შეეძლოს.

სხუა ნიშანი სეჟდასი — სეჟდა ამას ჰქუიან, რომე 20
მრთელი კაცი ანაზდა წაიქცეს და დაბნდეს. ესე სამისაგან იქნების:
ერთი — სისხლისაგან. მეორე — ზაფრისაგან მესამე — სეველისაგან.
ამა სენისა ერთი ნიშანი ის არის, რომე კაცი მრთელი იყოს რ
არა სჭირვებოდეს რა. და ძილშიგა კბილებსა იღრა || ჭუნებდეს, v
და ტანისა თრთოლება მოუვიდოდეს, და თავი და ტანი დაუმძიმ
დეს, და ყურნი შემოეიოდენ. რა ესე ნიშანი გამოჩნდეს, იცოდი, 25
რომე სეჟდისა ნიშანი არის.

სხუავე ნიშანი სეჟდისა. — ამა სნეულობაშიგან
თუ პირი გაუწითლდეს და მერმე იისფრად გარდაექცეს, იცოდი,
რომე სისხლისაგან არის. რა ესე ნიშანი გამოჩნდეს, ფერკისა ჩონ- 30
ჩხი გაუხსნას, და თავზედა კოტოში მოჰკიდოს, და მათადილისა
ოყნა უყოს, და მარჯუენით და მარცხენით ყიფალი გაუხსნას,
იგიცა კარგი არის.

კარი მათადილისა ოყნისა. — აილე თუხმი ქათანი (სელისა
თესლია). ოღბა. ყანტრიონი. წურილი ცერეცო, ჰასქი?, თუითო- 35
საგან — თუითო უკია, მასრიფარის? თესლისა გული — ორი უკია,
ლეღუი — ათი მარცხალი. ხუარბლისა ანაკუეთი-ორი უკია, კმელი
ბაბუნა — ორი უკია. ბეზანჯირისა გული ნახევარზედა დანაყილი —
ერთი უკია. შამი ჰანდალი; მუყლი, ჯავაშირი, საქბენჯი, სფანდა-
ნის თესლი. მწარისა ნუშისა გული ნახევარ დანაყილი, თუითოსა- 40
გან — ხუთ-ხუთი ღრამი, თეთრისა იისა ძირი, ლარიყონი, სანაიმაქი,

- თუითოსაგან — თუითო უკია, კმელი ხატმი — ორი უკია და ნახე-
 ვარი, უნაბი, სეფისტონი, თუითოსაგან — ოცდაათი მარტული, სა-
 დაფი — ერთი უკია, ჰაკუნტლისა ფურცელი, ქალამისა ფურცელი,
 თუითოსაგან — თუითო ბლუჯი. მოიხუენ ესე წამალნი, ერთად
 5 შეყარენ და შუიღსა რატრსა წყალშიგა აღლუე მუნამდის; რომე
 ორსა რატრზედა მოიყაროს, მერმე გაწურე, და ერთი უკია ავქამა,
 ორი ღრამი ბორა, ერთი ღრამი ინდოური. მარილი, ერთი უკია
 224 r თაფლი, ერთი უკია ზეთისხ || ლისა ზეთი, ორი ღრამი და ნახევარი
 რევანდი, ნახევარ უკია ნუშისა ზეთი, ერთი ღრამი ზროხის ნავლე-
 10 ლი, ესე ყულა იმა გამოწურვილისა წყალშიგა გაურიე, და ამისგან
 ან ოთხმოცი და ან სამოცდაათი ღრამი აიღე და ოყნა მიეც შე-
 შისა მილითა ასრე და ამა წესითა: მილი, სიგრძელ თითისა ოდენი,
 შექენ, ერთეე პირი ფართო იყოს მილისა, რომე წამალი კარგა
 ჩავიდეს, და ერთეე უფრო წურილი იყოს.
- 15 თუ პირსა ფერი მოყუუთანოდ დაუცემდეს და მერმე ზაფრა-
 ნის ფერად გარდაიქცეს, იცოდი, რომე ზაფრისაგან არის. კელისა
 შუა ძარღვი გაუხსენ და ყოველთა თუეთა კოტოშსა მოიკიდებდეს
 თავზედა და გრილსა ტლესა შესცხებდეს თავზედა.
- 20 გრილი ტლე ეს არის. — აიღე ხატმი და ია თუითო
 პევშუი, ქერისა ფქული — ორი პევშუი, კაკბის საკუნეტელა და
 ძალის ყურძენა, თეთრი სანდალი და ცოტა ქაფური. ესე ყულა
 დანაყე, და მერმე ტირიფისა ფურცელი დანაყე და მისი წუენი
 გამოწურე, და იმითა ტლედ შექენ და თავზედა შემოსდევ; და სხუა
 წამლები, რაცა პირველსა სექდასა კარზედა სწერია, ისიეე. იმას
 25 უყავ.
- თუ პირის სახე მწუანედ დაუცემდეს, იცოდით, რომე შავისა
 ბალღმისაგან არის. და ესე სენი მიყრილთა და ბერთა და სევდია-
 ნთა კაცთა უფრო დაემართების. თუ ამისთანა ნიშანი გამოჩნდეს,
 ნამეტნავის სიკმისა და სიგრილისაგან იქნების. წამალი მისი ი
 v || — ქუნდუსა და ხარბაყი სწორ-სწორი ქენ, დანაყე და გაცარ,
 30 სტუირითა ცხუირჩიგა შეაყარე და მულამად მულქსა, სადაბსა და
 შიმშატსა ისუნებდეს, ამისთვის რომე მისი სული ეცემის და
 კუაზედა უკეთე მოიყვანს.
- თუ პირისა ფერი მისსავე ფერსა და სახეზედან იყოს, არარი³
 დანაყეთ და ძმარი გაურიეთ, და თავზედა შემოსდევით.
- 35 თუ ასეთი სატკივარი მოუვიდეს, რომე იკრიქნეს და პირი
 ველარ აღრინოს, ეცადენით, რომე დანითა ჩაუყოთ და დაულრი-
 ნთ. ვაშლისა შარბათი გაქენით წყლითა და ცოტა ნუშის ზეთი
 გაურიეთ და პირშიგა ჩაასხით. კელი და ანუ ფერკი გაუხსენ, თუ
 საცოცხლო არის. შეიძრვის, და თუ საცოცხლო არ არის, წასული
 40 არის და აღარა მოეგუარებისა. ამა სენშიგან თუ რამე სხუა ნიშა-

ნი გამოჩნდეს, ამას არა ჰგვანდეს, მკუდარი იქნების. ესეცა იცოდით: რა ესე სენი დაემართოს, გასინჯეთ, თუ ყელშიგა ხურინევედეს, სიკუდილისა ნიშანი არის, და თუ არა ხურინევედეს. სიცოცხლისა ნიშანი არის.

თუ ვერა შეატყუა რა, ცოცხალია თუ მკუდარიო, რკინა გააკურე და თავზედა დასდევ, ასრე რომე თმა დასწუას. თუ საცოცხლო არის, დაიძრვის, თუ არა — მკუდარია და აღარა მოგეუბრების. თუ დაიძრას, მამლასანი შეასუან და არწყევინონ. მას უკანით რაგუარადაცა ჰკუათა მოვიდეს, გასინჯეთ. თუ სისხლისაგან არ იყოს და ზაფრისაგან ან სევდისაგან იყოს, ქათმისა ნაკრტნითა და სარწყველითა წამლებითა არწყევინეთ, ნაკრტენსა იარაჯ-ფეკართა || 225 რ დაასოვლებდეს, და პირშიგა აგრე ჩაიყოფდეს და არწყევდეს, და ზურგის ძულასა სადაფისა ზეთითა, ფარფიონისა ზეთითა და ფულფულისა ზეთითა დაიზღვდეს. და ხშირად თავსა იპარსვიდეს, თეთრსა მდოგუსა დანაყდეს და ძმრითა თავსა შემოიღებდეს, და თავსა თბილად შეინახებდეს. და ერთი შარბათი მაისრუდი; ითხუზი და დიდი თრიაყი პირშიგა ჩაასხით თაფლ-წყლითა, და რაგუარადაცა ჰკუათა მოვიდეს, ფიცხლა ოყნა აალებინეთ და გასახსნელი შარბათი მიეცით.

აწ ამა შარბათისა ოყნა ქენ. წამლები მისი. — აიღე შამი ანდალი, კანტრიონი, ანჯირა, სოსანი, მავზი, ესე ყუალა სწორ-სწორი ქენ. მერმე სამასითა დრამითა წყლითა მოადულე მანამდი, სადამდი ორმოც დრამად მოიყრებოდეს. მერმე ცოტა თაფლი და ცოტა ბორია¹ გაურიე და უკანასა კარშიგა ჩაასხი ოყნითა. ესე ამისთუის იქნების, რომე ზედადალმა წამბისა ალება არ შეეძლებს. და ამას უკანით ორმოცსა დღესა მწუანვილისა ძირისა წყალსა ასუემდით, რაცა ფილენჯისათუის წამალი დაგუიწერია, იმასვე ამას უზემდით. და საქმელი. — მარხვაშიგან: მუხუდოსა საჭამადი ზეთისხილისა ზეთითა შექნილი, და ხსნილშიგან ჰავჭაევისა ხარშო უეურკოთა ჩამიჩითა შეუქმოდით და აგრე აკმევდით.

ერთი სხუა სეჭდა კიდევე არს, მისი სიცოცხლე და სიკუდილი ძნელად შეიტყუების, თუ მკუდარია და თუ ცოცხალიაო. ბოლოდ ამითა შეიტყუების, რომე მდოგუი დანაყონ და თაფლშიგა გაა ურიოს და თავზედა შემოსდვას, და პატარა ზუფა პირშიგა ჩაუდვას, თუ ცოცხალია, დაიძრვის, თუ არა, — მკუდარი იქნების. თუ დაიძრას, ვაშლისა წუენითა ზოგჯერ ბრინჯსა და ზოგჯერ ატრიასა შეუქმოდენ და მას აკმევდენ, ამაღ რომე ძალსა უკეთ მისცემს.

სხუა სენი არს კიდევე, რომე ასბაუზსარ ჰქუთან, ამა სეჭდასა ახლოს ახლავს. ამისი ნიშანი ესე იყოს, რომე იმავე სეჭდასა ჰგვანდეს და ისრევე დაბნდებოდეს. ამისი ნიშანი ესე არის, რომე უძი-

5
10
15
20
25
30
35
40

ლობა სჭირდეს. მისი წამალი ესე არის; ბაბუნაჯი ქუნ-
ჯითისა ზეთითა მოადუღეთ, ვარდის წყალი და ძმარი შიგან გაუ-
რიეთ და თავზედა ტლეთ შემოსდევით ყოველთა დღეთა, და რაზ-
დენჯერცა მოსწყურდეს, იისა შარაბსა და ლელოფრისა შარაბსა
5 ასუემდით, და საკმელად ქერის კორკოტსა აკმევდით, და წამალი
ყულა პირველისა სექდასა უყავით.

ერთი სენი სხუა არის, ახლოსვე ახლავს სექდასა, სახელად
ახფაურარაჲი ჰქუიან. მისი ნიშანი ესე არის, რომე მუღამ ძილშიგა
იყოს, და რა გაელუიძებოდენ, წაზრახევდეს და წაღმა უკულმა
10 უბნობდეს მისი წამალი ესე იყოს: პიტნა ძმრითა მოა-
ღულე აზდენი ერთი, რომე ტანზედა სრულად ტლის შაგიერად
შემოსდვა, და სადა სიქანგუბინსა აკმევდი, და მისსა ფერკსა თბი-
ლითა წყლითა დაჰბანდი.

ერთი სენი სხუა არის, სახელად შიხუსი ჰქუიან. ასეთი რამე
15 სენი არის, რომე ანაზღეულად რამე წაეკიდების და წაეკეცვის
კაცი, და უსულოდ იქნების და სრულად მკუდარსა ეგვანების რომე
კაცმან გაჩხრიკოს, ვერას შეატყუებს, თუ მკუდარი არის და თუ
ცოცხალიო. მისი შენახვა მანამდი უნდა, სადამდი სიცოცხლე და
226 r სიკუდილი გარდაუ || წყებოდეს. მრავალი იქნების, რომე ჰკუა
20 წაუვა; ასრე რომე თავსა მოიჩიობს, ან ჩავარდების კლდესა ან
წყალსა ან ცეცხლშიგან. ამას გაფრთხილება უნდა, რომე არსად
ჩავარდეს. მისი წამალი. — ვარდის ზეთი და ძმარი სწორ-
სწორი ერთმანერთშიგან გაურიე, ცეცხლზედა გააცხელე და თავ-
ზედა შემოსცხე, და ისი ჰკუითა მოიყვინს. რაგუარაჲა ჰქუათა
25 მოვიდეს, აყირასა თესლისა გულისა ზეთი შაქრისა ჯულაბითა და
ქერისა წუენითა შეასუი, და ჰელი გაუხსენ, რომე ყიფალსა ჰქუე-
შეთ ძარღუი არის. და ასეთსა რასმე ასუემდით და აკმევდით,
რომე გულსა ძალი მისცეს.

ერთი სენი სხუა არის, ამავვე შიხუსისა
30 ჰგავს. ასეთი რამე წაეკიდების, რომე ნიშანი ყულა, მკუდ-
რისა დაედების, და უთალი გამოჰყერით ექნების და რომე კაცმან
თული დაუტუბოს, კიდევე გამოაჰყერს, ასრე რომე არა დაიძრვის
v და არას იტყოდეს, და ისეთი მკუდარივითა იქნების. მისი წამა-
ლი ისი ი არის, რომე ფარფიონი დანაყონ და იასამინისა ზეთი გა-
35 ურიონ და თავზედა შემოსდვან, მერმე შამი ანდალი ძმრითა მოადუ-
ღონ და ისიცა თავსა შემოსდვან. თუ ჰკუასა მოვიდეს, კარგია, თუ
არა — რკინა გაატურონ, და ესე რომე შამი ანდალი და ძმარი
დაეწერეთ. ისი ამა რკინაზედა დაასხან და მერმე ცხუირთა წინა
40 მიხუდეს.

ერთი სენი სხუა არის, სახელად სუბათ ჰქუიან. მისი ნიშანი

ესე არის, რომე ანაზღეულად კაცი წაიქცეს. არცარას იტყოდეს და არცარას ჭამდეს, და ასეთი მკუდარივითა იღვას. მისი წამალი ეს იყო, რომე თავი || მოჰპარსეთ და მერმე მოიღეთ ხაზმიანი ხარდალი და სადაფი. ესე ყულა დანაყეთ და ძმარშიგან გაურით, და თავზედა შემოსდევით. მერმე ზაფრანა და ჯავაშირი წყლითა გალესეთ და შებლზედა შემოსცხეთ, და გამრთელდების ღთისა შეწევნითა.

ესე რაცა ამას ზემოთ და სარასა ქუეშეთ სექდა და მისი შედეგი სენები სწერია, ყულა ერთგვარი არის. და რაცა სარასა და სექდასა წამალი ერგების, ისევე ამას ერგების.

ამა სენებშიგან რომე ამას ზემოთ სწერია, მისისა სიცოცხლისა და სიკუდილისა შეტყუება ერთი ესე არის, რომე რაცა ყელისა ძარღუები არის, ყულა ჭელითა მაგრად დაიჭირეთ, თუ ცოცხალია, დაიძრვის, თუ არა — მკუდარი არის. მეორე შეტყუება. — ისი კაცი პირდაღმა გარდააბრუნვით, თუ ორნივე ბლუჯნი გაიხსნას, და პირი ზურგისაკე მიიბრუნვოს, იცოდი, რომე მკუდარი არის.

ი. კარი [მართა]¹

ფილენჯისა, ლაყუისა და რაზასი. და ერთი სენი სხუა არის, იმას სახელად ხაღირი ჰაჰიან (ამას ჰაჰიან, რომე ველთ ჰაჰიითი მოელაზის), ერთი სენი სხუა არის, იმას თასნუჯი ჰაჰიან, და ერთი სენი სხუა არის, გზა ჰაჰიან, იმავთე თასნუჯსა აგავს. ერთი სენი სხუა არის ალვივაფანჯი ჰაჰიან.

ესე რაცა სენები დავწერეთ, გუარად ყუაღაა ერთი არის და ამათი წამალიცა ერთი არის.

აწ ნიშანი დავწეროთ. უწინ ფილენჯი დავწეროთ. ფილენჯისა² ნიშანი ესე არის, რომე კაცისა ტანისა ნახევარი დასუსტდეს და დაუბუშდეს და დამკლდეს. ესე ზაფრისაგანცა იქნების და სინედლისაგანცა. მისი მიზეზი ესე არის, || რომე ტუინი დაღმა ძარღუნი ჩამოვლენ ქუედა ტანშიგა სავალნი, და შიგა ღრუნი არიან ტუინიდაღმა ძალისა სავალნი, და ანუ ზაფრისა დამეტებული, და ანუ სინედლისაგანცა ძარღუჩიგა ჩაჭდების და ტუინისა გზასა დაიჭირავს, და კაცისა ტანისა ნახევარი დასუსტდების და დაბუშდების. თუ ორგნითვე დაბუშდეს, აღარა გამრთელდების კაცი, და თუ ერთსა მკარსა წაეკიდების, მას ეშუელების წამლებითა. ესე სენი ვისცა სჭირდეს, მას ჰგვანდეს, რომე ხესა

ცული ჰკრან და შტოები გაქმეს; მას ეგვანების, თუ ერთსა მკარსა
 სჭირდეს. თხუთმეტსა დღესა მშვიერი შეინახეთ, აბიულმათინ
 აკამეთ საკმელად, მუხუდოსა წუენი შეუწყევით ზეთისხილისა
 ზეთითა და ნიგუზისა ზეთითა შექნილი; კორცსა შემწუარსა აკმევ-
 5 დით, ცხურის კორცისაგან და ვარიის კორცისაგან, დურაჯისა,
 კაბისა, კოკბისა და გლონისა კორცისაგან. ამათგან რომელიცა
 გკონდეს, იმას აკმევდით. სასუმელად თავლწყალსა ასუემდით,
 ლინოსა ნუ ასუამთ, და მისი ტანი შემწუნ ამა ზეთითა, რომე
 აწ დავსწერთ. — აიღე ყაბასტი — ათი ღრამი, პილპილა, დარა-
 10 ფილფილი შუიდ-შუიდი ღრამი, თაქუის ყუერი — ხუთი ღრამი.
 ესე ყუალა დანაყე, და მერმე აიღე ნარგისისა ზეთი — ათი ღრამი,
 ესე წამლები შიგან გაურთე და სრულად ტანი იმითა შეუქმუნ, და
 იმ დღესა რომე მოისუნენოს, პილპილისა მაჭუნი მიეც — ორი
 ღრამი.
 15 მ აჭუნისა შექნიისა ნიშანი ესე არის. — აიღე
 კმელისა სადაფისა ფურცელი და ზარევენდი, აბულზარი || თაქუის
 ყუერი, ლოარტიკისა ძირი, მდოგუი, — თუითოსაგან ხუთ-ხუთი
 20 ღრამი, ზანჯაფილი, სონიჯი, ყუსტი პილპილი და დარაფილფილი, —
 თუითოსაგან ათ-ათი ღრამი. ყუალა ცალკე ცალკე დანაყე და გა-
 ცარ, და ერთმანერთსა შიგან გაურთე, და ნიგუზისა ზეთითა შეზი-
 ლე, და პერულ-მოკილითა თავლითა მაჭუნად შექენ, რაგუარაცა
 მაჭუნისა წესი არის. და ჰურკელშიგა შეინახე, და მისცემდი ამა
 სენისათვის. ესე მაჭუნი სეჭდასაცა უშუელის და ღრიანკალმან
 რომე უკბინოს, იმასცა უშუელის, და იმასცა უშუელის, რომე
 25 ტანი სრულად ემღერდეს და ძარღუები დამოკლებოდეს. და გრი-
 ლი სენი რაცა სჭირდეს, ყუალასა ოფლი გამოკგუაროს და გაამრ-
 თელოს.
 თუ არცა ამითა გამრთელდეს, ათსა დღესა მოისუნენოს ყოვ-
 30 ლისა წამლისაგან. მერმე ისივე პირველი წამალი მიეც, აბი, რომე
 სწერია საბრისა.
 თუ ანაზღელად მთელსა კაცსა წაეკიდოს ასეთი რამე, რომე
 ანაზდა ტანისა ნახევარი დაუსუსტდეს, მას აღარა ეშუელების რა
 და ნუცა სწამლებ. თუ ცოტად იყოს და ერთსა ასოშიგა იყოს,
 იმას ეშუელების.
 35 ესე აბი ასრე შექენ. — აიღე საბრი, სკუნტრი,
 და თაქუის კუერცხი, და მუშკი, ჯავაშირი, სპანდრინ თესლი და
 შამი ანდალი, დარიჩინი, აფიონი, — თუითოსაგან ნახევარ ღრამი,
 სუმბული და ზაფრანი, — თუითოსაგან თუითო დანგი, აფიონი და
 ჯავაშირი პრასის წყლითა. დაალბე ისი სხუა წამლები, დანაყილი
 228 r და გაცრილი, შიგან გ || აურთე და აბიბი შექენ პილპილისა ოდენი,
 40 და ჩრდილსა გააკმე, და რა მოგინდეს, ორი ღრამი მიერ თბილითა

წყლითა, რაგუარაცა სხუისა წამლისა სწერია მით წესითა. მას უკანათ სამსა ღღესა მშვიერი შეინახე, მერმე საკმელი შეუწყევ.

თუ ფილენჯი ნაკრობასა რაზედამე წაეციდოს. ანუ ცხენისა წაქცივაზედა, ანუ მადლით ადგილით ჩამოვარდნაზედა, ანუ კრძლითა და ისრითა დაკოდილობაზედა, ანუ არგნითა ცემანზედა, ესე წამალი ქენ და იმა ადგილზედა დასდევ. — აიღე ბატისა ერბო ორმოცდაათი ღრამი, ცეცხლითა დაადნევ, და შუიდი ღრამი ბერძული ზეთი გაურიე. აიღე ნონაფრისა ძირი, დანაყილი და გაცრილი — ათი ღრამი, ბალისა ხილი და მარამბო, დანაყილი და გაცრილი, — თუითოსაგან სამი ღრამი, კანაფის შეშა და მუყლი და ვაშაყი, დანაყილი და გაცრილი, — თუითოსაგან ათი ღრამი, და იმა ბატისა ქონსა და ზეთშიგა გაურიე, და რომელსაცა ადგილსა დაკრული იყოს, ისი ადგილი შეუმწენ და ეშუელოს.

სხუა წამალი რომე ცხუირშიგა ჩააბერონ. — აიღე საქბინაჯი ერთი ღრამი, მური — ნახევარ ღრამი, მუშვი; ბორკი და ზაფრანი, — თუითოსაგან თუითო დანგი, ქაფური და თაქუის კუერცი, წეროს ანუ ყორნისა ნავლეი — თუითო დანგი, ტაბარზადი შაქარი — ორი ღრამი და ორი დანგი, ყუალა დანაყე კარგად, რომე ფქუილივითა შეიქნას. რა მოგინდეს, აიღე მისგან ერთი დანგი, ქალის ღედისა რძითა გაურიე, ცხუირშიგა ჩაუშუი და ეშუელოს.

სხუა წამალი იმავე სენისა. — აიღე იარაჯი ფეკრა ერთი ღრამი, II მარტაქუში — ერთი ღრამი, შამი ანდალი, მუშვი, სონიჯი, წეროს ნავლეი და ქაფური — თუითოსაგან თუითო დანგი, დანაყე და გაცარ ფქუილივითა; მერმე აიღე მისგან ერთი დანგი, ცხუირჩიგა ჩაუბერე.

სხუა მისთუისვე, რომე ღარღარა ქნას. — აიღე ტენცო და მარტაქუში კმელი, და კანდუეი, სიბააჭი და აღტორი, თუთუბა. თაფლითა გაურიე და ღარღარა ქენ.

სხუა ფილენჯისა და მალასისა. — აიღე წუნწუბა, გიოს ფურცელი, ჭავაშირი, მატუეი, სპანდი — თუითოსაგან ერთი წილი, ნახევარ ჭურჭელი წყალი და ბერძული ზეთი; რაცა წამლებია ამათი ხუთი წონა ყუალა ასთომიერთი ადუღე, რომე ზეთისა მეტი არა დარჩეს, ნელად, რომე ზეთი არა დაიწუას, და რა მოგინდეს, ცხუირშიგა ჩაუშუი.

მაგავე სენისათუის. — აიღე კარისა ნავლეი, შაქარი, ზაფრანი და მუშვი, — თუითოსაგან ერთმანერთისა სწორი.

ყულა დანაყე და გაცარ, და ძუელით ერბოთა გაურიე და ცხური-
შიგა ჩაუშვი.

იმ ა ვ ე ს ე ნ ი ს ა თ უ ი ს . — ა ი ლ ე მარტაქუშტისა თესლი
და ცერეცოს თესლი, კანაფის შეშა, ყულა დანაყე და ლუინოშიგა
5 გაურიე, შეასუი და უშუალოს.

ნიშანი ლაყუსა. — ლაყუა პირისა და ასოსა გამრუდებასა
ჰქუიან. პირველად რა გამოჩნდეს, მისი ნიშანი. ესე არის; რომე პირისა
ძუალი ასტიკედეს და პირისა ტყავი ბრუშად ჰქონდეს, და გადუ-
ქვა და შებერვა ეძნელებოდეს, პირისა სახე და ყბა ემღერდეს.
10 მას პირველად საკმელი შეუწყევით: მუხულოსა წუენი ზეთის
229 r ხილისა ზეთითა და მწარისა წირანისა გულითა ტრედის ქუნდისა ||
და ჰეკეპისა ხარშო კარგად ერგების. და წყლისა ადგილსა თაფლ-
წყალსა სმიდეს, და პირშიგა მუდამ ჯავზი დაიჭიროს, და ასეთი
რამე წამალი უყონ, რომე ისი სენი გაილოს. ისი თაფლით არის,
15 რომე დილეულად უზმა ჰამდეს, და ბნელსა სახლშიგა დაჯდეს.
ჩინური სარკე¹ მუდამად კელთა უნდა ჰქონდეს.

და მ თ ი ლ ე მ ა შ ა და ზ უ ფ ა , კმელი სათირი და პიტნა,
ერთმანერთსა გაურიე და მარზანგოში (ქონდარი არის). ესე ყულა
წყლითა მოადულოს, და სადაცა სტიკოდეს, ზედა დაიდებდეს.
20 მერმე მელისა და ირმისა კორცი ასრე მოხარშონ, რომე ძუალსა
გაეყაროს. მერმე ზეთისხილისა ზეთითა დაზილონ, თავსა შემოიდ-
ვას და ერგოს. გა ლ ი ა ნ ო ზ ბერძენი ასრე ბრძანებს, ვითა: ამა
სენისა უფალსა კაცსა საკმელი ცოტა მისცენ, რომე ტანი გაუკურ-
დეს და მისი ძარღუები გახალვათდეს; მერმე ბაბუნაჯი, სათირი
25 და ველური პიტნა კარგად მოხარშონ, იმაზედა თავი წაიშვიროს
და თავსა კარგად წამოიბუროს, რომე მისი ორთქლი თავშიგან
გაუქდეს. და რაცა ფილენჯსა წამალი უნდა, ამასცა ერგების.

ნიშანი რაშასი. — რაშა იმას ჰქუიან, რომე კელი აუთრთოლ-
დების, და იქნების, რომე თავიცა უთრთოდეს, და იქნების, რომე
30 ენასაცა სტაცებდეს. ესე სენი უფრო დიდისა ლუინისა სუმისაგან
წაეიკდების. მას შიმშილი, წყურვილი და უქმობა კარგად მოუქდე-
ბის და თრთოლასა მოუკლებს. და ლუინისაგანცა ფარეზად უნდა
v შეინახოთ. და მლაშესა და გოგირდიანსა და წყალ || შიგა ჩაჯდებო-
დეს. და ვარდისა და მურისა ზეთსა ცოტა ძმარი გაურიონ და
35 თავზედა შესცხებდენ. მ ი ს ი ს ა კ მ ე ლ ი ; შემწვარი ცხურის²
ხორცი და ჩიტისა ზეთისხილისა ზეთითა და ანუ ნიგუზისა ზეთითა
(შემწუარსა ჰამდეს), და ჩიტისა კორცი და ხარშო, ოსპი და ჰათა-
მი, ერთად შექნილი, და შემწუარი კურდღელი და მისი ტუინი.
ესე ყულა კარგად მოუქდების. და წამალი ამისი რაცა ფილენჯი-
40 სათუის სწერია, ისივე ამას ერგების.

ნიშანი თასნუჯისა. — იცოლით, თასნუჯი ორი ფერი არის:

ერთი ესე არის, რომე კორცშიგან ხუილი შეიქნების, და მეორე მისგან იქნების, რომე კაცსა ტანი სისუელითა და ბალღმითა აეცეს-ბის და ძარღუები დაუშოკლდების. ერთი ესე იქნების, რომე ძარღუები სინედლითა დაიკალოს და სიკმითა აივსოს, და ხუილი ტან-მიგა მიგრბოს; და ერთი სხუა არის, რომე ერთპირად ტ ა ნ გ ი ა გამოჩნდეს, — ბალღმისაგან იქნების.

მ ი ს ი ს ა კ მ ე ლ ი — მუხუდოს წუენშიგა სათირი ქერია, იმითა შექნას საკამადი და ისი აკამოს, და ხარდალი და ხარდლის ზეთი, და ზეთისხილისა ზეთი, ესეცა მუხუდოსა წუენშიგა გაუ-რიოს და აგრე აკამოს. და თუ ერთობ სუსტად იყოს, კვაკვავისა და კაკბისა ხარშო აკამოს, და რაცა იმათსა გემოსა ჰგვანდეს, იმაშიგან სათირი, დარჩინი და ქერია გაურიოს, და აგრე მოადულოს და აკამოს.

თ ა შ ნ უ ჯ ი რ ო მ ე ს ი კ მ ი ს ა გ ა ნ ი ყ ო ს. — მუდამად თბილითა წყლითა იბანდეს და თბილითა იისა ზეთითა ასოთა იხელ-დეს, და || ი ა და ხატმი, და ქონი ქათმისა, და ზროხისა წუელისა ტუინი, იისა ზეთი, ნილოფრისა ზეთი, ყუითელი ცუილი, ესე ყუ-ლა მალამად შექნილი ზურგისა მძივსა და კისერსა შემოიდვას. და თუ თბილსა წყალშიგა ჩაჯდეს, იმა წყალშიგა ქერი. მოხარშოს, ია, ნილოფარი და თარას ფურცელი შიგან მოადულოს. და სასმელად ქერის წყალი და საზამთროს წყალი ერთმანერთსა გაურიოს, შაქ-რითა მოატკბოს, ნუშის ზეთი შიგან გაურიოს და შესუას. მისი საკმელი: რბილი საკამადი შეუწყვეით, ან თიენსა კორცი და ანუ სხუა კორცი აყიროთა შეუქენით, და აგრე აკამეთ. ანუ ასპანახისა საკამადი აკამეთ, და თუ ცხელემა არა სკირდეს, ვირისა რძე შაქ-რითა შეასუით, ყუალასა სკობს.

ერთი სენი სხუა არის, გზა ჰქუიან. — ესეცა თასნუქსა ჰგავს. ესე ორისაგან იქნების: ერთი სიკმისაგან და ერთი სინედლისაგან. ისი რომე სინედლისაგან გამოჩნდეს, მისი ნიშანი ესე არის, რომე ისი ხუილი მაგრად იქნების, ასრე რომე არ იძრვოდეს. ა მ ა ს ი ს ი ვ ე წ ა მ ა ლ ი უ ნდა, რომე თასნუქისათუის დაგუიწერია. ესე სენი სიგრილისაგან უფრო წაეკიდების. მისი წამალი: აფთრისა ქონი ზეთისხილისა ზეთითა გააღნონ და სრულად ტანსა შესცბონ, და თუ ამა შეცხებაშიგან ოფლი სდიოდეს, ფიცხლა-ფიცხლა მოიკოცდეს, რომე არა გაცივდეს.

სხუა ხენი არის, სახელად აღვივაფანჯ ჰქუიან. — ესე სენი ბევრისა ჰამისა და ბევრისა ღუინისაგან შეიქნების, რომე ვერა || იღნობდეს. მისი ნიშანი ესე იყოს, რომე ცოტა წაიაროს, და შურეს, და პირისა სახე გაუწითლდეს და მხიერულად იყოს. ისი ზაფრისა და სისხლისაგან იქნების. ანუ ფიცხლა კელი გაიხსნას, და ან წამალი აიღოს, რომე ზაფრა დააკლდეს. თუ ესე კაცი მკურვალად

იყოს, მისი სასმელი კმელი ქინძი ცივითა წყლითა და შაქრითა
 იყოს. მისითა სიგრილითა ახლათი ველარას ისაქმებს. ახლათი ოთხი
 რიგი არის. თუ ტანი გაუგრძელდეს და ქარი გამოჩნდეს, მისი
 წამალი გაზრდილი ვაჯი არის. რაცა ამას ზემოთ სენები დაგუიწე-
 5 რია და ფილენჯისა და ლაყუასა წამალი ერგების, ისევე ამას ერგების.
 ნიშანი იარაჯისა დიდისა გალიანოზისი. ერგების ფილენ-
 ნჯისა და ლაყუასა და ვინ შეხაშმებულ იყოს,
 და ასონი გამკმარნი ესხნენ და შენადგამნი,
 10 და ვერ შეიძვროდეს, და ვის ქელნი და ფერკნი
 მოჭთოლხუებოდიან და თრევით შეითრევედეს
 და ზე ვერ გაემართებოდის, და ვისდა მარჯუ-
 ენა კერძი მიღებულ იყოს ანუ მარცხენა და
 მაჯასი არა უკრთოდის, და ვის უნებელად
 15 ფსვლი გამოუვიდოდეს, ერგების მას ყოველ-
 სა რგებითა საჩინოთ ნებითა ღ'თისათა
 აიღე შამი. ანდალი და ღარიკონი, თაგუის ხახუი შემწუარი,
 ვაშაყი და საკამუნია, კარის-ძირი შავი, რომელ არს ფარიკონი, და
 აფარბიონი, ამათგანი — წონი ღრამისა თექუსმეტ-თექუსმეტისა,
 20 და ჭავაშირი და აფთიმონი [...]ტი, მუყლი, ეპუდი და აქამანდრეო-
 231 რსი, აფრასიონი და სალიხა, ამათგანი — წონი || ცხრა-ცხრისა ღრა-
 მისა, ზარევეანდი გრძელი, მური და საქბინაჯი, პილპილი შავი და
 დარაფილფილი, პილპილი თეთრი და კილანაჯი, ქალბანი და კას-
 ტარიონი და ფატრასალიონი, ამათგანი — წონი ოთხ-ოთხისა ღრა-
 25 მისა; საბრი, სკუნტრი და ზაფრანი, ამათგანი — წონი ხუთ-ხუთისა
 ღრამისა. შეპკრიბნე ესე ყოველნი წამალნი, დანაყნე და დასცრნე;
 და პერულმოქდილითა თაფლითა შეზილო, და კიქისა ჭურჭელსა
 ჩასდვა და შეასუა მისგან წონი ოთხ-ოთხისა ღრამისა, წყლითა
 ტფილითა, ანუ აფთიმონისა ნაგბოლითა, სარგებელისაა ნებითა
 30 ღ'თისათა.
 წამალი რომელი ერგების ფელენჯისა და ლა-
 ყუასა და ტანისა ნახევრისა მოფოლხუებუ-
 ლობას ნებითა ღ'თისათა.— აიღო შხამი გაქურცნილი,
 წონი ღრამისა, პილპილი შავი და პილპილი თეთრი, ამათგანი — წონი
 თუთო ღრამისა, და ტეგანა გარეული — წონი ორისა ღრამისა და
 35 ნახევრისა, მლოგუი — წონი ორისა ღრამისა, და სონიჯი — წონი
 ღრამისა. შეპკრიბნე ესე წამალნი, დანაყნე კიდეს-კიდე და დასცრნე
 შარითა, და შეზილო მარზანგოშისა წყლითა, და პილპილისა სწო-
 რად მარცულად დაქენა და ჩრდილსა გაკეპო, და ოდეს გიკმდეს,
 აიღო მისგან ერთი მარცულაი, და [...]უგდანთა შიგან გაადგინო
 40 მარზანგოშისა წყლითა ანუ ალავერტისა წყლითა. და იასამიგი
 ზეთი ჩაურთო თანა — ღრამისა წონი, და ცხუირთა უწოთ სნეუ-

ლსა, რომელსა ამათ საღმობათაგანი რამე სქირდეს, რომელ ნიშანი მიგუიციემა. კეკელა არს და ერგოს წებითა ღთისთა.

ნიშანი სოოტისა. — ერგების ლაყუსა და ფელინჯსა და მოფულხუებუ || ლობასა ტანისასა. სახელითა ღთისათა, —

v
5

აილო მური და საბრი, აკირკარა და სონიჯი, ზაფრანი და ჰულდულდი, და შხამი, და წეროსა ნავლედი და თევზისა ნავლედი, რომელსა ჰრქუიან შაბოტი, უძოვარი და ჯავშიარი, ამათგანი — სწორი წონი. დანაყენ ყოველნი და დასტრენ შარითა, და შეზილო ამითთა ნავლელთაგანითა, რომლითაცა ნიშანი მიგუიციემა, და პილპილისა ზომად დაქქნა, და ცხურითა ჩაუსხა მისგანი მარცული ერთი, ვითა პირველ ნიშანი მიგუიციემა, გამოცდილია და სარგებლისა, თუ ღმერთსა უნდეს.

10

ერთი სენი სხუა არის, ხადირი ჰქუიან. მისი ნიშანი ესე არის, რომე წელთქუეითი დაუბუშდეს, ასრე რომე ნაკებნსა ჰგვანდეს, და ველარა იძრვოდეს. ესე სენი ფილენჯისა და ლაყუსა გუარი არის, და ბალღმისა და სისხლისა სინედლისაგან დაემართების, და რომე ტუინიდაღმა ძარღუნი ჩამოვლენ ქუედა ტანშიგა, და იმაშიგა ბალღამი ჩაჭდების და ტუინისა გზასა დაიჭირავს, და ტუინი საქმობასა ველარა დაიწყებს და მისგან გამოჩნდების.

15

თუ სისხლისაგან იყოს, მისი ნიშანი ესე არის, რომე პირი გაუწითლდეს. მისი წამალი პირველად სუბუქითა წამლებითა გახსნას, მერმე კელი გაუხსნას — ბასალიყე.

20

თუ ბალღმისაგან იყოს, მისი ნიშანი ესე არის, რომე პირის სახე თეთრად ედგას და არა სწყურდებოდეს; და ღუეი ბევრი გამოვიდოდეს. იცოდით, რომე ბალღმისაგან არის. მისი წამალი:

25

აყირყარა და დარიჩინი დანაყენ და სიქანგუბინშიგან გაურიეთ და იღარღაროს. თუ ღუინისა მსუმელი იყოს, ღუინო სუას და არწყყიოს, თუ ღუინისა მსუმელი არ იყოს || აბანოსა იზანდეს და სამ-

232 r

ქურვალოსა იარაჯებნსა და გუარიშნებნსა ჰამდეს. ვისცა ესე სენი გამოაჩნდეს, ერთი ნიშანი ესე არის, რომე ასოები მუდამად მღერასა დაუწყებს, რა ესე დაემართოს, იცოდი; რომე ხადირი გამოჩნდების. აბანოს ებანოს ასეთსა, რომე ესე წამლები შიგან მოდუ-

30

ღებული იყოს. მოიღე ყაისუმში, პიტნა, ბაბუნჯი, იის ძირი; ესე წამლები შიგან მოადუღეთ და აგრე შიგან ჩაჭდეს, და რა აბანოთ გამოვიდეს, ესე წამლები ქუნჯითისა ზეთშიგან

35

მოადუღოს, და ტანი და წელქუეითი იმითა დაიზილოს. თუ ესე წამლები არ იშობოდეს, ზიბაყისა ზეთითა დაიზილოს, და იმითა ღარღარაცა აქნევიონ; და რაცა სამკურვალო საქამადი იყოს იგი აჭამონ. და თუ რწყევა შეეძლოს, წამლებითა არწყევიონ. და რაცა

40

ფელინჯისათუის წამლები სწერია, ამასცა ერგების ბრძანებითა ღთისათა.

ნიშანი მკრისა ტკივილისა. — რაჟამს მხარმან ტკივილი დაუწყოს, სამისაგან იქნებოს: ერთი სისხლისაგან, მეორე ბალღმისაგან, მესამე ნაცემობისაგან ანუ ცხენისა წაქცევისაგან.

5 თუ სისხლისაგან იყოს, მისი ნიშანი ესე არის, რომე ჳელი დასდვა; ცხელი იყოს და გაუწითლდეს. ამას სუბუქი გასახსნელი წამალი ააღებინეთ — აიღე შირიხიშტი, ხიარი შამბარი, თარანგუბინი. ესე თბილითა წყლითა გამოწურეთ და შეასუთ, და ყიფალიცა გაუხსენ. გრილი ტლეები შეუქენ და მტკივანზედა დასდევ.

10 თუ ბალღმისაგან არის, მისი ნიშანი ესე იყოს, რომე ტკივილი თავისა ფერთა იყოს და ფერზედა თეთრად იყოს. მისი წამალი: იარაჯ ფეკრთა ლარლარა აქნევიანეთ, და გასახსნელი ააღებინეთ; იარაჯი ჳალინოზისი, და მუცელიცა გაუხსნას ყუსტისა ჳეთითა, თბილ-თბილად, რაგუარაცა ლაყუსისა და ფელინჯისა სწერია, და თაფლითა პურსა ჳამდეს, დილეულად კამა და შაქარი ცეცხლშიგა ჩაყაროს და ისუნოს. თუ ესე სატკივარი ანუ ნაცემობისაგან, ანუ შიძისა აღებისაგან, ანუ ცხენისა წაქცევისაგან წაეკილოს, მისი წამალი — ვარდისა და იისა ჳეთითა დაიზილოს, თუ იმითა არ ეშუელოს, კოტოში მოიკიდოს. აიღე ხატმი 20 დანაყილი, ქერის ფქვილი, იისა ფურცელი დანაყილი, კუერცხის გული და ვარდის ჳეთი, ცოტა ძმარი, ყუალა ერთმანერთსა გაურიე და მტკივანსა ჳედა შემოსდევ. და ცოტა მუშია დანაყონ, შაქრითა გაატკბონ და შეასუნ, ცოტა ცხურის რძეშიგან გაურიოს და შემოსდვან ჳედა.

25 თუ გაუსივდეს და ფერადცა წითელი იყოს, კოტოში მოიკიდოს.

თუ სიმსივნე თეთრი იყოს ფერად, მდოგუი და სონიჯი დანაყოს და შიგან ჳიმბაყისა ჳეთი გაურიოს, და მტკივანსა ჳედა შემოსდვას.

30

ი. სხვა კარი

მისი რომე ასოები კაცსა მუღამად ემღერდეს

ამას მართებს, რომე ყინულიანისა წყლისაგან და ქარიანისა საჳმლისაგან, და ბევრისა ღუინისაგან იფარეზოს. და რაცა ადგილი ემღერდეს, ხამითა მჩურითა შეიხუევედეს, რომე ისი ადგილ გაუწითლდეს, და ყუსტისა ჳეთითა და ფარფიონისა ჳეთითა დაიზელდეს. და წყალშიგან მარილი ჩაყაროს და ოთხსა დღესა მზესა 35 გაუღვას, და მერმე ცხურისა ბუშტშიგა ჩაასხას || და იმა ადგილსა 233 რ დაიდვას. და საჳმელი რაცა ამას ჳემოთისა კარისა სწერია და ფი-

ლენჯისა, ისი შეუწყევით, და რაცა ფელინჯსა და ლაყუასა წამალი
ერგების, ამასცა ერგების.

თუ პიროსა სახემან ფეთქა დაუწყოს, ფელინჯისა ნიშანი არის.
თუ ბარკალმან და ფერკებმან ფეთქა დაუწყოს, იგიცა ფილენჯისა
და ხადირისა ნიშანი არის. თუ სრულად სტომაქმან ფეთქა დაუწყ- 5
ყოს, იგი თასნუჯისა ნიშანი არის (თასნუჯი იმას ჰქუიან, რომე
ქელები და ფერკები დაეკუანჩხოს). ვინცა მუდამად ნავლიანად
იყოს, შავისა ბალღმისა ნიშანი არის; ვისცა მუდამად ცხურითადა-
ღმა წყალი სდიოდეს, ნაზლისა ნიშანი არის (ნაზლა იმას ჰქუიან,
რომე სურდო თავიდაღმა სტომაქსა და გულშიგა ჩავიდეს). ამისი 10
წამალი, სადაცა სურდოსა წამლები დაგუიწერია, იქი სწერია, და
ამასცა ისივე ერგების...

ვისცა მუდამად აჭუელებდეს და ქუელითა სისხლსა ამოიღებ-
დეს, ვარამისა ნიშანი არის. ვისცა ქშინვა დაერთოს, ასრე რომე
წაირბინოს და ხრინვა ამოატანოს, ნაფასისა ნიშანი არის. ვისცა 15
ქუქუთონი მ[...] I გენ და ზურგი სტკიოდეს, სისხლისა ნიშანი
არის. ვინცა მართლად იყოს, და პირი უშრებოდეს, და მწარე ებას
და საქმელი არ მოუნდებოდეს, ყოლინჯისა ნიშანი არის. ვისცა
მუდამად ნაწყლი ჰქაოდეს და რა მოსავლეღად დაჯდეს, წუეთ
წუეთად სისხლი დაეარდეს, ბაბასირისა ნიშანი არის. ერთი ამის- 20
გან იქნების უკანასა კარისა ქავილი, რომე || კია დაესხმის. მისი
ნიშანი ესე არის, რომე ხანდახან აყიროსა თესლისა მსგავსი კია
ნიფხავჩიგა ჩაუვარდებოდეს.

ვისიცა ფსელი მყრალი იყოს, კურეებისა ნიშანი არის, ვისცა
თუალნი არა სტკიოდეს და ბუზივითა თუალთა წინა რამე უვლი- 25
დეს. შავისა წყლისა ჩამოსულისა ნიშანი არის. ვისცა შიგნითმუ-
დამად ყურნი ჰქაოდენ, ყურთა დადგომისა ნიშანი არის. ვისცა
თირკუმელი და ბატარა მუცელი სტკიოდეს, შირიმისა ნიშანი არის.
ვისცა ესე ნიშნები გამოაჩნდეს, თუ ფიცხლა სწამლებ, ადვილად
ეწამლების ნებითა ღ'თისათა; და თუ არას გაივლენ და უკუ-უშუებ, 30
გაძნელდების და უფრო ძნელად ეშუელების.

იბ. კარი

კარი თუალისა, ნიშანი მისი და წამალნი მისნი

ყუალანი ამა კარსა შიგან სწერია ბრძანე-
ბითა ღ'თისთა. — ღმერთმან თუალი დაჰბადა და შიგან სი- 35
ნათლე ჩადვა, და მერმე შუიღსა ფარდაგსა შიგან წაახუია. გარესა
ფარდაგსა სახელი შირჩიკი ჰქუიან, მეორესა სარქა ჰქუიან, მესა-
მესა ასათ ჰქუიან, მეოთხესა აღლ ჰქუიან, მეხუთესა ოთხრ ჰქუიან,

მეექუსესა ფასილ ჰქუიან, მეშუიდესა ჩაეღეჲ ჰქუიან. ღმერთმან
თუალი შუიდს ფარდაგშიგან გაამაგრა, რომე მავნემან მას არა
აწყინოს. თუალისა წყალი წუთხიანი მისთუის ქნა, რომე ნიადაგ¹
წმიდა იყოს, რომე არ აყროლდეს და სწმედდეს გარე. წამწამი
5 მისთუის უქნია, რომე ცრემლსა სწმედდეს და მზისა სინათლე
234 r შორს დაიჭიროს; თუ წამწამი || არ იყოს, მზე და ქარი ჩაუვარდ-
ბის. წარბი წამწამთა მეშუელად არის; მისითა ძალითა ხედვიდეს.
მარჯუენისა თუალისა სჯობს ძალი და სინათლე მარცხენისათუის.
როდეს მთუარე სავსედ იყოს, მაშინ მარჯუენა კაკალი სტკივის, და
10 რა ბუღეშიგა შევიდეს, მარცხენა კაკალი დაუწყებს ტკივილსა.

იკოდით, რომე თუალსა ფთხილად შენახვა უნდა და დიდი
ფარეზი უნდა საქმლისაგან და ყოვლისა საქმისაგან, დედაკაცსა
თანა წოლისაგან, გუიან ჰამისაგან, თოვლისა და ბევრის სითეთ-
რისა ჰურეტისაგან. სიარულისა და მწოვისა საქმლისა ჰამისაგან,
15 ოსპისა ხურმისა და მლაშისა ჰამისაგან ღუინისა, რწყევებისა, ბანისა
და აბანოშიგა ჯდომისაგან და მტუერისა და კუამლისაგან. თუ გინ-
და, რომე თუალი ნიადაგ კარგა და მთლად იყოს, ტერფი, საჯდომი
და ფერკი დაიზილოს იისა ზეთითა და ცოტა ცხურიშიგანცა ჩაის-
ხას. სიარული მწუანესა ადგილსა კარგია; წმიდასა წყალშიგა² იბა-
20 ნოს, ცოტასა ხანსა თავი ჩაყოს და თუალი ააღოს, რომე წყალი
ჩავიდეს, კარგია. და ბამბითა მუდამად [კამისა] წუენსა ჩაუშვებ-
დეს, და კამისა შტოთა თუთიასა ამოვიღებდეს, ნუშისა გული
გაფრცქენან და ამლაჯისა. ზეთშიგა გალესონ და თუალისა კი-
ლოზედა შესცხონ, ფრანგულსა დანაზედა ისრიმისა წუენითა გა-
25 ლესონ და თუალშიგა გამოავლონ. ბატარა ქათნისა ნაკუეთი ქათ-
მისა ქონშიგა გაურიონ, მერმე დაწუან, მისი კუამლი დაიჭირონ,
და ოქროსა ანუ ვეცხლისა მილითა თუალშიგა ამოავლონ. აქიმთა
უთქუამს თუალისა ტკივილი უფროსიცა სისხლისაგან იქნებდისო.
მისი ნიშანი ესე არის, რომე თუალშიგა ძარღუები დასისხლებულ
30 იყოს².

აწ ნიშანი დავწეროთ თუალისა ტკივილისა. რაცა კაცისა
თუალშიგა სატკივარი შეეჯ, ოთხისაგან იქნებდის: სისხლისაგან,
ზაფრისაგან, ბალღმისაგან და სევდისაგან. თუ სისხლისაგან იყოს,
მისი ნიშანი ესე არის: თუალი წითლად, მძიმედ და ცხლად ჰქონ-
35 დეს. თუ ზაფრისაგან იყოს, მისი ნიშანი ესე არის: თუალი ჰქოლდეს
და ეწვოდეს და სიმძიმე სუბუქად იყოს.

თუ ბალღმისაგან იყოს, მისი ნიშანი ესე არის: თუალი უფრო
მძიმედ და წუწიანად ჰქონდეს და წითლად არა დია იყოს.

თუ სევდისაგან იყოს, ბალღმისა სიმძიმისაგან უფრო სუბუ-
40 ქად იყოს და სისხლისა და ზაფრისაგან უფრო მოსუენებით იყოს.
თუ სისხლისაგან იყოს, კელი გაუხსენ პირველსა დღესა, და

- მეორესა და ანუ მესამესა დღესა ჰიქისა კოტოში მოჰკიდე, რომე სისხლი მოიღოს, და იისა ყურსი მისცენ. და საქმელსა სუბუქად ჰამდეს, და კორცისა, ლუინისა და ყოვლისა მჭურვალისა საქმლისაგან ფარეზად იყოს. და რასაცა ჰამდეს, ჰინძსა გაურევდეს და ბნელსა სახლშიგა დაჭდეს და ფარდაგსა გაიბემდეს, ანუ ყუთთელსა ან შავსა და ან ლურჯსა, და მეტად ნუ დაიძინებს. და შარბათი ბროწეულისა და თესლი რისა || გინდა იყოს, და იისა შარბათი მისცენ. და შაფი, ბარუმი თუალშიგა გამოაელონ; და შაფი ყუთთელი და თეთრი არგებს. რა ერთი კუირა გამოჰიდეს, უღბოთა იქლილმალიქი ბაბუნაჯითა მოდულებულითა თუალი დაჰბანონ, და იმავე წყლითა ასპანახი დაასოვლონ და თუალზედა დაიდევას, და მუცელი ნიადაგ რბილად და გახსნით ჰქნას.
- ს ხ უ ა წ ა მ ა ლ ი, რ ო მ ე თ უ ა ლ ი მოხისხლვოდეს. თუალი დაღმა ქუქუთო გაათხელოს, და სისხლი გამოიღოს, და თუალი გააგრილოს. ესე აქიმმან ისი დაწერა. აიღე — ანძრუთი სამი დაღამი, და ნიშასტაგი — ერთი დაღამი და ნახევარი, სპარსული შაქარი — ორი დაღამი. ესე ყუალა დანაყე და გაცარ, და ერთხელ დილასა და ერთხელ საღამოდ თუალშიგა გამოაელებდი, მრავალჯერ ჰქნ ესე.
- თუ თუალი ერთობ სტკიოდეს და უხივდეს, ესე შაფი ალაი ამოავლე წ ა მ ლ ე ბ ი მ ის ი: აიღე სადაჯი, ჰინდი — ორი დაღამი და ნახევარი, სამყი რაბი — ორი დაღამი და ნახევარი, ნიშასტაგი და უმარული, თუითოსაგან — ოთხი დანგი და ნახევარი, ანძრუთი — ერთი დაღამი, ოქროსა წიდა! — ნახევარ დაღამი, ზაფრანი — ნახევარ დაღამი. ესე ყუალა დანაყე და აბრეშუმისა საცრითა გაცარ, და წყლის ჰაკუნტელისა წყლითა შეზილე, და თუ ისი არ იყოს, წყაროსა წყლითა შეზილე, და წურილად დამარცულე და ჩრდილსა გააკმე. რა მოგინდეს, ჰალის დედისა რძითა გალესე და თუალშიგა გამოაელებდი და უშუელოს, თუ ღმერთსა უნდეს.
- თუ ამითა არ იქნას და ტკივილი ერთობ იყოს, ყიფალი გაუხსენ. თუ გუნება შეკრვით იყოს, მატფუხი შექენ და მიეც. || რომე თავისა ტკივილისათუის სწერია.
- თუ არცა ამან უშუელოს, ესე წ ა მ ლ ე ბ ი შე ქ ე ნ: აიღე საბრი, სკუნტრი — ათი დაღამი, ყუთთელი ალილა, გურკისაგან გამოღებული და კმელი, ვარდი, თუითოსაგან — ხუთი დაღამი, ზაფრან — ნახევარ დაღამი. ყუალა დანაყე, გაცარ და წყაროსა წყლითა შეზილე, და აბი შექენ და ჩრდილსა გააკმე, და მიეც მისგან ძილისა ეამსა თბილითა წყლითა — ოთხი დაღამი, მით წესითა, რაგუარაცა აბისა აღებისა წესია,
25 A ს ხ უ ა. — შიმშატი და პიტნა ორივე ერთად ადუღე და მისი წუენი ტფილ-ტფილი ყურსა და შაკიკშიგან ჩაუშუი || და, რაცა ქარი იყოს, გამოილოს.

30 ზატარა, შავი ბოლოკი დაქარ წურილად და თაფლითა მოადუღე მუნამდი, რომე წყალი დაშრეს და თაფლი და ბოლოკი დარჩეს. მერმე იმი მატყლზედა დასცხე და ყურშიგა ჩაუშუი. თუ იმითა არ ეშუელოს, დაიჭირე ყაისუმი, მარზანგოში, ზამბუას ზეთითა. მოადუღე, მერმე ჭუნდი ბედასტარშიგა გაურიე და მუდამ ყურშიგა ჩაუშუებდი.

35 სხუა ნიშანი, რომე ყურშიგა რამე გამოუვიდეს. მჯღომი შიგნით იყოს თუ გარეთ, მისი ნიშანი ესე არის: თუ გ[ა]რეთ გამოუვიდოდეს, ტკივილსა დაუწყებს და ცხელება დაემართების და მძიმედ გაიგონებს, და ერთობ წვასა დაუწყებს. მისი წამალი. — აიღე შირიხიშტი, თამირინდი, ხიარი-შამბრისა გული და შეასუი ესე — თხუთმეტი ღრამი, და ნახევარ ღრამი საყამუნია გაურიე და ყიფალიცა გაუხსენ¹, თუხმაქანისა ლუბი კუერცხსა გაურიე და 40 ყურშიგა ჩაუშუი. თუ გამომავალი შიგნით იყოს, მისი ნიშანი ეს არის, რომე ნამეტნავად სტკიოდეს. რა ყურსა დახედო, რეგუნად

უბნობდეს, თავქედიაწივითა. ესე სენი საშიშარი არის. ამასცა სუ-
ბუქი გასახსნელი შარბათები მიეცით და ყიფალიცა გაუხსენ. ბაზ-
რყატუნისა ლუბი, კუერცხისა თეთრი ერთმანერთშიგან გაუროე,
ფარფიონი — ორი ქერისა წონა ქალის ღედისა რძითა გალესე და
შიგან გაუროე. მუდამად ყურშიგა ჩაუშუებლი.

5

ყურშიგა რომე წყლული იყოს, იცოდო, რომე ორი-
საგან იქნებოს: ერთი ახალი და ერთი ძველი. თუ ახალი
იყოს, მისი ნიშანი ესე არის, რომე ბალღამი და სისხლი სდიოდეს.
მისი წამალი. — ცოტა მურღასანგი ძმრითა გალესე და მატყ-250 რ.
ლისა პატრუქი შექენ. ამაშიგა გამოავლე და ყურშიგა შეუდე.

10

ძველისა ნიშანი ესეა. — თუ ბაყლი გამოვიდეს მყრა-
ლი ყურისაგან, აილე რკინისა წილა. გააკურვე სამჯერ და სამსა
დღესა ისი ძმრითა გალესე, ბამბისა პატრუქი შიგან ამოავლე და
ყურშიგა მიეც.

ნიშანი ნაპრისა (ძველსა ყურის ტკივილსა ჰქუიან). ოდესცა
თეთრი და მყრალი წყალი გამოვიდეს ყურისაგან. — აილე ჭან-
გარა ერთი დრამი, ბზისა ხე დანაყილი და გამქმარი — ორი დრამი,
თაფლშიგა გაუროე და პატრუქითა მიეც.

15

ნიშანი ყურისა, რომე ბაყლი სდიოდეს. — აილე მწარისა
ნუშისა ზეთი. ცოტად გაათბე და შიგან ჩაუშუი. მერმე აბანე. ბანა
ასრე უნდა, რომე ყური აბანოსა თაფლზედა(!) დაიჭიროს მუნამდი.
ვირე დაალბოს შიგან რაცა მანკი იყოს, და ერთპირად გამოვა და
გამოწმდების. მერმე პატრუქი შექნას და ყურისა წყლელისათვის
რომე სწერია, იმითა ყურშიგა ჩაუღვას.

20

სხუა ყურისა ტკივილი, რომე კმელად სტკიოდეს და სხუა
ნიშანი არა იყოს. — აილე საბრა და ზაფრანა. თუითოსაგან —
ერთი დანგი. მყინვარი — დანგ-ნახევი, ოთხი მარცული მუხუდო
ტყავ-გაძრცული. ესე სამივე დანაყე, მერმე გალესული ქაფური
სამისა მარცულისა ქერისა წონა ამა წამლებშიგა გაუროე, ორი
დრამი იისა ზეთი და ამისი წონა ქალის ღედისა რძე შიგან გაუროე.
და მერმე წუეთ-წუეთი ყურშიგა ჩაუშუი.

25

სხუა წამალი. — აილე ანძრეთი, რბალად დანაყე, ნუ-
შისა ზეთი გაუროე, ცოტა თაფლიცა გაუროე, ყურშიგა ჩაუშუი.
მის თუისვე. — სამი წუეთი ბალასანისა ზეთი (თუ ის არ
იყოს — ზეთისხილისა || ზეთი ნახევი დრამი), თეთრი ნავთი გაუ- v. 35
როე და ისიცა ყურშიგა ჩაუშუი.

30

სხუა. — აილე საყამუნია ძმარშიგა გალესე მწარისა ნუ-
შისა ზეთითა, ისიცა ყურშიგა ჩაუშუი.

სხუა. — ჭუნდი, ბედსტარი ვარდის ზეთითა გალესე, და
ისიცა ყურშიგა ჩაუშუი. მის თუისვე. — დაიჭიროე ნიორისა
წუენი, ვარდისა ფურცელშიგან გაუროე, დანაყე და ჩაუშუი.

40

და ბალღამისაგან იქნების, რომე გაერთებულ იყოს ტკივილი. მ[ა]-
რთებს, რომე თავი აბანოშიგა დაიბანოს და ჭკუვის წამალი ქნას,
რომე მალასი გაეყაროს. თავსა და კეფასა კოტოში მოიკიდოს და
ცხუირისაგანცა სისხლი იღინოს.

სხუა, რომე! სიცივისაგან სტკიოდეს. — აილე ბატის ქონი, 5
ანუ ქათვისა, წმიდად დაადნე, და მერმე ქათვისა ნაველი გაუ-
რიე. აილე ერთი თავი ხახუი, გული გამოართვი, ესე წამალი
შიგან ჩაყარე, მხურვალისა || ერბოსაგან ერბო გაათბე, და ყურში- 7
გან საში წუეთი ჩაუშვი სამჭერ.

ამავე სენისათვის. — კანათისა ზეთი, წიფლისა ზეთი, 10
ანუ მწარისა ნუშისა, და ბატისა ქონი გაურიე და ჩაუშვი.

ამავე სენისათვის. — აილე ფეტვი და მ[ა]რილი, ყურ-
ზედა დასდევ.

სხუა ყურისა, რომე სიმსივნე წაგეღოს. — აილო აფიონი
დედაკაცის რძითა დაალბე, ვარდის ზეთითა გაათბე და ჩაუშვი. 15

სხუავე, რომე არა ესმოდეს. — ზროხისა ნაველ-
ლი თათლითა ყურშიგან ჩაუშვი.

ყურშიან რომე კმა გამოსცეს, — სადაფი ბერძულითა ზეთითა
ააღულე და ჩაუშვი.

სხუა წამალი, რომე ყურშიგან რამე ჩასძრომოდეს. მისი ნი- 20
შანი ისი არის, რომე მუღამად ჰქაოდეს და ერთობ ნამეტნავად.

მისი წამალი. — კორცი დანაყოს, და პატრუკი შექნას და
ყურშიგა ჩაიდებდეს, ერთი წამი გამოუშუას, რომე შიგან იყოს,
მისთვის რომე. რაცა ჩასძრომია, იმა კორცისა სულ ზედა დაეხუ- 25
ევის. მერმე წყნარად გამოზიდე. თუ გამოვიდეს, კარგია, თუ არა—
მეორედ კიდევე ქენ და გამოსწმედს. თუ ამითა არ გამოვიდეს,
იცოდი, რომე ერთობ შიგნით არის. მოილე ბატარა ატმის ფურ-
ცელი, დანაყე და გამოწურე. ცოტა ყურშიგან ჩაუშვი ქერამისა
კურკისა ზეთითა; თუ არა ცოტა საბრძო დანაყე და მისი წუენი
ჩაუშუა. 30

თუ ყურშიგა კვა ანუ სხუა რამე ჩავარდნოდეს და ერთობ
ყური სტკიოდეს. — და იმა მკარსა დააწეინე, სითყა სტკიოდეს,
და თავი კარგად დაარხიე. თუ არ გამოვიდეს, ჩქიფი, რომე ეკალსა
ამოიღებენ, ჩაყე და იმითა ამოიღე. თუ იმან არ ამოიღოს, ჩხირისა
წუერზედა გომიზი დააკარ. დააკირე ზედა და იმითა ამოიღე წმახი?, 35
|| და ცხუირთა შეაბერე და შეუკარ, დასცემს ცხუირსა და გააგდე-252 r.
ბინებს.

უკუეთუ ვისმე მძრომელი ყურთა ჩაუძრეხ, ორისა ქერისა
წონა საყამენია ძმრათა გაადგინე და ყურთა უწთე.

ნიშანი წამალთა, რომელი ეკუმევის ყურთა კიისა გამოღებისათვის.
გამოჰყავს ამას უმიზეზოდ ნებითა ღ'თისათა

5 აილო თეთრისა ლემისა თესლი და ვაშავი თეთრი, წმიდა, კეკელა, ამათგანი—სწორი წონი. და გომიზი—ერთი ნაწილი ზეთისხილისა, და ბავრუკი წითელი — ერთი ნაწილი. შეჰკრიბნე ესე წამალნი და დაჰნაყუნე, და აილო მისგანი ორისა დანგისა წოხი და ცეცხლსა შინა ჩაადლო, რომელ საცეცხურთა შინა იყოს, და ზედა ძაბრი გარდაარქუა. და წუერი ძაბრისა ზეით უყო და ყური ზედა მიუჰყრას, რომელსა შინა კია იყოს, და მუნამდი იპყრას, 10 ვირე საყუმეველი დაილიოს, და ჰქნა ესე შრავალჯერ, ვირე კია გამოვიდეს ყურისაგან ბრძანებითა ღთისათა.

ნიშანი გამოღებისა კიისათვის ყურისაგან, გამოცდილი. — აილო მარმარისა გამოწურვილი და ვარდისა ზეთი, ბოლოკისა ზეთი, ამათგანი — სწორი წონი. შეჰკრიბნე და შეჰკრივენე და უწთო 15 ყოვლისაგან ოთხი წთობა. და ჰქნა ესე დილა-მწუხრი, სარგო არს, თუ ღმერთსა უნდეს.

ნიშანი წამლისა, ერგების ტკივილსა ყურისასა და სიყრუესა შემთხუ[ე]ულსა. — აილო შაბი წითელი — წონი დრამისა და დაასხა ზედა ზეთი მკირედი ბოლოკისა, და ძმარი ცხარი ლუინისა 20 მჟავისა შერივნე კეკელად. უწთო ყურსა და ერგოს.

v ნიშანი სხუისა წამლისა, ერგების სიყრუესა ვის არა || ესმო- დის. რომელსა ჰქუიან ტარში. — აილო ბოლოკისა გამოწურვი- ლი — წონი დრამისა. და ურთო თანა ბავრუკი წითელი — წონი 25 დრამისა, ბოლოკისა ზეთი და ბალასანისა ზეთი. შეჰკრიბნე ესე და ერთმანერთსა გაურვიენე და უწთო ყურსა დილა-მწუხრი.

ნიშანი წამლისა, ერგების წყალსა და შალალსა, შექნილსა ყურსა შინა და სიყრუესა შემთხუეულსა მისგან. — აილე ვაშავი წმიდა, კეკელა,—წონი ნახევარ დრამისა, და ბოტომისა კევი—წონი ნახევარ დრამისა, გომიზი ზეთისხილისა — წონი დანგისა. და ნაყუნე 30 აჯანთა შინა, რომელ შეიქმნას ვითა ცვილი. და მერმე აილო ბოლოკი და დასთალო, მკირასა ფათილისა მგზავსი შეჰქნა, რომელ ყურსა ჩაეტეოდეს. და ესე წამალი მას გარე შესდვა და ყურსა ჩაუჰყრა.

35 ნიშანი წამლისა, რომელსა ჰქუიან მისრი, ერგების ყურსა, რომლისაგან გამოვიდოდის შალალი და წალა. — აილო ეანგარი კეკელა — სამი ნაწილი, და თაფლი, რომელსა წყალი არა მიახლე- ბულიყოს, — რვა ნაწილი, და ძმარი მჟავე — ოთხი ნაწილი. აად- ულვე. ვირე წავიდეს ოთხი ნაწილი, და შეეშავსა ჩაასხი. და ოდეს 40 გიკმდეს. ფათილისა (რომელს არს პატრუკი) გარე შესდვა და ყურსა ჩაუჰყრა, ერგოს.

ნიშანი სხუისა წამლისა, რომელი ერგების ტკივილსა უური-
სასა და ტუხასა მისსა, და ტროშსა, რომელ არა ესმოლის — აიღე
უძოვარი და დააღბო ყრმათა ფსლითა, და გასწყდე(!) სამსა დღე-
სა, მერმე უწოთ ყურსა და ერგოს.

ვის წყლული არა გაუმრთელდებოდის, რომე ||ლ ჰქუიან ნახ-253 რ 5
ორი, და ბავასირსა, რომელსა შალალი მოექცეოდის, და თუ უწოთ
შიგან ღორისა ნაველი, ერგების შივილსა და ბუვილსა. თუ უწოთ
შროშნისა ზეთი. ანუ ნუშისა ზეთი, გაზავებული ძმრითა, ანუ
ტეგანისა წყლითა. ანუ პრასისა წყლითა. ანუ აიღო ხახუი და გული
მისი გამოსთხარო, და იასამიგითა ზეთითა აავსო, და გაატფო 10
ცეცხლთა ზედა და უწოთ ყურთა, ანუ ქაბრისა წყალი, ანუ პიტ-
ნისა წყალი ძმარსა თანა, და სიმსივნესა მისსა მკურვალსა უწოთ
შინა იისა ზეთი, ანუ ვარდისა. ზეთი, ანუ შერივნე ცვილი დასპეტი
და იისა ზეთი და სცხო, ერგოს, თუ ღმერთსა უნდეს.

ნიშანი სხუისა საკუმეველისა, ერგებოჲ ჰიასა ყურისასა, თუ 15
ღმერთსა უნდეს: აიღო უძოვარისა თესლი, ლემისა თესლი და
ვაშაკი, ამათგანი — სწორი ნაწილი, დანაყნე და ცეცხლსა შინა
ჩასდვა საცეცხურთა, ძაბრი ზედა გარდაარქუა და ყური ზედა
მიუპყრა, და ძაბრისა სტუირი ყურსა | შიგან იპყრა, ვირე იგი სა-
კუმეველი დაილიოს, სარგებლისა არს და გამოცდილი. 20

ნიშანი საკუმეველისა, გამოიღებჲ ჰიასა ყურისაგან. — აიღო
მარმაჰუხისა გამოწურვილი და ვარდისა ზეთი; შროშნისა ზეთი,
და ბოლოკისა ზეთი, ამათგანი — სწორი წონი. შეჰკრიბნე და შეჰ-
რივნე, და უწოთ ყოვლისაგან ოთხი წთობა, და ჰქმნა ესე დილა-
მწუხრი. კეკელაა და გამოცდილი, თუ ღმერთსა უნდეს. 25

იღ. კარი [მეთოთხმეტე]

ნიშანი ცხუირისა

ღმერთმა მოწყალემან ცხუირი დაჰბადა საყნოსელად და სუ-
ლისა საბრუნველად. მისი საქმე ისი || არის, რომე ტუინიღამან
ერთი ძარლუი ჩამოვა და ორად გაიყოფის, ერთი ერთსა ნესტუშიგა
მოვა, და მეორე — მეორესა ნესტუშიგა, და ტუინი ავსა და კარგსა
სულსა იქიდალმა შეიტყუებს. იმა ძარლუთა გული ცარიელი არის;
თუ ისი მალასისაგან ანუ სურდოსაგან შეიკვრის, კაცი სულისა
აღებასა ვეღარას შეიტყუებს. 30

თუ კაცსა სენი ცხუირშიგა შეექნას, პირველად ესეა, რომე 35
რასაცა ისუნებდეს, სული არ ეცემოდეს. მისი წამალი ესე არის.
რომე ქელსაფქავი გააცხელოს, ზედა ძმარი დაასხას და ესე იორთ-
ქლოს. ანაკუეთი ძმრითა მოადულოს და ორთქლოს, აგრევე სონი-

ჯი ძმრითა აღუღებული და სონიჯი ძმრითა დასოვლებული მოაკა-
ლოს და ისუნოს.

სხუა ნიშანი კაცსა რომე ცხუირშიგა სული არა ეცემოდეს. —

- 5 თუ დედის მუცლით გამოპოლიყოს, არათფერითა წაშლითა არ
ეშუელების. თუ ახალი იყოს, აიღე ერთი ნალი და გააკურვე მწო-
ედ, მერმედ ძმარშიგა ჩააგდე და ცხუირი და პირი ზედა დაიკიროს,
რომე ორთქლი შიგან შეუვიდეს. ერთსა კუირასა ყოველთა დღეთა
ამას იქმოდეს სამ-სამჯერ და მუდამ სონიჯი ისუნოს; პილპილა,
10 ქუნდუსა, ორივე დანაყე, რეანზედა დააყარე, ყოველთა დღეთა
ისუნოს და ცხუირსა დააცემინოს. აბიყუყიაცა აალებინე, იარაჯისა
ლარღარა აქნევინე, თუ ამან არ უშუელოს, აიღე შამი ანდალი და
სონიჯი, თეთრი ხარბაყი — თუითოსაგან თუითო დრამი, დანაყე
წმიდად და წეროსა ნაველღშიგა გაურჩე, ცხუირჩიგა ჩაუშუ-
ყოველთა დღეთა, სადამდის გამთელდებოდეს. თუ ესე სენი ერთო-
15 ძნელი იყოს, ბორაყი შავი, ბორა, სონიჯი და ნაველი, რასაცა
იყოს, იმითა გარიოს და ცხ...¹.

254 რ. || ...ჰიღე შუბლზედა ასრე, რომე სისხლსა ნუ ადენ.

- 20 თუ მარცხენით სდიოდეს, ტყირაზზედა მოიკილოს. ამა ნიშნითა
ქენ, ბამბისა პატრუჯი შექენ და ცხუირშიგა შეუღევე. პატრუჯი
ზეთითა დაასოვლე, აანთე და კოტოშისა მოკიდებულზედა დასდევ,
და ზედა ჰიქა დაპბურე, ვირე დაიწვოდეს, და უშუელოს.

- 25 სხუა, რომე სისხლი დააყენოს ცხუირისა. — ქურათის წყალ-
შიგა თეთრი საკუმელი გაურჩე, ცხუირსა ჩაუშეი და უშუელის.
თუ სისხლი არ დადგეს, ჰაფური ძმარშიგა გაურჩე და
30 ბამბითა ცხუირშიგა შეუღევე. ქერისა და ოსპისა ფქული ძმრითა
გაურჩე, სამოსლითა შუბლსა შემოსდევ და უშუელოს.

თუ პირსა და ცხუირსა სისხლი სწორად გაედინოს ბუშტისა.
პირშიგა მჭდომი გამოსულა და აღარა დარჩების.

- 30 თუ ცხუირჩიგა სურდო სჭირდეს, ორისაგან იქნებოს:
სიმკურვალისა და სიგრილისაგან. თუ სიმკურვალისაგან
იყოს. მისი ნიშანი ესე არის, რომე ცხუირიდალმა ხან თბილი და
ხან ცივი წყალი სდიოდეს. ამას შექამადი შეუწყონ ქერისა, შიგა
უნაბი, სეფისტონი და ხაშხაში იყოს მოდულეებული, და შარბათი
ხაშხაშისა სუას, რომე ცხუირთა დენასა უკლოს. რა ესე სენი შეექ-
35 ნას, საშსა დღესა მკურვალისა სასმელ-საკმპლისა და ლუინისაგან
იფარეზოს, და ქერისა წყალსა სმრდეს. და რასაცა საკმელსა ჰამ-
დეს, ქერის წყლითა და ბაკილას წყლითა შექნილსა ჰამდეს. და
თუთმაჯი, ანუ ატრია, ასპანახითა ანუ ნუშითა შექნილი ჰამოს.
40 მერმე ესე წამალი ქენ. რომე სურდო გულშიგა არა
ჩაუვიდეს. — აიღე ბროწეულისა ყუავილი. წითელი ვარდი, ოს-

პი და ქერქი ხაშხაშისა. ესე ვარდის წყლითა მთადულოს, ილარ-
ლაროს და პირ || შიგანცა დაიჭიროს და კიდევე წამოასხას. v

თუ ესე სენი სიგრილისაგან იყოს, მისი ნიშანი ესე
არის: თუალი და თავი მძიმედ კჭონდეს, და რაცა ცხუირიდალმა
წამოედინოს, ძნელად გამოვიდეს. ესე ჩალხა-ჩალხა თბილსა ფე- 5
ტუსა კეფაზედა დაიდებდეს, ძილისაგან, ბევრისა ლუინისაგან,
მეტისა საკმლისა და ბევრისა წყლისა სმისაგან იფარეზოს, და
ანისურსა ისუნებდეს, და მუშქსა და ლადანასა და სონიჯსა იყუმე-
ვდეს ასრე, რომე თავსა წამოიბუროს, სული ცხუირშიგა შეუვიდეს,
შარბათი ზუფასი სუას და ხუარბლისა კორკოტი თაფლითა ჭამოს, 10
და მოქალული და დანაილი სელი ფილფილითა და თაფლითა
ჭამოს, შემწუარი ტრედის ქუნდი და ჭავეკავი კარგად მოუტვდების.
სონიჯისა შარბათი, ზუფასა შარბათი და ხაშხაშისა შარბათი სურ-
დოსათუის კარგია. და აფლონია რუმი და თრიაყი ლათი, ესეცა
ერთობ კარგად მოუტვდების და გამოსწმედს. 15

თუ სურდო სისხლისაგან იყოს, მისი ნიშანი. — თუალი და
პირი გაუწითლდეს, რაცა ცხუირიდალმა წამოსდიოდეს, ცხელი და
მწოვე, მოთხე და ყუითელი იყოს. ამას ზედა, თუ ცხუირი და ყელი
ეწვოდეს, ზაფრაცა არევია მაშიგა. თუ ამას შიგა ცხელემა დაერ- 20
თოს. თავმან ტკივილი დაუწყოს, სიმძიმისა ნიშანი არისა. ამისთუის
გაუძნელდეს, რომე სასასა გაახურებებს და ესეცა იქნებოს, რომე
თავისა ნახევარიცა ასტივიდეს.

თუ სურდო სიგრილისაგან იყოს, მისი ნიშანი ესე არის, რომე
პირისა და თუალისა ფერი მასვე ფერზედა იყოს, და თავი და ტანი
დაუმ || ძიმდეს. რაი ცხუირთა და ყელთა დაიწყოს მოდენა, მოთე- 255 რ.
თრე და სქელი იყოს და მყრალიცა იყოს. და თუ ამაზედდა ცხელემა 25
დაერთოს, ადრე ეშუელოს, ამად რომე სიცხე ბალდამსა მოხარ-
შავს. ამა ორისა ფერისაგან კმაცა წაულოს და საუბნარი, ცხუირ-
შიგა უბნობდეს და ცხუირშიგა ასრე გაქედოს, რომე ვერა ისუნებ-
დეს (1). თუ არა უწამლო და გაუგრძელდეს, გულზედა ჩამოვიდეს 30
და ნაზლად შეიქმნას. როგორაცა ნაზლად შეიქმნას, კუელაცა გაე-
რთოს. სიმჭურვალისა და სიგრილისა წამალი ესე არის, ასრე უნდა,
რომე პირველი სენი მოხარშოს; და სენისა მოხარშვისა ნიშანი ესე
არის, რომე რაცა ცხუირთა და ყელთაგან გამოვიდოდეს, გათხელ-
დეს, და თუ თხელი იყოს, გასქელდეს. 35

სურდო რომე სიმჭურვალისაგან იყოს, და რაცა სდიოდეს,
თხელი იყოს, მისი წამალი ესე არის. — ქერისა კორკოტი
შეუწყონ, შიგა უნაბი, სიფუსტანი და ხაშხაშისა შიგა ურიონ, და
ხაშხაშისა შარაბიცი შეუერიონ; და თუ სისხლი სქარბობდეს და ზაფ-
რაცა ერიოს, და ნამეტნაეად ცხლად იყოს, ფიცხლა კელნი გაუქს- 40
ნენ. ბა გ რ ა ტ აქიმმან ასრე ბრძანა, ვითა: პირველ ბანა, ასრე

რომე თავი ღარსა ქუეშე დაიჭირონ. მერმე კელი გაქსნან; თუ ცხლად იყოს და სისხლი არა სკარბობდეს, მესამესა დღესა უნდა გაქსნა კელსა.

5 სურდო თუ სიცხისაგან იყოს, ანუ სიგრილისაგან იყოს, ზურ-
გზედა არა უნდა წოლა. ამისთვის რომე სენი გულშიგა არა ჩაუვი-
დეს. სურდო რომე სიმკურვალისაგან იყოს, სამსა დღესა ნურასა
v სკამს, (და ნუცა ლეინოსა სუამს), ქერისა კო || რკოტისა მეტსა. და
სადამდის სურდოსაგან არა გამოვიდეს, კორციანსა ნურას კამს,
10 და საკმელი მისი ქერისა კორკოტი იყოს, და სხუილ[ი] ცერცუი
ნუშისა ზეთითა და ნესუსისა თესლი სხუილისა ცერცუსისა ფქუი-
ლითა და კიტრისა თესლისა გული ნუშითა; მაშა, — ქერქი გაყრი-
ლი და ასპანახი ნუშისა ზეთითა ანუ კარაქითა. სურდოსა ცხუირისა
დაცემა აწყენს და აშლის. და თუ ცხუირისა დაცემა იყოს, ასეთი
15 წამალი იყოს, რომე უკუაყენოს. სურდო რომე მკურვალე იყოს,
თავი დახურვით შეინახოს. და სიცივისაგან და ცივისა ნიავისაგან
თავი შეინახოს. და რა გინდა რა სწყურდებოდეს. ცივისა წყალსა
ნუ სუამს და ნუცა დია იძინებს, და ნურათა ღონითა დღისით ნუ
დაიძინებს, მეტადრე კამას უკანეს.

20 სურდოსა პირველზედა ბანა უშუელის, თუ სენი სუბუქი და
თხელი იყოს (თუ სურდო ძნელი იყოს, ბანა აწყენს). სურდოსა
მოხარშავს, უკანით აბანო უშუელის, ამაღ რომე მოხარშულსა
სენსა აღრე დაადნობს და გამოიყვანს. და თუ გასაქსნელი შარბათი
მოუნდეს, გასაქსნელი შეაწყვე, იისა შარბათი და უნაბი და სიბის-
25 ტანი, სათმის ძირი, ხათმის თესლი, ხიარისა შამბარისა გული, შირ-
ხიმტი. თუითოსაგან — ხუთ-ხუთი მეტყალი. ამა ყოვლისაგან შარ-
ბათი შეაწყვე და შეასუი.

სურდოსა ცხუირისა ცემასა უკუაყენოს. მისი წამალი
ე ს ე. — აყარყარა, ყურფა, ჰაზუზი იაქი, მასტაქი, სუმბული, უდი
პინდი, ამბარი, თუითოსაგან — სწორ-სწორი. ყუალა დანაყე და
30 გაცარ, და ათისა მეტყლისა ვაშლისა შარბათშიგან გაურივე. ამის-
256 r-გან თუითო სუმა შუილ-შუიდი || დრამი შეასონ დილასა და სალა-
მისა. ესე ზაქარია შვილისა მამამადისგან მოგო-
ნილი არის.

სურდო თუ ყელშიგან ჩამოვიდეს, დარღარა აქნევი-
35 ნოს ოსპისა დ ბროწეულისა წყლითა. თუ ამან
არა უშუელოს და უფრო ძალიანი მოუნდეს, ხაშხაშისა ქერქი და
თესლი ოსპისა წუენითა მოხარშე და იმითა დარღარა აქნევი-
დეს. დარღარა სხუა ფერი: აბულასისა თესლი ნახევარზედა დანაყილი.
წითელი ვარდი, გულანარი, ხაშხაშისა ქერქი და ცოტა კმელი ქინძი
40 ვარდისა წყალშიგან აღულონ და აციონ, და იმითა დარღარა აქნე-
ვინონ.

თუ ღარღარამა არა უშუელოს, ესე შარბათი შე-
 სოს. — აიღე ხაშხაშისა თესლი ნახევარი ლიტრა, ოთხსა ლიტ-
 რასა წყალშიგან დაალბე, ერთსა დღესა და ღამესა ამყოფე, გამო-
 წურე და ნახევარზედა დანაყე. იმავე წყლითა მოადღე, სადამდინ
 ნახევარზედა მოიყაროს. მერმე კელითა მოზილე და გამოსწურე, 5
 და ერთსა ლიტრასა შაქარშიგან გაურივე, მანდამდისი ადღე, რო-
 მელ გასქელდეს. თუითოსა სმასა ათ-ათი ღრამი უნდა. და თუ ნედ-
 ლი და ახალი ხაშხაში იშოებოდეს, ესე თავი ხაშხაში შუიღსა
 ლიტრასა წყალშიგა დაალბე ერთსა დღესა და ღამესა, და მერმე
 ადღე, ასრე რომე სამი წილი და ნახევარი წავიდეს. მერმე აიღე 10
 და კელითა დაზილე და გამოსწურე. და მერმე ნახევარ[ი] ლიტრა
 შაქარი და ნახევარი ლიტრა მათფხოთაჯი, რომე ბადაგი ჰქუიან,
 ესიცა (!) გაურივე, მანდამდის მოადღე, რომე გასქელდეს. ამის-
 გან: შუიდ-შუიდი ღრამა შარბათი ქერისა წუენითა. და ზოგთა
 აქიმთა, ერთი ღრამი ქაფური, ერთი ღრამი ზაფრანი, და ერთი
 ღრამი მრავისა თესლი, ერთი || ღრამი გულანარი და ერთი ღრამი
 ფარფარას წუენი ამა შარბათშიგან გაურიონ. 15

სურდო, რომე ხიმკურვალისაგან იყოს და ერთობ აცხელებდეს,
 დილასა და საღამოსა ამა შარბათისაგან ასმევდეს. და თუ მუდამად-
 ცა სუმიდეს, არგებს. და ძილის პირსა ამა შარბათისაგან ღარღარაცა 20
 აქნევიან, და შარაბი ზუფაცა არგებდეს (ზუფას შარაბი ისი არის,
 რომე შარაბებისა რიგშიგან მოვა). და იაცა არგებს შაქრითა გაზი-
 დულიყოს. რა ხაშხაშისა შარაბმან სურდო მოხარშოს, ხაშხაშისა
 შარაბსა ნულარა [ა]სუამ, ზუფასა შარაბი ასუი თბილითა წყლითა.

და თუ ცხუირი შეიკრევდეს და თავშიგან მძიმედ და გაქედით 25
 იყოს, ბაფლი, რომე წამალია, ძმრითა დაასოვლონ და
 ცეცხლშიგან ჩააგდონ, და თავი ზედა ამყოფონ, რომე ამისი სული
 პირსა და ცხუირსა შეეღინოს. თეთრი სანდალი, დამწუარი სუქი
 და წისქვილისა ქვა, ნახევარზედა დანაყილი, ესე გააცხელონ,
 სანდალი და სუქი გაცხელებულსა ძმარშიგა გაურიონ და თავი 30
 დახურონ. და ზედა დაიკირონ, რომე ორთქლი ვერასათ გაუეიდო-
 დეს. ანაყუეთი გააქურდონ და ძმარშიგა ჩაყარონ, ასრე რომე იორ-
 თქლონ. წითელი ვარდი და წითელი შაქარი, და მურთისა ფურ-
 ცელი და ძირტკბილასა ფურცელი, ესენი ძმარშიგან გამოადღლონ
 და იორთქლონ. ბაბუნაჯი. ია და დანაყილი ქერი და ხაშხაში 35
 წყლითა მოადღლონ და იორთქლონ. და ამითა დაიბანონ და ცხელ-
 ცხელი თავზედაცა დაისხან. იმას რომე სურდო და ნაზლა მუდამად
 სკირდეს. ჰ[ა]ბიყუყუა ჩაანთქმევიანოს...¹ 257 r

|| ...ერთი გასახსნელი, რომე იმა ქირისაგან
 გამოიყვანოს. 40

ამაი აბისა წამლები. — აიღე საბრი, თურბუთი, რუბი,

სუსხი, თუითოსაგან — სწორ-სწორი, დანაყე და გაცარ, და ციესა წყალშიგან შეზილნე, და მგურგული აბები შეჰქმენ. თუითო ჩან-თქმა — ორ-ორი დრამი, ღამით წოლისა ეამსა ჩაანთქმევირო.

- სურდო რომე სიგრილისაგან იუოს, ფეტუი გააცხელონ და მჩუარისაგან გამოკრან და ცხელ-ცხელად კეფასა შემოსდვან მან-ღამდის, რომე სიცხე სასასა ჩაუვიდეს. ლუინისაგან და საქმელისაგან იფარეზოს, და თუ ერთობ მომშვიდეს, ცოტა საქმელი მომქურვლო აჰამონ, და ცოტა-გაცხელებული ლუინოცა ასუნა, რა გინდა რა მოსწყურდეს, წყალსა ნუ სუამს. და თუ მლაშე ეჰამოს და მასზედა მოსწყურდეს, ნუც მაშინ სუამს წყალსა. და თუ ერთობ მოსწყურდეს. ცოტა თბილი ლუინო სუას. ძილისაგანცა იფართილოს, ასრე რომე ნუ დაიძინოს ერთსა დღე-ღამესა, და ერგოს. ესე გასახსნელი ჰ[ა]ბი ცა შესუნა. ჰ[ა]ბის წამლები: — აიღე საბრი, მასტაქ[ი]: საბრი — ერთი დრამასა წონი, მასტაქი — ნახევარ დანგი, რუბისუსი — ორი დანგი და ნახევარი, კამას თესლი — ორი დანგი, შაქარი — ორი დანგი, მუყლი — ერთი დანგი; მუყლი ნიახურისა წყლითა გალესონ. ესე წამლები დანაყონ, გაცრან და ამა გალესულსა მუყლშიგან გაჰრიონ, და წურილი ჰ[ა]ბები ქნან. ესე ყულაი ერთი ჩასანთქმელი არის ძილის დროსა. მას უკან ცოტა წისქვილის ქვა გააქურონ, და ესე გაქურვებული ქვა ცოტა მწარე ლუინოშიგან || ჩააგდონ და იორთქლონ.

- სხუა წამალი ამა სურდოსა. — აიღე ბაზინი, აქილაღმელიქი, მარზანგუში, ამა სამთაგან სწორ-სწორი წყ[ა]ლშიგან მოადღუე. ამა მოადღუელისა წყლისაგან ცხელ-ცხელი თევზედა დაასხან და კიდუცა იორთქლოს. სხუა სონიჯიცა ძმარშიგან ჩადვას ერთსა დღე-ღამესა, მერმე ძმრისაგან გამოიღონ და ნახევარზედა დანაყონ, მჩუარშიგან გამოჰკრან და მუდამად ისუნებდენ, ამად რომე მისი სუნება ცხუირისა ძარღუებსა გაქსნის და ანისონიცა ისუნონ, სხუა უდიცა ისუნონ და ყუსტიცა, და თეთრი საკმელიცა (ცეცხლზედა დადვას და მისგანცა ისუნოს). და სონიჯიცა ცეცხლშიგან ჩააგდონ და ისუნონ, კამისა თესლი კმელი, ლელუი, ჩამიჩი, იისა ძირი, ესენი დანაყენ და თაფლითა აჰამენ.

- თუ ამა წამლებითა არა ემუელოს, ესე ზაუფისა შარაბი შეასუი. ამა ზუთისა (!) შარაბისა წამლები. — აიღე კმელი თეთრი ლელუი თხუთმეტი მარცუალი, ჩამიჩი, კურკა გამოლებული, — ოცი მარცუალი, ნიახურისა თესლი, კამისა თესლი, ია კმელი, ფარისა ოშანი კმელი, ზუუფა, თუითოსაგან — ხუთ-ხუთი დრამი, იისა ძირი — ათი დრამი. ესე ყუელა წყლითა მოხარშე, როგორცა მართებს, რომე კარგად ძალი გამოსცეს; გამოსწურე ყოველსა დილასა მას ათი დრამი. ამას შიგა ორი მუტყალი მაჭუნი ზუფისა გალესე და შეჰრიე. სხუანი აქიმნი ამა ზუფისა შარაბსა

შიგან სამსა ღრამსა მრგულსა ზ[ა]რევეანდსა და ხუთ ღრამსა ფარ-
შიონსა უმატებდეს.

|| ზუფისა მაჭუნი ესე არის. — აილე ქმელი 258 r.
ზუფა, რუბი სუსი. ფარისაოშანი, თუითოსაგან — ათ-ათი ღრამი,
ყურდუმანი. პილპილი, თუითოსაგან — სამ-სამი ღრამი, მწარისა 5
ნუშისა გული მრგული, ზარევეანდი, ანჯარისა თესლი (კინჭარასა
ჰქუიან), თუითოსაგან — ხუთ-ხუთი ღრამი. ყუელა დანაყე და
გაცარ, და თაფლითა მაჭუნი შექენ, როგორცა მაჭუნსა მართებს.

იისა შარაბი. — ია რომე თაფლშიგა გაზრდილიყოს, ესე
თაფლშიგა გაზრდილი ია იისა შარაბთა შიგა გარიყე, და გალესე 10
ორივე თბილითა წყლითა და შეასუი. მულასარიცა არგებს ამა სურ-
დოსა. თუ ქელ-ფერკი და გულისპირი და ტერფი და ყელი ამა
მქურვალთა ზუფებითა! [...] მუდამად ზელა უშუელის, ბაბუნე-
ჩისა ზეთი, ანუ მარზანგუმისა ზეთი, ანუ სადაფისა ზეთი, ანუ აბილ-
ყარისა ზეთი; კიპსა და საჯდომელსა ამა ზეთებითა ზელონ და თავი 15
საპონითა და მურდითა დაიბანონ, უშუელის.

სხუა. — სელი მოკალული და დანაყილი თაფლშიგა გაურძონ,
და ვითა თავი დაბანონ, ძარღუები ცხუირისა გაუქსნან და სურდო-
სა უშუელონ. სხუა. — აილე წითელი ბორა ხუთი ღრამი, მარი-
ლი — ერთი უკია; ორივე დანაყენ და მჩუარშიგა გამოკრა, მჩუარი 20
ტლახშიგა ჩადევ თიქისასა: სქელი ტლახი შექნა და მერმე ესე
გამოკრული მჩუარი მასშიგან ჩადევ, და ცეცხლშიგან ჩასდვა, სა-
დამდის ტლახი კარგან გაკმებოდეს. მერმე ცეცხლისაგან გამოი-
ღონ და მჩუარშიგა გამოკრული წამლები დანაყონ, და ლეინოსა
შიგან გაურიონ. და იმა ლეინითა || დაბანოს თავი. თუ მხურვალი v 25
ტლებიცა მოუნდეს. აილე მდოგუი ქმელი, ლელუი, მიწლორული
პიტნა, ფავსა რომე ჰქუიან (ძრ[ი]ელი წამალი არის). ამა ოთხისა
წამლისაგან სწორ-სწორი აილე. დანაყე, ტლედ ქენ ცივითა წყლი-
თა და თავზედა ჩამოსდევ. მისი საჰქმელი: ანაყუეთისა წუ-
ენი სელისა ზეთითა შექნას და შეჰკამოს. მისგან მუხუდოსა ფქუი- 30
ლითაცა და თაფლითაცა გაურიონ და ჰკამონ. სხუა საჰქმელი
ი. — ნიშანსტაკი გააღნონ წყლითა და შიგა ტრედის კუნდი და
ჩიტი დააღნონ; რომე გაღნეს და ხურჩიტონ.

კურთხეულ არს ღმერთი, გათავდა³.

|| თუ ცხუირშიგა ბოზიჩი გამოუვიდეს, მისი ნიშანი ესე არის, 259r 35
რომე ცხუირისა ნესტუი შეეკრას, შიგნით კორცივითა გამოუვა,
ქავილსა დაუწყებს და წვასა, ხან წავა და ხან გამოვა; ნახე, —
წითელია თუ თეთრი. თუ წითელი იყოს, პირველად ყიფალი გაუ-
ხსენ, სითცა ისი იყოს. მერმე ესე წამალი ქენ — აილე ეან-
გარა ორი ღრამი, ფიკუისა გომიზი — ხუთი ღრამი, დანაყე და 40
გაცარ. მერმე აილე ბერძული ზეთი და ცუილი — თორმეტ-თორ-

მეტი ღრამი, ერთმანერთშიგან აადულე და გარდმოილე. რომე ცოტად გაცივდეს; დანაყილი და გაცრილი წამლები შიგან გაურიე. ძუელისა ბამბისა პატრუკები შექენ, შემწენ იმა წამლებითა და შეუდევე ყოველთა ღამეთა.

5 ს ხ უ ა მ ი ს თ უ ი ს ვ ე . — ა ი ლ ე ჭ ა ნ გ ა რ ა დ ა ნ ა ყ ი ლ ი წ მ ი -
დად ერთი ღრამი, გზისა ხე, რომე გრაკი ჰქვიან, — ორი ღრამი,
ყოველთა დღეთა თაფლითა გარცხიდი იმა წამლებსა; მერმე თაფ-
ლითა მალამავითა შეზილე და ისიცა ბამბითა ცხურიშიგა შეუდევე.
10 რა გინდა ჭავილსა მოუმატებდეს, და ცხურიი ღუნიითა (თუ მაქარი
იყოს იმითა- დაბანოს და იმისთანა წამალივე შესცხოს ცხურიჩიგა,
რომე კორცი იყოს, იმა წამალმან მოსკამოს. აილე სპანდი ნახევარ
ღრამი, დანაყე რბილად. ღუნიოშიგა გაურიე; ისიცა ცხურიშიგა
შეუდევე.

15 თუ სურდო სისხლისაგან იყოს, მისი ნიშანი ის არის, რომე
ცხურიდალმა ცივი წყალი სდიოდეს და თუალები გაუწითლდეს.
ესეცა იქნების, რომე მეტითა სიწითლითა იის ფერად დასცემდეს
და ცხურიჩიგა უბნობდეს. მისი წ ა მ ა ლ ი . — პირველად ქელი
▼ გაიხსნას, ყიფალი; და აბანოს შევიდეს, რომე თ[ავი] || გაათბოს,
თავი ზედა წაიშვიროს და კარგად დაიბუროს, რომე ორთქლი თაგ-
20 სა და პირშიგა შეუვიდეს. და ყოვლისა მკევისაგან იფარეზოს.
მერმე ესე წ ა მ ლ ე ბ ი მ ო ა დ უ დ ე : მოილე ოცი ღრამი
სონიჯი, ათი ღრამი სეფისტონი, ჩამიჩი ხუარასნული, გურკა გამო-
ლებული, ოცი ღრამი კმელი ია, ასლისუსი, თუითოსაგან — ოთხ-
ოთხი ღრამი, თეთრი ლელუი — ათი ღრამი, ესე ყუალა სამსა ლიტ-
25 რასა წყალშიგა მოადულე. სადამდი ას სამოცდაათსა ღრამსა წყალ-
ზედა მოიყრებოდეს, მერმე შუიდი ღრამი ხიარი-შამბრისა გული,—
ათი ღრამი თარანგუბინი ერთსა სუმასა იმა მოდულეებულსა წყალ-
შიგა გაურიე, ვალესე, გამოწურე და შეასუი. თუ ამა სურდოსა
უფალი კაცი ვაჟი იყოს, ან კოტოში მოიკიდოს და ან ყურნი იცრ-
30 ნეს. საკმელად ქერისა კორკოტი შეუწყევით, სინჯიტი, სეფისტონი
და ლელუი შიგან გამოადულეთ, შაქარი გაურიეთ და აჭამეთ.

15 თუ სურდო სევდისაგან იყოს, მისი ნიშანი, — თუალები გამო-
უმრეს. ორივე თავისა შაყიყა ასტიკოდეს, თავის ტკივილშიგა უძი-
ლობაცა შეექნას, და ცხურიისა წანადენი ცეცხლივითა ცხელი
35 იყოს. ყოვლისა მკევისაგან იფარეზოს და მულამად ბანა და კარ-
გისა სუნება უნდა. მუცელიცა გაუხსნან აბი აშაიყონითა, და საჭ-
მ ე ლ ი : ' ქერის წუენი შეასუან, შაქარი გაურიონ. წყლის მაგიე-
რად გაზმანისა წუენი შეასუან შაქრითა. ამა საკმელშიგა, რომე
ქერის წუენი გუიოქომს, ს-ნჯიტი. ხაშხაში, ია და ვარდი მოადუ-
40 ლონ და აჭამონ. ანუ აბანოსა წყალზედა ანუ თბილსა წყალზედა
თავი დაიჭიროს?.

||...და ქაბრის ძირისა ქერქი დანაყოს, მოადულოს და ილარა- 260 r
რებდეს².

თუ ისი ენოსა სისუსტე სიკმისაგან იყოს, რძესა და იისა ზეთსა
პირშიგა იმდგუნებდეს და გამოასხემდეს, და დედაკაცისა რძესა 5
თავზედა მოაწუელინებდეს. ისიცა კარგია.

თუ პირშიგა მალაზა ჩამოუწევს (იგია რომე კორცმეტივითა
ენასა გამოუვა), და იკირე: შაბიამანო ოთხი დანგი, გულნარი
ათი დანგი, ქაფური და ნიშადური — თუითო დანგი. ესე ყულა
ერთპირად დანაყე და გაცარ. ენა რკინისა მილითა მოფხიკოს და 10
ზედა დააყაროს.

თუ სიმკურვალისაგან სიგრილე უფრო იყოს,
და იკირე: ერთი მწუანე გუნდა და წმიდად დანაყე, და ერთი
დანგი დანაყილი ნიშადური შიგა გაურიე, წყლითა სუმაყი და
გულნარი მოადულე, ისი გუნდა და ნიშადური შიგა გაქენ და პირ- 15
შიგა იმდგუნებდეს. ყოვლისა პირისა ტკივილისათვის თუთუბა და
ძმარი კარგია.

თუ ბაგე გაუსქდეს, ამასცა ბოასირი ჰქუიან, — ლელფარისყ
და იისა ზეთითა კიპსა და საჯდომსა იზელდეს, და ხიერი ბადრანგი
(ამას ჰქუიან რომე კატარი რაჟამ მოსწყუიტოს, იმასჲ ხუთიჲ 20
გამოვა) იგი ზედა დაიცხოს. დაიჭირე გუნდა დანაყილი და ნიშას-
ტაგი, უმარული და ქასირა, ესე ერთმანერთისა სწორად ერთად
დანაყე. ქათმისა ქონი, ვარდის ზეთი და წმიდა ცხილი ყუელად
ერბოთა მალამად ქენ, დახილე და ზედა დასდე. კუერცხისა ქერ-
ქსა რომე სხუა თხელი კიდევე ჰკრავს, იგი ზედა დაიკრას და 25
ყოველსა დამესა ჯულაბსა სმიდეს ბაზრაყატუნითა. და მიწი საკ-
მელი ქლაკები მოხარშული და თორხოლო კუერცხი იყოს და
ქერქისა წყალი ასპანახითა.

მისთუ ისევე. — აიღე ღორისა ფირტუი, ანუ სხუისა v
პირუტყუისა, და ხახუისა ქერქი, ორივე დაწუი, დანაყე, ქათმისა
ქონითა შეზილე და განეთქილსა ბაგეზედა შესცხებდი. 30

სხუა, რომე ბაგე და კბილისა ძირი გასქდეს, მისთუის კელი
გაიხსნას და კისერსა კოტოში მოიკიდოს, და ოსპი და სუმაყი პირ-
შიგა დაიჭიროს. მოცხარი დანაყილი ძმრითა მოადულოს, იმას
ილარდარებდეს და დაასხმიდეს. თუ ესე სენი ერთობ ძნე- 35
ლი იყოს, ერთი ნიშადურისა ყურსი ძმრითა გალესონ და ძმრითა
დაიჭირვიდეს, რომე სისხლი დაწმდეს, და პირსა გულაბითა დაი-
ბანდეს, და ვარდის ზეთი ტლედ ქნას და მტკივანსა დაიდვას, რომე
სრულად დაწმდეს. მერმე ოსპი, წითელი ვარდი და მოცხარი მო-
ადულოს და პირსა იმდგუმოს, მერმე დაასხას. მისი საკმელი: 40

24. ფანაკერტელი-ციციშვილი

ან ისრითა, ან ბროწეულითა, ან სუმაყითა, ან რაცა ამას ჰგვანდეს, ისი ჰკამოს. და რაცა ტკბილი საკმელი იყოს, ანუ რძისა, ყულა ფარეზოს.

- თუ კაცსა პირშიგა სენი შეექნას და პირი უყროდეს, — რაცა
5 ტკბილი საკმელი იყოს და ნიორისაგანცა იფარეზოს. თუ ტკბილი რამე ჰკამოს, ჯულაბითა პირი დაიბანოს. თუ ნიორი ჰკამოს, კბილისა ძირი ან თაფლითა და ან შაქრითა დაიბანოს, და პირსა ნიადაგ ძმრითა და გულაბითა გამოირცხიდეს და ჩხირითა გამოიკრკნიდეს, და მუსუნაგითა კბილსა გამოიკაზმიდეს (ზეთისხილისა ხესა ჰქუიან).
10 და ისი წამალი ქენ, რომე კბილები გაათეთროს და სული გამოიღოს. — და იქირე: ზღუის ხუითქი და ჩინურისა ნატეხი შუხარი მარილი და ანდარუნნი, თუითოსაგან — სამი მიტყალი, დამწუარი ქერი და სული დამწუარი, სუმბული და
261 r მოცხარი, აბულას და შაფი || იამანი დამწუარი და ძმრითა დამბა-
15 ლი, თუითოსაგან — ორ-ოლი მიტყალი, აყირყარა — ხუთი მიტყალი, სანდალი ფუფული, თუითოსაგან — ორი მიტყალი. ერთად დანაყოს და ამითა კბილისა ძირსა იზელდეს. ტყემალი მოხარშული და უხარშუი, ატანი და ნესუი უზმამან ჰკამოს და არგებს. ქერის ქერქი ცივითა წყლითა და შაქრითა არგებს, რომე იმითა კბილისა ძირი დაიზილოს, და რაცა საკმელი გახეთქილსა კბილისა ძირისა გუითქუამს, ისივე ამას შეუწყონ.

- სხუა ნიშანი კბილებისა, რაცა კაცსა ტკივილი დაემართების. — რაჟამ კაცსა კბილისა ტკივილი დაემართოს, ნახე ღრძილები. თუ წითლად იყოს და უსივდეს, სიმჭურვალისა ნიშანი არის. პირველად კელი გაუხსენ და კოტომიცა მოჰკიდე, და ვარდის ზეთი და ძმარი ორივე პირშიგა იმდგუმოს ზედა-ზედა, და ლუინისაგან იფარეზოს. საკმელი ძმრითა ჰკამოს და მოხარშული ოსპი აჰკამოს. თუ ამან არ უშუელოს, აიღე ქაფური, აფიონი და ქარქუეტის ძირი, თუითოსაგან — დანჯე, წმიდად დანაყე, ვარდის ზეთითა შეზილე, თითითა
30 ღრძილზედა დასდე და უშუელოს.

თუ სიგრილისაგან სტკიოდეს, ამა წესითა შეიტყობის. ცივი¹ წყალი პირშიგა ჩაიყენოს, თუ აწყინოს, იცოდი, სიგრილისაგან არის თუ არ აწყინოს, სიმჭურვალისაგან არის.

- თუ სიგრილისაგან იყოს, ესე წამალი ქენ. —
35 აიღე ქრიქნისა ძირი, ქარქუეტის ძირი და ქონდარი, თუითოსაგან — თუითო ღრამი, და პილპილი — ორი დანჯე, ყულა დანაყე და თაფლითა შეზილე, კურქელშიგა ჩადევი; რა მოგინდეს, აიღე, თითითა დასდე იმა ადგილსა, სადა სტკიოდეს, და ეშუელოს.

- Y ამავე სენისა. — აიღე პილპილი || ათი ღრამი, ქარქუეტის ძირი, ჩამიჩი და ზანჯაფილი, თუითოსაგან — ოთხი ღრამი, ბორაკი — ექუსი ღრამი, დანაყე და გაცარ წმიდად. თუ სიგრილი-

საგან იყოს, ღრძილზედა მოაყარე და უშუელის. გალიანოზს უბრძანებია, კბილი თუ შეკმული იყოს, ზანჯაფილი რომე დასდვა, უშუელის, მაგრა ზანჯაფილსა შენელება უნდა ძმრითა. ზანჯაფილი კბილზედა დასდვას და ძმარი ზედა-ზედა პირშიგა დაიჭიროს.

თუ კბილი ეძრვოდეს და ამოდება უნდოდეს, კარის-ძირა დანაყე, გალესე და კბილზედა დასდე, და ქაქურჯელად გამოიღოს. 5

სხვა წამალი, რომე ღრძილსა უშუელის, თუ წამკლარი და შეკმული იყოს და კბილებიცა დაამაგროს. — აიღე ბროწეულის გული და მისი ყუავილი, გუნდა ყუითელი, და საყუმეველი, თუითოსაგან — ათი ღრამი, წიდა — თხუთმეტი ღრამი ინდოური მარილი — ხუთი ღრამი; ერთად შეყარე, დანაყე და გაცარ. რა მოგინდეს, კბილებსა და ღრძილზედა მოაყარე და უშუელის. 10

სხუა წამალი, რომე ღრძილი და კბილები დაამაგროს. — აიღე მარილი და დანაყე, და მისი წონა თაფლი ერთმანერთსა გაურიე, შეზილე და აბი შექენ, და სამოსელშიგა გამოჰკარ და ცეცხლშიგა ჩადევ, რომე დაიწუას, და ისი მრგვლები გაერთდეს. მერმე ამოიღე ამისგან ერთი ღრამი დამწუარი მარილი, წყალი — ათი ღრამი, და ტენცო დამწუარი — ათი ღრამი, ალილა — ათი ღრამი, ბროწეულისა თაფი, ვარდი და ზეთისხილი, თუითოსაგან — ხუთი ღრამი, ყუალა წმიდად დანაყე და გაცარ, ერთმანერთშიგა გაურიე და პირი იმითა გამოირცხას. და ღრძილი შეაზელინე, და კუირამიგა თუითოსჭერ თაფლითა პირი გამოირცხას და უშუელის. 15

|| სხუა წამალი კბილისა, რომე მალასისაგან სტკიოდეს და იძვროდეს, მჭამელი შევიდეს და მძოვარი იყოს. — აიღე შავი ფისი და დინდგელი, და ზარიკი, წითელი ოსპი, წითელი ბორაკი, ყუავის-ყუდა და ქამატრიოსი, ყუალა დანაყე და გაცარ. აიღე ერთი კოვზი ბერძული ზეთი და ერთი კოვზი თაფლი. ესე წამლები გაურიე, კბილზედა შემოსდე და უშუელის. 20

სხუა წამალი, რომე კბილები ყუალა სწორად სტკიოდეს. — მოკალუელი ქერი ძმრითა დაალბე, მერმე ამოიღე ქერი და დაწუი, მერმე გალესე და კბილი და ღრძილები შეუმწენ და უშუელის. 25

სხუა წამალი კბილისა, რომე ჰეა შეექნას. — აიღე შავის თხის ბალანი, სპანდი და ქონი, დანაყე ერთად, გრძელი ქვა გაათბე და ესე წამლები ზედა დააკუმე, პირი ზედა დააჭირვინე, მატლი ჩამოყაროს და უშუელოს. 30

ნიშანი საყუმეველისა, გამოიღებს ჰეასა ღრძილთაგან, გამოცდილია ნებითა ღრძისათა. — აიღე ასურულისა პრასისა თესლი წონი ორისა ღრამისა, და გაჰყო სამ ნაწილად; და თუითო ნაწილი ჩასდვა საცეცხურთა შიგა ცეცხლსა ზედა, და გარდააქუა ზედა ძმარი. და პირი ზედა მიუპყრა, რომელ კუამლითა აღივსოს პირი 40

შიგან. ჰქმნა ესე მრავალჯერ და ჰია ყოველი გამოვა ღრძილთაგან
ბრძანებითა[ა] ღ'თისათა.

ს ხ უ ა წ ა მ ა ლ ი, თუ ჰიისაგან კურელი იყოს. — ან თრიაყი
დიდი და ან თრიაყი არაბი შიგან შეიღვას და ერგების ნებითა
ღ'თისათა.

თუ კაცსა კბილნი ეძრვოდენ და ღრძილნი
სტკიოდენ, ესე წამალი მასცა უშუელის.

სხუა წამალი, რომე კბილისა ტკივილისაგან პირი გაუსივდეს. —
ა ი ლ ე იფნის ძირი და დანაყე კარგად, მარილი და ბერძული ზეთი
ერთმანერთშიგა გაურიე, პატრუქი ქენ და იმა წამლებითა ყურშიგა
შეუღვე, ტკივილსა ო და მალასსა უშუელის.

ამავე სენისა. — ა ი ლ ე მდოგუი და თაფლი, და სამი
გუნდა ცოტა ენდრო, და არჯასპი, ცოტა წიწმბი, ქონდარი და
ბორაკი, ყულა დანაყე და გაურიე, და კარგითა ძმრითა აადულე,
და ნელ-თბილად პირშიგა დააჰირვინე, და რაცა პირშიგა სენი
იყოს, უშუელოს და გაამრთელოს.

ს ხ უ ა წ ა მ ა ლ ი კბილისა, რომე იძვროდეს. — ა ი ლ ე ტუხ-
ტისა ძირი, ველური ტენცო და კარის-ძირა, ყულა ძმრითა აადულე
და პირშიგა დააჰირვინე.

სხუა წამალი კბილისა, რომე იძვროდეს და ღრძილები დას-
ცუთეს. ამისი ნიზეზი ბევრისა სისხლისა და მალასისაგან იქნების;
მართებს, რომე ენისა ძირსა სისხლი გამოუშუას. მ ე რ მ ე - ა ი ლ ე;
ცოტა თეთრი ერბო და მური და წიდა, ერთად თითითა ზედა დას-
დებდი და უშუელის.

ამავე სენისა. — ა ი ლ ე ბროწეულისა ქერქი, გაუხურე-
ტელი გუნდა, დანაყე და გაურიე, ზედა მოაყარე და ერგების.

სხუა წამალი კბილისა, რომე იძვროდეს და ჭანგი ეკიდებო-
დეს. — ა ი ლ ე: ტენცო და ლუინითა კარგად აადულე. ისი ლუინო
პირშიგა დაიჰიროს და ერგოს.

მისთუისე. — ა ი ლ ე: მური, რკინის წიდა და არჯასპი
და მარილი, დანაყე ერთად, ცოტა ფქულილი მოაყარე პირსა და
ღრძილზედა, და პირისაგან სისხლი გამოიღე. პირი ვირისა რძითა
დაჰბანე, ანუ ძმრითა, ანუ გუნდა და ბროწეულისა ყუავილი
აადულე და იმითა პირი დაიბანოს!

სხუა წამალი, რომე პირშიგა მძოვარი იყოს. — ა ი ლ ე მწუანე
გუნდა, მარილი, მურდასანგი და კირი, ტუხტის ძირი, პილპილი და
კულიაკი, ქარვა და ლილა, ბროწეულისა გული და ბორაკი; ყულა
სწორი დანაყე და ერთმანერთშიგა გაურიე თაფლითა და ძმრითა.

პირშიგა დაიჰიროს ესე წამალი[ი]; ო კბილი რომე ეძვროდეს, გაამაგ-
როს, და ღრძილი რომე შექმული იყოს, უშუელოს.

სხუა წამალი, რომე კბილშიგა მჭამელი იყოს. — ა ი ლ ე ალი-

ლა ერთი და ნახევარი, გუნდი—ერთი და ნახევარი; დანაყე და ერთმანერთშიგან გაურიე, შეზილე, პირშიგა დაიჭიროს და უშუე-ლის.

ამავე სენისა. — აიღე ქერის ფქული და ორი წილი მარილი, და ერთი, წილი თაფლი, ყუალა ლუწითა გაადგინე და შუიღსა დღესა მზესა დადგი. მერმე სამოსელშიგა წაახუიე და ცეცხლშიგა დაჰფალ საღამოდ, და რა გათენდეს, გამოიღე და წურილად დანაყე, და იმითა პირი და ღრძილი შემწენ. წყნარად და ეშუელოს.

სხუა წამალი კბილისა, ზოგჯერ ზტვიოდეს და ზოგჯერ არა. — აიღე ტუხტისა ძირი და ძმრითა აადღე, მერმე ისი ძმარი მიეც პირშიგა რომე დაიჭიროს, და ერგოს ბრძანებითქა ლთისათა.

სხუა წამალი კბილის ტკივილისა გამოდ-დილი. თუ სიგრილისაგან სტკიოდეს, აიღე აყირყარა, შამი ანდალი და გულნარი, ნახევარზედა დანაყე, ძმრითა მოადღე და პირშიგა დაიყენებდი, ერთობ კარგია და უშუელის.

თუ სიმკურვალისაგან სტკიოდეს, აყირყარა დანაყოს, გაცრას და ცოტა ქაფური გაურიოს, მასტაქითა დაზილოს და სადაცა სტკიოდეს, ზედა დაიდვას.

სხუა კბილისა ტკივილისათუის. — ბროწეულისა ქერქი და ვაშლის ქერქი¹ გარდის წყლითა მოადღოს და კბილთა იცხებდეს.

სხუა კბილისა ტკივილისათუის. — ფოხურის ძირი ძმრითა მოადღე და პირშიგა ჩაიყენებდეს.

კბილისათუისვე. — კაპრისა ძირი მოადღე და გუნდა მოგალე, მის ოდენი მარილი გაურიე და პირშიგა ჩაიყენებდეს, კბილისა ტკივილსა უშუელის და ქიასა მოჰკლავს.

ვის კბილნი ეძრვოდენ და დაცე || უივნასა ულამოდენ, ანუ მალლიდაღმა ჩამოვარდნილიყოს, ანუ დაცემულიყოს და დაეკრინენ. — უკურეტელი მარგალიტი დანაყე და ზედა მოაყარე, აყირყარა დანაყე და იგი გაურიე; შამი ანდალი ძმრითა მოადღე და პირშიგა იმდღემებდეს, ერთობ კარგი არის.

თუ ღრძილნი ქარისაგან სტკიოდენ, დიდი თრიაყი და ან აფლონია ზედა დაიდვას ღრძილთა ტლედ, და კბილისა ტკივილსაცა უშუელის, თუ სიგრილისაგან სტკიოდენ.

თუ ღრძილნი უკუებუენენ, კბილნი სტკიოდენ და სისხლი სდიოდეს ნიადაგ. — აიღე კარამფულისა გურკა, აყირყარა და გუნდა მწუანე, ბაბასა და ქაბაბა, და ბროწეულისა ქერქისა ყელი, ამათგანი — სწორი წონი. დანაყენე ყოველნი და დასტრენე, და ყურძნისა რუბითა შეზილო, მარტულად დაჰქმნა და გააქმო. და ოდეს გიქმდეს, ჩაიდვა მისგანი პირსა შიგა თუითო მარტული ერთი მეო-

რისა შედეგად. და პირსა, რა ლერწო მოექცეოდეს, წანერწყვიდეს ჟამითი-ჟამად. ესე არგებს ტკივილსა საოხნეთასა და გამოიღებს სინოტიესა პირისაგან, და დაქაიმებს სულსა პირისასა და ერგების კბილთა შეძრულთა ბრძანებითა ღთისათა.

- 5 ნიშანი რომე კაცსა ყბანი დაღმა სცუიოდენ. მისი ნიშანი ესე არის, რომე პირისა ტყავი გაეკიმოს, ასრე რომე ერთი თუალი ვერა დაიქუხოს და სული სუსტად ამოსდიოდეს. რა ესე ნიშანი ნახო, იცოდი, ყბათა დაღმა ცუივნა იმას ჰქუიან. წ ა მ ა ლ ი ე ს ე ქ ე ნ, გამოცდილია და მშუელელი: პირველად აბულმათინი მიეც, რომე 10 ფელინჯისა სწერია, მერმე ღარღარა აქნევინე მდოგუითა და სიქან-ჭაბინითა, და ერთი ჯავახი ბუა პირშიგა დააპირვინე მუღამ და 264 რ. II ადაგ პირი ამა ზეთითა შემწუნ, რომე დაეწერთ:

- ა ი ლ ე: კოსტი, თაქუის კუერცხი, თუითოსაგან — ხუთი ღრამი, ფარფიონი — ერთი ღრამი, ყულა დაწყე და ღუინოშიგან 15 დაალბე ერთ ჟამამდე, მერმე აილე ბერძული ზეთი — ორმოცდაათი ღრამი და ამა ღუინოშიგან ჩაასხი. მერმე ცეცხლზედა აადულე ნელად მუნამდი, ვირე ღუინო დაშრეს და ზეთი დარჩეს. და იმა ზეთითა პირი და ყელი შეუმწუნ ყოველთა ღღეთა.

ივ. კარი [მეთაქვსმებტე]

- 20 ნიშანი ყოვლისა ფარისა ყელის ტივილისა და კაკისა და ხუნაყისა და ყელიდაღმა რომე სისხლი ამოსდიოდეს

- თუ კაცსა ყელის ტივილი დაემართოს, პირველად წმიდა ი ა კ ო ბ მოიკსენე, მერმე იცოდი, რომე ესე სენი ორფერი არის: ერთი ისი, რომე კაჯა გაუსივდეს და ყელი დაუჭიროს (ხუნაყი 25 იმას ჰქუიან; ესე ერთობ ავი სენი არის); მეორე ეს არის, რომე სასა ჩამოუწვების ანუ მარჯუნით ანუ მარცხენით ანუ ორგნითვე. და ხუნაყისა და სასისა წამალი ორისავე ერთი უნდა. რა ესე ნიშანი ნახო, ფიცხლა კელი გაუხსენ და რასთომცა შეეძლოს, სისხლი ადინე.
- 30 ესე სენი ორისაგან იქნებოის: ერთი სისხლისაგან და მეორე ზაფრისაგან. თუ ყელი და ენა გაუსივდეს, სიმსივნეზედა კელი დასდვა, იძროდეს და ერთობ წითელი იყოს, იცოდი, რომე სისხლისაგან არის. ამას ფიცხლა კელი და ენის ძირი გაუხსენ და სისხლი ადინე, რასთენცა შეეძლოს.
- 35 თუ ზაფრისაგან იყოს, მისი ნიშანი ესე არის, რომე ფერზედა ყუითლად იყოს, კელი რომე დასდვა, მეტად ცხელი იყოს, და მაჯა V || ჩქარად უცემდეს. აგრევე, თუ ცხუირშიგა ჩაუვიდეს, გაუსივდეს და წითელი იყოს, ისიცა სისხლისა ნიშანი არის და ამასცა კელისა გახსნა უნდა.

წამალი ხუნაყისა, თუ ზაფრისაგან იყოს, — სირიხიშტითა ან მკავეისა და ან ტკბილისა ბროწეულისა წყლითა, ან ქასინისა წყლითა ხიარი-შამბარი ჩააღწონ და ამისგან სუას, რომე მუცელი გაწმიდოს.

აწ ღარღარა ქნას ამა წამლებითა. — აიღე: მური 5
წმიდა ორი მიტყალი, ზაფრანი — ერთი მიტყალი. ესე ორივე ტუხტის წუენითა ჩააღწონ და იგი იღარღაროს, და ხიარი-შამბარი ახლითა რძითა და ბორა ტუხტისა შარბათითა ჩააღწონ და ისიცა იღარღაროს. ლელუი და ულბო, ორივე მოღუღებული, და ამა წყლითა ხიარი-შამბარი გაქნილი იღარღაროს, და ზროხისა ერბოთა 10
და ლუინითა მოღუღებული ქალამისა წყალი იღარღაროს. მისი საკმელი ქერის წყალი იყოს და ან ანაკუეთისა წყლითა საკმელი შეუწყონ.

სხუა ხუნაყისა წამალი. — ქარბა დანაყონ და ხუნისი, ავშანი, გილი არმანი, ტინი, მახუმი და სამყი, ყულა- 15
თანწონი ქნან; ფაფრა დანაყონ და მისითა წუენითა იღარღარებდეს და ასხმიდეს გაუწყუედლად. და თუ სუსტად არ იყოს, ყიფალიცა გაუხსნას, ამისთვის რომე სისხლისა დაქარბებისაგან დაე-მართების.

თუ ამითა არ უშუელოს, ტლე შეიწყოს. 20
ტლისა წამალი: ბაჰმანისუხა, ტაბაშირი, ქაფური, კმელი ვარდი და უმარული, თუითოსაგან ორ-ოლი მიტყალი დანაყონ, ყულა ვარდისა წუენითა და ქინძისა წუენითა შეზილონ და შემოსდვან.

სხუა წამალი ხუნაყისა და ყელის ტკივი- 25
ლისა. — თუ პირისა და || თუალისა ფერი წითელი იყოს, პირ- 265 r.
ველსა დღესა ერთი-მკარი გაუხსენ და შეორესა სხუა, და სისხლი ადინე, რაზომცა შეეძლოს. მერმე აიღე ხარტუტის შარბათი

და თუთებისა და ბროწეულის წყალი გაურიე და ღარღარა აქნე- 30
ვინე სამსა დღესა. თუ არ დაუცხრეს, მერმე ამა წამლითა გუნება გაურბილე. აიღე უნაბი ოცდათერთმეტი მარცუალი, თაბირინ-დი — ოცი დრამი, კმელი ვარდი — ორი დრამი, ყულა ქუბაშიგა

ჩადევ, ორი ლიტრა წყალი ზედა დაასხი, ცეცხლზედა ადულე მუ- 35
ნამდი, ვირე ასი დრამი დარჩეს, და მერმე გაწურე. აიღე: ხიარი-შამბარი, გურკა გამოღებული, — შუიდი დრამი, თარანგუბინი —

ოცი დრამი, ესე წამლები იმა წყალშიგა გაურიე, დაალბე და გა- 35
მოწურე, და ნელ-თბილი შეასუი. რა ოთხი დღე გამოვიდეს, ესე წამალი შექენ: აიღე: კმელი წითელი ვარდი ოთხი დრა- 40
მი, მატუტაგი — ოთხი დრამი, კმელი ქინძი — სამი დრამი, ქოთან-შიგა ჩადევ, ზედა ორი ლიტრა წყალი დაასხი და მუნამდე ადულე, ვირე ნახევარი დარჩეს. მერმე აიღე, რომე დაწმდეს, და ღარღარა

ქნას დილეულ და საღამოდ ხუთ დღემდი. კორცისა და ლუინისაგან
ფარეზოს, და საკმელი მისი — ოსპი ანუ კაქუნტელისა ფურცე-
ლი ნუშისა ზეთითა და ხილისაგან აქამე ვაშლი,
ტკბილი ბროწეული ნუშისა ზეთითა შეზავებული; საზამთროს
5 წყალსა შაქარი გაურიე, მიეც და უშუელის ნებითა ღ'თისათა.

თუ ამა წამლებმან არ უშუელოს, ყელი ერთობ სტკიოდეს და
მაგარი იყოს, ფერკისა კოქისა ძარღუი გაუხსენ, სითყეცა ყელი
სტკიოდეს, იქით; და სისხლი გამოუშუი ასი ღრამი ანუ ნახევარ
7 ლიტრა. || ანუ კოტოში მოჰკიდე, ანუ მქარშიგა გამოუშუი იზომი,
10 რომე ზემო სწერა. მერმე ესე წამალი შეჰკაზმე
აიღე: ძმარი ნახევარ ლიტრა, ხარტუტი — მარცული ორმოც-
დათერთმეტი, ვარდი — სამი ღრამი, დანაყილი ქინძი და მოკალუ-
ლი ქერი, თუითოსაგან — თუითო ბლუჭი, ჭურჭელშიგა ჩადევ, ორი
ლიტრა წყალი დაასხი, მუნამდი ადღდე, ვირე ნახევარი დარჩეს.
15 მერმე გაწურე და ზედა-ზედა ღარღარა ქნას.

მერმე ესე წამალი ქენ, რომე მუცელი გაარბო-
ლოს. — აიღე: უნაბი ოცდაათი მარცული, კმელი ქლიავი —
ოცდაათი მარცული, თაბრინდი — ოცი ღრამი, ქინძი დანაყილი —
ერთი ღრამი, ქერი დანაყილი — ხუთი ღრამი, კატრის თესლი —
20 ოთხი ღრამი, ჭურჭელშიგა ჩადევ, ლიტრა-ნახევარი წყალი დაასხი
და მუნამდე ადღდე, ვირე ნახევარი დარჩეს. მერმე გარმოდგი, რო-
მე დაწმდეს, და ოცი ღრამი შაქარი გაურიე და დილეულად აადღ-
დე, ნელ-თბილი შეასუი.

აიღე: ორი ტკბილი ბროწეული და ორი შანარი ბროწეული,
25 ყულა ერთად შეზილე მისითა წუენითა და გაწურე, თხუთმეტ
ღრამი შაქარი გაურიე და ძილისა ეამსა შეასუი, და იმა დღესა
ყოვლისა საკმლისაგან იფარეზოს.

თუ იმა წამლებმან გახსნას, ერთობ კარგია; თუ არ გახსნას,
ესე პატრუკი შექენ: აიღე ბორაკი და მარილი, თუითო-
30 საგან. — ორი ღრამი, ერთმანერთშიგა გაურიე და ადღდე, ვირე
კარგა გასქელდეს. მერმე ამა წამლითა წურილი პატრუკები შექენ
და შეუდევე და უშუელის. მერმე ამა წამლებს თანა ოცი ღრამი
ქერის წყალი შეასუი, და ამა ქერის წყალშიგა გაურიე უნაბი და
ქლიავი, ნეხევარ-ღრამი ნუშის ზეთი, ოცი ღრამი შაქარი და სა-
266r. ღამოდ შეასუი; საკმელი იმა ქერისა || გან აქამეთ ნუშის ზეთითა.

35 თუ მწოდ სტკიოდეს და სხუა წამალი ველარა მოასწრან,
აიღე; რკინის წიდა ათი ღრამი, ძმარი — ორმოცდაათი ღრამი,
წყალი. — ნახევარ უკია, ერთად გაურიე, რომე კარგად დალბეს,
ცეცხლზედა გაქობებ, სამოსლითა გაწურე და ღარღარა ქნას ზედა-
40 ზედა

თუ ხიმჭურვალისაგან იყოს ტკივილი და თუალი და პარი

წითელი არ იყოს, ძარღუსა ნუ გაუხსნი. ა ი ლ ე ე ს ე წ ა მ ლ ე -
ბ ი: თეთრი ლელუი შუიდი მარტული და დაქარ, წითელი ჩამიჩი,
გურკისაგან გამოღებული — თხუთმეტი დრამი. ამაზედა ორი
ლიტრა წყალი დაასხი, ააღულე და გაწურე. მერმე თაფლი ოცი
დრამი და ხიარი-შამბარი თხუთმეტი დრამი ამა წყალშიგა გაურიე 5
და კარგად შეზილე; წმიდად გაწურე და ლარღარა ქნას. თუ ამან
არ უშუელოს, ე ს ე გ ა ს ა ხ ს ნ ე ლ ი წ ა მ ა ლ ი მ ი ე ც: აილე
საბრი და შამი ანდალო, თუითოსაგან — ნახევარ-დრამი, მასტაქი —
ოთხი დანგი, ოშინდარისა ყუავილი — ნახევარ დრამი, საყამუნია
დანაყილი — ორი დანგი, ყულა დანაყე და გაცარ და ცივითა 10
წყლითა ერთად შეზილე, აბი შექენ და გააქმე; საღამოდ თბილითა
წყლითა მიეც და უშუელის.

თუ ყელი გაუსივდეს და საკმელსა ველარა ჩაუშუებდეს,
აილე თბილი წყალი და პეტნა, თარას თესლი და შამი — ორ-ორი
დრამი, ყულა დანაყე, თაფლის წყალშიგა, გაურიე, სამაქერ შეასუი 15
და უშუელის.

თუ ყელი გაუსივდეს და თუ რამე ჩანთქას, ეტკივნოს, იგი
ავი სენია; კელი გაუხსენ და ცოტა სისხლი აღინე. მ ო ი ლ ე კ ა რ -
გ ი ძ მ ა რ ი, ვარდი ოსპი და ქინძი, თუითოსაგან — ხუთი დრამი,
და ამა ძმარშიგა ჩადევ და აღულე. მერმე ძმრითა და || რღარა 15
ქნას. კორცისა და ლუინისაგან იფარეზოს.

თუ კაცსა კმა მწოდ ჩავარდეს, კაკა ეწვოდეს და საკმელსა
ვერ ჰამდეს და ნერწყუსა წუეთ-წუეთი სისხლი ამოჰყვებოდეს,
იცოდი, რომე წყლისა სუმაშიგა წურბელი ჩაჰყოლია და ყელშიგა
მოჰკიდებია, სხუა სენი არ იქნების. მისი წამალი ე ს ე
ქ ე ნ: დააწვინე კაცი პირალმა, პირი აულრინე და ოქრომქედელ- 25
სა რომე წურილი და გრძელი მარწუხი აქუს, ისი ჩაუყავ და ამა
წურბელსა მოჰკიდე, და კარგად მოუქირე, რომე იმა წურბელსა
ეტკივნოს, და თავის მაგიერად გაუშუას და მოსწყედეს. მერმე წყნა-
რად და ქერკიანად ამოიყვანე, ასრე რომე არ მოჰკლა, და თუ 30
მოჰკლავ, მანკი რამე დარჩების. თუ ვერა ნახო და ვერცა მარწუხი
მიახუედრო, ა ი ლ ე ხ ა რ დ ა ლ ი, დანაყე და ძმრითა გაადგინე
და იმითა ლარღარა აქნევინე. ცოტა ნიშადურიცა დანაყე, წყლითა
გალესე და ყელზედა შესცხე. თუ არ ამოვიდეს, მ ო ი ლ ე ა ლ თ ი -
ს ა, ძმრითა გალესე და იმითა ლარღარა აქნევინე. მ ე რ მ ე მ ო ი ლ ე 35
ხახუისა და კაპრისა წუენი და ცოტა მარილი და ძმარი გაურიე,
იმითაცა ლარღარა აქნევინე. თუ არცა ამით იქნას, ცოტა სონიჯი

და მლოგუი დანაყე, ერთმანერთშიგა გაურიე, წყლითა გალესე
და შეასუი. თუ არცა ამით იქნას, აბანოშიგა აბანე, ასე რომე ყე-
ლამდი ჩაჭდეს დიდხანს. მერმე პირშიგა ცივი წყალი დაიგუბოს
და წურბელი გამოვიდეს. თუ გამოსულასა უკანის სისხლი არ 40

- დასწყდეს და კიდევ სდიოდეს, ამა წამლებითა ღარღარა აქნევიან: მოიღე ტბილისა და მკავეისა ბროწეულისა ქერქი, 267 F. გულნარი და სუმაყი, ოთხივე დანაყე, ძმარში || გაურიე, იმითაცა ღარღარა აქნევიან, თუ იმან არ უშუელოს, და იქირე 5 ბაზრაცატუნისა ლობი, და კმელი ია დანაყონ და ამა ლობიშიგა გაურიონ, ცოტა ქალის დედისა რძე გაურიონ და იმითა გულისპირი დაუზილოს. თუ იმან არ უშუელოს, აყიროს თესლისა ზეთი და იისა. ზეთი ერთმანერთშიგან გავურიეთ, და ცხელი ჭულაბიცა გაურიეთ და შეასუით. თუ ამა სენისა უფალი მუცელშიგა 10 შეკრავთ იყოს, მოიღე ქასანის წუნენი ათი ღრამი, შირიხიშტი — ათი ღრამი, ხიარი-შამბრისა გული, ერთმანერთშიგან გაურიეთ, ქასანის წუნენითა გამოწურეთ და შეასუით. თუ იმითა არ გაიხსნას, ესე ოყნა უყავ: აიღე იის ძირი, თეთრი ლელუი, სინიჯი, სეფისტონი, თუითოსაგან. — ოცი ღრამი, კმელი ხატმი — ხუთი 15 ღრამი, იის ზეთი — ოცდაათი ღრამი, ხიარი-შამბრისა გული — ათი ღრამი. ესე ყუალა დანაყე და გაცარ, ისი ზეთი შიგან გაურიეთ, და ოყნა უყავ უქანასა კარსა. თუ იმან არ უშუელოს, მოიღე კმელი ლელუი, სხუილი ცერკუი დანაყილი, ორითა თასითა წყლითა ორივე მოადულე, რომე ნახევარ მოიყაროს, გამოწურე და შეასუი.
- სხუა წამალი ამა სენისათუის. — აიღე ძირა ქირმანული, ნიშადური და ქაფური, სამივე დანაყე, ძმარსა და ვარდის წყალშიგა გაურიე დე ღარღარა აქნევიან.
- სხუა ნიშანი და წამალნი მისნი, თუ ყელიდაღმა სისხლი ამოს- 25 დიოდეს. — ესე კარგად გასინჯე, სასით ჩამოდის და თუ ყელიდაღმა ამოდის. თუ სასით სდიოდეს სისხლი, ისფერი იქნების, და თუ ყელიდაღმა და სხუათა ასოთაგან ამოსდიოდეს, ისი წითელი V და წმიდა იქნების. თუ პირშიგა სლოკინ || ითა ანუ დუქსთანა სისხლი ამოვიდოდეს, კაცი ფრთხილად შეინახე და წამალი 30 ესე. უყავ: — პირველად ღარღარა აქნევიან იმითა, რომე კაცისა ტკივილისა სწერია. თუ ზედასა სასასა და დუქსა სდიოდეს, იგი ავი არის. საკმლისაგან ფარეზად შეინახე. და თუ სლოკინითა ამოვიდოდეს, იგი სკობს; და ნუ გეშინიან, და წამალი ესე 35 ქენ. — პირველად ძარღუი გაუხსენ და მერმე აიღე ძმათა სისხლი, თეთრი, საკუმელი, ბროწეულის ყუავილი და ხაშხაში, სამყი არაბი, შმაგი, წითელი თიხა, თუითოსაგან სამი ღრამი, შავი ხაშხაში — ორი ღრამი; დანაყე და გაცარ, და რა მოგინდეს, მიეც სამი ღრამი. ზედა ბიისა სასუმელი შეასუი ცივითა წყლითა ათი ღრამი, და საკმელი ისრითა და ალტორითა, და მუზაფარი უკორცოდ 40 აქამე და უშუელის.

თუ სისხლი კუეღითა ამოვიდოდეს, ესე გონჯი სენია და ავბ. 5
 წამალი ესე ქენ. — აიღე რევანდი სინი და აფიონი —
 თუითო დრამი ბროწეულისა ყუავილი — ერთი დრამი და ნახე-
 ვარი, შავი ლელუი — ოთხი დანგი, ბერძული თიხა და სადაჯი
 პინდი — ხუთ-ხუთი დრამი, ქარაბა — სამი დრამი, ძმათა სისხლი
 და თეთრი საკუმელი — ნახევარ-ნახევარ დრამი, დანაყე და გაცარ,
 ქათირის წყლითა შეზილე, კუერები შექენ და ჩრდილსა გააკმე.
 რა მოგინდეს, მიეც ცივითა წყლითა სამი დრამი, და საკმელი
 ფუშრუკი მიეც ნუშისა ზეთითა.

თუ პირსა სისხლი წავარდებოდეს და ლუიძლთაგან სჭირდეს, — 10
 აქალი ს ა ძ ა რ ლ უ ი გ ა უ ხ ს ე ნ ; გულიდაღმა სდიოდეს და
 შეიტყოს — ბასალიყისა ძარლუი გაუხსნას და სისხლი ცოტა-
 ცოტა გამოუშუას, და დიდსა და მალასა საუბარსა ნუ იუბნებს,
 დედაკაცსა თანა წოლა აწყენს. ტკბილი საკმელი რაცა || იყოს და 268 r.
 ძველი ყუელი, ლუინო, ხურმა, ნიორი და ნიახური, ყულა იფარე- 15
 ზოს. თუ მეტად წყურვილი სჭირდეს, მისი საკმელი
 მელი ანუ კოწახურითა ანუ მოცხარითა და ანუ ისრიმითა იყოს,
 ანუ მკავანასა ფურცლითა, ან ვაზის ფურცლითა, ან მრავალძარ-
 ლუასა ფურცლითა, ან ყურფის ფურცლითა. მისი საკმელი ამითა
 იყოს, რომე შიგა ბატენისა კლიკი მოეხარშოს. თუ ცივება 20
 არა სჭირდეს, მოდუღებული რძე და ან უმარილო ყველი
 და დოღბაჯი ზროხისა, და ან რომე შიგა კლიკი მოეხარშოს, ამას
 აქმევდენ, და რაცა შექამადი ქათმისა იყოს და ქოაქი ბაღდადური
 შიგა ერიოს. რასაცა კაცსა ესე სენი სჭირდეს და სუსტად იყოს,
 თორხოლო კუერცხისა გული და ღურაჯისა და კაქბისა კორცი და 25
 სხუა ამისი მგზავსი კორცი საკმელად შეუწყონ, და დილა-დილათა
 ყურფას ფურცელისა წყალი და მრავალძარლუასა წყალი სუას,
 და ყურსი, ქარაფი და გილი მახთუმ ერთი ან ორი მიტყალი მის-
 ცენ, სისხლსა დასწყუეტს. თუ ცხელება მწოედ სჭირ-
 დეს, კიბორჩხალი ქერისა წყლითა მოდუღებული დილა-დილათა 30
 სუას და ახლითა აყიროთა წყალი ან ძაღლის-ყურძენას წყალი, ან
 გულაბისა წყლითა, რომელიცა კიქა ყოფილიყოს, იგი იმა კიქა-
 შიგა ჩაასხას და სუას. მისი საკმელი: აყირო, ასპანახი და
 ქერის წყალი იყოს, ნუშის გულითა შექნილი; დანაყილი უნაბი,
 ოსპი, ბია, ქერის წყლითა მოდუღებული, ერგების. და ქერის 35
 წუენსა გარეთი რაშიგანცა ესე წამლები ჩაყარონ, იგიცა კარგია.
 და თუ წყალსა სმიდეს, შიგა სამყე არაბი და თახბაშირი
 და გილი არმანი ჩაყარონ, ღამე გაარორინონ და დილ || ეულად v
 სუას ფურცელი მრავალძარლუასი, ხათმისა და ქერისა ფქუილი,
 დანაყილი და გაცრილი. ესე წამალი გულაბითა დაასოვლონ და 40
 ტლედ გულზედა დასდევს და ერზების ღ'თისათა.

ნიშანი : კუაღისა და ზიუი ნაფასისა, და კმა რომე წაუვი-
დეს, მისი, და სილისა და წაუბრისა

- თუ სიმკურვლისაგან იყოს და ფირტუის ტკივილიცა შიგა
- 5 გარეოდეს, მისი ნიშანი ესე იყოს. — წყურვილი ერთობ სკირდეს და პირი გაუწითლდეს და ქშინვიდეს. იცოდი, რომე ნაფასი ამას ჰქუიან. მას საკამე[ა]დი ასრე შეუწყონ, — ქერისა კორკოტი მოადუღონ და აკამონ ნუშის ზეთითა და თუ ძალი ქონდეს, მუცელი გაუხსნან და იის შარბათითა სინჯიტი და
- 10 სიფისტონი, შირიხიშტი, ხიარი-შამბრის გული, თარანგუბინი ზედა მოუმ[ა]ტონ და შეასუან. და საკამელი — მუხუდოს წუენი შეასუან სხელითა ცერცუითა და ნუშის ზეთიცა გაურონ. და მუღმად ია შაქრითა დაიჭირონ პირშიგა და საზელი შექნან ქათმისა და ბატის ქონითა და ზროხის ტუინითა, და იის ზეთიცა
- 15 გაურონ და ქალისა დედისა რძეცა გაურონ, და გული და გულის-პირი დაუზილონ. თუ ძალი არა ქონდეს, ქერის წუენი
- 269 r. შეასუან, სიფისტო || ნი და სინჯიტი შიგან მოადუღონ, და მერმე ცხელი ჭულაბი შიგან გაურონ და შეასუან.
- თუ ესე კუელა სურდოსა თანა იყოს, ესე წამელი შეასუ-
- 20 სუას, და ყოვლისა ფერისა მე[ა]ვისაგან იფარეზოს. მუღამ ცხელსა ჭულაბსაცა სმიდეს და საკამელი თალგმისა საქ[ა]მადი შეწყონ, და სტ[ა]ფილოცა შიგა გაურონ. სხელისა ცერცუისა წუენიცა შიგან გაურონ და ხანე[ა]მეი[ა]დ თხისა რძისა საქ[ა]მ[ა]დსაცა შეუწყობდენ.
- 25 და თუ ეჭუელდეს და ბალამსა ამოიღებდეს, და იჭირე მწ[ა]რისა ვაშლის წუენი და შიგა მ[ა]რილი გაურიე, და მით ლარლარა აქნეინე, რომე სტომეჰისა თავი ბალამისაგან გამოწმოდოს.
- თუ მუღმად გაუწყუელდ[ა]დ ეჭუელდეს,
- 30 და იჭირე ჩამიჩი და თეთრი საკმელი, წყ[ა]ლშიგა მოადუღე და გამოწურე, და ცოტა ნუშის ზეთი გაურიე და შეასუი ცხელი.
- თუ აჭუელდოს და ცოტა სისხლი ამოიღოს, და იჭირე ბამბისა გურკის გული — ხუთი დრამი, ძირა — ერთი დრამი, ორივე დან[ა]ყე და ნესუსის თესლისაგან სახურეტელი
- v ფუშრუკი შეაქნეინე. ესე ერთმ[ა]ნ || ერჩიგან გაურიე და შეასუი.
- 35 თუ კამელი ეჭუელდეს, ცოტა ქერი და ქერის ოდენი ქაფური ცხვირჩიგან ჩაუშუი.
- 30 ანუ ქაშქის წყლითა, და უზმენ ზოგნი კაცი შეიკა ზაფრანსა სურნელებისათუის და არს კარგი, დასუამს ტკივილ[ს]ა, და ზოგნი არა ურთვენ არცა ანისონსა და არცა ათხირსა.

საღისა მოკლედ კაუთისათუის

- 35 ს ი ქ ა ნ გ უ ბ ი ნ ი, რ ო მ ე ლ ი ქ ნ ე ბ ი ს ი ს კ ი ლ ი თ ა, სარგო სტომაქისა ტკივილისათუის და სულისა მოკლედ დებისათუ-ის, და გუერდთა ტკივილისათუის, რომელნი ვერ მოიღწობენ სა-ქამადსა, და ბოყინისა მუ[ა]ვისათუის და ლუიძლისა და ტყირბისა

ტყვილისათვის. — აიღეს: ხახუი ისკილისა || ორი ლიტრა, და ზან- 318 r
 ჯაბილი, და კამის თესლი და ნიახურისა, მთისა ანისონი და აყირ-
 კარა, ზოფა, კმელი პიტნა და ქუშტი, და ასარიონი, ამათგანნი —
 თუითო უკია, პილპილი და ნიახურის თესლი და ძირა —
 თუითო უკია და დოკო და ნანახუა, და ქაშუმი და სუმბული, 5
 თუითო — ნახევარ უკია და ტეგანა ნედლი და კორდამონია, თუი-
 თო — ოთხის დრ[აქმის წონა, და პიტნა ბოსტნეული — კელი ერთი,
 ძმარი დიდი მე[აქვე — ექუსი ყუსტი, და თ[აფლი — ორი ყუსტი,
 და მახხუთაჯი — ყუსტი ერთი. დან[აყენ ერთად და ჩაყარენ ძმარ-
 სა შიგა, და გაუშუი სამ დღე, და მერმე შეგბოლენ, რათა ნ[აქხევრ[ა]დ 10
 მოიყაროს. და მერმე და[აქსი ზედა იგი მათუთხაჯი და შეგბოლე,
 რომე და[აქლდეს ნახევარი მათუთხაჯსა. და მერმე აილე და დაწუ-
 რე წამლისგან, და გაუშუი, რომე კარგად გაგრილდეს. და მერმე
 და[აქსი] ზედა თაფლი, და შეუგზენ ქუეშე ცეცხლი და აღუდე, 15
 რომე შეიქმნეს ვითა თაფლი თხელი, და ჩა[აქსი კარაბთა შიგა.
 შესასმელი მისგანი: კოვზი ერთი გრილითა წყლითა.

ხმურვალისაჲს

შექმნა სიქანგუბინისა, რომელი და[აქლბობს მუცელ-
 სა და ერგების ცხროსა მურვალსა და წურვილსა და ტყვილსა 20
 სტომაქსისა. — აიღე: სატკურისა ძირი და ფარასიაჲმანი, და
 კამის ძირი და [ზ]ოფა კმელი, თუითო — ოთხი ლიტრა, აფთიმონი
 და ნიახურის ძირი; თუითო — ორი ლიტრა, პიტნა წყლისა — ცხრა
 უკია, ღარიყონი და ისკილი, თუითო — ორი ლიტრა, ძმ[აქრი და
 თაფლი — ხუთი ყუსტი. დანაყენ გროშად და შეგბოლენ ძმრითა, v
 რათა ნახევრად მოიყაროს. მერმე დაწურე წამალთ[აქგან. ოდეს 25
 გაგრილდეს, და[აქსი მას ძმარსა ზედა თაფლი და შეგბოლე. რათა
 შეიქმნას ვითა თ[აფლი თხელი. მერმე აილე ცეცხლისაგან; და აილე
 საყამუნია ოთხი უკია, და ფარბიონი — რვისა დრამისა წონა, და-
 გალენ, დაცუენ მას სიქანგუბინსა ზედა და ურიე, რათა შეიხ[აქოს. 30
 შესასმელი: კოვზი ერთი.

მისთუისაჲ

შექმნა ჯულაბისა, სარგო ცხროსათვის და წურვილისა,
 და წუა, რომელი იყოს სტომაქსა შიგა. — აიღე: ფურცელი ვარ-
 დისა ორი ლიტრა და ჩადეე ქუევერსა მწუანესა წმიდასა, და[აქს- 35
 ხი ზედა წუიმისა წყალი აღუღებული ანუ წყაროთა — ათი ყუსტი
 და შეკარ პირი მის ჭურჭლისა კარგად და გაუშუი ერთსა დღესა და
 ერთსა ღამეს, და მერმე დაწურე იგი ვარდი კარგად. და გამო-

წურვილი ფურცელი იგი აფრინე, და დაქასხი მას წყალსა ზედა ორი კუსტი თქაფლი და შეგბოლე, რათა ნ[ა]ხევერად მოიყაროს. მერმე ჩ[ა]სხი კარაბსა და და[დ]გი მზესა ორმოცსა დღესა. შესასმელი მის- განი: კოვზი ერთი გრილთა წყლითა. ანუ ქაშქის წყლითა.

5 ბისთუისკე

შექმნა გულანგუბინისა, სარგო. — აიღე: წყალი ვარდისა ნედლისა, გამოწურვილი, ხუთი უმკია, და ლუ[ი]ნო ძუელი, ამო, სულნელი, — სამი უკია, და ნიახურის თესლი და ძირა ქირამანი. ამათგანი თუითო — ორი დრამის წონი, ზაფრ[ა]ნი და სუმბული, 10 აქლიმალქი ამათგ[ა]ნი თუ[ი]თო — ექუსის დრ[ა]მის წონა, და სა- დაჭი და ქალია, თუ[ი]თო-თუ[ი]თო — ხუთი დრ[ა]მის წონი, და ირსა 319 r და შაქარი; თ || უითო — თორმეტი დრამის წონა, და ვარდი კმე- ლი — იზ დრ[ა]მის წონა, და ქარუა — ოთხი დრამის წონი, დანა- ყენ და დაგალენ კარგად, და ჩადევ კარაბსა შიგა და ჩ[ა]მოკიდე 15 მზესა ორმოცსა დღესა, შეხაროს ყოველთა დღეთა და ურიოს. და იგულე ექუს[ს]ა თუესა, და შესასმელი მისგ[ა]ნ: ორი დრამის წონა.

გულანგუბინი სხუა სადა[ა] გი. — აიღე ვარდი კმე- ლი ხუთი ლიტრა, და თაფლი გამოწურვილი, პერულ-მოკდილი — ათი ლიტრა, დანაყე ვარდი და ჩა[ა]გდე თქაფლსა, და ჩ[ა]სხი ჭურ- 20 ქელსა ჭიქისასა ანუ კოქასა მწუანესა, დადგი მზესა ორმოცსა დღე- სსა, და შეხ[ა]რე და ურიე ყოველთა დღეთა ერთხელ. და მერმე იგუ- ლე შესასმელი მისგ[ა]ნი, — ნიგუზისა ოდენი ქაშქის წყლითა.

შექმნა ყურძნისა რუბისა უნდილისა თაფლითა! ცხროსათუის და წყურვილისა, მუცლისა კსნილობისათუის — აიღე: ყურძენი 25 მე[ა]ვე უნდილი თხუთმეტი ყუსტი, მის[ს]ა წყალშიგ[ა]ნ და შეგბო- ლე, რომე ნ[ა]ხევერად მოიყაროს, და ჩა[ა]სხი შიგა თაფლი, და შე- უგზენ ქუეშე ლბილი ცეცხლი და შეგბოლე, რომე სამად ყუსტად მოიყაროს. მაშინ ცეცხლთაგ[ა]ნ აიღე ყაყუილა და ზაფრ[ა]ნი, თუი- თო — ორის დრ[ა]მის წონა, დაგალენ და დაცუენ ზედა, და ურიე, 30 რათა შეიზაოს. შესასმელი მისგ[ა]ნი: კოვზი ერთი კარგი.

ბისთუისკე

შექმნა სხუისა რუბისა ყურძნისა უმდილი- სსა. — აიღე: ყურძნისა უმდილისა წყალი. რაზომი გინდა, და შე- 35 v უგზენ ქუეშე ცეცხლი, რომე ნახევერად მოი || ყაროს. მერმე და- წურე და გა[ა]გრილე, და ადულე კულავე, და დაწურე მეორედ. და აიღე მისგან ხუთი ლიტრა და ლიტრა ერთი პერულ-მოკდილი თაფლი, და შეგბოლე ერთგ[ა]ნ, რომე შეიქმნას ვითა თაფლი თხელი,

და ჩა[ა]სხი კარაბასა, დადგი მზესა ორმოც დღე. შესასმელი მისგან: კოვზი ერთი გრილითა წყლითა, და იქმნების მისგა[ან] ერთი ფერი უთაფლოდ.

შექმნა ბეისა რუბისა, სარგო ცხროსათუის და წყურვილისა და მუცლისა კსნილობისათუის. — აიღე: გამოწურვილი ბეისა კარგისა ოცი მინდორა და შეგბოლე, რომე ნახევრ[ა]დ მოიყაროს. და მერმე გაუშუი და გაისუენოს, და მეორესა დღესა დაწურე. და აიღე ძმარი და თაფლი, პერულ-მოკდილი, — თუითო მინდორა, და შეუგზენ ქუეშე ცეცხლი და შეგბოლე, რათა შეიქმნას ვითა თაფლი თხელი, და შესასმელი მისგა[ან]: კოვზი ერთი გრილითა წყლითა. და იქმნების უთაფლოდცა. 5 10

შექმნა ასისა რუბისა, სარგო სტომაქისა უსუსურობისათუის, მუცლისა კსნილობისათუის და თხევსათუის, და ტკივილთა ძნელთათუის. — აიღე: გამოწურვილი ასისა თესლისა² ოცი მინდორა, და მერმე შეგბოლე, რომე ნახევრ[ა]დ მოიყაროს. და ოდეს გაგრილდეს, მაშინ გამოწურე, და და[ა]სხი ზედა მინდორა ერთი თაფლი, და შეუგზენ ქუეშე ცეცხლი და დაგბოლე, რომე შეიქმნას ვითა თხე[ლი] თაფლი. || შესასმელი მისგან: კოვ- 320 r ზი ერთი გრილითა წყლითა. და იქმნების უთაფლოდცა.

შექმნა რუბისა ვაშლ[ი]სა. — აიღე ვაშლი მქ[ა]ვე, რაზომი გინდა, დანაყე და გამოწურე, და შ[ე]გბოლე მისითა წყლითა ქოთანნი, რომე შეიქმნას ვითა თაფლი თხელი. 20

შექმნა მათოხთაჯისა. — აიღე ყურძენი შ[ა]ვი, რაზომი გინდა დანაყე, დაწურე მისი წყალი და შეგბოლე, რომე შეიქმნას ვითა თაფლი. 25

სიგრილისათუის

შექმნა თაფლისა შემგბარისა წყლითა, სარგო ლუიძლისა ტკივილისათუის და მკერდისათუის, და ყოველნი ტკივილნი, რომელნი იქმნებიან სიგრილისაგა[ან]. — აიღე: წყ[ა]ლი წყაროთა თორმეტი მინდორა და შეგბოლე, რომე ნახევრ[ა]დ მოიყაროს. მერმე აიღე მისგან ექუსი მინდორა, და ურთე თანა ორი მინდორა თაფლი და შეგბოლე, რომე შეიქმნას ვითა თაფლი. და ზოგნი კაცნი უზმენ თანა ოთხსა მინდორასა წყალსა და ერთსა მინდორ[ა]სა თაფლსა, და ზოგნი ურთვენ თანა მცირედსა ზაფრანსა, და ზოგნი ურთვენ შაქარსა. 30 35

არუავიასათუის

და ვახსენოთ რომელი აქსენა არონმან მის[ს]ა წიგნსა შიგა. შექმნა ბროწეულისა რუბისა,

რომელი იქმნების პიტნითა, სარგო თხევისათვის და მუცლისა კსნილობისათვის და წვისათვის, რომელი იყოს სტომაქსა შიგა. —

5 აიღე: გამოწურვილი ბროწეული ტკბილი და მე[ა]ვე, დანაყილი მისითა მიჯნითა — ორი ყუსტი, და პიტნა, ნედლი თაფლი¹ პერულ-მოკდილი, ამათგანი — თუითო ყუსტი. ჩა[ა]სხი ქოთანსა შიგა ერთგან და შეუგზუნ ქუეშე || ცეცხლი, რომე შეიქმნას ვითარცა თაფლი გამოწურვილი, და შეასუი მისგან კოვზი ერთი თ[ა]ფლი² გრილითა წყლითა ანუ ქაშქის წყლითა.

10 მისთუნსე

შექმნა რუბისა ბეისა, სარგო სტომ[ა]ქისა უსუსურობისათვის და მუცლისა კსნილობისათვის და წყურვილისათვის. — აიღე: გამოწურვილი ბეისა ორი მინდორა და ერთი თაფლი, და ნ[ა]ხევარ მინდორა ძმარი ლუინისა, შეკრიბენ ქოთანსა შიგან და 15 შეგბოლენ, რომე ნახევრ[ა]დ მოიყაროს. მერმე აიღე ცეცხლის[ა]გქან. და აიღე ორი დრ[ა]მის წონა აელი ბუასა, და ოთხი დრამის წონა ყურფა, და პილპილი და დარაფილფილი, ამათგანი — თუითო ექუსის დრ[ა]მის წონა, და ზანჯაბილი — ათი დრამის წონა, დანაყენ ერთგქან.

სიგრილისა და საზამადისა
პარ მოდნოვისა

შექმნა ხანდიკონისა³, სარგო სტომაქისა სიგრილისათვის და რომელი საჰამადსა ვერ მოადნობდეს, და ბერთათვის, და ცხროსა 25 ოთხისა დლისასა და ლუიძლისა უსუსურობისათვის, და თირკმელთათვის, და უმჯობესი არის ესე ზ[ა]მთრის. — აიღე: ბადაგი კარგი, ამო, სურნელი, — სამი მინდორა, და მინდორა ერთი⁴ თ[ა]ფლი, და ზანჯაბილი — ხუთი დრ[ა]მის წონა, ჰელი და კაყუილა, თუითო — ორი დანგი და ნახევარი, ყარამფული — დანგის წონი, კილამონი — ორისა დანგისა და ნახევრისა წონა, დანაყენ, დაგალენ, და დაცუე 30 შესასმელსა მას ზედა, და ჰურჰელსა წმიდასა შიგა იგულე და იჰმარე, ოდეს გინდეს.

ჴვისათვის

321 r || შექმნა სასმლისა, რომელი იქმნების ვარდითა, სარგო და წვისათვის⁵, რომელი იყოს სტომაქსა შიგა და 35 ცხრო — აიღე თ[ა]ფლი კარგი, პერულ-მოკდილი, ოცი ლიტრა,

და აიღე ვარდი ნედლი დაჯლიმული ოთხი ლიტრა, და შერეე თავ-
ლითა, და დადევ მზესა ორმოც დღე. მერმე იგულე მგზეფს[ს]ა
ერთსა. და მერმე აიღე ბად[ა]გი კარგი მთისა ორმოცი ლიტრა, და
მერმე აიღე მის თ[ა]ფლისაგ[ან] და ვარდისა რვა ლიტრა, და ჩა[ა]სხ
მას ბადაგსა ზედა, და დადევ გრილსა ზედა შუიღსა დღესა, და
ურეე კელითა ყოველთა დღეთა. და ოდეს გასრულდეს შუიღ დღე,
მაშა დაწურე ძონძითა წმ[ი]ლითა და იგულე შესასუმელი მისგან
უკია ერთი.

5

მისთუისვა

შექმნა სასმლისა, რომელი იქმნების თურინ-
ჯითა. — აიღე: ოთხმოცდაათი ფურცელი თურინჯისა და მოს-
წმინდე ძონძითა წმინდითა მიწა იგი, რომელი ზედა იყოს. და მერმე
და[ა]სხი ზედა ბადაგი, ამო სუნლენი(!), ორი კუსტი, და გაუტევე
შუიღ დღე. მერმე დაწურე კარგად და აფრინე ფურცელი იგი. და
აიღე კუსტი ერთი თავლი პერულ-მოკდილი და დაჯლიმე კელი-
თა, ვირემდის გაუთეთრდეს, — მერმე და[ა]სხი მას ბადაგსა ზედა
და ურეე, რომე შეიზაოს. და შეუგზენ ქუეშე ცეცხლი და შეგბო-
ლე, რომე შეიქმნას ვითა თავლი დამდნარი, მერმე აიღე წმიდასა
ქურჭელსა, და შესასუმელი მისგანი: უკია ერთი.

10

15

სასმელი, რომელი იქმნების კომშიშა. —
აიღე: კომში კარგი, მქ[ა]ვე, და გაქურცენ ქერქი მისი გარეთი ||
და შიგანი; დანაყენ და დაწურენ მისი წყალი. და აიღე ათი მინდო-
რა მისგან, და ბად[ა]გი ძუელი, კარგი — ხუთი მინდორა, შერეე
ერთგან, და[ა]სხი მას კომშსა ზედა, რომელ დაგეწუროს და გაუტევე
ერთსა დღესა და ერთსა ღამესა. და მერმე დაწურე კარგად. და მერმე
აიღე მცირედი წყალი, და[ა]სხი მას კომშსა ზედა, დაჯლიმე კე-
ლითა კარგად, დაწურე, და მერმე ჩა[ა]სხი წმიდასა ქოთანსა და აღუ-
ლე, რომე ნ[ა]ხევერ[ა]დ მოიყაროს. მერმე ჩა[ა]სხი, რომე დაჯდეს და
დაწმდეს, და გამოუცვ[ა]ლე სხუა ქურჭელი და ჩა[ა]სხი შიგა, რო-
მელ კულა დაჯდეს და დაწმდეს (ორ დღე ანუ სამ დღე). და მერმე
აიღე თავლი პერულ-მოკდილი, კარგი, — ორი მინდორა და ნახევა-
რი, ჩა[ა]სხი ორივე ქოთანსა. და აიღე ორი ღრ[ა]მის წონა ზანჯაბი-
ლი და ყაყუილა, ალი და კილაპონი. და ამათგანნი თუითო — ოთხის
ღრ[ა]მის წონა, და ყარამფული — ს[ა]ქმი ღრ[ა]მის წონა, დან[ა]ყენ
გროშად და შეკარ ძონძსა სელისასა წმიდასა. და შეკარ ზაფრ[ა]ნი
ოთხის ღრ[ა]მის წონა, და ჩა[ა]გდენ ქოთანსა შიგა და შეუგზენ ქუე-
შე მისა ცეცხლი, და გაუტევე უ[ა]ში ერთ[ი]. და მერმე აიღე ცეცხ-
ლის[ა]გან და და[ა]ღგი, რომელ გაგრილდეს. და მერმე აიღე ორისა
დანგისა წონი მუშვი, და[ა]ღგინე მითვე სასმლითა, ჩა[ა]სხი შიგა კა-

20

v

25

30

35

რაბასა, და იყოს იგი ნაკლული შიგა, და ერგების ბრძანებითა ღთისათა.

5 12 ლუიძლსა და სტომაქსა და წყურვილსა, დი
წუა, რომელი იქმნების სიკმელისაგან. მაშა, ესე
322 რწამლები რომელი დაგუიწერია ტკივილთა მკურვალთათვის, რომელ
მელ იქნებოან სტომაქსა შიგა, და თუ იყო მის თანა ცხრო ანუ
არ იყოს.

აჲა გუაროშნი იწყებიაჲ

10 დავიწყოთ გუაროშნები, — ბრძანებითა ღთისათა, — რომელი ერგებიან ტკივილსა სტომაქსასა, და დამუქვდებიან სპეციალად სტომაქსა შიგა მათგანი გუაროშნი ძირასა არის. ისე გუაროშნი
15 დია სოლიხისისა ერგების ბრძანებითა ღთისათა დიდსა სიგრილესა, რომელი იყოს სტომაქსა შიგა, და ბოყინსა მუქვესა და ძალსა შავსა, და სლოყინსა, რომელი იქმნების
20 სისქავისაგან, წამეტნავისა ბალღმისაგან, და ცხრო ძუელი, რომელი იყოს. — აიღეთ: ძირა და ჩააგდეთ ძმარსა შიგა ერთსა
25 დღესა და დამესა, და ამოიღე და მოტყერვე თხუთმეტი ასთარი, და პილპილი, ზანჯაბილი, და ტეგნის ფურცელი და ბავრუჯი, ამთაგან
30 ანი თუითო — ოცი დრამის წონა, და შეზილე თაფლისა პერულ-მოკდილისა, რომელი შეკშირდეს, ვითა თაფლი, შეასუი სასმელი მისგან ჯულავის ოდენი ნელ-ტფილთა წყლითა ანუ ლუინითა წყალ-გარეულითა. და ურთვენ ზოგნი კაცი თანა ოდენ. იქ
35 მოდიან სალიხასა გამორჩეულსა და კილამონსა, და ყურფასა და ბალასნის ზეთსა, და სუმბულსა და მასტაქსა, ამთაგანი თუითო —
40 ოთხი დრამის წონი, და სჯობს. და ზოგნი კაცი ურთვენ შიგან ძმარსა ექუსსა უკიასა და ტეგნასა — ორსა უკიასა, და ბავრუქსა —
ერთსა უკიასა. დანაყოს და დაგალოს და შეზილოს თაფლითა და ივმაროს, ვითა პირველ. და თქუა ბახტიბო მკურნალ-
30 მან: დააკლოს ბავრუქისაგან ნახევარი.

მისთუიხჲ

v 12 გუაროშნი, რომელი იქმნების სამითა პილ-
პილითა; ერგების მასვე, რომელსა ერგების ძირასა. — აიღეთ:
35 პილპილი თეთრი და შავი დარაპილპილი, ამთაგანი — თუითო
სამი უკია, და ბალასნის ღერი — უკია ხუთი, სუმბული და ქამა-
მა — ოთხ-ოთხი დრამის წონა, ზანჯაბილი და ნიახური, და სასლი-
ოსი და სალიხა გამორჩეული, დარასანი და ასარიონი, ამთაგანი

თუითო — დრ[ა]მის წონი, დან[ა]ყენ და შეზილენ თაფლითა და შეასუი ბალღმიანსა სტომაქისა სიგრილისათუის. სახელ-სდებენ ამას: სამისა პილპილისა გუარიშნი.

სიგრილისათუის

თესლთა, — სარგო სიგრილისათუის — და ქართათუის და ბაღღ- 5
მისათუის, და ქარი, რომელი იყოს ღუიძლსა და ტყვირბსა. — ა ი ლ ე:
სალისა გამორჩეული და ამამა სუმბული, და ნანახუა და კამის თეს-
ლი, მთის ნიახურის თესლი და ზარევე[ა]ნდი გრძელი, და მასტაქი და
ისარიონი, და ცერეცოს თესლი და კულიაივი, ამათგანი თუითო —
ათი დრამის წონი: დან[ა]ყენ და დაგალენ, და შეზილენ თაფლითა. 10
შესასმელი მისგან ი: ორი დრამის წონი თ[ა]ფლ-წყლითა
ანუ ბაღ[ა]კითა წყალგარეულითა. ესე წამალი ერგების სიგრილესა,
რომელი იყოს ტკივილი ღუიძლისა და ჩ[ა]ქმოიღებს ფსელსა.
გუარიშნი კომშისა. — ა ი ლ ე: კომში კარგი და გაქურ-
ცენ გარეთ და შიგნით ოთხი ლიტრა, და გაკუეთე იგი კომში ოთხად 15
პატარად და ჩაყარე ქოთანსა შიგა, და დაქსხი ზედა ბადაგი, ანუ
ძმარი კარგი, ანუ || ძმარი ლუინისა. და ბაღ[ა]კი შემგბარი, ერთგან 323 r
დაგბოლე. და მერმე ამოილე ქოთნისაგან, დანაყე და ჩ[ა]ქგდე ტა-
ფასა შიგა და შეწუი, რომე სინ[ე]დლე მისი ამოაშროს. მერმე აილე
და დაქსხი ზედა თაფლი, და შეუგზენ ცეცხლი და ურეედი კარგად, 20
რომე არა დაეკრას ტაფასა ზედა. და აილე პილპილი და დარაპილ-
პილი, თუითო — ექუსის დრ[ა]მის წონა, და ჰელი — რვა დრამის
წონი, ზანჯაბილი — თორმეტი წონი, და ყაყულა, ყარამფული, თუ-
ითო — ოთხი დრ[ა]მის წონა, კილ[ა]მონი — ორი დრ[ა]მის წონა;
დანაყენ ესე ყუელანი და გაცრენ. და ალილე კომში იგი ცეცხლის- 25
გან და დაცუ[ი]ე ზედა იგი წამლები, შეზილე ამოდ, გაქათხელე
ვითა პური და გ[ა]უტევე ხუთ დღე, და თუნდა გ[ა]უშუი, რომე გა-
შრეს. მერმე გაკუეთე ექუს. პატარად და თუითო პატრი იგი იყოს
ოთხი დრ[ა]მის წონი. შესასმელი მისგან: ჰატრი ერთი და შეასუი
ზედა ლუიწო გარეული საკამადსა უწინათ და უკანისცა. 30

სტომაქისა გახსნისა

გუარიშნი აბალასისა, სარგო მუცლისა კსნილობისათუის და
თხევისათუის, რომელი იქმნების სიგრილის[ა]გან; და სტომაქისა- 35
თუის, რომელი არა მოადნობდეს ხკამადსა. — ა ი ლ ე: აბალასი
და ალილაგი შავი, და ბალილაჯი და ამალაჯი, და ტალი საფარი,
ამათგანი თუითო — ოცი დრ[ა]მის წონი, ყარ[ა]მფული და ყურფა,
და შავრანა, და ალი და აბალ ბალასანი, ამათგანი თუითო — თორ-
28. თანასკერტლი-ციციშვილი.

- მეტი დრ[ა]მის წონი, პილილი და დარაპილილი, ზანჯაბილი. ამათ-
 გ[ა]ნი თუითო — ათი დრ[ა]მის წონა, მასტაქი და კარდამონია, და
 კულიავი და ანისონი, და ძირა ქირმანი და სუმბული, და სალიხა გა-
 5 მორჩეული და ყაყულია ქუშტი, ამათგანი თუითო — ექუსის
 დრ[ა]მის წონი, და ქ[ა]ვჯი ბუა და ნიახურის თესლი, და ნანახუა,
 ამათგანი თუითო — ხუთი დრ[ა]მის წონი. მამისა — თუ[ი]თო წონა;
 დანაყე და გაცარ ცალკე, და აბალასისაგან ჩა[ა]გდე იგი ბადაგსა
 მათეულსა ერთსა დღესა და ერთსა ღ[ა]მესა და, ოდეს გამოილო, და-
 10 ნაყე კარგად და შეროე წამ[ა]ლთა თანა; და დაგ[ა]ლენ, რომე შე-
 [ე]რიენენ და მერმე შეზილენ თაფლითა პერულ-მოკდილითა, რომე
 შეზირდენ, ვითა თაფლი¹ კშირი. და შესასმელი მისგან: თუ[ი]თო
 დრამის წონი.

მისთვისაჲ

- გუაროშნი ბალდურისა, სარგო სტომაქისა სიგრილისათუის, ღუი-
 15 ძლისა და წყლისა ყუითლისათუის, რომელი შე[კ]რფეს სტომაქსა
 და დაქლბობს მუცელსა. — ა ი ღ ე: შიტრაჯი და ზანჯაბილი. და
 პილილი და დარაპილილი, და ნიშასტაქი და ყურფა სულნელი და
 აელი, და ყარამფული და ნარ-მუშკი, და სადაჯი და უშაში კამისა,
 და ყაყულია და შ[ა]სტ[ა]ქი², და სუმბული და სალიხა გამოჩეული,
 20 და ნიახურის თესლი, ქ[ა]მის თესლი და ანისონი, ამათგანი თუი-
 თო — ექუსის დრ[ა]მის წონი, და თაქუის-ყუერი — ორი დრ[ა]მის
 წონი, და აფთიმონი — თუ[ი]თო ექუსის დრ[ა]მის წონი, საყამუნია—
 ათი დრ[ა]მის წონი, თურბუთი — თექუსმეტის დრ[ა]მის წონა, და
 324 ო ფ[ა]ნიდი—სამი ლიტრა, და[ა]დნეე ფანიდი მცირე[ა]დითა ბადაგითა.
 25 და სხუანი წამალნი დანაყენ, დაგალენ და გაცარენ, ერთგან შერიენ.
 და მერმე და[ა]სხ ზედა თაფლი და, რაზომ იზილეზოდინ, შეკშირ-
 დეს. ვითა კშირი თ[ა]ფლი. შესასმელი მისგან: ნიგუზისა ოდენი, ვის-
 თუის გასახსნელად გინდოდეს. და რომელსა სტომაქსა შიგან იყოს
 სიგრილე ანუ ღუიძლისა, მაშა აქამე ყოველთა დღეთა ჯულაჯის
 30 ოდენი ბადაგითა წყალ-გარეულითა ანუ აფსინდის წყლითა. შეგ-
 ბოლე მასტაქითა. და ნიახურის თესლი, ამათგანი თუითო — შუ-
 [ი]დი დრ[ა]მის წონი შეგბოლე და დაწურე მისი წყალი, და შეასუი
 იგი წამალი სიქორავითა ერთითა ამით წყლითა.

განახსნელი

- 35 სხუა გუაროშნი გას[ა]ქსნელივე (გინა დილასა შე[ა]სუა³, გინა სა-
 დამოდ). — ა ი ღ ე: პილილი შ[ა]ვი და დარაპილილი, და ზანჯაფი-
 ლი და ქ[ი]ლი და თურბუთი, და შიტრაჯი და ყურფა, და დარასინი

და საყაშუნია, ამათგანნი თუ[ითო — ოთხი დრ[ა]ში, და ფანილი—
ათი ასთარი: დანაყენ წამალნი და დაგქალენ მის თანა, რომე შეერიე-
ნენ. და და[ასხი ზედა თაფლი, დადგი ცეცხლსა ზედა, რომე დად-
ნეს. და დაცუე ზედა წამლები და ურიე, რომე შეირინენ. და იგუ-
ლე ქუევრსა კიქისასა და იქმ[არე. რა მოგინდეს, ორი დრ[ა]მის 5
წონი წყლითა თფილითა და, თუ გას[ახსნელ]ად გინდოდეს, ოთხი
დრ[ა]მის წონა შეასუი. და თუ იფ[არეზოს, გახსნ[ას] მუცელი
უტკივრ[ად] და უჭირველ[ად].

სიგრილისაგან

გუარიშნი ამბრისა (იქმარებდეს მეფენი და დიდებულნი, ოდეს 10
გარდადგიან სიგ[რი]ლისკენი, და ქასრე მეფე შესმიდა ოდეს და-
ბერდეს). — ა ი ლ ე: პალი. და ყაყულია და ბასბასა, ამათგანნი თუ-
[ითო — ოთხი დრამის წონა, დარაპილილი და ზანჯაბილი — ორი
ასთირი, კილ[ა]მონი — სამი დრამის წონი, უშნა — ორი დრ[ა]მის
წონა, და ყურფა, და ლემის თესლი და აფიონი, თუითო — დრ[ა]მის 15
წონი, ყარ[ა]მფული და ზაფრ[ა]ნი, ამათგანი თუ[ითო — ათის დრ[ა]-
მის წონა, ჟ[ა]ვზი ბუა — ხუთი თულავით, სუმბული. და მასტაქი
და ამბარი, ამათგანნი თუ[ითო — ორი დრ[ა]მის წონი, მუშკი —
დრ[ა]მის წონი, ბაღ[ა]გი — ათი ასთარის წონი; დაგქალენ წამალნი
კიდეს-კიდე, და[ა]დნე ამბარი ბალასანის ზეთითა, და ჩა[ა]გდე აფი- 20
ონი და ზაფრ[ა]ნი ბადაგსა. და მერმე დაგალენ და დაცუენ ზედა
წამალნი, რომე შეერიენენ. დაგქალე მუშკი, და და[ასხი მას ამბარ-
სა დამდნარსა და მერმე შერიე წამალსა თანა და, ოდეს შეზილოს
თაფლითა, დაურიე. მერმე, რომე შეირიოს ერთმ[ა]ნერთის თანა და
შეკშირდეს, ვითა თაფლი კშირი, და მერმე ჩადეე კიქისა ჭურჭელსა 25
ანუ ქუევრსა მწუანესა და იგულე სამსა თუესა. შესასუმელი მის-
განი: მუხუდლოს ოდენი წყლითა.

გუარიშნი მეფეთა, მოადნობს საჰამადსა და დაუამებს სტომაქსა
და ჩამოიღებს ფსელსა და დაუმაგრებს ლუიძლსა და სტომაქსა. —
ა ი ლ ე: ნიახურის თესლი და ნანახუა, და დოკო და ანისონი, და 30
აელი და მთის ნიახურის თესლი, და ყარ[ა]მფული და სალიზა, და
კილ[ა]მონი, ამათგანნი — ორი დრ[ა]მის წონი, სიდაჯი და კილ[ა] || 325 r
მონი, ამათგანნი — ორი დრ[ა]მის წონი, პილპილი თეთრი და ყურ-
ფა, ამათგანნი — ხუთი დრ[ა]მის წონი, დარაპილილი — შუიდი
დრ[ა]მის წონი, და პილპილი შ[ა]კვი და ზანჯაბილი, თუ[ითო — რუა 35
დრ[ა]მის წონი, და შაქ[არ]ი, — ამათი წონა. დაგალენ წამალნი და
შერიენ შაქარსა თანა. და იგულე კიქისა ჭურჭელსა შიგა. და შესა-
სუმელი მისგან: კოვზი ერთი ნელ-ტფილითა წყლითა. და შესჰამს
იგი ბალამსა და დაუამებს პირსა.

გუარიზნი კილამონისა, სარგო სტომაქი[ისათუის, გაქლიერებს
და გასწმედს და გაქსურნელებს. — აიღე: კილა-
მონი და ალვა დარისინი, ამათგანი თუ[ითო. — ექუს[ი] დრამის
წონი, და ყარქამფული და პილპილი, და ასარიონი და სუმბული,
5 ამათგანი თუ[ითო — ოთხი დრ[ამის] წონი, და ზანჯაბილი — უკია
ერთი, და პიტნა სულნელი — რვა დრ[ამის] წონა, და აელი და
ყურფა, თუ[ითო — ორი დრ[ამის] წონი, და მასტაქი და ანისონი,
და ნიახურისა და კამის თესლი, და სალიხა გამორჩეული, თუ[ი]-
10 თო — სამის დრ[ამის] წონი. დანაყენ, დაგალენ კარგად და შეზილენ
თაფლითა პერულ-მოკდილითა, რომე იქმნას, ვითა თაფლი კშირი.
შესასუმელი მისგან; ჭულქავაზის ოდენი წყლითა.

მუსლინა გაცნისა

გუარიზნი ნარ-მუშკისა, რომელი აღბობს მუცელსა. —
აიღე: საყამუნია სამი ასთარი, და პილპილი, დარაპილპილი და
15 ზანჯაბილი, თუ[ითო — ექუსის დრ[ამის] წონა, და ყურფა და ნარ-
მუშკი, — თუითო ასთარი, და პაელი — რვა დრამის წონა, II და
V შაქარი — ორმოცდა ორის დრ[ამის] წონი, დანაყენ, დაგალენ, რომე
შეიზ[ა]ვენ. დაგალე საყუმუნია კიდე და დაცუიე წამალთა ზედა,
და დაგალე კარგად, რომე შეირივენ, და დაგალე შაქარი და შე-
20 რიე წამალთა თანა. და შესასმელი მისგან: დრ[ამის] ნახევრისა
წონი.

თუხმისა

გუარიზნი ფანდრიკონისა სარგო სტომაქისა უსუსურობისათუის
და ლუიძლისათუის, და ქარი რომე იყოს შიგა, და თუხმა და სჯა-
25 მადსა, რომე ვერ შოადნობდეს. — აიღე: ზანჯაბილი, და ნიახურის
თესლი და სუმბული ექუსი დრ[ამის] წონა, და ანისონი, და პილპი-
ლი და მასტაქი, თუ[ითო — ექუსის დრ[ამის] წონა, და ასარიონი
და ლიბნა, — ოთხი დრ[ამის] წონი: დანაყენ და დაგალენ პიტნა — ხუთი
დრამი და სადაჯი — სამი დრ[ამი], ძირა და აბალ ბალასანი, და სალიხა
30 გამორჩეული და აყირყარა, ამ[ათგან]ი — ორ-ორი დრ[ამის] წონა,
და შეზილენ თაფლითა პერულ-მოკდილითა, რომე შეზშირდენ, ვითა
თაფლი კშირი. შესასმელი მისგან: დრამის წონა წყლითა.

შექმნა წამლისა ასტამბონისა, სარგო სტომაქისა, და ლუიძლისა
გარყუნელობისათუის, და სისქისა და სიფიცხლისა ტყირბისათუის,
35 ცხრო ძნელი, და ძნელი ქარი რომე შიგნით იყოს. —

აიღე: ამამა ქუშტი და სუმბული, და სალიხა და მასტაქი, თუ-
ითო — თორმეტის დრამის წონი, და ზარევიანი გრძელი და ნიახუ-

რის თესლი, და ანისონი და ლაბანა, და ძირა ქირმანი, დოკო, და მთის ნიახურის თესლი და სასალიოსი, და ქაშუმი და ასარიონი, და აფსინთნი, და ანჯუდანი შ[ა]ვი, და პიტნა მთისა და შინაური, თუ[ი]- 326 r.
 თო — ოთხი დრ[ა]მი. დანაყენ და დაგალენ. და შეზილენ თაფლითა, რომე შეკშირდეს. შესასმელი მისგ[ან]ი: ერთი დრ[ა]მი წყლითა 5
 ტფილითა, ანუ ლუინითა წყალ-გარეულითა.

მისთუნსაჲ

შექმნა ამრისისა, სარგო სტომაქისა, რომელ არა მოიდნობდეს საქამადსა; და ტკივილსა ლუიძლისასა და ტყირბისასა და ტანისა სი- 10
 უსუსუსურისათვის. — ა ი ლ ე: დოკო და ძირა ქირმ[ა]ნი, და ბალას-
 ნის ღერი და სალიხა გამორჩეული, და კარდამონია და ფუყა ათხ-
 რისა, და ნიახურის თესლი, თუ[ი]თო — დრამის წონი, და მური —
 სამის წონი, პილპილი თეთრი და ქუშტი, და დარაპილპილი, თუ[ი]-
 თო — ნახევარ დრამი, ვაჩი და ზაფრ[ა]ნი, თუ[ი]თო — ორი დრ[ა]- 15
 მის წონი, და ბალღარი — ათი თუალკით; დანაყენ წამალნი და დაგ-
 [ა]ლენ კარგად, და შეზილენ თაფლითა პერულ-მოკდილითა, რომე
 შეკშირდეს. შესასუმელი მისგ[ან]ნ, ვითარცა დულევაზი, კარგია და გა-
 მორჩეული.

შექმნა ქურკუმისა წამლისა, სარგო ლუიძლის ტკივილისათვის და ტყირბისა და სტომაქისა უსუსურობისათვის და რომელი დას- 20
 ნეულდეს გრძელითა სნებითა, და შეკრებისათვის წყლისა მუცელსა
 შიგა და გაწმედისათვის ფერისა. — ა ი ლ ე: სუმბული და ზაფრანი,
 და სალიხა, თუ[ი]თო — დრამის წონი, და კილამონი და ქუშტი, და
 მური და ფუყა ათხრისა, თუ[ი]თო — თორმეტის დრ[ა]მის წონი,
 დან[ა]ყენ. დაგალენ კარგად! || და შეზილენ თაფლითა პერულ-მოკ-
 დილითა, რომელი შეკშირდეს. და შესასუმელი მისგ[ან]ნ: ნახევარ 25
 დრ[ა]მის წონა ნელ-ტფილითა წყლითა.

სიგრილისა

შექმნა წამლისა აბაკისა, სარგო ყოვლისა ტკივილისა გრილისა-
 თვის, რომელ იქმნების სტომაქსა შიგა, და ლუიძლისა და ცხროსა
 მფერტყალ[ი]სა(!) ძუე ლისა, ცხროსათვის ყოვლთა დღეთა. —
 ა ი ლ ე: აბაკი, რომელ არს პიტნა, და პიტნა მთისა და მთის ნიახური- 30
 სა თესლი, და სასალიოსი, ამათგ[ან]ნი თუ[ი]თო — თორმეტი დრამი,
 ნიახურის თესლი, ჰაბა, თუითო—ოთხი დრამი, და ქაშუმი, თექუსმეტი
 დრ[ა]მი, და პილპილი — ორმოცდარვა დრ[ა]მი; დანაყენ, დაგალენ და
 შეზილენ თაფლითა პერულ-მოკდილითა, რომე შეკშირდეს. შესასმე-
 ლი მისგ[ან]ნ: დრ[ა]მის წონა წყლითა 35

შექმნა დუბადისა, ამფრიდიასი, დიდი ბაღდური, სარგო სტომაქისა ტკივილისათვის და ცნობისა კლებულობისათვის, და ბრუსათვის და მაგიერ სტომაქისა შეშლისათვის ცნობისა და ძუელისა თქვის ტკივილისათვის და მკერდის ტკივილისათვის, ღუიძლისა 5 და ტყირბისათვის და თირკმელთათვის, და ბუნებისათვის განრყუნილისა, და ნიკარისათვის და საშოსა, ქარისათვის და გამოჩენისათვის სიგონჯისა, და ყოვლისათვის ტკივილისა, რომელი იქმნების შავის წავლლისგან. — ა ი ღ ე: სუმბული და შური, და სადაჭი და სალიხა, და ზაფრანი და აფიონი, ათხირი, რუვანდი და აბალ ბალი, 327 r და ყარამფული და აბალ ბალასანი, და ზანჯაბილი || და საბრი, და 10 მუყული და ბალასანის ზეთი, ამათქანნი — თუითო უკია, მასტაქი და ბაღდურის თაფლი, და ღარიყონი, ამათქანნი — რვა გურკის წონა, და ასარიონი — ორი უკია, კამის ძირის ქერქი — სამი ლიტრა, ძმარი — სამი კისტი, ჩაქაგდე კამის ძირი ამას ძმარსა შიგა სამსა დღესა, და ჩაქასხი ქოთანსა შიგა და შეუგზენ ქუეშე ცეცხლი, ექამი 15 ერთ დაყავა, მერმე დაწურე და ქერქი იგი დაყარე. და მერმე აიღე ლიტრა-ნახევარი თაფლი და ჩაქასხი მას ძმარსა შიგა და ცეცხლთავე ზედა დადგი და ადღე, რომე შექშირდეს ვითა თაფლი. და მერმე ჩქამოდგი ცეცხლთაგან. და წამქალნი იგი დაქაღენ და ზედა დაცუციენ, და დაურიე, რომე შეიზავოს. და იგულე ექუსა თუესა ჰიქისა 20 ჰურქელსა შიგა, რქაოდენ არს კეთილი, განანქათლებს გულსა კაცისასა და შეუმატებს ჰქუასა და გასწმედს ტანისსა ბაყლთა გარყუნითაგან. და შესასმელი სრული მისგანნი: დრამის წონი, უსუსურისათვის უმცრო; და არს ესე დადებული ს ო ლ ო მ ო ნ მეფისა:

25 ძეშლისა ტივილისა და სტომაქისა უსუსურობისა

შექმნა წამლისა მარგალიტისა, სარგო ძუელთა სნებათათვის და სილისათვის, რომელ არის გრძელი სნება, და სტომაქისა უსუსურობისათვის და ბავასირისათვის, რომელი იყოს საგურკეველსა, სუქილისათვის ტანისა.

30 ა ი ღ ე: მარგალიტი წურილი მრთელი უქურეტელი და ყარამფული, და პილაილი თეთრი, თუითო — ხუთის დრქამის წონი, და ძირა ჰირმანი, თიხა სომხური და კილამონი, თუითო — ექუსის დრამის წონა, || და აელი და ლაქი, და ხოლინჯანი, თუითო — რვა დრამი და კარის-ძირა შქავი, და თეთრი — რვავე წონა, მასტაქი და ტაბაშირი, თუითო ათი დრქამი და კულიაიე—თერთმეტი დრამის წონა, 35 ქინძი და ყურფა, თუითო — თორმეტი დრქამის წონა, ზანჯაბილი სინი — თექუსმეტი დრამი, გომიზი — ორი დრამი, და კანდი — ოცდაათი ასთარი. დანაყე წამლები, დაგალენ და შერიე კანდსა და ტაბარზადსა თანა. შესასმელი მისგან: ორი დრქამის წონა.

შექმნა წამლისა რკინის წიღისა, სარგო სტომაქისა სიგრილისხათუის და ქართათუის, ბავსირთა და თირკმელთათუის, მატეხისხათუის ზურგისა წყლისა და გაწმედისათუის ფერისა. — ა ი ლ ე: ალილაგი შ[ა]ვი და ბალილაჯი, და ამლაჯი და პილპილი და დარაპილპილი, ზანჯაბილი და ნიახურის თესლი, და კამის თესლი და ქინდი, და ქუნჯიტი და ზღუის პერული, და ნიშადური და ძირა, ამთგაქანი თუითო — ორის დრ[ა]ქმის წონა, თურბუთი და სანდაროსი თეთრი, და თუდრი თეთრი და ქურათის თესლი, და ჭარჭირის თესლი და თალგამის თესლი, და სტაფილონის თესლი, თუითო — ექუსი დრამი, თურინჯი — ოცდაათი დრ[ა]ქმი, ფურცელი კაპრისა — თურქამეტი დრამი, წიდა რკინისა ფანიდი, თუითო — ათი დრამი. და გალენ წამალნი და გაცრენ, და დაგქალე რკინის წიდა ქურათის წყლითა, და დგი, რომე შეშრეს ქურქათის წყალი. და მერმე შერიე წამალთა თანა და მოუსუი წამალთა ფურთა ერბოთა, და შეზილენ თაფლითა. შესასმელი მისგაქანი: ორი დრ[ა]ქმი ერთითა უკითა ქურქათის წყლითა ნედლითა, და არს ესე წამალი კარგი ბრძანებითა ღთისათა.

გოვანირისა და მართათუის

შექმნა ფანჯანოშისა, რკინის წიღისა, სარგო ბ[ა]ევანირისა ქართათუის და სტომაქისა სიგრილისათუის. — ა ი ლ ე: ალილაგი შ[ა]ვი და ბალილ[ა]ჯი, და ამლ[ა]ჯი, და შიტრ[ა]ქი ინდი, და ზანჯ[ა]ბილი და პილპილი, და სოდი სუმბული, თუითო — ათი დრ[ა]ქმი, ცერეკოს თესლი — ოთხი დრ[ა]ქმის წონი, და ყურფა — თორმეტი დრ[ა]ქმი; დანაყე წიდა რკინისა მქისედ, და ჩაქასხი ძმარსა შიგა ერთსა დღელამესა, მერმე გარცხე ორჯელ ძმრითა და თერქმეტჯერ წყლითა, და გაქაშრვე და შეკრიფე წამალთა თანა დანაყილთა, დაგქალენ ერთგქან, და მოუსუი ფურთ ერბო და თქაფლი, და შესასმელი მისგაქან: ორი დრ[ა]ქმი ლუინითა გარეულითა, და აჰამე საჭამ[ა]დი პოხილიანი და გაყ[ა]ვე მისგაქან ყოველი მლ[ა]ქმე და მე[ა]ქვე.

სტომაქისა, ლუიძლისა,

თირკმელთა სიგრილისათუის

შექმნა წამლისა გალინოშისი, სარგო ცხროსა ძუელისათუის, რომელი იყოს მხერტუელსა თანა, სტომაქისა სიგრილისათუის და ლუიძლისა და თირკმელთათუის. — ა ი ლ ე: პილპილი, ნიახურის თესლი, თუითო — თორმეტის დრ[ა]ქმის წონი, და ანჯუდანი — რვა დრამი, მთის ნიახურის თესლი — ექუსი დრ[ა]ქმი, პიტნა შინაური და მთისა, და აჰასა და სასალიოსი — ოთხი დრ[ა]ქმი, დან[ა]ყენ და შეზილენ თაფლითა. შესასმელი მისგაქან: ჯულქაქაშის ოდენი წყლითა.

ქსნილოზისათვის

- გუარაიში ბროწეულისა გურკისა მოტყრობილისა, სარგო მუცლისა ქსნილოზისათვის და სტომაქისა უსუსურობისათვის: — ა ი ლ ე: ბროწეულის მარცხული მოტყრობილი და თუთუბა, თუითო — 5 ექუსის დრ[აქ]მის წონა, და ქალი ნაპაქისა — ათი დრ[აქ]მის წონი, და ზანჯაბილი და ქინძი, და ნანახუა და კამის თესლი, და შაქ[არი] კუტ- 7 ლეული, || თუითო — ოთხი დრამი, დარაპილბილი, — დრ[აქ]მის წონი: დან[ა]ყენ, დაგ[ა]ლენ და შეზილენ, და შეასუი მისგ[ან] კოვზი ერთი ბე[ა]ვეშარითა ანუ გრილითა წყლითა.

10 შესაარაპი

- კამა, რომელი იქმნების ხ[ა]რმუბითა, მოიქმს სტომაქსა და შემკრავს მუცელსა. — ა ი ლ ე: ნიგოზი იამბუთისა და ძირი ჩაყრილი ძმრითა, მოტყრობილი, და აბალისი კმელი და ქალი ნაპაქისა, და თუთუბა და ქინძი მოტყრობილი, და კრკო და ბროწეულის თესლი 15 მოტყრობილი, და ყურფა მოტყრობილი, ამათაგ[ან]ი — თუითო უკია, და ქია — ოთხი დრ[აქ]მ., დან[ა]ყენ ერთგ[ან] და შეზილენ. სასმელი მისგ[ან]: კოვზი ერთი რდი ბანგესაჩითა, ანუ ბიე ავშარკითა, და სახელ-სდებენ ამ[ათ] წამალთა მაკალათა.

- შექმნა გუარაიშისა, სარგო ყრმ[ა]თა, რომელსა სისხლსა გ[ა]ი- 20 ყვ[ან]ებდეს და შალარსა. — ა ი ლ ე: ნიგოზი და შეწუი ცეცხლითა, და გატეხე, და აფრინე მისი ქერქი და აწონე მისგ[ან] ორი უკია, ერთი შაქ[არი] დან[ა]ყე და შერიე ერთგ[ან]. შესასმელი მისგ[ან]: ნიგუზის ოდენი გრილითა წყლითა; და არს კარგი და გამოცდილი ღ[ა]თითა.

- 25 შექმნა ფანჯანოშისა, სარგო ბავსირისა ქარისათვის და სისხლისა გამოსულისათვის, და არს გამოცდილი¹. — ა ი ლ ე: კამის თესლი და შაქარი, და ნანახუა და ნიახურის თესლი, თუითო — ხუთის დრამის წონა, და ყურფი — ოცი დრ[აქ]მი, და რკინისა წიდა — მ[ათ] წამალთა წონი, დან[ა]ყენ და შეზილენ ერთგ[ან] ქურთის წყლი- 329 ოთა და შექმენ, ვითა გუნდა, და შეასუი მისგ[ან]: ძრიელსა ორი || 30 მუტყ[ა]ლი შეასო, და უსუსურს — ერთი.

- შექმნა თურმასისა, ს[ა]რგო თუზმისათვის და სტომაქისა უბადოდ მოდნობისათვის, დაძმარებისათვის და ზიდვისა. — ა ი ლ ე: ალილაგი შ[ა]ვი და შაქარი, თუითო — თორმეტის დრ[აქ]მისა წონი, 35 დან[ა]ყე და შერიე ერთგ[ან], და შეასუი მისგ[ან] კოვზი ერთი ნელ-ტფილითა წყლითა.

შექმნა იტარიფულისი უმცროსისა, სარგო სტომაქისა საფოლხისათვის და დიადისა ნოტიოსათვის, და ბ[ა]ვისირისა ქარისათვის და ფერისა გაწმედისათვის. —

ა ი ღ ე : ჰ[ალილაგი შავი და ბალილაჯი და ალაჯი თუითო ნაწილი და მოსუარე ფურთა ერბოითა, და შეზილე თაფლითა. შესასუმელი მისგან: ჟულაეზის ოდენი წყლითა.

იტრაფული უფროსი, სარგო სტომაქისა სიგრილსათუის, და ნოტია, რომელი იყოს შიგა და ბ[ავსირი, რომელი იყოს შიგნით და გარეთ, და გა[ატფობს ტანსა და აფეროვნებს კაცსა. — ა ი ღ ე : ალილაგი შ[ავი და ბალილაჯი და ალაჯი, და შიტრ[ი]ჯი და ნანახუა, და ნიახურის თესლი, ქონდ[არი სპარსული, ამათგანნი თუითო — უკია, და სუმბული და ალი, და ამამა, თუ[ითო — სამი დრ[ამი, და კილამონი და ნარ-მუშუკი, და პილპილი, დარაპილპილი და მარილი ინდოური, თუითო — ორი დრ[ამი, ხარდალი და ყურფა. თუ[ითო — უკია, ნიშადური — ნახევარ დრ[ამის წონა, ვაჩი — სამი დრ[ამი. და რკინის წიდა — სამი უკია; დანაყე, გაცარ და შეზილე ფურთა ერბოთა და თაფლითა. შესასუმელი მისგან: ჟულაეზის ოდენი ნელ-ტფილითა წყლითა.

შექმნა წამლისა ბორასიანისა, რომელი იქმნების ფანითა, სარგო სტომაქისა სიგრილსათუის და || დიდისა ნოტიისათუის, რომელი იყოს შიგა და და[ა]ლბობს მუცელსა და გასწმედს სტომაქსა, და ის-მის პურსა წინათ და, უქ[ანისცა]. —

ა ი ღ ე : ალილაგი შავი და ბალილაჯი და ალაჯი, ამათგანი თუითო — სამი დრ[ამის წონა, და პილპილი და დარაპილპილი, და ბრანგი და საყამონია, თუითო — დრ[ამის წონა, ფანიდი — თორმეტის დრ[ამის წონა; და დანაყე წამალთა თანა და შერიენ ფანიდსა თანა და ურეე, და შექმენ გორგლნი, ვითა ნიგოზნი წურილნი. შესასუმელი მათგანნი: ერთი, თუნდა შექმით და თუნდა შესუმით, გრილითა წყლითა.

წამალი რომელი იქმნების ჰაბალისითა² და ანჯუდანიითა, სარგო სტომაქისა გაბერვისათუის და მუცლისა კსნილობისათუის ძუე-ლისა. — ა ი ღ ე : ანჯუდანი შ[ავი და ნანახუა, და ძირა ქირმ[ანი, თუითო — ოთხი დრამი, ზაფრ[ანი — სამი დრ[ამი, აბალსი—ხუთი ასთარი, და მასტაქი — ორი დრ[ამი; დანაყენ და შეზილენ თ[ა]ფ-ლითა. შესასუმელი მისგან: გუნდისა ოდენი [კ]რილითა წყლითა, და არის კარგი და გამოცდილი.

წამალი, რომელი იქმნების ბოსტნეულთა, ღუალო ძმ[აროსა თე-სლითა, სარგო სტომაქისა სიფოლსუსათუის და მუცლისა კსნილო-ბისათუის, და საკუთრად ყმათათუის. — ა ი ღ ე : თესლი ღუალო-სა ძმაროსა და გურკა ჩამიჩისა მოტყრობილი, თუ[ითო — ოთხის დრ[ამის წონი, და კურკა — ორი || დრ[ამის წონი, ნარქევა — ორი დრ[ამის წონი, შაქ[არი, ასთან; დანაყენ და შერიენ ერთგან. შე-სასუმელი მისგან: კოვზი ერთი წყლითა.

წამალი, რომელ იქმნების უპანიითა, სარგო სტომაქისა სიგრილი-

სათვის და კსნილობისა ძუელისათვის, და კუელისათვის, რომელი აშოთებდეს სიგრილისგან, და ერგების კიათა, რომელი იყოს მუცელსა შიგა. — ა ი ლ ე: უპანი, პილპილი და სონიკი და მლოგუი და ურფი, თუითო — ხუთი დრამი. დანაყე კარგად და შეზილე თაფლითა. შესასუმელი მისგანი: ჭულავაზისი ოდენი, და კუელის უფალმქან აილოს მისგან, ვითარცა მუხულო დაიჭიროს ენასა ქუეშე. და გრილქია უფალსა შეასუი ღუინითა წყალ-გარეულითა.

5
10
15
20
25
30
35
331
40

წაშალი, რომელი იქმნების ირსათა, სარგო სტომაქისა; გუნებისა გარყუნილისათვის, წყლისა შეკრებისათვის, მუცელსა დაქალბობს. — ა ი ლ ე: ირსა ოცდართხი დრამი, პილპილა — ოცი დრამი, ზანჯაბილი — თორმეტი ანისონი, და მასტაქი და კამის თესლი, თითო — რვა დრამი; დანაყენ და შეზილენ თაფლითა, რომე შეკშირდეს, ვითარცა თაფლი კშირი. შესასმელი მისგან გუნდისა ოდენი წყლითა.

შექმნა ჭადისა ინდოურისა. და არს უპანი სარგო სტომაქისა სისქისათვის და შავასისათვის და ზურგის ტკივილისათვის, და ბქავისირისა ქარისათვის და ქარისა მარგებელისათვის, და ოთხისა
V დღისა ცხროსათვის. — || ა ი ლ ე: უპანი და ქია, თუითო — დრამი. ვაჩი — სამი დრამი, ზანჯაბილი — ოთხი დრამი, მარილი ინდოური — ხუთი დრამი, ძირა ქირმქანი — ექუსი დრამი, შიტრიქი — შუიდი დრამი; დანაყენ და შერიენ და შეზილენ თაფლითა. შესასმელი მისგან: გუნდის ოდენი.

წაშალი, სარგო მუცლისა ტკივილისათვის, დაღობისათვის, და სახელ-ხდებენ ფალფალმუნი. — ა ი ლ ე: ალილაჯი და ბალილაჯი, თუითო — სამი დრამი, საყამუნია — ოთხი დრამი, ნანახუა და ნიასურის თესლი, ძირა და ყურფა, სურფა სურნელი, ამათაგქანი — თუითო დრამი, ფალფამუნი — სქამი დრამი, შაქარი, ფანიდი — ორი უკია; დანაყოს ერთგან და შერიოს. შესასმელი: კოვზი ერთი ნელ-ტფილითა წყლითა.

30
35

შექმნა გუარიშნისა ქარუასა, სარგო სტომაქისა ტკივილისათვის, და დანასკულობა, რომელი იყოს ღუიძლსა შიგა და სპამადისა არ მოდნობა. — ა ი ლ ე: ქარუა და ნანახუა, და ნიასურის თესლი და ზანჯაბილი, და ჩამიჩი გურკა გამოყდილი, და სასლიოსი, და აზის თესლი, თუითო — სამი დრამი, და ნუში მწარე — გამორჩეული ორთქაქე ქერქთაგქან — ექუსი დრამი, დანაყენ და შეზილენ თაფლითა შესასმელი: ნაპკას ოდენი ნელ-ტფილითა წყლითა.

გუარიშნი ხოლინჯნისა, დიდისა სიგრილისათვის, რომელი იყოს სტომაქსა შიგა და ღუიძლსა, და გაქამებს ქარსა და მოადნობს სპამადსა და დაქამებს სტომაქსა. — ა ი ლ ე: ხოლინჯანი და ყურფა
331 r სურნელი, და პილპილი თეთრი, თუითო — ორი დრამი, || და ალი—
40 სამი დრამი, დარაპილპილი — ექუსი დრამი, დარისინი და ნარ-

მუში, თუითო — სამი დრ[ა]მი, და ზანჯაბილი — რვა დრ[ა]მი, და ნიახურის თესლი და ანისონი, და ძირა ქირმ[ა]ნი და ტალი, და საფარი, თუითო — დრ[ა]მი, ფანიდი, შაქ[ა]რი — სამი წამალთა წონი; დანაყენ და შერიენ. და შესასმელი მისი: ორისა დრამისა წონა.

წამალი, რომელი აგრილობს სტომაქსა და წაიღებს კსნილობასა ძუელსა. — ა ი ლ ე: ქია და ანისონი, და ნიახურის თესლი და კამისა, და ქონდ[ა]რი და აშა, და სუმბული და სალიბა გამორჩეული, და სოდი, ამათგანნი თუითო — სამი დრ[ა]მი, ზანჯაბილი, ხოლინჯანი, ამათგან[ი] თუითო — ოთხი დრ[ა]მი, და ათხირის ძირი და ნიახურის ძირი, და მარზ[ა]ნგო[მ]ი და ზიბაქი კმელი, ტეგჯანა, ამათგანნი — თუითო კელი. დაქასნი ზედა წყალი და შეგბოლე, რომე ნახევრ[ა]დ მოიყაროს, და აიღე მისგან უკია ერთი, დაასნი ზედა ორი კოვზი თაფლი და შეასუი სნეულსა.

5

10

სარწაველი

წამალი სარგო, ოდეს სტომაქშიგა აშფოთებდეს ნავდელი და ანუ ბალღამი, გინდოდეს რომე გამოიღოს თხევით. — ა ი ლ ე: ბ[ა]ქ-რუჯი და მარილი, და მდოგუი, თუ[ი]თო — დრ[ა]მი, დანაყენ და შეასუი ცერეცოს წყლითა, შემგბართა თაფლითა და ათხიე; ანუ აიღე ხ[ა]ტმი და თათმის თესლი, თუითო ნაწილი, დაგქალე და შეასუი ცერეცოს წყლითა შემგბართა და ათხიე.

15

20

წამალი სხუა, რომელი ათხევს. — აიღე კარისძირა თეთრი, დაგქალე, და აიღე მისგან დრ[ა]მის წონი, ანუ შ[ა]ვი კარისძირი დაგლილი — დრ[ა]მის წონი, და გქაქე ბოლოკი, და ცუთიე ზედა და აქ[ა]ქე ცერეცოს წყლითა, შემგბართა წყლითა და ათხიე. ანუ ა ი ლ ე: ძირი ნარგისისა სამი ანუ ოთხი, და შეგბოლე ცერეცოსისა თანა, და გამოწურე წყალი მისი ორი უკია, და შეასუი სნეულსა და სთხიოს. ანუ ა ი ლ ე: ორი დრ[ა]მის წონი ჭავზალკა, დანაყენ და შეასუი ცერეცოს წყლითა, და სთხიოს და გამოიღებს გუინსა. და რომელსა სტომაქსა შიგა იყოს ბალღამი და ნ[ა]ქეტნ[ა]ვი მოდულეებული დიდად ძნელი, მაშა. აიღე თევზი მ[ა]რილიანი და აქ[ა]ქე ბოლოკსა და თაფლსა თანა, და შეასუი ლუ[ი]ნო ამას ზედა ამოი და დიდი, და მერმე აიღე ნაგრტენი ერთი, ჩაუყავე პირსა და სთხიოს, და გასწმედს სტომ[ა]ქსა ნ[ა]ქეტნ[ა]ვითაგან, რომელი იყოს მას შიგან.

v

25

30

მისთუისვე. — ა ი ლ ე: ძარლუი კიტრის ძირისა, კმელი. — ორი დრ[ა]მი, დანაყენ და შეასუი თაფლითა, და ვახშამსა შედეგქალ დაათხევს უქირველ[ა]დ და გქამოიღებს სქელსა სტომ[ა]ქსიდან. აიღე თხუთმეტი მარცუალი მავიზაჩი, ჭაბლი, დანაყენ და შერიენ თაფლსა თანა, და შეასუი მას ზედა ცერეცოს წყალი შემგბარსა

35

და მცირედ ქუნჯითის ზეთი ზედა!; მერმე სთხიოს და გასწმედს სტომაქსა ნ[ა]მეტრ[ა]ვისგან, რომელი იყოს მას შიგან. ან უ ა ი ლ ე: კარის-ძირი და შექმენ მისგან შაფი, ვითა დანასკულის ოდენი. დაიჭიროს საგურკლესა შიგან და ათხიოს. და ჰკურნე სისხლსა. რომელი გამოვიდოდის სტომაქსისგან წამლებითა, რომელი დამიწერია 5 კელთა(!) შიგან, რომელსა შიგა მიკსენებთან სისხლის გ[ა]მოსუ- 322r ლ[ა]ნი.

და ვახსენეთ წამ[ა]ლნი, რომელნი არიან დასადებელნი სტომაქსა გარეთ, რომელნი შეწინდებიან სტომაქსა გარეთ, და ერგების სიმსივნესა მჭურვ[ა]ლსა, რომელი იყოს სტომაქსა შიგან, და მიგუ- 10 ასწავებს მას ზედა სიმჭურვ[ა]ლე და წყურილი, რომელი აუშფოთ-დების ამის უფალსა დიდი სიმჭურვ[ა]ლე. —

ა ი ლ ე: კალანზი და მოღურდო, და შეგბოლე ერთგან, და შემოსდე სტომ[ა]ქსა გარეთ, დაუზილე ვარდის ზეთითა. ან უ ა ი ლ ე: ბალარჯი ფქული და ვარდის ზეთი, და ფურცელი რომარაზისა, 15 დან[ა]ყენ და შერივენ ერდგან(!), და გ[ა]ტფე და შემოსდ[ე] სტომ[ა]ქსა გ[ა]რეთ. ან უ ა ი ლ ე: ქერქი ბროწეულისა და ოსპნი, და ქრთილი გამორჩეული და შეგბოლე, და წყლითა მისითა უცანდ-ლე მუცელსა. და ა ი ლ ე: ხ[ა]ვარტის ფურცელი, დანაყენ კარგად და დ[ა]ქსხი ზედა ვარდის ზეთი და შექმენ ვითა მარამა, და შემოს- 20 დე მუცელსა.

ან უ ა ი ლ ე: ფურცელი კატკატოსა და დანაყენ, და გ[ა]ურთენ ბალარჯის ფქულისა ვარდის ზეთი და შემოსდე მუცელსა და, თუ იყუნენ მანდა გზებ[ა]ნი სიმჭურვლისა ძნელისა მეტი, აილე ლემის ფურცელი ანუ საფისჯის ფურცელი, ანუ ქერქი აყიროსა ნედლისა, 25 დან[ა]ყენ, დაურთენ თანა ბალარჯის ფქული და დ[ა]ქსხი-ზედა ვარ-დის ზეთი, გ[ა]ქაგრილე და შემოსდე მუცელსა.

ან უ ა ი ლ ე: ასფიოში და ჩაქსხი გრილსა წყ[ა]ლსა, მაშა, ოდეს 30 აფუვდეს, დ[ა]ქსხი ზედა ვარდის ზეთი და შემოსდე მუცელსა. || ან უ ა ი ლ ე: სელის თესლი და ჩაქსხი ძმ[ა]რსა და წყალსა გრილ-სა და შემოსდე მუცელსა. და ერგების სტომაქსა, ოდეს დაუსუ-სურდეს. დალბეს მისითა მუცელი და აშფოთდე მისითა მუცელი და თხევა. — ა ი ლ ე: აფსინდი, ბაბუნ[ა]ჯი და ცერეთო, და სოდი და იქლილმალუქი, შეგბოლე² წყლითა კარგად და უცანდლე მისი- 35 თა წყლითა. ან უ ა ი ლ ე: ბაბუნ[ა]ჯი, აფსინთნი და გულინ[ა]ჯი, და სალიხა, და ქერქი ბროწეულისა, და სუმბული, და მარზ[ა]ნგოში, შეგბოლე მასოსნისა და შემოსდე მუცელსა, და დაუზილე ნარდი- [ო]ნისა ზეთითა ანუ მასტაქისა ზეთითა ანუ ზოგებითა ზეთითა.

შექმნა ლახლახისა, რომელი დაუამებს სტომაქსა და გ[ა]ქლიე- 40 რებს. — ა ი ლ ე: საბრი და ქია და აფსინდი და სუმბული, და ლომა-ნი და სოდი, და აბალასი და ქერქი ბროწეულისა, და გუნდა და ასი-

სა, ფურცელი კმელი, და ქაბული და არირა, და ალვა და თუთუბა, და ვარდი კმელი და ჭულანრი, და ნანახუა და ძირა, და ნიახურის თესლი, ამათგანნი, თუითო მჭილი. დანაყე, გაცარ და ჩაღვე კურკელსა შიგა და დაასხი ზედა მას ოსანი— უკია ერთი, და უკია ერთი ასის წყალი ნედლიქსა, და უკია ერთი ლუინო, და დაქასხი ზედა ზეთი რაზიქისა და ზეთი ნარდიონისა, და ჩაქასხი ქოთანსა შიგა და აღულე ლბილითა ცეცხლითა ორჯელ ანუ სამჯერ, და მერმე დაცუიე ზედა გრილები წამლები. და აიღე: მქატყალი ქუაბი ერთი, და ლდაქწე მას შიგა, და შემოსდე სტომაქსა. და აკამე საკამადთაქან 333 r
რომელნი იცნოდნი მაშუნენი მისნი, და მე გიხსენე შენ. და თუ 10
იყოს სტომაქსა შიდა სიმსიენე ძუელი და ფიცხელი, მაშა შეგბოლე ბაბუნაჯი და ულბოს თესლი. და სელის თესლი და აქლილმალუქი, პოხუერი, და შემოსდე მუცელსა და მოუსუი ზეთები მქურვლები, რომელი გაკსნის. შქაშა თუ იყოს სიმსიენე სქავალსა სტომაქისასა და ნახო, თუ უნდეს ცანდლები, მაშა, თუ ცანდალი ორთქვე ბქეთა შუა და ძუალსა ზურგისასა რქაოდენ მისი სნე-ბა ახლოს არს ზურგის ძუალსა. 15

მარამნი სტომაქისანი

აწ ვქახსენეთ მარამნი სტომაქისქანი, რომელნი დაიდებიან სტომაქსა გარეთ და ერგებიან ბრძქანებითა ღთისთა. 20

წამალი, რომელი ერგების ტკივილსა სტომაქისასა და სიფიცხესა ღუიძლისასა, სიმსიენესა და ღუბელსა, რომელი იყოს ღუიძლსა და სტომაქშიგა, და ამას მარამას სახელსდებენ— ფოლორტანი. — აიღე: ცუილი ოთხი ლიტრა, და ვაშკი — ორი ლიტრა, და გომიზი ნუშისა — ლიტრა ორთი, და იქლილმალუქი — ათი ასთარი, და ზქივთი და ლიბნე (არს კუქუმბრა), და მური და სოდი, და ირსა და კორდამონია, რომელ არს კულიავის კერი(!) და ჭავაშირი, ამათგანი თუქითო — თორმეტი ასთარი, და ზაფრანი და ნარდიონის ზეთი — ნახევარი ლიტრა, და ღუქილსა ამო და სულნელი, და მასოსანი, დარა ზომაშიგა, ზაფრქანი და მური, და ვაშაყი და ჭუავეაშირი. და ლიბენი — დაღებოდის. და დაადნე ცუილი ორთე თანა და გომიზსა თანა და ზიეთსა თანა. დანაყენ წამალი კმელნი და დაგქალენ ჩაყრილნი წამალნი, რომელნი მასოსანსა შიგა იყუნენ, და გარქიენ მათ შიგა, მდნართა შიგა; მერმე კმელნი იგი წამალნი დანაყილნი ზედა დაცუენ და დაურიე, რომე ერთად შეიზაოს და შექმირდეს, და შექმნქას მარამად. და ეგრე შემოსდე მუცელსა და ღუიძლსა და რომელსა ადგილსა იყოს სიმსიენე ფიცხელი და ძნელი. 35

შექმნა მარამისა, რომელი იქმნების ბოკილითა! — ერგების რომელი ქსნილად იყოს მუცლისაგან და გქაძლიერებს უსუსურსა სტომაქსა. — ა ი ლ ე: ბოკელი იელუსარემული და ფურცელი ასისა და ფურცელი ვაზისა ნედლისა, და კომში კურკა გქამოლებული, და სხალი, და სანდ[ალი] და ალვა, და ძირარა და ზაფრ[ანი], და ქერკი ბროწეულისა და კაკია, და ლადანა და მასტაქი, და საკუმელი და მური, ამათგ[ანი] — თუითო ნაწილი. დან[ა]ყენ კარგად და დაქსნი ზედა მასოსანი და ზეთი რაზიკისა, რაზომითა შეიზილებოდეს; და შექმენ მარამად და დასდევ სტომაქსა და ყოველსა ტანსა, რ[ა]ოდენ გაქაძლიერებს ტანსა უსუსურსა.

შექმნა მარაქმისა, სარგო, — მუცელი ოდესღა ქსნილად იყოს, და ერგების წყურვილსა მწოვსა და ძნელსა. — ა ი ლ ე: კომში და გაქურცენ და გაწმიდე და შეგბოლე ძმრითა. და ოდეს შეგბოლო, ალილე მისგ[ანი] და ბალასისაგ[ანი], და ლერწ[ა]ში შემგებ[არი] ლუინითა კარგითა. და ვაზის ყუავილი, და ასის ფურცელი და მარზან-გოში და მური, || თუითო — ოთხის დრ[ა]მის წონი, და ბოკელი — რვა წონი, და ქია — ს[ა]ქმი წონი, და დარირა — დრ[ა]მის წონი, დან[ა]ყენ კარგად ყოელანი, და ვირე შეირიოს, და დაქსნი ზედა კარდის ზეთი და ძმ[არი] ლუინისა კარგი, რაზომი დაქალბობდეს, და სცხე მუცელსა ზედა.

შექმნა მარაქმისა ფარვაქონისა, სარგო ტკივილითათვის ლუიძლისა და ტვირბისა. და სიფიცხე და ქარი ოდეს იყოს მას შიგა; და ერგების ტკივილსა გუერდისასა და თირკმელთასა, და საშოსა და ქანთელსა და ყოველთა ტკივილთა ძარღუთა კმელთასა. —

ა ი ლ ე: ცუილი და ბელეკონისა კევი, და მუყლი და ვაშაყი და კარდამონია და სოდი. ამათგ[ანი] — თუითო ლიტრა, და მაშია და სუმბული, და ზაფრ[ანი], მური და ლუბანი, და ბალ[ა]სანის ლერი, ამ[ა]თგ[ანი] — თუითო რვა დრ[ა]მის წონა, და ნარდიონის ზეთი ანუ რაზიკი — ორმოცი დრ[ა]მი, და ლუქინო კარგი და მასოსანი, რაზომი და დაქსოვლებდეს და შეიქმნებოდის მარამა და აქილე ვქაქი და წამლები ჩაყრილები, და მერმე² კავი იგი ჩაქაგდე; ოდეს დადნეს, ჩამოილე ცეცხლთქაგ[ან]. და დან[ა]ყენ სხუანი წამ[ა]ლნი, და ც[ე]ცხუიე ზედა და ურიე, რომე შეიზაოს, და მერმე სცხე ადგილსა მას, სადა იგი იყოს სიმსიენე, სიფიცხე.

შექმნა მარაქმისა ფილაროსისი, სარგო. ყოველნი რომელი მინსენებთან ამათვე სნებათათვის. — ა ი ლ ე: ზაფრ[ანი] ექუსი დრ[ა]მის წონი, და ცუილი — ორმოცი-დახუთი დრ[ა]მი, საბრი და ქია, და მუყლი და ვაშყი, და ზუქია, ამათგ[ანი] თუითო — ოთხი დრ[ა]მი, და ცმელი ბატისა — რვა დრ[ა]მი, და ზოფა თეთრი, — თექუსმეტი დრ[ა]მის წონი, და

ვარდის ზეთი, რაზომითა შეიზილებოდეს. და შექმნენ მარქაჟა. ვით-
[არცა პირველ გუ[ი]თომს.

შექმნა მარქამისა დიმაღტისოსისა, ხარგო ყოველთა ხიმხინენთა
ფიცხელთა, რომელი იქმნებობს სტომაქსა და ლუძლსა და ხხუათა
ასოთა და ღუბელსა, და სახელ-სდებენ ამას მარამაჟა იქლილმალუ-
ქისა. —

ა ი ღ ე: იქლილმალუქი ორმოცი დრქამის წონი, და ვაშქაქი. და
ბელეკონის კევი, ამათგანნი თუითო — ასი დრქამი, ცუილი —
ორქასი დრქამი, სუმბული — ოცი დრქამი, სოდი და კარდქაქონია,
ირსა და მური — თექუსმეტი დრქამი, ზაფრქანი — რუა დრქამი,
ნქარდიონის ზეთი, მასოსნი, რქაწომი ეყოფოდეს, და შექაქმე ვითა
პირველ.

შექმნა მარამისა და ნასფარმნიტონისა. არს ესე მარამა თეხლთა,
და ერგებობს, ვითა უწინა, და წყალსა ყუთელსა. — ა ი ღ ე: ულბო
კამა და ნიახურის თესლი და ნანახუა, ძირა და ირსა, ჭქაქვაშირქის
ძირი, თუითო — ექუსი სათრი, და ანისონი — ხუთი ასქარი, და
იქლილმალუქი — სამი ასთენი, და ცუილი და ცმელი ზროხისა ნედ-
ლი, თუქითო — ორმოცის დრქამის წონა, თქაფლი — ხუთი დრქა-
მი და ნარდიქონის ზეთი. რაზომი გინდოდეს, და დაქადნევე ცუილი
და ცმელი, ზეთი დაქასხი ზედა, თქაფლი, რომე დადგეს; დაწაქვენ
წამქალნი, დაცქუენ ზედა, ურიე, რომე შეიზქაოს და იქმქარე.

სტომაქისა

|| შექმნა მარამისა, რომელსა სახელ-სდებენ ასტამხიკონისა, ხარ- 335 რ
გო სტომაქისა, რომელი არა მოიდნობდეს საქამადსა, და უსუსუ-
რობისათუის. ლუძლისა და ქარისათუის. — ა ი ღ ე: ზაფრქანი ოთხი
დრქამი, საბრი — ორი დრქამი, ქია — ექუსი დრქამი, ფუაი აფსი-
თისა ბერძელისა — თორმეტი დრქამი, სუმბული და ლიბნა, თუი-
თო — ოთხი დრქამი. ნქარდიქონის ზეთი — ექუსი დრქამი, დაქაქ-
ლე წამლები და შერიე მით ზეთითა და დასდევ ტკივილსა.

შექმნა მარამისა იელუსარემულითა ბოკილითა, ხარგოი ღუბელ-
ქისათუის, რომელი იყოს სტომაქსა შიგა. — ა ი ღ ე: პური გერმაი
კარგი, აფუებული, და ჩაქაგდე წყალსა, და დაქალე: და აიღე
ულბო შემგებარი და ცმელი ბატისა, და ლემის ფურცელი ნედლი.
დანაყე ფურცელი და შეკრიფენ ერთგქან, და გქატფე ნარდიონის
ზეთი და მოუსუამს ადგილსა, და სცხე მას ზედა წამალი.

ჯეთაბი

აწ დაეწყოთ შექმნა ნარდიქონის ზეთისა] კარგისა, ხარგოი
მრქველისა ტკივილისათუის, და ტანისა, სტომაქისა სიგრილისათუის

და საშოსათუის და ლუიძლისათუიქს, და ლუინითა, და მოუსმენ გა-
რეთ და ოუნა ქმნენ ამით.—

- ა ი ღ ე : ბენდედანი მატყლითა და ერგების ქართა და კოლინჯთა,
ოღეს შეასუა მისგან ექუსი დრ[ა]მის წონი ცერეცოს წყლითა შემგ-
ბერთა, აბ[ა]ნოსა შიგა, და უწობენ ცხუირთა თ[ა]ვის ტკივილისა-
თუის ძუელისა, და ფერსა გა[ა]ფეროვნებს და ერგების ქანთლსა სი-
გრილესა და და[ა]ჩლობს შირიმსა, ოღეს ჩაესხას მისგ[ა]ნი სარ-
ცხუინელსა. — ა ი ღ ე : ყუსტი და ბალ[ა]სანი და სალიხა, ამათგა[ა]-
ნი — თუითო ოცდაათი დრამი, შავარნა — ოცი დრამი, და
დარაპილპილი — რვა დრამი. და ყარდამონია და ზანჯაბი-
ლი და მავიზაჯი და ალჯაბილი. ამათგა[ა]ნი — თუითო
ექუსი დრ[ა]მი, და სოდი — თერთმეტი, და ათარის ძირი
და ირსა — ექუსი დრ[ა]მი, ფრჩხილი სულნელი და ასის ფურ-
ცელი, და მარზანგოშის ფურცელი — ათი დრ[ა]მი; დან[ა]ყენ წამალ-
ნი მქისე გროშად და ჩ[ა]სახი ლუ[ი]ნოსა სულნელსა, ერთსა დღესა
და ერთსა ღ[ა]მესა, მთუარესა [ა.] და და[ა]სხი ზედა წყალი ლუინის
ოღენი, და და[ა]სხი ზედა ქუნჯითის ზეთი, ანუ ზეთი ბერძული;
ანუ რაზიკის ზეთი. რომლისგა[ა]გა[ა]ნი იყოს ათი ყუსტი; შეუგზენ ქუე-
შე ლბილი ცეცხლი უკუამლო, ექუს ეამ. მერმე აიღე ცეცხლისა-
გა[ა]ნი და დადგი, რომე გაგრილდეს. მერმე დაწურე მის წყლისაგა[ა]ნი
ზეთი, და აიღე ასარიონი, სუმბული და ამამი, თუითო — ხუთი
დრ[ა]მი, და სადაჯი — სამი დრ[ა]მის წონი, და მური — ათი დრ[ა]-
მის წონი; დანაყენ და ჩაყარენ ლუ[ი]ნოსა შიგა ერთსა დღესა და ერთ-
სა ღამესა. მერმე ჩა[ა]სხი. ქოთანშიგა და და[ა]სხი ზედა წყალი, რაზომი
ლუ[ი]ნი იყოს. და და[ა]სხი ზედა ზეთი იგი, და კამს, რომე იყოს
ქოთანი იგი წინასიკა და უკანა წმიდა, და || აიღე ქოთ[ა]ნი ერთი დი-
დი სპილენძისა და ჩა[ა]სხი შიგა წყალი, და ჩადეე ქოთ[ა]ნი იგი,
რომელსა შიგა იყოს წამალი, ქოთანსა მას სპილენძისასა, და შეუგ-
ზენ ქუეშე ლბილი ცეცხლი ექუს[ს]ა ეამ, რომე შეგბეს ზეთი წამ-
ლითა. მაშა, ოღეს შეგბოლო, ვითარად მისწავლია, მაშინ აიღე
ცეცხლისგა[ა]ნი [და] დადგი, რომე გაგრილდეს. და დაწურე ზეთი იგი.
ა ი ღ ე : ყარამფული და ფრჩხილნი სულნელნი, და ჯ[ა]ვზი ბუა, ამათ-
გა[ა]ნი თუითო — ოთხი დრ[ა]მის წონი, და ქუ[ა]რი — სამი დრ[ა]მი,
და ზუკია — ოცდაათი დრ[ა]მის წონი, და ბალასანის ზეთი — ნა-
ხევარ უკია; დან[ა]ყენ წამალნი კმელნი და ჩაყარენ ლუ[ი]ნოსა შიგა
ერთსა დღესა და ერთსა ღ[ა]მესა. მერმე ჩადეე ქოთანსა და და[ა]სხი
ზედა ზეთი და შეუგზენ ქუეშე, ვითარად გ[ა]მომისახ[ა]ეს შენდა.
და ა ი ღ ე : მუყლი და დაგ[ა]ლე ლუ[ი]ნოსა თანა და ჩა[ა]სხი ქო-
თანსა შიგა და უწინე, ვირე ჩამოიღებდე ცეცხლისგა[ა]ნი, და გაუ-
ტევე, რომე გაგრილდეს. და გამოწურე ზეთი იგი მის წყლისა და

წამლისაგანი, და წამლები იგი გქამოიღე კიდე და ზეთი იგი ჩაქსნი კარაბასა და აკმარე მას, რომელი ვაკსენე.

შეკმნა სხუისა ფერისა ნარდიოქონისა ზეთისა და ერგების პირველისავეებრ. — ა ი ლ ე: ბულბალასანი, ყუსტი და სალიხა. და ირსა, ამთგქანი — ხუთი ასთარი, და მური — ოთხი დრ[ა]მი¹ და უშნა — ექუსი და ნახევარი დრამი, და დარაპილპილი და ბლა||სნის ზეთი — თუითო ხუთი დრ[ა]მი, და ქური და მაზა ჯალჯალბი, ამ[ა]თგქანი — თუითო ორი დრ[ა]მი, ასრიონი — ექუსი დრ[ა]მი და სუმბული — სამი დრ[ა]მი, კუქუმბრა და კაპრი, თუითო — ხუთი დრ[ა]მი; დან- [ა]ყენ წამალნი კმელნი გროშად და ჩაყარენ ლუქონოსა ერთსა დღე-სა და ერთსა ღამესა. და აიღე მური, და ლიბანა და ქერი, და დაგქა- ლენ ლუინითა და ჩაქსნი ქოთანსა შიგა, და დაქსნი ზედა ორი მინ- დორა ზეთი ქუნჯითისა, და შეგბოლე სხუასა ქოთანსა შიგა ცეცხ- ლითა ლბილითა, ვირე წაქდეს ლუქონო და დარჩეს ზეთი. და მერმე აიღე ცეცხლისაგქან, დადგი, ვირე გაგრილდეს, და გამოწურე, და ჩაქსნი კარაბასა და იხმარე ვითა პირველ.

5
v
10
15

შეკმნა ზეთისა სოსანისა, სარგო სტომაქისა კეთელისათუის და საშოსათუის, დაქალბობს ძარღუთა კმელთა და აგრილებს. — ა ი ლ ე: სალიხა და ყუსტი, და ლიბნია და მასტაქი, და აბალ ბალასანი, ამთგქანი — თუითო უკია, ყარამფული და ყურფა, თუითო — ნახე- ვარ უკია, და ზაფრანი — დრამ-ნახევარი; დაქანყენ წამალნი გრო- შად და ჩაქსნი ქურქელსა ჰიქისასა, დაქსნი ზედა ყისტი ერთი ზეთი, და აიღე ფუკი შროშანისა თეთრისა და გამოჩეული მისისა ძირისგქან, და გაწმიდე მისისა მტუერისგქან და ჩაქსნი მის თანა, და დადე ადგილსა მას, სადა ნიავე ზემო ეცემოდის, რომელი სი- ცხითა სწორად იყოს, და გქაუტევე ექუს[ს]ა თუესა, და იკმარე, და იქმენ ზოგნი მკურნალნი ზეთითა და შროშნითა უწამლოდ.

20
25
337 r

შეკმნა ზეთისა კომშისა, სარგო ძნელისა სიმკურვლისათუის, რომელი იყოს სტომაქისა შიგა და ლუქონოსა შიგა, შეესუმის და მო- ეხმის, და შეერევის მარამათა შიგა. — ა ი ლ ე: ზეთი ქუნჯითისა სამი ყისტი და კომში დაქრილი, გამოწმედილი — რვა ყისტი, ჩადევე ქურქელსა ჰიქისასა და დადევე ოცდაათსა დღესა მზესა და იკმარე.

30

შეკმნა ზეთისა ხლისასა, სარგო ჭისავისა, რომელი იყოს სტო- მაქისა შიგა, და სისქე და ღრეკა ძარღუთა კმელთა. — ა ი ლ ე: მას- [ტ]აქი ექუსი ყისტი, დაგლილი, და დაქსნი ზედა ორი ყისტი ქუნჯითის ზეთი და შეგბოლე ქოთნითა ქოთანსა შიგა და იკმარე.

35

შეკმნა ზეთისა ასისა, სარგო სტომაქისა სიფოლბუისათუის, ტყირ- ბისა და უსუსურობისათუის. — ა ი ლ ე: სამი ყისტი ზეთი და ოთხი ყისტი ასის ფურცელი, დანაყე ფურცელი და ჩაქსნი ლუქონოსა და ზეთთა თანა (და ლუქონო რაზომი დაფარვიდეს ფურცელსა), და შეგ- ბოლე ცეცხლითა, ვირე წაქდეს ლუინო და დარჩეს ზეთი. მერმე და- 29. ფანასკერტელი-ციციშვილი.

40
449

წურე და აკმარე. და ზოგნი მკურნ[ა]ლნი ჩა[ა]გდებენ მუსარსა და ასის ფურცელსა ნელდსა.

შექმნა ზეთისა კუსტისა, სარგო, ოდეს შესუან მისგ[ა]ნ და მოუ-
სუნ, სტომაქისა სიგრილისათუის და ლუიძლისათუის და ცხროსა
5 მბერტყელისათუის, რომელი შეიპყრობდეს ყოველთა დღეთა და
V დაიცავს თმასა და აშუენებს, ოდეს იცხოს. || აიღე: ყუსტი ოც-
დაათის დრ[ა]მის წონა, დან[ა]ყე გრ[ო]შად და ჩა[ა]სხი ლუინოსა შიგა
ერთსა დღესა და ერთსა ღამესა, და და[ა]სხი ზედა მინდორა ერთი
ზეთი, და ჩადეე ქოთანსა, შეგბოლე ლბილითა ცეცხლითა, ვირე
10 წაქდეს ლუ[ი]ნო და დარჩეს ზეთი. მერმე აიღე ცეცხლისგ[ა]ნ და ჩა-
[ა]სხი კარაბასა შიგა, და იკმ[ა]რე. და ეგრევე არს შექმნა ირსასა
ზეთისა. და რომლისაცა წამლისა ზეთისა გინდოდეს ქმნა, ესრე ქმენ,
ოდეს არა ჰპოო რადმე შექმნილი.

შექმნა ზეთისა ქალნაჯისა. — აიღე: დარაბილპილი და ლიბნა,
15 და შიტრაჯი და ჯანჯაბილი, და ქინძი და ბრანგი, და კილამონი და
პილილაქი შ[ა]ვი, და ბალილაჯი და ამლაჯი, და ნიახურის თესლი
და სირას ენა, და ძირა ქირმენი, ამ[ა]თგ[ა]ნი — თუითო ექუსის
დრ[ა]მის წონი, ხიარი-შამბარი და ნარ-მუშქი, და ყურფა და მარი-
ლი ინდოური, და მარილი წითელი და სადაჯი, და აპლი, ამათგ[ა]-
20 ნი — თუითო სამი დრ[ა]მში, ტილი და საფრი, თუ[ი]თო — დრ[ა]მში,
თურბუთი და ქუნჯიტი, თუ[ი]თო — ოცი ასთარი, ფანიდი — ას
ოცი ასთარი, და ჩამიჩი გამორჩეული — ას ორმოცი ასთარი, და
სამი დრ[ა]მში ამლ[ა]ჯი; შეკრიფე ჩამიჩსა თანა და და[ა]სხი ზედა ათი
კუტ[ა]ლი წყ[ა]ლი, და ჩა[ა]სხი ქოთანსა და შეგბოლე, რომე დარჩეს
25 სამი კუტ[ა]ლი. მერმე დაწურე იგი წყალი და ჩა[ა]სხი სხუასა ქოთან-
დი ლაქისა და ღუბედი ქურქუმისა, და ფანდალიკონი და ამროსია,
და სიჭინია და თერია, და ღუბედი ქიბარითისა, რომელ არს წუმ-
35 v წუბა, მაშა, რომელი მიკსენებია ამათგანი, ერგების, სიმსივნესა ||
სქელსა და ძველსა სიმხურვალისაგან კიდე; და არიან ესე წამალნი
კარგნი, გა[ა]ძლიერებენ ღუიძლსა. და ნუ შეასუამ, ვირე არა ჰნახო
ფსელსა შიდა სნეულისა სიმძიმე. და შეასუი მისგანი კულა მატმუხი
აფსინდისა. და შეასუი პირველ გამოჩენასა ტკივილისასა ღუბედი
40 ქურქუმისასა შემგებართა ძირთა თანა, და იარაჯი ფეყრასა ძირისა
წყლითა. და შეასუი წყლითა კამისა ნედლისა და ნიახური თაფლსა

თანა. მაშა, ოდეს ჰნახო ლუიძლს. შიგან ზედასა კერძსა სივილი
 მკურვალე, რომელი შექმნილი იყოს სისხლისაგან, და ჰნახო სნეუ-
 ლი ძლიერად და უამი შეგწევდეს და რასა კბილსა იყოს მაშა გაუ-
 კსენ ძარღუი კათოლიკე, ანუ ეფალა, ანუ ბასილიკე, და დას-
 დევე ლუიძლსა ზედა გარეთ კალნაბი შემგბარაი მღუირდოსა 5
 ფურცელსა თანა, დანაყე შეგბ[ო]ბასა შედეგად და ღაქს ზედა
 ვარდის ზეთი და დასდევე ლუიძლსა ზედა.

თუ ლუიძლი სიგრილისგან სტკიოდეს, მიხი წაქმალნიჲ ჰკურ-
 ნე, ოდეს იყოს გქანრყუნისა ლუიძლისა ბუნებისა სიგრილისაგან,
 რომელი იქნების მარამებითა, რომელი ახსენა არონ ამას თქმულ-
 სსა შიგა, ვითა ერგებიანო ამას ტკივილსა ლუიძლისასა, ანუ მით მა-
 რამითა, რომელსა სახელ-სდებენ ასტ[ა]მხიკონი. მაშა, ოდეს იყოს
 გქანრყუნა ლუიძლისა ბუნებისა სიმკურვლისგან, ნ[ა]მეტნ[ა]ვი ნო-
 ტიონი, შეასუი სუელი და შაქ[ა]რი ტ[ა]მბარზ[ა]დი, რ[ა]ქოდენი ამ[ა]ს
 სნებასა უნდეს გაგრილება და დაბერტყა. ანუ შეასუი ერთი სიქორ-
 გი მულურდოს წყალი და ქაქნ[ა]ვი მუტყლითა ერთითა, ს[ა]მ-
 რითა კარგითა, თუ იყოს ძლიერ[ა]დ; და თუ იყოს უსუსურად —
 დაუმტრო მისგან ზომასა ზედა ძ[ა]ლისა მისისა მ[ა]ტებასა და 381 r
 ნაკლულეზასა, ანუ აიღე: ორი ასთ[ა]რი ხიარი-შამბარი და ჩა-
 [ა]გდე სიქორაგსა ერთსა მულურდოსა წყალსა და ქაქნაჯსა ტფილ-
 სსა, ს[ა]ლდ[ა]მდის დადნეს შიგან, და შეასუი მას. ანუ შეასუი ხიარ-
 ჩამბრი(!) ორი ასთ[ა]რი და არდის წყლითა. ანუ კამის წყლითა ეგ-
 რევე პირველისაებრ. ანუ შეასუი ნ[ა]ხევეარ მიტყ[ა]ლი იარ[ა]ქ-
 ჯი ფეყრა ორსა ასთარსა ხიარი-შამბარსა თანა, ანუ სიქორგითა ერ-
 თითა მულურდოს წყლითა. და თუ იყოს გქანრყუნა ლუიძლისა ბუ-
 ნებისა მაგიერ სიგრილისა და სიკმელისგან, და იყოს მუცელი
 კმელად, მაშა შეასუი სიქ[ა]ნგუბინი და ქ[ა]ევამირი და ვაშყი, რომ-
 ლისგანცა გინდეს, შეასუი ერთი მუტყ[ა]ლი ტფილითა წყლითა.
 ანუ აიღე: ქ[ა]ევამირი და ვაშქი და სიქბინჯი. — თუითო — ნ[ა]-
 ხევეარ ღრ[ა]ქმი, და ნიახურის თესლი და ანისონი, ამათგანი თუი-
 თო — ნ[ა]ხევეარ მუტყლისა წონი, დან[ა]ყენ ერთგან და შეზიდენ
 წყლითა, და შექმენ მარტულად ვითა პილბილი, და შეასუი მისგანი;
 თუ ძლიერ[ა]დ იყოს — ორი მუტყ[ა]ლი, თუ უსუსურად იყოს —
 ერთი მუტყ[ა]ლი, საზომისაებრ ძ[ა]ლისა მისისა და უსუსურობისა
 დასდევე ლუიძლსა ზედა გარეთ. ზოგი მარამა მკურვ[ა]ლი და რბილი,
 რომელი გიხსენო შენ მისგან, რომელი დაუწერა არონს. და
 შეასუი წამლები მაჭუნები, ვითარ[ა]დ: — ღუბადი
 ქურქუმისა და ღუბადი ლაქისა, ამროსია, წამ[ა]ლი იგი, რომელსა
 სახელ-სდებენ კოფი მეფისა ანუ ფანდიკონი, მაჭუნნი ანუ გუა-
 რიშნი ფანდიკონისა, რომლისგანცა შეასუა ზომი მუ- 40

- v ხუდოსა ანუ ზომი || თხილისა კამისა ძირისა წყლითა და ნიახური-
სა, მგებრისა წყლითა, ანუ თფილითა წყლითა საზომსა ზედა.
- და ვახსენო ნასკულობა და სიმსივნე და ქარნი, რომელნი გაბე-
ვენ ლუიძლსა და ნუთუცა წაევიდოს იგი შ[ი]გ[ა]ნ ზედასა ლუიძლსა.
- 5 და ნუთუ წაევიდოს შ[ი]გ[ა]ნ ზედასა ლუიძლსა და ნუთუ წაევიდოს
შიგ[ა]ნ შიგნით ძარლუათა ლუიძლისათა, მაშა ჰყურნე, რომელი იყოს
შიგნით, რომელი იყოს ლუიძლსა, რომლითა გა[ა]მოილოს გას[ა]ხსნე-
ლებითა და იარ[ა]ჭი ფიყრათა, ანუ ქაშტაჩისა ასტამბიკონისათა, ანუ
მარცუალი სიჭმინჯისა, ანუ ზეთი ხ[ი]რვასა, იარ[ა]ჭი ფეკრ[ა]სა თანა
- 10 შესასუმელი, ამ[ა]თგ[ა]ნი — ორი მუტყ[ა]ლი ძრეელ[ი]სათუის, და
უსუსურ[ი]სათუის — უმცროსი.
- და თუ იყოს სიმსივნე ხლდომისაგ[ა]ნ და ანუ გუმულებისა,
მაშა დასდევ ზედა მარამა მურდა საფარიმისა. შ ე ქ მ ნ ა მ ი ს ი . —
ა ი ლ ე : მურდა საფარ[ი]ში წონა ოთხისა დრ[ა]მისა, ალვა და ზაფრ-
15 [ა]ნი, და აბულლარი და დ[ა]რირა მური, და მასტაქი, ამათაგ[ა]ნი
თუითო — სამი დრ[ა]მი, და ცუილნი და მასოსნი, დარზიკის ზეთი
ამათგანი თუითო—სამი დრამი, დან[ა]ყენ კმელნი და დაგ[ა]ლენ, და
შეკრიფენ და და[ა]დნვე ცუილი, რაზომი ეყოფოდეს. სოსნისა ზეთით,
რომე შეიქმნას მარამა[დ]. და და[ა]სხი ზედა რაზიკის ზეთი. მაშა,
20 ოდეს დადნეს, უმ[ა]ტე ზედა წამლები, და და[ა]სხი ზედა მასოსნი.
და მერმე ურიე, რომე შეიზაოს და შე[ი]ქმნ[ა]ს მარამად, მერმე
სცხე ქარტსა ზედა და შემოსდევ ზედა ლუიძლსა. ა ნ უ ა ი ლ ე მ უ-
მია და და[ა]დნვე რაზიკისა ზეთითა, და სცხე ოლ[ი]უიძლსა ზედა. ოდეს
სიმსივნე მისი იყოს გურემულობისაგან დაცემულობისა, მაშა, თუ
25 იყოს სიმსივნე იგი მკურვალად, და ს დ ე ნ მ ა რ [ა] მ ა ვ ა რ დ ი -
ს ა შ ე ქ მ ნ ა მ ი ს ი : — აილე ვარდი ნელი, თუ გეპოებოდის,
და თუ არა — მაშა კმელი შემგბარი ხუთი ასთარი, დაგ[ა]-
ლე და აილე ს[ა]მი კომში და გაქურცენ შიგნით და გარეთ, და შე-
გბოლე ძმრითა, და მერმე დაგ[ა]ლე და შეკრიფე ვარდსა თანა, და-
30 გ[ა]ლე, რომე შეიზ[ა]ოს, და და[ა]სხი ზედა ზეთი ვარდისა, და ვარდის
წყ[ა]ლი ურიე, და აილე სანდ[ა]ლი და ბოკელი, ამ[ა]თგ[ა]ნი თუითო—
ათი დრ[ა]მი, დაგ[ა]ლე, დაცუიე მას ზედა და ურიე, და და[ა]სხი
ზედა მასოსნი, და მერმე დასდევ ლუიძლსა ზედა, და არს ესე მარამა
კარგი, ერგების ლუიძლსა სიუსუს[უ]რესა და სიმკურვლესა მის[ა]სა.
- 35 და ჰყურნე ლუიძლისა წამლებითა შემკრველითა, ვირემდის არა
ნახო შიგა სიკმელე და სიმკურვლე ბოროტი. მაშა, ოდეს ნახო ში-
გ[ა]ნ სიკმე და სიმკურვლე, მაშინ ჰყურნე რომელითა ლბილებითა.
მაშა, ოდეს არა ნახო შიგა სიკმელე და სიმკურვლე, მაშინ ჰყურნე
წამლებითა შემკვრელებითა, და შესასმლები და საცხებლები. და
40 ოდეს იყოს სიმსივნე ლუიძლსა შიგა და მაგიერ სიგრილისგან, მაშა
დასდევ გარეთ მალამა ფილარიოსისი, ანუ მარამა ატ[ა]მბიკონისა,

ანუ მალქამა ფალარიქონისა, ანუ შქარქამა საფრმატუნისა. და დაგუ-
იწერია იგი, სადა გქამოგულისახქეს სტომაქი. და დაეწეროთ, რო-
მელი უხსენებია არონს წიგნსა შიგან მისსა.

|| და თუ იყოს ტყვილი ღუიძლისა შიგა შქაქიერ სიმციარქიხ-
გქან ღუიძლსა აგებულეობისა. მაშა ნუ ჰკურნებ, ჰკურნე! სა-
სომქად-საქამქადითა სუბუქებითა. და ესრეთ მოგუასწავებებს მას
ზედა, ვითა მისი უფალი არს უსუსური მოდნობასა ზედა და თუით
ტანადცა უსუსური. და ჰკურნე სნებასა, გახსნა შქარტივისა, ვით-
არად კუეთა ძარლუისა და გაპებულეობა, რომელ წაეკიდოს ღუი-
ძლსა შიგა წამლებითა შემკრველითა, რომელ მოსწყუედს სისხლსა,
რომელი იგი მიხსენებია თქმულსა შიგქან სისხლის დენისასა და
ერგების მისთუის. — აილე ვარდი კმელი დაგლილი — დრამის წონი,
და შეასუი გრილითა წყლითა, ანუ აილე დქამის წონი ჟულანრი
დაგლილი, და შეასუი ნელ-ტფილითა წყლითა, ანუ შეასუი მურდი
ან აფაშქარჯი და ანუ ბავშარჯი ანუ ავშარჯი გრილითა წყლითა ანუ
შეასუი დიაკოდა, და სცხე ღუიძლსა ზედა გარეთ მარამა იგი, რო-
მელი იქმნების ვარდითა კმელითა. და ცან; ვითა ღუიძლი ისწრქა-
ფის დაწყნარებასა წამლქისასას. პირველ ოდეს წაეკიდოს მას სნე-
ბა. და ცან, უსწრფე აწყნარებს წამალსა სხუათა ასოთა შიგან.
რქაოდენ არს იგი სისხლი სისხლისა, და იქცევის იგი გამოწურვილ-
სა საჭამადსასომადსა, და შებგოლგქის შედეგქად მოადნობს სტო-
მაქსა. და არს ასო ესე ლბილი, მკურვქალი, და ძარლუები ფართოი,
დქაწყნარებს რომელთქავე ძალთა მისთა. მაშა, ოდეს დაძველდეს
შიგქან სნება გქანრყუნისგქან ბუნებისა, ანუ სიმსიენისგქან^ნ || ვერ
შემძლებელ არს გამრთელებად და უფროსა, რომელსა წაეკიდოს
ესე, შეიქმნას მუცელსა მისსქა ყუითელი წყალ.

და ვახსენოთ კურნება ყუითლისა წყლისა. იქცევის წამლები
ყუითლისა წყლისა ზომისაებრ ქცევისა მისისა და კურნება მისი
არს ძნელი და მარცხე. ვერ გასძლებს დაწყნარებასა წამლისასა,
და ერგების ყოველსა ფერსა მისგქან, ოდეს არა იყოს მის თანა
სიმკურვლე ძნელი ქაშთქაქი, რომელ იქმნების საქაბინჯისგქან რო-
ბარზჯითა და ქაქანაჯითა. ანუ შეასუი ალილაგი ყუითელი მულურ-
დოს წყქალსა თანა და ყურძენსა თანა. ესე მაშინ შეასუ, როდეს
მისი მუცელი კმელქად იყოს. ანუ შეასუი სამი ასთქარი ფსელი
თხქათა მულურდოსა წყლითა და ყურძნითა. მაშა, თუ იგი არა ერ-
გოს, შეასუი სძე გარე თხათა და ფსელი მქათი.

მაშა, ოდეს ნქახო სნეულსა შიგა ნიშქანი ხიჯრილისაჲ, და ეწყუ-
რებოდის და აბქოყინებდეს მქაქვედ, და დიდად აშვებდეს საჭამად-
სა და გუიანქად მოიდნობდეს, და ერგებოდქეს მკურვქალი, რომელ
შემოსდებდე ზედა, მაშა შეასუი სიქბინჯი, ანუ გუქარიშნი ირსასი,
ანუ გქატმუხი ძირათა, ანუ ათხირი. მერმე შეასუი სძე გარე თხათა

და მ[ა]თივე ფსელი. მაშა, თუ იგი არა ერგოს, დასწუი, რომელიცა უფრო სარგო იყოს, დაწუა. და ცან მას, რომელი იქმნების კორცსა შიგა და კუთსა, სახელ-სდებენ ბერძენნი ყუითელსა წყალსა¹.

...ვაფი ოფოსი(!). და თქუა არონმან კურნებასა შიგაქნ

5 ტკივილსა ლუიძლისასა. ოდეს ნახო სიმსიენე მკურვ[ა]ლი, თუ წაე-
v კილოს || შიგაქნ ლუიძლსა, და შე[ა]ტყო იგი ნიშნებითა, რომელი მიხსენებია, რომლითა შენ მი[ი]გასწ[ა]ო მას ზედა, და ნახო ტანსა შიგა სის[ა]ქსე და სნეული ძლიერ[ა]დ, და ჰაბუკი და ე[ა]ში მშუნ-
10 დი(!), მაშა გაუხსენ მას ძარლუი ბასალიკე მ[ა]რჯუნენისა კელისა და კათოლიკისა ფესუი გაუხსენ ნებსა გარეთ, რომე და[ა]სუბუქო სისხლი ლუიძ[ი]სგან და წ[ა]ულო იგი სის[ა]ქსე. და მიმბეგებია(!) მრ[ა]ველჳე წიგნსა ჩემსა შიგან, ვითა სიმსიენე მკურვ[ა]ლი, რომელსაცა ასოსა შიგაქნ იყოს, იქმნების იგი შეკრებისგაქნ სისხლისა მის ასოსა შიგა. მაშა, პირველ ოდეს ჰკურნო და სცე[ა]ლო იგი ად-
15 გილ-ადგილ[ა]დ, დენითა სისხლისათა და[ა]სუბუქო.

კურნება მეორე, გახსნა წამალთა გ[ა]ს[ა]ხსნელითა. და ნახო

მას ადგილსთა ასოთა შიგან, თუ იყოს იგი სიმსიენე მკურვ[ა]ლი პირსა შიგაქნ, არა გ[ა]მოვიდეს იგი წამლებითა, რომელნი ჩ[ა]მოს-
წურავენ ბალამსა; და თუ იყოს სიმსიენე იგი სტომაქისა შიგან, არა

20 შევძრ[ა]თ იგი თხევითა, და თუ იყოს სიმსიენე იგი ნ[ა]წლევეთა შიგან, მაშა გუიქმს, რომე გამოვილოთ იგი გასახსნელითა. და ეგრეთე, თუ გამოჩნდის ზედასა ლუიძლსა შიგაქნ ანუ გარეთსა კერძა ზურგისა მისისა, გ[ა]მოვილოთ იგი წამლებითა, რომელ გამოიღებს

25 ფსელსა. და არა გუიქმს ჩუენ შესმა წამლისა რომელი დაულობობს მუ-
ცელსა. და თუ იყოს იგი სიმსიენე კიღურსა ლუიძლისასა და ქუე-
შე კერძა, არა შევძრათ იგი წამლითა, რომელი ჩ[ა]მოიღებს ფსელ-

384 r სსა, განა წამლებითა გასახსნელითა, რომელი მის || მაგიერ მოიღნოს იგი სიმსიენე, რ[ა]ოდენ ჩუენ თუ შევისწრ[ა]ფოთ, მით უწინა მოა-
30 დნოს სიმსიენესა, დავ[ა]მძიმებთ მას ასოსა. განა დავიწყოთ და მო-
ვაქციოთ ნ[ა]მეტრ[ა]ვი იგი, რომელი ჩამოიწურვის მის ასოსა მსიენისა კერძ სხუად ადგილად, დ[ა]ქ[ა]სუბუქოთ ტანი, რომე შეგუეძ-

ლოს კურნება მისი, და ვკურნოთ კულა პირველ გამოჩენასა, ვიდრემდის მიაწიოს წამალი იგი შემკრველები გარეთ და შიგნით. და

35 მით ვიქმთ ამს, რომე დავ[ა]ყენოთ, რომელ არა და[ა]წყნაროს ნ[ა]-
მეტრ[ა]ვი იგი, რომელი იქმნების მას შინა და არა დაუსუსტრდეს. და მერმე მისა შედეგად ურთოთ მათ წამალთა შემკრველთა ზოგი

წამლები, რომელი გახსნის მას ზედას-ზედა. და ვაქციოთ ზედა-ზე-
და, ვითა ნახო სნებისა მოღნობისაგან, ვიდრემდის ჰკურნო ბო-

40 ლოსა მისა მისგაქნვე, რომელი ჰკურნე პირველ, და ეგრეცა ჰქმენ კურნებასა ტკივილსა ლუიძლისასა. პირველ ერთ — მარ[ა]მებითა შემკრველითა, ოდეს იყოს შიგა სიმსიენე მკურვ[ა]ლი. და ურეი

თანა რავე წამალთ[ა]გ[ა]ნ სულნელთა, რომე გაუძლიერო იგი ასო, ვითარად მარამა იგი, რომელი იქმნების პურსა ჩაყრილსა ლეინითა. და შიგან სუმბული და აფსინდი, და სანდალი და ვარდი, და ბალარჯის ფქვილი, და შემოსდევე ზედა რამე, რომელ შეუქრას და გ[ა]უძლიეროს. და კომშის ზეთითა, ანუ ასის ზეთითა, ანუ ქიას ზეთითა, და აკ[ა]მე საკამადი გრილი და სუბუქი ადრე || ამოსადნობელი, ვით[ა]რ[ა]დ: ქაშქის წყალი, სახურეტელი აყიროსა და თათმისა, და ანუ ბალბასა, ანუ სახურეტელი კალნ[ა]ბისა, ანუ მულერდოსა. და ცან, ოდეს იყოს სიმსივნე სისხლისა ძნელისაგ[ა]ნ, და შეასუი, წამალთ[ა]გ[ა]ნ სიქ[ა]ნგუბინი შექნილი კამის ძირითა, და წამ[ა]ლნი, რომელი იქმნებიან ვარდითა და სუმბულითა, რომელი დამიწერია კარსა სტომაქისასა. და ჰყურნე მით, რომლითა დამწიფდებოდეს სიმსივნე იგი. და ნუ კურნებ პირველ[ა]თვე, რომელ გახსნას და და[ა]დნოს ასო. რ[ა]ოდენ ასო ნედლია კიდე, რომელი ნახო ნიშ[ა]ნი მოდნობისა, ჰყურნე წამლებითა, რომელ გახსნის ნასკულობასა და გასწმედს პირსა ძარღუისა. მაშა, თუ იყოს კიღურსა ლუიძლისასა და ქუემოსა ბაგესა მის[ს]ა სიმსივნე, აკრძალე მას გასახსნელსა და საკამ[ა]დთა მათგანი — ქასინი და ჭინჭრ[ი]ს თესლი, ანუ ნიშასტ[ა]კი, ანუ ზოგი წამლები, რომელი იქმნების ნიშასტ[ა]კითა და აფთიმონითა, ანუ ზოგი წამლები, რომელი უძლიერესი არს. მაშა, თუ უნდეს, ოყნა უყავ მით, რომელი უძლიერესი იყოს.

და თუ იყოს იგი სიმსივნე ზედა ლუიძლსა ანუ გარეთ ზურგსა, მაშა ჰყურნე მას წამლებითა, რომელი ჩ[ა]მოიღებს ფსელსა შედგმის, ოდეს შეიპყრობდეს ტკივილი მოდნობასა შიგა. ისგნი(!), სუმბული და მთის ნიახურის თესლი, და ნანახუა და სხვა, რომელი დაგიწერო შენ, რომელნი || ერგებიან მათგანნი. მაშა, ოდეს ნახო ტკივილი და შეისწრაფოს მოდნობასა, მაშა ჰყურნე წამლებითა, რომელი გახსნიდეს ნასკუსა და ჩ[ა]მოიღებდეს ფსელსა, ვით[ა]რად მიხსენებია და გამომისახ[ა]ვეს კურნებასა შიგან სიმსივნისა მკურნალ[ი]სასა, რომელი წაეკიდების ლუიძლსა შიგა, და აყევბის მის თანა ცხრო და ნიშ[ა]ნი, რომელი მიასწ[ა]ვებს ზედა სიმკურვლესა ძნელსა. მაშა, თუ წაეკიდოს ლუიძლსა შიგ[ა]ნ სიმსივნე ფიცხელი და დაძუელდეს შიგ[ა]ნ, და ცან, ოდეს იყოს კიღურსა მის[ს]ა მას თხელსა, მაშა იგი არა გამართელდეს. და ეგრე იტყუიან მეცნიერნი, რომელი ჩუენ გუინ[ა]ხ[ა]ვეს და რა და[ა]რჩომილა მისგ[ა]ნი ერთიცა და უფროს ქ[ა]ცთავანსა, რომელსა ესე წაეკიდოს, შეექმნ[ა]ს მუცელსა მის[ს]ა ყუითელი წყ[ა]ლი. და ერგების სიფიცხესა მის[ს]ა, რომელი იქმნების ლუიძლსა შიგა, ოდეს დაძუელდეს ყოველი წამლები, რომელი გახსნის ნასკულებასა და ძარძუათა(!) და მარაშ[ა]თგ[ა]ნი, რომელ არს ლბილი. და ერგების მისთუის წამლები, რომელნი ერგებიან

სიფიცხესა ტყირბისასა. და ერგებიან სიუსუსურეს ლუიძლ[ი]სასა, ოდეს არა იყოს შიგა სიმსივნე და [ა]რცა ცხროი. ყუელა წამლები, რომელ მიხსენებთან კარსა შიგ[ან] სტომაქისასა, რომელნი ეძიებენ სიუსუსურესა სტომაქისასა, და ოდეს აიღებდეს მას წამალსა, ურთვიდეს თანა ღახლ[ა]ხსა, შეგბოლოს ლუინითა და შემოსდებდეს

5
V ლუიძლსა ეამ-ეამ; და ეამ-ეამ აიღოს იგი || წამალი და დან[ა]ყოს, და ურიოს ცულისა თანა დამდნარსა და ნარდიონ[ის] ზეთითა, და სცხოს ლუიძლსა ზედა. და შეასუი წამლები, რომელ ჩამოიღებდეს ფსელსა და გა[ა]ძლიერებდის ლუიძლსა. და მე დაგიწერო შენ იგი, თუ ღმერთსა უნდეს.

10

შექმნა კუერისა ვარდითა და ლაფთითა, ერგების სიმსივნესა მკურვალსა და ცხროსა!. — ა ი ღ ე: ბერბარისი ოთხი ღრამი და მარ[ა]ვე[ა]ლ-ძარღვის თესლი. ქია და ტაბაშირი, თუითო — ორი ღრ[ა]ში. დან[ა]ყე და გაცარ და შეზილე წყლითა, და შექმენ კუერი, თუითო — ღრ[ა]ში. შესასმელი კუერი ერთი ქაშქის წყლითა და სიქ[ან]გუბინითა.

15

კუერი ტაბაშირისა ცხროსა მკურვლისათვის და სიმსივნისა მკურვლისა და სტომაქისა ტკივილისათვის. — ა ი ღ ე: ტ[ა]ბაშირი ექუსი ღრამი და ვარდი ნედლი და კმელი — ოცი ღრ[ა]ში, და კრილი — სამი ღრ[ა]ში, და ქათირა — ორი ღრ[ა]ში და ზაფრ[ა]ნი — ორი წონა დ[ან]გისა, — დაგ[ა]ლე კარგად და შექენ კუერები ორ-ორი ღრ[ა]ში. შესასმელი მისგან: კუერი ერთი სიქანგუბინითა.

20

კუერი ანისონისა, ხარგო სიმსივნისა მკურვლისა ლუიძლისასა და ცხროს[ა] და გახსნის წ[ა]სკულობასა. — ა ი ღ ე: ანისონი და აფსინდი, და ას[ა]რიონი და ნიახურის თესლი, და ნუში მწარე და მასტ[ა]ქი, და სუმფული და სადაჯი, ამ[ა]თგ[ა]ნი თუითო — ღრ[ა]ში, ლაფთი და საბრი, ამ[ა]თგ[ა]ნი თუითო — ორი ღრ[ა]ში. დან[ა]ყე, დაგალე და შეზილე აფსინდის წყლითა შემგბრითა, შექენ კუ[ე]რი, ვითა პირველ შესასმელი მისგ[ა]ნი: ერთი || კუ[ე]რი უკითა ერთითა

25
38წ
30 სიქანგუბინითა.

კუერი ზ[ა]რევე[ა]ნდოსა ხარგო სიმსივნესა ლუიძლისასა და სიფიცხესა მის[ს]ა და სიმსივნესა სტომაქისასა. — ა ი ღ ე: ზ[ა]რევეანი თხუთმეტი ღრ[ა]ში, და ლაფთი — თორმეტი ღრ[ა]ში, ნიახურის თესლი და ნან[ა]ხუა, და ქია და ანისონი, ამ[ა]თგ[ა]ნი თუითო — ორი ღრ[ა]ში. დან[ა]ყე, დაგალე და შეზილე წყლითა, და შექმენ კუერი — ერთი მუტყალი. შესასმელი მისგ[ა]ნ: კუერი ერთი სიქ[ან]გუბინითა.

35

კუერი აფსინდისა, გახსნის ნასკულობასა ლუიძლისასა სტომაქისა და ტყირბისასა და ცხროსა ძუელსა, და ჩ[ა]მოიღებს ფსელსა. — ა ი ღ ე: აფსინდი და ასარიონი, და ნიახურის თესლი და ანისონი, და ნუში მწარე გამორჩეული, ამ[ა]თგ[ა]ნი თუითო ნაწილი დან-

40

[ა]ყე და დაგაღე, და შეზილე წყლითა და შექმენ კუერები, თუითო მუტყ[ა]ლი, შესასმელი მისგ[ა]ნი ნელ-ტფილითა წყლითა.

კუერი ლ[ა]ქისა, სარგო მისთუესვე. — ა ი ღ ე: ლაქი და ფოა, და ანისონი და ნიახურის თესლი. და აფსინდი და ასრიონი, და ნუში მწარე გ[ა]მორჩეული, და ქუშტი და ასრიონი, და ზარევე[ა]ნდი გრძელი და გამორჩეული, წურვილი ლუფთისა ანუ მისანი ძარღუნი, ამ[ა]თგ[ა]ნი თუითო — ხუთი ღრ[ა]ში. დან[ა]ყე და შეზილე წყლითა და შექმენ კუერები, — თუითო მუტყ[ა]ლი. შესასმელი მისგ[ა]ნი: კუერი ერთი ნელ-ტფილითა წყლითა.

შექმნა ღუბადისა, სარგო სიფიცხესა ძუელსა ღუიძლსა შიგა და ტყირბსა გახსნის ნასკულობასა და ჩ[ა]მოიღებს ფსელსა და და[ა]ჩ-შობს შირიმბა, რომელი იყოს თირკმელთა შიგ[ა]ნ. — ა ი ღ ე: ლაქი და ღოკოი, და მთის ნიახურისა || თესლი და ძირა ქირმ[ა]ნი, და ზანჯაბილი, თუითო — რვა წონი, და ქამაფიტოსი და ზუფა კმელი, თუითო — ოთხისა დანგის წონა, სუმბული — თორმეტი წონა, და ჰინტიანი და რევე[ა]ნდი მრგვალი, თუითო — ღრ[ა]ში, და საბრი — ც[ა]მეტი წონა, და ასრიონი — შუიდი წონა, და ენდრო — თხუთმეტი წონა, და ბალასნის თესლი და სალიხა, და ქია და ყასაბიდარაა, და ქერი, თუითო — ზ'(7) წონა და ნახევარი, გუნდრუკი — ს[ა]ში ღრ[ა]ში და ნახევარი, დარაპილილი და ზარევე[ა]ნდი გრძელი. თუ[ი]თო — შუიდი წონი, და ს[ა]ტკებურ[ი]ს ძირ[ი]სა გამოწურვილი — რვა წონა, და რევე[ა]ნდი და ჯადა, და ათხირი, თუითო — ორი წონი. პილილი და ქუშტი, თუითო — ათი წონა, და სასლიოსი — ს[ა]ში წონი. დან[ა]ყე და დაგ[ა]ღე, დაზილე თ[ა]ფლითა პერულმოკდილითა, რომე შეიქმნას კშირად. შესასმელი მისგ[ა]ნი: ჯულუზის ოდენი ნელ-ტფილითა წყლითა.

შექმნა ღუბადისა უმცროსისა ლაქისა, სარგო სიგრილისათვის ღუიძლისა, სტომაქსათვის, და სიფიცხე, ოდეს იყოს მას შიგა და დაძუელდეს, და გახსნის ნასკულობასა ღუიძლისასა და თირკმელთ[ა]სა. — ა ი ღ ე: ლაქი და ქუშტი, და ბალადარი და თურმუსი, და ულბო და პილილი, და ზ[ა]რევე[ა]ნდი, ამ[ა]თგ[ა]ნი თუითო — ორი წონა. დანაყენ და დ[ა]გ[ა]ღენ კარგად, და შეზილენ თ[ა]ფლითა პერულმოკდილითა, სად[ა]მდის შეხშირდეს. და შეს[ა]სმელი მისგ[ა]ნი: ღრ[ა]შის წონა აფსინდის წყლითა შემგბრითა.

შექმნა ღუბადისა ქურქუმისა, სარგო ღუიძლისა უსუსურობისათვის და ტყირბისა და სტომაქსათვის, და სიფიცხე, რომელი იქმნების მას შიგა, || და ტკივილნი ძუელნი და ყუიფილი წყალი და გახწმდეს ფერსა. — ა ი ღ ე: სუმბული და ზაფრ[ა]ნი და სალიხა. ამ[ა]თგ[ა]ნი თუითო — ორი ღრ[ა]ში, და კილ[ა]მონი და ქუშტი, მური და ფუკა, ამ[ა]თგ[ა]ნი თუითო — დრამი, დაგ[ა]ღენ კარგად და შეზილენ თ[ა]ფლითა პერულმოკდილითა შესასმელი მისგ[ა]ნი

5
10
15
20
25
30
35
387
40
501

ნი; დრ[ა]მის წონა ნიახურის წყლითა და ანისონითა და ქიითა შემგ-
ბრითა.

შექმნა კოფისა, სარგო ბრძანებითა ღ'თისათა, მკერდისა ტკივი-
ლისათვის, ღუიძლისა და კუელისათვის, — ა ი ღ ე: ჩამიჩი გამორ-
ჩეული კარგი — ოცდა ხუთი დრ[ა]მი, ზაფრანი და სუმფული, და
5 სალიხა და კილამონი, ამ[ათ]განი თუითო დრ[ა]მი, და კასბადირარარა
და ფუკა ათხირისა, და კევი ბელეკონისა. ამ[ათ]გ[ან]ი თუითო — ორი
წონი, ქური, ბასდი — ნ[ა]ხევ[ა]რ[ი]ს წონი; დანაყენ და დაგალენ,
და შეზილენ თაფლითა პერულ-მოკდილითა თექუსმეტისა დრამისა
10 წონითა, შესასუმელი მისგან მითვე წესითა, რომე პირველ დაგუ-
წერია.

შექმნა ათანასიასა, რომელი იქმნების მგლისა ღუიძლითა, სარ-
გო ყოვლისა ტკივილისა ღუიძლისასა და მუცლისასა, და წყლუ-
ლობანი, რომელნი იქმნებიან ნ[ა]წლევათა შიგან, და ტყირბისათვის
15 და ტკივილთა ძარღუთა კმელთასა გარეთ, დაფუჩეუბა ტანისა, ოდეს
სტხო ზედა ვითა მარამა; და შეკრ[ა]ვის მუცელსა და გასწყუედს
წეს[ს]ა დედათასა, და ერგების ტკივილსა თირკმელთასა, და ქარნი
რომელნი იქნებიან ქ[ა]ნთელსა შიგა, და კუელისათვის, და ნ[ა]მეტ-
ნ[ა]ვი რომე შეკრბეს მკერდსა შიგა, რომელნიმე სთხვევიან სისხლ-
20 სსა და რბოსათვის, და რომელთა ძარღუთა გაუფ[ა]რ[თ]ო[ვ]დებოდეს,
და მდინარისათვის. ოდეს დ[ა]სლდა ზედა მარამავითა; მით სახელს-
სდევს ამას წამალსა ამით სახელითა, რ[ა]ოდენიცა ვინ შეასუა მის-
განი, განარინოს იგი ღმერთმან ამ[ათ]გ[ან]ი, რომელიცა სკირდეს. —
ა ი ღ ე: ზაფრ[ა]ნი, მური და აფიონი, და თაქუის ყუერი და ღემის
25 თესლი, და ქუშტი და კორდამონია, და ნარქევა და ღუფთის ძირი,
ანუ გამოწურვილი მისი, და მგლ[ი]ს ღუიძლი და რქა თხისა დამ-
წუარი. და სუმბული, ამ[ათ]გ[ან]ი თუითო ათი წონი; და ჩა[ა]გდე
ღუიქნოსა დ[ა]მესა ერთსა, დაგ[ა]ლენ, და რომელი კმელი იყოს,
დან[ა]ყე, და შეკრიფენ ერთგ[ან]ს, დაგ[ა]ლენ, დაქასხი ზედა თქაფ-
30 ლი პერულ-მოკდილი და შეზილე. შესასუმელი მისგან; მუხუდოსა
ოდენი ნელ-ტვილითა წყლითა.

შექმნა ათანასიასა სხუთა სარგო კოლინჯისა ტკივილისთუ[ი]ს და
და უფსამოდისათვის, და გამოსრულისა სისხლისა და საშოისა ტკი-
ვილ[ი]სათვის, და ტყირბისა ტკივილისა და ღუიძლ[ი]სათვის, და
35 სტომაქისა და შეჭირვებისათვის. — ა ი ღ ე: ზაფრ[ა]ნი და თაქუის
ყუერი, და ლიბნე და ნარქევა, პილპილი და აყირყარა, ამ[ათ]გ[ან]ი
თუითო — ოთხი წონა, და ზღუის პერული და ღემისა თეთრისა
თესლი, და ზურუმბ[ა]ლი და დარუნაჯი და თხის რქა მარჯუენა დამ-
წუარი, და სუმბული და ხ[ა]კ[ა]რტ[ი]ს თესლი, და აფრიბუნი, ამ-
40 [ათ]გ[ან]ი თუითო — ორი დრ[ა]მი, დან[ა]ყენ და დ[ა]გ[ა]ლენ კარ-
გად, და შეზილენ თქაფლითა პერულმოკდილითა და იგულე ექუს

თუე. შესასმელი მისგან: ნაქვეარ მუტყალი ნელ-ტფილითა წყლითა.

|| შექმნა ათანახიასა, რომელი შექმნა ახფაღფადისმან, სარგო 388 რ. თ[ა]ვის ტყვილისათვის, და წარეულობა ცნობისა და წყლოუბა(!), რომელი იქმნების ნაწლეეთა დაბნედასა და ქანთიქლითა ტყვილ-სა და უფსმ[ა]დობასა, რომელმ[ა]ნ დაბნიდის მისი უფ[ა]ლი დიდისა-ტყვილისაგან, და ქუემძრომელთა კბენილისათვის და რომელნი სთხევენ შალასა ფირტუისგან. — ა ი დ ე: სუმბული და ასარიონი, დუკო და მთის ნიახურ[ი]ს თესლი, დარაპილპილი და თაქუს ყუე-რი, ამ[ა]თგ[ა]ნი თუითო — ოთხი წონა, და აფიონი და ანისონი, და ლიბნე და შეფის გუირგუინისა, და თივა კაცისა, ძირისა ქერქი, ამ[ა]თგ[ა]ნი თუითო — ექუსი წონა, ზ[ა]ფრ[ა]ნი, მური და ნიახურის თესლი, და ლემის თესლი, ამ[ა]თგანი თუითო — ორი წონი; დან[ა]ყენ და დაგ[ა]ლენ, და შეზილენ თაფლითა პერულ-მოკდილითა, და დაიგულე ექუს თუე. შესასმელი მისგან — მუხუდოს ოდენი.

შექმნა წამლისა ქუშტისა ხარგო სიფიცხბათვის, და ნასკულობისა და სიმხივისა, რომელი იქმნების ღუიძლსა შიგა, ტყირბსა და სტომაქსა, და ქარი, რომელი დ[ა]სქრ[ა]დეს მუცელსა შიგან და ტყვილინი, რომელნი წაეციდებთან დედათა, და დაძუელდეს. — ა ი დ ე: კილ[ა]მონი და სალიხა ორი ასთ[ა]რი, ზ[ა]ფრ[ა]ნი და ზურუმბადი, და სუმბული, ამათგანნი თუითო — დრ[ა]ქმი, ქუშტი — შუიდი წონა, ანისონი და ნიახურ[ი]ს თესლი, და ათხირი და მური, ამ[ა]თგანნი თუითო — ოთხი წონა, ასარიონი — ს[ა]ქმი ასთ[ა]რი. დან[ა]ყენ და დაგ[ა]ლენ კარგად, და შეზილენ თ[ა]ფლითა პერულ-მოკდილითა. და შე ს ა ს მ ე ლ ი მ ი ს გ ა ნ ო: ნახეარ || მუტყალი ნელ-ტფილითა წყლითა.

შექმნა წამლისა ჭინტიანისა, ხარგო სიფიცხბათვის და ქშულობათვის, და ტყვილი, რომელ წაეციდების ღუიძლსა შიგა და სტომაქსა და ტყირბსა, და ტყვილსა თირკმელთ[ა]სა და ცხროსა ძუელისათვის. — ა ი დ ე: ჭინტიანა და პილპილი, ამ[ა]თგანნი თუითო — ათი წონა, და ქუშტი თეთრი, სად[ა]ჭი და სუმბული, და ზ[ა]რევეანდი, ამ[ა]თგანნი — უკია. დან[ა]ყენ, დაგ[ა]ლენ კარგად და შეზილენ თაფლითა პერულ-მოკდილითა. და შე ს ა ს მ ე ლ ი მ ი ს გ ა ნ: დრამის წონა ტეგნის წყლითა შემგბარითა.

შექმნა წამლისა რევეანდისა, ხარგო ყოვლისა ფერისა ღუიძლსა ტყვილისათვის და სტომაქისათვის, და გახსნის, ნასკულება-სა. — ა ი დ ე: რევეანდი და ბერძული აფსინდი ათისა წონა, და გომიზი სარკინოზული, სუმბული და ზ[ა]ფრ[ა]ნი, და ტეგნის თესლი და ნიახურის თესლი, ამ[ა]თგანნი თუითო — ორი წონა, და სადაჯი — დრ[ა]ქმის წონი, და სტ[ა]ფილოვანის თესლი, და საბრი — ხუთი წონი, მური და მუშკი, თუითო — დრამის წონა, და თაქუს ყუე-

რი ოთხი დრ[ა]მის წონი. დან[ა]ყენ და დაგ[ა]ლენ, შეზილენ თ[ა]-
ფლითა პერულ-მოქდილითა. შესასმელი მისგან ი; დრამისა
წონა უღბოსა წყლითა შემგებრითა.

- 5 შექმნა წამლისა რეცქან დითა, ერგების სი-
ფიცხესა ღუიძლისასა ძუელსა დ[ა] ტყირბსა.
და გახსნის ნასკუთა და ერგების ცხროსა ძუელსა და
უსუსურსა სტომაქსა და სიმკლესა, რომელი წაეკიდების სტომაქსა.
- 389 r. სწავლა ღუიძლისა ტყვილისა და ნასკულობისა, ო. რომელსა
ღუიძლი სტკიოდეს, და აქ[ა]მე საქ[ა]მ[ა]დთაგანნი, რომელი სუბუქი
10 იყოს და მოსადნობლ[ა]დ კარგი, და აკრძალე კორცხ და ღუინო. და
ოდეს იყოს მის თანა ცხრო, და თუ წაეკიდოს ღუიძლსა შიგან სი-
ფიცხე, ანუ ნასკულობა, და არა იყოს შიქს თანა ცხრო, და [არცა
სიმკურვლე, მაშა შეასუი წამლები; რომელი გახსნის
ნასკუსა და გააბუამს ძარლეთა ღუიძლისათა. მ[ა]თგან ი: ზერ-
15 ეცქანდი გრძელი და მრგვალი, და ქუშტი, ლაქი და ენდრო, და აფ-
სინდი და ასრიონი. და შეკრიბე, რომელსა მისცემდე, რომლისა
იყოს გემოი მისი მწარე და იყოს შემკრველი, ვითა მისხენებია, რო-
მელნი ერგებიან სიფიცხესა და ნასკულობასა, რომელი იქმნების
ღუიძლსა და ტყირბსა და სტომაქსა. შეასუი, შეგბოლე და დასდე
20 ზედა მალამა ფარიქუმისა და მგზ[ა]ვისი მისი, და ჰქმენსა ჰქ[ა]-
მ[ა]დი მისი, რომელი სუბუქი იყოს და მალედ მოსადნობელი,
და შეასუი ღუინო ძუელი წყალ-გარეული და არა თუ დიდად ძუე-
ლი იყოს; და არქუა, რომე ებნებოდეს(!) უქამით-ჟამ წმიდითა და
ამოთა. და თუ წაეკიდოს ღუიძლსა შიგან სიუსუსურე ძნელი და
25 არა იყოს. თანა სიფიცხე და არცა სიმსიენე, და გეშინოდეს ყუითლი-
სა წყლისაგან და წაეკიდოს მისგან კსნილობა მუცლისა, რომელი
გახსნის სისხლსა და შალალსა, და ანუ სისხლი უდნობელი მგზ[ა]ვ-
სი წყლისა, მაშა ჰკურნე მას წამლებითა სუნლე-
v ნითა(!): მათგანნი — სუმბული და სალიხა შეგ||ბოლე, და შე-
30 ასუი სნეულსა მის წყლისგან მით წამლებითა, რომელ მ[ი]ხსენე-
ბიან, რომელნი ერგებიან სიუსუსურეს ღუიძლსა და სტომაქისასა-
და შეგბოლე ღუინითა და შემოსდე ღუიძლსა და სტომაქსა, და
ანუ დაგ[ა]ლე და გაცარ, და შერიე მასოსანსა თ[ა]ნა ანუ ღუინოსა
თანა, და რაზიისა ზეთსა თანა, და დარირა; და მერმე აღდუღე და
35 აილე მუტყლი წმიდა და მოუსუი მას შიგა და შემოსდე ღუიძლსა
და სტომაქსა, და მერმე აილე იგი ნაძირი, გა[ა]ხმე და დაგ[ა]ლე
დაცუიემისა შედეგად, და შემოსდე ზედა მარამა, რომელ იქნების
ბოკილითა და კომშითა, და რომელ იქმნების ქინძის ყუავილითა. და
აქ[ა]მე ს[ა]ქ[ა]მადი, რომელი გაუძლიერებდეს ღუიძლსა; მათ-
40 განნი — ასკატკისა კორცი და სიქაბ[ა]კი კორციითა, რომელსა თანა
დასნეულებულ იყოს, ყარ[ა]მფული და კილამონი, და მასტ[ა]ქი და

ზაფრ[ანი] (და იყოს სიქაბაჯი იგი უპოხილო), ანუ ზოგიერ ს[ა]ქამ-
[ა]ლი, რომელი იქნების სულნელებითა, და მუზ[ა]ფ[ა]რი ასკატისა,
და პური აფუებული; და ხილთ[ა]გ[ან] — ბროწეული და ბიე; და
სასუმელთ[ა]გ[ან] — მაშა ანუ ლუინო სულნელი და [ა]კრ[ა]ლე
ს[ა]ქ[ა]მ[ა]ლი სქელი, რომელსა გუიანად მოიღნობდეს.

5

და თუ წაეკიდოს განრყუნა ლუიღლსა შიგან და ვერა იქმნ[ა]ს
მისგ[ან] ყუითელი წყალი, მაშა ჰკურნე წამლებითა, რომელმ[ა]ნ
გ[ა]მოიღოს ყუითელი იგი წყალი ფსლითა დიდად და ქამ-ქამად გა-
ს[ა]ხსნელთა; და არა იყოს იგი გას[ა]ხსნელი ძლიერ[ა]დ, რომე 390 r
არა აენოს ლუიღლსა. და გაამრ[ა]კვლოს ბანა აბ[ა]ნოსა შიგა, და დაუ- 10
ზილე ტ[ა]ნი მისი ზეთებითა გამტვართა, და დაუთე ლუიღლსა
ზედა კალნ[ა]ბი დაგლილი და ბ[ა]კრუკი, და დასდეგ ზედა მარმები,
რომელი გამოიღებს ყუითელსა წყ[ა]ლსა. მ[ა]თ გ[ა]ნ ი — მარამა
რომელი იქმნების ზროხათა სკორითა და თხის კურკლითა, და ზოგ-
ნი წამ[ა]ლნი, რომელნი ერგებიან. მასვე შეასუი სძე ველუ- 15
რისა თხისა მრ[ა]კვალსა დღესა უსაქმლოდ და უსუმელ[ა]დ, და
შეასუი ყოველთა დღეთა ორი უკია ფსელი აქლემისა და თხისა —
ერთითა კოვზითა ხალილ[ა]კითა ყუითლითა, დაგლილითა, ანუ კოვ-
ზი ერთი. სუმბული და ნიახურის თესლი და ანისონი დან[ა]ყენ
ერთგ[ან] და გატრენ და შეასუი ფსლითა მით. და ჩანთქ[ა]ს ყოველ- 20
თა დღეთა ორი დრ[ა]მის წონა საქაბინჯი, და შეასუი მისა შედეგად
სძე აქლემთა და თხათა.

ჯაშტაჯი, სარგო ტკივილ[ა]სა ლუიღლსასა, და გახსნის მუცელსა
კარგად. — ა ი ლ ე: თურბუთი დაგლილი (ს[ა]მი დრ[ა]მი, იარ[ა]ჯი
ფეკრა საბრითა შექნილი — ორი დრამი, ს[ა]ყ[ა]მენია — ოთხი 25
დრ[ა]მი, დ[ა]ნ[ა]ყე და დაგ[ა]ლე, დ[ა] თფილითა წყლითა შეზილე
და მისგ[ან] შექმნენ გორგ[ა]ლნი, და შეასუი ორი შესასუმლ[ა]დ.

პატრუკი დას[ა]ჭირებელი. — ა ი ლ ე: ნიახურის თესლი და ს[ა]-
ნძილის თესლი, და პრასის თესლი და ანდრენი მ[ა]რილი, სიქანბინ-
ჯი, თუითოსგ[ან] — ხუთი დრ[ა]მი. დ[ა]ნ[ა]ყე და დ[ა]გ[ა]ლე და შეზი- 30
ლე სიქ[ა]ნგუბინითა, და მისგ[ან] შექმენ პატრუკი ვით[ა]რცა გრკო
და სნეულმან იპურ[ა]ს.

წამ[ა]ლი, რომელი გამოიღებს შავსა ნ[ა]კვ[ა]ლსა. — ა ი ლ ე:
აფთიმონი ბერძელი კაირჯი — ს[ა]მი დრ[ა]მი, მ[ა]რილი — ორი v
დანგი, შამიანდ[ა]ლი — ნ[ა]ხევარ დრ[ა]მი, დან[ა]ყე, და შეზილე სი- 35
ქ[ა]ნგუბინითა, და შეასუას მას, რომელ აშფოთებულიყოს შ[ა]ვი
ნ[ა]კველი, — ორი მუტყ[ა]ლი.

ჯაშტაჯი რევე[ა]ნდისა, ლუიღლისა ტკივილისა და ტყირბისა, და
გახსნის ნ[ა]სკუთა და გამოიღებს ყუითელსა წყ[ა]ლსა სღვით. —
ა ი ლ ე: რევე[ა]ნდი და მური, ქური და სიქაბინჯი, და ვაშკი და ქია, 40
ლუბნი და საბრი, თაკუის ყუერი, ამ[ა]თგ[ან]ი თუითო — უკია, და

505

ჯინტიანა და ფოა, ლუქი და ქუშტი, და პილპილი, ამ[ათგ]ანი — ს[ამ]-ს[ამ]ი უქია, კილ[ამ]ონი — ორი ფერი, ზ[ა]ფრ[ა]ნი და სუმ-ბული — ორ-ორი ღრ[ამ]ი, ნიახურის თესლი და ანისონი, ძირჲ, თუითოსგ[ა]ნ — ღრ[ამ]ის წონა. დან[ა]ყენ და შეზილენ კალნ[ა]ბისა წყლითა, და შექმენ გორგ[ა]ლი, ვითა პილპილი; და შესასუმელი: ორი ღრ[ამ]ი ტფილითა წყლითა.

წამ[ა]ლი კუმას მკრინვისა, გ[ა]ნრყუნილისა ბუნებისათვის და ლუიძლისა სიმხინვისათუბ, და[ამ]ვ[ა]გრებს სტომაქსა და დასწმედს ფერსა. —

10 ა ი ღ ე: ალილ[ა]გი შ[ა]ვი და ქია, თუითოსგ[ა]ნ — ოცდახუთი ღრ[ამ]ი, და ზანქ[ა]ბილი და კილ[ამ]ონი, თუითოსგ[ა]ნ — ათი ღრ[ამ]-მი, პილპილი თეთრი — თოთხმეტი წონა, და ტალის ფ[ა]რა — სამი წონა, და ხოლინქ[ა]ნი — ათი ღრ[ამ]ი, ლუინო ადუღებული, ნ[ა]რ-მუშე — ექუსი წონი, აფსინდი გ[ა]მწურვ[ი]ლი — ხუთი წონა,

15 ლუ[ი]ნო ადუღებული და მასოსნი, რომელ არს შროშნის ლუ[ი]ნო, რაზომნ. შეზილნეს წამ[ა]ლის დანაყენ წამალენი და შეზილენ კარ-გ[ა]დ. და[ა]დგინე მასონითა და ლუინითა ადუღებულთა, და შექმენ მარკულ[ა]დ, ვითა პილპილი და შესასუმელი მისგ[ა]ნი: ორი წონა წყლითა ნელ-ტფილითა.

20 შექმნა წამლისა, რომელი შეიქმნა ასკილაკედოს, და ერგებხს ესე ლუიძლის ტკივილსა და გახსნის ნასკუთა, და ერგებხს წყალსა ყუიოელსა. —

391 r ა ი ღ ე ჟ [ი]ნტიანა და ქამფიტოსი, და ორ ფარისი[ა]ონი და ნია-ხურის თესლი, და შამიანდ[ა]ლი და მდოგუე, გრძელის კიტრ[ი]ს

25 თესლი და ჟ[ა]ვ[ა]შირ[ი]ს ძირი, და ასკოლოკანდრონი და ბეკედი მეფისა, და ენდროი და ველურის ნიახურის თესლი, და ზარეგ[ა]ნდი და გრძელი პილი(!) თეთრი, სუმბული და ყუსტი, და სპ[ან]ძილის თესლი და ლუფთი, და ნაროს თესლი და პიტნა წყლისა, სონიჯი და და ქამ[ა]დ[ა]როსი, და მუშე ტარმაშირისა, თუითოსგ[ა]ნ — ათი

30 ღრ[ამ]ი; დან[ა]ყენ და დაცრენ და შეზილენ თ[ა]ფლითა პერულ-მო-კდილითა, რომე შეიქმნას ვითა თაფლი ქვირი. შესასუმელი მისგ[ა]ნ: წიფლისა ოდენი წყ[ა]ლ-გარეულითა ლუინითა, ესრეთ — ქოჯლინოს, რომელ-ესე არს წამ[ა]ლი დაცდილი.

შექმნა ლუბადისა ქურქუმითა ქალიანოზისა, ს[ა]რგო ძუელთა

35 ტკივილთ[ა]გ[ა]ნ, რომელი იყოს ლუიძლსა შიგან, არს კარგი და გამოცდილი?²

ა ი ღ ე: ზაფრ[ა]ნი თორმეტი ღრ[ამ]ი, და ფოა და მოდასრონი, და დოკო და მთის ნიახურ[ი]ს თესლი, და მური, თუითოს[ა]გ[ა]ნ — ოთხი ღრ[ამ]ი, სუმბული — ექუსი ღრ[ამ]ი, ყუსტი, სალიხა, ათხ[ი]-რი, ბალასნის თესლი, თუ[ი]თო — ღრამის წონი, და ენდროი — ორი ღრ[ამ]ი, და ძირ-ტკბილ[ი]სა გამრწურვილი და კოლიონი, რო-

მელ არს ჯადა, და ლუფთი, თუითოსგან — სამი დრ[ა]მი, ბალას-
ნის ზეთი — ექუსი დრ[ა]მი; დან[ა]ყენ და დაცრენ და შეზილე თქა-
ფლითა პერ[ულ]-მოკდილითა, რომე შეიქნ[ა]ს ვითა თქაფლი კშირი.
შე ს ა ს მ ე ლ ი მ ი ს გ ა ნ : ნიგუზიხ ოდენი თფ[ი]ლითა ერთითა
უქ[ი]ითა ლუ[ი]ნო! შემგბრითა.

5

შექმნა კაშტასა წაშლისა, ხარგო სიფიცხისათუთ, რომელ დაძუ-
ელდეს ძარლუსა შიგან და გახსნის ნასკუთა.—[ა]იღე: ყუსტი და
ლუფთი, და თურმესი და ულბოი, და პილპილი,—ათი-ათი დრ[ა]მი,
დან[ა]ყე და დაგ[ა]ლე, || და შე ს ა ს მ ე ლ ი მ ი ს გ ა ნ : ორი დრ[ა]მი
კოვზითა ერთით ხანდიკონითა შეზავებული, ანისონის წყლითა და
ქიათა და სუმბულითა შემგბრითა. ან უ ა ი ლ ე : რევ[ა]ნდი ორი
დრ[ა]მი, ყუსტი და პილპილი, და ულბოი და ლარის თესლი, და
თურმესი — ორ-ორი დრ[ა]მი კოვზითა ერთითა ხანმიკონითა, ანი-
სონითა. წყლითა სუმბულითა.

v

10

მის თუ ის ვე. აიღე: ყუსტი ორი დრ[ა]მი, და ლაფი—დრ[ა] 15
მის წონა, დ[ა]რაბილპილი — ნ[ა]ხევარ დრ[ა]მი, დ[ა]ნაყე და დაგ[ა]-
ლე, და შეასუი, ვითა პირველ, და ერგების.

აიღე: ყუსტი და ასრიონი, და ჭინტიანა, — თუითო ნაწილი,
დან[ა]ყე და დაგ[ა]ლე. შე ს ა ს მ ე ლ ი : კოვზი ერთი; რომელსა
აქურვებდეს — ნელ-ტფილითა წყლითა, რომელსა თ[ა]ნა იყოს
ჭურვება — თაფლითა ლუინო შემგბრითა ბერძულითა.

20

მის თუ ის ვე. — აიღე: ლიბნე სამი წონა, ყუსტი და მას-
ტ[ა]ქი. გომიზი ნუშისა და კინა, და თარის თესლი გ[ა]მორჩეული,
თუითოსგან — ორი დრ[ა]მი, და პილპილი — დრ[ა]მის წონა, და
აფიონი — ოთხის გურკისა ოდენი, დან[ა]ყე და გაურიე ერთგან,
და შეაფუშრუე ულბოსა წყლითა და შერიე თქაფლითა პერ[ულ]-
მოკდილითა. და შე ს ა ს მ ე ლ ი : დრ[ა]მის წონა თაფლითა ლუი-
ნო-შემგბრითა და ცერეცოს წყლითა ბერძულითა, ქიათა შემგბრი-
თა.

25

30

წამალი, ძარგოი სიფიცხისათუთ, რომელი იყოს ღუიძლსა ში-
გან, და ნასკუთათუთ. შექმნა მისი. — აიღე: თესლი კამისა
თორმეტი დრ[ა]მი, და მთის ნიახურის თესლი და ანისონი, და ნუში
მწარე გამორჩეული. სუმბული და აფსინდი, თუითო — ოცდაათი
დრ[ა]მი, დან[ა]ყე და დაგ[ა]ლე, და ცერი და შერიე თქაფლითა პერ- 35
[ულ]-მოკდილითა, ვირე შეიქმნას ვითა თქაფლი კშირი. და შე-
ს ა ს მ ე ლ ი მ [ი] ს ი : ორი დრ || [ა]მი ხანდიკონითა გარეულითა, ას- 392 r.
რიონის წყლითა და აფსინდითა შემგბრითა.

მის თუ ის ვე. — აიღე: ლუქი, პიტნა, ბოსტინისა და ლაფთი,
დარისინი და ჯადა, ყუსტი და ყარქამფული, პილპილი და ზარე[ა]ნ- 40
დი გრძელი, ქამდრიოსი და სუმფული, ჭინტიანი და ნიახურ[ი]ს-
თესლი, და სპ[ა]ნძლის თესლი — ათი დრ[ა]მი. დან[ა]ყე და გამოზი-

40

ლუ თ[ა]ფლითა და შექენ კშირი. შესასმელი მისგან: ვითა თხილი ინდოური თაფლითა შემგებრითა ღუინოსა თანა.

5 და ერგების გუინიანსა. — აიღე: სამისა გურკისა ოდენი ზერე-
ვანდისა გრძელ[ი]სგან და მრგულისგან, დაგვალე და შეასუი
მისგან იგი, რომელი ვსახსენე, იგი, რომელი შიგან იყოს სნება
ქურვებასა თანა, შეასუი წყლითა, და რომელსა თანა იყოს ქურვე-
ბა — ღუინითა გარეულითა. ანუ შეგბოლონ ხანდიკონი წყლითა და
დაწმდეს მისგან ორი უკია, და შეასუი სამსა დღესა უზმასა და
ერგოს.

10 მარამი ღუიძლისა და სტომაქისა, სიფიცხესა და[ა]ლბობს და
შერ[ა]ვეს მუციელსა, რომელი კმნილ[ა]დ იყოს უსუსურობისაგან
ღუიძლისა. — აიღე: ბოკელი კმელი — ოთხი დრ[ა]მი, და ქია და
და აფსინდი, და საკმელი, თუითოსგან — ორი დრ[ა]მი, მური და
საბრი, შავრ[ი]ნა და ალვა, და კაკია, თუითოსგან — დრ[ა]მის წონი,

15 და ლადნი — ორი დრ[ა]მი, კომში გაქურცნილი ქერქისგან და
გულისა, შემგბ[ა]რი ღუინითა — ექუსი დრ[ა]მი, და დაას[ნ] კუი —
ორმოცი თუალვით, და ცუილი — რვა დრ[ა]მი. ზეთი ნარდისა, ვარ-
დი ეგზომი, რომელ შექმნა მით მარამა. და ჩა[ა]გდე დანასკული და
პური ღუინოსა შიგან, და აიღე კომში გაფრცქუნილი ქერქისა და

v
20 გულისგან, და შეგბოლე ღუინითა, ო ვირე დამწიფდეს. და დან-
[ა]ყე კარგად და შეაზ[ა]ყე დანასკულსა და პურსა თანა, და დაგვალ-
ლე, ვირე შეი[რ]ივნენ, დაადნვე ცუ[ი]ლი ზეთითა და დან[ა]ყენ,
სხუანი წამალნი, და დაცრენ და და[ა]სხი ცუილსა გამდნარსა ზედა
ზეთი და შეკრიბენ ყოველნი ავ[ა]ნსა შიგან და დან[ა]ყენ კარგად,
რომე შეი[რ]ივნენ. და მოსდევ მჩუარსა ზედა და შემოსდევ ღუიძლსა

25 და სტომაქსა ზედა.

მარამი, რომელი ერგების უსუსურობასა ღუიძლისასა, რომელი
მუცილით კსნილ[ა]დ იყოს და გავიდოდეს, ვითა კორცსა ნარცხსა. და
გახსნა იყოს სტომ[ა]ქისგან, და რომელი ჩ[ა]მოიწურვის მის თანა
ნ[ა]მეტრ[ა]ვისგან, რომელი იგი ჩამოიწურვის მისგან თვისგან

30 სხუათა ასოთგან. — აიღე: ბ[ა]ვერუი და ვ[ა]ზის ყუავილი, და
ვარდი კმელი და საბრი, და შ[ა]ბი, კაკია და გუნდა, და ბროწეულის
ყუ[ა]ვილი და აფსინდი, თუითოსგან — სამი დრ[ა]მი. და სუმბუ-
ლი, სოდი და ზაფრ[ა]ნი — ორ-ორი დრამი, დანისკული — რვა
დრ[ა]მი, ცუილი — ოცდათექვსმეტი დრ[ა]მი, და ზეთი ასისა ანუ

35 კომშისა, რ[ა]ჭომი ეყოფოდეს, ვირე შეიკმნ[ა]ს მარამა. და დაგვალე
წამლები ყველა კარგად. მ[ა]შინ და[ა]დნვე ცუილი ზეთითა, მერმე
შერიენ ერთგან და შექმენ მარამა, და შემოსდევ ღუიძლსა და სტო-
მაქსა ზედა.

სხუა მარ[ა]მა. — აიღე: ძირა და ბროწეულ[ი]სა ყუავი-
40. ლი, — თუითოსგან მარ[ა]მას წონა, და ბოკელი იელუსრემული —

ოცი დრ[ა]ში, მური და კაკია, და შაბი იაენი და ლადანი, და საკმე-
ლი, თუითოსგან¹ — ორი დრ[ა]ში, და ცუილი — თორმეტი დრ[ა]-
ში. დან[ა]ყე წამლები კარგა, დადენენ² ცუილი. კომშისა ზეთითა და
გარნაქ!³ წამ[ა]ლნი ერდგან და შეაზ[ა]ბვენ კარგად, რომე შეიქნ[ა]ს
მარ[ა]მად, და მჭურითა დასდეე ლუიძლსა და სტომაქსა ზედა. — 5

|| სხუა წამ[ა]ლი სიმსივნისათვის მჭურვლისა, ოდეს იყოს ღუი- 393 r
ძლსა შიგ[ა]ნ და სტომაქისა კურვება. — ა ი ღ ე: საბრი და საკმელი,
და ვარდი კმელი, სუმბული და ზაფრ[ა]ნი, — თუითოსგან ს[ა]ში
დრ[ა]შის წონი, ცუილი — რვა დრ[ა]ში. აილე წამლები, დაგ[ა]ლუ
კარგად და და[ა]დნეე, და შექმენ მარ[ა]მა და დასდეე ლუიძლსა და 10
სტომ[ა]ქსა ზედა.

მარ[ა]ში, რომელი იქმნების დარსა თესლითა, სიფიცხისათვის,
რომელი იყოს ლუიძლსა შიგ[ა]ნ და ტყირბ[ა]ისა გ[ა]მოჩინისათვის,
წყლესა ყუითლისა. — ა ი ღ ე: დარის თესლი რვა დრ[ა]ში, და ცუი- 15
ლი და რატინა, რომელ არს თეთრი საკმელი, და ცმელი ყურისა,
თუითოსგან — უკია ერთი, და აკინა(!) და ქორი, თუითოსგან —
თუითო დრ[ა]ში, და ვაშკი — ექუსი დრ[ა]ში, და ჰ[ა]ვერუკი — ხუთი
უკია, ზეთი, რომელ მალმასა ეყოფოდეს; დაგ[ა]ლენ, წამ[ა]ლნი, და
ცმელი და ცუილი და[ა]დნეე, და კინა, და შექმენ მარ[ა]ში და იკმ[ა]- 20
რე, ვითა გ[ა]სწავლო, თუ ღმერთსა უნდეს.

მარამა, რომელი იქმნების იელუსრემულ[ა]თა ბოკილ[ა]თა, სარ-
გო სიფიცხისათვის, რომელი იყოს ლუიძლსა და ტყირბსა ში-
გ[ა] და ლუბელ[ა]ისგან, და გახსნის სიფიცხესა და და[ა]დნობს შა-
ლალსა და გ[ა]მოიღებს. — ა ი ღ ე: ბოკელი იელუსრემული ოცი 25
დრ[ა]ში, და გომიზი ნუშისა — თხუთმეტი დრ[ა]ში, ვაშკი და ქორი—
ათ-ათი დრ[ა]ში, მ[ა]კრდი[ა]ნის ზეთი ანუ ზეთი ბერძული, და ცუილი
და დიდური საკმელი — ოც-ოცი წონი, და ცერეცოი და ბაბუნ[ა]-
ჯი, და სელის თესლი და ულბოი, იქლილმ[ა]ლუქი, ყუსტი და ფო-
ხურეი, თუითო — ორი დრ[ა]ში, და ლელუი, და ლიტრა ერთი ღუ-
[ა]ინო, დან[ა]ყენ წამ[ა]ლნი კმელი და ჩა[ა]გდე ლუ[ა]ინოსა შიგან, და

დაყ[ა]ვე ერთი დღე და ერთი დ[ა]მე. მერმე დაწურე და ნაწური მისი 30
ცალკე დადგი. მერმე აილე იგი ბაკილა და დაგ[ა]ლუ ლუინითა, და
შექმენ კუერნი დიდნი და გააქმენ. და აილე ქორი და ვაშაკი, და
ჩაყ[ა]რე ლუინოშიგან და გარიე კუერსა თანა, და შეგბოლუ დანას-
კული ლელუსა თანა ლუინითა, და მერმე დან[ა]ყე, და და[ა]დნეე ცუ-
ილი და გომიზი. დიდოური საკმელი ზეთითა, და შეკრიბე ერთგან 35
და ურიე, რომე შეიქმნას მარამ[ა]დ, და იხმ[ა]რე, ვითა პირველ გას-
წ[ა]ველუ.

მარამა, რომელსა იქმენ შამინაღდ[ა]ლითა(!) ამისგანეე, რომე-
ლი გუიხსენება. — ა ი ღ ე: შამინაღდ[ა]ლი თოთხმეტი დრ[ა]ში, და
თურბუთი და საყ[ა]მუნია, და აფრიბუნი, თუითოსგან — რვა- 40

დრ[ა]მი, და ცერეცოს თესლი და მ[ა]რილი მწარე, და საბრი და ნ[ა]ვ-
 ლელი ზროხისა ინდოური, და სონიჯი და მავიზ[ა]ჯი მთისა, პილპი-
 ლი და ზანჯ[ა]ბილი და, ყუთიელი ალილა და მაზრიონი, და ბალილ-
 [ა]ჯი, თუითოსაგ[ა]ნ — თორმეტი დრ[ა]მი, ქორი და ვაშყი, ქ[ა]ქვ[ა]-
 5 შირი და სიქაბინჯი, თუ[ი]თო — შუიდი დრ[ა]მი, აფთიმონი; ბ[ა]ვ-
 რუჯი და წუნწუმა, თუითო — ც[ა]მეტი დრ[ა]მი, ულბო და ბაბუნ-
 [ა]ჯი, სელის თესლი, თუითო — ათი დრ[ა]მი, და კუქუმბრა და ცუო-
 ლი, თუითოსგ[ა]ნ ათი ასთინი. და[ა]დნვე წამ[ა]ლნი, რომელ კმელნი
 იყუნენ, ზროხისა ერბოთა და ჩა[ა]გდე, რომელი ჩ[ა]საგდებელი იყოს
 10 ლუინოშიგ[ა]ნ, და დან[ა]ყენ, რომელნი კმელნი იყუნენ და
 გაცრენ და დან[ა]ყენ, და გ[ა]ურეინ ერთ[ა]დ, რომე შეიქნ[ა]ს
 მარ[ა]მა. მერმე სცხე ლუიძლსა და სტომ[ა]ქსა ზედა, რომელ გ[ა]მო-
 იღებს ყუთიელსა წყალსა. და ვის უნდეს, რომელ მუცელი გახსნას
 394 v და ვერ შეძლოს წამ[ა]ლის შესმა, იცხოს სტომ[ა]ქსა ზედა და გახსნის.
 15 მარამა აფსინდისა, სარგო, უსუსურობისათვის ლუიძლისა და
 სტომ[ა]ქისა. — ა იღე: აფსინდი და ქია, და სალიხა გ[ა]მორჩეული,
 საკმელი და სუმბული, და ლიბნე, რომელ არს კუქუმბრა, — სამ-
 ს[ა]მი დრ[ა]მი, მური და ბალ[ა]სნის თესლი, ასრ[ი]ონი და მეფის
 გუირგუინი, ზაფრ[ა]ნი და სალიხა ურჩევ[ა]ლი, და ღერი ბალ[ა]სნი-
 20 სა, თუითოსგ[ა]ნ — დრ[ა]მის წონა, ქორი და საბრი, თუითო — ხუთი
 დრ[ა]მი, ცუილი თეთრი — ხუთი უკია; და[ა]დნვე ნარდ[ი]ნის ზეთი-
 თა, დან[ა]ყე და დაგ[ა]ლე წამლები, და შერიე ერთგ[ა]ნ, შექმენ მ-
 რ[ა]მად და სცხე მუცელსა.
 მარ[ა]მა, რომელი შექმნ[ა]ნ ლელუითა, ს[ა]რგო სიფიცხი[სა],
 25 რომელი იყოს ლუიძლსა და ტყირბსა შიგ[ა]ნ და უშუელის — ა იღე:
 ლელუი ორმოცი დრ[ა]მი, ქორი და ვაშყი, თუითო — რვა დრ[ა]მი,
 მუხუდოსა ფქუილი და სპ[ა]ნძილისა ფქუილი, და ულბო და ფქუი-
 ლი, ქისნეა, და თურმუსი, სელის თესლი და მეფის გუირგუინა, ბა-
 ბუნ[ა]ჯი და ცერეცოი დაფქუილი, თუითოსგ[ა]ნ — ს[ა]მი დრ[ა]მი.
 30 ჩა[ა]გდე ლელუი ლუინოსა შემგ[ა]რსა შიგან და დაყავ ერთი ღღე
 და ერთი ღამე, და შეგბოლე, რომე დამწიფდეს; მ[ა]შინ დაწურე
 მისგ[ა]ნ ლუინო და ჩაყარენ, [რო]მელნი წამ[ა]ლნი არიან მას ლუი-
 ნოსა, რომელი ლელუისგ[ა]ნ დაგწუროს, დაგ[ა]ლენ, რომელნი
 კმელნი წამ[ა]ლნი არიან და შეკრიბენ ერთგ[ა]ნ, და დაგ[ა]ლე ბაბუ-
 35 ნ[ა]ქის ზეთითა, რომე შეიქმნას მარამად, და დასდევ ადგილსა მტკი-
 ვანსა.
 მარ[ა]მა, რომელი იქმნებს კორდ[ა]მონი[ა]თა, სარგოი ტკივილ-
 v თა ძუელთა, რომელი იყოს ლუიძლსა და სტომ[ა]ქსა შიგა და
 ტყირბსა; სიფიცხე და სიგრილე, რომელი იყოს მას შიგან.
 40 ა იღე: კორდ[ა]მონია და სუმბული, და ამამა და პილპილი, და
 სალიხა გამორჩეული, გუნდრუჯი და სყირყარა, ქორი და ვაშყი, და

ლუია, მური და კუქუმბრა, და აბილ ბალქასანი, ზქარევექანდი გრძე-
ლი, ლადანი და ყარქამფული, თუითოსგან — ოთხი ღრქამი, ზქა-
ფრქანი — ღრქამის წონა, ასრქონი და ლუია, და ბალასნის ზეთი
და ზროხის ცმელი, თუითოსგან — თუითო ღრქამი, და მწქარისა
ნუშისა გომიზი და ცუილი, თუითო — ათი ღრქამი. დაგქალე და
დაქადნევე ცუილი ნქარღქინისა ზეთითა და იქმქარე, ვითა გასწქაქ-
ლე.

5

მარქამა ხარგო უსუსურობისათუის ღუიქლისა და კურევისა-
თუის სტომაქისა. — ა ი ღ ე: საბრი, აფსინდი და ლუია — ოთხ-ოთხი
ღრქამი, და ვარდი კმელი — სამი ღრქამი, სუმბული — ორი ღრქა-
მი, და ზაფრქანი — ღრქამის წონა; დანქაქე და დაგალე კარგქად,
და დაქასნი ზედა ნარღქინის ზეთი და მასოსნი, და შეაზავე მით
და სცხე სტომაქსა ზედა.

10

მარქამა ჭუნდი ბედასტრისა, რომელ არს თაქუის ყუერი, სქარ-
გო სიმსივნისა ფიცხლიქსათუის, რომელ დაქუელდეს ღუიქლსა და
ტყირბსა შიგა, და ყუითლისა წყლისა შექარებისათუის, და გქამოი-
ღებქს წყელსა. ფსელსა შიგან.

15

[ა] ი ღ ე: თახუსი ყუერი უქია ერთი, და ბალასნის ზეთი და მისი
თესლი, ყუსტი და ჭქავაშირი, ცუილი და ნაძუის გომიზი, ღუია და
მარზანგოში, საბრი, კუქუმბრა და სუმბული, ბალქასნის ღერო და
საკმელი, თუითოსგან — სამი უქია, სოდი და ზარევექანდი გრძე-
ლი. || თუითოსგან — შუიდი უქია, და კინა, ზაფრქანი, და კორდ-
[ან]ონია, თუითოსგან — ექუსი უქია, ცუილი — ოთხი ლიტრა, და
ნარდანის ზეთი — სამი ლიტრა. დანქაქენ, რომელნი კმელნი წა-
მქალნი იყუნენ, და ჩაქაგდე ნელლი ღუინოსა შიგა, ვირე გახსნას
ღუინომან. დაქადნევე ცუილი ზეთითა და შექარბენ ერთგან, და შე-
ქმენ მარამა, ვითქარად სხუანი მარქამქანი, და სცხე ღუიქლსა და
ტყირბსა, და ერგების, [თუ] ღ'ოსა უნდეს.

20

395 r

25

სხუა ნუსხა ღუიქლის ტყივილქისა, რომე დაწერა ბუსით აქი-
მქამან მოქარქინელმან და მისცა გრიგოლს ვარმის შვილსა. კარ-
გქად მოუხდა და გაქამრთელა ღუიქლის ტყივილისგან ორმოცა
დღესა ზედა, და ცალქე-ცალქე დაუწერა. წქამლები, სასმელი და სა-
კმელი, ყოველთა დღეთა ორმოცამდის უნდა უზმიდეს(!).

30

თუ სიმჭურვალისგან ღუიქლი სტკიოდეს, მისი ნიშქანი ესე
იყოს, რომე ზურგი დქამქარქუნა ბეჭი და კელი მძიმედ ედგას, და
მქარქუნესა გუერდსა სჩხუერდეს, სადა წიბოები დაეღევის იმა ად-
გილსა, და მქარქუნესა მქარსა დაწვეს, ერთობ ტყივილი დაუწყოს
გუქერდქან და კიდეცა გაქაცხელოს. ღუიქნო, და რქაცა მჭურვქა-
ლი იყოს, ყუელქამან აწყინოს, და ზქამთრის უფრო უუნდენით(!)

35

40

511

იყოს, ამისთვის რომე რქაგუარცა მოწა ცივი იქნების, აგრევე კაცი
 ცივი იქნების: მას ასრე შქართებს, რომე ზამთრის სასმელი აილოს
 5 ბროწეულის, კოწახუორისა და სიქქანგუბინი, ყოვლთა დღეთა რო-
 5 შიგჯან სიმკურვლისა რომე სწერია, ისე; და ზქამთრისა ესე ქნას. და
 რა გაზაფხული(!) დადგეს, ესე წამლები ქნას ორმოცსა დღესა, რომე
 აწ დავსწერთ, რომე დღიძლი გაქაძლიეროს და სენი გაილოს. და
 ისი სიცხე, რომე დღიძლსა, ზურგსა და გუერდსა შიგჯან არის. სიმ-
 10 კურგქალე გაილოს, და ტქანი დაქალბოს. და გაქასუბუქოს და გულ-
 10 სა ნქავლელი უკუყაროს.

პირველქად სახელი ღქისა ვახსენოთ და მერმე ესე აქარრი
 15 შევექმნქათ და მივესცეთ. — აიღე: წითელი ვარდი სქა-
 15 ში დრქამი, კოწახური ანუ მისი წყქალი — ოთხი დრქამი, აყიროს
 თესლი, თუითოსგქან — სქამი დრქამი, და აქამყი არქაბი, ლერწმის
 20 თესლი და ქუშტის თესლი, თუითოსგქან — ორი დრქამი, ტაპაში-
 რი; თეთრი სანდქალი, — თუითო დრქამი, კმელი ქინძი — ნქახე-
 20 გქარი დრქამი. დანქაქე და გაცარ, და აიღე შირიხიშტი ხუთი დრქამი,
 და თუ შირიხიშტი არ იყოს, მისი სანქაცქლოი, თქარანგუბინი
 და ანუ წითელი შაქქარი ქენ და ამა წამლებშიგქან გქაქურიე. და
 3-6 25 ბაზარქაქტუნისა ლაბა გქაქურიე და კუერები შექენ, გქაქმე, და
 მერმე ხუთსა დღესა აიღე თუითო კუერი ამა ნიშნითა. დანქაქე
 წმიდად და ქიქქაშვიგქან ჩაქსხი. აიღე ბროწეულისა სიქქანგუბინი
 ათი დრქამი, და უნბის სასმელი ანუ ნელოფრისა სასმელი, ერთ-
 3-6 25 მანერჩიგქან გქაქურიე, ორმე გაერთდეს, და მერმე დაქასხი ცივი
 წყქალი ოცდაათი დრქამი და შეასუი. და რა შესუსას, ცხენითა ია-
 როს, და მერმე აბქანოს შევიდეს კუიქრეშიგქან ორქელ — ორშა-
 ბათსა. ანუ შაბათსა, და ხუთშაბათსა, თფილსა წყქალშიგქან ჩა-
 30 ჯდეს და კარგად დაიზილოს, და ბევრი წყქალი დაქასხან, და ოსპი-
 თა და ქერის ფქუილითა ტქანი დაიზილოს. და რა გქამოვიდეს, იის
 ზეთითა ტქანი შემქენ და რა გამოვიდეს, ცხუირთა იის ზეთითე ის-
 უნრს, დაწვეს და თფილქად იყოს. და შუიდ დღე საკმელი მისცეს
 პური სქაფუერიანი და სქაქქამქალი, — ზირაბაჯი ვარიისა უზაფ-
 რანოდ შაქრითა და ბროწეულის მარცულითა. ასქანახი და აყირო
 ნუშის ზეთითა, და პური — ას ორმოცდაათი დრქამი, და კორცი —
 35 ორმოცი დრქამი. საქქამქაქდსა გარეთ ხანი რომე გამოვიდეს, დღინო
 მიეც ერთისა წლისა — სამოცი დრქამი, და იმისი ზომა წყქალი შე-
 ასუი. და თუ მოსწყურდეს, სხუა კარგი სასმელი შეასუი, ასრე რომე
 არ მოსწყურდეს და რა დაიძინოს, საღამოდ ნელოფრის ზეთითა
 ცხუირი დაუზილე. რა ესე წამლები ქნას, მერმე ხუთსა დღესა კარუ-
 40 რა ნახე. თუ გამოჩნდქეს, რომე კარილშიგქან გარბილებულიყოს,
 ანუ გათხელებულიყოს, მერმე შექმენ ესე ვახსნისა

წ ა მ [ა] ლ ი . — ა ი ლ ე : ქაბული ალილა ხუთი დრ[ა]ში, ლავჯ[ა]რ-
დის ქვა გარცხილი — ნ[ა]ხევარ დრ[ა]ში, შაქ[ა]რი — ხუთი დრ[ა]ში, v
დან[ა]ყე, გაცარ და ერ[თ]მ[ა]ნერჩიგ[ა]ნ გ[ა]ქურე, და მე[ე]ქუსესა
დღესა, ცისურისა, ესე წამ[ა]ლი მიეც, და ზედა თ[ა]ფლ-წყ[ა]ლი შე- 5
სუი, და აც[ა]ლე, რომე წამ[ა]ლი გაწმდეს. მერმე შეასუი ჯულბი
თხუთმეტი დრ[ა]ში, ორი დრ[ა]ში ბაზარყ[ა]ტუნი და ცივი წყ[ა]ლი —
ოცდაათი დრ[ა]ში, და პური მიეც ვარიითა, ზომა რომე მეტი არ
ქამოს, და ზირაბჯი ძმრითა და შ[ა]ქრითა.

და თუ გინდოდეს, რომე უფრო გახსნას და
ტ[ა]ნი კარგად გაწმდეს, აიღე: ქაბული ალილა დან[ა]- 10
ცილი და გატრილი ერთი დრ[ა]ში, ოშინდ[ა]რი — ერთი დრ[ა]ში
დან[ა]ცილი, ბარდა (რომე თრინჯ ბ[ა]ლ[ა]ხსა ჰქუიან) და სათრი, თუ-
ითოსგ[ა]ნ — ოთხი დანგი, ანისონი, და ლავჯარდის ქვა, და აფთი-
მონი, კმელი ქინძი, თუითოსგ[ა]ნ — ოთხი დრ[ა]ში, ინდოური შ[ა]ვი 15
შ[ა]რილი და პ[ა]სვიგი, და უსთუხედუსი, ჭამ[ა]ნდრიოსი, ქ[ა]მფი-
ტოსი, თუითოსგ[ა]ნ — ორი დანგი, საყ[ა]მუნია ბიითა შემწუარი ანუ
ვაშლითა — ერთი დანგი. ყუელა დან[ა]ყე, გაც[ა]რ და ერთმ[ა]ნერ-
ჩიგ[ა]ნ გ[ა]ქურე, და ყუელ[ა]სა ოდენი შაქ[ა]რი დან[ა]ყე და გ[ა]ქუ-
რიე, დილ[ა]სა მიეც შუიდი დრ[ა]ში, და ნელოფრისა შესასმელი ოცი 20
დრ[ა]ში თფილითა წყლითა შეასუი და იყოს, რომე გაწმდეს, მერმე
აიღე თხუთმეტი დრ[ა]ში შაქ[ა]რი და ორი დრ[ა]ში ბაზარყ[ა]ტუნი
და გ[ა]ქურე ოცდაათი დრ[ა]ში ცივი წყ[ა]ლი და მიეც. ცოტა ხ[ა]ნი 3:7 r
რა გ[ა]მოვიდეს, პური მიეც || ვარიითა კლებით, რომე სტომ[ა]ქი
სუბუქ[ა]ლ დარჩეს. ნუცა მჟავესა ჰამს, ნუცა ლუინოს სომს. მეორე-
სა დღესა, რომე ცხელგება იყოს კაცსა თანა ანუ წყურვილი, ქერის 25
წყ[ა]ლი მიეც სამსა დღესა, ყოვლთა დილეულ — ორმოცი დრ[ა]ში.
ოცი დრ[ა]ში სიქ[ა]ნქუბინი გ[ა]ქურე ანუ თ[ა]ბ[ა]რჩინდისა სასმელი
და, თუ ერთობ წყურვილი იყოს, ბაზარყ[ა]ტუნი ქენ ამა წესითა,
მიეც ვალმერუქისა თესლი და შანგაროს თესლი, თუითოსგ[ა]ნ — 30
ს[ა]ში დრ[ა]ში. წმიდად დან[ა]ყე და დ[ა]ს[ა]ხი ზედა ორმოცდაათი
დრ[ა]ში წყ[ა]ლი და კარგ[ა]დ გაქენ, და სამოსლითა გაწურე და და-
[ა]სხი სიქ[ა]ნქუბინი ათი დრ[ა]ში, ნელოფრისა სასმელი — ხუთი
დრ[ა]ში სამსა დღესა. და თუ თ[ა]ვი სტკიოდეს, აიღე ხაშხაშისა გო-
მიზი, ნელოფ[ა]რი და ქერის ფქული, და აყაროს თესლი, თუითოს-
გ[ა]ნ — ორი დრ[ა]ში, და თარის თესლი, თეთრის ტუეტის ყუავი- 35
ლი, თუითოსგ[ა]ნ — ერთი დრ[ა]ში; დან[ა]ყე, და ზედა დასდევ და
უშუელოს. და რა ოცი დღე გ[ა]მოვიდეს, ერთსა დღესა მოისუენოს
და სალ[ა]მოდ ებ[ა]ნოს და გულ-ამოდ იყოს. და, მივსცეთ ერთსა
დღესა დილეულ ცოტა საკმელი ვარიითა, ასრე რომე სალ[ა]მოდ
მშიერი იყოს. 40

და რა გათენდეს, ესე მათბუხი მიეც. —

ა ი დ ე: უნ[ა]ბი და ქლიავი კმელი — ათი დრ[ა]მი, და თაბირინდი
 კურკისგან გამოღებული, თუითოსგან — ხუთი დრ[ა]მი, შ[ა]ქვი
 v ალილა — ხუთი დრ[ა]მი, || აფთიმონი, ოშინდარი და კარის-ენა,
 პარნ[ა]მოს ფურცელი, ია, ნელოფარი, წითელი ვარდი, უსტუხუდუ-
 5 სი — შუიღშუიდი დრ[ა]მი, ელერთნ[ი]კი (ე[ა]რდის ქაქ[ა]ქია)' და
 ქაშორის თესლი, და აყიროს თესლი, შანგიარი, პასე[ი]კი, ამლ[ა]ქი
 და ბალილაჯი, თუითოსგან — ორი დრ[ა]მი, ანისონი დ[ა]ა რაზია-
 ნა — თუითო დრ[ა]მი, პიტნა — ხუთი ძირი, ლერწ[ა]მი — ერთი
 ბლუჯი; ყუელა ერთად ქოთანშიგან ჩაყარე და ორი ლიტრა
 10 წყალი დ[ა]ასხი და ცეცხლზედა შემოდგი, და აფთიმონი სამოსელ-
 შიგან წახუე და წაშლესშიგან ჩადე და ადღე, რომე ას ოცდა-
 [ა]თი დრ[ა]მი დარჩეს. მერმე გაწურე და აიღე ხიარი-შამბ[ა]რი კურ-
 კისგან გამოღებული — ხუთი დრ[ა]მი, გაქენ და შიგან გაურე, და
 მერმე გაწურე, და აიღე ლ[ა]ქე[ა]რდის ქვა — ერთი დრ[ა]მი, შ[ა]ქვი
 15 მ[ა]რილი — ერთი დანგი, საბრი სკუტრი, მუყელი აზრ[ა]ყი და ქ[ა]-
 თირა, თუ[ი]თოსგან — ხუთის ქერის წონი, დან[ა]ყე ყუელა და ამა
 წამლებშიგან გ[ა]ურე. აიღე ჭულ[ა]ბი და ნელოფრის სასმელი,
 დ[ა]ასხი ამა მატუხზედა და შეასუი. და რა წამლით გამოვიდეს,
 აიღე ოცი დრ[ა]მი ჭულ[ა]ბი. გ[ა]ურე ორი დრ[ა]მი ბაზრ[ა]ყ[ა]ტუნე
 20 და ოცი დრ[ა]მი წყალი, და მიეც, რომე შეასუას.

მერმე პური აქ[ა]მე ვარ[ი]თა და ბროწეულითა, და ღუიძლ-
 ზედა ესე წამალი დასდევ გარეთ. — ა ი დ ე:
 კაქბის საყუნეტელი, ვარდი ნეღლი ანუ კმელი, თეთრი ს[ა]ნდალი,
 3:8 r ნელოფარი და იქლილმ[ა]ლუქი, თეთრი ყუსტი, თუითო(!) თუითოს-
 75 გან — ოთხი დრ[ა]მი, შუშმის ფურცელი და ქერის ფუქილი, თუი-
 თოსგან — ორი დრ[ა]მი. ყუელა დან[ა]ყე და გაეარ, და ოთხი დრ[ა]-
 მი ბაზრ[ა]ყ[ა]ტუნე გ[ა]ურე მთელი, და ცისკრისა უზმოსა, რ[ა]ქ[ა]მ
 მოგინდეს, ვარდის კაქაქი ან ბაზრ[ა]ყ[ა]ტუნის წყლითა და ქათნის
 კოთიფა გარეთით ზედა დასდევ და უშუელოს.

30 მერმე ოცდაოთხსა დღესა ქერის წყალი
 შეასუი, სამსა დღესა ზედა-ზედა, დღივ(!) ორმოცი დრ[ა]მი,
 და ნელოფრისა სასმელი შეასუი. და რა ორი ქ[ა]მი გ[ა]მოვიდეს,
 ამა ქერის წყალზედ[ა]ნ აიღე ოცი დრ[ა]მი ბროწეულისა სიქ[ა]ნ-
 35 ჯ[უ]ბინი, და დ[ა]ასხი ოცდაათი დრ[ა]მი ცივი წყალი, გაქენ და შეა-
 სუი. და ოცდარვასა დღესა შექენ ესე წამლე-
 ბი. — ა ი დ ე: ქ[ა]ყუნტელი ერთი ბლუჯი, და ან[ა]კუეთი, სამოსელ-
 შიგან გ[ა]მოკრული — ს[ა]მი დრ[ა]მი, მ[ა]ტუკი — სამი დრ[ა]მი,
 ლელუი დაქრილი — შუიდი მ[ა]რკუალი, ია და ნელოფარი, თუი-
 თოსგან — ოთხი დრ[ა]მი, ქერი დან[ა]ყილი და გაკრილი — ათი
 40 დრ[ა]მი. ყუელა ერთსა ქოთანშიგან ჩადე, ზედ[ა]ნ ერთი ლიტრა
 წყალი დ[ა]ასხი და ადღე მუნ[ა]მდინ, რომე ნ[ა]ხევე[არ] ლიტრა

დ[ა]რჩეს. მერმე გაწმიდე და გ[ა]ქურიე წითელი შაქ[ა]რი ოცი დრ[ა]-
მი, და შირბხიტის ზეთი — ათი დრ[ა]ში, და ბორაკი — ერთი დრ[ა]-
ში, ყუელა ერთმ[ა]ნერჩიგ[ა]ნ გ[ა]ქურიე და შუა გაყ[ა]ვ, და მიეც ნ[ა]-
ხევ[ა]რი ერთსა დღესა და ნ[ა]ხევ[ა]რი მეორესა დღესა, მოისუნოს ||
და აბ[ა]ნოს შეიყვ[ა]ნე.

v
5

თუ ამ[ა]ზედა სიმძიმე ჰქონდეს თ[ა]ევზედა ანუ ტანზედა, კათო-
ლიკე ძარღუი გაუხსენ, რომე შ[ა]ვი და სქელი სისხლი გ[ა]ქმოვიდეს.
შეკარ და მეორედ კიდევე გ[ა]ქმოუშუი სისხლი ორჯელვე, ასი დრ[ა]-
მი გ[ა]ქმოუშუი, და მერმე¹ შეკარ. და ოცდაათსა დღესა

10

ესე წამ[ა]ლი ქენ. მოიყვ[ა]ნე წითელი თხები, რომე თუ-
ლები ლურჯი იყოს, და მიეც საჭმელად თივა ელერთნ[ი]კი და აღ-
რინული და კარის-ენა, და რ[ა]ცა გემრიელი ბალახი იყოს, აქ[ა]მე;
და სალ[ა]მოდ თუითო ბლუჯი მოხ[ა]რშული ქერი დაქუყარე, და

15

მერმე მოწუელე ოთხასი დრ[ა]ში და ორ[ა]დ გაყ[ა]ვ². აილე ნ[ა]ხევ[ა]-
რი და ქოთ[ა]ნშიგ[ა]ნ ჩაქსხი. და ჩაყ[ა]რე ორი დრ[ა]ში მარილი და
თხუთმეტი დრ[ა]ში სიქ[ა]ნჩქუბინი, ერთმ[ა]ნერჩიგ[ა]ნ გ[ა]ქურიე. აილე

20

ხუთი შტო ლელვისა (!), რა მოკუეთო, რძე გ[ა]ქმოვა, დადგი ცეცხლ-
ზედა ნელა და ადულე. და აილე ამა შტოებმსგ[ა]ნ ერთი ანუ ორი.
მერმე აილე სამოსელი და ქოთნის პირზედა დასდეე და გაწმიდე, რომე

25

მტურერი არ ჩ[ა]ვიდეს. და ფრთხილად იყ[ა]ვ აღუღებ[ა]შიგ[ა]ნ,
რომე არ გარდმოვიდეს. და ნიად[ა]გ ურევდი ლელვისა შტოთა და
სიქ[ა]ნჩიგ[ა]ნ დასდებდი ქ[ა]მითა. შენთ[ა]ნა რა ამოვიდოდეს, ზედა

30

დაქ[ა]სხმიდი ათსა დრ[ა]მსა და ურევდი. დაქ[ა]სხი ათი დრ[ა]ში და
ოცდაათ დრ[ა]მამდის ასხმიდი. მერმე აილე ცეცხლით, და აილე მ[ა]-
რილი და ორმოცდაათსა || დრ[ა]მსა ზედა ერთი დრ[ა]ში მ[ა]რილი 399 r

35

დან[ა]ყე და ჰუ[რ]ქველშიგ[ა]ნ ჩ[ა]დეე. მერმე რძე ქოთნითა³ მ[ა]რილ
ზედაქ[ა]ნ გაწურე, ყველა ქოთ[ა]ნშიგ[ა]ნ⁴ დ[ა]რჩების, და წუენი ქო-
თ[ა]ნშიგ[ა]ნ ჩ[ა]ვეა. და რა შეიტყო, რომე მ[ა]რილი დადნა და გ[ა]-
ქუერთდა რძე შ[ი]გ[ა]ნ, შეასუი. სამოცი დრ[ა]ში. ათსა დღესა ამა

40

ნიშნითა მისცემდი.

და ოცდაათე ქუსმეტესა დღესა შექენ ესე
სუფუფი. რომე გახსნის. — აილე: შ[ა]ვი ალილა და
ქაბული ალილა კურკისგ[ა]ნ გამოღებული, თუითოსგან — ერთი
მუტყ[ა]ლი, და შანგარის თესლი და კოწახურისა, წითელი ვარდი
და ლუქი, თუითოსგან — ერთი დრ[ა]ში, ელერთნ[ი]კი და ქაშთარის
თესლი, ოშინდ[ა]რი და კარის-ენა, უსთუხუდუს, თუითოსგ[ა]ნ —
ნ[ა]ხევ[ა]რ მუტყ[ა]ლი, ჰურადამჰოს თესლი და ქინძი, თუითოსგ[ა]ნ
— ნ[ა]ხევ[ა]რ დრ[ა]ში, რევ[ა]ნდი, სინი და ლაყვ[ა]რდის ქუა და ან-
სონი, თუითოსგ[ა]ნ — ორი დანგი, შ[ა]ვი მ[ა]რილი — ერთი დანგი
და ნ[ა]ხევარი, და ს[ა]ყ[ა]მუნია და აფთიმონი — თუითო უკია დან-
[ა]ყე, გაცარ და ერთმ[ა]ნერჩიგ[ა]ნ გ[ა]ქურიე. მიეც შუიდი დრ[ა]ში

45

შექარი, გქუერიე შუიდი ღრქამი და აგრე მიეც, და ზედა შეასუი
 ამა რძისგან ასდაათი ღრქამი. ო რ მ ო ც დ ღ ე მ დ ი ს ა მ ი ს
 მ ე ტ ს ნ უ რ [ა] ს მ ი ს ც ე მ . და ს ა ჰ მ ე ლ ი ზ ი რ ბ [ა] ე ი მიეც
 ანუ ქათმის კორცითა, ანუ თიჯნის კორცითა, ზომითა; ნიადაგ უსუ-
 5 ნოს ვარდსა და იასა, სქანდალსა და ნელოფარსა. იმა დღესა, რო-
და იცოდით, რომე ტყირბსა შიგან ძალი აგებულეობისა ოთხნი არიან და არცა ტანსა შიგან ას[....] ასონი არიან, რომე ესე ოთხნი ძალნი არა იყუნენ შიგ[ან] შეკრებულ, მადნობელი და დამკვირ[ა]ვი და გამცემელი ბრძანებითა ღ[ო]თისათა.

და ამას ძალსა რაცა სენი დასქ[ა]რბდების, მის ნიშ[ა]ნსაცა მოგახსენებ. აწ ესე იცოდით, რომ ტყირბშიგ[ან] რაცა სენი შეევა, ექუსისა ფერისგ[ან] იქნების, მისგ[ან] ერთი — ს ი მ ს ი ვ ნ ე, და [შეო-

v
5
10
15
20
421 r
25
30
35
40
539

რე) — ნასკუთა შიგ[ან] ძარლუთა, და არს ესე სნება
პურკლისა; მეს[ამე] — რომე შიგნით, რომე ძარლუი
გაეკუთების; მეოთხედ — შიგნითა ტყირბისა
ძარლუი გაიპობის; მეხუთედ — რომე ტყირბსა ში-
გან წყლული წაეკიდოს, და არს იგი სნება გან-
ქსნა მარტივისა.

v და აწ ვახსენოთ კურნება მისი. დავიწყოთ. || პირველ[ად] კუ-
რნება სიმსივნისა და სიფიცხისა, რომელი წაეკო-
დების ტყირბსა შიგან, ამისთვის რომე დიდი და ბოროტი სატყივა-
რი არის, და სხუცა, რომელიცა სენი შეიქნების მივას მისს[ა]
ბუნებასა ზედან. ოდესცა ნახო ტყირბი მსივნად, იცოლი, რომე
რ[ა]კუარცა გარდაღმ[ა]ნ უნდა წამალი, აგრევე შესასმელიც
გუინდან. ლეიძლსათუის რომე დაეწერეთ, მისგან უფ[რო] ძალიანი
წამ[ა]ლი უნდა ტყირბსა. რა მივიდეს მკურნ[ა]ლი საკურნებლ[ად],
წყნარ[ად] და მეცნიერებით უნდა დაწყება, შეიტყუას ბუნება კა-
ცისაცა და სნეულისაცა და ასოსაცა, შეიტყუას დასტურად, რომე
მელსა ადგილსა და ანუ რა სენი იყოს, მაშინდა დაუწყოს კურნება.
შეიგნეს [. . .], რომელი წამ[ა]ლი უკეთე აშუნდების, ისი უყოს.
და ძალი შეიგნოს სნეულისაცა და წამლისაცა, დღივ და დღივ სინ-
ჯევეს.

იცოლით, რომე ტყირბი სქელი და გრილი არის, და ბრძენი(!)
და მისნი წამალი ყოელი მკურვ[ა]ლი და კმელი არიან და სუ-
ბუქნი, ამისთვის რომე რაცა ტყირბსა სატყივარი დაემართების, არს
მას შიგან სისქე, სიმძიმე და სიგრილე. მისთვის უნდა წამალი ძა-
ლიანი, და უკეთესი წამალი მისი იგი არს, რომელსა შიგ[ან] იყოს
ძალი ნასკუთა გახსნისა. და ზოგთა შიგ[ან] იყოს სიმწარე. და იცო-
ლით, რომე¹ ნასკუთა ტყირბისათა, და ან რაცა სენი არის ტყირბსა
შიგან, რაცა წამალი მწარე არის, ისი გახსნის ნასკუთა და სენსა
ტყირბისასა [. . .].

422 r ...|| მუტყალი ერთსა დღე დამესა ცოტასა ძმარში-
გან და[ა]ლბე და მერმე კელითა გაჭყლიტე, და მერმე კმელი სა-
და[ა]ფისა ფურცელი ძმ[ა]რშიგ[ან] მოადუღეთ, მერმე ესე მუყლი და
უშაკი შიგან გ[ა]ურთეთ და ტყირბზედა შემოსდევით, და თუ იმა
წამალმ[ა]ნ არ უშუელოს და ტყირბი გ[ა]მ[ა]გრდეს, ესე მათ-
ბუხი მუფ[უ]ილი შეუწყევით ასრე, რ[ა]კუარცა
მათბუხებშიგან სწერია. მერმე ამა მათბუხშიგან კმელი ლელუქ და
ბაზრუთი (კიტრის თესლსა ჰქუიან) გამო[ა]დუღეთ, ამისთვის რომე
ამა ტყივლისა შ[ა]ვი იარყ[ა]ნი ჰქუიან. ესე შავი იარყანი ამისთვის
იქნების, რომე ტყირბი სევდისა ს[ა]ხლი არის და უსარგებლო.
ლეიძლი ყუელასა ტყირბისკენ გაგზ[ა]ვნის, და ტყირბი სისუსტის-
გან ვერ მოადნობს, იგი სენ[ა]დ გარდაიქცევის. და ტყირბი გა-

დიდების და გამაგრების ამისთვის, რომე ძალი არა აქვს ისი ავი სისხლი მოიღნოს. მერმე იგი ავი სისხლი ტყიარბისა ძარღუში-გან დაიფანტვის. მერმე, ვითაცა ტყიარბისა ძალი არა აქვს მისითა სისუსტითა, ყოველსა ასოსა შიგან დაიფანტვის. მერმე შ[ა]ქვად იარყნად გარდაიქვევის. ესეცა იცოდი, შ[ა]ქვსა იარაყანსა და ყუი-თელსა იარაყანსა შუა ნიშ[ა]ნი არის.

5

თუ გინდა, რომე შეიტყო შ[ა]ქვია იარყ[ა]ნი და თუ ყუითელიაო, რ[ა]ქგუარცა ესე მათბუხი მუფუიდი შეასუა, და-ხედენ წ[ა]ქვლელსა ტანშიგან. თუ ტყივილი მ[ა]რჯუნით იყოს, იცო-რი, რომე ყუითელი იარყ[ა]ნი ლუიძლზედ[ა]ნ იქნების.

10

|| თუ თ[ა]ქვი სტკიოდეს, დენა შ[ა]ქვი იყოს, იცოდი, სევდისგან არჩის და შავი იარყ[ა]ნი ჰქუიან. მას ქ[ე]ლი გ[ა]ქუხსენ, მ[ა]რცხნით ბასლიყე, და ესე მათბუხი შეუწყევ. —

v

აიღე: ალილა ყუითელი უგურკო ათი მუტყალი, თუ-ითოსგან(!) ათი ღრ[ა]მი, ბასთრა — შუიდი ღრ[ა]მი, კა-რის ყუავილი, ყანტარონი (ამას ჰქუიან, რომე მზისა პირსა გარ-დაერთხვის, წურილი ფურცელი არს და მწუნან), ამ[ა]თგან —

15

ხუთ-ხუთი მუტყალი, ბასე[ა]ქი — ოთხი ღრ[ა]მი, ხარბაყი — ს[ა]მი, ჩ[ა]მიჩი უგურკო — ოცი ღრ[ა]მი, ტყ[ე]მალი — ოცი მ[ა]რცუალი, სინჯიტი — ოცდაათი მ[ა]რცუალი. ინდოური ხურმა — ოცი მარცუ-

20

ალი. ამა წამლებშიგან რაცა დას[ა]ნაყელი იყოს, დან[ა]ყონ და რ[ა]ცა არ დანიყებოდეს, ს[ა]ქმსა ლიტრ[ა]სა წყალშიგან მოადუ-ღონ მ[ა]ნ[ა]მდის, ს[ა]დ[ა]მდის ს[ა]მოც მუტყლად მოიყაროს. მაშინ

ორმოცდაათი ღრ[ა]მი აფთიმონი და ერთი მუტყალი ყ[ა]რიყონი, ერთი მუტყ[ა]ლი თეთრი თურბუთი, ერთი ღრ[ა]მი იარ[ა]ქი ფეყრა [..] | მერმე ესე ყუელა წამლები დან[ა]ყონ, და გაცრან და ამა

25

მატბუხშიგან გ[ა]ქუერიონ. მერმე ათ[ა]დ გაყონ და ათსა ღლესა იმას სმიღენ. ამა² სატკივირისა პ[ა]ტრ[ო]ნსა³ [თუ] ერთობ სუსტ[ა]დ იყოს, ასრე რომე ამა წამლისა ალება არ შეეძლოს, ქასინის წყ[ა]ლი ნედლის

ქ[ა]მის სიქ[ა]ნგუბინითა ან სიქ[ა]ნგუბინი ბუზერი შეასუან. თუ ამა სენისა პ[ა]ტრონსა ერთობ სიმკურც[ა]ლენ სკირდეს, კაპ-

30

რის ყურსი შეუწყევით. ამა ყურსისა წამ-ლები. — მოიღე: კაპრის ძირის ქერქი და აბუყალუ[ა]ნტი, თუ-ითოსგან — ათი ღრ[ა]მი, ისყილი, ყ[ა]ნტრ[ო]ნი — შუიდი ღრ[ა]-მი, გრძელი ზურ || და, სად[ა]ფის ფურცელი, და ვაჩი და სონიჯი,

423 r

თუითოსგან — ს[ა]ქმ-ს[ა]მი ღრ[ა]მი, უში — ს[ა]ნი ღრ[ა]მი. ესე უშიყი ძმრითა დ[ა]ქლბე და გალესე. ესე წამლები დან[ა]ყილი შიგან

35

გ[ა]ქუერი და ყურსები შექენ, თუითო ყურსი — ორი ღრ[ა]მი. თუ-ითოსა ყურს[ა]სა თუითოსსა ღ[ა]მეშიგან სიქ[ა]ნგუბინშიგან გალე-სევდით და შეასმიდით ერთხელ სიქ[ა]ნგუბინისა უსულსა ასმიდით.

თუ ამა სატკივირისა პ[ა]ტრონ³ სუსტად იყოს,

40

541

და არა შეეძლოს და არცა ცხელება იყოს, მოიღე: ოცბი დრ[ა]ში აქლემისა რძე, ერთი დრ[ა]ში შ[ა]ვი ალილა და ორი დრ[ა]ში აფთიმონი, ნ[ა]ხევარი დრ[ა]ში ინდოური მარილი. ესე ყუელა დან[ა]ყე და იმავე რძეშიგ[ან] გ[ა]ქურიე და შეასუი: სი-
5 ქანგუბინშიგ[ან] პური ჩ[ა]უგდე, აქ[ა]მე, და კაქარიცა აქ[ა]მე ძმრი-
თა.

და თუ ამა ტკივილშიგ[ან] ცხელება და ერთოს, ცხელი მას ესე ყურსი შეუწყევით: — გაზმა-
ზუ, რ[ა]გუარცა ყურსებშიგ[ან] სწერია. ანუ ესე ყურსი შე-
10 უწყევით; მისი წამლები.. — აბულ ყალყ[ან]ტი, გაზმაზუ (იმას ჰქუიან, რომე გუნდშიგ[ან] სხუავე გუნდა იღვას), თუბთოს-
გ[ან] — ათი დრ[ა]ში, ქასინის თესლი, ქალალის თესლი (ს[ა]ლღებ[ა]ე-
სა ჰქუიან), თუთოსგ[ან] — ხუთ-ხუთი დრამი. ესე ყუელა დან[ა]ყე
და ყურსად შექენ კამის წუენითა, თუითო ყურსი — ს[ა]მ-ს[ა]მი
15 დრ[ა]ში.

თუ ამა სენის პ[ა]ტრონი ყმაწუილი იყოს და ესე წ[ა]მალი არ მიეცემოდეს, ან ორსული დედ[ა]კაცი იყოს, და ან ასეთისა გუნებისა იყოს, რომე წამ[ა]ლი არ შექამოს, ესე
20 ტლე შეუწყევით და ტყირბზედ[ა]ნ დ[ა]სდე-
ვით; — კმელი პიტნა და ბორა, თუითოსგ[ან] — სწორ-სწორი, უშყი — ექუსი დრ[ა]ში უშყი ძმ[ა]რშიგ[ან] დ[ა]ლბე, და გალესე³,
v ო და ესე წამლები შიგ[ან] გ[ა]ქურიეთ და ტლედ შექენით და ტყირბ-
ზედან შემოსდევით.

და აწ ვიწყოთ ტყირბისა სენთა საკმლისა შეწყობად. და საკმე-
25 ლი მქ[ა]ვე და ტკილი ასრე შეუწყევით. — თუ ხ[ა]რმოდ შექნან, იგოცა მუხუდოთა და ქაბრითა შექნან, ნიახურითა და სად[ა]ფითა შექნან — არგებს. ქასინი, ნიახური და ბოლოკი და მისი ფურცელი და სიფანდან, ესე ყუელა ერთად ზეთის ხილ[ა]სა ზეთითა შექენ, ახულ აბუთალხაზრა ძმრითა შენ[ა]ხული ქ[ა]მოს, და კორცი რომე
30 ქ[ა]მოს, — ჩუილი და კარგი. დურ[ა]ჭი, კოკობი, ქ[ა]ვექ[ა]ვი ხ[ა]რ-
მოდ⁴ შექნილი ზირათა არგებს. ვისცა ესე სენი სკირდეს ესე პური არ [. . .]. დაიქ[ა]რე ფქუილი ლ[ა]იტრა და ნახევარი, და თეს-
ლი ს[ა]ფინდონისა, [ფქუილისა მეს[ა]მედისა ოდენი: და მეს[ა]მე-
დი. კიდევ თესლი კარგად [. . .] დანაყონ და ფქუილშიგ[ან]
35 გაურიონ გაცირილი, და მოზილონ [და გა]მოაცხოონ, რომე გახმეს, და ხილისა აღ[ა]გსა ქ[ა]მდეს, თუ ძმრითა ქამოს[...].

და⁵ ესეცა იქნების, რომე ტყირბი სტკიოდეს, და ფე[რ]ი გაუ-
ყუითლდეს და კელი და ფერკი გ[ა]ქუსივდეს, და კაცსა სისხა ეგო-
ნების, და არ არ[ა]ს სისხა. მეტისა ტყირბისა სიგრილისგ[ან] იქნე-
40 ბის, მას მქურვალი და მწოე საკმელი და ლუინო უშუელის, და ტკილი და მქ[ა]ვე ავად მოუქდების. ამ[ა]ს ასრე უნდა:

მკურველსა და მწოვესა ს[ა]კ[მ]ელსა კ[ა]მდეს, და ლუ[ინ]ოს ს[უ]ემ-
დეს, იარებოდეს ცხენითა და ქუ[ე]ითადცა და კმელსა ლელუსა
ძმრითა და[ა]ლბობდეს და მას კამდეს. და მას ზედ[ან] აბ[ა]ნო და
მუშაობა კარგად მოუკდების.

|| წამ[ა]ლნი ტყირბი[ა]ნი, რ[ა]ცა ნასკუთა გახსნიან და ტყირ- 424 r
სა გა[ა]მართებენ. მ[ა]თ გ ა ნ წ ა მ [ა] ლ ნ ი : ძირი კაპრისა არს, 5
შიგან სიკმელე და გუნდისა ძარღუი არის კმელი და მკურვალი და
ზარივანდი არის მკურვალი და კმელი, და აფსინდი არის კმელი და
მკურვალი, და ველური სპ[ა]ნძილი არის მკურველი და მომწოვო,
და ნედლი დაჯადა არ[ა]ის მკურველი; და ველური ძირა. რომელსა
ჰქუიან კორდამო[ნ]ია, ვაშყი და ასრ[ა]იონი, და წამლები ტყირბისა 10
არიან მრ[ა]ველნი, განა მე გ[ა]მოვ[ა]ჩინე მ[ა]თგან, რომელნი კმა
გეყოფიან, თუ ღმერთსა უნდეს.

მაშ[ა] პირველად ჰკურნე ტყვილისათუის ტყირბისა [გახ]სნი-
თა ძარღუათათა, რომელთა ჰქუიან კათოლიკე, და [...]იფ[ა]ლი და 15
ბასალიკე. და დენა სისხლისა თუ ნ[ა]ხო მის თანა, ადგილი უყავ
წამალთა კმელთა თანა, რომლითა ჰკურნებდე. წამალნი ლბილნი-
ცა, რ[ა]ოდენ ჰკურნებდე, თუ ტყირბს პირველი წამლებითა კმელე-
ბითა მარტოდ ავნო სინედლესა ბუნებბისა, მას რომელ არს ტყირბ-
სა შ[ი]გან, და შიში არის გაკმობად ტყირბი; და არა დაიკიროს წა- 20
მ[ა]ლი და არა გამრთელდეს. და მის თუ ის მარამა, რომელი
იქნების ლელუთა და ვაშქითა, და უღბოთა და ძმრითა, და დადება
ზედა ტფილთა, რომელ იქმნების გურილითა და კალნ[ა]ბის ფურ-
ცლითა, და კაპრის ძირითა, და უმჯობესი რომლითა ჰკურნო ტყირ-
ბი.

ოდეს იყოს სნეული ძლიერად, და აქლემთა ფსელი || და სძე v
მათი, რ[ა]წომი შეეძლოს სმა, შეასუი. და თუ უსუსურად იყოს, 25
მაშინ დაუკლე, და ოდეს ნახო ტყვილი და დაეწყოს მოღნობასა,
და ნახო იგი თხლედ, რომელ გ[ა]მოვ[ა]ლსა(!) წყ[ა]ლსა შიგა, მაშა
ჰკურნე წამლებითა ძლიერებითა და ფიცხლითა, რომე გ[ა]მოიღოს
იგი ლეიძლისგან და ტყირბისა, და მოიქცეს მის კერძ ძალი ბუ-
ნებისა ბრძანებითა ღ[ა]თისათა, და მე გაგონო შენ, თუ ღმერთსა უნ- 30
დეს.

წამალი, ს[ა]რგო სიფიცხისა, რომელ იყოს ტყირბსა და გ[ა]ნკს-
ნის ნასკუთა და ჩ[ა]მოიღებს წოტრასა და ფსელსა, [სახ]ელი ჰქუიან
წამალი სუმბულისა. — ა ი ლ ე : სუმ[ბ]ული და ზარვეჯანდი, და ძირი 35
კაპრისა და ყუსტი, თუითო — ს[ა]მ-ს[ა]მი ღრამი, ზაფრ[ა]ნი —
ორი წონა, ვაჩი და ს[ა]ლინა გ[ა]მორჩეული, თუითო — ო[თხ]ი წონა.
დან[ა]ყე, დაგ[ა]ლუ და შეზილე თ[ა]ფლითა, რომელ [. . .]
დეს ვითა კობრევი. და შესასმელი მისგან: ღრ[ა]მის წონი კაპრის
ფურცლის წყლითა და აფსინდისა შემებრისა წყლითა.

წამალი, სარგო ტყირბისა და ღუიძლისა და ზიმსიენისა და ყუ-
თლისა წყლისა, და სტომაქის ტყვილისათვის, და თირკმელთა, და
გონისა, და კუეღასა ძუელსა, და ქუემძრომელთა ძნელად ნაკ-
ბენსა. და არის სახელი ამისი წამალი ს უ მ ბ უ ლ ი.

5 აიღე: სუმბული, და ყუსტი და სალიხა გამორჩეული, თუი-
თო — ორი წონა, და ამარტა სამი წონა, პილპილი და ნიახურის
425 ოთხი, ვაჩი და ლანდაკოკო, და ირსა და ბალანისა ღერი, ო
ამათგანი — თუითო ღრამი, კაპრის ძირი — ოთხი წონა, ჩა-
მიჩი გემორჩეული გურკისგან — ხუთი წონა; დაწაყე და დაგა-
10 ლე და შეზილე თაფლითა პერულ-მოკდილითა. შესასმელი
მისგან: ორი წონა კაპრის ფურცლისა წყლითა და პიტნითა,
სიქანგუბინითა გარეულითა.

შექმნა და მორძათუისა(1), სარგო საკურნელობისათვის, რო-
მელი იყოს ღუიძლსა და ტყირბსა შიგან, და სიგრილისათვის
15 სქაშოსა, და მეთხისა ცხროსათვის, და კუეღისა ნელლისათვის,
და ტანისა სიმგმუნეარისათვის, გონისა და ასოთა სიფიცხისა-
თვის.

აიღე: უძოვარის თესლი ღრამი და ნახევარი, საყმელი და
ქია და ბალანის თესლი, სალიხა გემორჩეული და მეფის გურიგუი-
20 ნი, ზაფრანი და სუმბული, თუითო — ათი წონა, რევანდი და
ზარეევანდი, თუითო — ოცი წონა და ზურუმბადი და დარუნა-
ჯი, თუითო — ოთხი წონა, ზანჯაბილი და ყუსტი და აფიონი, თუი-
თო — თორმეტი წონა, ყარამფული — ექუსი წონა, კარისძირა,
თეთრი და ვარდი კმელი, თუითო — ექუსი ასთონი, სოდი — ათი
25 ასთონი, საბრი და პილპილი, თუითო — თოთხმეტი ღრამი. დაწ-
აყე და დაგალე, და შეზილე თაფლითა პერულ-მოკდილითა, ვირე
გასქელდეს. და შესასმელი მისგან: ორთ ღრამის წონი
ნელ-ტფილითა წყლითა.

წამალი, სარგო ტყვილისათვის ტყირბისა და ღუიძლი-
v სა. აიღე: ზარეევანდი გრძელი და კაპრიის ძირი, ანუ ფურცე-
30 ლი მისი, თუითო — თორმეტი წონა, და შატრაქი — რვა წონა.
დაწაყე და დაგალე, და შეზილე თაფლითა. შესასმელი მის-
გან: ღრამის წონა სიქანგუბინითა წყალ-გარეულითა. და თუ
გინდეს, გამოზილო ცხარითა ძმრითა და შექმენ მისგან კუერი
და გააქმე ჩრდილსა, და იკმაყე, ვითა გითხარ.

35 შექმნა კუერისა ენდროსა, სარგო სიფიცხისა ტყირბისასა და
ღუიძლისასა და ცხროსა ძუელისა. — აიღე: ენდრო თორმეტი
წონა, და კაპრის ძირის ქერქი, ზარეევანდი გრძელი და ირსა,
თუითო — ორი წონა დაწაყე და დაგალე, და შეზილე სიქან-
გუბინითა, და შექმენ მისგან კუერი და გააქმე ჩრდილსა. შესას-

მელი მისგან: დრამის წონა აფსინდისა წყლითა და კაპრის ფურცლისა.

შექმნა კუერიისა, სარგო მისთუისე. — აიღე: ისკილი შემწუარი და კორდამონია, და ქავაშირი, თუითო — ოთხი წონა, ვაში და ხატმი და თალგმის თესლი, თუითოსგან თორმეტი წონა. დანაყე და დაგალე და შეზილე ძმრითა, და შექმენ მისგან კუერი და გააკმე ჩრდილსა. და შესასმელი მისგან: ორი წონა ნელ-ტფილითა წყლითა.

მისთუისე. — აიღე: შხამი და ისკილი შემწუარი, ქავი- 10
ვიშირი და კაპრის ძირი, თუითო — ხუთი წონა, და ზაფრანი შვი-
ქნილი, რომელსა ჰქუიან ქურქუმი, — ორი და ნახევრის წონა. და-
ნაყე და დაგალე, და შეზილე || სიქიანგუბინითა. და შესასმე- 426 r
ლი მისგან: დრამის წონა ნელ-ტფილითა წყლითა.

მისთუისე. — აიღე: თესლი ფანჯანგოშისა ოთხი წონა, 15
და პილბილი თეთრი, სუმფული, და ვაში, და კაპრის ფურცელი,
თუითო — ორი წონა... დანაყე და დაგალე, და შეზილე ძმრითა,
და შექმენ მისგან კუერი. და შესასმელი მისგან: ორი
წონა საქანგუბინითა.

მისთუისე. — აიღე: ვაში და სუმბულისა ხილი, თუითო — 20
რვა წონა, და კაპრის ძირი და კურტუმი, და ქური და ისკი-
ლი, ყანტრიონი და ისკილი შემწუარი და პილბილი თეთრი, თუით-
ო — ოთხი წონა; დანაყე და დაგალე, და ძმრითა შეზილე, და
შექმენ კუერად. შესასმელი მისგან: ორი წონა.

მისთუისე — აიღე: მური და ყუსტი, თუითო — ექუსი 25
წონა, სუმბული და კაპრის ძირი, ქავივიშირი: და ენდრო და ვაში,
თუითო — ოთხი წონა; ირსა და ჯადა, თუითო — სამი წონა, და-
ნაყე და შეზილე ძმრითა ანუ წყლითა, და შექმენ კუერი შესას-
მელი მისგან: ორი წონა.

წაშალი სარგო ტყვილიქისა ტყვირბისასა და სტომაქისასა, და 30
სიფიცხე ოდეს იყოს მას შიგან, დაიცხროს. — აიღე: ირსა
ექუსი წონა, და კაპრის ძირი — რვა წონა, მური — დრამის წონა,
ჩამიჩი და თალგმის თესლი, თუითოსგან თუითო ნები. დანაყე
და ჩაქადე ძმარსა და წყალსა შიგან, და შეგბოლე კარგად, და და-
წურე. და აიღე მის ძმრისგან ორი უკია და შეასუი სნეულსა მის- 35
გან ორსა დღესა.

მისთუისე. — აიღე: ლელუი და ჩაქადე ძმარსა ცხარე- v
სა, და შუიდი დღე დაყოს, და შეაქამე მისგან ყოველთა დღეთა
სამ-სამი კოვზი, და ახურიტოს მის ძმრისაგან.

ანუ აიღე: ყურფა ოთხი წონა, და სონიჯი: — ორი წონა; 40
დანაყე და შეზილე თაფლითა, და შეასუი ყოველთა დღეთა კოვ-
ზი ერთი.

5 ანუ აიღე: ნიგოზი ნაძუისა, რომელ არა მწიფე იყოს, და აბალული, და შეგბოლე ძმრითა, ვირე ნასამლ[ა]დ მოიყაროს, და შეასუი მის ძმრისგ[ა]ნ ყოვლთა დღეთა, რაზომ შეეძლოს და ძალი ჰქონდეს. ოდეს სუმიდეს, მიწვეს გუერდსა მ[ა]რცხენასა. და აიღე მისგ[ა]ნ ნაწურვი, და სცხეს მკლ[ა]ვისა მ[ა]რცხენასა და და[ა]კარ ზედა ძონძი [. . .] სამსა დღესა.

ანუ დაგ[ა]ლე: კატატოსა თესლი და შე[ზილენ] ძმრითა წყალ-გარეულითა.

10 ანუ აიღე: კაპრის ძირის [. . .] ორი წონა, და ცერეცოს თესლი და ირსა, თუითო ექუსი დრამის წონა, და მლოგუი — ორი წონა, მური — შუიდი წონა. დან[ა]ყენ და დაგ[ა]ლე, და ძმრითა და თ[ა]ფლითა შეზილე, და შესასმელი მისგან: ორი წონა. და სცხე მისგ[ა]ნ ტყირბზედა.

15 ანუ აიღე: ზარევა[ნ]დი ორი წონა, და[ა]გ[ა]ლე და შეასუი შუიდსა დღესა სიქ[ა]ნგუბინითა.

ანუ აიღე: ღაფთი ორი წონა, დაგ[ა]ლე და შეასუი აფსინ-დისა შემგბრისა წყლითა.

ანუ აიღე: ქერქი აყროსა ნედლისა, გა[ა]კმე და დაგ[ა]ლე, და შეასუი მისგ[ა]ნ დრ[ა]მის წონა ძმრითა.

20 ანუ აიღე: ზარევა[ნ]დი და ყუითელი ხალილაგი, დან[ა]ყენ
427r და შეასუი კოვზი ერთი აქლემისა ფსლითა შუიდსა || დღესა, ანუ ნეზუისა თხისა რძითა, ანუ ნელ-ტფილითა წყლითა.

25 ანუ აიღე: ცერეცო და დაგ[ა]ლე, და შეასუი კოვზი ერთი აქლემისა ფსლითა, სიქორგითა ერთითა, და ერგების ყუითელსა წყალსა, შეკრებასაცა მუცელსა შიგან.

30 ანუ აიღე: კაპრის ფურცელი და ვაშვი, და ყანტრონი და ღუფთი, და აბული და ქრთილი გამორჩეული, ამ[ა]თგ[ა]ნი — თუითო ნ[ა]წილი. და შეგბოლე წყლითა და ძმრითა კარგად, და შეასუი სნეულსა ყოვლსა დღესა უკია ერთი, და შემოსდებდი ტფილ[ა]დ ტყირბზედა, და და[ა]სდევცა ტყირბზედა მ[ა]რ[ა]მა ლბილი, რომელ იქმნების ცუილითა და ზეთითა და ბელეკონისა კევითა.

35 ანუ. თუ ნახო სნეული ძლიერ[ა]დ, გაუხსენ ძარლუი ბასი-ლიკე მ[ა]რცხენისა კელისა, ანუ გ[ა]უხსენ ძარლუი იგი, რომელი ნებისა ზურგით არის. ანუ აიღე წყ[ა]ლი მვედელთა, რომელსა ში-გ[ა]ნ რკინა მკურვ[ა]ლი ჩ[ა]დვიან, და შეასუით იგი ტფილად შუილ-სა დღესა ორ-ორი უკია.

40 ანუ აიღე: აყრო წურილი, და გა[ა]კმე და დაგალე, და შეასუი სნეულსა შუიდსა დღესა სიქ[ა]ნგუბინითა. და უმჯობესი წამალი ტყირბისათუის — დაწუა მის ძარლუისა, რომელ მკლ[ა]ვ[ი]სა მ[ა]რცხენისა არს, და ერგებისცა ტყირბსა, *რ[ა]ც არა ტფილი შე-მოსდვა.

ლიმედი, სარგო ნებთა ს[ა]ლთოთა ხიმსივნესა ტყირბისასა და ხიფიცხესა ძუელსა. — ა ი დ ე: ბაბუნ[ა]ჭი და ცერეცო, და სელის თესლი და უღბო, და პოხუერი და კაპრის ფურცელი, და წყლისა ხახუი და აბალული, და კალნ[ა]ბის ფურცელი და ჭაყუნტლის ფურ[ც]ელი, ამ[ა]თგ[ა]ნი — თუითო პეცუში, და ძმ[ა]რი ცხარი; რაზომნი წამალნი იყუნენ — სამი ნაწილი, და შეგბოლე კარგად. და მერმე შემოსდეე ტყირბსა ტფილად. და მერმე დაუზილე ცერეცოს ზეთითა ანუ ბაბუნ[ა]ჭისათა, და დასდეე ზედა მარამა.

v 5

ა ნ უ ა ი დ ე: ლელუი კარგი ოთხი უკია, და ვაჟი და საბრი, ქერი, ამ[ა]თგანი — თუითო უკია, და ჭავიერი და სიქ[ა]ნჭ[უ]ბინი, და უპანი მყრ[ა]ლი, თუითო — ოთხი უკია, და უღბო შემგბარი და კორკლი თხისა. ნეზუისა, თუითო — ს[ა]ქი უკია, და ცხარი ძმ[ა]რი, რაზომი შ[. . .]. დეს. და მერმე ჩა[ა]გლე ლელუი ძმარსა შიგან და სხუანი წამალნი], დან[ა]ყენ, და ჩაყ[ა]რენ ძმარსა შემგ-ბ[ა]რსა ლელუსა თანა, [დანა]ყე ლელუი იგი შემგბრითა მით ძმრითა კარგად, და და[. . .] ამა წამლითა თანა კარგად, ვირე შეიქ-ნას მარამა ს[. . .]. მერმე შემოსდეე ესე მარამა ტყირბსა ზედა ვ[. . .]ბოს, და მოიქცეს მისა აგებულეობასა ზედა, [თუ ღმერთსა] უნდეს.

10

15

შ[ა]რამა ხიფიცხისა დიდისა, რომელი იყოს ტყირბსა შიგან. — ა ი დ ე: ვაჟი. და ქური, და ირსა და ზროხისა ცმელი, თუითო — ექუსი წონა, და კუქუმბრა დ[ა]მდნ[ა]რი და საკმელი, და ჭ[ა]ვაშირი და ბარაზადი, თუითო — რვა წონა, პილპილი — ას ორმოცდაათი მ[ა]რტული, ცულილი და ძივთი კმელი, თუითო — ოცი წონი, შაბი და იემენი, წუმწუბა და მური, თუითო — ათი წონა, და აყირყარა და ძირი კაპრისა, თუითო — ხუთი წონა, ზაფარ[ა]ნი და კარდამონია, ამამა და ნარდანის ზეთი, თუითო || სამი წონა. დაგ[ა]ლე კარგად დ შეზილე ძმრითა ვითა მარამა, და და[ა]სხი ზედა ნარ-დ[ი]ონის ზეთი, და დაგ[ა]ლე, ვირე შე[ე]რიოს ერთად, და სცხე ტყირბსა ზედა.

20

25

428 r

30

მარამა მის თუ ის ვე. ა ი დ ე: კარდამონია და მლოგვი; და აყირყარა და უღბო შემგბ[ა]რი, ამ[ა]თგანი — თუითო ნ[ა]წილი; დან[ა]ყე კარგად და შეზილე ძმრითა და ბერძულითა ზეთითა, და უბრძ[ა]ნე ბანა აბ[ა]ნოსა, და მერმე და[ა]სდეე ზედა მარამა.

ა ნ უ ა ი დ ე: ვაჟი და ქური და მური, — თუითო ნ[ა]წილი, და დაგ[ა]ლე ძმრითა ცხ[ა]რითა, და სცხე ტყირბზედა და დასდეე ზედა შამა [. . .] და გასწყედ, ვირე თუალი დავარდეს; და ოდეს დავარდეს, მეორედ კულ[ა]ვე შემოსდეე ზედა.

35

მის თუ ის ვე მარ[ა]მ ა. — ა ი დ ე: თალგმის თესლი და აყირყარა და კაპრის ძირი, თუითო—ო[თხი] წონა, და კარდამონია—დრ[ა]მის წონა, და ზიბაკი შექნილი] უკია, კირი —

40

ოთხი წონა; დაგქალენ წამქალნი კირისაგან [. . .] დე [. . .]
და შერიე და ზიბაკსა თანა, და მერმე კირი დაქაცუიე ზედა და
დაგქალე, რომელი შევექრიოს ერთქად, და შემოსდევე ტყირბსა.

5 ანუ აიღე: უღზო და მდოგუი, და ბალქირჯის ფქუილი,
ამქათგქანი — თუითო — ნქაწილი. დაგქალე და დაქასხი ზედა
ძმქარი, და შეგბოლე დჷ ურევი, ვირე შეიქნას მარქამი და დას-
დევე ტყირპზედა.

10 მისთუისევე. — აიღე: ლელუი კარგი ათი და ჩაყარე მმარ-
სა ერთსა დაქამესა, და მერმე შეგბოლე კარგად, და წასწურე ძმქა-
რი, და იგი დანქაყე კარგად. მერმე აიღე მისი წუენი და ქაქპრი
დაგლილი, და შერიე ლელუსა თქანა, და უბრძქანე სნეულსა — შე-
ვიდეს აბქანოს და ჩაჯდეს || წყალსა ტფილსა შიგან, და მერმე
V იცხოს იგი მარამა. და შეგბოლე ძმქარი და ლუინო, ვირე შეკშირ-
დეს, და სცხე სტომაქსა.

15 ანუ აიღე: პოხუერი და სელის თესლი, ანუ უღზო და ბა-
ლარჯის ფქუილი და შეგბოლე მქათგქანი, რომელი გინდა ძმრითა,
და სცხე ტყირპზედა.

20 ანუ აიღე: ლელუი და შეგბოლე ცხქართა ძმრითა, და და-
ნქაყე კარგად, და აიღე ვაშუი და ქური, და კაპრის ძირი და მაზა-
რქიონი, ამქათგქანი — თუითო ნაწილი; დანქაყე და დაგქალე,
და შერიე ლელუსა თანა, და დაქაქარ ტყირბსა ზედა.

25 მარამა, რომელსა ჰქუიან სქახელი ადაბქ...].
— აიღე: გომიზი, რომელი გამოესხმის მუხასა და კარ[. . .]
არი, რომელსა არ ცემულიყოს წყქალი, ლიტრა ერთი [. . .]. გო-
მიზი იგი ჩადევე წაფთა და ცეცხლთა ზედა დადგი, [. . .] დნეს.
მერმე დაგქალე კირი, დაქაცუიე ზედა, და შერიე ერთად და
[. . .] უი მჩუარსა ტფილქად და დაქაქარ ტლირპზედა და
შეინქახოს ერთ ქქამ, მერმე ჩქამორცხოს.

30 მქარქამა სხუა, სიმსივნობა ტყირბისა და წყლისა ყუითლისა და
სტომაქისა ბერვთა, და ტყივილიქისა საზარდულისასა და ძუეღლიქ-
ისა ნაქრთქისასა. — აიღე: ცუილი და გომიზი ნაძუისა, და ძივთი
კმელი და შაბიემქანი, ამარტა და კირი, რომელსა წყქალი არ ცემუ-
ლიყოს, მური და ზიბაკი, თუითო — ორი უქია. დაგქალე წამლები;
და ზიბქაქი ძმრითა დანქაყე კარგქად, მერმე, და შერიე ერთქად, და
35 დაგქალე კარგქად ვირე შეკშირდეს ვითა თქაფლი. მერმე შემოს-
დევე ტყირბსა, დაქადნვე ცუილი ზეთითა, დაქასხი და იქმოდი ეგრე.

429 r || მარამა, რომელი ეგრეების ყუითელსა წყალსა და ტყირბის
ტყივილსა. — აიღე: ცუილი და ვაშუი, და ბელეკონის კევი, —
თუითო უქია, და მქარზქანგოში — ოთხი დრქამი, და ირსა — ორი
40 წონა, ქქაქქაქშირი და ზროხის ცმელი, და ანისონი და წანახუა, და
ზროხის ნქაქდელი, თუითოსგან — ორი წონა, და სელის თესლი —

ხუთი წონა, პილპილი — ოთხი წონა, და ულბო — ხუთი წონა, და
თაფლი — ოთხი წონა, და ღვინო დიდად ძნელი — უკია ერთი. და
დაქაღნვე ცუილი ბერძულითა ზეთითა ძუელითა, რაზომად წამ[ა]-
ლი გაიდგინებოდეს, და გა[ა]ტვე ღვინო თ[ა]ფლითა და ჩ[ა]ერთე
კევი ბელეკონისა, და ცმელი დაქაღნვე, თანა სხუანი წამ[ა]ლნი და- 5
გ[ა]ლენ კარგად, მერმე შექმენ მარა[მა], დააკ[ა]რ მუცელსა და ტყირბ-
სა ზედა.

მ ი ს თ უ ი ს ვ ე . — ა ი ღ ე : ზეთი ლიტრა ერთი, და ცუილი —
ოცი დრ[ა]მი, წუმწუბა და ბავრუკი და შაბიემანი, თუითო — ს[ა]მი 10,
უკია, და ბერძული ზეთი, რაზომისგან შეიქნებოდეს მარამა. და
დაქაღნვე ცუილი და ზიფთი ზეთითა, და სხუანი წამ[ა]ლნი დაგ[ა]-
ლენ და დაქ[ა]სხი ზედა, და შექმენ მარამა და სცხე ტყირბს ზედა.

მარა[მა] ასფილფიდისა, ზ[ა]რგო ყოვლისა ტყივილისა ძუელისა,
რომელი იყოს ტყირბსა და სტომაქსა შიგა. — ა ი ღ ე : ზიფთი ნელ- 15
ლი — ოცი წონა, და ცუილი და ძუის(!) გომიზი, ბ[ა]ერუკი და წუმ-
წუბა ყუითელი, თუითო — ლიტრა, და მავიზაჯი და აყირყარა, თუი-
თო — ოთხი უკია, და ძმრისა თხლე, დამწუარი ნახევარ, ქილაჯი
და ურფი; ქილ[ა]ჯი — ერთი, დაბარზადი — შუიდი წონა. და წამ-
ლები დაგ[ა]ლენ კარგად, და მერმე || დაქ[ა]სხი ზედა ღვინო ძნელი, v
და დაგ[ა]ლენ თანავე. დაქაღნვე ცუილი და ზიფთი ზეთითა, რ[ა]ზო- 20
მიცა მარა[მა] შეიქნებოდეს, და შერიე ერთად და კურნე მით.

მ ი ს თ უ ი ს ვ ე . — ა ი ღ ე : ვაშყი და ჩაქაღნვე ძმარსა, და გ[ა]უ-
შუი, რომე გადნეს, მერმე სცხე ტყირბსა ზედა, და ზედა ბამბა და-
[ა]კარ.

ა ნ უ ა ი ღ ე : ქაკუნტელი და შეგბოლე ძმრითა, მერმე გამოი- 25
ლე ძმრისგან და დან[ა]ყე, და დაქ[ა]სხი ზედა ერბო ფურთა და
შემოსდევე ტყირბსა ზედა.

ა ნ უ ა ი ღ ე : კალნ[ა]ბი და შეგბოლე ძმრითა ცხ[ა]რითა, და
შემოსდევე ტვილი ტყირბზედა. და აიღე იგი კალნ[ა]ბი, დან[ა]ყე, და 30
დაქ[ა]სხი ზედა ერბო. და [დაგა]ლენ, ერთგან, და დასდევე სიმსივნესა
ზედა, რომელი იყოს ტყირბსა ზედა ანუ სტომაქსა.

ა ნ უ ა ი ღ ე : აყიროს ფურცელი და შეგბოლე ძმრითა, და მერ-
მე დაქერ, და დაქ[ა]სხი ზედა ერბო, და აღუდე, და დასდევე სიმსი-
ვნესა ზედა.

შ[ა]რ[ა]მა ტყირბისა ტყივილისა, გ[ა]მოცდილი. — ა ი ღ ე : კირი 35
შემწუარი, უწყლო, და აყირყარა, და არჯასპი, თუითო — ნახევარ
უკია, და ქ[ა]პრის ძირისა ქერქი — ერთი უკია. დან[ა]ყე და დაგ[ა]-
ლენ, და ზედა დაქ[ა]სხი ლიტრა ერთი თ[ა]ფლი და ცოტა ძმ[ა]რი
ცხარი, რ[ა]ზომი იყოფოდეს. მერმე შერიე ერთგან და დაქ[ა]კარ
ტყირბს[ა] ზედა ძონძითა ზომასა ზედა ტყირბისასა, და ეკრძაღენ 40
მუცელსა და ღუიძლსა, რომელ არა მისწუდეს. მაშა, თუ ნახო. სნე-

ული ძლიერად, დავო ზედა ე[ა]ში ერთი, და თუ უსუსურად იყოს, დავოს ნ[ა]ხევარ ე[ა]ში.

430 r || მარამა, სარგო ტკივილი[ი]სა ტყირობისა, და ასომს წყურილსა.

5 — ა ი ლ ე: ბალ[ა]რჯის ფქუილი, გამოზილე იანბუთისა გამოწურე-
ლითა და გასწყედ, ვირე აფუვდეს. და მერმე დან[ა]ყე ძმრითა და
შეგბოლე, და დაასხი ზეთი ცერეცოისა და მცირედი ბ[ა]ვრუეი დაგ-
ლილი. და ურევდი და დასდევე ტყირობსა ზედა.

10 შექმნა კუერისა ფიკრასა, რომელი შეიქნების კაპრითა, ტყირობ-
სა. — ა ი ლ ე: ქერქი კაპრის ძირისა ოთხი ასთინი, და ზარევეანი
გრძელი — ორი ასთინი, და ვაშეი — ოთხი ასთინი, დან[ა]ყე და
დაგ[ა]ლე, და შეზილე ძმრითა და შექმენ კუერი. შესასმელი მის-
გან დრ[ა]ქმის წონა სიქანგუბინითა.

15 შექმნა კუერისა, ტკივილისათვის ტყირობისა, — ა ი ლ ე: ირსა
ოთხი წონა; და პილილი თეთრი და სუმფული, და ვაჩი, თუითოს-
გან — ორი წონა, დაგ[ა]ლენ წამალნი, ჩა[ა]გდე ვაშეი ძმარსა, რა-
ზომი დაფაროს. მერმე დაგალე და შერიენ თანა წამალნი დაგლილნი,
და შექმენ მისგან კუერი, და შეასუი დრ[ა]ქმის წონი სიქანგუბინი-
თა. და თქუა: ვინ ესე წამალი შექმნა? შეეასუი სამსა დღესა წამ-
20 [ალი] ესეთელსა, და მაშინ გ[ა]აბეს მუცელი მისი და არა პოეს მას
შიგან ტყირობი.

ლბ. [პარი ოცდა მეთორმეტი]

სახელითა ღ'თისათა დავიწყოთ ნაწლევი, და აგებულეობა
მისი და საქმენი მისნი, და თუ რ[ა]სთენ ფერი არის კსნილობა მუც-
Y ლისა, || ანუ წყლულეებ[ა]ნი, რომელ წაეკიდებიან ნ[ა]წლევთ[ა] ში-
25 გ[ა]ნ, ქცევ[ა]ნი და ტეხანი და ტკივილნი მისნი, და ნიშ[ა]ნი მისნი,
და მიზეზნი მისნი, რომელნი იქმნებიან ნ[ა]წლევთა შიგან, და ნიშ-
[ა]ნი კსნილობისა და წ[ა]მალნი მისნი ყუელა ამა კარსა შიგან სწე-
როსა.

30 და შეექნების მუცელსა კსნილობა ოთხისა ფე-
რისა გ[ა]ნ (თუცა მრ[ა]ველნი არიან, მაგრა თ[ა]ვი ოთხი არის),
მისთვის რომე კსნილობა მუცლისა იქნების სტომ[ა]ქისგან ანუ
საგურკველი[ი]საგან, ანუ იყოს ძ[ა]ლითა უსუსურობისათვის. ამა
ოთხთა ძალთ[ა]გან, რომელნი იყუნენ ამათ ადგილთა, ისი ძ[ა]ლი
რომელიმე მოუსუსურდების და მისგან იქნების. ძალნი ესე არიან:
35 ძალი შემკრებელი, დამჭირველი, მამდნობელი, და გამცემელი. თუ
ესე ოთხნი ძალნი თუითოსა შიგან სწორ[ა]დ არიან, კაცი უსენოდ
იქნების; და თუ მოუსუსურდების, მუცლისა კსნილობა შეექნების.
ერთი მისგანცა იქნების, რომე ნ[ა]წლევიგან წყლული რამე შე-
ექნას, ანუ გ[ა]მოებ[ა]ს რამე ნ[ა]წლევთა შიგან. წყლული რომე

შეიქნას — ერთი მკურე[ა]ლ[ი]თა და ცხართა საკმელა[ა]ქან იქნე-
 ბის, ერთი მეტისა ქ[ა]მისგან, ერთი წამ[ა]ლთა სიფიცისგან. და
 თუ იყოს სტომ[ა]ქსა შ[ი]გან, ისი წყლულისა მ[ა]გიერ იყოს, ამის-
 თუის რომე იარების შიგან და დაფრეწს სტომ[ა]ქსა და სადასა რაცა
 მას შიგან იყოს, გასულთ დამწუარა იგი კარსა სტომ[ა]ქსასა და 431r 5
 იქნების სტომ[ა]ქსისა უსუსურობისგანცა. და სილბო, რომელი წაე-
 კიდების მას შიგან გ[ა]ნრყუნისგან სიგრილისა და სინედლისა-
 გან და მობრუნდეს მას შიგან, რომელ დაიქ[ი]რვილდეს საქ[ა]მ[ა]ლ-
 სა მის მაგიერ, რომელ შეკრბების სტომ[ა]ქსა შიგან ნამეტ[ა]ვისა
 არეულებისგან, ბალმისა, ანუ ნ[ა]მეტ[ა]ვისა ავისა და სქელისა 10
 ბალმისგან, რომელსა ჰქუიან შეთლა-ქ[ა]ლბი. და ჰამდეს ერთობ
 და გ[ა]სვიდოდეს ერთობ. ესე მ[ი]სგან იქნების, რომე სტომ[ა]ქი და
 ნ[ა]წლევენი დაუღებვიან და შეექნების გ[ა]ლესილად. ესე იქნების
 მისგან, რომე მრ[ა]ნ[ა]ლგერ უნდოშ[ა]ლ გ[ა]ვიდოდეს, და იქნების ესე
 მეტისა ქ[ა]მისგან. და რა ჩაყ[ა]როს კაც[ა]ნ მრ[ა]ნ[ა]ლი საკმელი 15
 და დახუდეს სტომ[ა]ქი უსუსური, და ვერ დაადნობს საქ[ა]მადსა,
 მერმე მ[ო]უძღლებს ძალი გამცემელსა და ანუ არწყევინებს, ანუ ქუე-
 ვით გ[ა]იყუანს, და რომელი დარჩების მისგან ანუ ნ[ა]წლევეთა ში-
 გან, წყლული რამე გ[ა]მოჩნდეს, მით იქნების უსუსურად ძ[ა]ლნი
 ნ[ა]წლევეთ[ა]ნი. 20

და წყლულობა იქნების მრ[ა]ვლისა მიზე-
 ზისგან. და არს მიზეზი: ანუ ახალისა ნ[ა]მეტ[ა]ვისგან ანუ
 შეკრბეს ნ[ა]წლევეჩიგან, რომე ნ[ა]მეტ[ა]ვი თუხმის მაგიერ[ა]დ და
 შეიცვალოს მისგან ბუნება ნ[ა]წლევეთა ანუ საქ[ა]მადთა ფიცხელ-
 თ[ა]გან და ტბილთა. [ანუ წამლისა ძნელისაგან]. 25

და იქნებისცა ნ[ა]მეტ[ა]ვისა სქელისა ბალმისაგან რომე გა-
 გულისოს ნ[ა]წლევენი და გა[ა]ძოს ძალმან ბუ || ნებისამ[ა]ნ, და აქ-
 ციოს ალაგ-ალაგ, გ[ა]მოილოს ნ[ა]წლევეთ და და[ა]წყულუროს. v

და იტოდით, ყოველი მუცლისა ქსნილობა მის მაგიერ იქნების
 და ზოგი სხუისგანცა იქნების. ანუ იყოს ესე სენი ზემოთა ნ[ა]წ-
 ლევეთა შიგან, ანუ ქუეშეთა ნაწლევეთა სხუილთა, და იქნების, რ[ო]-
 მე ორთ[ა]ვე ნაწლევეთა შიგან წაეკიდოს. 30

და, თუ საგურკლესაგან წაეკიდოს, ამა მიზეზი-
 თა იქნების, რომე საგურკველი შიგნით გასივდების და მოიზიდ[ა]ეს
 ნ[ა]მეტ[ა]ვისა საგურკლისა სატივიარსა და შეყრ[ი]ს მას შიგან. 35

შეხრ[ი]ს საგურკველი ყოველსა ყამსა, და [ა]ქ[ა]ლს ტეხა
 ანუ გასულა. და იყოს საგურკველსა შიგან სიმსიენე მგუველად მით,
 რომელ [.....] წაიკიდება. სიმსიენესა თანა. ესე იქნების ნ[ა]მეტ[ა]ვისა
 [.....]ვისაგან ანუ მეტისა გ[ა]ნრყუნისგან. ამისგან შეიქნების
 [.....] ზიარი, და თუ იყოს საგურკლესა შიგან ქარისაგან მა[.....] არ
 გ[ა]მოყვეს განავალსა თანა.

და თუ წაეკიდოს სიფოლხუისაგან, მაშინ გა-
მოვიდეს საგურკველი ტეხისა თანა. და უფრო შეხუდების ყმათა სა-
გურკველსა ფესუისა სინედლ[ი]სგ[ან] და უსუსურობისგ[ან], იყოს
5 ტეხა და ყვანა საგურკლესა წ[ა]მეტნ[ა]ვისა და ძნელ[ი]სა სიმსივნისა-
გან, რომელი იყოს საგურკლესა შიგან. ესე ამით შეიგენ, რომე ვის
432r საგურკლე ეწვოდეს და ასრე ეგონოს, ვითა მარილი ანუ ბ[ა]ვრუკი
მიტო შიგა, დაემართოს მ[ა]ს უ[ა]მსა || ტ[ე]ხა და ყვანა, და არს
ტეხა და ტკივილი საგურკლესა შიგა. და თუ ქ[ა]ვეილი სკირდეს უკა-
ნასა კარშიგან, ტეხა ბავსირისა ნიშანი არის. ტეხა და ტკივილი თუ
10 სკირდეს უკან[ა]სა კარსა, გაპობილობისგ[ან] ანუ წყულულობისგ[ან]
იქნებოს. და ყოველი სენი, რომელი წაეკიდების საგურკლესა, ტეხა-
სა თ[ა]ნა ყვ[ა]ნისგ[ან]. იყოს. და მიზნეზი მისი არის თუხმა და სხუაცა,
რომელი წაეკიდოს ამას შიგან ყვ[ა]ნისგან.

და თუ წაეკიდოს ყვანა ლუიძლისაგ[ან], მაშინ
15 იგი იყოს უსუსურობისგ[ან] ლუიძლისა ძალისგ[ან], ამაღ რომე ლუი-
ძლისა ძალი მოუსუსურდების და ვერ ააყენებს საზრდელსა ლუიძლ-
სა შიგან, რომე მოიძნოს კარგად. მ[ა]შინ გამოვიდეს ძარღუნი, ში-
გ[ან] წ[ა]წლევთ კერძო უდნობელად და გ[ა]ვიდეს ყვანით, და და-
გუიწერია იგი კარსა ლუიძლისასა. და იყოს ერთი ფერი ყვ[ა]ნის-
20 გ[ან]. დიდისა ძალისა გამცემელისგ[ან], გ[ა]ძალიეროს და გამოვიდეს
ყოველი წ[ა]მეტნ[ა]ვი ტ[ა]ნისგან შეკრებული, ავი რ[ა]ცა იყოს ტანსა
შიგან ანუ სტომაქსა შიგან. და იყოს იგი წ[ა]წლევთა ანუ ლუიძლსა
ანუ ზოგთა ადგილთა გუამისათა, და გაწმდეს მისგან ტანი. და არს
ესეცა, რომე წაეკიდოს ცხროსა შიგან ძნელსა და სხუათა შიგან
25 v სნებათა ძნელთა, მაშინ შეხ || რას ბუნება მისითა ძალითა და გა-
მოვიდეს ძალი, და იყოს ნამეტნ[ა]ვი გუამსა შიგა ყვ[ა]ნითა ანუ
რწყევითა, ვითა გამოვიდეს ფაშთაჟსა თანა. კიდე მისგან, რომელი
ფაშთაჟსა შეასწრ[ა]ფებს ბუნება გამოღებასა მისსა. და არს იგი
ნამეტნ[ა]ვი; რომელი დაძულდეს გუამსა შინა და იგი ვამოიღებს
30 მას. ბუნება ბრძანებითა ღთისათა ტყირბისაგან, და თ[ა]ვისგან და
ლუიძლისგ[ან] და სხუათა ადგილთა ტანისათა, მისგან, რომელი იყოს
ყვანა გუამსშიგან, გინა იგი არს, რომელმან გაბერტყოს გუნების-
გ[ან] დამწუარი იგი ლუიძლისა კარ[.....].

აწ ნიშ[ან]ი ვახსენოთ ყვ[ა]ნისა, რომელი იქნების წ[ა]წლევთა
35 წულულებსგან, რომელი იქნების ძალთა დაყენებისგ[ან] მისთა
საქმეთ[ა]გ[ან]. და ასრე უნდა, რომელი შეიგნას საქმე ყოვლისა ფე-
რისა. და იცოდო, რომე საქმე სტომაქისა მოდნობა არის საკამა-
დისა, და საქმე ლუიძლისა — მოდნობისავე საქ[ა]მადისა, და საქმე
გულისა და ფირტუისა არს სული, და საქმე ტუინისა გაგონება არის
40 ცნობისა, და იცნობების საქმე ზოგთა ფესუთა ტანისათა: და ოდეს
ნახო ზოგი ფესუი უკუდგომილი მისისა საქმისაგ[ან], იცოდო, იგი

წაიღებინაგან არის და იგი მიგასწავლის ადგილსა სნებისასა 433 რ
 ზედა, და მიწასწავლის სნებასა ზედა მისა მაგიერად, რომელი
 გამოვიდეს კაცისაგან ბერტყასა ზედან, და იყოს იგი ორსა პირსა
 ზედან, მით. რომელი გამოვიდეს ზოგთა ნაწილი ასო-ტანად. ნუთუ
 გქამოვიდეს, რომელი იგი იყოს მას შიგან წამეტნავისგან, და 5
 რომელი გამოვიდეს ასოსა ნაწილისაგან მას შიგან, გამოიღებს
 ზოგსა ტყავსა წაწლევისასა, და გამოიღოს ზოგი, რომელი იყოს
 წაწლევათა შიგან ბალღმისაგან და სისხლისა და წავლლისა. მის-
 წაწლებს მისგან ჰკუისგან ასოსა, მათ რაოდენ ასოთგან რომელი
 იყოს. ადრე შეიტყუებდეს მისგან წაწლევი, რომელი არის ძარ- 10
 ლუთა კმელთაგან, და რომელი იყოს და ადრე დაიჭირვიდეს სნე-
 ბასა. და აგრევე სტომაქი და არა ყოვლი ასო ტანისა შეიტყუებს
 სნებასა და მისწაწლებს სნებასა მაგისგან ადგილთა ასოთა. მაშინ
 უნდა იცნას სენი — ზეითი ანუ ქუეითი, ანუ მარჯუენით ანუ
 მარცხენით, ანუ უქნით ანუ წინათ. მაშინ ყუელ[ა]სა გასწავლის 15
 სნებასა გუამისასა ნიშნებითა ამით საჩინოთა. და ესე იგი არს, რო-
 მელი ასოთაგან ასო არის. და მათ შინა ნიშნები არის და ამით
 გარეთ იცნობების და სახელ-სდებენ მკურნალები: მ ს რ [ა] ფ ლ
 შ ე ხ ღ ო მ ა.

და გასწავლის ნიშნითა || თუ ქატი ფერზედ[ან] ყუითლ[ად] v 20
 იყოს და ბაგენი თეთრად ედგენ, იცოდნი, რომე ლუილი სიგრილის-
 კენ გარდაქცეულია. და თუ ფერზედ[ან] მოშაოდ იყოს, იცოდნი,
 რომე ტყირბი გარდაქცეულა მისისა სიგრილისკენ. და თუ თუალნი
 გაუყუითლდენ, იცოდნი, რომე წავლლისა სწავლასა შიგან ნასკუი
 შექნილა. იცოდნი, რომე ესე ნიშნები გასწავლის, რაცა შიგნით 25
 გუამშიგან სენი გამოჩნდების. და არს ადგილსა მათსა ხუთი ნიშ-
 [ანი], და არს სნებასა ამას ზედან ორი ცნობა ანუ სამი.

და თუ იყოს ტკივილი კიბისა ზემოთ სტო-
 მაქისაკენ, იცოდნი, რომე ტკივილი და სნება წელთა ზემოთ
 წაწლევათა შინა არის. 30

და თუ იყოს ტკივილი კიბისა ქუეშეთ, იცო-
 დნი, რომე ტკივილი და სნება ქუეშეთა წაწლევათა შიგან არის. [...] 35
 და დიდი ტკივილი დამეტებისგან წამეტნავისა იქნების [...], რომე
 წულლინი წაწლევი ასტივდებიან. და [თუ წაეკიდოს ყვანა,
 ყვანასა წინათ ერთითა ქამით, და მერმე იყვანდეს, იცოდნი, რომე
 ისი სენი ზემოთა ნაწლევათა შიგან არის. და თუ სისხლი გამოვიდეს,
 წმიდა იყოს, ქუემოსა ნაწლევათა სისხლისაგან ზემოსა უწმიდე იქ-
 ნების. და გქამოვ[ა]ლს არეული წავლელსა თანა.

და თუ იყოს ყვანა ქუემოთა ნაწლევათა,
 მისი ნიშანი ესე იყოს, რომე ასტივდების ერთსა წამსა, დაუ- 434r
 წყებს ყვანასა და გქამოყვებენ თანა სისხლი და ბალღამი, და თანა 40

დ[ა]რეული და ქონიცა გამოყვების, და არა იყოს მის თანა სკორე და იქნების, რომე გამოვიდეს სკორე მარტოდ ანუ სისხლსა თანა, ამისთვის რომე სკორე შეისწრა[ფ]ებდეს და გამოვა სისხლსა თანა, და უფროსჯერცა გ[ა]მოვა სისხლი მარტოდ. და იცოდი, რომე ნაწ-
5 ლევთა წუთილთა არა უც ქონი. და თუ გ[ა]მოვიდეს სისხლი სქელი და ქონი გამოყვეს თანა და ქონსა თანა ნ[ა]ვლეღივითა, რომე ტყ[ა]ვ-
სა გვ[ა]ნდეს, იცოდი, რომე ქუემოთა ნ[ა]წლეღთა შიგან არის წყლუ-
ლი.

და გამოვ[ა]ლს ზოგთა ნ[ა]წლეღთ[ა]გან, რომელ
10 წაეციდოს ყვ[ა]ნისგ[ა]ნ, ამისთვის ს[ა]გურკლისგ[ა]ნ რ[ა]სთენიცა გ[ა]ქუმრ[ა]ვლდეს ყვ[ა]ნასა თანა ტეხა. და რა გ[ა]მოვიდეს მისგ[ა]ნ, მის თ[ა]ნა მაგრა გ[ა]მოვიდეს ცოტა რამე. და ესე, რომელი დაე-
წერეთ, უქანით თუ იყოს, იცოლით, რომე წითლისა ნ[ა]ვლქ[ა]ნისგან არის ბოროტისა.

და თუ წაეციდოს ზოგთა ნ[ა]მეტნ[ა]ვისგ[ა]ნ
15 ს[ა]გურკლესა ანუ ნ[ა]წლეღთა ყვ[ა]ნა, მაშინ იგი არ დაქ-
წყლულდეს, ვირემდი არ გარდიქცევის წითლ[ა]დ ნ[ა]ვლქ[ა]ნად.

აწ მისი ნიშ[ა]ნი მოგახსენოთ: დაუწყოს საგურკლემ[ა]ნ ტყივი-
v ლი, სიმძიმე და გ[ა]მოვიდეს მისგან რამე, თანა || დარეული სისხ-
20 ლიანი. და გ[ა]მოვიდეს სისხლი სწორ[ა]დ და ცალკე-ცალკე სკორესა. და თქუეს ზოგთა მკურნ[ა]ლთა, ვითა შირიმი გამოვა უქანისა კ-
არისგანო ტეხითაო. ვითა გამოვა სარცხუინელისაგან. და გალია-
ნოზ ასრე ბრძანა, ვითა ტყივილი არის, არვის უნ[ა]ხ[ა]ვეს, არცა
ვის ასმიაო.

და თუ სისხლი ღუიძლი[ი]სგან იყოს ყვანასა
25 თანა უტკივრად, და სისხლი იგ გუ[ა]ნდეს! ახალსა კორცი-
სა ნარეცხსა. ოდეს გამოვიდეს ამას თანა ს[.....], იცოლით, რომე
დამპირველი ძალი დაუსუსურებულა და მისგან არს. და თუ მის-
გან იყოს, ერთი [ნი]შანი ესე არის, რომე ქაშქის წყალსა ჰგვ[ა]ნდეს,
30 და ერთი ნიშ[ა]ნი ესე იყოს, რომე, თუ ღუიძლისაგ[ა]ნ გამოვიდეს,
რომე უკუდგეს ყვანა ორ დღე ანუ ერთ დღე, და დავუბდეს, მერმე
გ[ა]მოვიდეს უტკივრად.

და თუ ღუიძლი დასუსტდეს და დაფოლხუ-
დეს და ძნელად, მაშინ გამოვიდეს იგი ფიცხლა და მსწრაფლ. და
35 თუ იყოს ნ[ა]წლეღთა ზედათა ყვანა წამლებითა შესასმ[ე]ლებითა, და
შეუწყობდი საქამადსა. და თუ იყოს ამის თანა ქუემოთა ნ[ა]წლეღ-
თა, მას ჰკურნე ოყნებითა.

აწ გამოკრებით და გამოცხადებით დავეროთ ნიშ[ა]ნი სიაჩისა,
435r რომელ არს ყვანა. ესე სენი უწინა თ || ავსა და ტუინიდალმან დაე-
554

მართების. ასრე იქნების — უწინა სურდო დაემართების და ნაზლა შეექნებობს, და მერმე ყვეანა დაემართების. ამისი ნიშანი ესე იყოს, რომე დილეულად გახსნით იყოს და მერმე კიდევე იკლოს. რა ესე ნიშანი ნახო, იცოდი, რომე ტუინიდაღმან იქნების. მას შესაკრავი წამალი არ უნდა, თუ არა — კაცსა დაწაზიანებს და მოკლავს. მას ასეთი წამალი უნდა — პირველად თქვი და ტუინი გაქმრთელოს და მაშინდა ტან-მუცელი.

ამისი წამალი ესე არის, რომე ნიადაგ პირადმა ძწვეს და თქვიცა მალქად ედვას. [...] სხუისა ნაძლისა წამალი დაგუიწერია, ისი უყო, რომე თქვით სურდო გამოწმიდოს და გაქმრთელოს. და შემკრველსა წამალსა ნუ მისცემთ და ყოველსა დილასა პირსა წაიგდებინოს, და რაცა დაქმით სენი დაგროვდეს სტომაქშიგა, იგი გამოწმიდოს. და მერმე იგი ნაზლითა წამალი შეუწყონ, და ძმარი თუ ისუნოს, ტუინსა ძალი მისცეს; და თუ ჭამოს, სტომაქსა აწყინოს. და ბევრსა წყალსა ნუ სომს, მეტადრე ყინულიანსა. თუ ტუინი გრილად ჰქონდეს, რაცა თქვის ტკივილისა გუითქომს, იგი იწამლოს; რაცა ზემო სურდოს წამალი დაგუიწერია, იგი უყავით, რომე თქვი გამოწმიდოს.

თუ სიაჯი დაემართოს, რომელ არს ყვანა, და თუ ამა თანა ისალი გამოჩნდეს, რომელ არს სისხლის ყვანა. || რა ესე სატკივარი გამოჩნდეს, თქვი და გული, და ლუიძლი და სტომქვი კარგად შეინახოს. ბევრი იქნების, რომე ამა სენსა წამალი არა მოეციდოს, და სჯობს, რომე წამალი არ მისცეთ. სიაჯი მას ჰქუიან, რომე ხშირად წამალი მისცენ. ისრი(!) გახსნით იყოს, ასრე უნდა რომე მისი სტომაქი და ღარიზისა ძალი შეინახოს, არა მიაჭიროს რა. და ესე წამალი მისცენ: ნახარში კორცისა და კუერცხი თორახულა. ამისი ძალი ტანშიგან შერჩეს და სხუა წამალი არ მოუნდეს. ამისთანა მისცენ, რომე სხუა სენი აღარ გქუერიოს და ისი სენიცა გაიღოს. თუ წამალი მისცენ, რომე წელი არ დაფრიწოს. და რაცა წამალი მისცენ, ისიცა ნახევარზედა დამყილი, ისი ჭამშიგან ჩაყარონ და ბიისა და ან ვაშლისა და მრქვეალ-ძარღვისა წყლითა დაზილონ და აღრე-აღრე, ცოტა-ცოტა მისცენ.

თუ წელი ასტკივდეს, ბაზრაცატუნი და სელი, და თესლი შასთარქამისა და თესლი მურისა, და მრქვეალ-ძარღვისა. ესე ყუელა სწორ-სწორი შექნან, და ამქთქანი სამი მუტქალი თფილსა წყალშიგან ჩქასხან, რომე ლობრი მოეციდოს, და ორი მუტქალი ვარდის ზეთი ზედა დასხი და შეასუთ, ნახევარ-მუტქალი რექანდი, ჩინი და ერთი მუტქალი ამა წამლებსაგან დამყონ და გაცრან, და ვარდის ზეთითა მქვეისა ბროწეულსა შეასუას, და თუ ციეება სჭირდეს და წყურვილი, ესე წამლები ყუელქასა სჯობდეს.

436r და თუ ცივება არა სჭირდეს, || ძუელი ღუინო და ან ღოი დაშან-
თო და ასუან, არგებს.

თუ სისხლის ყვანა ზაფრისგან იყოს, მისი ნიშანი ისი არის:
წაქვალი, რკოცა გავიდედს, ყუითელი იყოს და სტომ[აქი ეწვოდეს,
5 მას მატბუხი მიეცით ყუითლ[ისა ალილისა ინდოურითა ხურმითა,
რომე მუცელი გახსნას და გამოწმიდოს. ქერქიანად მოხარშული-
სა ქერისა წყალი ასუან და სუტუფისა თესლი ბროწეულის წყლი-
თა თხაფაშირისა ყურსითა მისცენ, ერგოს. — და იჭირე: ერთი
10 ჩარეჟი ქერის ქერქი და ერთი ჩარეჟი ხაშხაშის თესლი, ესე ერთსა
ღამესა წყლითა დასოვლებული შეინახონ და მერმე დანაყონ და
გამოწურონ. და მერმე ისი წყალი მოადუღონ და დაშანთულსა დოსა
გაურჩიონ, და შეასუან.

თუ ღუიძლისაგან იყოს ესე სისხლის ყვანა,
წაქვალი, მისი ნიშანი ესე იყოს. თუ წაქვალი თეთრი იყოს, ღუიძლისა
15 სიგრილისაგან იყოს. თუ მასიქისგან იყოს, მისი ნიშანი ესე იყოს,
რომე წაქვალი წურთლ[ად გამოსდიოდეს. თუ ღუიძლისა სისუს-
ტისგან იყოს იგი ყვანა, ახლისა კორცისა წარეცხსა გვანდეს. ისი
თეთრი გახსნა და ყვანა მით შეექნების, რომე ღუიძლსა სიცხე
აღარა ჰქონდეს. და მას მაჭუნი ფილფილი ძუელით ღუინითა შეასუან,
20 ერგოს. და ქაბრი ძმრითა შენახული, და ბოლოკის ფურცელი მისი
საჭმელი შეიქნებოდეს გურკისა, ისიცა არგებს, შიგან კმელი ანგი-
ნოზი ერიოს და ქაქუნტელი ხარდალითა მო || კალული. ესე სენი
მას ბქიდაღმა სჭირდეს. მისი წამალი ესე არის. — დაი-
ჭირე ბროწეულის ყუაილი და წითელი ვარდი, ყურთხი, მასტაქი,
25 თუითოსგან — ხუთი მუტყალი, ზაფრანი — ერთი მუტყალი და
ერთი მუტყალი ბიის შარბათი, ესე შეასუან, მისი საჭმელი: კა-
ვაბი, კოკობი, ქაქვქაქვი შემწუარი, და შარბათი მურდისა, — ესე
ყუელა არგებს.

თუ ესე სტატვიარი ღუიძლი სასუსტისგან
30 იყოს, მისისა წაქვალისა ფერი კორცისა წარეცხისა გვან-
დეს. მას ღუინო, პური და კორცი ყუელა აწყენს, და ქერქ-გამძურ-
ალისა ქერისა წყლისა საქამ[ადი შეუწყევდეს [...] და ან ორი და ან
სამი. ესე შარბათი სცადონ და არგებს: [...]რა,
ქერქ-გამძურ[ალი ფეტუი ქერის ქერქით მოღწელებული] და გა-
წურვილი. თუ ესე სტომაქმან მოადნოს [...] თანასა აქმევდით
35 ამა რიგითა. შეიქმოდით: ფეტუი [.....] ქერქი სწორი ერთ-
მანერთსა გაურთონ, და ოცი ასთინი წყალი ქნან, და იმით მო-
დუღონ, ასრე რომე მებთხედი [.....] მოსწყედეს და თხის ღუიძლი
შეწუან და მესაუნას თესლი დანაყეთ და გაცარ და ზედა მოაყარე
40 და ქამოს. და უგურკო ჩამიჩი ქამოს, და დაშანთული დოსუას,
ესეცა ერგოს.

თუ ესე ს[ა]ტკივ[ა]რი გ[ა]უძნელდეს, საჯი
ქნას. ასეთი წამალი არ[ა]მცაჰამოს, რომე შეკრვიდეს. წამ[ა]ლი
ესე ქნას:—თესლი თუხმისა, თესლი მალოქისა ქერქ-გამოდრობი-
ლი, თუითოსგ[ა]ნ — ხუთ-ხუთი მუტყალი, ბასბასა, სამყი არ[ა]ბი,
თუითოსგ[ა]ნ—ათი-ათი || მუტყ[ა]ლი. ესე ყუელა მოკალონ და და-437r 5
ნ[ა]ყონ, და ათი მუტყ[ა]ლი გილ-ერმანი დან[ა]ყილი ამასვე გაურო-
ოს, და სამი მუტყალი მურდის შარბ[ა]თი შეასუას.

აწ ერთი წამალი სხუა არის, რომე მუცელსა შე-
კრ[ა]ვეს და ტანსა კმელად შეინახ[ა]ვეს. და იკირე: თესლი თხუთ-
მეტისა ტუხტი[ა] და თესლი მოლოქისა, ორივე ქერქ-გამოდრობილი 10
და დან[ა]ყილი, და ბაზრაცუნნი, და თესლი მურისა, და თესლი
შასფარლ[ა]მისა. ესე სწორ-სწორი ერთ[ა]დ შეყარონ და მოკალონ,
და დან[ა]ყონ და ვარდისა ზეთითა დაზილონ და თბილითა წყლითა
სამი მუტყ[ა]ლი შეასუათ.

თუ ესე სისხლ[ი]ს ყვ[ა]ნა ლუიძლის გ[ა]ნიყოს 15
და ლუიძლის გ[ა]ნი სდიოდეს, მისი ნიშ[ა]ნი ესე იყოს,
რომე მუცელსა და წელ[ისა] ტკივილი არ იყოს და აგრე სისხლი
სდიოდეს. [....] გ[ა]ხსნით იყოს და არცა შეკრვით. თუ ორსა ღღესა
შეიკრ[ა]ს და მერმე კიდევე გახსნას, რა ესე ნიშ[ა]ნი გ[ა]მოჩნდეს,
იცოდი, რომე ლუიძლსგ[ა]ნ სდის სისხლი. 20

მისი წამალი ესე არს. — და იკირე: გილ-ერმ[ა]ნი
და თხ[ა]შაშირი(!), სამყი არ[ა]ბი მოკ[ა]ლული, თუითოსგ[ა]ნ — ათი
მუტყ[ა]ლი, ხუნი, სიაოშნი და საკმელი, თუითოს[ა]გ[ა]ნ ორი მუ-
ტყალი და ნახევარი. ესე მურდის შარბათითა შეასუან სამი მუტყ[ა]-
ლი. იქნების, რომე ისი ლუიძლ[ი]სა სისხლ[ი]სა ყვ[ა]ნა ლუინისა 25
თხელსა გვ[ა]ნდეს და ზუითქონი და მყრ[ა]ლი იყოს, || არ არს ხილ-
თი, ესე ან წყურვილისგ[ა]ნ ან გრძელსა გზასა ევლოს სრცხევიგან,
მისგ[ა]ნ სისხლი დაიწვის და ისი არს. მისი წამალი გრილი საკმელი

უნდა. დიღეულად — ცივი წყალი და შ[ა]რბ[ა]თი ხაშხაშისა,
და ცივი ქერისა წყალი და რ[ა]ცა ამას გ[ა]ვეს (ბევრი ავ[ა]დ იქნე- 30
ბის, რომე ისი ყვ[ა]ნა მღწლიოდეს, მწუანე[ლ] დამკლბოდეს და
ლუიძლისაგან სენი არ იყოს), ყურსი ქაფური და ყურსი თხაფაში-
რი. ესე ისალი რომე სკირდეს, ასეთი შემკრველი წამალი უნდა მის-
ცენ, რომე ხან-ხან ორი გერში კიდევე ყვებოდეს და აღრე არა შეკ-
რ[ა]ს. მისი საკმელი: წურილი თევზი ძმრითა. შექნილი და 35
ნიშასტ[ა]კი, ს[ა]მყი არ[ა]ბითა და შემწუარი ნუშის გული.

თუ ისი ისალი ძარღუჩიგ[ა]ნ იყოს, კელი არ გ[ა]იხსნას, მისგ[ა]ნ-
ცა იქნების. კელ[ის] ძარღუი აქალი გაიხსნას და ს[ა]კმელი სუბუქი
ქ[ა]მოს და ასეთი, რომე წყნარად შეკრას, და მრ[ა]ვე[ლ]-ძარღუას
წუენი და ფურცელი [თ]უხმ[ა]ქნისა, ღ[ა] რ[ა]ცა ამისი მგზ[ა]ვისი 40
არის, იგი აქ[ა]მონ. და ნიდაგ ასალითა ან პირსა წ[ა]იგდებინოს, ან

ბუსირითა ან¹ ამას გარეთ კაცს² სისხლი ბევრი წაუვიდეს, ქააცი-
სა ტანნი დაღბეს, მისთუის რომე ღუიძლი ავად იყოს და არაართ³
ლარიზი(!) ავად ქონდეს და ძალი მოღებით და დამცვირდეს, და
საქმელსა ვერ იღნობდეს, და მუცლიდალმა სისხლი სდიოდეს, ანუ
5 438 რეწყუასა ამოყუეს, ან სადა ტანიი⁴ გავიცივდეს და მუცელი აუსივ-
დეს, და მაჯა აღარა სცემდეს, სისხლი მუცელშიგან გავა⁵ მავდეს.
ამას ასრე უნდა უწამლოს, რომე გაიღოს.

ერთი სისხლის ყვანა ამისგან იქნებოს და
ყოვლითა ასოდალმან სისხლი გავმოვიდეს, ძარღუებშიგან
10 ნამეტნავი ხილთი შეგროვდების და იმა ნამეტნავისა ტანი ვერ
შეინახავს, და ძარღუებშიგანვე მივა, და ძარღუიდალმან იმავე
ღუიძლიშიგან მივა, და ღუიძლიდალმან შტობშიგან და მასიყმი-
გან მივა, და მერმე წელეშიგან ჩავა.

ერთი სისხლის ყვანა მისგან იქნებოს. ერთი
15 სხუა არის [...] ავი ხილთი. სტომამ⁶ შიგან შეიყაროს და რა
ცა სტომამ⁶ შიგან სავმელი იყოს, დააღპოს და წაქაღუნოს, და
სტომამ⁶ შიგან აღარ შეინახოს და გავა⁵ შოროს, ისიცა სისხლისვე
ყვანასა [...] შეიქს. მისი ნიშანი ესე არის, რომე ჰიპსა გარე-
შემო გრენდეს, და რასთენჯერცა მოსავლე⁷ აღ დაჯდეს, გონჯი და
20 ქარიანი გავიყვანოს. და რავ⁸ გამოჩნდეს ესე ყვანა, ორსა-სამსა
დღესა იყვანდეს, და მერმე უკუკრთეს და ხანი გავმოვიდეს, და
ქაცასა ასრე ეგონოს, მეშუელაო. და ოც დღემდის კიდევე გამო-
უნდეს, და ესრე ეგონოს. ახალად შემექნაო, და ისივე სენი არის.
მისი წამალი. — მისი წამალი ისი არის, რომ შვიტყოს,
25 რომე სტომამ⁶ და ღუიძლსა ძალი აქუს რა. თუ ღუიძლსა და სტო-
მამ⁶ ძალსა ძალი არა ჰქონდეს, ასეთი რა მისცეს, რომე ორივე ძალზედა
ვ მოდგეს. || თუ ისი სენი⁹ კიდევ მოლმოდეს და შვიტყოს, ან შარ-
ბათი აფსინთავნი, და ან იარჯი-ფეჯარათა, ან გუარიშ¹⁰ ანი ბისა,
რომე მუცელი გაწმიდოს, ან დიდი ატირფალი დილეულად, ან საქ-
30 მობდეს, ან იარებოდეს, ნიდაგ ტანსა იბანდეს და იზელდეს. თუ
სტომამ⁶ სუსტად ქონდეს და საქამ¹¹ დისა დნობა არ შეეძლოს და
სიგრილე მორეოდეს, და სისხლი¹² ყვანა მისგან შექნოდეს, ჰა-
კუნტელი, მხალი და მლა¹³ თევი ჰქამოს, და მერმე არწყიოს ან
ხარდალითა ან ცერეცოს წყლითა, ან თა¹⁴ ფლითა ან [...] რათა არ-
35 წყიოს, რომე სტომამ⁶ პირი გაეხსნას, [გამრთელდეს და იარჯი-
ფეჯარა შეასუას, რომე სტომამ⁶ გამორცხას, და გუარიში ხუზი
სტომამ⁶ ძალსა მისცემს. მისი საქმელი: ტრედის კუნდი და ჰამ¹⁵-
ავი შემწუარი დარიჩინითა და ზირათა, და ფილფილითა, — სტო-
მამ⁶ ძალსა მისცემს.

40 თუ ესე სისხლი¹² ყვანა სტომამ⁶ ხიცხისგან და ზაფრისა
გამოჩნდეს, მისი ნიშანი წყურვილი და პირი¹⁶ სიმწარე არ¹⁷ის.

მისი წამალთ: რუბი ბიისა და რუბი მე[ა]ვისა ბროწეულისა. ესე ორივე ერთად შეასუით. და ან რუბი ისრიმისა ან ბიისა, ან რუბი რე-
ვაჯისა ან ვაშლისა რუბი. ამა რუბისა შარბქათებისა ერთი მუტყ[ა]-
ლი თხაფაშირის ერიოს, სჯობდეს. და გუარიშანი სუმაყისა ცა არ-
გებს. თუ კურგება არა სჭირდეს, გაწურვილი ღო დაადუღონ || ან 439r5
რკინითა ან ქვითა, და თხაფაშირისა და მე[ა]უნასა თესლიცა ერგოს.
და თხისა რძე ან წუემის წყლითა ან სუმყისათა ასუან. ერთად¹
ადუღონ, რომე წყალი აადუღოს და რძე დქარჩეს; ისი რძე ისრი-
მისა რუბითა მისცენ. და მისი ს ა ჯ მ ე ლ ი: სუმყითა მოხარშუ-
ლი კლიკები იყოს. და თესლი ბროწეულ[ის]ა საქ[ა]მ[ა]დად შექნი-
ლი ნუშითა და მოხარშული ქასინის ძმრითა დაასოვლოს და აქ[ა]-
მოს. და ფურცელი მრ[ა]ვე[ა]ლძარღუასა იძ[ა]ვე რიგითა ქ[ა]მოს, და
ბაჟილა ძმრითა მოხ[ა]რშული და თოლხო კუერცხი, და სუმაყი და
ისრიმი კმელი, აბულასი, ესე ყუელა ამქვე ზემოსა წესითა აქ[ა]-
მონ.

10

15

სისხლ[ის] ყვანა, რომე ღუძლ[ის]ა და ან სტომ[ა]ქისგან იყოს,
მას მოხარშული კუერცხი აწყენს. აფიონი და ბაზრულ ბალქაჯი
ზაფრ[ა]სა გაქსქელებს და ძალსა მოკიდებს, და ერთობ ეშინოდეს;
თუ ღონე არ იყოს რა — ჟუნდი ბედასტარი ზაფრქანითა მისცეს.
თუ ბალქაქში გარეოდეს, დაიჭირე მქარილი და ანდარანი — ასი
მუტყლი, დაღეწონ და მოკალონ და ცხელსა ძქარი დაქასხან. და
ქალგამიგან ორჯელოდე. დაიჭირე თესლი ბროწეულისა მოქ[ა]-
ლული და სუმ[ა]ყი და გაწმედილი, თუითოსგან — ოც-ოცი მუ-
ტყალი. ესე ყუელა დან[ა]ყონ და გარიონ, და მარილისა ალაგსა ამას
აქმევდეს, და დღესა და ღამესა წინათ ან მე[ა]ვე ბიე და ბროწეუ-
ლისა გული ქამოს, რომე შეკრ[ა]ს. || მისი ს ა ჯ მ ე ლ ი: კაკობისა
და კოკობისა ხარშო იყოს.

20

25

v

სხუა სისხლის ყვანა, რომე შიგნით სტომაქსა გარეშემო წური-
ლი და თეთრი მღიერი გამოეხხას და მისგან იყოს სიაჯი. მისი
ნიშანნი ესე არის, რომე სტომ[ა]ქით ავი სული ამოსდიოდეს, და
ქ[ა]მ[ის] უენის სტომ[ა]ქი ეწოდეს და სტკიოდეს. ესე მე[ა]ვისა ქ[ა]-
მისგან წაეკიდების და რ[ა]ს[ა]ცა ქ[ა]მდეს², უდნობი გქავილოდეს,
და მწოედ სწყურდებოდეს. თუ ამას თანა სხუა სქატყე[ა]რი არქა
სჭირდეს რა, ბასლიყესა ძარღუი გქაუხსენით, და ან წუივისა კოტო-
ში მოკიდოს, და ქერქის წყლითა რომე აბულასი და ხაშხაშის თეს-
ლი მოდუღებული იყოს, მას ქ[ა]მდეს. და ყოვლთა დღეთა თუითო
მუტყალი სამყი არქაქი და ბაზრაყ[ა]ტუნი, ორი მუტყლი ვარდის
ზეთითა და ცივი წყალი გქაურიონ და შეასუან. თუ ბაზრაყ[ა]ტუ-
ნი ან მრ[ა]ვე[ა]ლ-ძარღუას თესლი და შასფარლქამის თესლი ესე
წყლ[ითა] მოადუღონ, და შიგან ვარდის ზეთი უწოთ; და მის-
ცენ მისი ს ა ჯ მ ე ლ ი: ქერი და ან ბრინჯი მოქ[ა]ლული ნუშის

30

35

40

გულითა და მე[ა]უენას ფურცლითა მოღუღებული, და შიგა ამა მო-
კლულისა ნუშის ზეთი ჩა[ა]წონ. და მისი საკმელი: დან[ა]ცილი
ოსპი, და ისრიმისა და სუმაყის წყალი, დო მუავე გაწურვილი, დამ-
[ან]თული, და კმელი პური და ბრინჯი მოკ[ა]ლული. ამისთანა საკ-
440r მელი შეუწყონ და აკ[ა]მონ. || თუ ამა სენსა უენის სილი და დიცი
5 გამოჩნდეს, არა ეშუქ[ა]ლების რა.

თუ ის[ა]ლი სტომ[ა]ქშიგან შემოსულიყოს და სევდისა ნიშ[ა]ნი
გ[ა]მოჩნდეს, ფიცხლ[ა]დ კელი გ[ა]უხსენ და ტყირპზედა კოტოში
მოკიდოს, და სუფუფი ბროწეულისა გურკითა მისცენ ამა
10 რიგითა შექნელი: გამკმარი ბროწეულისა გული—ათი მუ-
ტყალი. და ბამ[ა]ნი წითელი მოკალული — ორი მუტყლი, ზარ-
ნაბი — ერთი მუტყალი, მოკ[ა]ლული სად[ა]ფის თესლი, შასფარ-
ლ[ა]მი მოკ[ა]ლული, ბრინჯი მოკ[ა]ლული დან[ა]ცილი, თუითოს-
გ[ა]ნ—ათი მუტყ[ა]ლი. ამისგან ს[ა]მი მუტყ[ა]ლი ერთი სმა შარბ[ა]-
15 თი არის. მისი საკმელი ასრე შეუწყონ: — დაიკირე
გურკა ბროწეულისა ათი ასთ[ა]რი, ჩ[ა]მიჩი შ[ა]ვი—ნახევ[ა]რი ლიტ-
რა. ესე ორივე დანაყონ და ძმრითა და წყლითა დაზილონ, და მერმე
დაწურონ და ცოტა მარილი და სათრი შ[ი]გან ჩაყარონ, და პურსა
ამით კ[ა]მდეს.

20 სხუა სენი, რომელსა ბქუიან ღუსანათხრია. ისი ისალი წელისა
მღიერისგან შეიქნების. ინდონი აქიმნი ამა სენსა ღუსანათხრსა
უზახიან. თუ ისი ისალი წელისა მღიერი არ იყოს და ღუიძლისგან
იყოს, ღუსანათხრი მას ბქუიან. თუ შიგნით წელშიგან ძარღუი გ[ა]-
უხსნა, ისლრსა სისხლი გამოუჩნდეს და უფროსი ერთი წყლისა მუს-
25 თახამი იყოს. ღუსანათხრი სისხლი არის. პირველ[ა]დ ასეთი
v წამ[ა]ლი || მისცენ, რომე ისი წელები გარცხას, და ს[ა]ტი-
ვარი იყოს, ისი გ[ა]მოწმიდოს და წელის პირი შ[ა]ვი შეექნას, სა-
დაცა სტივის. მერმე ასეთი წამ[ა]ლი მისცენ, რომე ისი გამრთელ-
დეს. ისი მღიერი წურბილსა წელშიგან იყოს, ესე ბაზარც[ა]ტონის
30 ლობი, და ლობი სელისა, ისი მღიერიანი წელი ამა ლობრებითა გარ-
ცხან.

თუ ზაფრა და ხილთი მალე იმა წელშიგან თუ გაეტევოს, მისი
წამ[ა]ლი ხ[ი]არბ-შამბ[ა]რი არს, ქასინისა და ან აბუსალბისა წყლი-
თა; და ცოტა ზაფრ[ა]ნი შიგან ერიოს, ერგოს. თუ ხილთი მლ[ა]-
35 შე იყოს და ან სევდისა იყოს, წაუაროს. და მისი წამ[ა]ლი:
ალილა შ[ა]ვი და ყუითელი არ[ი]ს. თუ ესე სენი ძველი დამპ[ა]ლი
იყოს, თ[ა]ფლ-წყლითა და ჯუღბითა და იარ[ა]ჩიფეკრათა გარცხ[ა]ს
და დო გაწურვილი ქვითა დაშ[ა]ნთული მისცეს; და ახალი რძე
დაშ[ა]ნთონ ისრივე, ისიცა ერგოს. და მისი საკმელი: ქათ-
40 მისა და თხის ქონი და ბრინჯი იყოს, ან ფეტუი დან[ა]ცილი და იმა
ქონითა შექნელი არგებს. იმა წყ[ა]ლშიგან, რომე მისთუის საკ[ა]-

მ[ა]დი შექნ[ან], შიგა დან[ა]ცილი ხაშხაშის თესლი ჩ[ა]ყ[ა]რონ, და ცოტა ნიშანტ[ა]კი მოქ[ა]ლული იმა წყ[ა]ლშიგან ჩაყ[ა]რონ და შექ-
 ნან, არგოს. და ოსპი ქერქ-გამძურ[ა]ლი წყლითა მოადუღოს და
 წყ[ა]ლი წასწურონ, და კიდევე მოხარშონ, და მერმე წასწურონ და
 გახსნან; და მერმე დაიჭირე: შექნენასა ფურცელი || და 441r 5
 მრ[ა]ვე[ა]ლძ[ა]რლუას ფურცელი, ზურფისა და წყ[ა]ლი სუმაყისა, და
 ქონი თხისა და ან ბატისა, და მოქ[ა]ლული ნუშის გული. ესე ყუელა
 მოადუღონ, ერთობ ერგების. ბრინჯი და ბ[ა]ტენის ფერკები ერთად
 მოხარშონ და ცოტა სამყი ურონ, ესეცა კარგია. და კუერცხის
 გული თორხულო და წმიდა ს[ა]მყიცა არგებს, მისთვის რომე პური 10
 მოზილონ ამა წყ[ა]ლშიგან, ტუტა და სუმ[ა]ყი მოხარშონ და ნუშის
 გული, ან ბიის წყლითა ან სუმ[ა]ყითა, ან მე[ა]კვის ბროწელ[ა]სა
 წუენითა, რგი საჭ[ა]მადლ შექნან. თუ კორცი მოინდომოს — დუ-
 რ[ა]ჭი. კაკ[ა]ბი და ან კოკობი, ან კოწახურითა ან მოცნ[ა]რითა
 შექნილი ჰამოს. და ყუელა კმელი და შემწუარი არგებს, და კიდეცა 15
 მოაწყურებებს. ესე ყუელა თუ მოადუღონ და სიმლ[ა]მე წ[ა]ქულონ,
 აგრე გა[ა]კმონ და აგრე შეწუან — ერთი მუტყ[ა]ლი ორითა მუტყ-
 ლითა აბულ[ა]სითა და ორი მუტყლი პრ[ა]სის თესლი. ესე დან[ა]-
 ყონ და გაცრან, ძუელსა ისალსა არგებს. და ვისცა ბ[ა]ვე[ა]სირი 20
 სჭირდეს, მასცა არგებს. თუ ძარღუებისათვი გახსნით იყოს და სი-
 ნედლისაგან სჭირდეს, ძარღუები და[ა]სუსტოს. და გახსნას ორიაყი
 დიდად, ფალონია რუმე და ფალონია სპ[ა]რსი მურდის შარბ[ა]თითა
 და მისცენ. და მისი საჭმელი: შემწუარი კაკ[ა]ბი და კურდ-
 ლელი, და ქ[ა]ვე[ა]კი და შუელი შემწუარი, და ქალმი შექნილი. რა 25
 მოხარშონ, წუენი წასწურონ და კიდევე მოადუღონ და მესამეზედა
 ბრინჯი || ჩაყარონ და ისი საჭამადლ შექნან. და ყალდ(!) კამა შექ-
 ნილი თხისა ქონითა, შექნილი ანგიზონითა ყარ[ა]მფულითა აქ[ა]-
 მონ.

სხუა ნიშ[ა]ნი ყვ[ა]ნისა, რომელსა ჰქუიან სიაჯი. ესე ორისა ფე-
 რის[ა]გ[ა]ნ იქნების. ერთი დუმვი(!) არს, ისი სისხლისგან არის. 30
 ერთი — ხუთი ფერი არის, ნიშ[ა]ნი სიაჯისა ერთი ესე არის, რო-
 მელ წელჩიგან გამოებმის რამე და ნ[ა]წლევთა გახურეტს. ესე
 მისგან დაემართების, რომე ან მკერდზედან ან სხუასა ასოსა შიგ-
 [ა]ნ ბედნიერი გამობმულიყოს და შიგნით სისხლ[ა]ს ყვ[ა]ნა მისგან
 იყოს. და რომე მუტელშიგან იყვ[ა]ნდეს და საჭმელი არ მოუნდე- 35
 ბოდეს, მისი წამ[ა]ლი ესე იყოს, რომე ბასილიყისა
 ძარღვი გ[ა]უხსნას და ცოტა სისხლი გ[ა]მოუშუას, და ოსპის საჭ-
 [ა]მ[ა]დი შეუწყევით და [ფ]ერდზედა ესე ტლე შეუწყევით
 და დასდევით. — მოიღე: სანდ[ა]ლი და სოდი ვარდისა
 წყლითა და ცოტა ქაფური, ესე ერთმანერჩიგან გ[ა]ურჩიონ და 40
 მით ენა გარდაკოცონ. მერმე იმ[ა]ზი გამო[ა]დუღონ წყლითა და

გამოწურონ, და პირველი წუენი გა[ი]სხან, და სამეითა და მე[ა]ვისა ბროწეულისა წუენითა მოადულონ, მას უქნით წუერილი თევზი ძმრითა შეუქენით და ამას აქმევდით, და ლუინისგ[ა]ნ აფარეზებინე.

სოდი თოფალხსა ჰქუიან, და იმ[ა]ზი — მე[ა]უნასა, და უმეი — თუთუბ[ა]ს.

- 5
ერთი ფერი ყვ[ა]ნა სხუა არს ლუიძლ[ი]სა სისუსტისაგან. და იქ-
იოლოს თუალთა, ერგების და დააყუდებს ტკივილსა თავისასა. შე-
სუმა: წონი სამისა დრამისა ღუინითა ანუ თაფლითა.

საქბინაჯი — მკურვალი არს და ლბილი. და ერგების ქართა
სტომაქსათა და საშოთა, და შეაღბობს მუცელსა და შემოგარეთა
აღვილთა და ქუემოსა მუცელსა. და ერგების ზურგისა ტკივილსა
და კოლინჯსა, და მუკლთა ტკივილსა. და გაიღებს თელგმასა. და
627r ერგების სიმკურვალესა და სისხლსა. და შესუმა მისიგანი: წონი
30 დრამისა და ნანევრისა — ანუ ჰულუბისა წყალითა, ანუ ნუშისა
მწარისა ზეთითა.

საკამუნია — მკურვალი არს და გამღებელი კუერცხის გული-
სა, ნავლისა და თელგმისა, და აენებს ღუიძლსა და სტომაქსა, და
გარდასწყუეტს შავსასა და შეუმატებს გულისა კლებასა, როდეს
35 მარტოდ შეისუას.

თურბითი — მკურვალი არს და ლბილი და შემალბობელი
მუცლისა, და გამღებელი თელგმისა და კუერცხის გულისა ნავდ-
ლისა.

უშპანი — მკურვალი არს და ლბილი, და ერგების ქართა სტო-
40 მაქსათა და ღუბელსა, რომელსა მუცელსა შინა იყოს. და ერგე-

ბის ქარსა ბავასირისასა და შეაღბობს მუცელსა, შესუმა მისგანი: წონი ორისა დრამისა ბავასირისა ქარისათვის.

ზღუთა პერულო — მომკმელი არს ბაყლისა, რომელი თუალთა შინა იყოს. და ერგების ბაჰქსა და მლიერსა და მქაენსა, და გასწმედ[ს] ტყავსა. და როდეს დაიწუას და იცხოს თმასა დასრულსა, ერგების საჩინოდ.

თუთია — გრილი არს. და ერგების სარატანთა დაკლეჩილთა, როდეს ზედა იცხოს, და მჭდომთა; და ჩაერთვის საოლავსა თუალთასა და იქმს საჩინოსა რგებასა, თუ ღმერთსა უნდეს.

ბოსანა, რომელ არს მარჯანისა ძირი, გრილია და ლბილი და გარდამწმედელი თუალთა. და დასცავს გულსა მოწამლულობისგან და იკმარების საოლაეთა შიგან, და დედანიცა იკმარებენ თანისა სამკაულთა შიგან.

ენდრო — გამომღებელი არს სისხლისა, რომელი საშოსა შინა იყოს, და ერგების ბაჰქსა, როდეს ზედა იცხოს.

ჩანტთანე, — რომელ არს ალფიოლიოს ძირი, მკურვალი არს და ლბილი და ერგების მოწამლულობასა, და ქარსა დააყუდებს მკურვალსა, და ღრძილსა ერგების და გულისა ურვასა და რაცა ვნება იყოს ტანსა შინა.

ზრევანდი მეორე — გრილია და ლბილი, და ერგების ღუიძლსა

ზრომბადი — მკურვალი არს და ლბილი, და ერგების თელგმასა და გულისა შეღებასა და მოწამლულობასა, და დასწყუეტს თხევასა და ერგების ქართა.

მებლები — მკურვალი არს, და ერგების მენჯთა ტყვილსა, როდეს შეისუას თაფლ-წყალისა თანა.

აკარკარლა — ქარქუეტისა ძირი, მკურვალია და მომწველი და ჩამომზიდველი თელგმისა თავისაგან და ნასხმანთაგან, და ერგების ყოველთა გუართა ბუნებათა.

ქაფური — გრილი არს და კმელი, გააგრძობს ტანსა სწრაფით, და ერგების სიმსივნეთა და ტყვილსა ღუიძლისასა, როდეს შეურიოს თანა ორივე სანდალი; და როდეს დაინაყოს, თოვლისა წყლითა გაადგინო და ცხურითა უწთოს, დასწყუედს სისხლსა, რომელ სდიოდეს.

ზანდალი — წითელი და თეთრი ორივე გრილია და კმელნი, და შემღობებლნი სიმსივნისანი, და ერგების ჰუმრასა. რომელ კორცთა დააჩნდეს და ვითა დრამა წითელი გარდასწყუეტს სისხლსა. და თეთრი სანდალი უფიცხლე ერგების.

აკაია — გრილი არს და შემბლუჯავი, და ერგების სიმსივნესა და ჰუმრასა, რომელ კორცთა წითელი გარდაცხუევის, და შეკრავს მუცელსა.

საკმეველი თეთრი — მკურვალია, კმელი, შესკამს თელგმასა

და გაუქარვებს გულის ურვასა. და შეუმატებს სწავლასა და ერგებობას ქართა ბაეასირისათა, და შეუმატებს მოკსენეობასა. და არს კარგი. წითელი მქურვალი არს, კმელი, და ერგების ქარსა.

5 ბაზარკატონა — ერგების სიმქურვალესა და გულისა ბნედასა და გულ[ი]სა კლებასა, და გაიხუამს თელგმათა სხუილთა, და ერგების საშოსა დაქსნილობასა.

შამალანდალი — მქურვალი არს და კმელი, და გაიღებს თელგმასა და ზამსა, და ერგების ქართა და სიმქურვალესა, და ერგების ზაპირასა, და არს საკლავთა წამალთაგანი.

10 ქარბა — გარდასწყვეტს სისხლსა და შეკრავს მუცელსა, და ერგების სიმქურვალესა.

ხატმი — რომელი არს ფოხუერი, შემალბობელი არს მკდომთა და ერგების მსივანსა, და ძუძუსა მსივანსა შეალბობს და გაუქარვებს ბერვასა, და დაალობს მკდომთა, რომელნი გუიანად დამწიფდებოდინან. და თესლი მისი დაფშუნის, რომელი იყოს თირკმელთა შინა ქვა ო და მენჯთა.

15 v. ფუკალდხირი — ერგების სიმსიენესა ღუიძლისასა და მუცლისასა, და ძირი მისი უფიცხე არის, და როდეს შეიღვას მუცელსა ანუ შესუსას, გაიღებს ფსელსა დაყენებულსა.

20 ჰსაქი — დაფშუნის ქვასა თირკმელთასა და ერგების მენჯთა. 'შესუმა ამისაგან: წონი ღრამისა. და ამისითა წყლითა ჰოქნა ულოთ ვის ზურგი და თირკმელნი სტკიოდენ, და არს მქურვალი და ლბილი.

25 აშკაული — მქურვალი არს და ლბილი, და შემმატებელი მაცობისა და გამაძლიერებელი თესლისა.

სანდაროხი — გრილი არს, და ერგების თავისა ტკივილსა, როდეს იკუმეოს მითა.

ვაჭი — მქურვალი არს და ლბილი, და ერგების ქართა და თელგმასა, და სტომაქსა და კუელსა.

30 ხოლინჯანი — მხურვალია და ლბილი, და გააქურვებს თირკმელთა და გამაძლიერებს წყალსა მამაცობისასა, და შეუმატებს დედათა თანა მისულასა, და ერგების დედათა ქარსა და თელგმასა, და ეენების სიმქურვალესა.

მურდასანგესა ნაცარი — თავისა მომკვლელი არის.

35 სპეტი — ერგების მღიერსა და მქაევანსა, როდეს იცხოს ძმრითა და ვერცხლის წყლითა, ერგების და მოჰკლავს ტილსა, როდეს თავსა იცხოს.

ქალბანა — მქურვალი არს და ლბილი, და ერგების ქართა ქუმოსა მუცლისათა, და ერგების წყლულთა მახუილითა წამალითა

629r 'შერეუვითა.

40 ნუშადური — მქურვალი არს და გრილი, მმანუაი სტომაქსისა,

გრილი არს და კმელი, ერგების ყიისა ტკვილსა და კუქურსა ჩა-
მორდომილსა.

გუნდა — მკურვალი არს და გრილი. მმახველი სტომაქისა. და
თუ დააღობო ძმრითა დანაყილი და იცხო თმასა ზედა, დააშავებს.

ხაელი — წამალი არს, რომელი დაფშუნის ქვასა ბუშტასა ში-
გან და გაიღებს ენებასა და კრულსა მკერდისაგან და ფირტუისა-
გან, და აკმობს და დაადნობს ღუბელსა და გაფანჩავს ღორთელთა.

ძივთი — სამი გუარი არის: ერთი — ველური, ერთი ზღუი-
სა, ერთი — მთისა. ზღუისა არს შავი და იკმარებდს მარამათა შინა,
და ველური და მთისა იკმარების ყოელად გუარად; და სიმსიენე
მკურვალნია და კმელნი, შემალბობელნი სიმსიენეთა და მჯდომ-
თანი.

ხაიაწალანი — მკურვალი არს მეოთხესა ნაწილსა ზედან და ლა-
ტიფი, და მოსჰამს დამალსა კორცსა და გააკმობს ნოტიობასა ტან-
სა შინა და, თუ ჩაიწთოს ყურსა შინა, მოჰკლავს ქვასა, რომელი
იყოს ყურსა შინა. და ერგების კბილთა ქიისა შეკმულთა, როდეს
იცხოს ზედა კბილთა. და ერგების მლიერსა და მუნსა. რომელი
კაცთა და საკედართა ეღვას. და ერგების გუელცემულთა, როდეს
ზედა იცხოს, თუინიერ ურთოს მარილი და ეგრე იცხოს.

ანქამუში — არს წამალი, რომელი გაიღებს ღელათა || წესსა,
დაყენებულსა საშოსა შინა, თუ შეაგბოს და წყალი მისი შესუვას,
ერგების ლიძლსა და ფაწალისა ტკვილსა.

ჯდაი — გაახუამს ნესტუთა ტუინისათა და გაიღებს სისხლსა,
დაყენებულსა საშოსასა და ფსელსა.

ბახუნაჟი — მკურვალი არს და ლბილი, და შეაღობს ნესტუ-
თა და სიმსიენეთა, და არს ესე წამალი გუირილიაი.

მუკლი — მკურვალი არს და ლბილი, და ერგების ქართა ბაქაქ-
სირისათა და უცნაურთა ქართა, და უჩინოთა ქართა; და წითელი
უკუთესი არს შავისაგან.

იშაი, — რომელი არს ფურცელი ქარქუეტასა, გრილი არს
და კმელი. გაასურნელებს სტომაქსა და გარდასწყუეტს თხევასა,
და ერგების ქართა.

ბაჰმანი — წითელი ერგების ქართა. და სისხლსა უმატებს და
გააქარეებს გულისა ურვასა; და თეთრი მკურვალი არს და უმატებს
ზურგსა წყალსა.

აკლიმია — შეიქმნების მურდასანგისაგან, და ოქროსაგან და
ვერცხლისაგან და სხუათა მრავალთა გუართაგან. და ოქროსა აკ-
ლიმია გააკმობს სიმსიენესა ნოტიობისასა.

მურდახანგი. — კმელი შეზავებული არს, სიმკურვალესა და
სიგრილესა შუა არის, და ერგების ზამასტასა და სიმსიენესა ფი-
ცხელსა; და როდეს ზედა იცხოს, ამოაელენს თმასა.

5

10

15

v

20

25

30

35

40

743

- აჩახაპი — მრავალგუარი არს და ყოველი მომმახუავი არს.
- 630: ჰრმალი — || რომელი არს უძუარის თესლი, მკურვალია, ლბი-
ლი; ერგების ქართა, და თელგმასა, და შეუმატებს ძალსა და, თუ
იკმოს ვინ, კბილთა ტყვილსა ერგების.
- 5 აგურატი — არს და ჰრქუიან შიახი, და არს მეტსა სიმკურვა-
ლესა შინა და სიკმესა, და გამოაქუს ჰია ათხარი.
ჯავაზალა — არის გრილი და ნოტია; და ერგების სუმა დაწურ-
ვილისა მისისა ნერგთა გამოსულსა საგურკელისასა.
- 10 ჰალილა მელიქი — მკურვალი არს, კმელი — ლატიფი.
ჰაიოფარიკონი — მკურვალი არს, კმელი. ერგების სუმა მისისა
ფურკლისა ნიკრასსა, რგომა — საჩინო.
აფრაზეონი — გაქსნის ნესტუთა ლუიძლსა შინა და ტყირბსა.
ჰამადრეოზ — მეტი არს სიმკურვალესა შინა, და სიკმელესა
გასწმედს და დაალობს სიმაგრესა ტყირბისასა.
- 15 ჰამაფიტოსი — მკურვალი არს, მეტი არს სიმკურვალესა შინა,
გაქსნის ნესტუთა ლუიძლისათა.
კურდმანა — მოკლავს ჰიასა, რომელი იყოს მუცელსა შინა.
მამითა — გრილი არს შემკრველი.
ასადა — მკურვალი არს, კმელი, გასწმედს სტომაქსა.
- 20 მღურდმო — გრილი არს, კმელი, კეკელა არს ლუიძლისა და
სტომაქისათუის.
შიტრაჯი — მეტი არს სიმკურვალესა შინა, ფერსა აქევეს მხუ-
ვერისა და კეთრისასა, როდეს სცხო ზედა.
ზუფვა — მეტი არს სიმკურვალესა შინა და სიკმელესა.
- v || ჰაია — უმატებს თელგმასა.
- 25 აბრასა — მკურვალი არს და კმელი, გასწმედს მკერდსა და
ფირტუსა.
ზარევიანი მოკლე და არაჯი — უმოკლე არს და უმაგრე
გრძელსა. ერგების სხამთა ადგილსა ზედა ტანისაგანსა, რომელსა
შინა იყოს ლერწმში ანუ რკინა, გამოიღებს.
- 30 ზ[ა]რევიანი გრძელი — ერგების დაცემასა და წრწოლასა.
მასარონი — დამდგომი არს სიმკურვალესა შინა და სიკმელესა.
ასკილი — მკურვალი არს, ლბილი, აადგენს შავასა და ერგების
რაბოსა, კუელასა, როდეს შესუას მისგანი თაფლითა შემწუარი და
შეიწვის სინოტიითა მისითა.
- 35 ამსენა დეოსკოროს, — თუ ჩამოკვილო ქუდსა კარისასა, არა
შევიდეს გრძნეული, არცა გუელი; და თუ შეიწუას ცომსა თანა
ანუ თიკასა თორნესა შინა, ვირემ გაქმეს თიკა და გამოილოს.
კუნდოს — მეტი არს სიმკურვალესა შინა, და იბეროს ცხუ-
ირთა და დასცეს, და შესუას მისგანი და ათხიოს.
- 40 ადარიონი — მეტი არს სიმკურვალესა შინა და სიკმელესა. მარ-

გებელი არს სტომაქისა, თუ დიაცმან უძლებმან აილოს მისგან და, თუ დიაცმან იცხოს სარცხუენელსა შინა, უძლებ იქმნას.

სორინჯანსა — შინა არს სიმკურვალე, კველა არს ნიკრისისათვის და მისგან არს წითელი მომკლველი.

კუტამ კუსომ — შუა არის სიმკურვალესა, და კმელი არს — 5
ლატიფი.

|| ანჯარქი — შეზავებული არს სიმკურვალესა შინა და სიკმე- 631r
ლესა.

ფოხური — გაქსნის ხამსა.

რატაბა — მკურვალე არს, ლბილი, უმატებს(!) თესლსა.

მური ასფირამ — დაამაგრებს სტომაქსა და ლუიძლსა. 10

კირტიმი — შინა სიმკურვალე არს და შეკრვა მცირედ, ველური მისგან უმკურვალე არს.

ლემი — სამი ფერი არს; ყოველი გოილი და კმელი არს, დაუშეშებს ტანსა, რომელი იმსახურონ მისგან თეთრი.

ბარადმონი — მკურვალე არს. 15

დარუნაჯი — მკურვალე არს და კმელი, ერგების ქართა სარცხუენელსა, რომელსა პრქუიან(?).

ზარნაზადი — მეტი არს სიმკურვალითა და სიკმელესა შინა, და ერგების ქარსა და ნაქენსა ჭიათასა.

ჯიდვარამანებრი — არა არს ძალსა შინა, ულატიფე არს მისსა. 20

ქანქარი — მკურვალე არს, კმელი, ერგების სიცივესა და სიუსუსურესა ძულთა და ცხროთა გრილთასა.

ბარნაჯი — მკურვალე არს, კმელი, გამოიღებს თელგმასა და მოკლავს ჭიასა.

მალადი — მკურვალე არს, ზომი აძდგენს(!) შუასა და ერგების ნიკრისსა. 25

მოი — მეტი არს სიმკურვალესა შინა.

ფოი — მეტი არს სიმკურვალესა, ლატიფად დაანაყს შირიმსა ფოსსა. მისგან არის მწარე და მისგან მომწუხავი; როდეს ჩამოკვიდო და შეასუა, ერგების || ნაქენსა ჭიათასა და გუელისასა. v

არნაბუტმა და არს შირამაქი, — შეზავებული არის სიმკურვალესა შინა და კმელი. 30

განავალი, — რომელსა პრქუიან მძღრენი, მეტი არს სიმკურვალესა შინა; ერგების წითელსა დაფანჩულსა.

ყური თაგუთა — გრილი არს და ნოტია, ერგების სიმსიენეთა შეზავებულთა. 35

პარიჭოსონი — არს ყური აქლემისა, შეზავებული არს სიგრილესა შინა, ნოტია, ერგების მკდომთა ძუელთა და ძნელთა.

ზოფაი — მკურვალე არს, კმელი, შინა ქუეყნიერი არის, გააქმობს მკდომთა.

ბროწეული მეგუიბტური — შემკრველი არის, და ერგების ვის სისხლსა ჰნერწყვიდეს.

ბალასანი — ნაყოფი მისი შუა არს სიმკურვალესა შინა და სიკმელესა.

5 ბალადური — მეტი არს სიმკურვალესა შინა და სიკმელესა, და ერგების დაეწყებასა, მოგაჭერენოს შემსმელსა მისსა დიდისა სიმკურვალისა მისისაგან.

ბადრაი — ფურცელი მისი შემკრველი არს, დააყენებს სისხლსა.

ბაღლა — ძელქვა არის, გრილი და ნოტია.

10 ბარფე — გრიკი არს, მკურვალე მეტად, ერგების ჩამოსულსა კუიკურისა: და ვინ იკუმიოს — სურდოსა; და ერგების ბუგრსა, როდეს დანაყო ფურცელი მისი, და შეასუა მისგან. ერგების სიმსივნესა ტყირბისასა, და შეწნას მისისა წნელისაგან მოთხე, და სმი-

632r დეს და ჰამდეს მითა შინა, ერგების || სიმსივნესა ტყირბისასა.

15 აფთი — არს ჭერქი მუხისა, ერგების სიმსივნესა სტომაქისასა და სიუსუსურესა საგურკველსა და მუცელსა, როდეს შეიგბოს და დაჯდეს მას შინა.

ბავზა მაზავი — არს ნაჭფი გრიკისა, მსგავსი არს გუნდასა, და არის უგრილე მისგან.

20 წყალნი — კულა მრავალფერ არიან და მრავალსახე, და ერთი ერთისა უმჯობეს არიან. უმჯობესი ესრე არს და უთავესი — წყალი ცისა. და ესეცა მრავალფერად გაიყოფვიან, ერთი-ერთისა უმჯობეს არიან. უმჯობესი ესე არს, რომელ სამოსლითა შეიპყრა ესრე სახედ: სამოსელი ოთხთა ხეთა გააბადე ზედა და ახალი ჰურ-

25 პელი ქუეშე დაუდგი წმიდა, რომელი სამსა დღესა მსხურეულ იყოს, იგი წყალი მუნ ჩასწუთებოდის. ესე სარგებლისა არს, სუბუქი ყოვლისა სნეულისათვის; კეკელა არს და გულსა აშუნს და მოწამლოსცა. და შემდგომად მისსა ცისა ვე, რომელი ქვასა ზედა დადგეს შთასა ზედა. ესე კეკელა არს, გარნა პირველსავეებრ ვერ არს. შემ-

30 დგომად მისსა ცისა ვე, რომელი ველსა წმიდასა დადგეს, გარნა პირველისაებრ ფერი. მაშა, რომელი ზეითგან მოდროდეს, კეთილ არს, სიკმელესა მოატყუებს პირსა || და კორცთა ქუეყანისა.

v კულა წყალნი — დიდნი ჰენი, რომელთანი მთანი შორს იყუნენ და მზე დახედვიდეს ქუეყანასა წმიდასა, არის ქარიანი და სიკმესავე მოატყუებს და სიპოხესა. და მისსა შემდგომად წყალი, რომელი ველსა ზედა დადგეს, რომელსა შინა საძოვარი არა იყოს, და ჩალოფანი მზესა შეეგბოს; სუბუქი არს. დილეულ ამოილე, ვირემ მზემან არა დაუცხუნოს. და შემდგომად მისსა სულინარის წყალი თელგმისა და ნავლისათვის კეკელა არს. და შემდგომად

40 მისსა ფლისკინისა წყალი დიდისა და ღრმისა, რომლისაგან წელიწადსა სუმიდე, არა სუბუქი არს. და შემდგომად მისსა წყალი არა,

სუბუქი არს და კეთილ არს ნავლისათვის. და შემდგომად ამისა წყარო, რომელი გამოვალს მათაგან, სუბუქი არს და კეთილ თელგმისათვის. მას წელიწადსა წყალი მრღუევე მძიმე არს და მავნებელი სტომაქისათვის. ნუ სუამ; თუ სხუა არა იპოვო, დააყუდე კოკასა, შინა ჩალა იდგეს და წურილი ჰქია ესხას, ნუ თუ სუა-და იგი, რომელი ჩალამან წყალი დაფაროს, მზისაგან სხამად შეიქმნას მას შინა, ნუ სუამ, რომელი სხამსა ზედა დიოდეს. უკეთუ სხუა არა ჰპოვო, ღრმის ადგილისაგან ამოიღე ქლქურიე.

წყალი ადუღებული კეთილი არს ყოვლისათვისევე ცხროსა და ქუელისათვის, საქამადსა მოადნობს, რომელი სტომაქსა შინა შეყინულიყოს, საქამადი. გაქსნის და კეთილ არს ქარისათვის და თელგმისათვის ესე ტფილი. და წყალი შემგბარო, რომელი გაგრილდეს, კეთილ არს ნავლისათვის და საქამადისათვის. და წყალი, რომელი ზამთრის გარე დგეს, მვენებელია, ნუ სუამ ყოლა;

მეფე ყოველი მლაშე არს, სტომაქსა შინა მოსწეულს წყლისაგან და მუცელსა შეუქრებს. და მაშინ ქართა თირკმელთათა აღიძრვის. ესე არს ყოველი, რომელი წყლისაგან იქმნების სტომაქსა შინა — კეთილი გინა ჰირი. იცოდე, მეფე ვითა წყლისა სუმა უკანასა კერძსა ღამისასა კაეშქანსა მოატყუებს, რომელი დაადგრეს სუმასა, ნუ სუამს ძილსა უკანა, თუ შეუძლო — წყალი გრილი კეთილ არს და ცხორება არს კაცისა, და კეთილ არს ქარისათვის, შესქამს თელგმასა განა ღისხლსა, და ნაელსა აადგენს, დასწუავს, და მძიმე არს სტომაქსა შინა სასუმელად. პირველად სტომაქსა მოაგინებს და ტევასა, და სუილსა || და კუელასა, და კეთილ არს ქარისათვის და ქუელისა და ქიისათვის.

მ. ქარი სამეოცდა მესუთეჲ

სახელეზი წამალთა და თარგმანი მათი

- კალამონი — რომელ არს დამწუარი ფარიკონი.
- ჰკორდიონი — რომელ არს ველური ნიორი.
- სამლარაბი — რომელ არს გარეული გომიზი.
- ჰიდჯი — რომელ არს ველური ხავრატი.
- დავალხენი — რომელ არს ძმათა სისხლი.
- ზიბისთან — რომელ არს მწყავის თესლი.
- როდნის ფურცელი — ყუავილია მწყავისავე.
- აშუაყულა — რომელ არს სუინტრისა ძირი.
- ჰელი — რომელ არს წურილი სუინტრისა ძირი.
- აბალღარი — რომელ არს დაფნისა თესლი.

- ფატარსალიონი — რომელ არს ველურისა ნიახურისა თესლი.
სუდი — რომელი არს ნდო(!).
- დუკო — ველურისა სტაფილოსა თესლი არის.
- ქ[ა]თირა — რომელ არს ლერწამისა გომიზი.
- 5 კურდმანა — რომელ არს ქარვთი კულიაევი.
ფოვასა — ყუაველი, რომელ არს ქარქუეტას ყუაველი.
ბაზარკატონა — რომელ არს მრავალ-ძარღუას თესლი. და
ერთი სხუა არის ბაზარკატონაი.
- 10 ალატროი — რომელ არს თუთუბა.
ქამუნი ქირშენი — რომელ არს ძირა.
სასლეოსი — რომელ არს ზოფასა თესლი. ზოფა არს.
ლოვაკტიკონი — რომელ არს ქაშუმი.
თურმონი — რომელ არს კაზუნისა თესლი.
15 ჰებრა — ლოისა ძირი, რომელ არს თივა-კაცისა.
წიბბი — რომელი არს ყურძენი გამკმარი.
ბასალასკილი — რომელი არს თავისა ხახუი.
ხარდილი — რომელ არს მდოგუი.
- 635r || დადე — რომელ არს სუვეე.
კოტოფი — რომელ არს თათმი.
- 20 მარდაქ — არს მურდასანგი.
შაინი — არს ორაგული.
შაბოტი — არს გოქი.
ჭულანარი — არს ბროწეულისა ყუაველი.
25 ბაბუნაქი — რომელ არს გუირილაი.
ბაკლაბაღამკა — რომელ არს უკუდავისა თესლი.
აბარბარისი — რომელ არს კოწახური.
ალარდენი — რომელ არს ბროწეულისა გული.
სრნჯი — რომელ არს ჩიფქილა.
შაღდი — ნუში მწარე.
- 30 ფატადვიონი — რომელ არს ქალნა, ახლად რქუიან უდასპლიბი.
მაიაი — რომელ არს ზუგისა თაფლი.
კეთაბარ კიშთი, — რომელ არს ღერგრეხილ, და ახლად რქუიან
შარალული.
ასმანჭუნი — რომელ არს მკიისა შროშნისა ძირი.
- 35 ბადრუნჯი — რომელ არს ტენკო; და შინაურსა პიტნასა ბად-
რუნჯვე პრქუიან.
ბუვფუკასტი დუვისი — რომელ არს ვაცის წუერი:
შეაი — რომელ არს ელევენი.
ჯანდა — რომელ არს სომხურად მარემბოტი.
40 შაბთრაქი — არს სომხურად ანძახოტი.

ანჭურანი — რომელ არს უსპნისა ფურცელი.	
ლაფთი — არს ასპოზანის სომხურად.	
ქაქინაჯი — არს ქონთოფი; და ასკილსაცა ჰქუიან.	v
ლატბა — არს ალავერტი.	
შუქა — მგლის ეორკი.	5
ბადავარდი — არს უმცროსი მგლის კორკი.	
სასლიონი — არის ნიახურისა თესლი.	
მარვა — არს წუწკოი თეთრი.	
ქაქინაჯი — ასკილი.	
კურტუმი — არს ქურქუმისა თესლი.	10
ზოვფა — არს ურტი.	
ქუდის — არს მშხამი.	
ულაკი — არს მაყუალი.	
ბაულაი — არს ლუევი.	
და მეორედ, ზოვფა — ცხურის ღუმისა კურკლი არს.	15
კალკატარი — რომელ არს დამწუარი არჯასპი.	
დიბეი — რომელ არს ფითრი, და კილაი ქალბანასა ¹ .	
რიბეზ — სომხურად ხაერატსა ჰრქუიან და ჯინტიანა ძირსა მისსა.	
ჰბოკი — პიტნა წყლისა.	20
ჯავნაჯადი — თეთრი ლელუი არს.	
ფაპაოფახი — არს ბერძული ყურძენი.	
ანფაკინ — უნდილსა ყურძენსა ჰქუიან.	
მაკლონია არს გრძელი ნესუი.	
ლუთფი — თეთრი ვაშლი.	25
პურფა — არს სპანძილისა თესლი.	
ნანხუა — სონიჯი.	
ასფიოში — მრავალ-ძარღუას თესლსა ჰქუიან.	
ზარათი, მეორედ, — კოწახურსა ჰქუიან.	
რათიანი — არს საკმელი დიდორი.	30
ირსა — ღუალო ძმარაი.	
კუფოტი — არს თათმი.	636r
მარდაქი — მურდასანგი არს.	
ლძიბი — არს ტირფი.	
აზარხატი — თეთრი მძივი არს.	35
პელი — უმცროსსა კაკულასა რქუიან.	
ჯარჯირი — არს ბაკილა წურილი.	
ლობანი — ნიშასტაგსა ჰრქუიან.	
ლუშისა — არს თეთრი ფშატი.	

მპ. [პარი სამეოცლა მეექვსე]

[საზომნი]

5 ექუსი კერატი ნახევარ ღრამსა ჰრქუიან. და ასათირი ექუსისა ღრამისა და ოთხისა დანგისა წონი არს. და კუზტი ერთი, არს ცამეტი უკმია.

10 აღმოსავლითგან შვისა ვიდრე დასავლამდე სამი გარდაქცევა არს. და ერთი გარდაქცევა სამ აფას ოთხას ორმოცდაოთხი ასპარეზი არს. ასპარეზი ერთი სამ ათას სამასოცდაცამეტი ფრასხი არს. ფრასხი ერთი ათას ორასოცდაორი მილიონი არის. მილიონი ერთი ათას ასდათერთმეტი ნაბიჯი არს. ნაბიჯი ერთი ცხრა ტერფი არს და ტერფი ცხრა გოჯი არს.

და გოჯი ოთხი ქერი არს. ორი ქერი ფრჩხილი არს; ათი ქერი დანგი არს. დანგისა მესამედსა პაშტა ჰრქუიან. თუ სწონდე, ესრეთ წონი; თუ ზომდე, ესრეთ ზომე.

15

|| მზ პარი [სამეოცლა მეუხიდე]

კაცისა და ყოვლისა კირუტყუისა და ფრინველისა და იძრვითისა ხასიათი

მარგებელი ცხენთა შინა

20 სძე ჯდალთა. ჰოქნა ილოს დიაცმან მითა და იყოს მკურვალ და გაწმიდოს საშო მჯდომთაგან. და როდეს იემიოს ტერფი მისი, ყრმა მომკუდარი გამოილოს და სქაშო დაყენებული. და როდეს დაიწოს ტერფი მისი, და მოილოს ნაცარი და შეზილოს ზეთითა, და დასდეა ღორთელთა ზედა, დააღობს და ჰკურნებს. მჩორე ცხენთა. — როდეს² იემიონ მითა, გამოილოს ყრმა —

25 ლი, იყოს ანუ მკუდარი — მუცლისაგან. და როდეს გააგმოს და იცხოს მისგანი წყლულთა ზედა, დააყენოს სისხლი მისგან. და აყენებს ცხუირთაყა წამოქცეულსა სისხლსა. და როდეს დასწორე ნედლი მჩუარსა შინა და უწოთ წყალი მისი ვარდისა ზეთისა თანა ყურსა შინა, წამოქცეულსა სისხლისასა მტკიევანსა დაუყუდოს.

30

კარი მარგებელი ზროხათა შიგან

როდეს დაასხა სისხლი კართა წყლულსა, დააყენოს სისხლი. და თუ შეპრიოს კატრანსა თანა, ანუ შამალანდალსა თანა, ანუ თაფლსა თანა, და იცხოს საგურკელსა შინა, გაქსნას. და 637r თუ იპყრას პირსა შინა მისსა. ერგოს ყოველსა||ტკივილსა. და თუ

აიღოს სარცხუნელსა შინა, სოსანისა ზეთითა გამოიღოს სისხლი უწესო. და თუ იწთოს ყურსა შინა, ერგოს ხუვილსა და სტუენეასა. და თუ მოილოს ყუ ე რ ი კ ბ ო ს ა გამოყუერულისა გამკმარი და შესუას მისისა ნახეწისაგან, ადგენს შავასა და სირსა. სკორე ზ რ ო ხ ი ს ა დასდვა მედგარსა ზედა და მსიუანსა შავარსა, დაჯნის, თუ დასდვა ნიკრისსა ზედა, ნაცარსა და ფისსა თანა, ერგოს. და თუ დასწუა სკორე და დასდვა ცხუირსა შინა, დააყენებს სისხლსა. და როდეს შეიგბოლოს ზეთითა და დასდვა ტფილი ტანსა ზედა და გაუტეო, რომელ გაკმეს, და აილო იგი და დასდვა სხუა, და უყო ესე მრავალჯერ, გამოილოს ისრის პირი. და თუ მოილოს სკორე და ჩასდვა კურკელსა სპილენძისასა და დაასხა ზედა ზეთი, რაი ეყოფოდეს, და შეგბოლო მითა და დაანელო, და შემოსდვა კიპსა ქუეით, ვირემ ფერდ[ა]მდეს, ერგოს კოლინჯსა და ქართა მსხუილთა რგომითა საჩინოთა. უყო ესე მრავალჯერ. თუ იცხოს ტანსა სკორითა ქარსა ზაფხულისასა, ერგების სიმსიენესა ასოთასა და ბავასირისასა.

კარი მარგებელი ვირთა შინა

ს ძ ე ვ ი რ თ ა. — || ვინ სუას, ერგების წამალთა მკლველთა, დასტური და გამოცდილი არს. და თუ დასწუა ლ ა რ თ ი ვირისა, დაგალო ზეთითა დღეთა მრავალთა და დამარხოს, და დააყუინოს თმა და სცხოს, დააშუენოს თმა და არა გამოვიდეს თმა თეთრი მისსა უკანის. და თუ მოილოს მ ჩ ო რ ე მისი კმელი და ჩაუღვას ცხუირთა შინა, ანუ სხუასა ადგილსა, სადა სისხლი სდიოდეს, დააყენოს სისხლი.

კარი მარგებელი ცხუართა შინა

აჯსენა ძალსა ჰამა კორცისა ვერძისა, ერგების სუმასა როჭიკისასა. და იკმების მისისა ლუიძლისაგან შემწუარი, დააყენებს მუცელსა. თუ ღარღარა ყოს მისითა რ ძ ი თ ა ტფილითა, ერგოს ყოველსა სნებასა. თუ იწთოს ყურსა შიგა მისისა ნ ა ვ ლ ო ს ა გ ა ნ თათლისა და წყალისა თანა, დაუყუღებს ტკივილსა. თუ დაიდვას ტუფინი მისი თავსა, დააყუღებს ტკივილსა თუალისასა. თუ მოილო ბ ა ყ ლ ი ლ ი ი ს ა მისისა და შეკრიო ვარდისა ზეთსა თანა, და აიღოს დიაცმან სარცხუნელსა შიგა, დაუყუღოს ტკივილი სარცხუნელისა. თუ გააკმო ფ ი რ ტ უ ი კ რ ა ვ ი ს ა და დასდვა ნიშანთა. აპკდოს(!) ნებით ღმრთისათა. თუ შესუას ღ უ რ ი ტ ა || კ რ ა ვ ე ს ა წყალითა და ძმარითა, ერგოს სხამთა ყოველთა და გაცნის სძესა შეპყრობილთა ტტომაქსა შინა.

კარი მარგებელი თხათა შინა

თუ მოილო ნაქუეთი თხის ტყავისა, ანუ თიქნისა, რაჟამს
გაიგადოს, და დასდვა ნაებენსა გუელისასა, გამოილოს შხამი. თუ
შესუას ნაველი ვაციისა ვის თიქმელი სტკიოდეს, ერგოს,
5 თუ შეწუას ღუიძლი თხისა წითლისა და იწთოს წყალისა
მისგან თუალსა, ერგოს რქიბელსა. თუ კამოს ღურიტი-
გან შემწუარბი, ვის ტყირბი სტკიოდეს, ერგოს. თუ შესწუა ღუი-
ძლი. დაგალოს და შესუას ღუინოსა თანა, დააყენოს მუცელი სწე-
10 თხისა წამოსცემს ფსელსა და ერგების. ლემისა სმისაგან ლარ-
ლარა ყოს მითა და ერგების ნაზლათა, ენისა სიმსივნესა. თუ იწთოს
მისისა ნაველისა გან ყურსა შიგან ქორათისა წყალითა, დაუ-
ყუდებს ტკივილსა. და თუ შეპროოს კატრანსა თანა და სცხოს კიბ-
სა თანა, გაქსნის მუცელსა და უნებს, რომელ იბანოს წყლითა ტფი-
15 ლითა. თუ დაიდვას კურკლი მისი ღუინოთა ურწყოთა, ვირემ
შეიქნას ვითა თაფლი, და დასდვა მედგართა ზედა მრავალთა, გა-
20 ქსნის. სისხლი თიქნისა თუ შესუას, ერგოს. || წამალთა
მკლველთა.

კარი მარგებელ აქლემთა შინა

ვინც შესუას აქლემისა ტუინისა გან მითჯალი ძმრითა და
20 თაფლითა, ერგოს რიბელსა თუალისასა, და ერგოს ნაველი
მისი, როდეს იოლოს სიქანქუბინითა ტკივილსა თუალისასა. და
როდეს დაიბანოს თავი ფსლითა მისითა მრავალსა დღესა, ერგოს
სირინაჯთა და ქარტლსა. და ერგების ურვიელსა მჭდომსა, როდეს
იწთოს შინა და ჩაიდვას მატყლითა. და ერგების შესუმა მისისა
25 ფსლისა სიმსივნესა ღუიძლისასა და ძალ-სცემს მისულასა. და თუ
დანაყოს აქლემისა სკუტლი და დაიზილოს ძმრითა და იცხოს
მითა, დააყენებს ტკივილსა.

კარი ირემთა მარგებელი

რქა ირმისა როდეს აკმო სახლსა შინა, მეოტ იქმნას გუელი.
30 და თუ იკმოს დიაცმან, დაუყუდოს ტკივილი — მორჩობა სარცხუე-
ნელისა. და როდეს მოილო ნაქლიბი ირმისა რქისა, დაგალოს და
შესუას, ერგოს ცხროსა და გუნსა, ღუინისა თანა სუას. და თუ შე-
სუას ნახეწი რქისა მითჯლისა წონი სიქორაგსა ნახეჯარსა წყალ-
639r სა თანა უზმამან, ერგოს დაცემასა, რგომა საჩინო, და იპოების ||
35 ირმისა გულსა შინა ძუალი, თუ ჩამოაკიდო [მკლა]ვისა, დაჰმარხოს
შვილი და არა მოაგდოს. ყური ირმის როდეს გააკმო და დახეწო

და შეასუა ნახეწი მისი, ადგენს შევასასა და გაალუძებს. და ესრევე იქმს ნახეწი ლ ა რ თ ი ს ა, როდეს შეასუა ლუინითა.

კარი მარგებელი ლომთა შინა

როდეს იცხოს ც მ ე ლ ი მისი, ერგოს დამწუარსა ცეცხლისასა და დიდსა სიცივესა ზამთრისასა და სიმსივნესა, და იოლოს მისისა ნ ა ე ლ ლ ი ს ა გ ა ნ, თუალსა გასწმედს დიად. და თუ შეპრიოს ც მ ე ლ ი მისი, მდინარე მასსავე ნავლელსა თანა, და შეაქამო, ვის ურვილი სალმობა ეცემოდეს და გაიქცეს ჟამსა ერთსა ფიცხლად, ერგების.

5

კარი მარგებელი პილოთა შინა

თუ მოიღო ნაქუეთი პილოსა შ უ ვ ი ს ა და ჩამოჰკიდო საშლითა შავითა და ჩამოაკიდო ზროხასა ყელსა, განერეს რებეკასა. და თუ გაკურითო რქა ზროხისასა და ჩასდვა შინა ნახეწი პილოს ძ უ ა ლ ო ს ა, ერგოს ლუნაპსა. და თუ მოიღო ნაქლიბი პილოს ძუალისა ნაწილი ერთი და რაენის წიგნისაგან, ერგეთვე დაგალო და აცხო ბავა-სირსა და საგურკელსა შინა, ერგების რგომითა საჩინოთა.

10

15

კარი მარგებელი მგელთა შინა

მოიღე თუ ა ლ ი მგლისა მარჯუნა და ჩამოაკიდო ჩუილსა ყრმასა ზედა, არა შეეშინოს. თუ ჩამოაკიდო კ ბ ი ლ ი მგლისა და ტ ყ ა ვ ი მისი ყრმისა, არა ეშინოდეს ურვილისაგან. და თუ იცხოს ჰიპსა და მუცელსა და ტანსა მგლისა ნ ა ე ლ ე ლ ი, გაქსნის მუცელსა.

v.

20

კარი მარგებელი აფთართა შინა

მ ო ი ლ ე ნ ა ე ლ ე ლ ი აფთარისა და ზეთი, სწორად შეპრიე და ჩადევ კურკელსა სპილენძისასა. და გაუტევე სამსა ღღესა, და იცხებდი თუალსა.

25

კარი მარგებელი დათუთა შინა

შესრიმო ს ა ს ა, ჩუილისა ყრმისა გამოსულისა ჟამსა და თუ შუათა, არა იგრძნას ტკივილი. და თუ იცხოს ც მ ე ლ ი მისი დასა-ქსნულთა ზედა, დაალობს. ძარლუთა და ერგების კეთრსა. და თუ შეისუას მისისა ნ ა ე ლ ლ ი ს ა გ ა ნ ლუინითა ანუ წყალითა; ერგების ტკივილსა ლუიძლისასა.

30

კარი მარგებელი თავუთა შინა

5. თუ გაჰპო თავუი და დასდვა, სადა ისრისა პირი ანუ ძეძუი დარჩომილიყოს, გამოიღებს. და თუ დასდვა თავუი გაპებული ნაკ-ბენსა ღრინაკალისასა, ერგების საჩინოდ. და თუ შესუას სკუნტ-ლი მისი ლობანსა თანა და თაფლისა ლუინოსა, გამოიღოს შირემი.

640g

|| კარი მარგებელი ქურცინთა შინა

10. თუ მოიღო (!მ) უცლიერი ქურცინისა ყოველი და დასწუა ცეცხლითა და ასუა მისისა ნაცრისაგან ძმრითა ძუელითა მითულის ოდენი ექუსჯერ, ერგების ურვილთა საღმობათა მკლველთა. და თუ ვინ შესუას მისი სკუნტლი, ვინ სთხვედეს განავალსა, ერგების მასვე ჟამსა. და თუ შეკრას ყუერი მისი ჯორის ტყავსა შინა და ჩამოკიდოს დიაცსა ზედა, რომელი არა უძლავ ქმნილიყოს, უძლავ იქმნას.

კარი მარგებელი ყურდგელთა შინა

15. თუ იკმიოს ტანსა ყურდღელისა თმითა, არა შესცივდეს, და თუ იკმიოს თმითა მისითა, ვის ფირტუი სტკიოდეს, გამოიღოს ნოტიობა. და თუ ვინ ჰამოს მისისა ტუინისაგან ლუინოსა თანა, ერგოს, ვინ ფსმიდეს საგებელთა შიგან. და თუ ვინ შესუას მისისა ლუიძლისაგან დაგლილი ლიტრა ერთისა წყალსა თანა, გაწმიდოს წამოქცევა სისხლისა სარცხუენელისაგან. და როდეს შესწო მუცლიერი მისი ტაფასა შინა და დაგალო, არს იისა ზეთსა თანა შესუმა მისგანი, ბაკილისა ოდენი, ერგების მეოთხისა დღისა ცხროსა.

კარი მარგებელი გრძღაბთა შინა

25. თუ მოიღო ტყავი გრძღაბისა || დაგალოს და შეპრიოს თაფლსა თანა და იცხოს თავსა, ერგოს მძოვარსა და გამოავლინოს თმა. და თუ მოიღო ნავდელი მისი და გააქმო, და იოლო თუალი, ერგების თეთრსა. და თუ იცხო ნავდელი მისი თეთრსა ტანისასა, აქციოს ფერი.

კარი მარგებელი ქათამთა შინა

30. თუ გაჰპო (!). მამალი ანუ დედალი, და დასდვა ნაკბენსა მკეცი-სა ანუ გუელისასა, და შესუას მისისა ტუინისაგან, ერგოს

რგომა დიდი. და თუ სცხო ს ი ს ხ ლ ი მისი წითელსა ზედა, ერგოს. და თუ შეზილო სისხლი მისი ქალსა თანა და შეასუას მისგან ბაჟოლისა ოდენი, ერგოს ვინ ანერწყვიდეს სისხლსა. და თუ ცმელი მისი იცხოს თუალსა რიბელიანსა, გაწმიდოს თუალი, და თუ მოიხუნე ჭეღნე მისნი და მუცლიერი და გააჭმო მზესა მურსა მცირესა თანა და შეზილო წყლითა, და დაჰმარხო და ასო შირიმინათა და ვის ზურგი სტკიოდეს, ერგების რგომა კური(!). ნ ა ვ დ ე ლ ი შეპრიო თაფლსა და ზეთსა ბალსანისასა და ჩასდვა ჭურჭელსა ტყუივისასა და სცხო თუალსა ზედა, რომელსა იყოს წყალი, და ერგოს. თუ თეთრი უმწუარისა კუერცხისა ოცხოს თუალსა, დაჯანის ჰიმსივენესა კუერცხის გულისა. და თუ შეპრიო ჰინა ზეთითა და აიღოს სარცხუნენელსა, დააღბოს სიმკურვალე საშოსა. და თუ შეზილო ანზარუთი კუერცხისა თეთრისა თანა, და გააჭმო და დაგალო, და დასცრა შაბითა. და იოლოს, ერგების, თუალისა ტკივილისა. და თუ იკმოს მისითა სკინტლითა ვის კბილი სტკიოდეს, ერგოს. და თუ სკინტლი ქათმისა შესუას ღუინოსა თანა ანუ ძმარსა, ერგოს კოლინჯ[ს]ა.

ქარი მარგებელი ღერღედთა შინა

როდეს შესუას ღერღედისა ს ი ს ხ ლ ი კუტლის ოდენი, შერეული ძმარსა თანა, ერგების წამალთა მკლველთა. და როდეს შეპრიო თეთრი კუერცხისა და ზეთი ვარდისა, და აიღო სარცხუნენელსა შინა, დააღბოს საშო და წელი. და როდეს ჩაიწოთ მისგან საშოსა შინა, მკურვალე გამოიღოს, შვილი მომკუდარი, და დაუყუდოს ტკივილი. და თუ გაადგინო მღურდოსა წყალსა თანა და სცხო საფეთქელსა, დააყუდოს ტკივილი თუალისა. და თუ შესუა ხახუისა წყალსა თანა გამოწურვილსა და იწოთ მისგანი ყურსა, გამოიღოს წყალი. და თუ შეპრიო ცმელი მისი სონიქსა თანა, და იიგალოს და აიღოს სარცხუნენელსა შინა, გამოიყვანოს სისხლ[ი] უწყსო. და თუ შეპრიოს ცმელი ტუინსა თანა და დაადნოს და იცხოს პირსა, გაწმიდოს ბაყლისაგან.

ქარი მარგებელი შამამსა და შაფნისა და ქედანთა და ასკატაკთა შინა

სისხლი ტრედი ს. ფრთისა და შაფნისა, როდეს იწოთ თუალსა შინა, ერგების წითელსა. სისხლი ტრედისა, როდეს შეპრიო ბალარჯისა ფქუილსა და გაადგინო წყლითა, რომელ შეიქმნას ვითა სახურეტელი, და შეგბოლო ძმრითა და თაფლითა, და შემოიღგას მეღვარსა და ღორთელთა და სიმსივნეთა მაგართა, დაქსნის და გა-

აქურნებს. სისხლი ტრედისა დასწყუეტს სისხლსა წამოქცეულსა ცხურითაგან და როდეს იწოთს თუალთა ზედა, ერგების; და თუ მოიყუანო ტრედი და დააწყუდიო და სცე ფქუილი ბაკილასი, და სხუა არა სცე მისა გარეშე, და აილო ს კ ი ნ ტ ლ ი მისი ორი კოვზი
5 და ასო, ვინ უფსმად იყოს შირიმისაგან, ერგოს[ს] დიდად: და კ ო რ -
ცი ა ს კ ა ტ ა კ ი ს ა ერგების სტომაქსა, დააყენებს მუცელსა,
ქ ო რ ც ი ქ ე დ ნ ი ს ა დააყენებს მუცელსა.

642r ||კარი მარგებელი ლაკლაკისა კორცსა და კუერცხსა შინა

კ უ ე რ ც ხ ი ლაკლაკისა შედებავს თმასა. მოიღე კუერცხი ლაკ-
10 ლაკისა და შიგან გატეხე, დაღუარე და გარე დასცხე თმასა. და
როდეს გაქმეს, თმა დაბანე და დაიდვას თუალსა და შუბლსა ზედა
ცომი იფქლისა, ვირემ არა ეცეს წამალი და დაშავდეს. და მ უ ც -
ლ ი ე რ ი მისი, როდეს შესუას, ერგების ნაკბენსა ჭიათასა და წა-
15 მალთა მკლველთა. და მოიღე მუცლიერი და გარეცხ[ე] და გააქმე
ჩრდილსა, და მოიღე მისგანი კოვზის ოდენი და სამითა ჭიქითა
ღუინითა შესუას, ერგოს[ს] ტკივილსა მუცლისასა.

რგომა ყუავთა

მოიღო ყუაფი და ჩააგდო ჭურჭელსა ახალსა, მოფისულსა, და
დაასხა ზედა სამი სკუტლი ძმარი, და გაუტევენე ოდენი მრავალნი,
20 და ამოიღო როდეს დაღბეს, და დაგალო და სცხო თმასა, და
აშაოს.

კარი მარგებელი კაკაბთა

ა ს ო ნ ი მისნი და ღ ლ ო ძ ლ ი მითქლის ოდენი წყლითა ერ-
გოს ურვილსა საღმობასა. და ნ ა ვ დ ე ლ ი მის[ი] ერგოს წყლისა
25 წამოქცევასა, როდეს იცხოს თუალსა თაფლსა და ზეთსა თანა.

კარი მარგებელი სირთა საშოსა შინა

როდეს შეაგბოლო საშო ბალასანსა თანა, ერგოს სტომაქსა
უსუსურსა ს კ ი ნ ტ ლ ი ჰ ი რ ი ს ა. როდეს გაადგინო კაცისა ნერ
წყუითა და სცხო სრსუილსა, ამოაგდოს. და თუ ვინ შეჰამოს სირე-
30 ბი მრავალი, შემგბარი ანუ შემწუარი, ანუ ხურიტოს კუერცხი მისი,
ჰადგენს შავასასა. და მისსა ტ უ ი ნ ს ა შინა და კ უ ე რ ც ხ ს ა
მრავალი სარგო არს შავისა უფალათუის.

კარი მარგებელი ქორთა შინა

თუ შესუას დიაცმან სკინტლი ქორისა, გადგენილი დედა ურწანთა, და ძალ-სცეს უძლობასა შინა. და როდეს დაინაყოს სკინტლი მისი და შეიზილოს თაფლითა, და სცხო თაფლსა თანა, ერგოს სიბზნელსა.

5

კარი მარგებელი ღამიობთა და მერცხალთა შინა

ღამიობსა ორი ტუინი უც: თეთრი და წითელი: და როდეს გაგლიჯო და სცხო მდისა ტუინისა თეთრი, არღარა 'გამოუტდეს თმა. როდეს მოიღო ტუინი მისი თეთრი და სისხლი, და დუძლი მისი. და სცხო თმასა ზედა, ჰქნას საქმე კირისა. მოიხუნე მართუენი! მერცხლისანი, || დაუპო მუცელი მათი და ჰპოვენ შიგა ქვანი მცირენი, დაგალნე, და ასუა მითვლისა ოდენი სიქანქუბინითა, ერგების ურვილსა საღმობას. თუ მოიღო თიქა მერცხლისა ბუღისა და გაადგინო წყლითა, გაკნის უფხვადობასა მასვე ფაშსა. თუ მოიღო უერცხი უბერაისა და გაიღო შინა ერთი ნემსი, იმიეს(!). თუ გამოვიდეს მკედი შავი, რომელ ნემსსა არს, სცხო თმასა ზედა, და აშაოს კეკელად. თქუა დეოსკოროს: თუ მოიხუნე მართუენი მერცხლისანი მთუარისა მატებასა უწინას საბუღებსა და დაკლნე, ჰპოვო მუცელსა მათსა შინა ქვანი, მათგანი — ერთიფერნი, და სხუანი — ფერქცეულნი, მოიხუნე ორნივე, და შეკერე ირმისა ტყავისა პარკი, ანუ კბოსა, და შიგან ჩასხენ და ჩამოკიდენ მკლავსა, ვისდა ტუინი ქცეულ იყოს, ერგოს.

10

643x

15

20

კარი მარგებელი ოფოფთა შინა

მოიღე ენა ოფოფისა და თუალნი, და ჩამოიკიდო ყელსა, მოვიწყესა პატონსა ეგსენოს, რომელ დავიწყებულ იყოს, და როდეს დიაცსა ქმარი სძულდეს, მოიღე წელი მისი და თავი მისი, და ენა მისი, || დანაყო და გამოსწურო და უწითო ორსავე კერძსა ცხვირისა, და მოიღო მისგანი მატყლსა თანა შეღებულსა ცის ფერად, და აიღოს დიაცმან სარცხუნელსა შინა და მოვიდეს ქმრისა მისისა თანა, და შეიყუარენ. და ერგოს, თუ იკიბოს ოფოფისა კორცი, წავიდეს მისგან გრძნება. და თუ ცოფისათუის მოიღო ტუინი ოფოფისა და გაადგინო ქუნჯითისა ზეთითა და იწოს მისგან, და ხურიტოსცა; ერგოს. და რიბელი, რომე იყოს თუალსა შინა, და თეთრი, თუ მოიღო ტუინი ოფოფისა, გააკმო და შეასუა ლუინითა ურწყითა, ერგოს დიდად. ღრინაკალთა და გუელთა და თაგუთა, რომელნი იყუნენ სახლსა შინა, მოიღე ორი ფრთე ოფოფისა, და-

25

v

30

35

წუი, რომელსა სახლსა შინა იყოს, წავიდეს. და ნ ა ვ დ ე ლ ი მისი გაქცემე და დანაყე, და შეპრიე ქუნჯითისა ზეთისა თანა, და შეასუი, დასწყვიტოს სისხლი უწესოებისა. ვის ეშინოდეს სიგონჯისაგან, მოიღოს თ უ ა ლ ი ოფოფისა, ჩამოიკიდოს ყელსა, არა გაგონჯდეს, ვირემ ეკიდოს, თავისა ტკივილსათუის მოიღო თ ა ვ ი ო ფ ო ფისა და დასდევას ზედა, ერგოს ტკივილსა. ანუ მოიღე ტ ყ ა ვ ი მისი, გააქმე და დანაყე, და გამოწურე წყალითა და უწთვე ცხვირითა, და ერგოს მარცუალთა მაჯობებელთა.

კარი მარგებელი მწერთა და მკალთა შინა

10 თუ დასჭრა მწერთა მრავალთა თ ა ვ ე ბ ი და შესრიმო მძოვარსა ზედა, ამოავლინოს თმა. და თუ მოიღო მწერები და დაგალო, და გასწმიღო წარბი უწინა მჩურითა და სცხო ზეთითა, შეღებოს შავად. და მკალი, რომელი იყოს ბოსტანსა შინა, არიან მწუანენი, ფეკ-გრძელნი და არა ფრინვენი, ჩამოაკიდო ცხროვანსა, მისწყუიტოს ცხრო.

კარი მარგებელი თაქუსა შინა, შვეა წამალთა კეკელათა

20 ყ უ ე რ ი ამის ცხენისა(1) თევზისა თავისა გაატფობს ასოთა გრილთა, როდეს შესუას მისგან მუხუდის ოდენი, და მორჩობასა საშოსასა უმატებს შინა, და ერგების ნაკბენსა მკეცისასა. თუ შესუას და იკმოს მითა, ერგების დავიწყებასა და ფეთქასა, და სენსა, რომლისათუის დაუჯობნია სიცივესა. და თქუეს კაცთა, თუ მოიღოს ნაკუფთი თავუის(1) ტყავისაგან და დასდვა კაცსა ქუეშე ბარალიფოსისგან, როდეს დაგალო ზეთსა თანა და დასდვა, || ერგოს თავისა ტკივილსა, რომელსა სტკიოდის სიცივისაგან. ვინ იოლრს და ნაყილითა მისითა ც მ ე ლ ი თ ა, ერგების თუალთა.

კარი მარგებელი კირჩხიბთა მდინარეთა და კუსა და სიკანკარისა

30 კირჩხიბი მდინარისა, როდეს დაგალოს, და დასდვა, სადა იყოს ისრისა პირი ანუ ძუძუი, გამოიღოს. თუ დანაყო და დასდვა ნაკბენსა ღრიანკალისასა, ერგოს. და თუ ჩამოიკიდო თ უ ა ლ ი მისი, რომელი გამოგელოს სიცოცხლესა მისსა; არა ასტკივდეს თუალი. და თუ შეასუა თბინა რძითა და ერბოთა, ერგოს ნაკბენსა გულელისასა. და თუ შეასოს მისგან თეთრი(1)სა ლუინითა, ერგოს უფსმადსა და დანაყს და გამოიღებს შირიმსა. როდეს შეავბო კამასა და ნიახურსა თანა, დასწურო წყალი და შეასუა მისგან, წამოსცეს წესოება და ფსელი. და თუ დაგალო კირჩხიბი სიქორგის ოდენსა წყალსა თანა,

დასწურო და ღარღარა ყოს მითა, ერგების მორჩობასა და ტკივილსა ლაზვათენისასა. და თუ სისხლი მისი, კოვზი ერთი, ხურიტოს კუსა ველურისა, ერგოს ურვილსა საღმობასა. და თუ სისხლი მისი ძოვარსა ზედა სცხო და გაავმო, და ეგრე გარდაიქცა, ერგოს 645r
რგონა საჩინო. 5

კარი მარგებელი თევზთა წებოსა და წყალსა მლაშესა

როდეს იცნოს წებო თევზისა გათეთრებულსა ფრჩხილსა ზედა, ერგოს. და თუ დასდვა ძალისა ნაკებნსაცა, ერგოს.

კარი მარგებელი მყუ[ა]რთა შიგან და მღირღველთა

მყუ[ა]რნი წყალისანი, რომელ არიან ტბათა შინა, როდეს შეიგ- 10
ბოლოს და შეისუას მისი წყალი, და შექამეს მისი კორცი, ერგოს სიმკნარესა, რომელ არს ზურგსა შინა რგომა დიდი. და ლაზვათენისა. ტკივილსა და მორჩობასა და ნაკებნსა კიათასა. და თუ დაიწუას მყუ[ა]რი, და დაიწუას და დაიგალოს, და იცხოს ტანსა ზედა, დააყენოს სისხლი. და თუ შექამეროს ცხურისა, დააყენოს 15
სისხლი წამოქცეული. და თუ შექამოს ნაცარი ფისითა და სცხო მძოვარსა, გაკურნოს. დაჯსენ, თუ გამოუცლია მღირღველი; თუ დაწუა და დააღბო ნაცარი მისი ძმრითა, ვირემ გასქელდეს, და სცხო თმასა მეტსა. თუალსა შინა არღარა ამოქცდეს. და თუ დანაყო მყუ[ა]რი და დასდ[ვა] ნაკებნსა ზედა გუელისასა და ღრანკლისასა, ერგოს. 20

და თუ გამოიღო ენა მყურისა მწუანისა ცოცხლისა და ჩაუყო პირსა შინა, ვის ეკუდე პარვასა, და აქამოს, თუ ეპაროს, შეიწამოს. და თუ მოიღო ენა და დასდვა ღიაცა მძინარესა გულზედა, შეიწამოს ყოველი, რომელი უქნია. და თუ უკმით საგებელთა მისთა 25
ამის მყურისა თაევი, აზრახდეს დიაცი და ყოველი, რომელი ექნას, თქუას. და თუ ჩაადგრო მყუარბ ლუინოსა შინა, მოკუდეს, და თუ ჩაადგრო მასვე წყალსა, გაცოცხლდეს. თუ ჩანერწყოს პირსა შინა, შესწიოს უძლაუბასა.

კარი მარგებელი გუელთა და მათთა ტყავთა 30

თუ შოილო გუელი და შესკამო შემწუარი, ანუ შეავბოლო, როდეს გაქუეთო თქვეით კერძო და კუდით კერძო ოთხი თითი, ემატოს სიცოცხლესა და სახედავთა, და ერგოს სიგონჯესა. და თუ შეგბოლო. ლიტრითა ერთითა ზეთითა ცოცხალი, ვირემ დაჩუღეს, და სცხო მისისა კორცისა ანუ ზეთისაგან, არა გამოუცდეს თმა. და 35
თუ შოილო შუაგული სა მარცხენით კერძო, შეიბას ყელსა, ვის კბილი სტკიოდეს, ერგოს. და თუ ჩამორკიდოს გული მისი, ვის

646r ცხრო იყოს მეოთხე, ერგოს. გუელი, რომელი იყოს სახლსა, როდეს დაიწუას და დაიგალოს ნაცარი მისი ზეთსა || და სცხო ლორთელთა, ერგოს. თუ ჩამოიკიდო რქა გუელისა ცხროვანსა ზედა, ერგოს. ტყავი გუელისა თუ შეაგებოლო ძმრითა და პირსა იმგუბო, დაუ-
5 ყუდოს ტკივილი კბილისა. თუ დაიგალოს ლუინოსა თანა და იოლოს, განან[ა]თლებს თუალსა.

კარი მპრგებელი ღრიანკალთა და ჭოჯ-მრდალთა

როდეს შესწუა ღრიანკალი და შესქამო, ანუ დაგა-
ლოს და სცხო ლუინითა, ერგოს მისსა ნაქებნსა. შეიქმნების მისგან
10 წამალი, დაადნობს შირიმსა. და დასწუ[ა] კუტალსა შინა კეცისასა,
და მოილო ნაცარი მისი, დააღბო და შეასუა შირიმისა ორისა დან-
გისა წონა ნახევარ დანგამდე, ერგოს ნებთა ღმრთისათა.

ჭუჭი-მჭური, რომელი იყოს ბოსტანსა შინა. როდეს გააპო მუ-
ციელი მისი და დასდვა, გამოილოს ძეძუი და ისრის პირი. თუ ჩამო-
15 ჰკიდო გული მისი დიაცსა, დააყენოს მოგდება. და თუ ჭოჯო-ქური
მოილო და შეჭხუიო მჩუარსა შინა და ჩამოჰკიდო ცხროვანსა, ერ-
გოს. და წარბსა გამოქავლენს, ვის ღრიანკალმან უკბინოს. ვირსა
გაჯდეს ტკივილი, ვირსა მიეცეს და კაცი განერეს.

v კარი მარგებელი დედა-მზარდულისა, ჭინჭვეილი და მღირდველისა

20 კუერცხი ჭინჭველისა ვინ მოგალოს და იცხოს ტანსა, არა
გამოუტდეს თმა: და როდეს მოილოს მისისა კუერცხისაგან ნახევარ
დრამისა წონა და შესუას, შეედვას კუვილი მისსა შემსმელსა. რო-
დეს შეიპყრა დედა-მზარდული და ჩასდვა ლერწამსა და ჩა-
მოიკიდო მკლავსა. ერგოს ცხროსა. და თუ შეიპყრა დედა-ზრდილი,
25 რომელი ნადირობდეს ბუზსა, დანაყო და სცხო მჩუარსა სელისასა,
შეაბა ყელსა და ჰკრა კელი მარცხენა კისერსა ზედა, წვაიდეს. ქსე-
ლი დედა-ზრდილისა. თუ დაიწუას და უბეროს ცხუირთა
შინა, დააყენოს სისხლი. მღირდველი, როდეს დაგალო ვარდნი-
სა ზეთისა თანა და გაათბო ბროწეულისა ქერქსა შინა, ერგოს მის-
30 სსა, თუ უწოთ ყურსა შინა მღიერისაგან. და როდეს მოილო ერთი
ნაწილი მისგან და ეგდენივე ამარტა, დაგალოს და იცხოს ტანსა და
გაუტეოს, ვირემ გაკმეს მზესა შინა, დაყუინოს თმა.

კარი მარგებელი წუნთა კორცისათა, ღურიტა ყურდგლისა

ჩამოჰკიდო ცხროვანსა ცერსა, წავიდეს ცხრო. და ღურიტა .
35 თიჯნისა და კრავისა ვინ დასდვას, გამოილოს პირი ისრისა. და რო-

დეს შესიუას ძმარსა თანა, გამოიღოს სძე შეგბოლილი მუცელსა 647r
 შინა; როდეს შეზილო ღურიტა წყლითა, დასდვა ზედა, დაქყენოს
 სისხლი. და კოქი ნედლი დაგალოს მით, და კბილი გაათეთროს,
 და ცმელი ყოველი მკურვალი არის. და ცმელი ლომისა უმკურ-
 ვალი არს და უშვარე. და აქსენა გალიანოზ, თუ ღრიტა ყურდ- 5
 გლისაგან შესუას მისგან კერატის წონი ღუნიითა, ერგოს ნაკბენსა
 ღრიანკლისასა.

კარი რძეთა ყოველთა

რძენი ყოველნი ერგებიან ღემისა სმასაგან. შესუას მისგან სკუ-
 ტლის ოდენი, და ვინ შესუას მაზარონი და სძე ვირთა, და* სძე 10
 კდალთა და ზროხათა, როდეს შესუას თაფლსა თანა, გაქსნას. და
 როდეს შეგბოლოს სძე ვირთა და სძე კრდალთა ნიორსა თანა, და
 შესუას მისგან უზმამან, ერგოს ჭუქვილსა ძუელსა და ძნელსა. და
 [სძე თხათა და ზროხათა, ორივე, როდეს დარდარა ყოს მითა მკურ-
 ვალითა, ერგოს სიმსივნესა ლაზვათენისა და ყელისასა. და რო- 15
 დეს შეპრიოს ვარდისა ზეთსა თანა და პოქნა ილოს, ერგების ტკი-
 ვილსა თირკმელთასა. ნედლი ახალი დაიდვას მჭდომთა წყლულთა
 ზედა, დააყენოს სიმსივნე.

ყველი ძუელი ერგების მკლველთასა ყოველსა ნაკბენსა, და v
 ჰქმნას ქმნა. საუიურველი, გამოუცდია მრავალთა ფილაფოზთა, და- 20
 აყენებს მუცელსა, როდეს ჰამოს ძუელი.

კარი ერბოთა და სუელთა

ერბო ყოველი, როდეს აილო სარცხუენელსა, ერგების მჭდომსა
 საშოსასა ბავისირსა, როდეს სცხო საგურკლესა ზედა. და როდეს 25
 შეიძლო მისგან უმკიასა ორსა სკუტელსა ბროწეულისა წყალსა
 თანა, ერგოს და დაქალბოს სიმაგრე ქედისა, როდეს იცხო მით. და
 როდეს შეპრიო ზეთსა თანა და სცხო მით ბუღეთა მღიერიანთა,
 ერგოს; თუ იოლოს მითა, ერგოს ტეხასა თუალისასა. და სუელი, 30
 როდეს შესუას, ერგოს ღურღურსა მუცლისასა. და ერბო ზროხათა
 ძუელი ერგების წყლულთა, და თუ აღუღო და დაასხა სატალსა,
 ერგების მისგან რგომა საჩქინო.

აჟ [ქარი სამეოცდა მერვე]

ქარი ყოვლისა ფერისა თესლისა

პირველად ზუარბალი ვაკსენოთ, რომე უმაღლე და მეფე არს
 ყოვლისა თესლისა. და მისი ბუნება მკურვალია და მისი სიჯმე და 35

სინედლე ერთმანერთისა სწორია. ამისი მოწამე და ნიშანი ისი არის
 მისისა წამლობისა, რომე დანაყო და გასცრა, მოზილო და საფუა-
 648r რე შექქმნა || მისი, მქლომსა ზედა დასდვა, პირსა გამოალებინებს
 და სიმსივნენსა დასუქამს. თუ პური გამოაცხო სხუადასხუა ხასიათი
 5 არის: თ ხ ე ლ ი თ ა ს ა ც რ ი თ ა გ ა ც რ ი ლ ი პ უ რ ი უ ფ რ ო
 მქურვალთა და ფიცხლად გაიარს სტომაქსა, და გონებასა რბილად
 შეინახავს; და მ ტ კ ი ც ი ს ა ს ა ც რ ი ს ა პ უ რ ი უ ფ რ ო ს უ ბ უ ქ ი
 არის, კაცისა ტანსა კარგსა ძალსა მისცემს, და პ უ რ ს ა ს ა ფ უ ა
 რ ი ბ ე ვ რ ი უ ნ და და შიგან ან ბორა და ანუ მარილი უნდა გაურიონ,
 10 კარგი იქნების. მ წ ო ვ ე დ კ მ ე ლ ი ფ ქ უ ი ლ ი ა ვ ი ა, მქაენსა
 და მღიერსა გამოასხამს. კ მ ი ა დ ს ა ქ ა რ ი ა ქ უ ს. და რასაცა კო-
 ლინჯი სკირს და ან ბუშტსა შინა ქვა აქუს, მას არ ეკუმების, ზიანი
 არის. ნიშანსტაგი ხუ[არბლისა რომე შექქმნან, ძუძუსა ტკივილი ძქ-
 15 ნების რბილი, კმელი, და კარგია ძუძუსა, კუელისა და ფირტუისა-
 თუის; და ქარისაგან ტყავსა და გორცსა შუა არის ისი, აღულო და
 ზედა დასდვა, მას უშუელის. თუ მუდამად ხუ[არბალსა კამს, კია-
 ს ა შ ი ქ ს. უკეთესი ისი არს, რომე კორკოტად შექქმნან, და ერბოთა,
 პილპილითა და თაფლითა კამონ. რძითა მკურვალ არ[ს] და კარგი.
 თუ კაცმან კამოს, მსუქნითა კამოს ერბოთა და ზეთითა, რომე მისი
 20 ზიანი || არა გამოჩნდეს, კეკელად გამამცხუარის პურისა ნიადაგ
 კამა სატკივარსა გამოაჩენს. თუ კამოს, მ[ა]რილითა, პილპილითა
 და ქონდრითა კამოს, რომე მისი ზიანი გააცუდოს. და კეცმივა გა-
 მომცხუარი სტომაქიდაღმა გუიანად გავა და ტანსა ძალი. არა მის-
 ცეს, ქარი აქუს. ისი სჯობს, რომე ცოტა ბორა გაურიონ და ზედა
 25 ზირისა მაჯუნი კამოს და ძუელი ლუინო სუას, რომე ისი ქარი გა-
 ტეხოს. კუტი პური რომე თორნესა შივა ჩაეარდეს და გამოცხუეს,
 ნაცრისა ძალი შივა დარჩების და გულ-გული უმი იქნების; თუ კა-
 მოს კაცმან, იმავე კმიადისა წესითა კამოს.

კატო ხუ[არბლისა — მკურვალთა და კმელითა. თუ წყალშიგა
 დააღბო და გამოსწურო და შეასუა. კუელესა უშუელოს. თუ პური
 30 გამოაცხო, ხუ[არბალსა ასრე უნდა, რომე საფუევრითა იყოს, კარ-
 გად აფუედეს; და მარილითა შეზილო და თორნეშიგა გამოაცხო,
 თორნისა და საფუარისა სჯობს კმიადსა გომიჯასა. თუ ნუშისა ზე-
 თითა და ან ბერძულითა ზეთითა გაურიო, კარგია. თუ ორივე ზეთი
 ერთმანერთსა გაურიონ, სჯობს. თუ კაცი ცივისა გუნებისა იყოს და
 35 სტომაქიცა, გრილი თაფლითა კამოს, და ნუშის ზეთითა, თუ კაცი
 649r ზაფხიან იყოს და ან რბილისა ბუნებისა, ისრიმითა კამოს, ანუ ||
 ბროწეულისა წყლითა, ანუ ძმრითა. და გომიჯასა ნუცა ერბოთა,
 ნუცა კარაქითა ნუ კამს, ავია და მაწყინარი, როგორაცა ფუშრუკი
 მძიმე არის, რაცა პური კმიადი არის. და გომიჯი სტომაქსა ზედა
 40 მძიმე არის და ძნელად მოიღნოს, და პურსა ფუშრუკი სჯობს.

ქალღ. იფქლისა — არს მკურვალი და მბერავი.

ქერი — გრილი არს, და კმელი არს. პირველსა დარაჯასა თუ დანაყოს და ქერქი შეკადოს, მოხარშოს წყლითა, შეიქმნების გრილი. და ნედლი და მაშუნე სნეულისათვის. მისი პური უფრო სუსტია იფქლისაგან და კორცთა არას მატებს, მკურვალსა სენსა გასწმედს. ქერის წყალი სჯობს ხუ[ა]რბლის წყალსა. თეთრისა ქერისა კორკოტი, რომე არცა ძუელი იყოს არცა ახალი, აიღე თორმეტი წონი წყალი და ერთი ქერი, და მანამდი აღუღე, რომე თხუთმეტისა წონისაგან ერთი დარჩეს. თუ კაცისა ბუნება ნედლი იყოს და ბალღმიანი, მას აქამე და კარგა მოუცდებოს. ასრე უბრძანებია დიდსა ბრძენსა ბაგრატი აქიმსა, ვითა: ქერისა წყალმან წყურვილი დააწყნაროს და ცხელება გაასუბუქოს და გაწმიდოს, და ფიცხლად გაიქაროს; კარგია და მარგებელი სნეულისათვის და მთელისათვისცა. ესე ყოველი ხასიათი აქუს ქერის წყალსა, მარბილი უნდა; ქერისა პური ვერცა ძალსა || მისცემს და ვერცა გაასუბუქებს კაცსა. ქალი ქერისა კმელია და გრილი, და მსუქნითა უნდა კამოს; რძითა შექნილი სჯობს, სუბუქია და ადრე მოჰქარდების.

ბრინჯისა პური — გუიან გავა სტომაქით, მსუქნითა უნდა კვამა, მჟავითა არა ვარგა კვამა. გალიანოზის უამიგა საცილობელი შეიქნა, ზოგთა თქუეს: გრილიაო, ზოგთა — მკურვალი. უფრო მეცნიერთა თქუეს: სწორიაო სიმკურვალითა და სიგრილითა, და რბილი საკმელად კარგი და ტანსა კარგად შეერგების, და სხუათა მარცულათაგან უფრო ძალიანია, სტომაქით გუიან გავა, სტომაქს გააკმობს და შეჰკრავს წყალითა და ახლითა რძითა. და ნუშის და შირბახტის ზეთითა კარგი იქნების; კაცსა გაასუქებს და მუცელსა გაარბილებს. თუ ერთსა დამესა რძეშიგა დააღბოს, ავრე შექნას, უფრო რბილი იქნების მისი წყალი, სტომაქსა დაამაგრებს და მუცელსა შეჰკრავს.

ფიტუისა და ახლისა — გუნება ერთია. გრილია პირველსა დარაჯასა, და კმელია მესამესა დარაჯასა. გუიან დაღნების სტომაქსა შიგან და მუცელსა შეჰკრავს, ფსელსა მოუმატებს და გუნებაშეკრვით შეინახავს კაცსა; და ანუ ნუშისა ზეთითა შექმნან, ისი სჯობს, და გუნებასა არა შეჰკრავს. მიხი პური ცოტად ერგოს და მუცელი შეჰკრავს; სტომაქით გუიან წავიდეს.

|| მუხუდო — მკურვალია პირველსა დარაჯასა შინა და ნედლია ბოლოსა. პერუღითა, მლაშითა და ტკბილითა გუნებასა დააღზობს, კაცისა ტანი დამრას და მამაკობასა მრუმატოს და ფერი გაუკეთოს, და ღედაკაცსა რძე მოუმატოს და სისხლი. შავისა მუხუდოსა წყალი ქვასა უშუელის, თუ ნუშისა ზეთითა ანუ ბოლოკისათა და ან წყლის თყსლითა მოხარშული აქამოს, ისი უკეთა მოუცდების. თაგშიგან, ტანშიგან ქვანდა სენი იყოს, მას უშუელის, თეთრსა მუხუ-

5
10
v
15
20
25
30
650p
35
40
763

დოსა წითელი უმკურვალეა. წითელსა, შავი რომე დასდვას მუხუდო, უკეთ ერგების სტომაქსა, და მუხუდო სჯობს მისსა წუენსა. მუხუდო წყალშიგა დაალბე და დილასა მისსავე წუენსა შიგა მოხარშე, და წუენი შესუი, და ცერცუსა ნუ სკამ, და რაცა ქვა იყოს, ყუალასა უშუელის ღმრთითა.

5 ბაკილა — ნედლი გრილია და რბილი, და ცოტა ქარი აქუს; და კმელი გრილი და კმელია, და სტომაქით გუიან წავა. და ქონდრითა კამს, მის[ს]ა ქარსა გასწმედს. თუ დაალბოს და მერმე ან ბერძულითა ზეთითა, ანუ და ან ნუშის ზეთითა მოხარშოს, ზედა პილპილა და კულიავი მოაყარო და კამოს, კარგია. მისი წყალი ქერისა წყალსა ხასიათსა იქს, რაცა მკურვალეა, სენია, ყუელასა ერგების.

10 v სიზმარსა მრავალფერსა || აუშლის. ახალი ბაკილა მოხარშონ, ქარი უფრო ცოტა აქუს. უკეთესი — ახალი და დაღერდილი, ძმრითა შექმნილი; ერბოთა და ზეთითა, ქონდრითა და ზირათა კამდეს. თუ

15 ახალი და უმი კამოს, ძმრითა პირი გამოირცხას და მისი ზიანი მან წაილოს.

ოხპი — სწორია და პირი სიგრილისაქენ აქუს. მისგან სევდოსა სისხლი გამოჩნდეს, ფსელი შეკრას, რომე სხუადასხუა ფერო ჰქონდეს. მისთუისცა ავია, შარდსა შეჰკრავს და სტომაქზედა ავია,

20 და თუალსა დაუბნელებს და კაცსა დააზიანებს. თუ ქერქგამძურალი მოხარშონ, უწუნოდ კამოს, მუცელსა შეჰკრავს. თუ ქერქითა მოხარშო, და შესუა, მუცელსა დაალბო[ბ]ს. თუ ქერქი შეჰკადო და მოხარშო, სხუა წყალი გამოუტევალო, შეჰკრავს მუცელსა და გააძლიერებს მუცელსა და სტომაქსა. ქერქშეკდილი გრილი არის და

25 სქელი, მისთუის აწყენს ფსელსა.

ულბო — აცემეცა(!) ჰქუიან, [გრილია] მესამესა დარაჯასა და კმელია პირველსა დარაჯასა, და საკმელად ტანსა კარგად არგებს; და რა მოხარშო და მისი წყალი თბილითა შეასუა, ნაწლევსა შინა თუ მღიერი იყოს, ან სხუა გოჯი სენი, მას უშუელოს. და თუ უზმასა აქამო თაფლითა, ანუ ლელუითა, ანუ ხურმითა, სქელი ბალამი

30 651r გაწმიდოს. თუ ძმრითა აქამოს, კიასა || მოკლავს მუცელსა შინა, მაგრა თავსა ატკივნებს. ოფლისა, ფსლისა გემო და სული წააქდინოს, და ყელი კარგად გარცხას.

ქუნჯითი შუშმაცა — ამას ჰქუიან, რბილქია მეორესა

35 დარაჯასა, მკურვალეა პირველსა დარაჯასა. ნედლი ბოლოსა გუიანად გავა, დასწურავს და დასწმედ[ს] სტომაქსა. აწყენს და პირიდაღმა ავსა სულსა ამოუშუებს, ტანსა ძალსა მისცემს. მოკალული სჯობს, მას მისი ზეთი სჯობს. თუ თაფლითა მისცე, მისი მაწყინარობა გაუშუას და მისითა წუნითა თმა-წუერი დაიბანოს, დაალობს, გაუკეთებს და გაზრდის. და თავისა ქარტლსა გასწმედს.

40

ხელი — კმელია პირველსა დარაჯასა, სიკმესა და სინედლესა

შუა არის, სწორია, გუიანად მოიდნობის, ზიანია სტომამქსა ში-
განსა, და ბუშტსა ძალსა მისცემს და წელსა შიგა დიდსა ხანსა და-
ყოფს. მერმე ბუშტსა შინა გაეფ. და ფსმაშიგა სარცხუნენელისა თა-
ვი ეწოდეს, მას არგებს. გრილსა რომე ჭამდეს, მას აწყენს და თეს-
ლსა მატებს. თუ მისი ჯალქი თაფლითა ჭამოს, სიგრილისა კუვილ-
სა უშუელის. თუ მისსა ზეთსა შიგა ცვილი გაურიოს და ყელი და
მკერდი დაიზილოს, კუელა რდმე სიგრილისაგან იყოს, მასცა უშუ-
ელოს.

შადანჯ — კანაფის თესლსა ჰქუიან; || მკურვალია მესამესა
დარაჯასა, ჯმელია ბოლოსა. თუ კაცმა ბევრი ჭამოს, თავსა ატკივ-
ნებს. და გუიან წვეა სტომამქით, ავია სტომამქისათუის და მისი ზეთი
სიმკურვანლისა ყურისა ტკივილსა უშუელის. ყურშიგა ჩააწუეთოს,
მოქალული უფრო არა აწყენს სტომამქსა, და მისისა ფურცლისა
წუენითა თავი დაიბანოს, თავისა ტკივილსა უშუელო.

ლობიო — მკურვალია და ნედლია, ქარიანია, და სქელსა
სისხლსა მოუმატებს, გუიან დადნების, და სტომამქსა აწყენს;
ფსელშიგანცა ზიანი არის. თუ კაცი ჭამს, თავსა დაუძძიმებს და
სიზმარსა ავსა აჩუენებს, და მუხუდოსა ახლოს ახლავს ხასიათითა.

ლობიო წითელი — მკურვალია და შარდსა ფიცხლად გაიყ-
ვანს. იმა სხუისაგან ისი სადაფითა და ძმრითა უნდა შექმნან,
და ხარდლითა ჭამოს. ლობიო ნედლია და ქერქგამძურალი, ისი სა-
ჭამადად ერბოთა, ძმრითა და სადაფითა და ხარდლითა შექმნან.

ერთი სხუა არის, ლობისა გავსა², ულბოა
არა არის, ამას მათი ჰქუიან — გრილია და კმელია.
მისი და ბაკილასა ხასიათი ერთია და იმისი ძალ უფრო ცოტა არის
ბაკილასაგან, ჭარიცა უფრო აქუს; და თუ კაცისა სტომამქი რბილი
იყოს, ზირათა || და ქარუათა ჭამოს. კაცი თუ დასიცხული იყოს,
ნუშის გულითა და ახლითა ქინძითა ჭამოს. და თუ ქერქი გააძროს,
მისი ქარი უფრო ცოტა იყოს. და მოქალული თუ დაღერდონ და
შექმნან, მუცელსა შეკვრავს.

კარი კორცისა. კორცი ორი გუარია: ერთი საქმელია და ერთი
კაცსა მოჰკლავს. ისი რომე კაცსა მოჰკლავს, არა დაგუიწერია, მის-
თუის რომე კაცსა მოჰკლავს კორცი, რომელიცა საქმელად მაგარია.
მისგან მწოვედ სისხლი და ქიმუზი შეიქნების. მის თანა მაგარი
კორცი სიმრთელიანმა და მრავლსა მოქმედმა კაცმა უნდა ჭამოს,
რომე ოფლად გამოვიდეს. და კაცი რომე სიმრთულესა ზედა არა
იდგეს, არცა საქმესა იქმოდეს და არცა იარებოდეს, მას ნიადაგ
კორცი ავად მოუტკდების და, თუ ჭამდეს, ასრე მოხარშვა უნდა,
რომე დადნეს.

კრავისა კორცი — მკურვალია და ნედლი. და გუნება მკურვალი
იყოს და კმელი, მას კარგად მოქუქდების. თუ სტომამქშიგა ბალდა-

მი იყოს, გულსა აუშლის და აწყენს ცხელსა ადგილსა რომე იყოს. კრავისა კორცი ნედლი ამისთვის არის, რომე დედასა ძუძუსა
v სწოვს. რა წონასა გაუშუებს, || სინედლე აღარა ექონების.

5 თიქნისა კორცი — უფრო გრილია და ნედლი კრავისა კორცი-
საგან, და გონება-მჭურვალისა კაცისათვის კარგია და კარგსა სის-
ხლსა ჩაუყენებს. და ბუწუისა კორცი (ერთისა წლისა თოხლია)
კარგი საქმელია და კარგსა სისხლსა ჩაუყენებს, ამისათვის არცა
ნედლი და არცა კმელია, სწორია; და სეედასა უშუელის. სტო-
მაქსა ძალსა მისცემს, ტანსა გააჭურვებს, მამაცობასა მოუმატებს.
10 და გუნება-გრილმან კაცმან უნდა ჰკამოს, და შემოდგომისა პირსა
სჯობს. და თუ კაცი მოწიფული და მჭურვალი იყოს, მან ჰკამოს
კოწახურითა ან ძმარითა, ან სამყითა, ან ტყემლითა, ან ისარიმითა.
ერთისა წლისა უნდა იყოს, თეთრსა წითელი უმჭურვალეა, წი-
თელსა — შავი.

15 თხისა კორცი — გრილს თემსა და გრილქისა კაცი[ი]სათვის ავია,
მაგრა ცხელსა თემსა და მჭურვალისა კაცისათვის კარგია, უფრო
თიქნისა; ცხურის კორცისაგან უფრო გრილია, კმელი და სუბუქია,
სისხლსა მოუმატებს ტანშიგან. მართალი ესე მოგაკსენო, თხის
კორცი კარგი არის. მისი კორცი აქიმთა არას კორცსა შიგა არა
653r უტანებია, ერ||თობ ავია. და კაცსა რომე თავქედი სჭირდეს, მისი
20 ღუძილი ჰკამოს, რაცა სატკივარი სჭირდეს, მოუმატებს. თხის კორ-
ცი რომე მრთელსა კაცსა ეჭამოს, მრავალი სატკივარი მოუმატოს-
სხუისა კორცისაგან უფრო უძულოა. თუ მსუქანი იყოს, ჰკამოს თბი-
ლითა წყალითა, იშუენებდეს. თუ კაცი მაჯას ზედა გრილი იყოს,
მას აწყენს, —ჭარსა მოუმატებს, სტომაქზედა კმელად ამყოფებს,
25 ტანსა დაამკობს. თუ ჰკამოს — მუხუდოთა, ხახუითა და სტაფი-
ლოთა და თალგმითა ჰკამოს, და ზედა კარგად წითელი ღუძინო სუ-
ას, მერმე შაქრითა შექნილი აღვა ჰკამოს.

ზროხისა — კარისა გრილია და კმელი და მძიმე არის. კაცი-
სა ტანშიგან სქელი და ავი სისხლი შექნას, და ოთხისა დღისა ცხრო
30 შექნას, და ტყირბი წაქიდოს. თუ უღონობა იყოს და უნდოდეს,
ძმრითა შექამოს. და ვინცა დიდისა საქმისა მქნელი იყოს, მას მო-
უქდების.

ფურისა — მჭურვალია და ნედლი, კარგსა ძალსა მისცემს;
მომცროსა დეკეულისა სჯობს. და ცხურისა კორცსა ახლოს ახლავს,
35 წითლისა სჯობს. და ახლისა კბოსა კორცი კარგი მარგებე-
v ლია || და ადვილად მოიღნობს სტომაქსა შიგა. მაშინ უფრო მაშუ-
ნე იქნების, რომე არბინო და ავრე დაკლა. თუ მასვე დღესა არა
დაჰკლან, მეორეს დღესა ბევრი წყალი ასუან და ავრე დაკლან.
მისი ნახევარსა წინათი სჯობს, ძმრითა შექნან ანუ მწუხანვილითა.

40 კორცი ღორისა — გრილი არის, და უფრო გოჭისა. ღორის

კორცი კმელი რომე იყოს, კმელი და გრილი არის. ღორისა ჭონი დანაყილსა კელსა და ფეკსა არგებს, და ცხენსაცა არგებს: და რა ჭამონ, ნიგუზისა ზეთითა ჭამონ ღორისა კორცი.

აქლემიხა კორცი — მკურვალე არის, კაცისა სისხლისა გააქურ-
ვებს და კაცსა, რომე სიგრილისაგან გრძლად ავად იყოს და ზურგი
და მენჯი სტკიოდენ, ესე კორცი არგებს. და მისი საქმელი ცერც-
[უ]ითა და ცერეცოთა იყოს, და ხრდილითა; და ჭაბრი, ძმრიანი
რომე იყოს, მით ჭამოს. და აქლემი ყმაწულილი უნდა და წითელი.

ცხენის კორცი — მკურვალ[ი]ა და სისხლსა გააქურვებს, სეგ-
დასა მოუმატებს, ყმაწულისა არა ეკმების, და სხუასა ყოველსა
კორცსა უმძიმე არს.

ქარი ნადირისა. კორცი ჭერნისა — რაცა ნადირი არის, ყულა-
სასა სჯობს. უფრო მაშუნე არის და სუბუქი ცხურისა და თხისა
კორცისა. ესე უფრო კმელია, რომე ან ნუშისა ზეთითა ანუ შაქრი-
თა ჭამდეს. თუ კაცი გრილად იყოს, ანუ ნიგუზისა ზეთითა შეწუ-
ას; და შემწუარსა ხარშოდ შექმნილი სჯობს. მისი კორცი ძმრითა
არა იკმების, მისთუის რომე ისიცა კმელი არს და ძმარიცა სიკმესა
მატებს. თუ კაცი ყოლინჯიანი იყოს, შემწუარი არა ეკმების.

კორცი ყურდგლისა — მკურვალეა და სქელსა სისხლსა მოუ-
მატებს და გააქურვებს. მისა საქამადასა შინა ცერეცო და დარიჩინი
ჩაყაროს, ქარსა გასტეხს. და გრილად რომე იყოს, მას არგებს ზეთის
ხილისა ზეთითა და გოზრადანითა და ნიგუზისა ზეთითა. თუ შემწუ-
არი ამითა იყოს, მას არგებს. თუ კაცი მკურვალე იყოს, აწყენს.
თუ ძმრითა და ნიორითა ყალაა შექმნან, კარვად მოუკლებს. მისი
სისხლი ქესტსა შესცხოს, და უშუელოს.

კორცი ირმისა — მძიმე არის და სქელი. რაცა მისი სატკივარი
გამოჩნდეს, ავი იყოს. ზაფხულს მოკლული, რომე წყალი შორს
იყოს, მისი კორცი არა იკმების. თუ კაცმან დაიჭიროს და შეინა-
ხოს და წყალი ასუას, რაცა ამას წინათ კარგი კორცი მ[ი]ოქუამს,
მისთანა იქნების, კარგი არის ესეცა. კორცი შ უ ლ ი ს ა და ირმ-
სა ერთისა ხასიათისა არის. თ ხ ა ვ ე რ უ ლ ი რომე ნეზუი იყოს,
მისი ხასიათი ირმისა სიხსლესა არის. კორცი გ რ ძ ლ ა ბ ი ს ა რომე
გააქმო და მისცე ქაშუეთის მონასა, გუელისა და მელისა სნებასა
უშუელის, რომელ არს თმისა და წუერისა და ცუივნა. კორცი შემ-
წუარი რა გინდა რა იყოს, ყოველ მარგე არს, და კაცისა ტანსა გა-
აქურვებს. ვინცა სტომაქზედა ავად იყოს და ყოლინჯი სკირდეს,
მისთუის ზიანია.

აწ თავ-ფერკისა ტყავისა და შიგანთა, ქონისა და ტუინთა ვთქუ-
ათ. — ჭერნისა თავე კარგია შემწუარი, და შემწუარისა თავისა
ყბისა და ყურ[ი]სა ძირისა კორცი უფრო სუბუქია, მისთუის რომე
მულამად იძრვის. ტუინი ყუ[ა]ლა გრილია და ნედლი, ავია სტომაქი-

5
10
654r
15
20
25
v
30
35
40

სათუის, გაასქელოს სტომაქი და საკმელი არა მოანდომოს. მისი ნავლეი ბევრი იქნების და მისგან ბალღამი გამოვაჩნდების. პი-
655r რუტყვისა ტყავი კმელია და || გრილი და მისსა ჯორცსა უმძიმე არის; დანაყე, მოიდნობის სტომაქით. თუალი ჭამოს, უწინა მოიდ-
5 ნობის და ჩალხა გაიარს, და ცოტად მკურვალია, ზიანია. თუ ვინ ჭამოს პილპილითა, მაგრა მძიმე არის და ძნელად მოიდნობის, და ძმრითა უნდა ჭამა. ენა სუბუქია, გუიან მოიდნობის. ტუინი გრილი არის შემწურისა, და რბილი თავის ტყავი და ღრაჰი. მძიმე არს სა-
10 მივე და კაცსა არა ეკმების, ყოლინჯასა შე[ი]ქს. და თუ კაცმან თავი ჭამოს — მშოიერმან, და თუ არა — ნუ ჭამს. და მეტად ზაფხუ-
ლის არ ვარგა, მისთუის რომე კაცსა ნაფასასა შეაქს, და მძიმედების. და თუ შეჭამოს, კაცსა ისი სენი შექნოდეს, ყურძნის მარცტულისა უგურკოდ ჩაწოგოს და წყალსა ნუ სუამს. და თუ ლუინოსა სომს, კაცსა დაამძიმებს. და თუ მუცელი შეკრაბ იმა წამხედა, მერმე
15 ცოტა ხარშო შეჭამოს და ლუინო შესუას. ფერკი რაცა ჭამოს, მისისა ჭამითა შრეშისა მსგავსი სისხლი მოემატოს, ძალი ცოტა მისცეს, გა-
ტხილსა ძუალსა დაამაგრებს, შიგა რომე მდიერად იყოს, სისხლსა გააყრიდეს, მას უშუელის. თუ ბევრი ჭამოს, ყოლინჯი შეექნას; და თუ ძმრითა ჭამოს, ყოლინჯი არა შეექნების.
20 კარი შიგანთა. ფ ა შ უ ი და წ ე ლ ი გუიანად მოსადნობელი არს და კაცისა სტომაქსა შიგა დამწარდების და ძალსა ცოტასა მის-
ცემს. მისი ჭამა ძმრითა, საღაფითა და ნიახურითა, ზირათა და ანგზა-
თითა იყოს. და მისი ბევრისა ჭამა ბალღამსა მოუმატებს და სტომა-
ქით გუიან გავა, და შქას ზედა მაშუნენსა გუარისანსა უნდა ჭამა,
25 რომე მუცელი დააღობს.
ლ უ ი ძ ლ ი კარგა, მისგან ხლ[ა]თი მოემატოს ტყირბსა შიგან და ავი არა არის. სხუისასა კრავისა და თიენისა სჯობს ბატისა, ქათმისა და რაცა ფრინველი არის. მათი ლუიძლი ყოვლისასა სჯობს. და კაცსა რომე მწოვედ ლუიძლი სტკიოდეს, მისი წამალი მგლისა ლუიძ-
30 ძლია.
ტ ყ ი რ ბ ი ავი არის, მისგან სევდა შეიქმნების.
თ ი რ კ მ ე ლ ი გუიან მოიდნობის და მუცელსა შიგა მწარე არის, და უწინა ფსელი თირკმელსა შიგა მივა და მერმე ბუშტშიგა აგრე გაიარს, მისთუის კარგი არა არის.
35 გ უ ლ ი მაგარი ჯორცი არს და კაცი გუიან მოიდნობს. ამას კარგი საკმელი არა ჰქუიან.
ფ ი რ ტ უ ი ცხროსა ძალსა მისცემს და გუიან მოიდნოს.
ძ უ ა ლ ე ბ ი ს ტ უ ი ნ ი მსუყე არის და სტომაქი მოშალოს,
656r და პური არა აჭამოს. და ვინცა შეჭამოს, — პილპილითა || და ქონ-
40 დრითა. და კარვად ერგების იმა კაცსა, რომე ბუნება ვმელი იყოს.
ყ ე ლ ი ს ა ჯ ო რ ც ი კარგია, ფიცხლად მოიდნობს.

გ უ ე რ დ ი სუბუქია და ფიცხლად მოიდნოს. და მსუქანსა მკლე სჯობს საკმელად, და შინაური კორცი სჯობს ველურსა. შინაური ნე-
დლია და გარეული კმელი.

ქო ნ ი ბატისა, შინაურისა ქათმისა და აქლემისა მკურვალი არს და მამლისა ხასიათი: სწორია მისი ქონი და თხისა მუცელსა შეკ-
რავს და ძუალშიგა რომე მღიერი იყოს და ეწვოდეს, მას არგებს
ისი. ქონი ზროხისა ნედლია.

ქა რ ი ფრინველთა. ქათამი სწორია და ძარლუისა და მაჯისა-
თუის კარგია. და მისი ტუინი კაცისა ტუინსა ძალსა მისცემს, ჭკუა-
სა მატებს. და ვ ა რ ი ი ს ა წუენი, სნეულისათუის მაშუენე, სტომაქი-
სა სიცხესა დაანელებს. ყ უ ე რ უ ლ ი ქათამი საკმელად კარგია,
ადრე მოიდნობის, სისწორესა ზედა დაიჭირავს, რომე ნიორითა შეა-
ნელოს; უკეთესი ისი არის, რომე არა ეყვივლოს. ვინცა მუდამად
ჭამდეს, კოლინჯას გამოუჩენს. მეავეითა შექნილი კოლინჯსა ჰყუენს,
აგრევე დოთა, მისი ხარშო მუცელსა და სტომაქსა დაალბობს: ბერი-
სა — || ყოლინჯა და ტანისა და კეფისა მარგე არის. ქათამი რომე
გააპოს და ცხელსა ზედა დაიდებდეს, გუელქ[] ნაცემსა არგებს.
მისი ტუინიცა კარგია და კაცსა თესლსა მატებს, კმასა გაუწმედს,
და ბერისა ავია.

კ უ ე რ ც ხ ი ქათმისა ყოვლისა მფრინველისასა სჯობს, და
ვარიისა სჯობს ბერისასა; და თორხოლო მკურვალია და ნედლი,
ადრე მოსდნების და სისხლსა ჩაუყენებს ტანშიგა. ცილა გრილია და
სქელი და კუჭელასა უშუელოს და კმასა გაუკეთებს. შემწუარსა
სჯობს მოხარშული კრგულად. შემწუარი მძიმე არის.

კორცი ეოჯბისა, დურაჯისა და ეაკბისა და გლო-
ნისა, ყოველი სუბუქია. და სხუათა გლონი უსუბუქი არს, და
დურაჯისა ხარშო, ვინცა ყოლინჯი სჭირს, მას არგებს.

კორცი იხუისა და ბატისა დია ბალღმიანი და სტო-
მაქსა შინა დია დარჩების. ქალინოზ იტყუის: ბატისა ქონი
ასოთა ტყვილისათუის დია იკმ[]არების. რაცა მფრინველია, რომე
შამბშიგა იყოს და ნედლსა ადგილსა ავია; და კმელსა და ქვიანსა —
კარგია. წყლისა ფრინველთა კორცი ძნელია, და მჭარი მათი ცოტად
უსუბუქი არს. || ბატისა კორცი კაცისა ფერსა დააშუენებს და კმასა
გასწმედს, თუალისა სინათლესა მატებს, ქარსა არგებს, მკურვალია
და ნედლი და მოუდნობელი.

ფარშამაგის კორცი სრულად ზიანია.
სავათის კორცი სრულად მძიმე არის და მოუდნობელი. თუ
ჭამოს, ყელი და კილუი ჭამფს.

წეროს კორცი კარგი არის, მაგრა ძარლუიან[ი] არის და მაგა-
რი. ასრე უნდა მოხარშუა, რომე თავს მკედი მოაბას და მანდამდი
ადულოს, რომე დაიქნიოს და კორცი ჩამოკუთიედეს და ძარლუი ყუ-
49. ზ. ფანასკერტლო-ციციშვილი.

5
10
15
V
20
25
30
657A
35
40
769

ალა გამოვიდეს. როგორცა ბატისა სწერია, ისრე მოხარშონ, ძმრი-
თა, სადაფითა და ნიახურითა.

5 დიღისა ტრედისა კორცი, რომე შინათ გაზრდილი იყოს, და გარეულისა ქედანი და გუიძინი, და რაცა ამა სამსა ჰგევანდეს, მკურვალთა და კმელი ყოველი, მაგრა წელიდალ-
მან გუიან გავალს. მისითავე წუნენითა უნდა ჰამა, რაცა კუნდისა გუითქუამს.

10 კუნდი ტრედისა სისხლსა გააცხელებს და მკურვალსა კაცსა აწყენს. და მისი ხარშო, მუხუდოთა და ცერეცოთა შექმნილი, სტო-
15 მაქსა დაალობს. ყოლინჯი რომე სკირდეს და ზურგი სტკიოდეს, მას არგებს. და || თესლსა მატებს ხარშო შექნილი, და წუნენისა უფ-
როსია, ვირე კორცისა. თუ შემწუარი იყოს, ტუინსა და თუალსა აწყენოს. თუ სტომაქი მკურვალთა იყოს, შემწუარი ან ძმრითა, ანუ ისრიმითა, ან სამყითა ჰამოს.

20 კორცი ჩიტისა შინაურისა და მინდორულისა და კლდისა სამისავე მკურვალთა არის, კაცისა ტანი გააქურვოს და თესლი ჰმა-
ტოს. ბარტყი და ბარტყისა ტუინი უფრო მატებს თესლსა. კაცი რომე გრილად იყოს, ხარშო შექნილი მას არგებს და სტომაქსა და-
ალობს. კორცი რა გინდა რა იყოს, ხალიწი და გამკმარი, ისი მკურ-
25 ვალთა. და თუ გაათბონ, გუიანად გავიდეს. და ახალი წუადი ძმარ-
შიგა ჩადვან, მერმე გააკმონ, ისი უწინა მოიდნობის. და მარილითა გამკმარი იყოს და თუ უმარილოდ, ისი ყოლინჯასა აწყენს. ამა კორცსა ვინცა ბევრსა ჰამს, სისხლისა სევედა შეექმნას, მღიერი და ფხანაცა შეექნების და თანა გამოუჩნდების, და რაცა ამისთანა და
30 მსგავსი ამისი, ყოველი ამისთანა იქნების. კორცი ნადირისა იყოს, სევედასა გამოუჩენს. და როგორცა ზროხის კორცი იყოს გამკმარი, 658r ან მარილითა ან უმარილოდ, ისი კორცი, სისხლი აზყილვისცა სკირ-
დეს, მას არგებს. და კმელი კორცი წყალშიგა ჩადვას დღე-ღამესა და მერმე მოხარშოს ან ერბოთა, ანუ ნუშის გულითა, ან ახლითა ქონი-
35 თა, ან ჰაკუნტლისა ფურცლითა შექნან ისი წყალშიგა ნადები და აგრე ჰამოს.

ხასიათი თევზთა. — ყოველი თევზი ახალი ნედლი და გრილთა, და ბალღამი მატოს, მაგრა მკურვალსა, კმელსა და ზაფრიანსა კაცსა კარგად მოუკდების, გრილისა და ბალღმიანისა კაცისათუის ზიანი
35 არის. მართებს, რომე ზამთრის და გრილის თემისა კაცი ფრთხილა იყოს, და თევზი წურღილი სჯობს სხუილსა, მდინა-
რისა დიდისა და სათვე გრძელი იყოს, ქუიშინი და შემწუარი სჯობს თევზი. თუ გინდოდეს, რომე შეჰკრას, ძმრითა აჰამე. და ჩუენ ბრძენთა მკურნალთაგან არა გუასმია დაწერილი, მაგრამ ჩემთა
40 უმეტრებითა ესე ვიცი, რომე სუბუქი და კარგი ისი არის, რომე წითელ-წითელი ნიშანი იყოს. და თევზი რომე ლამშიგა, ლერწამსა

და შამშიგა, და ავსა წყალშიგა და ტბაშიგა იყოს, არ ვარგა. და
 ლურჯი თევზი კარგია. ძირითა სჯობს ჰამა, რომე პიჩნა, კულავე
 ერიოს. და თევზი საქმელად თბილი სჯობს ცივსა. ლეუე ლ-თე ე-
 ზ ა ავია და ზაფრასა აწყინოს. კაცი რომე გუნება-გზილი იყოს, მას
 კარგა მოუტდების. შესკლებული მკურნალია და კმელი, და ბალ-
 ღამსა მოკლავს მარილიანი. და მარილიანი თევზი რა გინდა ძველი
 იყოს, იგი სჯობს. და ზ ლ უ ის ა თ ე ვ ზ ი უფრო გრილია და მძიმე
 მდინარისა წყლისაგან. იმა დღესა რომე წუელა ეკამოს, არა მარ-
 თებს, რომე თევზი ჰამოს. და თევზისა შიგნიერი უფრო მძიმე არის
 თევზისაგან და გულსა აურევს. თუ ღონე იყოს, არა ვარგა მისი
 ჰამა.

ხასიათი ყოველისა შარისა რძისა

ყოველისა რძე შეკრებით გრილი არს და ნელლი და კაცსა შეჰ-
 კრავს, მძიმე არს და სტომაქით გუიან წავა. და თუ ვინ მოიღნოს
 კარგად; ერგების ტანსა. კარ აქ ი მკურნალია და ნელლი, ბუნებასა
 რბილად შეინახავს, და ზაფრა დამწუარი გაილოს და უშუელოს
 ტანსა, ქვასა და სევდასა და ქუეკლსა, რომე სიძკერეალისა და სიკ-
 მისაგან იყოს.

ან ძ ლ ა ტ ი მკურნალია. კაცსა გაქსნის და განავსულისა უნდა
 მიცემა, ზაფხულშიგა არა ვარგა.

რძეთა შიგა აღამის ტომისა სჯობს, მერძე — ვიროსა და აქლე-
 მისა. და თხისა მაწუნი სუბუქია, და ზრისათა -- მძიმე. და ძროხა-
 მა კბო შობოს, ორწომც დღემდის არ ვარგა არცა რძისა და არცა
 მაწუნისა ჰამა. და რძე სითორი სჯობს, არცა ერთობ სქელი უნდა,
 არცა ერთობ თხელი, და გემო წმიდა იყოს. ბალღმინისა კაცისა

ყოველი ფერი რძე ზიანი არის და, ვისცა ქვა იღვას და გული და
 ფირტი სტიოდეს, ნუ ჰამს. მაწონი სჯობს რძესა და დო სჯობს
 მაწონსა. და აქლემის რძე გასწმედს ლეიძლსა და ზამასტასა უშუე-
 ლოს, და ცოტასა ცხელეებასა უშუელოს და სიკმელესა. და კაბეჩისა
 რძესა ფურისა სჯობს. მკურნალისა კაცისა სტომაქსა ზედა რძე
 ყველად შეიქნების, კაცსა რჯასა დაუწყებს და არა მოუსუენებს
 სტომაქსა. თუ კაცმან რძე ჰამოს, იმაზედა სხუა არღარა ჰამოს, არცა
 ლუინო სუას, საღამდის ისი არა დაღნეს და არა გავიდეს. კაცმან
 ესეცა უნდა შეიტყოს, რომე ყოველისა შხამისათუის რძე კარგია,
 და რაცა წამალი მალე იყოს და კაცსა აწყენდეს, მისი წამალი რძე

იყოს. თუ რძე ჰამოს და ზედა საკმელი ჰამოს, და ან ლუინო სუას,
 ისი სამივე ერთად შეიკრების და რძე იმა საკმელსა და ლუინოსა
 ააყროლებს. თუ ჰამოს კაცმან დღეულად და მოიღნოს, რომე სხუა
 საკმელი შიგა არა გაერიოს, და რაეამს რძე ჰამოს, მოისუენოს; და

რაჟამს რძე ჰქამოს, და მერმე სხუა ფერად გარდაიქცევის. და მერმე
თუ ჰქამოს, ანუ შაქრითა ან თაფლითა და ან მარილითა, რომე ყვე-
ლაღ არა გარდაექცეს. და მერმე უკანის ლუინო იღარღაროს ან სამ-
ყითა ან თაფლითა, რომე ავი რაცა იყოს, პირით გამოიღოს; და დო
5 მყავე, ვისცა სტომაქი და ლუიძლი ცხლად იყოს, ან ჰქამოს სადაფი-
თა, ან ნიახურითა, ან პიტნითა ან თრუნჯისა ფურცლითა.

ჯოღრად მაწუნსა ჰქუიან, და რძისა და დოსაგან ისი უფრო
სქელია და მძიმე, და ყოლინჯიანსა კაცსა აწყენს და ძარღუებნსა-
თუის ავია. და ისიცა ასრე ჰამ[ო]ს, როგორაცა დო. ახალი ყველი
10 გუიანად მოიღნობის. და თუ ჩალახად მოიღნოს, გაასუქოს. და კაცი,
რომე გუნება მკურვალი იყოს და ყოლინჯ[ი] სკირდეს, მისი ზიანია.
თუ ამა კაცმან თაფლითა ჰქამოს, გუიანად მოიღნოს და ყოლინჯი
დააკლოს. ყ ვ [ე] ლი კმელია, და მისსა სატკივარსა არა წამალი არა
მოეკიდები[ს], და საკმელად კარგი არა არის და არა უნდა ჰქამოს. და
15 თუ მოუნდეს, ცოტა საკმელსა უკანის ჰქამოს. და თუ არა არს ფერ-
ზედ მაშუნე არა არის და სტომაქსა აწყენს და სატკივარსა მოუმა-
660r ტებს, ყოლინჯსა გამოაჩენს და ქვასაცა. ერბო ზროხისა, რაცა ||
სიმსიენე არის, მას აადულებს, კიდევცა დააღბობს და გულისა სატკი-
ვარსა არგებს, თირკმელსა გააკურვებს და ყოველისა შხამისა წამა-
20 ლი არის. და ცოტად სტომაქსა აწყენს. ახალი ერბო კაცისა გულ-
სა მოაღბობს და გულისა ტკივილსა არგებს. და თუ მისგან შაფი
შეკაზმონ, მერმე ისი ყინულითა დაზილონ, რომე გაცივდეს. და
დედაკაცსა რომე მუცელშიგა და წელშიგა სიმსიენე სკირდეს, შაფი
დასდვან და გამოიღებს. თუ ამა ერბოთა ჰოკნა ქმნან, კარშიგან მას
25 არგებს. ახალი ერბო გუელ[ი]ს ცემულსა არგებს.

ქარი და ხასიათი ლუინისა

ლუინო მრავალფერია. ჩამიჩისა არს დანასკუდისა არის, ყურძ-
ნისაგან არის, ბრინჯისაგან არის, და ქრთილისაგან იქნების, ლელუ-
ნისაგან იქნების და ყოველისა ფერისა ტკბილისაგან იქნების. ზოგი
30 უფრო მკურვალი იქნების, ზოგი უფრო გრილი, და ყოველსა ყურ-
ნისა ლუინო უკეთესი იქნების. და ლუინო, რომელი დაძუელდე-
ბის, უკეთესი და უსუბუქესი იქნების. ლუინო ყურძნისა არართი
ღარიზასა(!) მოუმატებს და სტომაქსა შიგა ფიცხლა მოიღნობის, და
ქარი გატეხოს სტომაქისა, ძარღუები მოაფართოს და, რაც ასო
v იყოს, || ყოველსა შიგა იაროს. და შეკრევით რომე იყოს, გაჯსნძ.
35 სტომაქისა და ტანისა ბუხარი დააწყნაროს და ზაფრასა და ბალ-
ღამსა. უშუელოს, და ძარღუებსა შიგა რაცა. ავი სისხლი იყოს, გა-
მოიღოს. და კაცი რომე ნიადაგ ჰამდეს და ვერა გაძღებოდეს, მას,
და არა სუქდებოდეს, მასცა ერგოს. ქარისაგან რომე ყოლინჯი იყოს,

ისიცა გაქსნას, და მალხულიასაცა უშუელოს და გული გაამხიარუ-
 ლოს და რაცა ამას ზემოთ სწურია, სახელდობით ნიშანსა ქუემოთ.
 თუ კაცი ლუინისა ნაჩუევი იყოს და აღარა სუას, რაცა კარგი სწე-
 რია, ისდონი ერთი სენი შერჩების კაცსა, გაუმძლავრდების და
 მოჰკლავს კაცსა. რაცა ლუინისაგან ძალი ჰქონებია და სენი გაყრია, 5
 კიდევ გაძლიერდების და კაცი ველარა დარჩების. რასაცა კაცსა
 ანდაზითა ლუინო ესუას და თავი შეენახოს მისგან, სიმრთელე
 ჰქონდეს. თუ შერამე დაიწყოს ჰარბობა ლუინისა იმა ანდაზაზედა,
 რაცა პირველად სიმრთელე ყოფილიყოს, ისი ყულა სენად და სნე-
 ბად შეექნას. ვისცა ლუინისა სმითა გული ავესების და ძარღუებ- 10
 შიგა სენსა შეიქს, და კაცისა არართა ღ[ა]რიზი მოარჩოს; აგრე
 რომე ცეცხლი ენთებოდეს, და კაცმან ბევრი შეშა დააყაროს[ს] || ნე- 661F
 დლ[ი] და დაავსოს, ისრევე ბევრი ლუინო სტომაქისა და გულისა
 სინათლესა დაავსებს, და კაცი მოკუდების. რა ბევრი ლუინო ჩავა,
 დამძიმდების სტომაქი, და ლუიძლი და საკმელი შიგა დაღების, 15
 კაცი ველარა მოიდნობს, კაცისა სტომაქი და ლუიძლი წაქდების, და
 ისი ავი ხლიტი კიდევ მოემატების, და შიგავე შერჩების სნება. და
 სიშმავე დაემართების და გულმწყრალი შეიქნების, და თუალსა შიგა
 მლიერი დაუწყოს და ძილშიგა შეშინება დაუწყოს, და ძილი არა
 ღია მოეცილოს. ესე ყულაი მისგან იქმნების, როდეს დიდსა ლუი- 20
 ნოსა სომს, ტუინშიგა შევარდების და იქიდალმან იქმნების ყულაი.

და რაცა ლუინისაგან სხუა სენი იქმნების, მასცა მოგავსენო. —
 ერთი, რომე ყელი გაუსივდების და მოუქირებს; ერთი — ნიკრისი;
 ერთი — ფილენჯი, რომე კელ-ფერტი აუთრთოლდეს და თავი და
 მაჯაში წააკდინოს, და ლუიძლსა სნება შეჰქნას; ერთი — ისთისყაი 25
 და თავისა ტკივილი და კბილისა, და მკურვალე სიმსიენე ფერად-
 ფერადი, და ცივება და ცხელება. და ესეცა ეგების, რომე ერთისა
 თუალისა წუთსა გახეთქოს. იცოდო, რომე ლუინო მკურვალეა და
 ნედლი. და სიმკურვალისაგან ცივი რამე || ბუხარი გამოუჩნდეს და, v
 რაცა სიმკურვალე იქმნების, რომე თმისა ძირშიგა გაიაროს, და ტან- 30
 შიგა მისი სიგრილე და სისუელე დარჩების, თუ სიმკურვალე კი-
 დევე დარჩომილიყოს. სტომაქსა შიგა, იმა სიგრილისა სინედლესა
 ტუინშიგა გაიღებს. კაცისა კუფაცა გრილია და ნედლი, და ისიცა
 იქი შიემატოს, და მისგან ბევრი სენი დაემართების. თუ ის თავსა
 ბნელსა დაუწყებს, თუ ამას ცოტა სიკმე ჰქონდეს, რომე თავშიგან 35
 მისულა, მაშინ მილახური შეჰქნას (მას ჰქუიან, რომე ანასდად კაცი
 ბნელსა საუბარსა და სხუასა რასმე ოცნებაშიგა ჩავარ-
 დეს). თუ კაცისა გული და კეფა ცხელი იყოს, ძუელი და ან ახალი
 ლუინო რომე მოდულებული იყოს, ისი მკურვალე და კმელია, და
 იმისი ბუხარი იმა დამლაშიგა გავა. მისგან თავქელი შეექნების, ასრე 40
 რომე კაცი რასა უბნობდეს, არა იცოდეს. თუ მკურვალე და ნედ-

ლი იყოს ისი თავშიგან გასულა, მერმე მისგან სიმსიენე ისი სისხლი იქნების. და ცივება და ჭურვება გამოაჩინე. და კაცმა შეიტყო, რომე სიცოცხლე სულისაგან არის და ისი სული აქიმთა გუერცა, რო-
 662r გორაცა ქარი ასრე არის კაცისა გულშიგა და როგო||რაცა ლუინოს
 5 სუამს ბევრსა, ისი სისხლშიგა გაერევის, და მერმე სისხლი წავა ლუიძლსა და ძარღუებსა, ყოველი სავსე არის და აღარა ჩავა რა. მერმე წამოვა ლუინო გულისაქენ და ისი სულ გულშიგან არის. და რა ლუინო მიმართებს სულსა, გზა აღარა აქუს. მერმე გამოვა სული და ლუინო ჩავა მისსა ადგილსა, და კაცი მოკუდების ლუინისაგან.
 10 სიკუდილი ესე არის. ასრე ლუინისაგან მკუდარი ბევრი ნახულა, სული ფირტუსა შიგან გამოვა და რაცა კაცი ლუინითა აივსების, იმა სულისა სახლსა მოუჭირებს, და ფირტუი ქუნეშასა დაიწყებს. კაცსა ასრე ჰგონია, ვითა მოვისუენებო და დაწვების, და დაუჭირავს სულსა გზასა და კაცი მოკუდების. თუ სტომაქი გრილად ჰქონდეს,
 15 საკმელი ველარა მოიდნოს და სული ნიადაგ მკევე აბოყინოს. და თუ ვერა მოედნოს, მის თანა სატკივარი სჭირდეს, წყალი სუას, რომ ქარი შეექნას. მისი ისევე სჯობს, რომე ცოტა-ცოტა ლუინო სუას, სხუა ლუინო, თუ რასთან ფერი არის, ლუინო მხიე და მომკევეო იყოს.
 v და კაცი სუმიდეს, სტომაქიდაღმა ფიცხლა გაიარს, || ძარღუები
 20 ფიცხლა გაიცილების, მერმე ტუი[ნ]შიგა გაუჭდების და ფიცხლა სიმრთელედა მიაგდოს და ფიცხლა მოაფხიზლოს.

ღუინო თეთრი ერთობ მკურვალე არის. და თუ კაცია მკურვალი იყოს, მისი სმა არა ეგების, და კაცსა შარდისა ალაგსა გასწმედს.

25 ღუინო წითელი უფრო მკურვალია თეთრისაგან. ღუინო ლალისფერი უფრო მკურვალია ყუითლისაგან, და ლალიხფერისაგან უფრო წითელია, მას ესე უმკურვალე იყოს. ესე ლუინო მან სუას, ვისცა ბაღლაშისჭირდეს. ღუინო ცეცხლის-
 30 ფერი, რაცა ლუინო იყოს, ყუალასა უმკურვალე[ი]. ლუინო მყრალი, მისი სულ[ი] კარგი არა არის; და თხელი ლუინო იყოს, სტომაქი-
 დაღმან გუიან გაიარს. ამისი სუმა მკურვალსა კაცსა არგებს.

ღუინო, რომე კარგი სუნი უდიოდეს, თუ კაცსა ხიფაყანი სჭირ-
 დეს, მას არგებს. კაცი რომე დაბნდებოდეს და კაცი რომე სტომაქ-
 ზედა ავად იყოს, მასცა არგებს. ლუინო, რომელი კარგი სული არა
 663r უდიოდეს, ტუინსა აწყენს და რაცა ტუინშიგა მისგან დაემარ||თე-
 35 ბის, სტომაქსა ავად მოუქდების.

ღუინო, რომე გემოდ მოჩილი იყოს და
 მოთხე, მკურვალსა კაცსა არგებს. ლუინო ტკბილი კაცსა გა-
 [ა]ქურტებს, სტომაქით გუიან გავა. მიუცილსა და ტანსა შეჰკრავს,
 ტყირბსა გაადიდებს, გული და გულსს პირი დააღბოს, კაცი გაქ-
 40 სუქოს. ლუინო მწარე მკურვალი არის და სტომაქზედა მარგე, საქ-

მელსა თუ შეკრვით იყოს, მას გაცხნის. მსუქანსა კაცსა უკეთა მო-
უჯდების. ლუინო რომე პირსა ევიდებოდეს, ისი უფრო ძნელი და
მძიმე არს. ლუინო რომე პირშიგან უგემური იყოს, იგი ავია და მის-
გან ტანშიგა სატიკვარი გამოვარდების.

ლუინო რომე აუღუღებლად დადგომილ-
ყოს, ისი მაშენა და ფიცხლა მოიდნობის და კაცსა ფიცხლა და-
ათრობს. მისი მანმურობა ცოტა იყოს და გული გაუმზარულოს, და
სისხლი დაწმიდოს, გულსა და ტანსა ძალი მისცეს.

ლუინო მოღუღებული ორი ფერის არის: ერ-
თი — მწარე, ერთი — ტკბილი, და აუღუღებელისაგან უფრო
მკურვალია და კმელი. და მოღუღებული ლუინო უფრო მკურვა-
ლქია და კმელი. და კაცი გუიან დაითროს, || გულსა გაამკი-
არულებს და ბერსა კაცსა არგებს, რომე გრილი და მსუქანი იყოს,
სტომაქით გუიან გავა: კაცსა გააკურვებს, ლულისათუის(?) კარგია,
მუცელსა გაცხნის. გულისა და ლუიძლისა გზა გაცხნას, ბუშტსა და
თირკმელშიგა ქვა გამრჩინოს. ლუინო ახალი სტომაქზედა ქარიანი
არის და გუიან გავა, ტუინსა დააღობს, ფერად-ფერადსა სიზმარსა
აჩუენებს, ტანსა და მუცელსა დააღობს.

ლუინო ძუელი მკურვალი და კმელია, სტომაქსა არგებს,
ქვასა გახეთქს. ამისი სმა მსუქანსა კაცსა არგებს.

ლუინო ჩამიჩისა, მისი სიმკურვალე და სინედლე ყურ-
ძენსა ცოტად ჩამოუჯდების. კაცი რომე სიმკურვალისაგან იყოს და
სიკმისაგან, მას არა ესმის, სტომაქზედა ქარიანი არის.

ლუინო ხურმისა მკურვალი და რბილი არის. გულსა კარ-
გად მოუჯდების, კაცსა მოაწყურვებს და შეკურავს. და სევდამიგა
გაერევის, სისხლსა გაქმავებს და სტომაქსა ძალსა მისცემს და გა-
ასუქებს, და ყოლინჯსა არგებს და ტილსა დაასხამს. ლუინო
ბარისა უფრო მკურვალქია და მაძლოსი, ვირემ მითისა. ლუი-
ნო კაობისა უფრო თხელი იქმნების და კაცსა ტანშიგა უფრო
რბილია; და კაცისა სტომაქი რომე მკურვალი და კმელი იყოს, მას
არგებს. და [ლ]უინო, რომე კლდიანისა და ქუიშინანისა ალაგისა იყოს,
უფრო მძიმე არის და მისი სისუელე ცოტა იყოს.

ნიშანი ყოვლისა ფერისა წყალისა. — აქიმთა და ბრძენთა ასრე
დაუწერია, ვითა თერთი და წმიდა წყალი სჯობს და ტკბილი, ასრე
რომე ჳია არა ისხდეს და სასწორშიგა სუბუქი იყოს, და სტომაქით
ადრე წავიდეს, და ასეთით ადგილით მოდიოდეს, მზე პირველად
რომე ამოვიდეს, შუქი მას ეცემოდეს, ანუ წითელსა მიწასა ზედა
დიოდეს ან ქუიშასა ზედა. თუ გაათბო, ფიცხლა გათბეს; თუ გა-
აციო, ფიცხლა გაციედეს. მართებს, კაცი რომე მღურვივსა და
მლაშასა წყლისაგან ფრთხილად იყოს. თუ უღონობა იყოს და შე-
სუას, ზედა კარგი ლუინო შეასუი, რომე მისი ჳიანი წაიღოს. და

5

10

v

15

20

25

664r

30

35

40

775

წყალი კაცისა გუნებასა გაადნობს და ტანსა გააგრძობს და მუცელსა გაარბილებს. და ყოველსა გრილსა და ბალღმიანსა კაცსა მართებს, რომე ცივსა წყალსა ერიდებოდეს; და თუ უღონობა იყოს, აღუღოს, ასრე || რომე ნახევარი ღარჩეს, და მერმე სუას.

- v
5 წყალი წუმისა სხუისა წყლისაგან უფრო რბილია და ნედლი. და ზაფხულის წყალი რომე წუმიისა იყოს, შემოდგომისა და ზამთრისა უფრო რბილი და ნედლია, მაგრა ამისთვის ავია ზაფხულის, რომე მიწა ზაფხულის მტუერიანია და ქარი ამა მტურისა ღოუბელშიგა გაიღებს და წუმიამ მღურთე მოვა; და წუმიისა, თუ კარგი არ იყოს, თუ ერთსა წამსა ქურჭლითა დგას, იმავე წამსა აყროლდების. თუ მოადუღონ და აგრე შეინახონ, აღარა აყროლდების. წყალი ზღუისა და წყალი რომე მლაშე იყოს, კაცსა დაამკლობს. თუ კაცსა სნება მღიერისა სიგრილისაგან იყოს და ნიკრისი სჭირდეს და კაცი, რომე თრთოდეს და ქელი და
- 15 ფერქი დაუმრუდდეს, და სლიახაყა სჭირდეს, და რაცა ფერი მღიერი სჭირდეს, ამა ყოველსა სატკივარსა ისი ზღუისა წყალ[ი] ანუ მლაშე წყალი, რაცა იყოს ჩაჯდებოდეს და იბანდეს ისი კაცი. ვისცა ესე ყუ[ა]ლა სატკივარი სჭირდეს, მას არგებს. წყალი თუ ან
- 665r
20 ზღუისა და ან მლაშე არა იყოს, წმიდასა წყალშიგა მარილი! || ჩაყარონ, ანუ მზესა დაუდგან, ანუ მოადუღონ, მისივე ხასიათი არის, და ამა სატკივარსა ისიცა არგებს, მღიერსა და ფხანასა შეაქს. და მწარე წყალი ნიადაგ მუცელსა გაქსნის. ცივი წყალი გუარისმისა მაჯუნითა შეერგების; ასრე მოუგრილებს, როგორაცა სიცხესა შიგა ცივი ქარი. და თავისა ბუხარსაცა დასუამს. წყალი რომე ერთობ თბილი იყოს, ყოველსა ქარსა გასტეხს, ყოლინჯსა არგებს, წყურვასა მოუმატებს, ნაზლასა, მალახურსა და თუალსა სიბნელესა არგებს, შარდსა გაქსნის, დედაკაცსა წესსა წააქიდებს.

- წყალი გუბისა, რომე გზა არსით ჰქონდეს, შიგა ღერწამი და ჰაობი იყოს, ავია; რაცა კაცი სომს, ზიანსა უზამს. თუ ესე ავი წყალი და კარგი მიწა გაქრან, გაურიონ და მოადუღონ და დაწმიდონ, რაცა მისი სენი იყოს იმა ავისა წყლისა, მაშინვე გავიდეს. წყალი რომე სქელი იყოს, ძირათა შესუას. წყალი მწოვედ მლაშე ძმრითა და სიქანგუბინითა სუას². წყალსა მლაშესა და
- 30 მოდუღებულსა მოცხარი გაურიონ, კაცისა ყვანასა შექრავს. წყალსა რომე არჯასპისა სული უდიოდეს, თუ ისი სუას, იმას ღუინო
- 35 გასტეხს, || და მერმე ესეთი საკმელი ჰამოს. მუცელი დაუღობს. წყალი რომე მწარე იყოს, თუ ისი ესუას, ტბილი და მსუყე საჭამადი ჰამოს. თუ სხუა რაცა ავი წყალი ესუას, ხახუი ჰამოს, რომე მისი ზიანი გაილოს. ხახუი და ნიორი ძმრითა ჩაყენებული ჰამოს,
- 40 მან უკეთ გაილოს. და არის ალაგი, რომე წყალი ცოტა დიოდეს, ისი ძმრითა უნდა სუან. თუხმაქანი დანაყონ და მუხუდო ძმარშიგა გაუ-

რიონ, და წყურვილი აღარა დაუგდოს. წყალი რომე ან უზამან სუას, ანუ აბანოსაგან გამოსრულსა, ან მაშურალმან, ან გზისა მავალმან, მისი ზიანი იყოს. და ბუშტშიგა ქვა იყოს, ხანდახან ცივს წყალსა სუემდეს, მას არგებს. თუ საკმელზედა ცივი წყალი სუას, ისიცა ზიანი არის. და თუ რაზიანისა წყალი სოს, მისსა წყურვილსა მოჰკლავს.

ო. [ტარი სამეოცდა მესხრი]

სახელითა ღმრთისათა ღვიფქუოთ წარად ხანიათსა თუალეგისასა

პირველად იაგუნდი ვაქსენოთ, ამად რომე იგი უმჯობესი არის ყოველსა თუალსა, რომე სხუასა ყოველსა თუალსა ცეცხლი აწყენს და დაადნობს, და იაგუნდი, რაზომ ცეცხლშიგა ძეს, ფერი და ელვა მოემატების და არა დაშაქვდების. უმძიმესია ყოველსა თუალსა: ბუნება მისი მკურვალის და კმელია. და მეორე ხასიათი მისი: თუ დამდნარსა ოქროსა შიგა ჩააგდო, ფერი მოემატოს. მესამე მისი ხასიათი: ვისცა წითელი იაგუნდი ჰქონდეს, რასაცა თემსა უცნაური სიკუდილი იარებოდეს, მის თანა არა დაეკაროს და მშუიდობით იყოს უცნაურისა სიკუდილისაგან. მეოთხე ხასიათი მისი: თუ მომფარებასა შიგა გაურივე, სევდისაგან არგოს და გაამხიარულოს. მეხუთე ხასიათი მისი: რომე აღმასისა მეტი ვერცა რა გასთლის და ვერცა ქაქურეტს. და იგი მაშრიყით გამოევა, სადაცა მზე ამოევა, და მას ალაგსა ინალამ-შისი ჰქუიან.

არისტოტელი აქიმი იტქუის, ვითა იაგუნდი ექუსი ფერი არის: ერთი — თეთრი, ერთი — ლურჯი, მესამე და მეოთხე — ქარაგანდი ჰქუიან, და მეხუთე — ვარდის ფერი, და მეექუსე — ბროწეულის მარცულის ფერი.

ხასიათი ზურმუხტისა. — ზურმუხტისა ბუნება გრილი არის და ნეღლი. იგი აღმოსავლეთით მოევა, სადაცა ოქრო ამოიზრდების. არისტოტელი აქიმი იტყუის, ვითა: ოქროსა ბუნება არის, რომე მიწაჲ თანა ამოევა და გამოგორდების, და ერთსა ფერსა რაიან ჰქუიან, და იგი მინასა ჰგავს; და ერთსა ფერსა სპანქ ჰქუიან, და ერთი ფერი ნავთის ფერია. და ამა სამსავე შიგა შეწყვიტა მიყვების, და სთქუა — გატეხილსა ჰგავსო, და არ არის გატეხილი. პირველი ხასიათი მისი წამლისა. — წამალი არის ყოველისა წამლისა და მოწამლულისა. ვისცა. მოსაკლავი წამალი ექამოს ანუ ესუას, ზურმუხტი მეთევსა ღოშიგა ჩადგას და გალესოს და შესოს, მასევე წამსა გააძებს და ოფლად გამოიყვანოს. მეორე

რე მისი, ხასიათი, — გუელსა ასპიტსა რომე წინა მიუშუი-
რო და შეხედნეს, ფიცხლა წამოსტუიედენ თუალნი. არისტო-
დელი აქიმი იტყუის, მე.ს.ა.მ.უ. ხასიათი ესე არის, რომე
ანუ მორიელმან ანუ ღრინკელმან ანუ რამანცა სულიერმან უკბი-
ნოს, მას ადგილსა დასცხონ, ტკივილსა დაუშუას.

ხასიათი მარგალიტისა. — არისტოდელი იტყუის: რა გა-
ზაფხული შეიქნას და ჰ[ა]ერსა სილბო მიეცეს და წუიმა დაიწყოს,
ამოვა ზღუასა ზედათ სადაფი, და რა წუიმდეს — პირსა ჰალრენს
და წუიმასა ჩანთქამს მრავალსა, ვირემ აივსებოდეს, და მით მოკუ-
667r დების და ზღუისა ძირსავე ჩავა. || ვირემდის ზაფხულისა სიცხე
10 [ა]რა მოვა, მუნ იქნების; და რა მზესა სიცხე მიეცემის, რაჟამცა მზე
ამოვიდეს, იგიცა ამოვიდეს ზღუასა ზედათ პირსა; მზისაყენ იქს;
ვითარცა მზე ბრუნავს, აგრევე იგი ბრუნავს, და რა მზე ჩავა, იგი-
ცა ძირსა ჩავა. ორშოცსა დღესა ასრე იქს ბრძანებითა ღმრთისათა.
15 იგი წუიმა მარგალიტად შეიქმნების და ისი, რომე ზოგი მარგალი-
ტი სუითელი იქმნების, ზღუა მრავალსა თევზსა მოჰკლავს, გამო-
აგდებს და აყროლდების, და მისისა სიმყრალისა სული სადაფსა ეცე-
მის და მით გაყუითლდების მარგალიტი. მისი ხასიათი: რომე
ვისცა კეთრი სჭირდეს თეთრი, მარგალიტი ცხარითა კარგითა ძუე-
ლითა ძმარითა გალესონ და სცხონ, ერგოს. მეორე ხასიათი
20 მისი: ვისცა პირზედ ნაყუავეილები აჩნდეს, მარგალიტი დიაცისა
რძითა გალესოს, სამსა ღამესა პირსა მოსცხოს და ერგოს. მე.ს.ა.მ.ე.
ხასიათი: მომფრეხსა შიგა გაუროონ, სევედისაგან იხსნის, და ბნე-
დასა და გულის ძგერასა არგოს.

ხასიათი ფეროზისა. — ფეროზი მრავალგუარი არის, ზოგი უფ-
25 რო ფეროვანი, ზოგი უფრო და ფერმკრთალი და ზოგსა უკანით
v ქვეავითა აჩნია. და მას ფეროზსა || ჯავარი ჰქუიან. და მისი
ხასიათი ესე არის: როგორცა ჰ[ა]ერი იქნების, მისი ფე-
რიცა აგეთივე იქმნების; და თუ დღივ ათჯერ მოიღრუბლოს, ფერი
დაუბნელდების. და თუ გარდაიწმედს, ფერი გაუნათლდების. მეორე
30 ხასიათი მისი: თუ ათსა დღესა ერბოსა ჩასდვა, წონა
მოემატოს. მე.ს.ა.მ.ე. ხასიათი მისი: რა კაცმან გაიღუიძენს
ძილისაგან და ფეროზსა შეხედნეს, მას დღესა მზიარულად და ლბი-
ნად იყოს. და აქიმი რა მთუარესა ახალსა ნახევედენ, ფ[ე]როზსა
ზედა ნახონ. მეოთხე ხასიათი მისი: ვისცა ჰქონდეს აწე
35 ავი სიზმარი, არა ეზმანოს და ძილგიზან არა გაკრთეს. მე.ს.უ.თ.ე.
ხასიათი მისი: თუ თუალისა წამალშიგა გაუროო, თუალისა
სინათლესა მატებს.

ხასიათი ლალისა. — ლალისა და იაგუნდისა გუარი ერთი არის,
მაგრა ისი გაჰყოფს, რომე იაგუნდსა ცეცხლი ვერას აწყენს და
40 ლალსა ცეცხლი აწყენს და გააჟურეებს. ბუნება მისი მჟუევრალი და

კმელი არის. და მისი ხასიათი: ვისცა ჰქონდეს, ეშმაკმან
ღრა დასცეს. მეორე მისი ხასიათი: რაჟამ ყმაწული
აკვანსა ჩააწვინო, თანა ჩაატანო, ღორბლი არა წაედინოს და ზღარ
შეშინდეს.

|| ხასიათი ჭაჭისა. — უმაგრეა ყოველსა თუალსა; სუმფერა(!) 668r
გასთლის და მას ძნელად გასთლის. ხასიათი მისი, — რომე 5
ვისცა ჰქონდეს, ნიადაგ სევდიანად იყოს და უსაქმოდ, რომე სა-
სეველო არა სჭირდეს. და ატიფელნი შეფენი და აქიმნი სახლსა და
სალაროსა შიგა არა შეუშუებდეს და არა ბედნიერი ქვე არის. და
ვისცა ჰქონდეს, შფოთი სიზმარი ეზმანოს და ძილსა შინა გაკრთეს,
და მუდამ ცხუირსა სისხლი სდიოდეს. 10

ხასიათი ბანავარისა მრავალფერია: თეთრი, წითელი, ყუითელი,
ლრუჯი და მწუანე. და იგი ხუარასნით გამოვა. პირველი ხა-
სიათი მისი: ესე არის, რომე წამლის წამალი არის ყოველისა.
წამლისა. მოილონ ბაზარი, დოშიგან გაღესონ და შესუსას, წამალი
გააძიოს და გააცუდოს. მეორე ხასიათი მისი: რომე რა გინ- 15
და რა სამსალიანმან უცეს, ძუელითა ძმრითა გაღესონ და მას ნაკ-
ბენსა ზედა დასცხონ, ტკივილსა დაუშუას და მანკი გამოარიდოს.

ხასიათი დანჯისა. — ესე დანჯი სპილენძისა ბუხარი არის. ხასი-
ათი მისი, — რომე მოწამლულსა ესე დანჯი ძუელითა ძმრითა
გაღესონ და შეასუან, გააცუდებს წამალსა. 20

|| ხასიათი აღმასისა. — აღმასი ქვე არის, რომე ქვეყანათა ზედა
მის უმაგრესი არა არის რა და არც რა იპოვების. მას ვერცარა გას-
თლის და ვერცარა გასტეხს, და ტყუივა გასტეხს. და ტყუივისა
უღბოსი არა არის რა, ამად რომე აღმასმა არა თქუას, ვითა: ჩე-
მებრ არა არისო. თუით დამბადებელსა საპატრიოსაგან ცული რამე 25
წინააღმდგომი გაუჩენი[ა]. არისტოდელი აქიმი ასრე იტყუ-
ის, — ვინ აღმასი მოილოს და გამოაჩინა, ჰალექსანდრე იყო,
რომე აღმოსავლეთამდის მივიდა და ქვესა რასმე შიგა ჩამოკლა, რო-
მელსა აინალმასის ჰრქუიან. და მას ქვესა შინა მრავალნი გუელები
იყუნეს უცხო ფერნი, და ერთი გუელი მეტად დიდი იყო, ასრე 30
რომე მათ ლაშქართაგან ვინაცა ნახის, შიშით მოკუდის. და მრავალ-
ნი დაიკოცნეს მისნი ლაშქარნი. და უბრძანა, რათა შექმნან ერთი-
სა ფერისა ოდენისარკე, და ძელსა ზედა ამართონ და წინა მიუშუ-
ირონ. და აგრე ქნეს. და რა შეხედნა გუელმან სარკესა, მას შიგა
მისი სახე ჰნახა, ასი მისოდენი ჩნდა და შიშით მოკულა. და უბრ- 35
ძანა, დაწუეს გუელი იგი და ალექსანდრე წავიდა. მუნ ერთი კუ- 669r
რელი ნახა, დიდი, თავჩალმა ორმოკითა, და კაპნები მოაღებინა,
ხუთი ათასი მკარი ჩაუშუეს მას ორმოსა შინა და ვერა ჩააწუდი-
ნელ(!). უბრძანა და ქორგასანბი მოიყვანეს (მფრინველსა ჰრქუიან)
და იგი ხამსა ღღესა დაამშვიეს. და მოასხეს ცხურები, მათსა თუ- 40

აღსა წინა ტყავი დაკადეს და იმა ორმოსა შინა ჩაყარეს, და იგი ქარგასანები თანა ჩაჰყვეს კორცისა ვულისათუის და ამა კორცზედა აღმასი მოკიდებოდა: ამით ილათით ერთი საპალნე აღმასი ამოი-
ლო. და ერთი თუე მას კვეშიგა დაყო, ხასიათი მისი გამოცადა და
5 მას აღმასი დაარქუა, და იავანურითა ენითა აღმასი გამოკუ[ე]თასა
პრქუიან. და რასაცა აღმას[ს]ა ნახავ ქუეყანასა ზედა, მაშინდელი
არის. მას წინათ არავის ჰქონებია და მას უკანის არავის მოუღია.

ხასიათი ბეჭედისა. — ერთი ფერი არს მისი და იაგუნდისა, მაგ-
რა მისი სიწითლე კუამლსა ჰგავს და იაგუნდ[ი]სა უკუამლოსა. ხ ა -
10 ს ი ა თ ი მ ი ს ი: ვისცა ჰქონდეს ფელინჯი და მჭდომი, კოლინჯი
V და ჭეთრი, და მტერდაცემულობა || არა შეექნას, ყოვლისა გრილისა
სენისაგან მშუიდობით იყოს.

ხასიათი ძოწისა. — ძოწი ხე არს, ინდოეთს ზღუაშინა ამოვა,
სადამდის წყალსა ზეით თავსა ამოუყოფდეს, მწუანე არის¹, და ჩუი-
15 ლია და მზლად ქამენ. რა თავსა ამოყოფს, ქარი ეცემის და მზე
დაადგების, დაწითლდების და გაქვავდების. ხ ა ს ი ა თ ი მ ი ს ი:
V რომე ყოველსა თუალისა² წ. მღებსა შიგა გარიონ, სინათლესა მა-
ტოსი და თუალი გააძლიეროს.

ხასიათი ადამატისა. — ანდამატი ქეა არის და მას შიგა მრავალი
20 ხასიათი ძეს. და საკურველი არის, და იგი მკურვალი არის, და მთა
მისი ინდოეთს არის, ათითა ფარსანგითა ნავი წაუარს, რომელსაცა
ნავსა ლუსმარი არის. მფრინველი ვითა აფრინდების და მას კლდე-
სა ზედა მიეცხების, ანუ ცხენი მიე[ა]ხლოს, დაქედლიე წაუ[ა]რს,
25 ნალსა და ლუსმარსა დააკლეს და ზედა მიაცხებების. თუ ესე გინ-
დეს. რომე რკინა არა აილოს, და თუ გინდეს, რომე კულა არა აილოს,
რძე შესცხე. და თუ გინდეს, რომე კულა აილოს, ძმრითა ანუ ცხუ-
რისა სისხლითა გარცხან და კიდევე აილოს რკინა, ხასიათი მისი ესე
არის, რომე ვისცა ჰქონდეს და მოწამლულითა მახუილითა დაი-
კოდოს მოჴ. . . .].

30

|| ო. [ძარი სამეოცდა ათი]ᄂ.

670r

წამალნი წყლულისანი, მეღვრისა და მჯდომისა გამოსახეთქელნი

მარამანი ადვილნი და კარგად გამკურნებელნი. მარამა წყლული-
სათუის. — აძლე საკმელი თეთრი ხუთისა დრამისა წონი, ქალბანა
35 და ძირა — ორ-ორის დრამისა წონი, დინდგელი — ორი უმკია,
ცივილი — სამი უმკია, და ღორის კორცი მსუქანი და ბერძელი ზეთი
და ერბო ფურთა. ამით აადულენ ესე წამალნი, მარამანი შეჰქმნენ
და ზედა დასდვა.

მარამა მისთვისვე. — აიღე დინდგელი ორი ნაწილი, ცუილი — ერთი ნაწილი და ზეთი — ერთი ნაწილი. ერბოთა ააღუღე, მარამად შექმენ და ზედა დასდებდი.

მარამა, რომელი ერგებდის ყოველსა წყულულსა — აიღე თამრი და თაფლი უგბილი და ლელუი, ძივითა და დინდგელი და ზეთი ბერძული, ესე სწორნი ყვენ და ააღუღე, და მარამად შექმენ და ზედა დასდებდი.

მარამა, რომელი გააკურნებს ყოველსა წყულულსა ადვილად. — აიღე დამლახუენი და მარუხის ძირი და ვერცხლის ნაცარი, ამათგანი — თუითო უმკია, და მურდასანგი, შეერთენ II. მოგალე და დაცარ, და ზეთითა ბერძულითა ააღუღე ნელითა ცეცხლითა, შეასქელე და ქურჭელსა ჩადევ, და იქმარე, როდეს გინდეს.

წამალი წყულლისათვის კრმლითა ანუ რათაცა იყოს. — კუისა კეკ დაწუ, მოგალე ბერძულითა ზეთითა, და მარილი ქუეშე მოაყარე, იგი ზედა მოაყარე და შეუხუივე, და სამსა დღესა ნუ გაქსნი, გამართელდეს.

წამალი მედგარისანი. წყულლისა თუ მედგარი იყოს, წითელი ანზარუთი, კირი და არჩასპი, და ზარიკი წითელი, ესენი ორისა დრამისა წონნი და პილიპილი — სამისა დრამისა წონი, და ზანჯაბილი და ქერეჭი, ბავრუკი. — თითოსა დრამის წონი დანაყენ და დაცრენ, და თაფლითა უგბილითა შეზილენ და პატრუკითა დასდევ, ერგოს.

წყულულსა, თუ მედგარი კორცი ამოეზარდოს და გაქარვება გინდოდეს, და ანუ ნიშანი იყოს და მისი გაქარვება გინდოდეს. — გუნდა მწუანე და ბროწეულისა ქერქი სწორად ყავ, მოგალე და ზედა აცხე.

წყულლისა, თუ ძარღუი გაკუეთილი იყოს. — მრავალძარღუა და შლირდველი მონაყე და დასდევ.

წყულლისა, თუ სისხლი ვერა დააყენო. — სამლი დანაყე და ზედა დაქაყარე, და დედა-ზრდილის ქსელი ზედა დააქარ...!

... II რომელ არს კუი, სამი ქათამი, თითო დაკალ, თბილ-თბილი დასდევ, ქუეშე თაფლი მოუცხე, არა დალპეს, ნუ აგაქუს. მერმე გრძობისა ეკალი მოგალე, ერბოთა შეზილე, კეცთანა ურთე და დასდევ, და ასუიცა. თუ კორძად შეიქმნას, გრაკისა თესლი მოგალე და ზედა ასხემდე.

მჯომისათვის. თუ სარცხუენელი იყოს დიაცსა გინა მამაცსა, კარისა სისხლი წყლითა გაადგინე და სცხე.

მჯომისათვისვე კურთხეულისა. — მოიღე: ირმის კუდისა ნავდელი (როდენ კუდსა ტყავი გაკადო, შავი არის), გააქმო იგი ფიცარსა ზედა. თუ არა გქონდეს, ნუ გაგვა. და თუ პოვო, სჯობს. მოიღე: გუგულისა წიგნისა ძირი, რომელ ცუედნისა წამალი იცი-

5

10

v

15

20

25

30

671z

35

40

- ან დედათა, და ჩრდილსა გააქმე, და სპანძელის თესლი და ოსპნი წითელი და თეთრი საქმელი, გუნდრუკი, და, თუ გაქუნდეს, ბუნატაკი ურთე, თუ არა: — შ-ე-ვე-ქმენ ძმათა სისხლი, და თეთრი ოსპი დანაყენ და კუერცხის გულითა შეზილეს და დასდევ გულსა;
- 5 კურელი დაუბევე, რომე სული ამოუვიდოდეს, და ზედა შარი წითელი დააკარ და იგიცა გაქურტიე.
- კურთხეულისათვის. — ბერძული ზეთი და თეთრი საქმელი და
- v მცირედნი პილპილი და ცვილი აღუდევ, და [გუ]გულისა წიგნი, იგი ატოქა, დანაყენ და თანა ჩაურთე, დასდებდი, ერგოს.
- 10 კურთხეულისათვის. — ბუნატაკივე, თუ იყოს; და თუ არ იყოს, იგი გუგულისა წიგნის ძირი დაყოფს მას ადგილსა. ბერძული თიკა და იგივე ევლოგია თეთრი და წითელი, და პილპილი ორი მარცუალი დანაყოს, და კაცისა სძითა შეზილოს, და დასდევს ზედა [.] დააკრას. და ეგრევე გაქურტიტოს, რომელ კუამლი ამოვიდოდეს, იგი
- 15 რომე უწინასა სწერია, უკეთუ პირსა ხატსა იყოს. კაცისა სძითა გაადგინე, და თუ სხუასა ადგილსა იყოს — წყლითა!.

ოა. [პარი სამოცდა მეთერთმეტე]

წამალნი ურვილისანი და მცრცნელიისანი და წყლითა მანაჲმოვისანი და კეთრისანი და მოვიწყავისანი

- მცრცნელისათვის. — ვენახისა თევზისა თავი დაწუი, მოგალე და დასდებდი. მ [კ ა მ] ლისათუის, რომელსა იყოს ძაღლის ფსელი. ან აფთარისა, სცხე, ერგოს.]
- 25 მცრცნელისათვის. — გუნდა უქურეტელი, ბავრუკი წითელი და უპანი ურწყო, და ქონდარი, ესენი კარგად მოგალენ, და კუპრითა შეზილო, ტუტითა ჰბანდი და ზედა დასდებდი, ქათმისა სკინტლი გაადგინე, ბამბა ამოსუარე და დასდევ.
- მკამლისათვის. — კილაი მეჭიქეთა დანაყენ და მარილი ურთე და ზედა დასდებდი.
- 672r წყლული, რომელსა გაუმედგარდეს, ზეთის ხილისა ფურცელსა
- 3Q გბულევდი და წყლითა ჰბანდი; ფურცელი მოგალე კარგად და ზედა დასდევ შუიდასა დღესა დილეულად და მწუხრი. და ამისა შემდგომად უპანი გააქმე, მოგალე და ტილოთა წმიდითა დაცარ და შუიდასა დღესა ასხემდი. უკეთუ შეატყუა და კორცი ამოეზარდოს, მაშინ წამალსა სხუასა სდებდი.
- 35 ნიშანი წყლით მანკიანთა და წამალთა მათთა. — თქუეს ფილფოზთა, წყლით მანკიერობა ესრეთ შეიქმნების უსუსურობისაგან ღუიძლისა და ფაწალისა, როდეს დაიყუნენ ნესტუნი, და ძარღუნი უკაზმავად იყუნენ, მაშინ სისხლი დაამეაოს სიგრილემან და სიმ-

ყრალმან, და გაირყუნას ვითა სძე, და გარდაიქცეს წყალად. და ყოველთა ნესუტთა წყალი შობონ. და როდესმე იშვების ბუშტსა შიგან და მერმე შემოვალს მუცლად. და ნიშანი ესე იყოს: გაუსივდეს ფერკნი და წუიენი და მუცელი. ხოლო წყლით შაკეობა ხუთი გუარი არის. ერთისა სახელი არის ასტიცეს, მეორისა — ტიბანტიცეს, მესამისა — კაწარ სარკე, მეოთხისა — კუპლე გამატოს, მეხუთისა — დიოფოვენე. ესე არის სახელი წყალით მანკეობისა.

ნიშანი ასტიცესა ესე არის: კელი დაწურილებული, და მკლავი და იდაყუნი და ბარკალნი და მკერდი გამკმარ და გაღებულ, და მუცელსა ზედა გამკმარნი, ძარღუნი დაშაეებულნი, სიმსივნისაგან დიდისა.

ნიშანი ტიპატიცესი. — დიად გაბერილ იყოს ფერკით თავამდე, და ტკივილი იგი დიდი იყოს წყლითა ნოტიობისაგან.

ნიშანი დოფოვენესი. — ფერკნი და წუიენი გასივებულ იყუნენ და ირჩვებოდის.

ნიშანი კაწარ სარკესი. — ნახევრამდე ავსებულყო წყლითა ნოტიობისაგან. ესე არიან ნიშანნი, შეატყუე და ეგრე იწყე კურნება.

ესე არის წამალნი — აიღე: აქლემისა სძე ლიტრა ერთი და ჩა[ა]სხი ქოთანსა, და ეგღენივე წყალი ჩაურთე და აადულე, ვირემ წყალი წავიდეს და სძე დარჩეს. და თავლი პერულმოკლილი, ოცდა ათისა დრამისა წონი, და პილაილი — სამისა დრამისა წონი, და დარ[ა]ფილფილი — ექუსისა დრამისა წონი, ესე ჩაურთენ და ურივე დიდად, და შეასუემდი, ვითაუა უშუებდეს. ყოველთა დღეთა თუითო ლიტრასა ასუემდი, მით საზავებლითა საქამადსა მკურვალსა სცემდი, და პურსა მკურვალსა მფუვანსა კუერცნსა შეგორვებულსა, და შუიდ დღემდი მ[ო]სკობდეს, თუ ღმერთსა უნდეს.

წყლით შაკეობისათვის. — აიღე: საქბინაჯი და გომიზი არაბი, საბრი სკუტრი და ღარიკონი, ესენი სწორნი წონნი დანაყენ და წყალთა შეზილენ და მარცულად შექენ, და შეასუე ორისა დრამისა წონხ ლუენითა.

წყლით შაკეობისათვის. — აიღე: ვაშვი თეთრი და საქფინაჯი და საბრი, თუითო დრამი, || საკამუნია — ორისა დანგისა წონა, და ჯინჯრის თესლი — ორი დრამი; ესე ყულაი [აუ]რავე, მარცულად შექმენ. შესუმა: ორისა დრამისა [წონი], შესმა წყლითა ტვილითა.

მისთუისვე. — აიღე: ბოსტანთა შროშნისა ძირი და წურილად მონაყე, და თავლითა უგბილითა აქამე სამსა დილასა სამ-სამი კოვზი.

მისთუისვე. — თხათა ჟურკლი თხათავე ფსელითა ანუ ყრმათა მუცელსა ერთსახედ შემოსდეგ და უცვალებდი მრავალჯერ, და ვაც-წალისა ფსელი ასუი.

5 მისთუისვე სათხეჯატი. — ბოლოკი მწუხრისა ძმარსა ჩაყარე ცხარსა, და დილეულად თაფლითა უმგბართა ჭამოს, რა გასთალოს, ტფილი წყალი სუას და ათხიოს.

10 წყლითა მაკეობისათუის. — ველური ნიორი ჩაქარებოსა ფურთასა და კარგად შეგბოლე, რომელ დაჩულებს. და ერთ ეამ ასუი ხუთი ჭაშაკი, და მწუხრი — ორი ჭაშაკი, ჭაშაკი დამარხე, უკეთუ უსუსური იყოს დილეულად ასუი, და მწუხრამდი იყოს. და აკამე სპედაგი კორცი, ნიორი და ბოლოკი, ერგოს, თუ ღმერთსა უნდეს.

15 წყლით მაკეობისათუის, ნიშანი მისი — ეწყურებოდეს და ჯელი ანუ ფერვი გაუსიედეს. ტუტა წთობილი ასუი, ერგოს.

v წამალნი კეთრისანი. — ღამიობი შეიპყარ და რკინითა დაკალ, და სისხლი მის ჭიქასა შინა შეიპყარ. || სისხლი და კორცი მისი გააკმე ორივე, და მოგალე, თაფლითა გაადგინე და ზედა მოსდეგ ხუთსადღესა, გასწყდეს. ვის კორცითა კეთრისა მსგავსი გამოაჩნდეს, იგი წითლისა ნავლელისაგან არის. გრაკისა ფურცელსა რომე ცუარი დაადგეს, იგი შეიპყარ, და დღევ თუითოსა ჭიქასა შეასმიდი. და ამით სცნა, როდეს ფსას — თეთრი ფსას. გარე რომელსა ჩნდეს კეთრი, ლელუისა ფურცელსა, რომელსა სძე სდიოდეს, მას სცხებდი სამსადღესა, და ცხელსა მზესა უცხუნე, ვირემ ტყავი არა აკრთეს. მისსა უკანას ერბოსა სცხებდი, ერგოს.

25 კეთრისათუის. — ყურდგლისა სისხლი შეასუი და თავი თმითურთ დაწუი, მოგალე და სცხე, ამან მძოვარიცა მოკლას.

კეთრი ვის შეედვას, ბუერის დიდისა ძირი თეთრისა ლუინითა შეგბოლე, შეასუი და ერგოს.

30 წამალნი, რომელნი დავიწყებასა ერგებიან და მოკსენე ჰყოფენ. — აილე: მდოგუი და ლელუი და ქრთილთა ფქვილი და ლუინითა შეაგბენ და გულისა ეზოთა შემოსდეგ, და გუნდრუჟი, საკმელი დანაყე და წყლითა შეასუი ნები ერთი.

35 მოკსენეობისათუის, რომელ ცნობასაცა უმატებს. — სინგილუნი სამი გოჯი და, სადა დიაცი არა მივიდოდეს წყაროსა, და 674r თოთხმეტსა წელიწადსა მოკსენე იქმნას.

მოკსენეობისათუის. — აფთარისა ნავლელი და შავისა კატისა ნავლელი ერთგან შეზილე და თუალთა შეგარე, იცხოს, და რომელი ნახოს, ყოველი წამით მოეკსენოს.

40 მოკსენეობისათუისვე. — ქურცინი ხუადი შეიპყარ და

[წ]უერნი ძისნი ცხეირთა ზედა იპყრენ, ისუნებდი, და ყელსაცა შეიბი.

მის თუ ის ვე. — თხათა ბალანი ცხეირსა იკმოს, ერგოს.

ფიტყისა'ამას ჰქუიან, რომე წელეები კაცსა ყუერშიგა ჩამოუ-
ვიდეს და მისა ალაგსა აღარა მივიდეს, მისი წამალი ესე არის, რომე
ცერეცო მოხარშო და დასდვა მას ადგილსა, რომე დაღბეს; და ბარ-
კალი დაუზილო, რომე წელეები მისა ალაგსა შევიდეს, და მაგრად
შეიკრას, რომე აღარა ჩამოვიდეს. ქუეითად სიარულისაგან და მალ-
ლად საუბარისაგან, ჩამოხლტომისაგან და მამღარმა დედაკაცთანა
მისულისაგან, ამა ყუელასაგან ფარეზი აქნას; და ქარიანისა საქმე-
ლისაგან, ფეტუისა, ლობიოსა, ბაკილასა და სხალისაგან, და ვაშლი-
საგან, და ბადრანგისა, კიტრისაგან და ყურძნისაგან, ესე ყუელი
იფარეზოს. და გუარიშნი ზირა და მაჭუნი აბულყარა აქამე, და მერ-
მე მური და საქმელი, და ანზრუთი და საბრი, და გუნდა და ბროწე-
ულისა ყუევილი, და || ფურცელი მუსტისა, სამეცი არაბი, შაბ .[. . .
. . . .], ნანახუვა, ერთად გაურიონ [.] და ზედა დაადვან, და
სადამდის არა დავარდეს, მანამდის ნუ აიღებენ, იმას მოავეიწროებს
და აღარა ჩამოუშებს წელსა.

ერთი ქარი სხუა არის, მასცა ფიტყი ვე ჰქუიან, რომე ყუერსა
შიგა ჩავა და ყუერსა გაუსიეებს. მისი ნიშანი ისი არის, რომ ყუერი
ველითა დაიჭირო და მძიმე იყოს და ბზინვიდეს მისი ტყავი. რაცა
ზიყისა სისხისა წამალი და ტლე დაგუიწროია, ამასცა ისი ერგების.

კაცისა ასოთა ხარგებელი და ხახათი. — პატარა ვაცი მსუქანი
და მრთელი მკერდსა დაიკრას კაცმან, ცივსა სტომაქსა არგებს და
ღარვიზისა სიცივესა ჰმატებს. კაცისა თესლი ნიკრისსა და ბაყ[. . .]სა
ზედა შემოსდვას, დია არგებს. ჟალთანოზ იტყუის: კაცსა პირ-
სა ბალღამი ღრიანკალსა მოჰქლავეს] და [. . . .] სულდგმული არის,
ყუელასა მოჰქლავეს. მაგრა ზოგსა უწინი] ავნებს და ზოგსა უფრო
გუიანად. ჟალთანოზს უთქუამს: ქუემოსა უზმისა კაცისა ნერ-
წყული ღრიანკალსა მოჰქლავეს, მარბულისა კაცისა ნერწყუი ყურსა
ჩანერწყოს, ყურსა [. . . .]ტლსა მოჰქლავეს მასვე წამსა. დესყო-
რედოს იტყუის: დიაცისა სძე აშფოთებულსა სტომაქსა დააწყნა-
რებს და სჟ[. . . .]ლისა წყლულსა და თუალსა რომე ჩაუდვა || ოთხი
უკია ღარიჩინი, თურამეტი ღრამი სალიხა, ერთი ღრამი და ნახევა-
რი ქალბანა და ღაფთისა ნაწური, ქალბამანი, რომელი აფსარის
ფესლი იქნების, და აინდოკოკისა (!) თესლი, ნუშისა ქერქი, თუითო-
საგან — ექუს-ექუსი ღრამა, აფთიონი — ათი ღრამა. ესე ყუალა
დანაყე, გაცარ, და რომელიცა არა დაინაყოს, ლეინითა დაალბე, და
ყუალა ერთმანერთშიგან გაურივე და თაფლითა შეზიღე, და ქურ-
ქელშიგა შეინახე და, რა მოგინდეს, მიეც ორი ღრამი, თუ შეძ-
ლოს — ოთხი ღრამი.

50. ზ. ფანსკერტელი-ციციშვილი.

5
10
V
15
20
25
30
675R
35
40
785

ს ს უ ა მ ა ჯ უ ნ ი, რომე ჰქუიან თათრულად აფილუნია, რომე უშუელის ქოლინჯსა და დედაკაცსა. ფერი სსუა და სსუა გამოეცვალოს და ქარსა, რომე დედაკაცსა ეცეს, და იმა ქარსა, რომე მუცელშიგა ჩავარდეს, და ყმაწუილი მოაწყუეტინოს და მუცელი გაუმავროს, და მუცელსა, რომე გაიაროს და რომე დიალი არწყითოს კაცმან, და იმა კაცსა, რომე გუნება სქელი ჰქონდეს, და კაცი, რომელი ყოვლისა სენისაგან სჭირდეს, უშუელოს. — ა ი ლ ე: თეთრი ბილბილი და ლენტოფისა თესლი ოც-ოცი ღრამი, აფიონი — ათი ღრამი, ზაფრანი — ხუთი ღრამი, სანფული [...], მური და ქარქუეტას ძირი და ფარბიონი, თუითოსაგან — ორ-ორი ღრამი, კასგუძუ — ერთი ღრამი, დარუნ[ა]ჯი, ზანჯ[ა]ფილისა [...]გაგაეს. და ზინზადი, თუითოსაგან — ნახევარი უკია, უქურ[.....] შვითუ [...]დანგი და ნახევარი, ქაფური — დანგი და ნახევარი; ყულა დანაყე, გაცარ და გარდამდნართა წმიდითა თაფლითა შეზილე და ჭურჭელშიგა ჩაქსხი და შეინახე ექუსსა თუესა, რომე გამწიფდეს, და მერმე მიეც ერთი ღრამი თბილითა წყლითა.

სსუა მაჯუნე², რომელი უშუელის ღვიძლისა ტყვიელსა და ზმანტსა და სტომაქტა ტყვიელსა, რომელსა სტომაქი გაუცივდეს. — ა ი ლ ე: ლუქი (ისი რომე აქიმი იკმარებს, ნუ ისი რომე მკედლ[ელი] იკმარებს) და გამოარჩი[ი]ვე თორმეტი ღრამი, მწარე ნუში გამოც[...]ლი, ყარანფული, დარიჩინი, თუითოსაგან — თხუთმეტი ღრამი, [.]ვიტოსი, მურისავე, თუითოსაგან — ორმოცი ღრამი, მგლის კორკის ძირი და ზ[ა]რევეანდი, თუითოსაგან — თერთმეტი ღრამი, [...] სანფული — ას ოცდა[ა]თი ღრამი, საბრ[ი]სკუტრი — ორმოცდა ხუთი ღრამი, ველური სტაფილოს თესლი და რუბი სური, და ქარა ქირვესი (ნიახური)³, და კულიავე და ზანჯაფილი, თუითოსაგან — ოთხ[მო]ცდარვა ღრამა, ენდრო — ას ორმოცდა[ა]თი ღრამა, ბალანის ხილი, მუყლი აზრახი და ს[ა]ლიხა, და მასტაქი და კასაბუდარი[.], თუითოსაგან — სამოცდაათი ღრამა, რევეანდი, სენი, ათხარ (თივა-მკუდარა ჰქუიან), თუითოსაგან. — ას ოცდა[ა]თი ღრამი, სასპლ[.]სი — ორმოცი ღრამა, ბალანისა ზეთი — ოცდაცამეტი ღრამი: ყულა დანაყე, გაცარ და ბალანისა ზეთი დაასხი, და 676r გა⁴ III[...] ღრამი ბალილ[ა]ჯი, ერთი მუტყა[ალი], აფთიმონი — ნახევარ მუტყალი, ბასვაჯი, თურბუთი და ინდოური ალილა, უსტუხუდოსი, თუითოსაგან — ნახევარ ღრამი; დანაყე და გაცარ და თაფლითა გაურ[ი]ვე და ჭურჭელშიგა ჩაასხი, და მიეც ერთი თითი.

სსუა მაჯუნე ჩამიჩისა, რომე უშუელის იმა სენსა, რომე ჰქუა წაუვიდეს შავისა ბალღამისაგან და წამოიქცეს, რომე რეგუენნი დევისაგან იტყუიან. — ა ი ლ ე: ქაბული, ალილა ყუითელი, და ამლაიკი და ბალილაიკი, კურკისაგან გამოღებული, და უსტახუსტოსი, თუითოსაგან — ათ-ათი ღრამი, აკარკარა — ხუთი ღრამი, ყუტ-

ლისალიბ — ხუთი ღრამი; ყუელა დანაყე და გაცარ. და აილე კარგი ჩამიჩი, კურკისაგან გამოღებული, ასთონი ერთი, რომე ეგე წამლები შიგა შეზილო. მერმე კურქელშიგა ჩაყარე, მერმე კარგად გაურქივე, რომე ერთმანერთშიგან გაერთდეს და, რა მოგინდეს, ხუთი ღრამი მიეც.

5

ს ხ უ ა მ ა ჯ უ ნ ი, რომელი უშუელის იმა სენსა, რომე წყლისა გასადინელშიგა ქვა იყოს და ისი დაადნოს.— ა ი ლ ე: ბალასანის ხილი და ბოლოკისა თესლი, და სტაფილოს თესლი და ქრევასისა თესლი, და ქუაბისა ძირისა ნაფხეკი და მწარე ნუში, და კასლაისა თესლი და ვალამე||რუქ (რომე თივა-მკუდარა) და კიპერისი, და ევლური ნიორი, სანფული და აღუშბანგისა თესლი, და ჭანდინა და ზრევანდი, ასარქიონი, ზმური, ვოში, ს[ა]ქბინეკი და პილპილი; დანაყე და გაცარ და ბალასანის ზეთითა შეზილე, და აილე თაფლი აღუღებული და ქაბირისაგან გამოწმედილი. და მერმე წამლები შიგა გაურივე და კარგად შეზილე, რომე გაერთდეს, ჩა[ა]სხი კურქელშიგა და მიეც დღიე ერთი ღრამი.

v

10

ს ხ უ ა მ ა ჯ უ ნ ი ს რ ე ლ ი ნ ჭ ა ნ ი ს ა, რომელი უშუელის წელსა რომე სტკიოდეს. — ა ი ლ ე: სრელინჯანი და თურბუთი (რომე სომხურად ჭაროტი ჰქუიან), ქალბანი, თუითოსაგა — ხუთ-ხუთი ღრამი, ბასვაიჯი და აფთიმონი — სამ-სამი ღრამი, ხარიკონ და ინდოური მარილი, და სადაჯი და მასტაქი, თუითოსაგან — ორ-ორი ღრამი, საკამუნია — ერთი ღრამი, ზაფრანი, — ნახევარი ღრამი; ყუელა დანაყე და გაცარ, და აილე თაფლი ასი ღრამი აღუღებული და ქაფაღებული. და მერმე ეგე დანაყილი წამლები თაფლშიგა გაურივე და კარგად შეზილე, რომე გაერთდეს, და კურქელშიგა ჩაასხი და მიეც სამი ღრამი, და უშუელის.

15

20

25

ს ხ უ ა მ ა ჯ უ ნ ი დ ი დ ი ს ა ს რ ე ლ ი ნ ჭ ა ნ ი ს ი, რომელი უშუელის...²

||...[თ ხუთი ღრამი. და დანაყე და გაცარ, და წმიდასა კურქელსა შიგა ჩაყარე, დაასხი ოცი ღრამი ტფილი წყალი და კარგად გაქენ. და მერმე ბროწეულსა და შაქარსა შიგა გარიე. და მერმე კიდევე აღუღე, რომე გასქელდეს. და აილე და წმიდასა კურქელსა შიგა ჩაასხი და, რა მოგინდეს, მიეც სამი ღრამი.

677x

30

ს ხ ე ა მ ა ჯ უ ნ ი ქ ა მ უ ნ ი ა ს ა, რომელი უშუელის სტომაქისა ტკივილსა და თუ ქარი ჩავარდნოდეს სტომაქშიგა, გამოიღოს, და რომელსა ძელი ცხრო სქირდეს; და იმა ცხროსაცა უშუელის, რომე სიგრილვე მორევეოდეს ტანსა. — ა ი ლ ე: ჩამნიუკი ქარმანული ათი ღრამი და მერმე კარგითა ძმრით დაალბე ერთსა დღესა და ერთსა ღამესა, და მერმე ძმარი დაწურე და ჩამნიუკი გ[ა]ქვე და მოკალე. და აილე ზანჯაფილი ოცი ღრამი და პილპილა ხუთი ღრამი, და სადაფისა ფურცელი — ათი ღრამი, დარიჩინი — ხუთი ღრამი; ყუ-

40

787

ლა დანაყე, გაცარ და ერთმანერთსა გაურჩევე. და მაგა წამლებინა ზომა სამი თაფლი აიღე და წმიდასა ჭურჭელსა შიგა ჩა[ა]სხი და ადღე, და ქაფი მოკადე, ვირემდის გაწმდებოდეს. და მერმე წამ-
5 ლები გაურჩეი! და შეზილე კარგად. და მერმე წმიდასა ჭურჭელსა
v შიგა ჩა[ა]სხი და, რა მოგინდეს, მიეც, რაცა შეეძლოს, და მერმე ერთიკუთხედი ლენიო შეასუი.

სხუა მაჭუნი რკინისა ბაყლისა, რომელი უშუეღის ბოასირსა და ქარსა. და სტომაქსა გაამჭურვალეზს და ქუეით ძალი მოუმატოს. —
ა იღე: ინდოური ალილა, ამლაიკი და ბალილაჰი, ყუალა კურკი-
10 საგან გამოღებული, — თუითოსაგან ათი დრამი, კაროსის თესლი და ნან[ა]ხუა, და ამამა და ბარანბო, და წყლის ჭაკუნტელას თესლი, ბაშახტაკი³, — თუითოსაგან სამი დრამა, და დარიჩინი — ოთხი დრამა, პილპილა, დარ[ა]პილპილა და ინდოური მარილი — თუითოსაგან ერთი დრამი, მანანუხი — თხუთმეტი დრამა, ნიშადური —
15 ნახევარ დრამა, რკინის ბაყლი, რომე ძმრითა დაალბე; ამოიღე და გა[ა]ქმე და დანაყე და გაცარ ასი დრამი; ყ[უ]ალა დანაყე და გაცარ და ერთმანერთსა გაურჩევე, და თაფლითა შეზილე და წმიდასა ჭურ-
ჭელსა შიგან ჩა[ა]სხი და მიეც ხუთი დრამი.

სხუა მაჭუნი ჩამიჩისა, რომელი უშუეღის სევდასა და სტომაქსა
20 გაამჩიეღებს და მუცელსა გაჯსნის. — ა იღე: ქაბული, ალილა ყუითელი, კურკისაგან გამოღებული, ექუს-ექუსი დრამი, ამლაიკი და ბ[ა]ლილაიკი — სამ-სამი დრამა, სანიმაჰი და აფთიმონი და ოშინდ[ა]რი, თუითოსაგან — ერთი დრამი და ნახევარი, ბარაბო და ქარის-ენა — ორი დრამი, ლაჭუართი — ერთი დრამი; ყუალა და-
25 ნაყე და გაცარ და ამა წამლებინა...⁴.

678r ||)...[ჩრდილსა და აიღე ორი ლიტრა და პილპილი — სამი [...], ზანჯაბილი — ოთხი უკია, ოქრომქედლის ბავრუკი — ა[...] უკია, სატაბისა ფურცელი. ჩრდილშიგა გამქმარი, ოთხი უკია; ყუალა და-
ნაყე, გაცარ, და აიღე თაფლი ადღლებული და ქაფ-მოკდილი, წამ-
30 ლებთა სამი წონა გაურჩევე და შეზილე და ჭურჭელსშიგა ჩადევე, და მიეც ორი დრამი.

სხუა მაჭუნი, რომელი საკავმი[...] მეფისა მაჭუნი არ[ი]ო, რომე-
ლი უშუეღის რომე ტანი სრულად სტეიოდეს და რომელი ქმინევე-
დეს, და ნიკრისსა და ძუელს ცხროსა და ტყირბისა ტყივილსა და
35 სქელსა ქარსა, რომე სიგრილისაგან იყოს, და ყუ[...]ასა და ნაწლე-ვისა ტყივილსა და თუალისა ტყივილსა და ყუ[...]ს ტყივილსა. და თუ ესე სენი სჭირდეს კაცსა, ამა წამალმან უშუეღოს, და თუ არა სჭირდეს, აჯამე [...]. — ა იღე: ველური სადაფისა თესლი და ფარს[...]ნი და ველური ნიორი, და ქამავიტოსი და ჯავ-
40 შირი, და ჯ[ი]ნდანა (რომე მგლის-ჯორჯა ჰქუიან) მისი ძირი, და ქარქ[უ]ეტა და უს[ტ]უხუდუსი, ზუკის ზეთი, თუითოსაგან — ხუთი

დრამი, მ[...], და ზაფრანი, და მწარე ქუშტი და თეთრი პილპილი, და თივა-მკუდარი და ინდოური სანფული, და ფარბიონი, [...], შავი ხახუი, რაზიანას თვალი, ველურისა სტაფილოს თესლი და წითელი ვარდი, და ბალასნის ხილი, თუითოსაგან — [...] ჩამიჩი. აილე კურ-
კისაგან გამოღებული, და მერმე ჰავანსა შიგა ¶ შმიდად დანაყე და
წამლები მოაყარე. და მერმე სამი დრამი ნუშის ზეთი დაასხი და
კარგად შეზილე, და ქურქელშიგა ჩა[ა]სხი და მიეც ოთხი დრამი,
და თბილი წყალი შეასუი.

სხუა მაჭუნი, რომელი უშუელის სტომაქისა ხიგრილესა, ლეიძ-
ლისა სიგრილესა და ბალღმისა სიმრავლესა, და სტომაქმან საქ-
მელი ვერა მოიღნოს და სქელსა ქარსა და მეოთხისა ღღისა ცხრო-
სა და ფსელსა მოუმატოს. — ა ი ლ ე: თეთრი პილპილა და შავი
პილპილა, და დარ[ა]ქილპილა, თუითოსაგან — თურამეტი დრამა,
ბალ[ა]სნის შე[...], — ცხრა [...], ს[...], და [...] ოთხი დრამა, ზან-
ჯაფილი და ქრე [...], სალიხა და ასრიონი, თუითოსაგან — ერ-
თი [...], ყუალა დანაყე, გაცარ და მაგა წამლებისა წონა სამი თაფ-
ლი [...], ქაფ-მოკდილი გაურივე და მიეც სამი დრამა.

სხუა მაჭუნი კულიავისა, რომელი უშუელის ერთობ ხიგრილესა
[...]. ამოაბოყინოს და გეავე სული ამოუვიდოდეს. და რომელი
ქამდეს და არა ძლებოდეს, და ბალღმისაგან რომე ცხრო სქირდეს.
— ა ი ლ ე კულიავი! ქარმანული (ესე უფროსი [...]) აქაურისა კულია-
